

იასა შინსაჲ

ძიებანი  
რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობის ისტორიიდან  
(X—XVI სს)

ხბაღინის სახელოგის თბილისის სახელოფიზო  
უნივერსიტეტის გამოცემალოგა

თბილისი

1956



## წ ი ნ ა ს ი ტ უ მ ა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლა ერთი უზნი-  
შენელოვანესი საკითხია საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში.

ქართველი მოწინავე წრეები ქართლის, კახეთისა და იმერეთის  
სამეფოებში თითქმის ერთსა და იმავე დროს ერთნაირად და, რაც  
მთავარია, დადებითად წყვეტდნენ შექმნილი მძიმე ვითარებიდან  
ქვეყნის დასაასწელოდ რუსეთზე ორიენტირებას საკითხს.

ცნობალია, რომ საქართველოს სსსრ-ისა და ქართველობას შე-  
ნარჩუნების შესაძლებლობას რუსეთთან კავშირში ხელაუღწეველი  
მარტო ქრისტიანთა ქართველი მეფეები და მათ გარშემო შემოკრე-  
ბილი მოწინავე წრეები, არანდრ თვით გამაჰმადიანებულა მეფეებიც, —  
კონსტანტინე და როსტომი, რომელთაც პრინციპულად რუსეთზე  
ორიენტირების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონათ. რუსეთი წარსულ  
საუკუნეებში შედარებით კარვად ცნობილ ქვეყნად მოჰანს საქარ-  
თველოში. რუსეთის შანა ვითარება ქართველი მოწინავე წრეები-  
სათუას ხანგრძლივი დაკვირვებას ობიექტი ყოფილა. საფრთხილათ  
და სიღინჯით გადაწყვეტილა ჩვენში რუსეთზე ორიენტირების სა-  
კითხი.

შემთხვევითი და ეპიზოდური კარ არის XVI—XVIII საუკუ-  
ნეებში რომ ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის ხელისუფლებას  
მაატვრების, სამთაწადნო საქმის ასპეციალისტებას, სამხედრო სა-  
ცურკლის ოსტატებას, რუსული წარმოების იარაღისა და მეტრია-  
ლების საქართველოში გამოგზავნას სთხოვდნენ. რუსული ხელოვნება  
და კულტურა ჩვენში არ შეიძლებოდა სათანადოდ არ შეფასებული-  
ყო, რადგან თვით საქართველოს ამ მზრივ საკუთარი წაღალი მე-  
მევიდრეობა ჰქონდა. მტრების წაყრ დაზიანებული ქართული ბუროთ-  
მოდღვრების ძვირფასი ძეგლებას გასაახლებლად რუსეთიდან გა-  
მოგზავნილს ოსტატების იმდროინდელი ნამუშევარი დღესაც არა  
ერთი დაცული ჩვენში.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველი ხალხი, აგრე-  
სორი ქვეყნების გარემოცვის პირობებში, ფიზიკური გადაშენების სა-  
ფრთხის წინაშე იღვა და რუსეთი ერთადერთ სახელმწიფოდ მო-  
ჩანდა, რომელიც მას ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანდა. წინა-

პართა შოწინავე წრეების პროგნოზი ისტორიის შენდგომმა მსვლელობამ გაამართლა.

ფეოდალური საქართველო სამი საუკუნის განმავლობაში ეპატიებოდა კავკასიაში ამ პროგრესულ ძალას—რუსეთს ჩამორჩენილი ირან-თურქეთის აგრესიის შესამუსრავად. XVIII საუკუნის მიწურულში ყოველგვარი პირობები მომწიფდა იმისათვის, რომ რუსეთი მტკიცედ შენოსულიყო საქართველოს გზით ამიერკავკასიაში. მაგრამ თვითმპყრობელობის აქ შემოსვლას ფეოდალური საქართველოს საელმწიფოებრიობაც თან გადაჰყვა. მიუხედავად ამისა, მარქსიზმის კლასიკოსები სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ რუსეთის პროგრესულ როლს კავკასიისა და სხვა მეზობელი ქვეყნების საღებების ისტორიაში.

ჩვენთვის აალა ნათელია, რომ ფეოდალურმა საქართველომ სათავადოების სისტემის ჩიხიდან საკუთარი ძალებით გამოსვლა ვერ მოაწერბა და სწორედ ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი მისი დაქვეითება-დაუძღურებისა. რუსეთის ცხოვრების ორბიტში ჩვენი ქვეყნის მოქცევის შემდეგ შემოებისა საქართველოს ეს დახავსებული სოციალური არტახი და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაც სწრაფად წავიდა წინ.

ეს პროგრესული სოციალური პროცესი, მართალია, ცარიზმის არსებობის პირობებში ტკივილებით მიმდინარეობდა ჩვენში, თვითმპყრობელობა არ ინდობდა, ავიწროებდა და სტანჯავდა თვით რუსეთის ხალხსაც კი, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, XIX საუკუნეში მომხდარი აქტის, საქართველოს რუსეთთან შეერთების, პროგრესული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უტყუარი ფაქტია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ასეთი გააზრების შემდეგ სრულიად ბუნებრივად და გამართლებულად გვესახება ამ ურთიერთობის ისტორიული საფუძვლების მეცნიერული ძიება.

წინამდებარე წიგნი, როგორც პირველი ცდა, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან. ავტორი მადლობით მიიღებს შენიშვნებს შრომაში აღძრულ საკითხებზე.

ავტორი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები კარგა ხანია ისტორიკოსთა ყურადღებას იპყრობს. არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორიას, მკვლევართა რამდენიმე თაობა ამუშავებდა ამ თემის სხვადასხვა საკითხებს, მაგრამ გასაკეთებელი ნაინც ბევრი დარჩა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მთელ რიგ შენთხვევებში, რაც რევოლუციამდელ ისტორიკოსებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ხაზით გაკეთებული ეგონათ, კვლავ გადასასინჯი ანდა ისევ თავიდან გამოსაკვლევია აღმოჩნდა. ყველაზე უფრო კარგად დამუშავებულად თითქოს XVI საუკუნის მიწურულისა და XVII საუკუნის დასაწყისის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია მიაჩნდათ, მაგრამ დიდი დროა არის მას შემდეგ, რაც ამ პერიოდს საგანგებო ნაშრომი მიეძღვნა (ნ. ბერძენიშვილი) და სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პატარა მონაკვეთის მოვლენები.

ასეთია საქმის ვითარება იქ, სადაც თითქოს საკითხი ნათელი უნდა ყოფილიყო, არა ნარტო იმის გამო, რომ XVI საუკუნის მიწურულის მოვლენებს რამდენიმე მკვლევარი სწავლობდა წარსულში. არანედ იმიტომაც, რომ ნრავალი დოკუმენტური თუ ნარატიული ხასიათის წყარო შემოგვინახა რუსეთის არქივებმა, და. რაც მთავარია, რუსეთის საგარეო პოლიტიკის საიდუმლო მხარეც საქართველოში გამოგზავნილი ელჩებისადმი განკუთვნილი ინსტრუქციებით მკვლევართათვის ცნობილი იყო. აქ პირველ რიგში დაბრკოლებად კვლევის მეთოდოლოგიის საკითხი იდგა, მეორე რიგში კი—საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხების დაუმუშავებლობა. ძველი საუკუნეების (X—XVI) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმე კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქ ღარიბი მემკვიდრეობა აქვს მკვლევარს როგორც მკვლევართა წინა თაობათა ნამუშევრის სახით, ისე თვით წყაროების მხრივ. მაგრამ ძირითად დაბრკოლებად აქაც მეთოდოლოგიის საკითხი და საქართველოს გარკვეული ეპოქის ისტორიის მთავარი საკითხების დაუმუშავებლობაა.

წყაროების სიმცირე საგანგებო სიძნელეს ჰქმნის კემპარიტების აღსადგენად. აქ ისტორიკოსი უმეტეს შემთხვევაში იმ მკვლევარის მდგომარეობაში იმყოფება, რომელსაც აწ არარსებული ცხოველის მოდგმის მხოლოდ ერთი კბილი და ფეხის ძვალი აქვს ხელთ და ამ მონაცემებით გადაშენებული ცხოველის სრული ბიოლოგიური სურათი უნდა აღადგინოს.

მეცნიერებისათვის უცნაურს და არაჩვეულებრივს ჩვენ აქ არაფერს ვხედავთ, მაგრამ იმ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ არსებული სიძნელენი ყველასათვის ერთნაირად დასაძლევია არ არის და რიგი საკითხების გადაჭრისას წამოჭრილ დაბრკოლებათა გადალახვა წინამდებარე ნაშრომის ავტორისათვისაც მომავლის საქმედ დარჩა.

ნაშრომი სრულიად შეგნებულად გვერდს უვლის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთ საკითხს. ზოგ საკითხზე მსჯელობა მეცნიერების ისეთი დარგების ცოდნას მოითხოვს, რაც ამ წიგნის ავტორს არ გააჩნია, ხოლო სპეციალისტებს ამ საკითხების შესახებ თავისი ძიება დასრულებული არ აქვთ.

ნაშრომში მოცემულია ძიებანი იმ ისტორიული ცნობების შესახებ, რომელნიც დასადგენი, შესამოწმებელი და ისტორიულ გარემოცვაში განსახილველი იყვნენ. ნაშრომის დასათაურებაც ამ გარემოებამ განსაზღვრა.

ჩვენ შევეცადეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის სათანადო ძეგლებში აღნუსხული საყურადღებო ცნობების დადგენა და შემოწმება მათი თანადროული პირობებისა და ვითარებაში განხილვით მოგვეხდინა. იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი და ნათელი იყო ეს ისტორიული პირობები და მოვლენის გარემოცვა, ვფიქრობთ, ისტორიისათვის საჭირო და საყურადღებო შედეგებს მივალწიეთ.

იქ, სადაც ისტორიული კონიუნქტურა ნათელი არ იყო. ეპოქისა და მოვლენების შეუსწავლელობის გამო, რიგი ფაქტების დადგენა და ახსნა ვერ დავასრულეთ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ, რაკი კრიტიერიუმში სწორი გვქონდა, საკითხები მაინც მართებულად დავაყენეთ და ამდენად, წინათ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ნაბიჯი მაინც წინ გადავდგივთ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ძველი პერიოდის ფაქტების დადგენას, გარემოსთან კავშირში განხილვით, ურთიერთო-

ბის მთლიანი ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში მოცემული მასალიდან ცხადი ხდება, რომ ორი ხალხის—რუსებისა და ქართველების—მეგობრობას განვითარების თავისი საფეხურები აქვს. ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის ყოველთვის ერთნაირ პირობებში არ მიმდინარეობდა, ამდენადაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა შინაარსი ჩანს. XVI—XVII—XVIII საუკუნეთა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ანალოგიით ძველი ხანის ამავე ურთიერთობას ვერ გავიგებთ. ასეთი გააზრების ცდა კი იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ნაგრამ ჩვენ უღრმესი პატივისცემის გრძნობით ვიმსჯელებით წინა თაობის მკვლევართა მიმართ, რომელთაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლას მოჰქიდა ხელი და შესაძლებლობის ფარგლებში მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სცადეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა ერთი ნცდარი დებულება წამოაყენეს და დაუშვეს შეცდომები, მათ მიერ აღძრული საკითხები ჩვენ მაინც გზას გვიკაფავდა ისტორიულ ნოვლენათა დასადგენად. მართალია, ცნობების სიმცირისა და მათი ფრაგმენტულობის გამო X—XVI საუკუნეთა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია მთლიანად საგანგებო კვლევის ობიექტად არავის გაუხდია ჩვენამდე, მაგრამ სამი საკითხი, ცალკეულად აღებული, ბუტკოვის, ბროსესა და ბელოკუროვის ნაშრომებში იყო განხილული (კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ქართველი მეფის ასულზე ქორწინება, თამარ მეფის საქმროდ რუსი უფლისწულის ნოწვევა და XV საუკუნის ქართველი მეფის ალექსანდრეს წერილი მოსკოვის მთავრისადმი).

ბუტკოვის, ბროსესა და ბელოკუროვის გამოკვლევათა საფუძველზე არა ერთი წერილი დაუბეჭდიდათ ქართველ მოღვაწეებს მ. ჯანაშვილს. ნ. ცხვედაძეს, დ. კარიკაშვილს, დ. ბაქრაძეს, ალ. გარსევანიშვილს, ეპ. კირიონს და სხვ. განსვენებულმა მ. ჯანაშვილმა საგანგებოდ თავი მოუყარა რუსულ და ქართულ მატრიანეებში დაცულ ცნობებს, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. მართალია, ამ მასალის ანალიზი მას არ მოუცია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ინტერესი ამ საკითხებისადმი და ყურადღების გამახვილება საქირო ისტორიული ფაქტებისადმი. მ. ჯანაშვილის პირობებში ეს ადვილი საქმე არ იყო. მ. ჯანაშვილმა და დ. კარიკაშვილმა თამარ მეფის მოღვაწეობის ისტორიის აღწერისას საგანგებო ადგილი დაუთმეს რუსი უფლისწულის სა-

ქართველოში მოწვევის საკითხს და საკუთარი მოსაზრებანიც გამოთქვებს. ამავე საკითხს შეეხო აგრეთვე საგანგებო წერილში გ. იოსელიანი (წყალტუბოელი) და ცნობილი პედაგოგი ალ. გარსევანიშვილი. თამარ მეფის პირველი ქორწინების საკითხს ტენდენციური და წყაროების გაყალბებაზე დამყარებული ლექცია მიუძღვნა გრენმა.

ჩვენ, წინა თაობის ამ მკვლევრებთან შედარებით, უდავოდ უკეთეს პირობებში მოგვიხდა მუშაობა: რუსეთისა და საქართველოს ისტორიის საკითხები სრულიად ახლებურად არის დამუშავებული. ძველი რუსული, ქართული, სომხური, არაბული და ბერძნული წყაროები გამოცემული და შესწავლილია და, რაც მთავარია, ჩვენ საშუალება გვაქვს ახალი მეცნიერული მეთოდოლოგია მოვიმარჯვოთ. ასეთ პირობებში მომუშავეს. ამ წიგნის ავტორს, მეტი მოეთხოვება. არ ვფიქრობთ, რომ დასახული ამოცანა სავსებით შესრულებულია, მაგრამ ჩვენამდე არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ უდავოდ შეცვლილია.

წინამდებარე ნაშრომი 1945 წელს წარდგენილი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული ოფიციალური რეცენზენტების: აკად. ს. ჯანაშიას, აკად. გ. ხაქაპურიძის, აკად. ნ. ბერძენიშვილის, აკად. წ.-კ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა და სომხეთის მეცნ. აკად. წ.-კ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის 'შენიშვნათა გათვალისწინებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ნაშრომში დაშვებულ შეცდომათა და საერთო ნაკლოვანებათა გამოსწორებას. პატივცემულ მეცნიერთა შენიშვნები უღრმესი მადლობით მიმიღია.

---



## უკველსი სნოზეპი რუსეპის, ვარანგეპისა და მესახეპ ქართულ ქველავში

ქართველ ისტორიკოსებს ცნობა რუსების, ვარანგებისა და ქართველების ურთიერთშეხვედრის შესახებ XI საუკუნეზე ადრინდელი არ დაუცავთ. ცნობები ქართველების რუსებთან შეხვედრის შესახებ დაცული არის სუმბატ დავითის ძის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ“-ში. ორივე თხზულების ავტორები ცხოვრობდნენ XI საუკუნის შუა წლებში<sup>1</sup>.

სუმბატ დავითის ძე „რუსებს“ იხსენიებს გიორგი I-ის ამბების აღწერის დროს, იქ, სადაც მას ლაპარაკი აქვს ბიზანტიის კეისარ ბასილსა და ქართველთა მეფის გიორგი I-ს შორის ატეხილი ომის მიმდინარეობის შესახებ. ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდის აღწერის დროს გიორგი I-ის ლაშქრის დამარცხებას იგი ასე გვაუწყებს: „მასვე ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისნი, რომელნი იგი პირველ მივიდეს და გამოვიდეს მიერ კერძო ტალმანი მეფისანი რუსნი და არა განერა ერთიცა პირველ მოსრულთა მათ თვინიერ მცირეთასა“<sup>2</sup>.

აქ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ქართველი მეფის ნოწინავე რაზნების დამარცხებაში მონაწილეობა მიუღიათ რუსებს, რომელნიც ცალკე რაზმის სახით ყოფილან ბიზანტიის კეისრის ბასილის ლაშქრის შენადგენლობაში.

ამავე ამბავს, ბასილ კეისრისა და გიორგი I-ის ომებს, მეორე ქართული წყაროც—„მატიანე ქართლისაჲ“ აგვიწერს. მაგრამ აქ რუსების რაზმი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქართველების დამარცხებაში, მოხსენებული არ არის. ავტორი აქ მოკლედ გვაუწყებს: „მეოტ იქმნეს სპანი ქართველთანი და წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახუილისათა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1916 წ., გვ. 135, 145.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მ-მ დედოფლის ვარიანტი, 1906 წ., გვ. 357.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942 წ., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 180.

„მატიანე ქართლისაჲ“ არაფერს ამბობს რუსული რაზმის შესახებ. მაგრამ ბიზანტიის კეისრის ლაშქარში რომ ამ ომის დროს უცხოელებიც ყოფილან, ამას არც ეს ძეგლი უარყოფს. ამ ძეგლში, იქ, სადაც ბასილ კეისრის მიერ გიორგი I-ის წინააღმდეგ გამოლაშქრებაზეა ლაპარაკი, აღნიშნულია: „გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა მისითა და უცხო თესლითა ურიცხუითა“<sup>1</sup>.

ვინ არიან ეს უცხოელები, ძეგლის ავტორს აღნიშნული არ აქვს. რუსების რაზმის შესახებ ამ ომის აღწერილობაში არაფერი აქვს ნათქვამი ვახუშტი ბაგრატიონსაც.

რამდენად მართალი შეიძლება იყოს სუმბატის ცნობა? სუმბატის ცნობის შემოწმება ქართული წყაროების სხვა მასალებით ჯერჯერობით არ ხერხდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ზემოთ მოტანილ ბუნდოვან ცნობას. უცხო წყაროების საშუალებით შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ ბიზანტიის იმპერატორის ლაშქარში X საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულიდან რუს-ვარანგების რაზმების მონაწილეობა ჩვეულებრივი მოვლენა არის.

ცნობილ ბიზანტინისტ ვასილევსკის საკმაოდ დამაჯერებლობით გამორკვეული აქვს, თუ რა პირობებში და როდის მოხდა რუს-ვარანგთა რაზმების მიწვევა ბიზანტიაში. ბიზანტიური და სომხური წყაროები უტყუარ ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, რომ X საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II-მ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა კიევის სახელმწიფოსთან. კიევის მთავარი ვლადიმერ სვიატოსლავის ძე ცოლად ირთავს ბიზანტიის იმპერატორის დას. ამავე პერიოდში ვლადიმერი კიევის სახელმწიფოში ქრისტიანულ სარწმუნოებას სავალდებულო სახელმწიფო რელიგიად აცხადებს.

ბიზანტიური ძეგლების ცნობით, 987—989 წლებს შორის მომხდარ ბარდა-ფოკას განდგომილების დროს ბიზანტიის კეისრის ბასილის ლაშქარში ვლადიმერ კიევის მთავრის მიერ გამოგზავნილი რუსების დამხმარე რაზმი გადამწყვეტი მნიშვნელობის მონაწილეობას იღებს ბარდა-ფოკას ძალების განადგურებაში<sup>2</sup>. ბიზანტიელი ისტორიკოსების — პსელოსის, კედრენესა და ზონარას ცნობებს ბიზანტიაში რუს-ვარანგთა რაზმის მოღვაწეობის შესახებ ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსები — ასოლიკი და არისტა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, 1942 წ., გვ. 178.

<sup>2</sup> В. Г. Васильевский. Труды, т. I, 1908 წ., გვ. 196—197.

კეს ლასტივერტელი. ბიზანტიაში რუსების რაზმის მოღვაწეობა დადასტურებულია 1016 წლისათვისაც. კედრენეს ცნობით, ბასილ კეისარმა 1016 წელს ბულგარელებზე გამარჯვების შედეგად ნაშოვნით დავლა სამად გაანაწილა, ერთი წილი მოკაევშირე რუსებს უთავაზო<sup>1</sup>.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა რაოდენობის იყო 1016 წ. ბულგარელების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილე რუსების რაზმი, მაგრამ 1001—2 წელს ერთი რაზმი, რომელიც საქართველოს საზღვრებთან ახლოს ყოფილა დაბანაკებული, სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის ცნობით, 6.000 კაცისაგან შედგებოდა<sup>2</sup>. ამ რაზმის დახნარებით რომ ბასილი კეისარი 1001 — 2 წლებში აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ ლაშქრობდა, მაინც საეჭვო არ არის; ასოლიკის ცნობა ანაჲ უდავოდ ხდის.

ამდენად სუმბატის ცნობაში ისეთი არაფერი გვაქვს. რაც ბიზანტიის ისტორიულ სინანდვლიეს ეწინააღმდეგებოდეს და, თუ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ბუნდოვან ცნობასაც მოვიშველიებთ, სუმბატის ცნობა 1021 — 23 წ. ბიზანტიასთან ომში რუსებისა და ქართველების შეხვედრის შესახებ სადავო არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ საერთოდ სუმბატი სანდო ავტორად არის ცნობილი.

სუმბატის ცნობის დათარიღება დაახლოებით შესაძლებელი ხდება. ბასილ კეისარის ლაშქრობას გიორგი I-ის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა 1021—23 წლებს შორის (აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით).

ქართველებისა და რუსების უშუალოდ შეხვედრის ამაზე უძველესი ფაქტი ქართველ ისტორიკოსებს მოხსენებული არ აქვთ. მაგრამ ქართველებისათვის „რუსი“ უცნობი ხალხი არ ყოფილა XI საუკუნის ოციან წლებში და პირველად ამ ხალხს 1021—23 წლებში არ ეცნობიან. თვით სუმბატი რომ ტერმინ „რუს“-ს ყოველგვარი განმარტების გარეშე იხსენიებს. იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ XI საუკუნის ქართველისათვის „რუსი“ დიდი ხნიდან გარკვეული ცნება იყო. ამაზე უწინარეს რომ ქართველებს რუსებთან შეხვედრა კიდევ ჰქონიათ. ამას სომეხი ისტორიკოსი სტეფანე ტარონელის (ასოლიკი) ცნობაც ადასტურებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ქართველი ისტორიკოსები დიდი ხანია დაინტერესდნენ სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობით და თავიანთ ნაშრომებში

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Труды, т. 1, стр. 205.

<sup>2</sup> *სთიქარნიჲს შარხნხელიჲსი ასოიკასი შათაძესიჲსი სიხეხრასიჲსი*. 1935 გვ. 276—277.

ნას სათანადო ადგილი დაუთმეს კიდევ, მაგრამ სუმბატის ქრონიკის ცნობა შეცდომით გაიაზრეს. ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების შენიშვნებსა და განმარტებებში. იქ, სადაც საუბარი არის ბასილ კეისრის მიერ გიორგი I-ის დროს საქართველოზე გამოლაშქრების შესახებ, სტრიქონს ქვემოთ შენიშნავს: „...ვასილია (ბასილ კეისარმა) გაგზავნა მის (გიორგი I-ის) წინააღმდეგ თავისი ჯარი, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდა „ქ. ცხ-ბით, რუსთა მეფის ტალმა“ ანუ ბატალიონი“<sup>1</sup>. ამ ცნობის დასადასტურებლად იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული გამოცემის პირველ ტომს. როგორც ცნობილია, სუმბატის თხზულებიდან გარკვეული ცნობებით შევსებულია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია. ასევე აქვს „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული გამოცემიდან მოტანილი ეს ადგილი მოსე ჯანაშვილსაც. იგი წერს: „В царствование Георгия I (1014—1027) против грузин отправился в поход император Василий; в числе императорских войск был «руска мепис тагма», что в буквальном переводе значит: русского царя отряд“<sup>2</sup>.

არც ბროსეს მიერ გამოცემულ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მარიამ დედოფლის ნუსხაში დაკულ სუმბატის თხზულებაში „რუსთა მეფის“ რაზმზე არ არის ლაპარაკი. სუმბატის ტექსტსა და შევსებულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტშიაც მოხსენებული „მეფე“ ბიზანტიის კეისარი ბასილ II არის და არა „რუსთა მეფე“. ტექსტში ეს ადგილი ყველგან ასე იკითხება: „და გამოვიდეს მიერ კერაო ტალმანი მეფისა რუსნი“<sup>3</sup>.

აქ ჩვენ იმ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ რუსებისაგან შემდგარი რაზმი, ბიზანტიის ლაშქრის შემადგენლობაში მყოფი, ყოველთვის „რუსთა მეფის“ ან მთავრის რაზმი შეიძლება და არ ყოფილიყო. რუსები ამ დროს თვითნებურადც მიდიოდნენ ბიზანტიის ლაშქარში ნადავლის საშოვნელად. მოკავშირე რუსეთის მთავრის რაზმი სხვა არის და თვითნებურად ბედის მადიებელი რაზმი სხვა. ყოველ შემთხვევაში ქართულ ტექსტში რუსების მეფე ნაგულისხმები არ არის.

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. ბაქრაძის მიერ, ქართველიშვილის გამოცემა, 1885 წ., გვ. 147—148.

<sup>2</sup> Сиринск матеріалов для ист. местностей и пл. Кавказа, вып. 22. 1897. გვ. 31.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოც., გვ. 216; ქიქ. გამოც., ტ. II, გვ. 314.

მოსე ჯანაშვილი ცდებდა აგრეთვე იმაშიაც, რომ მას ასოლიკის ცნობა, რომელშიაც 1001—2 წლებში მომხდარი რუს-ქართველთა შეტაკება აღწერილი, და 1021—23 წლებში მომხდარი ამბავის სუმბატის აღწერილობა ერთი და იგივე ფაქტი ჰგონია<sup>1</sup>.

სომეხი ისტორიკოსი სტეფანე ტარონელი (ასოლიკი) ნეტისმეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ქართველებისა და ოუსების 1021—23 წლებზე უფრო ადრე შეხვედრის შესახებ. იგი, აღწერს რა დავით კურაპალატის გარდაცვალებას, მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილ II მაშინვე საქართველოსაკენ გამოემშურაო. ბიზანტიის კეისარს საზღვარზე ქართველი მეფეები ბაგრატ III და იმისი მამა გურგენ მეფე შეგებებია. მეფეები მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებულან, ისე რომ ნათ შორის რაიმე უსიამოვნებას აღვილი არ ჰქონია; ისტორიკოსის აღწერით, პირიქით, შეხვედრა და მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მაგრამ სწორედ იმ დღეს, როცა მეფეები ერთმანეთს უნდა გაყროდნენ, სრულიად უმნიშვნელო მიზეზით ბიზანტიელებსა და ქართველ ჯარებს შორის სერიოზული სისხლისღვრა მომხდარა. თითქოს ბრძოლა თვით ჯარისკაცების ინიციატივით დაწყებულა.

ასოლიკის გადმოცემით, იმ დღეს ერთ რუს ჯარისკაცს, ბიზანტიის ლაშქრის შემადგენლობაში შემავალს, თივა მიჰქონდა სახედრისათვის. ქართველთა ჯარის ბანაკი ახლო ყოფილა, ერთ ქართველ ჯარისკაცს თივის წართმევა განუზრახავს და იგი თავს დასხმია რუსს. უკანასკნელს თავისიანებისათვის მიუწართავს დასახმარებლად, ქართველსაც თავისიანებისათვის მოუწოდებია და ეს პირველი რუსი ჯარისკაცი მოუკლავთ. მაგრამ შემდეგ იქვე ეყოფი რუსთა რაზმი, რომელიც 6.000 კაცისაგან შედგებოდა. თავს დასხმია ქართველებს და დიდი სისხლისღვრა მომხდარა და მრავალი წარჩინებული ქართველი დაიღუპაო, მათ შორის გაბრძეულ და იოანე ოჩოპენტრეს ძენი, ჩორღვანელი და სხვანიო<sup>2</sup>.

სომეხი ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ცნობის შესახებ ქართულ ძეგლებში არაფერი არ არის ნათქვამი. „მატიანე ქართლისაჲ“ არც ქართველი მეფეების ბიზანტიის კეისართან შეხვედრის

<sup>1</sup> Сборник мат. для опис. местн. и пл. Кавказа., вып. 22. 1897, გვ. 31—32.

<sup>2</sup> Степанос Таронский, Асохик по прованшу. Всеобщая история, 1864 წ., ემინის თარგმანი, გვ. 200—201.

შესახებ გვაწვდის ცნობას. სუმბატ დავითის ძეს მეფეების შეხვედრის ფაქტი აღწერილი აქვს<sup>1</sup>, მაგრამ რუსების რაზმთან კონფლიქტის შესახებ არას ამბობს. სუმბატი ქართველი მეფეების ბიზანტიის კეისართან მოლაპარაკების საქმის კურსში არის და ან ნაირვ საყურადღებო ცნობასაც გვაწვდის.

რით უნდა იყოს გამოწვეული ქართული წყაროების დუმილი იმ კონფლიქტის შესახებ, რომელზეც სომეხი ისტორიკოსი ლაპარაკობს? როგორც დავინახეთ, კონფლიქტი უმნიშვნელო მიზეზით დაწყებულია თითქოს, მაგრამ წარჩინებული ქართველი ადამიანები შეეწირა მას და მოსალოდნელი იყო ასეთი ცნობა ქართულ ძეგლებშიაც აღბეჭდილიყო.

სუმბატი თავის ქრონიკებში დავითის გარდაცვალების შესახებ წერს: „გარდაიცვალა დავითი დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორონიკონსა ხკა და არა ესუა ძე. და აოჯრდა იმიერ-ტაო: და განოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე და მიცნეს წას ციხენი აზნაურთა ამა დავითისათა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურატპალატისა. და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი (გურგენ). და მისცა მათ ბასილი მეფემან პატივი, გურგენს მაგისტროსობა, და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერ ყუნა ერთმანეთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცვა. ხოლო გურგენ ქეშნარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა ამით მიზეზთა და ვერა უძლო ღონის ძიებათა“<sup>2</sup>.

მოტანილ ტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დავით კურაპალატის აზნაურნი ბიზანტიის მეფეს ბასილს საკუთარი სურვილით აბარებენ ციხე-სიმაგრეებს და ისინი ამ კეისრის ბანაკში არიან გადასული. ქართველი მეფეები იძულებული არიან მომხდარ ფაქტს შეურიგდნენ. ისინი ბასილ კეისართან მოსალაპარაკებლად მივიდნენ და თითქოს მოლაპარაკება ნეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა კიდევ. ბიზანტიის კეისარი, იმ დროს მიღებული წესით, აჯილდოებს კიდევ ქართველ მეფეებს მამასა და შვილს—გურგენ მეფესა და ბაგრატ III-ს. ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველი მეფე გურგენი განზრახ უფრო დაბალი პატივით დააჯილდოვა (მაგისტროსობა მიუბოძა), ვინემ შვილი ბაგრატ მეფე

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მ-მ დედოფლის ვარიანტი, 1906 წ., გვ. 352.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, 1949 წ., ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 68.

(მას კურაპალატობა უბოძა). თითქოს ამ ღონისაიებას ბიზანტიის კეისარმა იმისათვის მიმართა, რომ ქართველ მეფეებს შორის შურის საფუძველზე კონფლიქტი და მტრობა ჩამოეგდო, მაგრამ გურგენ მეფის სულგრძელობის გამო კეისრის გეგმა არ განხორციელდაო. სუმბატ დავითის ძეს სხვა არავითარი ფაქტი დასახელებული არ აქვს, რასაც ქართველებსა და ბერძნებს შორის უსიამოვნება გამოეწვია.

მაგრამ, თუ ჩვენ სომეხი ისტორიკოსის ცნობას დაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ მისი ცნობა რუსებისა და ქართველთა შეჯახების შესახებ არ შეეხება ქართველი მეფეების ბაგრატიისა და გურგენის ჯარის ნაწილებს. საკითხი რომ გაირკვეს, საჭირო იქნება სტეფანე ტარონელის თბზულების ამ ადგილის აქ მოტანა: „წორედ ამ უკანასკნელის (მეფეების, ი. ც.) გამგზავრების დღეს ბერძნების ბანაკში ძლიერი შეტაკება მოხდა უმნიშვნელო მიზეზის გამო. დავით კურაპალატის მთავრები და ვასალები, იქ მისულნი, ბერძნების ბანაკის ახლო იდგნენ, რუსების ქვეითა რაზმიდან ვიღაც ნეომარს თივა მიჰქონდა თავისი ცხენისათვის, მივიდა მასთან ერთი ივერიელი და წაართვა მას თივა. მაშინ რუსთან დასახმარებლად ნეორე რუსმა მიიბრინა. ივერიელმა თავისიანებს მოუწოდა, რომლებმაც, მოიბრინეს რა, მოკლეს პირველი რუსი. მაშინ ყველა იქ მყოფი რუსები საომრად მოემზადნენ, ისინი ექვსი ათასი კაცი იყვნენ, ქვეითნი, შეიარაღებულნი შუბებითა და ფარებით, რომლებიც მეფე ბასილმა რუსების მეფეს თხოვა იმ დროს, როცა მან (ბასილ მეფემ) თავისი და მიათხოვა უკანასკნელს (რუსების მეფეს). ამავე დროს იწამეს რუსებმა ქრისტეც. ტაოს მთავრები და ვასალები ერთად გამოვიდნენ მათ (რუსების) წინააღმდეგ და დამარცხდნენ. აქ დაიღუპა დიდი მთავართა მთავარი, რომელსაც პატრიარქი (პატრიკი) ეწოდებოდა, ოჩოპენტრეს ორი ვაჟიშვილი გაბრიელ და იოანე, ჩორდვანელი აბუ-ხარაბას შვილიშვილი და სხვანი მრავალნი, რადგანაც მათი ქედმაღლობისათვის ღვთის რისხვა ტრიალებდა მათ თავზე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> *«ხ. ჯ. ნიჟნი ირ. გნალიკი ნორა» აკათორადი მსბ ხელ ქ რანსაქინ შილ-ნაე კაღაღა გიქენ ქსუ აკათნაოჩ. ვქ ქქსანგ ზ აკათგ ზქლრაყაღათინ ჴაოქქ სქსაქ რანსაქსაქ ჭქნ მსრბ აა რანსაქინ შილნაე; ხ. ჯ. ნიხთსაქსა-გნუქნ შილდაე იმი სქსაქ ქით თანტერ სერქლარქინ ქლრი. ქას იმი ქ ლდაე ღა-მხეაღ ქლქ ვაქნ. ზ ნორა აღაღაქსაქ სქნ იმი ქლრიგე ოღნქ ნამა. ნიჟნი-აქსა ზ ლდაეიქნ ქლრანს აღაღაქსაქ ირგ სქსაქ საყანანსქინ ღათაქინ შილღუ. ხ. აკათ რიორ აღვქ შილდაე, ირ ქ თხილიქნ კაქნამ ჯარქხეანს ქ აკათორადი (ვქ ჭქნ ნიგა არგ ში ნიხთსაქამართგ, ზიღაქ ზ საყარ ქ ჰილ-*

ნოტანილ ტექსტში ხაზგასმით არის საუბარი იმაზე, რომ სისხლისღვრა თვით ბერძნების ბანაკში მყოფ რუსებზეა და ქართველებს შორის მოხდა, სახელდობრ, საბერძნეთის მეფის ხელქვეით მყოფ ტაოელ დიდებულთა ამაღლის ქართველი ჯარისკაცის ნედიდურობით. შესაძლებელია, რაკი ეს კონფლიქტი, საქართველოს ბიზანტიასთან დამოკიდებულებაში იმ ხანად არაფერს არ ცვლიდა და იგი არც ამ სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობის ნიადაგზე არ იყო წარმოშობილი, ისედაც სიტყვაძვირ ქართველ ისტორიკოსებს ეს ამბავი ამიტომ არ შეეტანოთ თავიანთ თხზულებებში. რაც შეეხება თვით სტეფანე ტარონელს, იგი ხომ ტაოელი იყო, საბერძნეთის სამეფოს საზღვრებში მყოფი, და იქაური ამბავი ამიტომ ასე დაწვრილებით აღწერა; მისი თხზულება მომხდარ მოვლენებს საერთოდ შედარებით დეტალურად გადმოგვცენს.

ეჭვის შეტანა სომეხი ისტორიკოსის ცნობის კეშმარიტებაში მართებულად ვერ ჩაითვლება. ბიზანტიის მეფესთან ქართველი ნეფეების შეხვედრა სუმბატის თხზულებითაც დასტურდება, თვით კონფლიქტი იმდენად ნიშანდობლივ არის აღწერილი, რომ ფანტაზიის ნაყოფად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. ასეთი ამბის გამოკონება ავტორს არაფრად არ სჭირდებოდა. რუსული რაზმი რომ ამ დროს ბიზანტიის ჯარის შემადგენლობაში იყო, დადგენილი ფაქტია.

გარდა ამისა, მეორე სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტელი ასოლიკის მსგავს ცნობას გვაწვდის. არისტაკესიც აღნიშნავს ბიზანტიელებისა და ქართველების შეხვედრას, თუმცა ქართველი მეფეები მას სახელებით მოხსენებული არ ჰყავს. არისტაკესმა არ იცის, თუ რა მიზეზით მოხდა შეტაკება ქართველებთან, მაგრამ რუსების რაზმი დასახელებული ჰყავს. ამასთანავე შეტაკების დროს დაღუბულ ქართველ დიდებულებზეც ლაპარაკობს, თუმცა

*ზიუა, ვირა ლე სანჯრასე ქაოკლირის ჯასიქე ქე ქაოკლირენ მითაყე, კიქამ სო ვიქენ ქეღ ლილქსან ზამა, კიქამ ქამანასიქე სე ზაღათოყენ ზიღა ქე ჴიქათიი): სე ამსნაქენ ქეჯანზენ სე აოკოტე შოკიე ხექენ დნეღემ ზიუა, სე იყაროთსაქე ქე ზიუანსე მითაღ მსხ ქექიანს, იქიქამ ჴათოქიქაქენ ლიქიქე, სე სეღილ ირექენ მლიქენთრესაქე ჴაქექიქე სე მთქანსნესე, ლიქოთილანსე ქიქანსე მლიქანრეაქე სე აქექე რეოქიქამ, ვიქე ყათილმს მათილბიქე ლე ქე ქიქეაქე ზიუა ლასე მსხამათილქსანსე ქეღქანსე: იბ. მთქიქანთიქიქე შაღიანსეღე მათიქანსე ჴათიქიქანსე მთქიქანსე. ჴაქე, 1885. გვ. 276—277.*



მათი სახელები მოხსენებული არ აქვს, მაგრამ დალუპულთა რიცხვს კი ასახელებს: „ზნაურთაგან 30 კაცი ფრიად საპატიოთაგანი“ მოკლესო<sup>1</sup>.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ თვით ასოლიკისათვისაც ცნება „რუსი“ მის მიერ აღწერილი ფაქტიდან კი არ გამხდარა ცნობილი. იგი უფრო აღრინდელი აზრებით აცნობს მკითხველს რუსული რაზმების ბიზანტიაში მოსვლას, სახელდობრ, X საუკუნის ოთხმოციანი წლების ამბებს იგონებს, კიევის მთავრის მიერ ბიზანტიის კეისრის დის ცოლად შერთვას გვაუწყებს და რუსეთის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ნოქციევისაც აღნიშნავს. ასოლიკი ბიზანტიის ტერიტორიაზე მოღვაწე განათლებული სომეხია და, ეტყობა, ბიზანტიისა და რუსეთის იმ დროის დამოკიდებულებას კარგად იცნობს. მისი ცნობები ბიზანტიური და რუსული წყაროებითაც დასტურდება. ამდენად, სომხური წყაროების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ქართველებისა და რუსების უშუალოდ შეხვედრის აღრინდელი ფაქტი 1001--2 წლებში გადავიტანოთ.

ამრიგად, ჩვენ XI საუკუნის პირველი მეოთხედისათვის რუსებისა და ქართველების შეხვედრის შესახებ ორი ცნობა მოგვეპოვება და ამ ცნობებიდან ისე ჩანს, რომ რუსებსა და ქართველებს ამ დროს პირველად არ უნდა გაეცნოთ ერთმანეთი.

„რუსი“ გარკვეული ეთნიკური ცნება უნდა ყოფილიყო X საუკუნის ქართველისათვისაც.

ბარდა-ფოკას განდგომილების დროს. ბიზანტიელ ისტორიკოსის ცნობით, ფოკას ლაშქარში საუკეთესო რაზმებად ქართველთა რაზმები ითვლებოდა. ხოლო, როგორც ცნობილია, ბარდა-ფოკას წინააღმდეგ ბასილ კეისარს რუსების რაზმი ჰყავდა უკვე ვლადიმერ სვიატოსლავის ძის მიერ გამოგზავნილი<sup>2</sup>. ასე რომ, ქართველები და რუსები ერთმანეთს 989 წელსაც უნდა შეხვედროდნენ.

აკად. ვასილევსკი სავსებით მართალი უნდა იყოს, როცა ასოლიკის ცნობის გამო შენიშნავს, რომ 1001--2 წლებში ქართველებსა და რუსთა რაზმს შორის მონხდარი კონფლიქტი შეიძ-

<sup>1</sup> *Историческія... Акты... Исаакійскіе...* ტფილისი, 1912 წ., გვ. 4. სომხური ტექსტების არსებულ რუსულ თარგმანებთან შემოწმების დროს სომხური წინის საკუთარ ცოდნას ვერ დავენდევთ და მივმართავდით პროფ. ილ. აბულაძეს, რომელმაც დაუზარებლად იკისრა ჩვენი თხოვნის შესრულება.

<sup>2</sup> В. Г. Васильевский. Труды, I, გვ. 202—203.

ლება დაკავშირებული იყოს 989 წლის ამბებთან. ბიზანტიაში ქართულ რაზმებს ახალი ძალა გაუხდა მოქიშპედ და 989 წელს დამარცხებული ქართველები კონფლიქტისათვის განწყობილი იყვნენო<sup>1</sup>.

მაგრამ არც 989 წელი მიგვაჩნია ჩვენ იმ თარიღად, საიდანაც რუსებისა და ქართველების ურთიერთგაცნობის დრო უნდა ვიანგარიშოთ. იყო შესაძლებლობა, რომ იმავე ბიზანტიის გზით, ქართველები ამაზე უწინარეს გაცნობოდნენ რუსებს.

ცნობილია, რომ ქართველები უძველესი დროიდან ბიზანტიის ხშირი სტუმრები იყვნენ, ხოლო რუსები—ბიზანტიის არასასიამოვნო შორეული მეზობლები; IX საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც რუსებმა არა ერთი და ორი მწარე დღეები განაცდევინეს ბიზანტიელებს, განსაკუთრებით ოლეგის, იგორისა და სვიატოსლავის დროს (879—972 წწ.). ყოვლად წარმოუდგენელია ხსენებული რუსი მთავრების ურთიერთობა და დამოკიდებულება ბიზანტიასთან უცნობი დარჩენილიყო ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის.

არც ისე პატარა მნიშვნელობის ფაქტი იყო ბიზანტიის სახელმწიფოს ცხოვრებაში ოლეგთან და იგორთან დადებული სავაქრო ხელშეკრულებანი. ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბულგარეთში სვიატოსლავის „დიასახლისობა“. ქართველ მოწინავე წრეებს ბიზანტიის ეს შევიწროებული მდგომარეობა უბრალო ცნობისმოყვარეობის თვალსაზრისით კი არ უნდა გაეგოთ, არამედ—წმინდა პოლიტიკური ორიენტაციის ინტერესით.

მაგრამ, გარდა ამისა, იყო შესაძლებლობა, რომ ქართველები ბიზანტიელების გარეშე X საუკუნის რუს-გარანგებს შავი ზღვის საშუალებით გაცნობოდნენ. როგორც ცნობილია, რუსები X საუკუნის პირველი მეოთხედიდან დაწყებული შავ ზღვას, განსაკუთრებით მის ჩრდილო ნაპირებს, დაუფლებული იყვნენ, და ამ ზღვით ეწეოდნენ სავაქრო ურთიერთობას ბიზანტიასთან. ე. წ. ტმუტარაკანის რუსული სამთავროს შექმნა მდ. ყუბანის ქვემო ნაპირებთან იმის მაჩვენებელია, რომ შავი ზღვის მარტო დასავლეთი მხარეების მცხოვრებნი კი არ ეცნობოდნენ რუსებს, არამედ აღმოსავლეთისაც.

არ არის დასაჯერებელი, რომ ყუბანის სამხრეთით მდებარე საქართველოს სანაპიროებს არ გაცნობოდნენ რუსები იმდენად მაინც, რომ თავიანთი ეთნიკური სახელწოდება ცნობილი არ გაეხადათ ქართველებისათვის.

<sup>1</sup> В. П. Васильевский, Труды, I, гл. 203.

სამწუხაროდ, ქართველების ნაოსნობის შესახებ იმ პერიოდისა და არც შემდეგ ხანისათვის ჩვენ დაკვირვება არ გვაქვს ჩატარებული. დასავლეთი საქართველო მაინც, როგორც ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყანა, საზღვაო საქმეში დახელოვნებული იყო ისე, რომ სრულიადაც არ იყო სავალდებულო რუსების სტუმრობისათვის დაეცადათ ქართველებს. თვით ქართველებისათვის შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები უცნობ ქვეყანად არ შეიძლებოდა დარჩენილიყო.

1953 წელს გამოქვეყნდა ეთნოგრაფის დოც. მ. გეგეშიძის საყურადღებო წერილი — „წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში“<sup>1</sup>. როგორც ამ მკვლევარს აღნიშნული აქვს, ნაოსნობა უძველესი დროიდან ცნობილი საქმე იყო ძველ საქართველოში. ნავის მკეთებელნი საგანგებო ხელოსნები ყოფილან ჩვენს ქვეყანაში და მათ „ნავის მოქმედი“ ეწოდებოდათ, როგორც ეს დოც. მ. მესხიას გამოკვლევაშია<sup>2</sup> დასაბუთებული. ნავის მკეთებელი ხელოსნები მოხსენებული არიან ისეთ მუდმივ საკირო ხელოსნებთან ერთად, როგორიც იმ დროს მკედელი, კალატოზი, ხურო და სხვ. იყვნენ.

ნავის მკეთებელთა გარდა, ჩვენში ცნობილი არიან „მენავენი“, ე. ი. ნავის მმართველები. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი, იქ, სადაც ბაგრატ III-ის მოღვაწეობას აღწერს, ერთგან შენიშნავს: „წარიყვანა ღედა თუისი და წარვიდა ქუეყნად აფხაზეთისა და ვითარცა ქელოვანმან მენავეთ მოძღუარმან განაგო ყოველი საქნე აფხაზეთისა“-ო<sup>3</sup>. ეს შედარება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. როგორც ჩანს, „მენავეებს“ გარდა, ჩვენში „მენავეთმოძღუარი“-ც, მენავეთა ზემდგომი პირიც ყოფილა. „მენავეთმოძღუარი“ უდაოდ დიდ გემს — ხომალდს უნდა ჰყოლოდა, სადაც მენავეების გარკვეული რაოდენობა უნდა ყოფილიყო. მარტო ამ ტერმინების ამ სახით არსებობა ქართულ ენაში ცხადყოფს, თუ რაოდენ ცნობილი საქმე ყოფილა ძველ საქართველოში მენავეობა და აქედან თვით ზღვაოსნობა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ზემოთ მოტანილი ტექსტი კარგად გვიჩვენებს, რომ საზღვაო საქმის ცოდნა დიდ ოსტატობად ყოფილა ჩვენში მიჩნეული. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვისაც ზღვაოსნობა ცნობილ საქმედ მოჩანს. დასავლე-

<sup>1</sup> მიმომხილველი, III, გვ. 127—145.

<sup>2</sup> შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში, 1942 წ.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლ. ნუსხა, 1942 წ., პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 174.

თი საქართველოს მცხოვრებნი უძველესი დროიდან ნაოსნობას და ზღვაოსნობას რომ იმთავითვე დაუფლებული იყვნენ, ამის შესახებ მეტი სწავლად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია. მას ქართველების მიერ საზღვაო საქმის დაუფლება დათარიღებული აქვს არგონავტების ამბებთან დაკავშირებულ ფაქტებთან. იგი ერთგან ეგრისელების შესახებ წერს: „წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიღვინეთ არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი მოვიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდევ, რამდენადაც შესაძლოა. და ვაქრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას“<sup>1</sup>.

დასავლეთი საქართველო შავი ზღვის სანაპიროპროვინციებთან ალებშიცემობას ზღვით ეწეოდა, კერძოდ, ცნობილია, რომ ყირიჩიდან მარლი შემოპქონდათ ეგრისელებს<sup>2</sup>. შავ ზღვას დაუფლებული ქართველები ამდენად რუსეთთანაც ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ, აქ არავითარი ეკვი არ შეიძლება შეეიტანოთ.

ჰგონებ არის მესამე გზაც, საიდანაც ქართველებს რუსების შესახებ ცნობები უნდა : მიეღოთ როგორც X საუკუნის პირველ ნახევარში, ისე ამავე საუკუნის სამოციან წლებში. ეს გზა არის საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის გადასავალები. კავკასიონს იქეთ მცხოვრებ ოსებთან, ქაშაგებსა (ჩერქეზთა ტომები) და ხაზარებთან ქართველებს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ხაზარეთის სამეფო მაინც ისე არის წარმოდგენილი ჩვენს წყაროებში, რომ მისი თავდადასავლის საქმის კურსში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ქართველები. ხაზარეთს რომ ოლეგმა და სვიატოსლავმა შავი ღღეები გაუთენა და ბოლოს კიდევ დასცა იგი, ამ ფაქტების არცოდნა საქართველოში, მის პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეებში შეუძლებელი იყო. ოსები და ჩერქეზები რომ სვიატოსლავის მოხარკენი შეიქნენ ამ მხარეებში სვიატოსლავის ლაშქრობის შედეგად, არც ამ მოვლენის ყურადღების გარეშე დატოვება შეეძლო იმ დროის საქართველოს. სამწუხაროდ, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი სპეციალურად დამუშავებული არ არის. ასეთი მუშაობის ჩატარების გარეშე კი მრავალი საკითხი

<sup>1</sup> გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 50. იხ. ამის შესახებ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 43.

<sup>2</sup> სიმონ ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 43.

და ისტორიული ნოვლები ჩვენს ისტორიაში გაუგებარი და აუხსნელი დარჩება.

მაგრამ ჩვენ საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება X საუკუნის პირველი და მეორე მეოთხედებისათვის თვით რუსების უშუალოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემოჭრისა და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების მახლობლად მათი დაბანაკების შესახებ.

ამიერკავკასიაში რუსების შემოჭრის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სომეხი და არაბი ისტორიკოსები. სომხური ძეგლი, რომელშიც ბარდაზე რუსების თავდასხმის შესახებ არის მოთხრობილი, აქაძღე მიეწერებოდა მოსე კალანკატუელს. ამჟამად სომხურ საისტორიო მწერლობაში ის აზრია განმტკიცებული, რომ მესამე წიგნი, რომელშიაც X საუკუნის ამბებია მოთხრობილი, ეკუთვნის მოსე დასხურანელს. მოსე დასხურანელი კალანკატუელის ნაშრომის გამგრძელებელი და რედაქტორიც ყოფილა<sup>1</sup>.

დასხურანელი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს რუსების თავდასხმას ბარდაზე 913—914 წლებში. მისი ცნობით, რუსთა რაზმი ექვსი თვის განმავლობაში დარჩა ბარდაში და მახლობელ მხარეებსაც ძარცვავდა. დამახასიათებელია, რომ სომეხი ისტორიკოსისათვის რუსები ჩვეულებრივ ცნობილი ხალხი არ ჩანს. დასხურანელი ამბავის თხრობას ასე იწყებს: „იმ დროს გამოეყო ჩრდილოეთის მხარეებს უცხო სახის, ვინმე უცხო ხალხი, რომელსაც რუზიკს უწოდებენ. რომელნიც არა ნაკლებ ვიდრე სამ გზის, როგორც ქარიშხალი, მოედნენ კასპიის ზღვას და მოულოდნელად მიაღწიეს ალბანეთის დედაქალაქამდე—ბარდავამდე (პარტავამდე), რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა წინააღდგომოდა მათ. მახვილის პირს მიეცა ქალაქი და დაეუფლენ მკვიდრთა მთელ ქონებას. თვით იმავე საღარმა (სპასალარმა) გარემოიცივა ისინი და ვერ შეძლო მათთვის ვნება, რადგანაც უძლეველი იყვნენ ისინი ძალით. ქალაქის დედაკაცებმა ილონეს (ცბიერება), საწანლავი შეასვეს რუზებს, რომლებმაც. შეიტყვეს რა ეს ღალატი, დაუზოგავად ამოწყვიტეს დედაკაცები და მათი ყრმები (ბავშვები), დაყვეს იქ ექვსი თვე. დატოვეს ქალაქი დაცარიელებული და აოხრებული. გადარჩენილი (რუსები) შეშინებულივით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში მრავალნაირი ალაფით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სასუნელი დავით, კრებული, ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით, თბილისი, 1939 წ., გვ. 61.

<sup>2</sup> «*ღუჯუნი ქაიანასაქა დაქუჩი ზი კიქმანუზ ნიქსიიყ აქილქემ ითაღლანუჯან აიყ ქამ ზიქ მიაღქქი კიჯნ იქე ოჯ ასქიქ გონ ზიქსი ქაიანასაქა*

რუსების თავდასხმას ბარდავზე 943—44 წლებშიაც კქონდადგელი. რუსების ეს ლაშქრობაც საკმაოდ ცნობილი იყო ისტორიკოსებისათვის, მაგრამ ამ ლაშქრობის შესახებ ცნობების მომწოდებლად 1918 წლამდე იბნ-ალასირი ითვლებოდა. სპეციალისტებისათვის ნათელი იყო, რომ, რაკი იბნ-ალასირი X საუკუნეში არ მოღვაწეობდა, მას 943.—44 წლის ამბები აღრიხდელი ძეგლიდან უნდა ამოელო.

1918 წელს ინგლისელმა ორიენტალისტმა პროფ. D. S. Margoliouth-მა გამოაქვეყნა არაბი ისტორიკოსის იბნ-მისკავეიძის ნაშრომის ნაწყვეტი, რომელშიც ბარდავზე რუსების 943—44 წლებში თავდასხმის ამბავი დაწვრილებით იყო მოთხრობილი. 1921 წელს კი თვით იბნ-მისკავეიძის თხზულების სრული ტექსტი და ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა. 1926 წელს გამოვიდა იბნ-მისკავეიძის თხზულების რუსული თარგმანიც<sup>1</sup>.

იბნ-მისკავეიძი გარდაიცვალა 1030 წელს. მას დაწვრილებით აქვს აღწერილი რუსების თავდასხმის ამბები. იგი განცვიფრებულა რუსების გმირობით და არა ერთი საინტერესო ეპიზოდი აქვს ამ მხრივ აღწერილი.

მეტისმეტად გაძნელებულა რუსებთან ბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ ეს რაზმი მოწყვეტილი იყო თავის ქვეყანას და უცხო მხარეში იმყოფებოდა. იბნ-მისკავეიძი აღნიშნავს, რომ განუწყვეტელმა ბრძოლებმა და გავრცელებულმა ეპიდემიამ აიძულა რუსები ბარდავი დაეტოვებინა, თორემ წასვლას არ ფიქრობდნენო.

*ქერს დერქისა ღნა ღამათარაბ აქსარნაბოი ხელენ ყაარქე კანსკარბ ღამათანქენ ქ მარქარგარგან შკოლანსქე ქ შაროთა, ირ იჯ იანხელი ღაროილქინ ღნფქამსკაქი ზიგა, ქ თიღ თილსქი მათხსაქ ქინხე ღარგან. ს ღავენქნ ქინგხანს ქაკქილქინღ ამხნაქნ ღადმილსანუ ღნსკაენ. ს ზიქნ ღნგნ შაკარნ აჯარხაქ ღნიოა' იჯ ღნჯ ღარქე ქლასსქ, ღქ ანჯაქქსქი ღქნ ღიოიქქამქი ღსქ ღანანუ ღარგარქნ ღნარ ქიანესაქ' რაძაქ მანოლ აროიღანსქენ შილღაე, იროე ქიანესაქ ღღასანანოიქქინ' ანქსნაქ ღიოიქქენ ღღანაქ ას ქანსკანსა ზიგა თღ ღაენსაქ ქ ღამ ამქსაქ ქენ ქაქიორ ს ილნაქნ ღარგარქნ ქღიქნ, ს მსაენსაქენ ღანღქითი ღიქი ღნაენქნ აქსარღნ ქარხანუ ღადამღან ასორაბ:*

იბ. შიქსა ყაარსკათილსექ. ღათილქინ შკოქანსქე აქსარნქ შქქქი 1913. გვ. 385—386.

ჩვენ ვსარგებლობთ პროფ. ილ. აბულაძის მიერ ახლად შემოწმებული თარგმანით, სომხური ტექსტის რუსული თარგმანი დაბეჭდილი აქვთ: პატკანოვს „История Агван Монсея Каганкатвацци писатель X в., გვ. 275—276, და ებნის „Исследования и статьи“, 1896 г., გვ. 161.

<sup>1</sup> Византийский временник, т. XXIV, 1926. А. Якубовский и Ибн-Мискавеи х, О походе русов в Бердаа в 943 г., 943—44 г.

იგი წერს: „მარზბანის ჯარები რუსების გარემოცვას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდნენ, სანამ ეს უკანასკნელი (რუსები) საბოლოოდ არ მოიქანცნენ. მოხდა ისიც, რომ ეპიდემია გაძლიერდა. როდესაც ერთი მათგანი (რუსთაგანი) კვდებოდა, ასაფლავებდნენ მას და მასთან ერთად მის იარაღს, ტანსაცმელს და ხელსაწყოს... იმის შემდეგ, რაც რუსების საქმე გათავდა, შეაწუხეს მუსლიმანებმა მათი საფლავები და ამოიღეს იქედან მათი ხმლები, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა დღესაც სიმახვილისა და მათი მაღალი ხარისხის გამო... გამიგონია მე აგრეთვე იმ პირებისაგან, რომელნიც მოწამენი (მნახველი) იყვნენ ამ რუსების, საოცარი ანბები მათი გმირობისა და აგრეთვე მათ წინააღმდეგ ამხედრებული მუსლიმანების სრული უგულვებელყოფის შესახებ. ერთი ამბავი გავრცელებული იყო ამ მხარეში და მე იგი ბევრისაგან მომისმენია—ხუთი რუსი ბარდავის ერთ ბაღში შეიკრიბა. მათ შორის ერთი უწვევრული ქაბუკი იყო სუფთა სახით, იგი შვილი იყო მათი ერთი წინამძღოლთაგანის და ამათთან (5 რუსთან) რამდენიმე ტყვე ქალი იყო. გაიგეს თუ არა მათი აქ ყოფნა მუსლიმანებმა, ალყა შემოარტყეს ბაღს. თავი მოიყარა დელეიმიტებისა და სხვათა დიდმა რიცხვმა, რათა ამ ხუთ კაცს შებრძოლებოდნენ. ესენი ცდილობდნენ როგორმე ერთი მათგანი დაეტყვევებინათ, მაგრამ ვერ მოხერხდა, არც ერთი მათგანი არ ნებდებოდა. და სანამ მათ (რუსებმა) მრავალი მუსლიმანი არ მოკლეს, მათი ამოწყვეტა არ მოხერხდა. უწვევრული ქაბუკი უკანასკნელი იყო ცოცხლად რომ დარჩა, მაგრამ როდესაც მან შენიშნა, რომ ტყვედ ვარდებოდა, ავიდა ხეზე, რომელიც იქვე ახლო იდგა, საკუთარი ხმლით თავი დაიჭრა და მკვდარი ჩამოვარდა“<sup>1</sup>.

იბნ-მისკავეიში მწუხარებას გამოთქვამს, რომ რუსები დაუსჯელად დიდი ნადავლით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში იმავე გზით (მტკვარი—კასპიის ზღვა—ვოლგა), რომლითაც მოვიდნენო.

მისკავეიძს, როგორც ვნახეთ, ერთ ადგილას აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც ეპიდემიის გამო რუსები ბარდავიდან წავიდნენ, „მუსლიმანებმა შეაწუხეს დარჩენილი მათი საფლავები და ამოიღეს იქიდან მათი ხმლები, რომელთაც დიდი მოწონება აქვს დღესაც სიმახვილითა და მაღალი ხარისხის გამო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Византийский вѣстник, XXIV, 1926. А. Якубовский. Ибн-Мискавейх, О походе русов в Берда в 332 г., 943—44 гг. зб. 69.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 69.

უცხო ხალხის გამოჩენა, მაკმადიანი მფლობელების დამარცხება, გმირული ბრძოლები და ცნობა არაჩვეულებრივი ხარისხის იარაღის შესახებ ალბანეთის მეზობელ ქართველებში სწრაფად უნდა გავრცელებულიყო. ასეთი ცნობები კი ქართველებისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით იყო საჭირო. ასე რომ, X საუკუნეში ქართველ მოწინავე წრეებისათვის რუსები და რუსეთი საქმაოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო როგორც ბიზანტიის გზით, ისე თვით რუსების შემოქრით ამიერკავკასიაში.

მაგრამ მეზობელი სომხეთის ისტორიის მასალებიდან ნათელი ხდება, რომ რუსეთსა და რუსების შესახებ სათანადო ცნობების ამიერკავკასიაში შემოტანას იმთავითვე ალებ-მიცემობაში საფუძვლიანად ჩაბმული სომხეთი უნდა უწყობდეს ხელს. ამას პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ორი საყურადღებო ნაშრომი ნათელყოფს<sup>1</sup>. 1946 წელს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ერევანში გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა ძველი რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ამ განკვლევაში თავმოყრილი მასალა უდავოდ ხდის იმ ფაქტს, რომ სომხეთი—საქართველოს მახლობელი მეზობელი, მკიდრო ურთიერთობაში იმყოფება ძველ რუსეთთან. თავისთავად ცხადია, სომხეთის როლი მკირე არ უნდა იყოს ამიერკავკასიის შესახებ ცნობების მიწოდებაში როგორც რუსეთში, ისე პირიქით.

არ არის გამორიცხული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ არაბთა კულტურული ზეგავლენის შედეგად რუს-ვარანგთა შესახებ ცნობები საქართველოში IX—X საუკუნეებშიაც გავრცელებულიყო. როგორც ცნობილია, არაბი მოღვაწეები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან თავიანთ თხზულებებში IX—X საუკუნეების რუსების, ვარანგებისა და საერთოდ აღმოსავლეთ სლავების შესახებ.

ქართველი ისტორიკოსის თხზულებისათვის უცნობი არ არის ტერმინი „ვარიანგი“-ც. „მატიანე ქართლისაჲ“ გვაუწყებს საყურადღებო ფაქტს ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის ისტორიისათვის. მატიანის ცნობა შეეხება ბაგრატ IV-ის მეფობის ხანას.

როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ს მოსვენებას არ აძლევდა კლდეკარის მფლობელი დიდი ფეოდალი ლიპარიტი და მან არა ერთ-

<sup>1</sup> Л. М. Меликсет-Бек. Древняя Русь и Армения. Издательство Академии Наук Арм. ССР. 1946, ცალკე ამონაბეჭდი „Сборник трудов. Инст. востока имени Марра“. და მეორე წერილი, ცალკე ამონაბეჭდი Из истории русско-армянских отношений. „Известия Акад. Н. Арм. ССР“. 1954 г.



გზის ზიიყვანა ბაგრატის მეფობა უკიდურეს მდგომარეობამდე. ლიპარიტს ამ ბრძოლაში მხარს უჭერდა ბიზანტიის კეისარი და ეს გარემოება ისედაც ძლიერ ფეოდალს ერთიორად მატებდა ძალას.

ლიპარიტის მიერ საბერძნეთიდან ბაგრატ IV-ის ძმის დემეტრეს გადმოყვანამ კიდევ უფრო გააუარესა ბაგრატ IV-ის მდგომარეობა. მეფის ძმის საქართველოში მოსვლამ „განხეთქნა ამისა მეფობისა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს და რომელიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა“<sup>1</sup>. სწორედ ამ დამბული მდგომარეობის აღწერის შენდევ „მატიანე ქართლისაჲ“ გვაუწყებს: „და მოვიდეს ვარანგნი სანი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს, გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ვერლარა მოილოდინეს, მოვიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთისა ქალისასა, გაიქცა შიდა ლაშქარი, და ოშსა აზასვე კულა შეიპყრეს აბუსერი. და სხუანიცა დიდებულნი მის-თანა, ვერლარა უძლეს ბრძოლაჲ ვარანგთა“<sup>2</sup>.

მოტანილი ტექსტი თითქოს ნარტივად შეიძლება აღანიანნა გაიგოს და მისი განმარტება შეიძლებოდა ზედნეტადაც ნიგვეჩნია. ზაგრან არის მთელი რიგი გარემოება, რომელიც გვაძლუებს ადგილი დაუთმობთ ტექსტის გაგების საკითხს.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ზემოთ მოტანილი ადგილის თავისებური გაგება პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა. ვახუშტი, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა თხზულების შინაარსს შემოკლებით გადმოგვეცემს, „რათა მკითხველთა არა საწყინოდ“ და „ადრე საცნობელი იყოს“<sup>3</sup>.

ვახუშტი ზემოთ მოტანილი ტექსტის შინაარსს ასე გადმოგვეცემს: „ხოლო ბაგრატს მოერთვნენ სამი ათასნი ვარანგნი: ნოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა-ქართველნი, გარნა მესხნი ვერლარა მოიცადა და ლიპარიტცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით: შეიბნენ სასირეთის ქალასა შინა, არამედ იძლიე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ., 1942 წ., გვ. 187.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრ., კიკ. გამოც., გვ. 326—327. ანა დედოფ. ნუსხა, 1942 წ., გვ. 187; მარიამ დედოფ. ნუსხა, 1906 წ., გვ. 263.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1916 წ., გვ. 291.

ნენ ბაგრატიანნი და შეიპყრეს კვალად აბუსერი და სხვანი დიდებულნიცა და ვარანგთა ვერლარა უყვეს ბრძოლა<sup>4</sup>.

აქ ვახუშტს დამატებული აქვს ცნობა, თუ ვისგან შედგებოდა ლაპარიტის ბანაკი (სომეხთა მეფე და კახელები). მაგრამ ეს ცნობა მათიანეში ჩვენ მიერ მოტანილი ტექსტის ზემოთ არის მოცემული. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, თუ ვის მხარეზე იბრძვიან ვარანგები.

მოტანილი ტექსტებიდან ცხადი ხდება თითქოს, რომ სამი ათასი ვარანგი ბაგრატ IV-თან მივიდნენ. ბაგრატს ისინი დაუბანაკებია ბაშს. ამათაგან შეიდასი კაცი წამოუყვანია ბაგრატს და თავის „შიდა ლაშქრისათვის“ შეუერთებია, მესხების შემოერთებას და მოსვლას აღარ დაელოდა ბაგრატი და შეება ლაპარიტს სასირეთის ქალისთავს. ბაგრატ მეფის ქართველთაგან შემდგარი ძირითადი რაზმი გაქცეულა, მარტო ვარანგებს ბრძოლა ვერ გაუგრძელებიათ და ბაგრატი დამარცხებულა.

აქ შეგველო წერტილი დაგვესვა და ვარანგთა სადაურობაზე გვემსჯელა მხოლოდ, მაგრამ ქართული მათიანის ზემოთ მოტანილ ტექსტს გაუგებრობა გამოუწვევია ცნობილი ბიზანტიანის ვასილევსკის ნაშრომში. ქართული ტექსტის სისწორეში დაეკვებულა ჯერ თვით განსვენებული მეცნიერი, შემდეგ ვასილევსკის ნაშრომების გამომცემელი და მათ მიუმართავთ აკად. ნ. მარისათვის. უკანასკნელს ვასილევსკის თხზულებათა გამომცემლების თხოვნა შეუსრულებია და „მატიანე ქართლისაჲ“-ს ზემოთ მოტანილი ტექსტის შესწორებული რუსული თარგმანი გამომცემლებისათვის გადაუცია. ნ. მარის მიერ შესრულებული თარგმანი ვასილევსკის ნაშრომების გამომცემელთ I ტომის გარკვეული თავისათვის დაურთავთ, როგორც დამატება და საბუთი, რომ ვასილევსკის დაეკება სამართლიანი იყო.

ვასილევსკის. სხვა მის საინტერესო გამოკვლევებს შორის, საკმაოდ დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ბიზანტიაში მყოფ რუს ვარანგთა რაზმების სადაურობასა და ვინაობის შესახებ. იგი აქ მიზნად ისახავს რუსეთის ისტორიის მტკიცენული საკითხის გადაჭრას, თუ ვინ არიან ბიზანტიურ ძეგლებში მოხსენებული რუს-ვარანგნი, ტავრო-სკვითნი.

ამ საკითხის ძიებისას იგი ბიზანტიაში მყოფი რუსების რაზმების ისტორიას ეხება და იშველიებს ყველა წყაროს, რომელიც

<sup>4</sup> ვახუშტი, საქ., ისტ. ნაწ. I, დ. ბაქრაძის განმარტებით. 1885 წ., გვ. 156—157.

ამ საკითხს ასე თუ ისე შუქს ჰყენს, მათ შორის ქართულ წყაროებსაც. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ვასილევსკი, რაკი მან ქართული ენა არ იცოდა, სარგებლობდა „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული ფრანგული თარგმანით.

დაუნოწმებია რა ქართველი მემკვიდრის ცნობა ვარანგების რაზმის საქართველოში მოსვლის შესახებ, ვასილევსკის ბროსეს თარგმანიდან ქართველი მემკვიდრის სიტყვები რუსულ ენაზე უთარგმნია და „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩვენ მიერ ზემოთ ამოწერილი ადგილი შემდეგი სახით მოუცია: „Когда три тысячи Варягов пришли на помощь Баграту, то он расположил их при Бахе, и взял из них только семьсот человек; потом двинулся вперед с силами Хида-Картлии, присоединенными к Варягам, не ожидая мсхов. Битва произошла при входе в рошу Сасирет; армия Хида-Картлии дала тыл; Абусер опять попался в плен, и с ним другие дидебулы. Так-как Варяги не могли принимать участия в сражении“<sup>1</sup>.

ქართველი მემკვიდრის ამ ტექსტში ვასილევსკის აეკვებს ის გარემოება, რომ, მის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ვარანგთა რაზმი ბაგრატის მხარეზე არ უნდა ყოფილიყო. ვასილევსკი ბიზანტიური ცნობებით დარწმუნებულია იმაში, რომ საერთოდ ჯარი ბიზანტიიდან ლიპარიტს და ბაგრატის ძმას დემეტრეს დაახმარეს თვით ბაგრატის საწინააღმდეგოდ. ლაშქარი, რომელიც ლიპარიტსა და დემეტრეს წამოჰყვა საბერძნეთიდან, ვასილევსკის აზრით, იგივე სამი ათასი ვარანგია, რომელიც „მატიანე ქართლისაჲ“-ში არის მოხსენებული: „Войско, приведенное Димитрием из Греции, и 3000 Варягов, пришедших на помощь Баграту, конечно, одно и тоже“<sup>2</sup>.

ამრიგად, ვასილევსკის აეკვებს ქართული მკვიდრის ტექსტის ბროსესეული თარგმანი და ფიქრობს, რომ სამი ათასი ვარანგი ინთავითვე ბაგრატთან არ უნდა იყოს მისული. მართალია, ვასილევსკი დაეკვდა, მაგრამ, რაკი მას ქართული ტექსტის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა, შეეცადა ძირითადად ქართული ტექსტის ბროსესეულ თარგმანს დაყრდნობოდა და სცადა ახსნა მოენახა იმ შემთხვევისათვის, თუ ქართული ტექსტი სწორ ცნობას იძლეოდა ვარანგების რაზმის ბაგრატის მხარეზე ყოფნის შესახებ. ვასილევს-

<sup>1</sup> В. Г. Васильевский, Труды, т. I, 1908 წ., გვ. 313—314. აქ ქართულ საკუთარ სახელებში ვასილევსკის „შ“ ნაცვლად „ხ“ აქვს. ეს ფრანგული დამწერლობის ნიჲადაგზე არის აღმოცენებული.

<sup>2</sup> იქვე.

კი ამ წენტხვევაში ასეთ შესაძლებლობას ხედავს: ვარანგების რაზმი ლიპარიტსა და დემეტრეს წამოჰყვა, მაგრამ, რახან დემეტრე სასირეთის ქალისთავს მომხდარი ბრძოლის წინ გარდაიცვალა (ამას „მატიანე ქართლისაჲ“ მართლაც გვაუწყებს), ვარანგები ამის შემდეგ ბაგრატის მხარეზე უნდა გადასულიყვნენო. აი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის სწორედ ამ ადგილის დასაზუსტებლად მიუწართავთ ვასილევსკის შრომების გამომცემელთ აკად. მარისათვის.

აკად. მარს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული გამოცემა. მას გადაუთარგმნია არა მარტო ჩვენ მიერ ზემოთ ნოტანილი ტექსტი, არამედ ამ ტექსტის წინ არსებული მთელი აბზაციც. აქ. საკითხის სისრულისათვის, ჩვენ მოვიტანთ მარის თარგმანის იც ნაწილს, რონელიც ვარანგებს შეეხება, ვინაიდან ტექსტის სხვა ადგილის თარგმანი არავითარ გაუგებრობას არ იწვევს და არც არის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო: „Пришли Варанги, три тысячи человек, и он (Липарит) поставил их в Баше; с собою взял (Липарит) семьсот человек. Баграт явился с войском внутренним (с востока, из внутренней Карталинии). Варанги (бывшие с Липаритом) не смогли дождаться месхов, пришли и завязали бой (с Багратом) на рубеже Сасиретской долины. Внутреннее (приведенное Багратом из внутренней Карталинии) войско бежало. В этой битве (войска Липарита) опять захватили Абусера и с ним также других знатных, которые не оказались в силах бороться с Варягами“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, აკად. მარს სულ სხვაგვარად ესმის ქართული ტექსტი. მისი გაგებით, სამი ათასი ვარანგი იმთავითვე ლიპარიტთან მოსულა და არა ბაგრატთან და, რაც მთავარია, ვარანგების 700 კაცისაგან შემდგარი რაზმი ბაგრატის წინააღმდეგ იბრძვის და მთელი ბრძოლაც ვარანგებს მოუგიათ, ბაგრატი დამარცხებულა.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ტექსტის ნარისეული გაგება შეუძლებელს არაფერს შეიცავს. ვარანგების რაზმი შეიძლებოდა ლიპარიტის მხარეზე ყოფილიყო და მას იგი ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა, ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს ხელთ აწესებულ მასალებით დასაშვებ შესაძლებლობებს. მაგრამ არც ის არის შეუძლებელი, რომ ვარანგების რაზმი ბაგრატის ბანაკში ყოფილიყო. ასეთ პირობებში

<sup>1</sup> В. Г. Васильевский и др., Труды, I, 33. 316.

ჩვენთვის მატიანის ცნობა უნდა იქნეს განოსავალ წერტილად მიჩნეული. და ვინც არ უნდა წაიკითხოს ნატიანის ეს ადგილი, არ შეიძლება მან ვარანგები ლიპარიტის მხარეზე დაინახოს. საკმაოდ გარკვევით არის იქ ნათქვამი, რომ ვარანგები ბაგრატიის ლაშქარში იმყოფებოდნენ.

მაშ რამ გამოიწვია დაექვება და შემდეგ ტექსტის ზრულიად საწინააღმდეგოდ გააზრება?

ქართული მატიანის ტექსტის გაგებაში დაექვება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ იმავე „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით. ბიზანტიის კეისარი ლაშქარს და ფულს აძლევს ლიპარიტსა და დემეტრე უფლისწულს ბაგრატ IV-ის საწინააღმდეგოდ: „ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, მნა ბაგრატ მეფისა: ბერძენთ მეფისა განი და ლაშქარი შემწე იყო. და განუთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს; და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა“<sup>1</sup>. ვასილევსკი მართო ამ ქართული ცნობის საფუძველზე არ ამყარებს თავის ექვს, იგი ამ დროის ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებსაც ეყრდნობა.

ვასილევსკის საქმის ვითარება წარმოდგენილი აქვს XI საუკუნის ორმოციან წლებში (კონსტანტინოპოლში) ბომბდარ ანბებთან დაკავშირებით. 1043 წელს კონსტანტინოპოლში მყოფ რუს ვაჟრებს კონფლიქტი ნოუვიდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ისე, რომ ერთი წინაპქოლი რუსი ბელჩართულ შეტაკებაში მოიკლა კიდევ. ამის გამო თუ სხვა უფრო ღრმა მიზეზით. რუსეთის მთავარი ვლადიმერ იაროსლავის იე ენზადება კონსტანტინოპოლზე თავდასასხმელად.

ბიზანტიის მმართველ წრეებს შეშინებიათ იმ დაქირავებული რუს-ვარანგთა კორპუსის სატაეტო ქალაქში დატოვება. რომელიც ჩვეულებრივ ბიზანტიის იმპერატორებს ჰყავდათ ამ დროს. ამ დებულების დასაბტკიცებლად აკად. ვასილევსკის თავის ნაშრომში ტექსტი და თარგმანი მოაქვს კედრენის თხზულებიდან: „Когда русские действительно стали грозить нашествием, то по свидетельству Кедрена (р. 552), византийское правительство нашло необходимым удалить из столицы как русских купцов, так и русских военных людей: „Скифы, находящиеся в столице в виде союзников, были рассеяны в провинциях“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ., გვ. 187.

<sup>2</sup> В. Г. Васильевский. Труды, I. 307—308.

ვასილევსკის ყურადღებას აქ იქცევს უკანასკნელი წინადა-  
ღენა. რომ რუსები (სკვითები) პროვინციაში იქნენ გაფანტული.

გარდა ამისა, ვასილევსკის ყურადღებას იქცევს პსელოსის  
ცნობა 1047 წლის სექტემბერში მომხდარ ლეონ-თორნიკეს (წარ-  
მოწობით სომეხი, ადრიანოპოლელი მსხვილი მფლობელი) აჯანყე-  
ბის შესახებ. ლეონ-თორნიკეს მრავალი მომხრე გაუჩენია, რის  
გამოკ ბიზანტიის იმპერატორის მდგომარეობა ძალიან დამაფიქ-  
რებელი შექმნილა.

იმპერატორს ჯარი არ ჰყოლია. აკად. ვასილევსკის სათანადო  
ადგილი მოაქვს პსელოსის თხზულებიდან: „Не было собрано  
ни собственного войска, ни союзного, исключая небольшой  
части наемников, которая обыкновенно следует (позади) при  
императорских (церемониальных) выходах. А что касается  
войска, находившегося на востоке, то отдельные части его  
даже не были собраны в каком нибудь одном лагере, так  
чтобы могли по данному сигналу скоро собраться и подать  
помощь императору, находящемуся в опасности, но оне  
отправились в поход в самую глубину Иверии, отражая  
нашествие одного варвара“<sup>1</sup>.

მოტანილ ტექსტში ვასილევსკი განსაკუთრებულ ყურადღებას  
აქცევს იმ გარემოებას, რომ 1047—48 წლებში ბიზანტიის ლაშქრის  
ნაწილები საქართველოსაკენ არიან გაგზავნილი. ამის შემდეგ ვა-  
სილევსკი ეძებს ბიზანტიაში მყოფ რუს-ვარანგთა რაზმებს, ნაწი-  
ლი მან იპოვა სამხრეთ იტალიაში, რომელნიც იქ ბრძოლებში  
იღებდნენ მონაწილეობას, ნაწილი კი ვასილევსკიმ ქართული წყა-  
როების საშუალებით იპოვა საქართველოში „3 ათასი ვარანგი“-ს  
სახით. რომელნიც, ქართული წყაროს ცნობით, ვითომ ლიპარიტს  
უნდა გაჰყოლოდა ბაგრატის საწინააღმდეგოდ. იგი შენიშნავს:  
„Войско приведенное Димитрием из Греции и 3000 Варягов,  
пришедших на помощь Награту, конечно, одно и то же“<sup>2</sup>.

აი ამ მოსაზრებათა და მონაცემთა საფუძველზე ჯერ დაეკვი-  
ვდა ვასილევსკი „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაში, ხოლო შემდეგ  
ამის საფუძველზე მატიანის ტექსტი შეასწორა აკად. ნ. მარმა.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა ტექსტები მთელ რიგ  
ადგილებში მართლაც ისეა გადამწერთაგან, ზოგჯერ რელაქტორ-

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Труды, I. გვ. 309, ხახი ეკუთვნის აკად.  
ვასილევსკის.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 314.

თაგან დამახინჯებული, რომ მკვლევარს ყოველთვის აქვს საფუძველი ტექსტის სისწორეში დაეკეცვისა. თვით „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტექსტის ერთი ადგილი სრულიად გაუგებარი და უადგილო ჩანს, სადაც ლაპარაკია „პაშტზე და ლიხის მთის პურის კაზმვით გადასვლაზე“<sup>1</sup>.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მდგომარეობამ იქმნდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ ერთი მონაცემით, და ისიც არცთუ საე-სებით გარკვეულით, მთელი ტექსტი ისე გადავაკეთოთ, რომ არსებულის დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსი მივიღოთ. ტექსტის ამ სახით შესწორებას დასაბუთება ესაქიროება, ზოლო აკად. მარის საბუთები კი დამაკმაყოფილებელი არ არის.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ არც ქართული ცნობით და არც ბიზანტიური ძეგლებიდან გარკვევით არ ჩანს, რომ ბერძენებმა ლიპარიტსა და დემეტრეს ვარანგთა რაზმი გამოაყოლეს. „მატიანე ქართლისაჲ“ ამის შესახებ ასეთ ცნობას გვაწოდის: „და ლიპარიტ გამოიყვანა ახლად საბერძნეთით დემეტრე იმა ბაგრატ მეფისა, ბერძენთ მეფისა განძი და ლაშქარი შენ-წე იყო“. მეორე ადგილას იგივე წყარო გვაუწყებს, რომ სასირე-თის ჰალისთავს მომხდარი ბრძოლის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და ბაგრატ-ლიპარიტი ისევ ერთმანეთს შეებრძოლნენ, შემატიანე წერს: „ცნა ესე ლიპარიტ, და შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი, სომეხნი და ბერძენნი თანა ჰყვეს, და მიუქ-და უგრძნეულად არყის ციხეს და შეიბნეს“<sup>2</sup>. აქ სავსებით გარკ-ვეული არ არის „ვოანგები“ ახლავს თუ არა ლიპარიტს, უფრო ბერძნებზეა ლაპარაკი. არც ბიზანტიური ძეგლებიდან ჩანს. ლი-პარიტს ვარანგები ახლავს თუ არა.

კედრენის ცნობაში აღნიშნულია, რომ „სკვითები სატაბტო ქალაქში მყოფნი, მოკავშირეების სახით, პროვინციებში იქნენ გაფანტულიო“. ეს ცნობა ჩვენ ნიშანდობლივ არაფერს გვეუბნება ლიპარიტის ლაშქრის შემადგენლობაზე; პსელოსის ცნობაც აგრეთვე გაურკვეველია ამ მხრივ. აღმოსავლეთით მყოფ ბიზანტიის ჯარის ნაწილებში შეიძლება ვარანგები ვიგულისხმოთ, მაგრამ პსელო-სის ცნობიდან არ ჩანს, რომ აღმოსავლეთით ბიზანტიას დაბანა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ. ნუსხა, 1942 წ., გვ. 187. აქ გაუგება-რია სიტყვა „პაშტი“ და სრულიად უადგილო ჩანს „პურის კაზმვა“. საბას გან-მარტებით: „პაშტი“ საცერია—ცხრილი. გაუგებარია აგრეთვე ვინ გადადის „ლიხს“ თუ „ლიხის“.

<sup>2</sup> ქართლ. ცხოვრ., ანა დედოფ. ნუსხა, 1942 წ., გვ. 188, მარიამ დედოფ. ვარ., გვ. 247.

კებული ჰყავდა მარტო ვარანგები. ივერიაში გაგზავნილი ბერძნული ლაშქრის შენადგენლობაში პსელოსს ვარანგები მოხსენებულნი არ ჰყავს. ვასილევსკი ამ შემთხვევაში თავის დასკვნას ქართულ ცნობაზე ანყარებს და ამით პსელოსის ცნობაში შეაქვს ვანმარტება. ქართულ ცნობაში კი გარკვეული არ არის, საიდან მოვიდნენ ვარანგები. ასეთ პირობებში გადაჭრით ლაპარაკი იმაზე, რომ ვარანგთა რაზმი ლიპარიტს გამოჰყვა საბერძნეთიდან და ამის პიხედვით ქართული ტექსტის დიამეტრალურად შეცვლა დასაშვებად არ წიგვანია.

ბიზანტიის სახელმწიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში ვარანგთა რაზმის ყოფნა არ ამტკიცებს იმას, რომ ეს რაზმი აუცილებლად ლიპარიტს გამოჰყვა. და თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ვარანგთა რაზმი ლიპარიტს გამოჰყვა, მაინც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ისე შეცვლა. როგორც ეს დაუსაბუთებლად მოგვცა მარძა, არ იქნება მართებული. არ იქნება მართებული იმიტომ, რომ არის შესაძლებლობა. როგორც ეს ვასილევსკიმაც აღნიშნა, ვარანგები ლიპარიტის ბანაკიდან ბაგრატთან გადაბარებულიყვნენ, ერთი ბუნდოვანი ცნობა ამის სავარაუდოდ თვით „მატიანე ქართლისაჲ“-შიაც მოიპოვება. რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქად. მარს ქართული ტექსტის იმ სახით გასაგებად, როგორც მან თავის რუსულ თარგმანში მოგვცა, ანგარიში უნდა გაეწია ერთი გეოგრაფიული საკუთარი სახელისათვის. მარისათვის საქართველოში ნოსული ვარანგების დასაბანაკებელი ადგილი „ბაში“ სადავო ტერმინი არ არის, როგორც ჰქონდა წარმოდგენილი ვანსვენებულ აქადენიკოსს ბაშის გეოგრაფიული მდებარეობა, ეს არ ვიცით. იგი ამით არ დაინტერესებულა.

ბაში სოფელია დღესაც (ქუთაისის მახლობლად), იგი მოხსენებულია 1578 წლის ქუთაისის საკათალიკოსო გამოსავალის დავთარში: „მართებს ბაშს როსტიასა ცეტიძესა ურემი ლომი..“<sup>1</sup>

როგორც მოხდა, რომ ქუთაისის მახლობლად ვარანგთა რაზმი დაბანაკდა და ეს რაზმი ბაგრატთან არ იყო მოსული. მარისეულ თარგმანში საქმე ისე არის წარმოდგენილი, რომ იპერეთი ლიპარიტს და დემეტრეს უნდა ჰქონდეს დაკავებული; ცხადია. თუ ბაში ლიპარიტის ჯარის დასაბანაკებელი ადგილია, ქუთაისში ბაგრატს აღარ ედგომებოდა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბუგარისა. შედგენილი 1578 წ., ვ. თაყაი შვილის გამოც. 1915 წ., გვ. 16.

<sup>2</sup> მართალია, ლიპარიტის მამულში არგვეთი შედიოდა, მაგრამ მას შეუძლებ. რაც ბაგრატსა და ლიპარიტს შორის ბრძოლა დაიწყო, ლიპარიტის დასაყრდენი არგვეთი არ არის, იგი კლდექარშია გამაგრებული.



ყოველ შემთხვევაში აკად. მარს ჯერ უნდა დაემტკიცებინა, რომ ბაში ლიპარიტის ხელქვეითი დასახლებული პუნქტი იყო და შემდეგ მოეხდინა ქართულ ტექსტში ცვლილებები.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობებიდან უფრო ის მოჩანს, რომ ლიპარიტის დასაბანაკებელი ადგილი ზენო ქართლი არის; სასირეთის ქალისთავს ბრძოლაჲ იმიტომ მოხდა, რომ ლიპარიტი ლიხს აქეთ იმყოფება სამხრეთ-აღმოსავლეთით. სასირეთის ქალისთავს მოწხდარი ბრძოლის აღწერის შემდეგ იგივე წყარო გვეუბნება, რომ ბაგრატი ლიპარიტის ნახვა მოინდონა ხოვლეში. მაგრამ ლიპარიტმა მასთან შეხვედრა არ ისურვა და ბაგრატი აფხაზეთს წავიდაო: „და რა ცნა ლიპარიტ მისულა მისი, არა ნახა, გარიდა ნუნით, შეიქცა და წარვიდა აფხაზეთს“<sup>1</sup>. ტექსტის ეს ადგილი, ნართალია, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს ლიპარიტი „აფხაზეთს“ წავიდა. მაგრამ აქ ტექსტი ნაკლულოვანია, უნდა იყოს „შეიქცა ბაგრატი და წარვიდა აფხაზეთს“. ასევე არის ეს წინადადება შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“. და რომ ანის შემდეგ ბაგრატი წავიდა აფხაზეთში და იგი იქ იყო გარჯვეულ დრომდე, ამას გვიდასტურებს იქვე, რამდენიმე სტრიქონს ქვემოთ, „მატიანე ქართლისაჲ“: „და შემდგომად ამისა მცირედისა ჟამისა სულა ერისთავმან კალმახისამან. გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისამან შეირთუეს სიტყუა... და უქმეს ბაგრატს, და წარწოცნართა ლაშქრითა, გარდაწოცნო (გზა) რკინის-ჯუარისა და შეკრბეს არყის-ციხეს“<sup>2</sup>. რკინის-ჯუარის გადმოსვლა ბაგრატს „აფხაზეთიდან“ იწერეთის გზით შეეძლო.

მარისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „Варанги (бывшии с Липаритом) не смогли дожидаться месхов, пришли и завязали бой с Блгратом) на рубеже Сзсиретской долины“. ქართულ ტექსტში ამის მაგივრად წერია: „მოვიდა ბაგრატი შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ველარა მოილოდინნეს“. ქართული ტექსტის მოტანილი ადგილის მარისეულად შეცვლას უირდებოდა სიტყვების „ამით ვარანგითა“-ს გადაკეთება: ასედაც იქვეა განსვენებული მარი, იგი შენიშვნაში წერს: „В подлиннике ошибочное чтение, описка „амит варангита“ вместо „амат варангта“, რა თქმა უნდა. ასეთი შეცდომა გადამწერს შეიძლება მოუვიდეს, მაგრამ საქნე ის არის, რომ, თუ ტექსტს მარისეულად გავიგებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვარანგთა 700

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ. ნუსხა., 1942 წ., გვ. 189.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 188.

კაცისაგან შემდგარი რაზმი თვით არის ბრძოლის თადარიგის ინიციატორი, ლიპარიტი არსად ჩანს, ვარანგები წყვეტენ საკითხს მესხებს დაელოდონ თუ არა; ვინ მისცა ვარანგებს ანის უფლება.

გარდა ამისა საჭირო იყო იმის დანტკიცება, რომ მესხები ლიპარიტის მხარეზე იყვნენ. მარს შენიშვნაში სტრიქონს ქვემოთ აღნიშნული აქვს: „В этот момент Месхи были союзниками Липарита. Ацкурский владетель прибыл с месхами на помощь с начала к Баграту, но скоро бежал от него и вошел в соглашение с Липаритом, как рассказано раньше“<sup>1</sup>.

მართლაც, „მატიანე ქართლისაჲ“-ში იმაზე ადრე, სანამ დემეტრესა და ლიპარიტის ბერძენთა ლაშქრით მოსვლაზე არის ლაპარაკი, აღნიშნულია რომ: „გამოიყვანა მაწყურელმან მესხნი განძითა ბაგრატისითა შუელად მეფისა და მეფე დგა ღრტილას, ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფუკათა, გამოექცა მაწყურელი მეფესა, და შეეზრახა ლიპარიტს“<sup>2</sup>. ეს ამბები ხდება სასირეთის ქალისთავს მომხდარ ბრძოლაზე გაცილებით ადრე, ჯერ ლიპარიტს დემეტრე და საბერძენეთის ჯარი წამოყვანილი არც ჰყავს. აქ ნებდევლობაში ნისაღებია ის გარემოება. რომ მაწყურელი აწყურის ციხის მფლობელი არ არის, იგი ეპისკოპოსი უნდა იყოს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მაწყურელს შეეძლო ლიპარიტს მიმხრობოდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მესხი მფლობელი ლიპარიტის მხარეზე იყო გადასული.

ჩვენ ვიცით, რომ ციხის ჯუარის მფლობელი, არტანუჯის ერისთავი აბუსერი, ბაგრატის უერთგულესი ადამიანი იყო. ეს აბუსერი „სასირეთის ქალისთავს“ მომხდარი ბრძოლის წინა ხანებში შეპყრობილი ჰყავდა ლიპარიტს. სწორედ ამ ბრძოლის წინ ბაგრატი და ლიპარიტი შეთანხმებულან: ბაგრატს ლიპარიტის შვილი ივანე ჰყავდა ტყვედ და აბუსერის განთავისუფლების სამაგიეროდ ბაგრატს ივანე ლიპარიტის-ძე გაუშვია.

იმავე წყაროდან ვტყობილობთ, რომ აბუსერი „სასირეთის ქალისთავს“ მომხდარ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს და ტყვედ უვარდება ისევ ლიპარიტს. ისე რომ, აბუსერის ხელქვეითი სხვა მესხი მფლობელებიც შეიძლებოდა ბაგრატის მხარეზე ყოფილიყვნენ. თუ ჩვენ კითხვის ქვეშ დავაყენებთ აბუსერის მესხელობას,

<sup>1</sup> В. Г. Васильевский, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვ., ანა დედოფ. ნუსხა, 1942 წ., გვ. 187.

მაინც არ ვიქნებით მართალი იმიტომ, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი, სადაც მესხ მფლობელების რუსის მხარეზე გადასვლას აღწერს, შენიშნავს: „პირველად მიერთო გუზან... აქაფთ ბოცო, სამცხისა სპასალარი, სისრულისადა აღმატებითა შეწყალებული, სხვათა მესხთა დიდებულ აზნაურითურთ, თვინიერ ივანესა ციხისჯუარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების; ესე გამაგრდა თვისით მოკიდულითურთ, ვითარ გუარეულადცა მომგონებელი სულაფსა ერთგულებისაჲ, რომელმან ბალუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს“<sup>1</sup>.

მაშასადამე, მესხები ბაგრატის მხარეზეც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ; მაწყვერელის განდგომა არ ნიშნავს იმას, რომ ბაგრატს ყველა მესხი აზნაური განუდგა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ უნართებულოდ უნდა ნივიჩნიოთ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ადგილის მარისეული გაგება და თარგმანი, სანამ იმის უტყუარი საბუთი არ აღმოჩნდება, რომ ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ. ტექსტში ასეთი ცვლილებების შეტანას ჯერჯერობით საფუძველი არა აქვს.

საიდან მოვიდნენ ბაგრატ IV-თან ვარანგები? კავკასიონის მთებიდან გადმოსულებად რომ მიაჩნდეს ქართველ მემატიანეს ეს ვარანგები, მაშინ მოსალოდნელი იყო მას დაეწერა: „გარდანოვიდეს ვარანგნი სამ ათასი კაცი“ და არა „მოვიდეს“, როგორც ეს დღეს გვაქვს ტექსტში.

აკადემიკოს ვ. გ. ვასილევსკის ნაშრომში საკმაო მასალაა თავმოყრილი იმის დასამტკიცებლად, რომ ვარანგები მრავლად არიან X საუკუნიდან მოკიდებული ბიზანტიაში, ასევე ხმელთაშუა-ზღვის სამეფო-სამთავროებში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ვარანგები არცთუ ისე მორჩილი არიან ყოველთვის ბიზანტიის იმპერატორისა. არის შესაძლებლობა, რომ ბაგრატს თვით ბიზანტიაში მყოფი ერთ-ერთი ვარანგთა რაზმი გადმოებირებინოს; მაგრამ ჩვეულებრივ ვარანგების დაქირავება, თუ საამისო სახსრები იყო, ბიზანტიის გარეშეც და მათ დაუხმარებლად შეეძლო ბაგრატს. შავ ზღვაზე გამოსული ვარანგთა რაზმები არავითარი

---

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941 წ., კ. კველიძის გამოც., გვ. 90—91.

პრინციპებით არ ხელმძღვანელობდნენ, გარდა ჯამაგირისა და ნადავლის პოვნისა, სადაც კი საამისო პირობა იყო, ისინი იქ მიდიოდნენ. ვარანგთა რაზმები ჩვეულებრივ ქვეითი რაზმები იყო, მაგრამ ზღვაა მაინც არ სცილდებოდნენ. ისინი ზღვაოსნები იყვნენ, სათანადო ხელსაწყოებიც თან დაჰქონდათ, ნაევების გამკეთებლებიც თვით იყვნენ. როდესაც ისინი რომელიმე სახელმწიფოში გადავიდოდნენ, მათი ნაევები გარკვეულ პუნქტში იდგა და სათანადო გუშაგები (ამავე დროს ხელოსნები) დარაჯობდნენ.

ბაგრატიის ვარანგები შავი ზღვით არიან მოსული საქართველოში. ამაზე მიგვივითებს ის ფაქტი, რომ ისინი ბაშში არიან დაბანაკებული და არა სხვაგან<sup>1</sup>. ბაში ის პუნქტია, სადაც შავი ზღვიდან იმერეთისაკენ რიონით მომავალი ნავი უნდა გაჩერდეს. რიონის გზით ქუთაისამდე ნავით მოგზაურობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი ერთგან წერს: „და მოდის (რიონი) ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არც არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდევ. ხოლო კახნიაურს ქვევით დამდორდების და ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვადმდე, და უფროს ცხენისწყალს ქვეით გაერცელებული, რამეთუ ვლენან ნაევითა ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობდნენ აქამდე ზუთხსაცა ეამად“-ო<sup>2</sup>.

იმერეთის დედაქალაქიდან შავ ზღვამდე და პირუტყუ მოგზაურობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი. 1769 წელს მაქსიმე ქუთათელმა პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიას მიართვა მოხსენებითი ბარათი ქართულ ენაზე. აქ ერთგან ქუთათელი წერს: „ქუთაისის ქალაქიდან ვაქრები დადიან ნავითა იმ სამს ციხეში—ბათომს, ფოთს და სოხომს გასასყიდლათ დააქვსთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი, მელისა, კვერნისა და ვეფხვისა, და საქმლის ხორაგი; იქიდანაც წყლით

<sup>1</sup> პროფ. ნ. ბერძენიშვილი ხახს უსვამს ამ გარემოებას თავის რეცენზიაში და მას სასესიო ვეთანხმები.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., 1941 წ., გვ. 147. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნის ძეგლში „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში“, იქ, სადაც სოფელ ბაშის გლეხების ბეგარაა ჩამოთვლილი, ყოველი გლეხის ბეგარა ყოფილა „სათეთრო თევზი“. ამას გარდა აღნიშნულია: „მართებს ბაშს კუამლის თავს თვითო პურის ჰამა, რითაც შეიძლოს რიკრიკაი. საროკითა მოსადების ბადისმყედი. სხუი ნავტიკის ბადეს გარდაის“. იხ. დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წ., ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 21—22.

შოაქვთ სხვადასხვა ფერის ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვაცა<sup>1</sup>. მართალია, ეს ცნობები გვიანდელ ხანას შეეხება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ XI საუკუნეში ფოთიდან ქუთაისამდე ძირითადი გზა რიონზე არ მოდიოდა. დოც. მ. ბერძნიშვილის საკანდიდატო დისერტაცია— „ფაზისის ისტორიისათვის“ ძალევა შემოწმებულ ცნობებს სტრაბონის ნაშრომიდან, საიდანაც ნათელი ხდება, რომ ფოთიდან, ანუ ფაზისიდან, წყლით შორაპნამდე მოდიოდნენ და ეს გზა ცნობილი იყო ძველითგანვე<sup>2</sup>.

თვით „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა ვარანგების ბაშში დაბანაკების შესახებ იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ შავი ზღვიდან რიონით ბაშამდე არსებული სანაოსნო გზით ესტუმრნენ ბაგრატს ვარანგები.

მაგრამ „მატიანე ქართლისაჲ“ შეიცავს ისეთ ცნობასაც, საიდანაც ვარაუდით ზოგიერთი შესაძლებლობა უნდა დაეუშვათ და ბაგრატთან ნისული ვარანგები ლიპარიტის ბანაკიდან გადმოსულად ვიგულისხმოთ.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს აეტორს ერთგან, იქ, სადაც ლიპარიტისა და დემეტრეს საბერძნეთის ლაშქრით და ფულით მოსვლაზეა საუბარი, აღნიშნული აქვს, რომ ბაგრატი და ლიპარიტი შეთანხმდნენ ტყვე აბუსერისა და ნვანე ლიპარიტის ძის გაცვლაზე. შემდეგ ორივე მხარე ძალებს იკრებს: „და იყუნეს თანამდგომ ლიპარიტისა კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა: განძლიერდეს იგინი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა, და იყო მი-და-ნო საუბარი კელოვნებისა, და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი“<sup>3</sup>. აქ უკანასკნელი წინადადება თითქოს იმას უნდა გვეუბნებოდეს, რომ ორივე მხარე ერთიმეორეს ძალებს სტაცებდა სხვადასხვა ღონისძიებით. სამი ათასი ვარანგის მოსვლა დაკავშირებულია „მიდამო საუბართან“. გარკვევით, რა თქმა უნდა, არ ჩანს, რა აზრს შეიცავს ეს „მიდამო საუბარი კელოვნებისა“. მარცხამ დედოფლის და შევსებულ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ამ ადგილას იკითხება: „და იყო მიდამო საურავი კელოვნად“, მაგრამ ამ წემთხვევაშიც აზრი სავსებით

<sup>1</sup> Цагарели, Грамоты и др. ист. док. II, вып. I, гл. 3.

<sup>2</sup> დოც. მ. ბერძნიშვილი, ფაზისის ისტორიისათვის, 1941 წ., გვ. 175—180. სადისერტაციო ნაშრომი ინახება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში. VI საუკუნისათვის ცნობები რიონის ნაოსნობის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილის გეოგრაფია II, გვ. 84—85.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ., 1942 წ., გვ. 127.

ნათელი არ არის და „საუბარი“-ს ნაცვლად რომ „საურავიც“ ვიგულისხმობთ, ზემოთ აღნიშნული გააზრება ამ წინადადებისა და საშეები ხდება. აკად. მარის თარგმანში ეს ადგილი ასე იკითხება: „Идеало (Липарита) велось искусно в обеих частях“. აქ შენიშვნა აქვს სტრიქონს ქვემოთ ზა განმარტებას იძლევა „Т. е., и на востоке и на западе, где действовал сам Липарит“<sup>1</sup>. ეს მარისეული თარგმანი და ტექსტის გაგებაც დამაჯერებელი არ არის და ნაძალადეგია. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ზემოთ მოტანილი წინადადებების მსგავსი გამოთქმა ერთგან კიდევ აქვს და იქ უფრო გარკვევით შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს მისი შინაარსი.

ავტორს იქ, სადაც საუბარი აქვს ბაგრატის ძმის დემეტრეს მცირეწლოვანობის დროს ანაკოფიაში ყოფნასა და მის გასაწეველად აზნაურების მცდელობაზე, აღნიშნული აქვს: „ამისა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა, ოვსთ მეფისა ასულისა, მეორე ცოლისა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მიდამო საუბარი... ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულს ეღვა“<sup>2</sup>. ეს მაგალითი უფრო იმაზე მიგვითითებს, რომ ბაგრატისა და ლიპარიტის ბანაკს შორის იყო „საუბარი“ და ცდა ძალების გადასამხრობად. შესაძლებელია, ბაგრატმა საქმე ისე მოაგვარა, რომ ვარანგთა რაზმი მოისყიდა. ასეთი შესაძლებლობა არის, მაგრამ გადაჭრით ამის მტკიცება არ იქნება მართებული.

ბაგრატისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ვარანგთა უცხო რაზმის დაქირავება. შინათ აშლის პირობებში, როცა ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ძალები ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანაკში გარბიან, ხელსაყრელია უცხო დაქირავებულ ჯარზე დაყრდნობა. ამის მაგალითი ფეოდალურ ეპოქაში არა ერთია ცნობილი, და შორს რომ არ წავიდეთ, ბიზანტიის მაგალითი წინ ედო თვით ბაგრატ IV-ს.

თუ რამდენ ხანს დარჩა ბაგრატთან ეს რაზმი, გადაჭრით ძნელია თქმა. ბიზანტიელი ისტორიკოსის კედრენის ცნობა იმაზე მიგვითითებს, რომ ვარანგების ერთი რაზმი საქართველოში 1053 წელს ყოფილა. კედრენი მოგვითხრობს, რომ 1053 წელს მიხეილ აკოლუფი გაიგზავნა ივერიაში სელჯუკების წინააღმდეგ საბრძოლვე-

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Труды, გვ. 316.

<sup>2</sup> ქართლის ცხ-ბა, ანა დედოფ. ნუსხა., 1942, გვ. 183.

ლადო. როდესაც მიხეილი აღმოსავლეთის საზღვრებში მისულა, მას შეუკრებია „ხალდიასა“ და ივერიაში მყოფი ვარანგები და ფრანკები<sup>1</sup>. შესაძლებელია ეს ის ვარანგები იყოს, რომელნიც ლიპარიტმა თურქთა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ კეისრისაგან მიიღო დამხმარედ და ამ ძალებზე დაყრდნობით ბაგრატი აიძულა საბერძნეთში წასულიყო<sup>2</sup>.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ჩვენ გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XI საუკუნეში, მის პირველ ნახევარში, ქართველებმა არა მარტო იცოდნენ რუს-ვარანგთა არსებობა, არამედ გარკვეული, უშუალო შეხვედრა ჰქონდათ მათთან. შეხვედრა და ურთიერთობა, არსებული მასალების მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ზემოთ აღწერილი სამხედრო საქმეებით შეგვიძლია განვსაზღვროთ. თვით რუსეთისა და ვარანგეთის ქვეყნებთან უშუალო ურთიერთობის წერილობითი ცნობები ამ დროისათვის ჩვენ დღესდღეობით არ გაგვაჩნია. ბიზანტია შუამავალი ჩანს რუსებსა, ვარანგებსა და ქართველებს შორის.

ამით დავასრულებდით ვარანგების ქართველებთან ურთიერთობის საკითხის განხილვას, რომ ამას კამათი არ გამოეწვია ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში. პროფ. ნ. ბერძენიშვილი ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზიაში საგანგებოდ შეეხო ვარანგების საქართველოში გამოჩენის საკითხს და „მატიანე ქართლისაჲ“-ს სათანადო ადგილის მარისეული გაგება გაიზიარა და ამისი დასაბუთებაც შემოგვთავაზა<sup>3</sup>.

ჩვენ თავის დროზე და ახლაც იმ აზრს ვადგივართ, რომ ძირითადი გამოსავალი ჩვენთვის თვით მათიანის ტექსტი არის. ამ ტექსტის ანალიზის საფუძველზე 3000 ვარანგი ბაგრატის მხარეზე აღმოჩნდა ლიპარიტთან ბრძოლის დროს. მაგრამ იმავე დროს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ის ადგილი, სადაც ვარანგებზე არის საუბარი, დაზიანებულად ვაღიარეთ, ტექსტის მარისეული გაგების უარყოფა ისტორიული მონაცემებით ვცადეთ. საქმე ის

<sup>1</sup> В. I' Васильевский. დასახ. შრ., გვ. 321.

<sup>2</sup> ლიპარიტისა და ბაგრატის ურთიერთობის შესახებ იხ. დოც. ვ. კოპალიანის გამოკვლევა „ბაგრატი მეოთხისა და ლიპარიტი ლიპარიტის-ძის ურთიერთობიდან“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 45, 1951 წელი, გვ. 270—277.

<sup>3</sup> იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951 წ., ნაკვეთი 29.

არის, რომ თვით ნ. მარმა ტექსტის მისეულ გაგებას დასაბუთება დააკლო, აქ მას არაფერი არ დაუმტკიცებია, აილო და ტექსტში მოცემული შინაარსი თავდაყირა დააყენა. ტექსტში წერია, რომ ვარანგები ბაგრატთან ერთად მიდიან ბრძოლის ველზე. მარის მიერ შესწორებული ტექსტით გამოვიდა საწინააღმდეგო—ვარანგები ლიპარიტის მხარეზე არიან და ბაგრატის წინააღმდეგ იბრძვიან. ტექსტით ვარანგებმა ველარ იბრძოლეს, მარისეული გაგებით ვარანგებმა ბრძოლა მოიგეს და გამარჯვებული ლიხის მთას გადადიან და ლიპარიტის განკარგულებით მსახურებად მიჰყვებიან დანარცხებულნი.

ჩვენ შევეცადეთ ტექსტის მარისეული გაგების ისტორიულ მონაცემებთან შეუთანხმებლობის აღნიშვნით მატეიანის ტექსტი ისე გაგვეგო, როგორც ეს მარის მოსაზრების გამოქვეყნებამდე ესწოდა. ქართველ ისტორიკოსებს მ. ჯანაშვილს, დ. ბაქრაძეს და ვახუშტი ბაგრატიონს.

აკად. მარს არსად არ უწერია, თუ რამ მიიყვანა იგი ტექსტის მისეულ გაგებამდე. პროფ. ნ. ბერძენიშვილი გვიხსნის, თუ რატომ არის მარის თარგმანი სწორი. იგი წერს: „ი. ცინცაძის მსჯელობა იმ მხრით არის სწორი, რომ ასეთ პირობებში ჩვენი წყაროს «ცნობა უნდა იქნეს გამოსაველ წერტილად მიჩნეული». ნაგრამ საქმეც მატეიანის ამ ცნობის გაგება-დადგენაშია. აქ კი ჩვენი ავტორის პოზიცია სადავოა. მკვლევარი უნდა ცდილიყო ტექსტის კრიტიკულ დადგენას. ის კი ამისათვის თავს არ იწუხებს და უკრიტიკოდ იზიარებს ერთ-ერთ ვარიანტს. წყაროს ავტორისეული კრიტიკა, სამწუხაროდ, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მან (ი. ცინცაძემ) დაუსაბუთებლად (და უმართებულოდ) უკუაგდო და არც კი მოიტანა ტექსტის ის ადგილი, რომელიც მას სრულიად გაუგებარი და უადგილო ეჩვენა. ამავე დროს ისე ჩანს, რომ ხსენებული ადგილი სწორედ ვარანგებს შეეხება. ჩვენი ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ნ. მარს ნებისმიერად, საქმაო საბუთების გარეშე ტექსტის შესწორებას და ვერ ანჩნევს, რომ თითონაც ასევე სცოდავს, როცა სრულიად დაუსაბუთებლად უკუაგდებს ტექსტის იმ მონაცემს, რომელიც ნ. მარისმიერი ოპეოაციის ერთ-ერთ საფუძვლად გამოიყურება. ჩვენ კი გვგონია, რომ ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძვიან და ამის საფუძველია არა სხვა ისტორიული მონაცემები იმდენად, არამედ სწორედ ეს ტექსტი“. მთელი ტექსტის გასაღები, პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, არის ის ადგილი, რომელსაც ჩვენ უყურადღებოდ ვუოვებთ. აი ეს ადგილიც: „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა და



მისცა ლიპარიტ პაშტინი და წინა მათსა პურს უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“.

ჩვენ, მართლაც, ამ სტრიქონს ის მნიშვნელობა ვერ მივაკუთვნეთ, რომელსაც, ალბათ, აკად. ნ. მარი და შემდეგ პროფ. ნ. ბერძენიშვილი ანიჭებდა. შეიძლება თუ არა ამ უკანასკნელი სტრიქონით აიხსნას და შესწორდეს მოტანილი ტექსტი ვარანგების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

ჩვეულებრივ, როცა რაიმე ადგილი ტექსტში გაუგებარია, მართლაც მიმართავენ გასარკვევი ტექსტის წინა ან მომდევნო სტრიქონებს, შინაარსს ჩაუკვირდებიან იმ ვარაუდით, რომ რაიმე ხელმოსაკიდებელი არგუმენტი აღმოაჩინონ სადავო ტექსტის გასარკვევად. ასეთი მუშაობა ჩვენც ჩავატარეთ თავის დროზე, მაგრამ, რადგანაც წინადადებიდან: „და მისცა ლიპარიტ პაშტინი და წინა მათსა პურს უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“ ვერავითარი აზრი ვერ განოვიტანეთ, იმიტომ. რომ ამ წინადადებაში მაშინ სიტყვა „პაშტი“ გაურკვეველი იყო, მას თავი დავანებეთ—გაურკვეველთ გასარკვევის დადგენა ჯერჯერობით არ ხდება.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს წინადადება ნათელია და ამის მიხედვით მთელი ტექსტის შინაარსის შეცვლა უნდა მოხდეს. როგორ ესმის პროფ. ნ. ბერძენიშვილს მოტანილი წინადადება? იგი წერს: „ლიპარიტმა (ვარანგებით) დაამარცხა ბაგრატი (მისი „შიდა ლაშქარი“). ამ ომში შეიპყრეს აბუსერი და ბაგრატის სხვა დიდებულები. ლიპარიტმა ტყვე დიდებულები შეურაცხყოფელი სასჯელით დაამცირა: მისცა მათ ცხრილები (მისცა პაშტინი) და ფქვილი აცრევირა (თუ ხორბალი აწმენდინა?) გამარჯვებული ვარანგებისათვის („და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს“). აქ პროფ. ნ. ბერძენიშვილი მთლიანად ტექსტის მარისეულ გაგებას იძლევა თავისი სიტყვებით, მხოლოდ აკად. მარის თარგმანში ერთი შესწორება შეაქვს „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხის მიხედვით იქ, სადაც სწერია „ლხინი გარდავლეს“, უნდა იყოს ლიხნი „გარდავლეს“. ჩვენ ფთვილობთ, რომ პროფ. ნ. ბერძენიშვილის ეს უკანასკნელი შესწორება მართებულია.

1947 წლამდე სიტყვა „პაშტი“ საბას ლექსიკონის მიხედვით იყო გააზრებული და ცხრილად, ანუ საცრად ესმოდათ მისი მნიშვნელობა. დისერტაციის დაცვის დროს ჩვენ მოვიშველიეთ პროფ. აკაკი შანიძის და პროფ. ილ. აბულაძის მოსაზრება, რომ „პაშტი“ გაურკვეველი სიტყვა არის, საბას შეცდომა აქვს და საამისოდ დამატებით მუშაობა იქნება ჩასატარებელი, ისე კი ამ ტერმინს სომხურ „პაშტთან“ უნდა ჰქონდეს ნათესაობაო. ამის შემდეგ

პროფ. ილ. აბულაძემ საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი და პატარა გამოკვლევა დაბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. 49, 1953 წ., გვ. 155—157). აქ პროფ. აბულაძეს კარგად აქვს დადგენილი ამ სიტყვების სადაურობა და მნიშვნელობაც. პაშტი მსახურს ნიშნავს.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი თავის რეცენზიის იმ გვერდზე, სადაც ამ საკითხს ეხება, შენიშვნაში წერს: „მაგრამ შეიძლება სიტყვა პაშტნი სომხურ *պաշտն* *պաշտօնիսպ*-ს დაუკავშიროთ და პაშტი მსახურის შესატყვისად ვიცნოთ... მაშინ საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება. ლიპარიტმა თავის ნოკავშირე ვარანგებს მისცა მსახურები, რომელნიც მათ „პურს უკაზმიდეს“. ვიღრე გამარჯვებული ვარანგები ლიხს გარდაივლიდნენ და თავისიანებს დაუბრუნდებოდნენ. ასეთი ვაგების წინააღმდეგ არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება და ის უფრო ბუნებრივადაც გამოიყურება“<sup>1</sup>. მაშასადამე, პროფ. ნ. ბერძენიშვილი თავდაპირველად ასეთ შინაარსს სდებდა მოცემულ წინადადებაში: რადგანაც ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ და ლიპარიტმა ისე გაიმარჯვა, რომ დიდებული ტყვეებიც ხელთ იგდო, მადლიერმა და ნასიამოვნებმა ლიპარიტმა ვარანგები ბაშში გაისტუმრა, სადაც სხვა ვარანგები იყვნენ დაბანაკებული (2300 კაცი). მაგრამ ტყვეების დასამცირებლად და გასამასხარაებლად ცხრილები დააქერინა ხელთ და „წინა მათსა (ვარანგებისა) პურსა უკაზმიდეს“. მოცემულ ტექსტში, რა თქმა უნდა, არ წერია, რომ „ცხრილები“, ანუ „პაშტნი“, ტყვე აბუსერს და ბაგრატის სხვა დიდებულებს დააქერინეს ხელთ, ეს თვით ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებაა სადავო წინადადების გასაზარებლად. მაგრამ სტრიქონს ქვემოთ მოთავსებულ შენიშვნაში რადიკალურად იცვლება ამ წინადადების შინაარსი. აქ არც დამცირებული აბუსერი და სხვა დიდებულებია და არც ცხრილები. პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „უფრო ბუნებრივად გამოიყურება“ წინადადების ვაგების ახალი ვარიანტი, ე. ი. ლიპარიტმა მის მხარეზე მყოფ ვარანგებს მსახურები მისცა და ლიხის მთის გადასავალებით ბაშში გაისტუმრა.

არც ეს მეორე ვერსია უშლის ხელს, პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ვარანგების ლიპარიტის მხარეზე ყოფნას, პირობით, ეს კიდევ უფრო ადასტურებს თითქოს ტექსტის მარიხეულ ვაგებას.

<sup>1</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1951, ნაკვეთი 29, გვ. 306—307.

მაგრამ არა მარტო ის ერთი წინადადება იძლევა ვარანგების ლიპარიტის მხარეზე ყოფნის დასკვნის საფუძველს, პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, არამედ არის კიდევ სხვა ადგილი, რომელსაც ძველი ქართული ენის მართებულად ცოდნა სჭირდება გასაგებად. პროფ. ნ. ბერძენიშვილი წერს: „რას ნიშნავს გამოთქმა „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა?“ იმას კი არა, თითქოს ვარანგებმა ვერ შესძლეს ბრძოლა (როგორც ამას ი. ცინცაძე ფიქრობს), არამედ იმას, რომ „იმათ“ ვერ შეძლეს ვარანგებთან ბრძოლა ან უკეთ, რომ ინათ ვერ გაუძლეს ვარანგებთან ბრძოლას. ავტორს რომ იმისი თქმა სურვებოდა, რასაც ი. ცინცაძე გულისხმობს, ის იტყოდა „ვარანგთა ვერღარა უძღეს ბრძოლა“. ვინ ვერ შეძლო ვარანგებთან ბრძოლა, ვინ ვერ გაუძლო მათ ბრძოლას? ვინც მათ შეება. საკმის ისე წარმოდგენა, თითქოს ვარანგებს არ უბრძოლიათ, შეუძლებელია. ამას უარყოფს გამოთქმა „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“. რაღა გამოდის? ბაგრატიმა შიდა ლაშქარი და ვარანგები მოიყვანა. შიდა ლაშქარი გაიქცა, დიდებულები ტყვედ ჩაუცივიდნენ მტერს, ხოლო ვარანგებმა გაიმარჯვეს, ბაგრატი კი დანარცხდა (და აფხაზეთს გადავიდა). გაუგებრობა აშკარაა. მაშ ტექსტი უნდა შესწორდეს“<sup>1</sup>.

ჩვენ გვგონია, რომ ეს აშკარა გაუგებრობა თვით პროფ. ნ. ბერძენიშვილის მიერ არის შექმნილი. „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“ ძველი ქართული ენის ნორმებით ნიშნავს იმას, რომ ვარანგებს ბრძოლა წაუგიათ. არავითარი უწიგნურობა ტექსტის ამ სახით გაგებაში არ არის და ტექსტი ჩვენ იმთავითვე ისე გავიგეთ, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონსა და სხვა ისტორიკოსებს ესმოდათ. სიზუსტისათვის ჩვენ მივმართეთ პროფ. აკაკი შანიძეს და ი. აბულაძეს, რომელთაც ტექსტის ასეთ გაგებაში არავითარი შეცდომა არ დაინახეს. პროფ. ილ. აბულაძემ ჩვენი თანადასწრებით გასინჯა ქართული ოთხთავის სიმფონია, შევამოწმეთ მოცენილი ოთხთავის სიმფონიაში სიტყვა „უძღეს“ და სათანადო რეცაბები. არავითარი სხვა გაგება ზემოთ მოტანილ ტექსტს არ შეიძლება ჰქონდეს მოცემულ კონტექსტში. ეს საკითხი უნდა მოიხსნას ყოველგვარი კამათის გარეშე, „უწიგნურობას“ აქ ადგილი არ აქვს ტექსტში. და, რაც მთავარია, პროფ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ავტორს რომ იმისი თქმა სურვებოდა, რასაც ი. ცინცაძე გულისხმობს, ის იტყოდა „ვარანგთა ვერღარა უძღეს ბრძოლ-

<sup>1</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951 წ., ნაკვეთი 29, გვ. 306.

ლა. ასეთი ტექსტიც დაცული გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ მარიანისიულ ნუსხაში, „ვერლარა უძლეს ბრძოლა ვარანგთა“. არც ერთ შენთხვევაში ძველი ქართული ნორმები არ არის დარღვეული და ამაზე დაყრდნობით ტექსტიც შესასწორებელი არ არის.

ახლა განსახილველი გვაქვს შემდეგი საკითხი: თუ ვარანგები ბაგრატის მხარეზე იბრძვიან და დამარცხებულან კიდევ, ლიპარიტი რატომ აძლევს მსახურებს და პურის კაზმვით ისტუმრებს მტრის ამ რაზმს ლიხის მთით ბაშში. რატომ არ აყენებს პროფ. ნ. ბერძინიშვილი კითხვას: რად დასჭირდა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ხაზი გაესვა ისეთი უმნიშვნელო და საყოველთაოდ ცნობილ და სავალდებულო ფაქტისათვის, როგორიც არის დაქირავებული ჯარისათვის პურის მიცემა და საანისო მსახურებით ზზრუნველყოფა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ისეთი სიტყვაძვირია, რომ რაც საჭირო არის და ზოგჯერ სენსაციური, იმაზედაც არ გვაწვდის რიგიანად ცნობას და თუ ლიპარიტის ლაქრის შემადგენელია ვარანგთა რაზმი, მას პურით ისტუმრებდა ბანაკში თუ არა, რატომ აღნიშნავს ამას? ვის სჭირდება ეს ცნობა და რას ნატებს იგი ბაგრატის ისტორიას, რომლის მხარეზეც მოჩანს ტექსტის ავტორის სიმპათიები. აქედან რა უნდა გაიგოს ადამიანმა? ერთადერთი ცოტა თუ ბევრად მისაღები მოსახრება ისევ ის შეიძლება იყოს, რომ ვარანგები არიან ბაგრატის მხარეზე იმთავითვე, ბაგრატის ძირითადი ლაშქარი გაიქცა ბრძოლის დაწყებისთანავე. ვარანგები არ გაქცეულან, მაგრამ ბრძოლისათვის თავი დაუხებებიათ, ლიპარიტს იმის ნაცვლად, რომ მტრულად მოპყრობოდა ვარანგებს, მათთვის მსახურები მიუცია და გაუსტუმრებია, შესაძლებელია იმ განწყობილების შედეგად, რომელიც მათ მიმართ ბიზანტიაში სუფევდა. ლიპარიტის ბანაკში ბერძნებიც ხომ იყვნენ. შესაძლებელია ასეთი გზით ლიპარიტი ვარანგების თავის მხარეზე გადმოყვანას ან მათი ნეიტრალიტეტის მიღწევას ცდილობდა. ყოველ შემთხვევაში წინადადება „მისცა ლიპარიტ პაშტნი...“ თვით გაუგებარია და სხვა წინადადების ასახსნელად არ გამოდგება ჯერჯერობით. დაგვრჩა ტექსტი იმ შინაარსით, რომელსაც მხარს უჭერს ქ-ცბის ყველა რედაქცია, სადაც გარკვევით არის ცნობა იმის შესახებ, რომ ვარანგები ბაგრატთან არიან. ჩვენ ამიტომ ვწერდით კიდევ: „ყველა ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩვენ საფუძველი გვაქვს უმართებულოდ მივიჩნით „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ადგილის მარისეული გაგება და თარგმანი, სანამ, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდება უტყუარი საბუთი იმისა, რომ ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ. ტექს-

ტში ცვლილებების შეტანა, იმის გამო, რომ აკად. ვასილევსკი ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დაქვედა, არ არის მტკიცე საფუძველი“. აქვე უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი ჯერჯერობით არ არის ის საფუძველი, რომელსაც მარისეულ ოპერაციის გამართლება შეეძლოს.

დოც. ვ. კოპალიანი ნარის მიერ გადაკეთებული ტექსტის მიღებას გეთავაზობს შემდეგი მოსაზრებით: „იმ ისტორიკოსთა მოსაზრებებს, რომლებიც ვარიაგებს ბაგრატიის მხარეზე ნოსულად აღიარებენ, შეიძლება დავთანხმებოდით იმ შემთხვევაში, რომ ვარიაგები ბიზანტიის იმპერიის სამეფო კარიდან მოსულად არ მიგვაჩნდეს. ბიზანტიიდან მოსული სამხედრო ძალები, რომელთა რიცხვში ჩვენ ვარიაგებსაც ვგულისხმობთ, სწორედ ბაგრატის ძალების საწინააღმდეგოდ არიან განოგზავნილი და აკადემიკოს ვასილევსკის მოსაზრება, რომ ვარიაგთა რაზმი ბაგრატის მხარეზე არ უნდა ყოფილიყო მისული, სამართლიანად მიგვაჩნია“<sup>1</sup>. დოც. ვ. კოპალიანი გეთავაზობს მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ვარანგები ლიპარიტს გამოაყოლეს ბერძენებმა და ლიპარიტთან უნდა დარჩენილიყვნენ, სახელდობრ, იგი არ იზიარებს ვასილევსკის დებულებას, რომ ვარანგები ლიპარიტის ბანაკიდან დემეტრე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატთან შეიძლებოდა წასულიყვნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლიპარიტთან მყოფი ვარანგები თუ ბაგრატთან არ წავიდოდნენ, ეს ფაქტი მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ვარანგები ბაგრატს არ ჰყავდა სასირეთის ქალისთავს მომხდარ ბრძოლაში. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარანგთა რაზმები მარტო საბერძნეთს კი არ ჰყავდა დაქირავებული. ვარანგების ხელობა იყო ცალკეულ რაზმებად ამა თუ იმ სახელმწიფოში, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, სამსახური. ამიტომ ბაგრატს სრულიადაც არ სჭირდებოდა ვარანგების რაზმი აუცილებლად ბიზანტიიდან მოეყვანა. ვინ მოთვლის შავი ზღვა რანდენ რაზმებს არჩენდა და ინახავდა. ვარანგები ასევე ხმელთაშუა ზღვაში გადიოდნენ და იქაურ სამეფო-სამთავროებში მსახურობდნენ. პროფესიონალი მებრძოლების ასეთი დაქირავება გრძელდებოდა სულ ფეოდალიზმის ეპოქაში. გერმანელი აზნაურები თავისი შეიარაღებით ქირავდებოდნენ ხან პოლონეთში, ხან რუსეთში და ასე მ. შ. შემთხვევითი არ ყოფილა დავით აღმაშენებლის ლაშქარში ფრანკთა რაინდების რაზმი. ისე რომ, თუ დოც. ვ. კოპალიანისათვის ნარ-

<sup>1</sup> სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951 წ., გვ. 250.

ტო ის გარემოება იქნება დაბრკოლებად, თუ სად იშოვნა ბაგრატი IV-მ ვარანგები, უნდა შევნიშნოთ, რომ ვარანგების შოვნა შეიძლებოდა, თუკი საამისო სახსრები იყო. ჩვენს დისერტაციაში იმას კი არ ვამტკიცებდით, რომ ბაგრატ IV ვარანგებს აუცილებლად ლიპარიტის ბანაკიდან გადაიმხრობდა. ჩვენ მაშინ აღვნიშნავდით, რომ „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ტექსტის ერთ ადგილას ისე მოჩანს, რომ ორივე ბანაკი, სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, რაღაც მოლაპარაკებას და ძალთა დაჯგუფებას აწარმოებდა. აღვნიშნავდით, რომ არ არის გამოორიციხული შესაძლებლობა, ვარანგების რაზმს ლიპარიტის ბანაკი დაეტოვებინა და ბაგრატთან გადასულიყო გარკვეული სიტუაციის შედეგად. ვარანგები არავითარი პრინციპით არ ხელმძღვანელობდნენ სხვის ქვეყანაში, გარდა იმისა, რომ კარგ გასამრჯელოს ეძებდნენ.

ბიზანტიელი ისტორიკოსები განა თვით არ გვაწვდიან ცნობას, რომ იმპერატორს ეშინოდა დაქირავებული ვარანგებისა? (იხ. В. Г. Василевский, Труды 1, გვ. 307—308). როგორც ვხედავთ, ტექსტის მარისეულ გაგებას არ აქვს ჯერჯერობით არავითარი მტკიცე საფუძველი, ამდენად თავს ვიკავებთ და „მატიანე ქართლისაჲ“-ს არსებულ ტექსტს ვარანგების შესახებ უცვლელად ვტოვებთ<sup>1</sup>.

\* \* \*

XI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ქართულ, ორიგინალურ ძეგლებში სხვა ცნობები რუსების ან რუსეთის შესახებ არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ძეგლს, რომელიც XI საუკუნეში არის ძირითადად შედგენილი, მაგრამ შიგ შემდეგი საუკუნის ცნობებიც არის შეტანილი. ამ ძეგლში ერთი საექვო ხასიათის ცნობაა დაცული, ცნება „რუსი“-ს შესახებ.

ჩვენ აქ ამ ცნობაზე არ შევჩერდებოდით, რომ ზოგიერთ მკვლევარს ამ საექვო ხასიათის ცნობაზე დამყარებით გაბედული დებულებები არ ჰქონდეს წამოყენებული. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქ ადგილი დავუთმოთ ამ საექვო ცნობის განხილვას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი კრებული. ეს ხელნაწერი ამჟამად საქართველოს მუზეუმშია დაცული. 1901 წელს იგი სათანადო შენიშვნებით გამოსცა განსვენებულმა მოსე ჯანაშვილმა.

<sup>1</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველებისა და ვარანგების ურთიერთობას ისტორიისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს—ვარანგები ლიპარიტის ბანაკში იბრძოდნენ ბაგრატის წინააღმდეგ, თუ პირიქით. ლიპარიტეთიც საქართველოა. მაგრამ ფაქტის დადგენა მინც საჭირო არის და ვარანგების გამო სიტყვა ამიტომ გავვიგრძელო.

ამ ხელნაწერ კრებულში სხვა თხზულებებს შორის ჩაკერებულია ათონის მონასტრის აღაპების ნუსხა. ამ აღაპთა შორის თვით გამომცემლის და ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილის) უურადლება მიიპყრო 47-ე აღაპმა. აქ აღნიშნულია: „თუესა იანვარსა: კზ (27) აღაპი (არს) იე (იოანე) რუსყოფილისაჲ: მოსცნა ეკლესიასა წიგნნი. აღესრულებოდინ ყოელითა გულს მოდგინებითა, ვითარცა სხუთა შემოშწირველთაჲ სწერია, ძალისაებრ. წიგნნი ხუთნი არიან იოანე რუსყოფილისაჲ მოცემულნი: სადღესასწაულონი ორნი, დიონისი ერთი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი. და ვინცა ამას ეკლესიასა გამოაკუას ერთიცა, ღმერთსა მან მისცეს პასუხი“<sup>1</sup>.

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, იოანე „რუსყოფილს“ ქართველთა ათონის ეკლესიისათვის წიგნები შეუწირავს და ამის სამაგიეროდ აღაპი განუწყესებიათ იოანე „რუსყოფილისათვის“.

მოსე ჯანაშვილი და ეპისკოპოსი კირიონი აქ უურადლებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ იოანე „რუსყოფილად“ არის მოხსენებული. პირველად ამ სიტყვას უურადლება მოსე ჯანაშვილმა მიაქცია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იოანე, მისი აზრით, რუსი არის: „Грузины афониты в свою среду принимали и чисто русских людей. Так 17-й „агап афонские грузины назначают для русского Иоанна, пожертвовавшего Иверской лавре пять книг... Таким образом, мы видим, что начало духовного родства между грузинами и русскими положено еще в X—XI веке“<sup>2</sup>.

უფრო შორს მდის თავის დასკვნაში ეპისკოპოსი კირიონი. მისი აზრით, აღაპში მოხსენებულ იოანე არის რუსი, მაგრამ გაქართველებული. რუსობა იოანეს „დაუტოვებია“. იგი წერს: „Иверский монастырь и его подвижники с дружескою любовью принимали русских для усовершенствования их в монашеских подвигах... Под 27 января установлен синодик за поминовение Иоанна бывшего русского (рус-ყოფილი).. Если были примеры, что русские в Иверском монастыре на Афоне на всю жизнь оставались и даже приобщались к грузинской национальности, на что указывает выражение рус-копили (бывший русский), то, следовательно, вне всякого сомне-

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. საეკლ. მუხ. გამოც., 1901 წ., გვ. 227.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XVII.

ნია, что русские монашествующие в этой обители пользовались продолжительным гостеприимством... Сведение сохранилось... об одном лишь русском подвижнике... но несомненно, что немало было русских вообще... неотмечаемые в синодиках, которых влекла туда жажда... к просвещению в богословском училище означенного монастыря<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „რუსყოფილზე“ დაყრდნობით ეპისკოპოსი კირიონი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსები ძველად განათლების მისაღებად ათონის ქართველთა მონასტერში მიდიოდნენ. ამაზე დაყრდნობით თგი ქართულ ინდროინდელ კულტურულ ზეგავლენას ეძებს შემდეგ რუსულ ძეგლებში. რა თქმა უნდა, კირიონი მართო ამ ცნობას კი არ ემყარება თავის თხზულებაში, მაგრამ ერთ-ერთ საბუთად გამოყენებული აქვს ზემოთ მოტანილ ალაპში მოხსენებული „რუსყოფილი“. ჩვენ ამჟამად მიზნად არა გვაქვს კირიონის ყველა მოსაზრება განვიხილოთ საერთოდ, ეს შრომას მეტი სიმეტად დაამძიმებდა. ეპისკოპოს კირიონს ყოველგვარი საბუთის გარეშე ისეთი კარდინალური ხასიათის დებულებები აქვს წამოყენებული, რომ მათი გამოდევნება არავითარ ნაყოფს არ მოგვცემს.

მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სიტყვა „რუსყოფილი“ საკიროებს განმარტებას.

ზემოთ მოტანილი მსჯელობანი „იოანე რუსყოფილის“ შესახებ საბუთის ნაჩქარევად შესწავლაზე არის აგებული. თუ განვიხილავთ ათონის ზემოხსენებულ ხელნაწერებში მოთავსებულ ყველა ალაპს, დავინახავთ, რომ სიტყვა „ყოფილი“ თან სდევს ბერის იმ სახელს. რომელიც ამა თუ იმ პირს ბერად აღკვეცამდე ერქვა. როგორც ცნობილია, ბერები თავის ერისკაცობის დროინდელ საკუთარ სახელს ბერად აღკვეცის დროს იცვლიდნენ და ახალ სახელს ირქმევდნენ. იმავე ხელნაწერში მოთავსებულ სხვა ალაპებში, მაგალითად, ვკითხულობთ: „ალაპი განუწესეთ საბა მონომახ ყოფილისა“<sup>2</sup>, „ამავე დღესა ალაპი არს გიორგი აბაზყოფილისა“<sup>3</sup>, „ალაპი განგვიწესებდეს ქრისტეფორე ლალაკო ყოფილისათვის“<sup>4</sup>,

<sup>1</sup> Еп. Кирион. Культурная роль Пеллии в истории Руси. 1910. гв. 94—95.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1674 წ., ხელნაწ. ალაპებით, საეკლესიო მუხ. ვაპოც. 1901 წ., გვ. 218.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 219.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 235.



„ვაჩე ყოფილისა ბასილისათვის განგვიწესებია პანაშვიდი“<sup>1</sup>. „თუქესა სეკდენბერსა 19 ალაპი არს მამისა არსენისა თარსმან ყოფილისა“<sup>2</sup>. „ალაპი არს დედოფლისა ჩვენისა მარიამ მართა ყოფილისა“<sup>3</sup> და სხვ.

მოტანილი ამონაწერები ათონის ალაპების ნუსხიდან გვაფიქრებინებს, რომ „იოანე რუსყოფილი“ ისე უნდა გავიგოთ. რომ იოანეს ერისკაცობის დროს „რუსი“ ერქვა სახელად. ბერად აღკვეცის შემდეგ კი იოანე დაურქმევიათ და ალაპში „იოანე რუსყოფილად“ არის მოხსენებული. „რუსი“, როგორც საკუთარი სახელი, არსებობდა ძველ საქართველოში. ამაზე მიგვიჩივებს დღეს არსებული გვარი „რუსაძე“ და „რუსიშვილი“<sup>4</sup>. მაგრამ, ამას გარდა, ჩვენ შეგვიძლია ძველი წერილობითი ძეგლებითაც დავადასტუროთ საქართველოში „რუსი“-ს, როგორც საკუთარი სახელის, არსებობა. იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ალაპების ნუსხაში, რომელიც აკად. ნ. მარზა განოსცა, სხვათა შორის ვკითხულობთ: „დეკემბრის 17 პანაშვიდი (არს) რუსი ჩხეტისძისა. მოგუცა ხუთასი თეთრი დიდსა დაჰირვებას შინა მას ჟამსა ოდეს ჯი შემოგუაჰქციეს, ვინცა არ გადაიხადოს კანონსამცა ქუე არს“<sup>5</sup>. ამას გარდა, ე. წ. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“, იქ, სადაც თემურ ლენგის შემოსევაზე არის საუბარი, მოხსენებულია ბაგრატ მეფის მახლობელი რუსი ეგნატაშვილი: „ვითარცა მოიწივნეს კერძოთა და არეთა საქართველოსათა, მაშინ გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაანტაგანი“ (sic) საიდუმლოდ მიუწერა მეუემან ბაგრატ ძესა თუისსა გიორგისა“...

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ., ხელნაწ. ალაპებით, საეკლესიო მუხ. გამოც., 1901 წ., გვ. 241.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 250.

<sup>4</sup> ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, 1914 წ., გვ. 30. III.

<sup>5</sup> ბერა ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 13. ქართლის ცხოვრების გაგრძელების იმ ცნობას. სადაც „რუს ეგნატაანტაგან-ზე“ არის საუბარი, შეცდომაში შეუყვანია დოც. კონსტ. გრიგოლია. იგი თავის სადისერტაციო ნაშრომში ერთგან წერს... „უაღრესად საეკლესიოშია ქართლის ცხოვრების გაგრძელების ის ცნობა. რომელიც XIV საუკუნის ბოლო ხანის ამბებს შეეხება. იქ საუბარია ერთი წერილის შესახებ, რომელიც თითქოს თემურ-ლენგის ტყვეობიდან პირობით განთავისუფლებულ ბაგრატ მეფეს თავის შვილის—გიორგისათვის საიდუმლოდ მიუწერია: „აი ნე მოვდივარ მონღოლთა ჯარით, შენ კი დაგვიხვდი ქართველთ ლაშქრით და მტერი სულ ერთიანად გავჟლიტოთ“. მართალია, ამ წერილში მოთხრობილი ამბავი (თემურის ასეთი გულუბრყვილოდ მოტყუება) სპეციალურ ლიტერატურაში სათუოდ არის მიჩნეული და საკამათოა, მაგრამ ძველი დროიდანვე ქართულ და სომხურ საისტორიო მწერ-

საქართველოს ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა ფონდში დაცული არის საბუთი № 5474, რომელშიაც მოხსენებულია, „რუსი ხატიასშვილი“. ამდენად ჯანაშვილისა და კირიონისეული გაგება 47-ე აღაპის ტექსტისა მართებულად ვერ ჩაითვლება. განსვენებულ მკვლევართა მოსაზრებას მიუღებლად ხდის კიდევ ის გარემოებაც, რომ იმ დროს „რუსობა“ მართლმადიდებელთა მონასტერში, ამ შემთხვევაში ქართველთა მონასტერში, იმდენად, რამდენადაც რუსებიც ქრისტიანები იყვნენ, არ შეიძლებოდა დაეტოვებინა და თავი ქართველად ჩაეთვალა. ძველად გასაგები იყო „სპარსყოფილი“: „თურქყოფილი“; „ფრანგყოფილი“. მაჰმადიანი თუ დატოვებდა მაჰმადიანობას და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოექცეოდა, იტყოდნენ

ლობაში ასეთი ცნობის არსებობა თავისთავად საგულისხმოა. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ამ წერილის გამოტანების გარემოება იპყრობს. ის საქართველოსკენ ბაგრატ მეფის ერთი თავისი „ჩინებული და სარწმუნო ახნაურის „რუს ეგნატაანტაგანის“ ხელით გამოუგზავნია. ამრიგად, წერილის მომტანი ეროვნებით რუსი ყოფილა.. ის საქართველოს მეფის „ჩინებულ“ და „სარწმუნო“ ახნაურად იხსენიება (ხოლო ის გარემოება, რომ ბაგრატ მეფემ ესოდენ საიდუმლო წერილის წამოღება სწორედ მას მიანდო, თავისთავად ლაპარაკობს მის პირად თვისებებსა და მდგომარეობაზედაც საქართველოს სამეფო კარზე) ქართლის ცხოვრების გაგრძელების აღნიშნული ცნობა თითქოს იმ გარემოებაზედაც უნდა გვითითებდეს, რომ ძველად რუსები მართო სტუმრად კი არ მოდიოდნენ საქართველოში, არამედ ზოგჯერ აქ სახლდებოდნენ და მუდმივად ცხოვრობდნენ კედეს. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიაც ისინი უსახლგროდ ერთგულნი რჩებოდნენ თავის მეორე სამშობლო ქვეყნისა და ჰირსა და ლხინში მასთან ერთად იყვნენ. სწორედ ამით აიხსნება „რუს ეგნატაანთაგანის“ ყოფნა საქართველოს მეფესთან თემურ ლენგის ტყვეობაში და იქიდან მისი ხელით ესოდენ საიდუმლო წერილის გამოტანების ფაქტიც“ (იხ. კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება. 1945 წ., გვ 64—65).

დოქ. კონსტ გრიგოლიას აქ მოცემული დასკვნები რუსებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ არაფრით არ არის დამტკიცებული. „რუსი ეგნატაანთაგანი“ სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანი მოდგმით რუსი იყო. „რუსი“ ქართველი ადამიანის სახელი იყო. განსვ. აკად. ივანე ჯავახიშვილს სწორედ ის ადგილი, სადაც „რუსი ეგნატაშვილზე“ არის საუბარი „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტენდენციურ ჩანართად მიაჩნია, იგი თითქოს ამ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორის, თუ რედაქტორის, ბერი ეგნატაშვილის მიერ უნდა იყოს ტექსტში ჩართული თავისი გვარის განდიდების მიზნით (იხ. ახალი ქართლის ცხოვრება. ბერი ეგნატაშვილი. ივ. ჯავახიშვილის გამოცემა. 1940 წ., გვ. 12). განსვ აკადემიკოსს ისიც აღნიშნული აქვს, რომ „რუსი ეგნატაანთაგანი“ მხოლოდ ხელნაწერებში არის მკრთალი ხელით შემდეგ დაწერილი, ხოლო ამავე ძეგლის მეორე ხელნაწერში სრულიად არ არის რუსი ეგნატაშვილის გაგზავნაზე საუბარი. მაგრამ, სადაც არ უნდა იხსენიებოდეს რუსი ეგნატაშვილი, სულ ერთია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს. სახელი რუსა ცნობილია ძველ აღმოსავლეთშიაც.

„გაქართველდა“ — სპარსყოფილი შეიძლება მისთვის ეწოდათ. ძველ ქართველებს ნათლად ჰქონდათ გააზრებული ქართველი აღამიანის „გათურქება“, „გასომხება“ და „გაფრანგება“ — თურქულ, სომხურ ან კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა. ათონის მონასტრის ხელნაწერში ჩაყრებული აღაპების ნუსხიდან 47-ე აღაპი XII საუკუნის ეიორე ნახევარზე ადრინდელი არ არის<sup>1</sup>. ამ საუკუნეში რუსი იმავე დროს ქრისტიანს და, რაც მთავარია, მართლმადიდებელ ქრისტიანსაც ნიშნავდა. ასე რომ, იოანეს „რუსყოფილობა“ ამ მხრივაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს სხვაგვარად, თუ არა ისე, როგორც ჩვენ ვცადეთ აგვეხსნა, სანამ სხვა ახალი დამატებითი ცნობა არ აღმოჩნდება იოანეს რუსობის შესახებ. ამდენად, ეს აღაპი (№ 47) ძველ ქართველთა და რუსთა შორის კულტურული ურთიერთობის არსებობის დასამტკიცებელ ისტორიულ ცნობად არ გამოდგება.

რა თქმა უნდა, ამით ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ უარყოფით ათონში რუსებისა და ქართველების შეხვედრის, ერთად მოღვაწეობისა და კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობა. ჩვენ დაწვერებით არ ვიცით, რა განძი ინახება ათონის ყოფილ ქართველთა მონასტერში. ჩვენ შემთხვევით ჩაგვივარდა ხელთ ის ხელნაწერი, რომელშიაც ეს აღაპების ნუსხაა ჩაყრებული. ექვი არ არის, როცა ათონის მონასტრის წიგნსაცავი საბჭოთა მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდება, არა ერთი საყურადღებო ცნობა აღმოჩნდება ქართველების სხვადასხვა მართლმადიდებელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ. ათონის ქართველთა მონასტერი ბიზანტიის მასშტაბით ცნობილი იყო და არაა გასაკვირველი, თუ იმ დროის განათლებული რუსი მოღვაწე, ბიზანტიაში არა ერთხელ გამგზავრებული, ისეთ დიდ დაწესებულებაში, როგორც ქართველთა მონასტერი იყო, მისულიყო და ზოგიერთ შემთხვევაში ეთანამშრომლა კიდევც. რუსეთში რომ ათონის მრავალრიცხოვანი მონასტრები ცნობილი იყო და იქ რუსები დადიოდნენ, ამის დამადასტურებელი ცნობა რუსულ „მამათა ცხოვრებაშიც“ კარგად შემონახულა.

XI საუკუნის პირველ ნახევარში რუსებს საკუთარი მონასტერი უნდა ჰქონოდათ ათონზე<sup>2</sup>. კიევის მონასტრის ცნობილი მოღვა-

<sup>1</sup> ათონის მონასტრის ხელნაწერში ჩაყრებული აღაპების დათარიღება აკად. ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის.

<sup>2</sup> იხ. ამის შესახებ Повесть Временных лет, ч. II, изд. акад. н. СССР, 1950 г., გვ. 384.

წის ანტონის ცხოვრებიდან ჩანს, რომ იგი ათონის მონასტერში ყოფილა თავდაპირველად და კურთხევაც იქ მიუღია. რომელ მონასტერში და ვისგან მიიღო კურთხევა მან, არ ვიცით. ეპისკოპოს კირიონის მტკიცება იმის შესახებ, რომ ანტონი ქართველების მონასტერში ცხოვრობდა და იქ იკურთხა<sup>1</sup>, არ არის დასაბუთებული, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა დასაშვებია. რუსებს ათონზე საკუთარი მონასტერი, ე. წ. ქსილურგის (ხუროს) მონასტერი. XII საუკუნეშიაც აქვთ. 1169 წელს რუსები ისე შომრავლებულან ამ მონასტერში, რომ სათანადო სახსრების გაღებით შეუძენიათ მეორე თესალონიკელის მიტოვებული მონასტერი და შიგ დამკვიდრებულან. ამის შემდეგ ეს მონასტერი რუსების პანტელეიმონის სახელობის მონასტრად არის ცნობილი.

ასევე შეუძენიათ რუსებს მიტოვებული მონასტერი იერუსალიმშიც. 1173 წლისათვის იერუსალიმში რუსების კუთვნილი მონასტერი არსებობს<sup>2</sup>. ასეთ ვითარებაში ათონი და იერუსალიმი ის პუნქტები უნდა ყოფილიყო, სადაც ძველი დროის ნოწინავე რუსი და ქართველი ერთმანეთს ხედებოდა და ეცნობოდა. „მართლმადიდებლური“ ქრისტიანული სარწმუნოება მათ აკავშირებდა, აახლოებდა და ამეგობრებდა. ამდენად შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ცნობა, რომ კიევის მღვიმეთა მონასტრის მთავარი ტაძრის მოსახატავად ბერძნებთან ერთად ქართველებიც ყოფილან მიწვეული, რის შესახებაც დაწერილებით საუბარი ქვემოთ გვექნება.

XI საუკუნის ქართული ძეგლებიდან რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულების ერთი ადგილის შესახებ, სადაც „სკლავი“ არის მოხსენებული. თუმცა აქ დაცული ცნობა საქართველოსთან რუს-სლავთა ურთიერთობის შესახებ არაფერს გვაწვდის, მაგრამ „სლავის“ ძველ ქართულ მწერლობაში მოხსენება საინტერესოა და განმარტებას საჭიროებს.

როგორც ცნობილია, გიორგი ხუცეს-მონაზონს XI საუკუნის მეორე ნახევარში დაუწერია თხზულება „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“. ამ თხზულებაში ავტორს ერთ ადგილას მოთხრობილი აქვს: „...არს მთა წმიდისა პრასტინთა

<sup>1</sup> Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, გვ. 88—94.

<sup>2</sup> ათონისა და იერუსალიმის რუსული მონასტრების შესახებ იხ. Е. Голубинский, История Русской церкви, том I, Вторая половина тома, 1881 г., გვ. 622—625. იხ. აგრეთვე Порфирий Успенский, Восток Христианский, История Афона, ч. III, отд. II, 1892, გვ. 2—18.

შინა სოფელი ერთი, რომელსა ლევსდია ეწოდების... და ვჰგონებ, თუ არეინ წმინდათაგანი მიმწუდარა მუნ: ხოლო კაცნი მკვიდრ არიან ბორღალნი, რომელთა სკლავ ეწოდების... ამას პრასტინსა შინა, ვითარცა ვთქუთ, კერპი ერთი დაშთომილ იყო პირველითგანვე აქამომდე, მარმარილოსა, სახითა დედაკაცისათა, ამასა, ვითარცა ვთქუთ, კაცნი იგი უგუნურნი წუთლა მსახურებდეს და იტყოდეს: მზე და წვიმა და ყოველი კეთილი მისგან მოგუჰცემისო, რანე თუ კელმწიფებაჲ აქვს სიკვდილად და ცხოვრებად, ვისიცა ენების“<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბოლგართა მოხსენება „სკლავ“-ად. „სკლავი“ იმ დროის სლავთა ბიზანტიური სახელწოდებაა. ძეგლი, რომლიდანაც ჩვენ ეს ამონაწერი მოვიტანეთ, ბიზანტიაში, ათონის ქართველთა მონასტერში იწერებოდა და მისი ავტორი იქ მოღვაწეობდა. ამიტომ სახელწოდება „სკლავ“ ადგილობრივ, ბიზანტიაში შეთვისებულია უდავოდ, ქართულ ენაში ეს სიტყვა აბალია, XI საუკუნეზე ადრე შემოსული არ უნდა იყოს და, რაც მთავარია, იგი, ათონურ ამ ძეგლს გარდა, არსად სხვა ქართულ ორიგინალურ ძეგლებში მოხსენებული არ არის.

თვით ათონელი ქართველებისათვისაც „ბორღალი“, ანუ „ბურღალი“, უფრო ჩვეულებრივ ხმარებაში უნდა იყოს, ვინემ „სკლავი“. იმავე ხელნაწერში, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელების ცხოვრების აღწერილობაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა შეადგინა, ყოველგვარი განმარტების გარეშე აღნიშნულია: „და კჳალად ბურღალთაგან ყოველნი სოფელნი ჭირსა შინა იყვნენ და კინილა უკაცრული“<sup>2</sup>.

„სკლავ“ ცნებაში ათონელი ქართველები ბოლგარელებს გულისხმობდნენ. არ ჩანს ასხვავედნენ თუ არა ათონელები ბალკანეთის სლავებს აღმოსავლეთ ევროპის სლავებისაგან, თუ უკანასკნელნი მათთვის მხოლოდ რუსებად იყვნენ ცნობილნი.

მეტისმეტად საყურადღებოა სლავურ ხალხთა ისტორიისათვის ზემომოტანილ ტექსტში მოცემული ცნობა ქალღმერთის შესახებ. სამწუხაროდ, ამ ცნობაში ქალღმერთის სახელწოდება არ არის მოცემული, მაგრამ თვით ამ ღმერთის საქმიანობა მოკლედაა მოთხრობილი. ამ ცნობას სლავთა წარმართული ხანის ისტორიის

<sup>1</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, სავკლ. მუხ. გამოც., 1901 წ., გვ. 305.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი, სავკლ. მუხ. გამოც., 1901 წ., გვ. 47—48.

შემსწავლელთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, სლავთა ისტორიის ეს მხარე ცნობების უქონლობის გამო ნაწილობრივ არის ვაკუუმი. რუსულ ძეგლებში მოხსენებული არის ერთი ქალღმერთი „ბოკოში“, რომელიც ფინური ტომების ღვთაებაც ყოფილა<sup>1</sup>, მაგრამ ათონელი ქართველის მიერ ნახულ ღვთაებას „ბოკოში“ ეწოდებოდა თუ არა, ჩვენ არ ვიცით.

ნაინცდამაინც გიორგი მთაწმიდელი ლივსდიის მცაოვრებ სლავთა განაწილებლად ვერ ჩაითვლება. XI საუკუნეში ბულგარეთში ქრისტიანობა საკმაოდ ფესმოდგმული იყო და წარმართული ღვთაების ნაშთის არსებობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს ყოველთვის. რომ ის მხარე, სადაც ეს ნაშთი მოიპოვება, წარმართია. ავტორის სიტყვით, გიორგი მთაწმიდელს კერპი დაუმტვრევია მხოლოდ. ეს სრულიადაც არ არის საკმარისი წარმართების მოსაქცევად. და ის გარემოება. რომ გიორგი მთაწმიდელი კერპის დასწავრევით ამთავრებს თავის მოღვაწეობას ხსენებულ სოფელში, იმის მიხედვებით უნდა იყოს, რომ აქ ქრისტიანობა უცხო სარწმუნოება არ ყოფილა. თვით გიორგის დაუსჯელად გადარჩენაც ამის დამატიციებელი უნდა იყოს<sup>2</sup>.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ქართული ორიგინალური ძეგლები, რომლებშიაც რუსი, ეარანგი და სკლავი იყო მოხსენებული. ამის საფუძველზე შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, თუ რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა X—XI საუკუნეების ქართველებს რუსებსა და რუსეთზე.

მაგრამ სრული სურათის აღსადგენად საკმარისი არ არის მარტო ქართული ორიგინალური ძეგლების განვიხილა. ჩვენს ხელთ არსებული ნასალებით ვრწმუნდებით, რომ ქართველებს რუსებისა და „სკლავების“ შესაებე გარკვეული წარმოდგენა ლიტერატურული გზითაც უნდა ჰქონოდათ.

ბერძნული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ძეგლებში რუსი და სკლავი არა ერთხელ არის მოხსენებული გარკვეულ ამბებთან დაკავშირებით. ცხადია, როცა ეს ძეგლები ქართულ ენაზე ითარგმნებოდა, ამაზე უწინარეს ისინი ქართველებისათვის ბერძნულ ენაზე უნდა ყოფილიყო ცნობილი.

---

<sup>1</sup> Б. Д. Греков, Киевская Русь. 1944, гл. 319, ამვე ღვთაების შესახებ იხ. აგრეთვე, Соловьев, Ист. Рос. с др. пр. т. I, гл. 72—73.

<sup>2</sup> ეპისკოპოსი კირიონი ამის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 15—17.

დამახასიათებელია, რომ ყველა ის ძეგლი, რომელიც გადმოღებულია ბერძნულიდან ქართულ ენაზე და შიგ რუსი არის მოხსენებული, XI საუკუნეშია თარგმნილი, ასეთებია: „ცხოვრება ანდრია სალოსისა“, „ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედა მოსელისაგან“, „სასწაულნი დიმიტრისნი აღწერილნი იოანე თესალონიკელის მიერ“, და ე. წ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულება „ნეტარისა თალასეს მიმართ“<sup>1</sup>.

ანდრია სალოსის ცხოვრება ბერძნულ ენაზე X საუკუნის გასულს არის დაწერილი, ხოლო ქართულ ენაზე ეს თხზულება 1040 წლისათვის უკვე თარგმნილი ყოფილა<sup>2</sup>.

ანდრია სალოსის ცხოვრებაში რუსები მოხსენებული არიან ეპიფანესა და ანდრიას შორის გაბაასების ერთ-ერთ თავში, სადაც ანდრია სალოსი წინასწარმეტყველებს კონსტანტინოპოლზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ: „და იტყვიან ზოგნი ვლ სარკინოზნი არიან ნათესაენი იგი რლნი მოვლენ, მე ვიტყოდი, რ ნათესაენი მწითურთა მოვალს, რლსა ჰრკვიან რუსნი“<sup>3</sup>.

კონსტანტინოპოლზე რუსების თავდასხმის „წინასწარმეტყველება“ X საუკუნის დასასრულს მცხოვრები ბერძენი ავტორისა და არც თვით ანდრია სალოსისათვის, რომელიც X საუკუნის რომოცდაათიან წლებში გარდაიცვალა, ძნელი საქმე არ იყო, თუ იგი მართლა ამას „წინასწარმეტყველებდა“.

X საუკუნეში, ოლეგიდან დაწყებული თვით ვლადიმერ სვიატოსლავის ძემდე, კონსტანტინოპოლმა არა ერთხელ იგემა რუსული რაზმების თავდასხმა და ბიზანტიელებმა დიდი ვაი-ვაგლახით მოიცილეს თავიდან ეს ახალი საფრთხე. რუსების გარეგნული აღწერილობა და მათი თავდასხმები საკმაოდ ცნობილი იყო ბიზანტიელი მოქალაქისათვის. არ არის დასაჯერებელი, რომ ქართველი მთარგმნელი, ექვთიმე ათონელის სკოლის წარმომადგენელი<sup>4</sup>, მექანიკურად თარგმნიდა ამ სტრიქონებს და რუსების შესახებ ცნობებს სხვა გზითაც არ კრებდა.

<sup>1</sup> აღნიშნულ ძეგლებზე, „დემეტრეს სასწაულებს“ გარდა, მიგვითითა აკად. კ. კეკელიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941 წ., გვ. 896—397.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური არქივის ძველ ხელნაწერთა ფონდის № 124 ხელნაწერი, გვ. 131—132.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1941 წ., გვ. 397.

XI საუკუნეში ანდრია სალოსის ცხოვრება თარგმნილი აქვთ ქართველებს. მელქისედევ კათალიკოსი თავის 1040 წლის სიგელში ამ თხზულებას იმ წიგნთა შორის ასახელებს, რომელნიც მას მცხეთისათვის შეუწირავს<sup>1</sup>.

მეორე თხზულება, რომელშიაც რუსები არიან მოხსენებული და ბერძულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა XI საუკუნეში, არის „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა, სპარსთა და სკვითთა ზედამოსვლისაგან“. ამ თხზულების ვრცელი რედაქციის მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელია<sup>2</sup>.

თხზულებაში მოთხრობილი ამბავი შეეხება 626 წელს სკვითებისა და ავარების მიერ კონსტანტინოპოლის გარემოცვას. აქ ერთგან აღნიშნულია: „მიილო რაჲ მეფობაჲ ბერძენთაჲ ჰერაკლე, გამორჩევითა და წამებითა ყთა მთავართა და ერისაჲთა, ესოდენ იყო დამდაბლებულ და მოკლებულ ყივე ძალი სამეუფოჲ საბერძენთისა ყით კერძო და შემუსვრილ მრავალ გზის სპარსთა მიერ და სკვითთა, ესე იგი არს რუსთა“<sup>3</sup>.

მოტანილ ტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინ „სკვითი“-ს განმარტება—„ესე იგი არს რუსთა“.

ჩვენ არ ვიცით, ეწერა თუ არა გიორგი მთაწმიდელს ხელთმყოფ ბერძულ დედანში ეს განმარტება. უფრო საფიქრებელია, რომ არა, მაგრამ ბერძენები რომ XI საუკუნისათვის რუსებს „სკვითებს“ ან „ტავროსკვითებს“ ეძახდნენ, ეს საკმაოდ დასაბუთებული ფაქტია<sup>4</sup>.

ქართულ ენაში ამ ორი ტერმინის იგივეობა ბერძულიდან უნდა მომდინარეობდეს. თამარ მეფის ისტორიკოსებისათვის რუსი და სკვითი სინონიმები უნდა იყოს, მაგრამ ტერმინ „სკვითი“ ქართულში გარკვეული ნიუანსიც თან უნდა ახლდეს. „სკვითი“ XI საუკუნეში მაინც ბარბაროსს და წარმართსაც უნდა ნიშნავდეს.

თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, იქ, სადაც იგი თანარის პირველი ქმრის, რუსი უფლისწულის, „უკეთურებათა“ გამოძვლავნების შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნული აქვს: „შევიდა სატანა გულსა სუეუბედურისა რუსისასა, სკვით რაჲმე სახელდებულისა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, 1, 1941, გვ. 397.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 204.

<sup>3</sup> ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედა მოსვლისაგან, საეკლ. მუხ. გამოც., კარბელაშვილის მიერ რედაქტ. 1903 წ., ტფილისი, გვ. 7.

<sup>4</sup> В. Г. Васильевский, Труды I. 1908., გვ. 176—400.

<sup>5</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოცემა, 1941 წ., გვ. 84.



თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ამავე ამბავის თხრობის დროს აღნიშნავს: „და გამოაჩნდებოდეს რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებნი ბუნებითნი“<sup>1</sup>.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ერთგან ისეთ განმარტებას იძლევა, რომ მას რუსი უფლისწულის „უკეთურებათა“ „სკვითურობაზე“ ლაპარაკი იმ ძეგლის ზეგავლენით უნდა ჰქონდეს, რომელსაც „ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა“... ეწოდება და რომლიდანაც ჩვენ ზემოთ ანონაწერიც მოვიტანეთ.

თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, იქ, სადაც იგი რუსი უფლისწულის გაძევებაზე საუბრობს, აღნიშნული აქვს: „ოდეს უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა განკვირდეს და ერთჲმა ყვეს მცნობელთა ამისათა, ვითარმედ ესე მისივე ძუელისა მტერისა არს რომელმან მოაკულევიანა ძმასა ძმა და მამასა შვილი და ექსორია ემნა პირველი იგი კაცი სამოთხით... რომელი მისივე ძუელი-სა ხაკან სკვითისა შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა; მუნ თუ იგი მოადგა დედოფალსა ქალაქ-თასა, აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და ნეტესა ნეტეთასა“<sup>2</sup>.

მართლაც, გიორგი მთაწმიდელის თარგმანში „ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა“... კონსტანტინოპოლზე თავდამსხმელად „ხალან სკვითი“ არის მოხსენებული და, როგორც ზემოთ მოტანილი ამ თხზულების ტექსტიდან ჩანს, გიორგი მთაწმიდელს „სკვითი“ რუსად მიაჩნია.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი სიტყვებიც: „და გამოაჩნდებოდეს რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებნი ბუნებითნი“ იმის დამადასტურებელია, რომ რუსების წინაპრად იგი სკვითებს გულისხმობს და ამ ისტორიკოსსაც გიორგი მთაწმიდელის თარგმანიდან უნდა ჰქონდეს ეს ამბავი შეთვისებული.

მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული მასალებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ „სკვითის“ და „რუსის“ სინონიმად მიჩნევა ლიტერატურის გზით ხდება ჩვენში და აქ უფრო ბერძნული გავლენა მოჩანს. „სკვითი“ ქართულში უფრო რუსების წარმართობის ხანის გამომხატველი ტერმინია.

<sup>1</sup> ბასილი ეხოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1944 წ., გვ. 17.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941 წ., კ. კეკელ. გამოცემა, გვ. 84—85.

თამარ მეფის ისტორიკოსები, როცა რუსი უფლისწულის პიროვნების დამცირება სურთ, მას სკვიტოს ეძახიან. „სკვიტად“ მის მოხსენებას საფუძვლად გიორგი მთაწმიდელის ზემოხსენებულ თარგმანში აღწერილი ამბები უნდა ედოს და არა სკვიტებთან ძველი ქართველების ურთიერთობის შედეგად დარჩენილი რაიმე გადმოცემანი. საქართველოში რომ საკმაო ინტერესი ჰქონიათ მსოფლიოში მცხოვრები ხალხების რაოდენობის შესახებ, ამას ნათელყოფს აქად. კ. კეკელიძის ერთი საყურადღებო გამოკვლევა: „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში“<sup>1</sup>.

ხსენებულ ნაშრომში აქად. კეკელიძეს გამორკვეული აქვს, რომ ეფთვიმე მთაწმიდელს ჯერ კიდევ X საუკუნის მიწურულში უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის თხზულება „ნეტარისა თალასეს მიპართ“. მაგრამ ეს თხზულება ქართულ ენაზე მან თავისებური რედაქციით მოგვცა, ზოგი რამ შეუმცირებია, ზოგიც—დაუმატებია. დამატებული ნაწილიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს Liber Generationis, ამისათვის ეფთვიმეს ორი წყარო ჰქონია, მაგრამ ბრმად არც ამ წყაროებს გაჰყოლია<sup>2</sup>.

ამ ძეგლში იაფეტის შთამომავალთა შორის ეფთვიმე მთაწმიდელი ასახელებს რუსებს და სკვიტებს<sup>3</sup>. როგორც ჩანს, დედანში რუსები არ ყოფილან მოხსენებული და იგი თვით ეფთვიმეს დანატებულია<sup>4</sup>. ამრიგად, X საუკუნისათვის საბერძნეთში მოღვაწე ეფთვიმე ათონელისათვის „რუსი“ ცნობილი ხალხია და მას იგი იაფეტის შთამომავლობის ხალხთა რიგში ათავსებს. ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლში „სკლავი“-ც მოხსენებულია, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი რჩება, როგორ აქვს წარმოდგენილი ქართველებს სლავების რუსებთან ნათესაობა. იმ ბერძნული ქრისტიანული ძეგლების საშუალებით, რომელნიც ქართულ ენაზეა თარგმნილი, დნებრის მიდამოებში მცხოვრებ სლავების რუსების წინაპრებად მიჩნევა არ ხერხდება. ამ ძეგლებში მოხსენებული სლავები ბალკანეთის სლავები ჩანან.

ზემოთ ჩვენ ტერმინ „სკლავის“ შესახებ გვექონდა ლაპარაკი და აღვნიშნეთ, გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებაშიაც „სკლავი“ დუნაის აუზში მცხოვრებ სლავებს უნდა ნიშნავდესო, ამასთან-

<sup>1</sup> თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VII, გვ. 1—15.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8, 14—15.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 8—9.

ნავე, ათონელი ქართველებისათვის ბალკანეთში მცხოვრები სლავები უფრო „ბორღალნი“-ად არიან ცნობილი და მათთან უშუალო შეხვედრაც ჰქონიათ.

წმ. დიმიტრის სასწაულმოქმედებაში, რომელიც ეფთვიანე ათონელის მიერ უნდა იყოს თარგმნილი<sup>1</sup>, მოცემულია თავი „ბრძოლისათვის სკლავთაჲსა“, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დიმიტრის სასწაულმოქმედებანი ქართულ ენაზე შესაძლებელია ორჯერ იყოს თარგმნილი. ერთი, რომელიც გელათურ № 4 ხელნაწერშია დაცული, კ. კეკელიძის დაკვირვებით, ეფთვიანე ათონელის მიერ ყოფილა თარგმნილი.

მეორე ხელნაწერი, რომელშიაც იგივე თხზულებაა მოთავსებული, დაცული ყოფილა სინას მთაზე. ამ უკანასკნელის აღწერილობა და ჩვენთვის საინტერესო ტექსტიც აკად ივ. ჯავახიშვილს აქვს თავის სინას მთის ქართულ ძეგლთა აღწერილობაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით სინას მთის № 80 ხელნაწერში 144, „ს“ ფურცელზე დიმიტრის მე-14 სასწაული დასათაურებულია შემდეგი სახით: „ბრძოლისათვის სკლავთაჲსა“. ამ მე-14 სასწაულის აღწერილობის დასაწყისი გადმოწერილი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. იქ აღნიშნულია: „იყო მათ ჟამთა შინა განძლიერდა ნათესავი სკლავთაჲ და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი და ისწავეს მათ ნავითა ბრძოლაჲ და იყვნეს კრებულად როლოვიტნი, და სამშვიდიანნი და ბელზეგილნი და ბაკონელნი და ბეზეტელნი და სწიცა წარმართნი“<sup>2</sup>.

გელათის № 4 ხელნაწერში, რომელიც ჩვენ პირადად განსინჯეთ, ზემოთ მოცემული მე-14 სასწაული განსხვავებულად არის მოცემული. მართალია, ეს განსხვავება არსებითი ხასიათის არ არის, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილში, რომელიც სინას მთის ხელნაწერიდან იყო ზემოთ მოტანილი, მაგრამ თქმა იმისა. რომ სინას მთის ხელნაწერის ტექსტი იგივეა, რაც გელათურისა, არ შეიძლება. გელათურში შესატყვისი ტექსტი ასე იკითხება: „ბრძოლისაჲს სკლავთაჲსა. იყო მათ ჟამთა შინა განძინებულ ნათესავი სკლავთა, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი და ისწავეს მათ ნავითა ბრძოლა და იყვნეს კრებულ დროლუვიტთაგან და სალოდანთა ბელეგიზელთა“<sup>3</sup>... როგორც ვხედავთ,

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I. 1941 წ., გვ. 683.

<sup>2</sup> ამ აღწერილობაზე ყურადღება მიგვაქცევინა დოც. ტრ. რუხაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

იხ. საქართველოს მუზეუმის ფონდი 700, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, № 80

<sup>3</sup> ქუთაისის მუხ. გელათ. ფონდი, ხელნაწ. № 4, ფურც. 614.

გელათურში „სკლავი“-ს ნაცვლად „საკლავი“ იხსენიება. განსხვავებულია აგრეთვე სხვა ტომთა სახელებიც.

გელათური ხელნაწერი ნაგვიანევი ხანისაა (იგი ქალაღზეა ნაწერი) და, შესაძლოა, საკუთარი სახელები შემდეგი დროის გადამწერთაგან იყოს გადაკეთებული, მაგრამ სხვა ხასიათის განსხვავებანიც გვაფიქრებინებს, რომ სინას მთის ხელნაწერში მოცემული თარგმანი უფრო ადრინდელი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „საკლავი“ ამ ბერძნული ძეგლითაც ცნობილი ყოფილა ქართველებისათვის და ამ ხალხის შესახებ მათ გარკვეული წარმოდგენა აქვთ ლიტერატურული გზითაც. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ დინიტრის სასწაულმოქმედებათა ამ აღწერილობაში საუბარია ზალკანეთის სლავებზე, ნათ წარმართობაზე. მაგრამ დნეპრის მიდამოებში მცხოვრებნიც სლავური წარმოშობის რომ იყვნენ, იცოდნენ თუ არა XI საუკუნის მოწინავე ქართველებმა, არ ჩანს.

ქართული ძეგლების მიმოხილვის შემდეგ საჭირო იქნება ანავე ხანის (X—XI სს.) რუსული წერილობითი ძეგლების მიმოხილვაც. რუსული წერილობითი ძეგლი, რომელშიაც უძველესი ცნობებია მოცემული, რუსული მატიაწეა—„Повесть временных лет“. ჩვენამდე მოღწეული ამ ძეგლის უძველესი ტექსტი XII საუკუნის პირველ მეოთხედშია რედაქტირებული და ჩამოყალიბებული. ამ ძეგლის უკანასკნელ გვერდზე მინაწერია: „Игумен Силивестр святого Михаила, написах книги си летописецъ... в 6624, индикта 9 лета...“ მაშასადამე, 1116 წელს წმ. მიქაელის მონასტრის იღუმენს სილიბისტროს დაუსრულებია ამ მატიაწის იმ სახით დამუშავება, როგორც იგი ამჟამად არის დაცული ე. წ. ლავრენტის ნუსხაში, ხოლო ლავრენტის ნუსხა 1377 წელს არის გადაწერილი და ამაზე ადრინდელი ხელნაწერი (ძველი რუსული მატიაწის) ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. აქ თხრობა იწყება „ბიბლიური წარღვნის“ შემდეგი დროის მოვლენებიდან, სახელდობ, მოთხრობილია თუ როგორ გაინაწილეს ნოეს შვილებმა ქვეყანა. იქ, სადაც იაფეტის წილზე არის საუბარი, აღნიშნულია: „Афету же яшася полуношныя страны и западныя: Мидия, Альванья, Армения Малая и Великая, Кападокия, Фефлагони, Галат, Колхис, Воспорни, Меоти...“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Повесть временных лет. ч. 1. Москва-Ленинград, 1950, გვ. 9. მეცხ. აკად. გამოცემა.

ამ ტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს იათეტიის შთამონავლობის ხალხთა შორის „კოლხეთის“ მოხსენება. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუს მემკვიდრეებს თავისი თხზულების ეს შესავალი გიორგი ამარტოლის თხზულებიდან აქვს გადმოწერილი და არ ჩანს რუსული. მკვიდრის ავტორს წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა რა ეწოდებოდა მის დროს კოლხეთს, ან სად იყო ეს ქვეყანა. X—XI საუკუნისათვის კოლხეთი პოლიტიკური ცნება არ ყოფილა და ამიტომ დანამდილებით არ შეგვიძლია ვთქვათ—სწორად ჰქონდა თუ არა გააზრებული ეს ცნება მემკვიდრეებს. რა თქმა უნდა, ბიზანტიის მყოფი რუსებისათვის საქართველო და ქართველები ისევე ცნობილი უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ქართველებისათვის რუსები. შავი ზღვით რუსებს არ შეიძლებოდა საქართველო არ გაეცნოთ IX—X საუკუნეებში, მაგრამ ანისი წერილობითი კვალი ჯერჯერობით რუსულ ძეგლებშიაც არ ჩანს.

XI საუკუნეში კი ქრისტიანი რუსებისათვის ქრისტიანული საქართველო ყურადღების გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. იმ დროს ერთი ტრიკონის ქრისტიანებს ურთიერთობის გარეშე დარჩენა არ შეეძლოთ, სხვა გარემოებებზე რომ არაფერი ვთქვათ; და რომ ამ მსჯელობას საფუძველი აქვს, ამისი დასაბუთება ჩვენ შეგვიძლია რუსული წერილობითი ძეგლებით.

მაგრამ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, თუ რა ტერმინით გამოხატავენ იგივე რუსები ცნება „საქართველოს“. XI—XIII საუკუნეების ამბების თხრობის დროს რუსული წერილობითი ძეგლები საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად „Орѣва“-ს ხმარობდნენ. თვით ის ფაქტი, რომ „Орѣва“ ყოველგვარი განმარტების გარეშე არის მოხსენებულნი XI—XII საუკუნის ცნობებში, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ რუსებისათვის „ობეზ“ XI საუკუნეზე ადრე ცნობილი სიტყვაა, ბიზანტიის გზით შეთვისებული თუ არა კავკასიის ჩრდილო დასავლეთის საშუალებით მაინც. მაგრამ საქართველოს ყოველთვის აღვნიშნოთ სახელმწიფოს არ ეძახდნენ ჩვენი მეზობლები. ქართველი მეფეების ტიტულაციისაშიც „მეფე აფხაზთა“ გარკვეული დროიდან იწერებოდა; ასე რომ, რუსეთის სახელმწიფოს X საუკუნეში „ობეზი“, როგორც პოლიტიკური ცნება, უკვე უნდა ჰქონოდა. რუსულ ენაში ბიზანტიის მეშვეობით მოსალოდნელი იყო საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინის „ივერიის“ დამკვიდრებაც. მაგრამ ამ ტერმინს ჩვენ ჩვეულებრივ გამოთქმებში XIV საუკუნის მიწურულის რუსულ ცნობებში ვხვდებით მხოლოდ. მანამდე, მართალია, „ივერი“ გვხვდება იშვიათად.

მაგრამ რუსეთში უფრო პოლიტიკური შინაარსის მქონე „ობე-  
ზი“ არის გავრცელებული.

ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში XI საუკუნეზე ადრინ-  
დელი ცნობა, სადაც ქართველების შესახებ იყოს საუბარი, ჯერ-  
ჯერობით აღმოჩენილი არ არის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ  
შემთხვევაში კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრება („Кие-  
во-печерский патерик“). მაგრამ, ვიდრე ტექსტის და ცნობის გან-  
ხილვაზე გადავიდოდეთ, საჭირო იქნება თვით ამ ძველი რუსული  
ძეგლის შესახებ ითქვას ორიოდ სიტყვა.

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების XV საუკუ-  
ნეზე ადრინდელი ხელნაწერი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.  
ამ ძეგლის XV საუკუნის ორ რედაქციას — „არსენის რედაქციას“  
და „კასიანეს რედაქციას“ იცნობს მეცნიერება. პირველი გადა-  
წერილია ტვერში 1506 წელს ტვერელ ეპისკოპოსის არსენის ინი-  
ციატივით. მეორე რედაქცია კიევის მღვიმეთა მონასტრის ბერის  
კასიანეს განკარგულებით არის შესრულებული. ამ უკანასკნელის  
ორი ხელნაწერი გვაქვს, ერთი 1460 წელს დაწერილი, მეორე—  
1462 წლისა.

შემდეგ საუკუნეებში გრძელდება კიევის მონასტრის მამათა  
ცხოვრების შევსება-გადაკეთება და ზოგიერთ ადგილებში საგრძ-  
ნობლად ცილდება XV საუკუნის ხელნაწერთა ტექსტებს. ზოგან  
ძირითადი ტექსტი შეუკვეციათ ისე, რომ ჩვენთვის ამჟამად საინ-  
ტერესო ადგილი, სადაც ქართველებია მოხსენებული. გამოუტოვე-  
ბიათ კიდევ. ამდენად, კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვ-  
რების XVI—XVII საუკუნეების ხელნაწერებში ქართველების ხსე-  
ნება არ არის, ქართველებზე მხოლოდ XV საუკუნის ხელნაწერებ-  
შია საუბარი.

მამათა ცხოვრების ტექსტები შესწავლილია საფუძვლიანად  
და ახლა გამოქვეყნულია, რომ იგი იმ სახით, როგორც XV საუ-  
კუნის ხელნაწერების ორ რედაქციას დაუცავს, ძირითადად დაწე-  
რილია XIII საუკუნეში<sup>1</sup>. ძეგლის ამ სახით XIII საუკუნეში ჩამო-  
ყალიბება გამოწვეული ყოფილა შემდეგი გარემოებით: კიევის მო-

<sup>1</sup> XV საუკუნის ორივე რედაქციის ტექსტები გამოცემული აქვს დ. ი. აბ-  
რამოვის. იხ. Д. И. Абрамович, „Памятники славяно-русской—письменнос-  
ти. Патерик Киево-Печерского монастыря. Изд. Арх. комисс., СПб 1911  
г., ძეგლის შესახებ იხ. М. Д. Присёлков. Очерки по церковно-политической  
истории Киевской Руси X—XII вв. იხ. აგრეთვე А. А. Шахматов, Киево-  
Печерский патерик и Печерская летопись. иხ. Известия отделения  
русск. языка и словесности, Академии наук. 1897. — книга 21.

ნასტრის ბერი პოლიკარპე, თავის დროის შესაფერისად განათლებული ადამიანი, უკმაყოფილო ყოფილა მონასტერში მის გარშემო შექმნილი მდგომარეობით, მას თურმე პატრეს ისე არ სცემდნენ როგორც შეეფერებოდა. ამის შედეგად პოლიკარპეს თავის გულისწყრომა გულითად მეგობრისათვის—ვლადიმირის ეპისკოპოს სვიმონისათვის მიუწერია. სვიმონ ეპისკოპოსს პოლიკარპესათვის საპასუხო წერილში მორჩილება და მოთმინება ურჩევია და ამასთანავე კიევის მონასტრის ძველი მოღვაწეების ცხოვრებათა აღწერილობებიდან მოკლე ამბები და კიევის მონასტრის მთავარი ტაძრის აგების ისტორიაც თან დაურთავს. სვიმონ ეპისკოპოსი ამ ისტორიულ ამბებს იმისათვის აუწყებდა კიევის მონასტერში მოღვაწე პოლიკარპე ბერს, რომ მას ერთხელ კიდევ გაეთვალისწინებინა, თუ რაოდენ წმინდა საეანგეში იმყოფებოდა პოლიკარპე და როგორ მართებდა მას თავმდაბლობა და მორიდებით თავდაქერა ასეთი დიდი წარსულის მქონე მონასტერში.

გამორკვეულია, რომ სვიმონ ეპისკოპოსი (გარდაიცვალა 1226 წელს) მონასტრის ისტორიულ მასალას კრებდა კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების ძველი XI საუკუნის აღწერილობებიდან.

აი სწორედ ამ ძეგლის XV საუკუნის ნუსხეებში, იქ, სადაც კიევის მღვიმეთა მონასტრის მთავარი ტაძრის აგებასა და მოხატვაზე არის საუბარი, ცალკე პარაგრაფში მოთხრობილია კონსტანტინოპოლიდან კიევში ფერწერის ოსტატების მოსვლისა და მათთან მონასტრის წინამძღვრის ილუმენ ნიკონის საუბარის შესახებ. ამ საუბრიდან ნიკონმა გაიგო, რომ თითქოს მხატვრებთან გამოცხადებულა კონსტანტინოპოლში კიევის მონასტრის ორი მესვეური და მათთან მოლაპარაკება ჰქონდათ კიევის ტაძრის თაობაზე. მხატვრები და ეს ორი პირი შეთანხმებულან ისე, რომ კონსტანტინოპოლში ავანსად ოქროც მიუბოძებიათ მხატვრებისათვის. მხატვრები წამოვიდნენ შავი ზღვა-დნებრით კიევში, მაგრამ კიევის ტაძარი დიდი მოცულობის აღმოჩნდა. ილუმენ ნიკონს ეუბნებიან, რომ ასეთი სამუშაო ჩვენ ხელს არ გვაძლევს, შეთანხმება ჰატარა მოცულობის ტაძარზე გექონდა, ამიტომ თქვენი ავანსი—ოქრო დაიბრუნეთ, ჩვენ კი კონსტანტინოპოლში ვბრუნდებითო.

ილუმენს თითქოს გააკვირვებია მხატვრების ასეთი მსჯელობა და მოუთხოვია მათგან იმ პირების დასახელება, რომელნიც მათ კონსტანტინოპოლში შეუთანხმდნენ ტაძრის მოხატვის თაობაზე. მხატვრებს გარეგნულად აუწერიათ ეს ორი პიროვნება და მათი სახელებიც მოიგონეს: ერთს ანტონი ერკვეაო, ხოლო მეორეს —

თეოდოსე. ძველში შემდეგ ის აზრია გატარებული, რომ თითქოს კიევის მონასტრის ფუძემდებლები ანტონი და თეოდოსე, კარგა ხნის გარდაცვლილები, მონასტრის გამშვენებაზე გარდაცვლის შემდეგაც ზრუნავენ, საიქიოდან კონსტანტინოპოლში მხატვრებს გამოეცხადნენ და მოლაპარაკებას ისინი აწარმოებდნენ. თითქოს, როცა მხატვრებმა ეს გაიგეს, შეშინდნენ, შერცხვათ კიდეც და საყდარი ნოხატეს და გაამშვენეს.

მაგრამ ჩვენთვის ახლა ხელნაწერის ამ პარაგრაფის ზღაპრული წინაარსი კი არ არის საინტერესო, არამედ თვით ტექსტში წიხსნებულ მხატვრები, მათი სადაურობა და მათი ურთიერთობა XI საუკუნის რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან.

ამიტომ ხსენებული ძველიდან სათანადო ტექსტის და ჩისი თარგმანის აქ ნოტანა საკიროდ მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების XV საუკუნის ხელნაწერთა არც ერთი რედაქციის ტექსტი საქართველოს წიგნსაცკებში არ მოიპოვება.

აი კიდეც ერთსაც მოგიტხრობ. მოვიდნენ ილუმენ ნიკონთან ღვთისგან დაცულ იმავე ქალაქ კონსტანტინოპოლიდან ფერწერის ოსტატები (მხატვრები), რომელთაც უთხრეს (მთქმელნი): „წარმოგვიდგინეთ ჩვენ ისინი, რომლებმაც შეგვითანხმდნენ, ჩვენ გვინდა საქმის გასაჩივრება, რადგანაც გვიჩვენეს პატარა (მოცულობის) საყდარი (მოსახატავად) ჩვენ მათ შეუთანხმდით მრავალი ადამიანის (მოწიერების) წინაშე (თანდასწრებით), ხოლო ეს საყდარი უხარმაზარია (ძალიან დიდია). აი თქვენი ოქრო წაიღეთ (დაიბრუნეთ), ხოლო ჩვენ ვბრუნდებით ცარგრადში (კონსტანტინოპოლში)“. ილუმენმა უპასუხა: „როგორი იყვნენ შესახედვით ისინი, რომელნიც თქვენ შეგითანხმდნენ“, მხატვრებმა აღწერეს გარეგნობა და სახე და სახელიც თქვეს მათი—ანტონი და თეოდოსე. და უთხრა მათ ილუმენმა (ნიკონმა): „შვილო ჩემო, არ შეგვიძლია მათი თქვენს წინაშე წარმოდგენა. ათ წელზე მეტია რაც ისინი ამ ქვეყნიდან წარვიდნენ (გარდაიცვალენ), და ახლა განუწყვეტლივ ჩვენთვის მლოცავნი არიან, და მუდამ მფარველობენ ამ საყდარს. ზრუნავენ თავის მონასტერზე და ილწვიან მასში დამკვიდრებულ თათვის (მცხოვრებთათვის)“.

მოისმინეს რა ეს, ბერძნები შეშინდნენ ამ პასუხით, რამეთუ ნათ წამოყვანილი ჰყავდათ (წამოეყვანათ) სხვა მრავალი ვაჟარი, რამეთუ ისინი ამ ბერძნებთან და ქართველებთან ერთად წამოსულიყვნენ იქედან (კონსტანტინოპოლიდან) და სთქვეს (ბერძნებმა და ქართველებმა) „ამათ წინაშე (თანდასწრებით) შეთან-



ხნების პირობა დაედეთ და მათი ხელიდან (ანტონის და თეოდოსესაგან) ოქროც ავიღეთ, ხოლო შენ არ გასურს ისინი (ანტონი და თეოდოსე) წარმოგვიდგინო ჩვენ და თუ ისინი მართლა გარდაცვლილი არიან, გვაჩვენე (ხატი) სურათი მათი, ამათაც (ვაკრებმაც) ნახონ, რომ (სწორედ) ისინი (ანტონი და თეოდოსე) არიან. მაშინ იღუმენმა გამოიტანა ყველას წინაშე სათი სურათი (ხატი). ნახეს რა ბერძნებმა და ქართველებმა (ხატი) სურათი მათი (ანტონის და თეოდოსეს) თაყვანი სცეს მთქველებმა: „ქვეწარმეტად ისინი არიან (ვინც მათ კონსტანტინოპოლში გამოეცხადათ), ჩვენ გვწამს რამეთუ ცოცხლები არიან ისინი (ანტონი და თეოდოსე) სიკვდილის შემდეგაც, და შეუძლიათ შევლა, დახმარება და ხსნა მათ მოიხდეთა“ და მისცეს მას (მონასტერს) მოზაიკა (სოფიის კენჭი), რომელიც გასასყიდად მოეტანათ და მით წმინდა საკურთხეველი გაანთხენეს. მხატვრები კი თავის შეკოდებას ინანიებდნენ...<sup>1</sup>.

მოტანილ ტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ XI საუკუნის რუსულ წმინდანთა ცხოვრებაში, რომელიც

<sup>1</sup>. „Се едино скажу. Придоша от того же богохранимого града Константинопля иници ко игумену Никонову, глаголюще: «постави рядыце наше. хощем тягитися, вам показаша церковь малу, ти тако урядихомся пред многими человеки, и си велика велики. Се ваше злато, возмите, да мы идемъ Цесарюграду. Отвеша игуменъ: „како беша ряд девшии с вами?“ Иници спашаша подобие и образ и имени Антошия и Феодосья. И рече игуменъ: „О чадо, не можемъ вамъ техъ явити, преже бо 10 летъ отидоша света сего, и суть непреставнио молящияся за ны и неустоно хранить сию церковь, снабдяти свой монастырь и промышляютъ о живущихъ и немъ». Си слышавше, Грци ужасни бываше о ответе, приведоша же и ннихъ много гостий, иже беша отуду шествоваше с теми Грци же и Обези, и глаголаху: «предъ семи рядъ створихомъ и злато взяхомъ отъ руку и не хощемъ явити намъ. Аще же ли прѣставилася еста, яви намъ образъ ея, да си видяти, аще та еста». Тогда игуменъ инесе прѣтъ всеми иконе ея. Видевши же Грци и Обези образъ ея, поклонишася, глаголюще, яко си еста воистину, и веруемъ, яко жива еста и по смерти и можета помогати и заступати и спасати уновающихъ къ нима. Вдана же и мусия, юже беша принесли на продажю, ея же святый олтарьъ устроенъ бысть. Иници же начаша каятися своего согрешения...» об. Памятники славяно-русской письменности. Патерикъ Киево-Печерского монастыря С. П. Б. 1911 г. Изд. Арх. комисси под редакци Д. П. Абрамовича. гв. 293. ეს ტექსტი ე წ. არსენის რედაქციიდან არის ამოღებული. ამავე გამოცემაში ე. წ. კასიანეს რედაქციის შესატყვისი ტექსტაც არის (იბ. გვ. 8). არავითარა შინა-არსობრივი სხვაობა არ არის კასიანეს რედაქციის ამ ტექსტს, ამიტომ ზედმეტად მივიჩნიეთ ამ მეორე ვარიანტის აქ მოტანა, ქართველებზე ისევე არის საუბარი, როგორც ზემოთ მოტანილ ტექსტში.

ხელთა ჰქონია XIII საუკუნეში მოღვაწე სვიმონ ვლადიმირელ ეპისკოპოსს, საუბარი ყოფილა ბერძენი და ქართველი ფერწერის ოსტატების კიევიში მიწვევის შესახებ. რუსული უძველესი მატიანის ცნობებით, თეოდოსესა და ანტონის მოღვაწეობა XI საუკუნეში მიმდინარეობს,<sup>1</sup> თეოდოსეს გარდაცვალების ზუსტი თარიღიც მოცემულია აქ—1074 წელი. ისე რომ, XI საუკუნის ოთხმოციან წლებში ხდება კიევის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატვა. აი ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ ქართველებისა და ბერძნების კიევიში მოსვლა.

მაგრამ მოტანილ ტექსტში ყველაფერი ნათელი არ არის. როგორც ვხედავთ, ჯერ ბერძენ მხატვრებზე არის საუბარი „Си слышавше, Гръци ужасны бывше о ответе“.

ტექსტის დასაწყისშიაც ისე არის ამბავი მოთხრობილი, რომ თითქოს, რაკი კონსტანტინოპოლიდან არიან მოსული მხატვრები, ისინი ბერძნებად უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ შემდეგ ტექსტი ისეთ ფორმაშია მოცემული, რომ ქართველები ბერძენ მხატვრებთან ერთად ამბის დასაწყისშივე უნდა ყოფილიყვნენ მოხსენებულნი. მოტანილ ტექსტში ვკითხულობთ: „Си слышавше, Гръци ужасны бывше о ответе, приведоша же и иных много гостей, иже беша отуду шествовавшие с теми Гръци же и обезн...“. ამ ტექსტის ზუსტი თარგმანი ასეთია: „მოისმინეს რა ეს, ბერძნები შეშინდნენ ამ პასუხით, რამეთუ მათ წამოეყვანათ სხვა მრავალი ვაჭარი, რამეთუ ისინი ამ ბერძნებთან და ქართველებთან ერთად წამოსულიყვნენ იქედან...“. მაშასადამე, ტექსტის დასაწყისში რომ კონსტანტინოპოლიდან მოსულ მხატვრებზე არის ზოგადად საუბარი, იქ იგულისხმება ქართველებიც და ბერძნებიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ტექსტში, რომელიც სვიმონ ეპისკოპოსს ჰქონდა ხელთ XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში, საუბარი იყო იმთავითვე კონსტანტინოპოლიდან მოსული ქართველი და ბერძენი მხატვრების შესახებ. ეს ოსტატები კიევის მონასტრის მესვეურებს ერთად გამოუწვევიათ, მაგრამ ქართველი ოსტატებიც დაიჭირავეს რუსებმა თუ არა კონსტანტინოპოლში, ეს გამოსარკვევია.

კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრებიდან ზემოთ მოტანილი ტექსტის საფუძველზე ზოგიერთ მკვლევარს ისეთი დასკვნები აქვს გამოტანილი, რომელთა გაზიარება ჩვენ არ შეგვიძ-

<sup>1</sup> ანტონისა და თეოდოსეს ცხოვრების შესახებ იხ. А. Шахматов, Жизнь Антония и Печерский летописец. Журнал министерства II. просвещ. 1898. ანტონის შესახებ იხ. М. Приселков, Очерки по церковно-политической истории Киевской Руси. СПб, 1913, გვ. 263—274.

ლია. მაგალითად, მ. ნ. ტიხომიროვი თავის „Источниковедение истории СССР“-ის პირველ წიგნში წერს: „Рассказывая о построении великой лаврской церкви, Печерский Патерик (памятник, восходящий отдельными своими частями к XI в.) говорит, что мастера, построившие эту церковь происходили из Обез, т. е. Абхазии“<sup>1</sup>.

არავითარი ცნობა კიევის ტაძრის მშენებელ ხუროთმოძღვართა ან კალატოზთა ქართველობის შესახებ არც ერთ ძეგლში და არც კიევის მონასტრის მამათა ცხოვრებაში არ მოიპოვება. ამ უკანასკნელში მშენებელი ხელოსნებისა და ხუროთმოძღვრების შესახებ ცალკე პარაგრაფია მოცემული, მაგრამ იქ მხოლოდ ბერძნებზეა საუბარი, რომელიც თითქოს ღვთისმშობელს გამოეგზავნა „სასწაულბრივი“ კონსტანტინოპოლიდან.

თავისთავად ცხადია, პროფ. მ. ნ. ტიხომიროვს მხედველობაში აქვს კიევის მამათა ცხოვრების ის ტექსტი, რომელიც ჩვენ ზემოთ მთლიანად მოვიტანეთ. აქ კი მხატვრებზე არის საუბარი და არა ხუროთმოძღვრებზე. ვერ გავიზიარებთ მკვლევარის იმ განმარტებასაც, თითქოს ძველი რუსული „Обез“ იმ აფხაზეთს ნიშნავდეს, რომელიც დღეს ავტონომიური რესპუბლიკის სახით არსებობს. ამ ტერმინის ასეთ გაგებას რატომღაც თანამედროვე სხვა რუსი მეცნიერებიც გვთავაზობენ, მაგრამ აშკარა გაუგებრობის გამო, რაზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

მეორე მკვლევარი ვორონოვი თავის სტატიაში: „Зодчество Киевской Руси“ ერთგან წერს: „Согласно свидетельству Печерского Патерика, эту мусию приносили на „продание“ не только греки, но и обезы (так называли в те времена абхазцев, живших на северо-восточном побережье Черного моря, по соседству с Тмутараканью)“<sup>2</sup>. ავტორი აქ ეხება კიევის ტაძრის სოფიის კენჭით მოხატულობას (მოზაიკას), თითქოს მასალა აფხაზებმა მიიტანეს კიევში გასაყიდად და, რაც ნათავარია, თითქოს ცნობა ამის შესახებ კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრებაში იყოს დაცული. ვორონოვსაც სწორედ ის ტექსტი აქვს გამოყენებული თავის დებულების დასამტკიცებლად, რომელიც ჩვენ მთლიანად მოვიტანეთ ზემოთ ამონაწერის სახით. მაგრამ ჩვენ კიევის მამათა ცხოვრების სათანადო ადგილის არც ვორონოვისეული გაგება მიგვაჩნია მართებულად.

<sup>1</sup> М. Н. Тихомиров, Источниковедение истории ССР. т. I, 1940, გვ 8.

<sup>2</sup> История русского искусства. I, 1953. იხ. ვორონოვის სტატია, გვ. 212.

კიევის მამათა ცხოვრების მოტანილ ტექსტში საუბარი არის არა მარტო იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლიდან მოწვეულ მხატვრებს (ქართველებსა და ბერძნებს) თან ჰქონდათ გასაყიდად წამოღებული სოფიის კენკი, არამედ ამ მასალით მათ ტაძრის საკურთხეველი მოურთავთ. როგორც ჩანს, ბერძენ და ქართველ ოსტატებს ტაძრის მოსახატავი მასალა—საღებავები და სოფიის კენკი თავიანთი მოაქვთ კიევში და საამისოდ ცალკე სასყიდელს იღებდნენ, ხოლო თვით მოხატვაში კიდევ ცალკე. ამის დამადასტურებელია ტექსტში მოცემული წინადადება: „Вдана же и мучию; юже неша принесли на продажю“. ამ მომენტს ავტორი საგანგებოდ იმიტომ აღნიშნავს, რომ გვიჩვენოს ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ანტონისა და თეოდოსეს ამბებმა მოახდინეს მხატვრებზე—მათ გასაყიდად მოიტანეს სოფიის კენკი, მაგრამ კი არ გაუყიდიათ, უბოძებიათ ტაძრისთვის („Вдана“).

ტექსტიდან არ ჩანს ქართველების არის მასალა (სოფიის კენკი) თუ ბერძნების. არ ჩანს აგრეთვე როგორ არის განაწილებული სამუშაო ქართველ და ბერძენ ოსტატებს შორის, რომელი ხატავს საღებავით და რომელი ამკობს სოფიის კენკით. ისე კი უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ, რაკი ქართველები საგანგებოდ არიან მოხსენებული ოსტატებს შორის, მათ, ისევე როგორც ბერძნებს, ქრისტიანული სამყარო იცნობს, როგორც დიდოსტატებს ეკლესიის მოხატვის საქმეში. შესაძლებელია ქართველები სოფიის კენკით ტაძრის შემკობაში იყვნენ დახელოვნებული და კიევისაც მათი მოწვევა საქიროდ დაენახოს. რომ აქ მოულოდნელი და გადაქარბებული არაფერი არ უნდა იყოს, ამის დამადასტურებელი არის გელათსა და წრომში დღესაც დაცული ძეგლები, სადაც სოფიის კენკით ტაძრების შემკობის იშვიათი ხელოვნებაა მოცემული. როგორც ცნობილია, ასეთი ნიმუშები არა ერთი იყო ძველ საქართველოში, მაგრამ ჟამთა სიივემ მხოლოდ რამდენიმე შემოგვინარჩუნა.

ქართველ ოსტატთა ნაკვალავის ძიება კიევში თვით ძეგლების შესწავლის შედეგებმა უნდა მოგვეცეს. შესაძლებელია საქართველოში დაცული მოზაიკის ძეგლების დეტალურად შესწავლამ ცხადყოს ამ დარგის ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დეტალი, ასეთ ვითარებაში ქართული ხელოვნების კვალის ძიებამ კიევის ანალოგიურ ძეგლებში შედეგი შეიძლება მოგვეცეს კიდევ.

ვორონოვს, ისე როგორც ზოგიერთ მკვლევარს, „Отез“ ტერმინი ისე აქვს გააზრებული, თითქოს ისინი (ობეზები) ტმუტარაკანის მეზობლად მცხოვრები აფსუების ტომი იყოს. ჩვენთვის სავსებით

გასაგები არ არის, რატომ შეიქმნა სრულიად გარკვეული შინაარსის მქონე სიტყვა კვლავ სადავო და საძიებელი.

თვით ძველი რუსული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ „ობეზი“ ძველ რუსულში ქართველს ნიშნავდა. საკმაოდ ცნობილ რუსულ ძეგლში „Толковая Палая“ ში სხვა მასალებს შორის მოცემულია Jiber generationis-ის რუსული ვერსია.

საყოველთაოდ ცნობილია<sup>1</sup>, რომ შუა საუკუნეების ბიზანტიაში შედგენილი იყო მსოფლიოში მცხოვრებ ხალხთა ნუსხა და მათი გენეალოგია ბიბლიური მონაცემების საფუძველზე. ამ თხზულებას კულტურული ქრისტიანული ხალხები თარგმნიდნენ სხვადასხვა დროს. ქართველებს, როგორც ჩანს, XI საუკუნისათვის იგი უკვე თარგმნილი ჰქონიათ. მოგვიანებით რუსულ ენაზეც თარგმნილა ბერძნულიდან. აქ რუსულ თარგმანში ავტორი, ისევე როგორც ქართველი მთარგმნელი ექვთიმე მთაწმიდელი, საკუთარ განმარტებებს ურთავს ამა თუ იმ ხალხის სახელწოდებას. რუსულ თარგმანში 72 ხალხია ჩამოთვლილი. მათ შორის ერთგან ქართველების შესახებ ვკითხულობთ: „а вер, иже суть о б е з и“... „руми иже зовуться греци“...<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ძველი განათლებული რუსი ბერძნულ დედანში მოხსენებულ „ივერ“-ს იმ დროს რუსეთში გავრცელებულ ამ ცნების შესატყვისი ტერმინით განმარტავს—„რომელ არიან „ობეზები“-ო. აფხაზეთი საქართველოდ ესმოდა ყველა ჩვენს მეზობელ ხალხს და ამ ტერმინს იმ დროისათვის სხვა შინაარსი არ ჰქონია არც ერთი ხალხის ენაზე.

ამრიგად, როგორც ვხედავთ საქართველოს კულტურული ურთიერთობა ჰქონია ძველ კიევთან და ცნობა ამის შესახებ რუსულმა ძეგლმა შემოგვიჩინა.

## პრტიმარტობა ძველ რუსულ სამთავროებსა და საქართველოს შორის

ცნობილია, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის ძველი სახელმწიფო შინა და საგარეო მიზეზების გამო დაქუცმაცების გზას დაადგა და ერთი ძლიერი სახელმწიფოს ნაცვლად

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VII, 1948 წ., გვ. 1—15.

<sup>2</sup> Повесть временных лет, часть II, изд. Академии наук СССР, 1950 г., гв. 213; იხ. აგრეთვე. А. Шахматов, Повесть временных лет и ее источники, Труды Отдела древнерусской литературы, IV, 1940.

XII საუკუნეში ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირისპირებული ფეოდალური სამთავროები წარმოიქმნა. ამათგან მნიშვნელოვანი სამთავროები იყო: კიევის, ჩერნიგოვ-სევერსკის, ვოლინის, პოლოცკის, სმოლენსკის, ნოვგოროდის, როსტოვ-სუზდალისა და მურომ-რიანის.

ამ პროცესს თან დაერთო ყივჩაყთა მრავალრიცხოვანი ტომების გამოჩენა აღმოსავლეთიდან, რომელთაც დაიკავეს მთელი ტრამალები ვოლგიდან მოკიდებული აზოვის ზღვამდე. XI საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მათი გამოჩენა და თარეში რუსეთის სამთავროების საზღვრებზე, ეს შემოტევები გრძელდებოდა საუკუნის ბოლომდე. მართალია, XII საუკუნის დასაწყისში რუსული სამთავროების ძალთა გაერთიანების შედეგად ერთ ხანს აილაგმა ყივჩაყთა თარეში, მაგრამ შემდეგ მთელი საუკუნე, თვით მონგოლთა შემოსევამდე, ყივჩაყთა საფრთხე არ მოხსნილა რუსეთის სამთავროების საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან. გზა საქართველოს სახელმწიფოდან რუსეთისაკენ ყივჩაყთა ტერიტორიაზე გადიოდა. XII საუკუნისათვის შავი ზღვითა და ღნებრით რუსეთზე მისასვლელი გზაც ყივჩაყების თავდასხმების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, მათი ტომები თანდათან დასავლეთისაკენ მიიწევნენ და აზოვისა და შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებს ეუფლებოდნენ.

ამავე დროს XII საუკუნეში საქართველოს ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელსაც იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი წონა და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული.

მოსალოდნელი იყო ქართულ ძეგლებს XII საუკუნისათვის მეტი ცნობები შემოენახა საქართველოს ჩრდილოეთთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ძეგლების გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ეს მოლოდინი არ მართლდება. მაგრამ არ მართლდება, ჩვენი აზრით, არა იმიტომ, რომ XII საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს კავშირი და ურთიერთობა არ ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქართული ძეგლების უმნიშვნელო ნაწილმა. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ფაქტს და მოვლენას აქვს ადგილი, მაგრამ წერილობით ძეგლებში ამ ფაქტების შესახებ ყოველთვის არ არის საუბარი. იმ დროის აღმავას, რასაკვირველია, ჩვენი, XX საუკუნის ისტორიკოსების, ჩოთხოვნილებათა და ინტერესის მიხედვით არ შეეძლო ცნობები წევგროვებინა და თავის თხზულებაში შეეტანა.

XII საუკუნის ქართულ ძეგლებში რუსეთის შესახებ სამთხზულტებაში არის საუბარი. ორი შეეხება თამარ მეფის პირველი ქმრის გიორგი ანდრიას ძის საქართველოში მოყვანას, ხოლო ნესამე პოეტი-მოგზაურის რუსეთზე გავლას.

განვიხილოთ ეს ცნობები.

რუსი უფლისწულის, გიორგი ანდრიას ძის, საქართველოში თამარ მეფის მეუღლედ მოწვევის შესახებ არსებითი ხასიათის ცნობებს მხოლოდ ქართული ძეგლები გვაწვდის. რუსულ ძეგლებში ამ ფაქტის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს და XIX საუკუნემდე რუსეთის ისტორიკოსებისათვის იგი უცნობი იყო.

თამარ მეფის ორივე ისტორიკოსი საგანგებოდ ჩერდება რუსი უფლისწულის თამარის ქმრად მოწვევის და განდევნის საკითხებზე. პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და ახმანი შარაჟანდედთანის“-ს ავტორი, უფრო დაწვრილებით აღწერს ამ ფაქტს, ვინემ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი, ე. წ. ბასილ ეხოსმოძღვარი, მაგრამ ამ მეორე ისტორიკოსსაც არა ერთი მნიშვნელოვანი ცნობა აქვს დაცული თამარ მეფის ამ პირველი ქორწინების შესახებ.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარისათვის საქმროს შესარჩევად საგანგებო თათბირი მოწვეულა თანარის გამეფების პირველ წლებშივე. ისტორიკოსს თარიღი დასახელებული არ აქვს, მაგრამ მოთხრობილი ამბების თანმიმდევრობიდან ეს კარგად ირკვევა. ისტორიკოსი ამ თათბირის შესახებ წერს: „შეიყარნეს შემკირნენი და ზრახვა ყვეს ძებნად წალმართისა და მოყვანად ქრმისა“-ო.

თამარის საქმროდ გამიზნული კანდიდატების სიმცირეს ისტორიკოსები არ ჩივიან. თამარის პირველი ისტორიკოსი ამის შესახებ გვაუწყებს: „მოსულ იყენენ ოსთა მეფეთა შვილნი, შვენიერნი და სახე კეთილნი მოყმენი“<sup>1</sup>. ერთი კანდიდატთაგანი „ბერძენთა მეფის ძმისწული ალექსი“ ყოფილა. თუმცა ისტორიკოსს ამჯერად აღნიშნული არ აქვს, მაგრამ, როგორც შემდეგი აღწერილობიდან ჩანს, მეზობელი მაჰმადიანი მულობელების წრეებიდანაც თამარის ხელის მთხოვნელი არა ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ქრისტიანი კანდიდატების არსებობის პირობებში გამარჯვების უიმედობის გამო საკითხის დასმა ვერ გაუბედავთ ალბათ.

საქმროს შესარჩევად შეყრილი თათბირი ისტორიკოსებს დაწვრილებით არა აქვთ აღწერილი. პირველი ისტორიკოსი თათბირს ასე აღწერს, რომ თითქოს, როგორც კი შეიკრიბნენ, მაშინვე გა-

<sup>1</sup> ისტორიანი და ახმანი შარაჟანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 82.

მოვიდა თათბირის ერთ-ერთი მონაწილე „ამირაჲ ქართლისა და ტფილისისაჲ სახელით აბულასან“ და რუსი მთავრის შვილის კანდიდატურა წამოაყენაო. რადგანაც ისტორიკოსის ამ ცნობას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და მისი განხილვა მოგვიხდება, მართებულად მიგვაჩნია ტექსტის სათანადო ადგილის აქ მოტანა: „...გამოვიწმინდა მეტყუელი მკვიდრთაგან ტფილისისათა, თავადი, და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა—ველდასხმული, ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ, სახელით აბულასან, რომელმან თქუა: მე ვიცი შვილი კელმწიფისაჲ, ანდრია დიდისა რუსთ მთავრისაჲ, რომელსა ჰმონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი, და იგი მცირედ დარჩომილი მამისაგან, ექსორიაქმნით—დევნული, გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან, და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სუნჯისა ქალაქსაჲ. მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკვიდრთაგან დიდ-ვაჰარი, სახელით ზანქან ზორაბაბელ; მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთაჲთა, წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაენისა მოყმე სახე-კეკლუცი“<sup>1</sup>.

მაშასადამე, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის გადმოცემით თამარის საქმროს შესარჩევად საგანგებო თათბირი მოწვეულა და ამ თათბირზე თითქოს უოველგვარი კამათის გარეშე თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული კანდიდატი, რუსი უფლისწული, დაუმტკიცებიათ და მოუწვევიათ კიდეც.

თამარ მეფის ამ ისტორიკოსის ცნობიდან არ ჩანს, რატომ გადაწყდა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ საქმე.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი მოკლედ, მაგრამ სხვაგვარად მოგვითხრობს ამავე ამბავს. მისი სიტყვით, თამარის საქმროს შესარჩევად საგანგებო თათბირი არ მოწვეულა. მას მოთხრობილი აქვს, რომ, როცა თამარი ტახტზე ავიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ მან საეკლესიო კრება მოიწვიაო. ამ კრებაზე თამარი სიტყვით გამოსულა, მცირე ხანს კრებაზე დარჩენილა და შემდეგ წასულა: „ჯდა უკვე თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერმე მოილო კურთხევა მათგან და წარმოვიდა პალატად თვისად“<sup>2</sup>. რამდენ დღეს გრძელდებოდა ეს საეკლესიო კრება, ისტორიკოსს აღნიშნული არ აქვს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ კრების დღის წესრიგში დასმული საკითხების სიმწვავეს, უნდა დაეასკვნათ, რომ სხდომები რამდენიმე დღეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოც. გვ. 81.

<sup>2</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1944 წ., გვ. 15.

<sup>3</sup> ამ კრების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტ. წ. II, ნაკვ. II, გვ. 136—155.



კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მოკლედ აღწერის შემდეგ იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს: „...ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოაჯსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყუანებად სიძისა თამარისათჳთის, რომელი ყვესცა. და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათჳს მათ ნათესაეთასა. და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს“<sup>1</sup>.

მასასადამე, საეკლესიო კრების დასასრულს დიდებულთა გარკვეული ჯგუფი შევიდა სხდომაზე და თამარის გათხოვების და საქმროს კანდიდატის შერჩევის, დამტკიცებისა და მოწვევის საკითხიც გადაწყდა. ამ ისტორიკოსის სიტყვით, გაერთიანებულ სხდომაზე რუსი უფლისწულის კანდიდატურის გამარჯვება რუსების ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის ფაქტმა გადაწყვიტაო.

თამარის გამეფების წინა და მისი გამეფების პირველ წლებში მომხდარი სოციალური ხასიათის ამბების გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ რუსი უფლისწულის თამარის ქმრად მოყვანა მარტო სარწმუნოების საკითხთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და იგი უფრო ღრმა სოციალურ მოვლენებთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაწეულ შრომის შემდეგ საქართველოს იმ დროის სოციალური ცხოვრების სურათი, მიუხედავად ისტორიული ცნობების სიმცირისა, საკმაოდ რელიეფურად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუმცა რიგი საკითხები გადაუწყვეტელი რჩება.

დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებული გამარჯვება დიდებულ აზნაურებზე გიორგი III-ის დროს შერყეული ჩანს. გიორგი III არა ერთხელ დამორჩილებია აზნაურთა სურვილებს, ეს კი მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იყო<sup>2</sup>. 1177 წელს ივანე ორბელის მეთაურობით გიორგი III-ის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოხდა, აჯანყებულებმა მეფის ძმისწული დემნა გარიეს თავიანთ საქმეში, აჯანყება დამარცხდა, მეფემ აჯანყების აქტიური მონაწილე დიდგვარიანი აზნაურები სახელმწიფო საქმეებიდან გადააყენა და მათ ნაცვლად „უგვარონი“ დააწინაურა.

<sup>1</sup> ბასილი ვხოსმოდღარი, გვ. 16.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტ., ნ. II, ნაკვ. II, გვ. 137—138.

გიორგი III-ის ეკლესიის მსახურნიც აუმხედრდნენ, მეფე აქ დათმობაზე წავიდა და ეკლესია გადასახადებისაგან გაათავისუფლა, იმავე დროს დიდგვარიან აზნაურთა ერთ-ერთი წარმომადგენელი მიქაელი კათალიკოსად დგება, ხოლო ცნობილი ნიკოლოზ გულაბრის ძე „ქართლის სამღვდლოების მოწინავე, განათლებული და მეფეთა სოციალური პოლიტიკის... მომხრეთა ნაწილის წარმომადგენელი“<sup>1</sup>, პატრიარქობიდან განყენებულ იქნა.

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ გამოაშკარავდა ის დაძაბული მდგომარეობა, რომელიც გიორგი მეფის მცდელობით სავსებით გამოვლინებულ არ იყო. თამარის განმეფებამ საშუალება მისცა გაბატონებული კლასის უკმაყოფილო ფენებს თავიანთ მისწრაფებათა განხორციელება ეცადათ. ეკლესიის საქეთმპყრობელს მიქაელ პატრიარქს შემდეგში მწიგნობართუხუცესობაც ხელთ უგდია და სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში ეკლესიის გაბატონების ცდა თითქოს ფაქტი გამხდარა. მიქაელს საკმაოდ ძლიერი მომხრენი ჰყოლია.

თამარ მეფესა და მის მრჩეველებს შექმნილი მდგომარეობისათვის მორჩილება არ გამოუცხადებიათ, თავის მხრივ სამზადისი ჩაუტარებიათ და ბრძოლა დაუწყიათ. პირველ რიგში საეკლესიო კრება მოუწვევიათ. ამ კრებაზე მიქაელ კათალიკოსისა და მისი მომხრეთა ალაგგვა მოუწადინებიათ. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ მიქაელ კათალიკოსი ამ კრებაზე „ვერა განაყენეს“; თუმცა ამისათვის „ფრიად იღვაწესო“. თამარ მეფე და მისი მომხრეები აქ დამარცხდნენ. მიქაელი გარდაცვალებამდე (1190—91) პატრიარქი და მწიგნობართუხუცესი იყო<sup>2</sup>.

თამარ მეფის მომხრე დასის სისუსტე, რომელიც ხსენებულ საეკლესიო კრებაზე დადასტურდა, ამაზე ადრე გამოიყენეს დიდგვარიანმა აზნაურებმა და მთავრობას ულტიმატური ხასიათის წინადადება წაუყენეს: „ალარ ვეგებით ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანს ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრკვილნი და უპატიოდ გასულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასულნი ვართ უგუაროთა და უქართაგანო“<sup>3</sup>. მაშასადამე, დიდგვარიანებმა გიორგი III-ის მიერ ჩატარებული ღონისძიების გაუქმება მოითხოვეს ისე რომ, თამარ მეფე იძულებული გამხდარა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, „უგუარო“ მოხელენი თანამდებობიდან გადაეყენებინა.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტ. 5. II, ნაკ. II, გვ. 141—142

<sup>2</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>3</sup> ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი, კ. კვეციძის გამოც., 1941 წ., გვ. 76.

მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა, ახლა თვით დიდგვარიან აზნაურთა წრეში დაიწყო დავა თანამდებობისათვის. ისტორიკოსი აღნიშნავს: „ბრძოლისა მყოფთა კელისუფლებისა და დიდებისათვის“ დიდგვარიანებმა „ურთიერთ დაუწყეს ზილეა“-ო<sup>1</sup>.

ამ დროს ხდება საქართველოს ისტორიაში ცნობილი ყუთლუ არსლანის პოლიტიკური ხასიათის ფრიად მნიშვნელოვანი გამოსვლა. მან დიდგვარიანი აზნაურებისაგან განსხვავებული პოლიტიკური მოთხოვნილება წამოაყენა და საქართველოს მეფის მანამდე არსებული უფლება შეიზღუდა<sup>2</sup>.

ასეთი პროცესები მიმდინარეობდა სწორედ მაშინ, როცა თანარის გათხოვების საკითხი დაისვა. არ იქნება მართებულთა თამარისათვის საქმროს შერჩევის საკითხი ამ სოციალური და პოლიტიკური ხასიათის პროცესების გარეშე წარმოვიდგინოთ.

აქ უნებლიედ ისმება მეორე საკითხი საქართველოს ისტორიიდან—რას წარმოადგენდა პოლიტიკურად და რა უფლებოს მატარებელი იყო ქალი-მეფის ქმარი იმ დროის საქართველოში? თამარი პირველი ქალი-მეფე იყო საქართველოს XII საუკუნის სახელმწიფოში და, თუ არ ვცდებით, პირველად ამ დროს მუშავდებოდა მეფის ქმრის უფლებები. ამიტომაც საქართველოში შექმნილი ამ სოციალური და პოლიტიკური პროცესის გარეშე თამარის საქმროს შერჩევის საკითხის განხილვა სინამდვილეს ვერ აღადგენს.

ბუნებრივია საკითხის დასმა: რომელმა დასმა წამოაყენა რუსი უფლისწულის კანდიდატურა, რას გამოელოდა მასგან, თანახმა იყო თუ არა თამარი ამ არჩევანის და თუ არ იყო, რას ნიშნავს, რომ რუსი უფლისწული მაინც თამარის ქმარი შეიქნა.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, თანარის საქმროს შესარჩევად თითქოს საგანგებო თათბირი იყო მოწვეული. ამ ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი იმის შესახებ, რომ თამარ მეფემ საეკლესიო კრება მოიწვია და ამ კრებაზე მიქაელ პატრიარქის „განყენება“ სურდა და აქვე გადაწყდა თამარის გათხოვების საკითხი.

თამარის მეორე ისტორიკოსი საქმის ვითარებას ისე წარმოგვიდგენს, რომ თამარის საქმროს შერჩევის საკითხი საეკლესიო კრებაზე გადაწყდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, კრების დასასრულს დიდებულთა წინადადებით აქ გადაწყდა რუსი უფლისწულის მო-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი. გვ. 77.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ, ისტ. II, ნაკვ. II. გვ. 181.

წვევა. ამის შემდეგ ეს გადაწყვეტილება რუსუდან დედოფალს აცნობეს, კაცი გაგზავნეს და საქმრო მოიყვანეს.

როგორ უნდა შევათანხმოთ ამ ორი ისტორიკოსის ცნობები? საფიქრებელია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსთა ცნობები ერთიმეორეს ავსებენ. მათ ცნობებში წინააღმდეგობა არ არის საგულისხმებელი.

საქმის ვითარება შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: იმ დროს, როდესაც საეკლესიო კრება მიმდინარეობდა და მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს ებრძოდნენ, საეკლესიო კრების დამოუკიდებლად, ცალკე საერო ხელისუფალთა და გავლენიან აზნაურთა სამხედრო წრის თათბირი შემდგარა, რომელზეც თამარის გათხოვების საკითხი განხილულა. აქ, ამ კრებაზე აბულასანის წინადადებით გადაწყდა რუსი უფლისწულის მოწვევა. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი რომ საეკლესიო კრების შესახებ არას ამბობს, ამით უნდა აიხსნებოდეს. იმის შემდეგ, როცა საეკლესიო კრება დასრულდა და სავსებით გამოაშკარავდა, რომ საეკლესიო კრებაზე მეფე და მისი მომხრენი დამარცხდნენ, მიქაელი ვერ „განაყენეს“, დიდებულნი საეკლესიო კრებას ეწვივნენ და მას დაადასტურებინეს თავიანთი გადაწყვეტილება. თამარის მეორე ისტორიკოსი სწორედ ამ მომენტს უნდა ასახავდეს, როცა ამბობს: „ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი და მოაქსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყუანებად სიძისა თამარისათუის, როღელი ყვესცა“<sup>1</sup>.

ამ ტექსტიდან ჩანს, რომ დიდებულნი საეკლესიო კრებას მიმართავენ წინადადებით, ერთად გავარჩიოთ საკითხიო. — „მოაქსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ“. არ არის დასაჯერებელი, რომ ორგანიზებულად მოქმედი დიდებულნი საეკლესიო კრებაზე ხელცარიელი გამოცხადდნენ და თავისი წინადადება წინასწარ შემუშავებული არ ჰქონდათ.

ხელისუფლების მისწრაფებათა წინააღმდეგ კიდილში გამარჯვებული საეკლესიო კრების დასტურით დიდებულთა წრეში გადაწყვეტილ საკითხს ვერავინ წინ ვერ აღუდგებოდა, მით უმეტეს, რომ ამ კრებაზე გამარჯვებული პატრიარქი მიქაელი იყო ახლა ბატონ-პატრონი. საეკლესიო კრებას დიდებულთა კანდიდატურა დაუმტკიცებია.

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, გვ. 16.

სწორედ საეკლესიო კრების დადგენილების კვალი ამჩნევია თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაში მოცემულ წინადადებას: „განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასა“.

საეკლესიო კრებას სხვა რა მოტივი უნდა წამოეყენებინა, მათთვის ოფიციალური პირობა საკითხის გადასაწყვეტად ამაზე უკეთესი რა იქნებოდა, მით იმეტეს, რომ რუსი უფლისწულის ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა ფაქტი იყო. ეს კრების მიერ დიდგვარიან აზნაურთა გადაწყვეტილების მხოლოდ გაფორმებაა. თვით დიდებულთათვის ქრისტიანობა არ იყო ძირითადი პირობა კანდიდატის 'მერჩევის დროს, თუმცა იმ დროს სარწმუნოების მნიშვნელობას ასეთი საკითხის გადაწყვეტის დროს სრულიად არ უარყოფთ. რა მიზნები ამოძრავებდა დიდებულთა წრეს, როცა რუსი უფლისწული მოიწონეს? მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევებობოდეთ, საკირო იქნება იმის დასაბუთება, რომ რუსი უფლისწული დიდგვარიან აზნაურთა ერთი დასის კანდიდატი იყო.

თამარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსი აწის შესახებ გვაწვდიან ცნობებს. პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს: „რათა სრულ იქნას წყალობაჲ და წადილი პატრონისა ტკბილისა და სახიერისაჲ ლაშქართა და სპათა მისთა ზედა, შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნად წაღმართისა და მოყვანად ქრმისაო“. ამ წინადადებიდან ჩანს, რომ თამარის საქმროს შერჩევა და მოყვანა „ლაშქართა“ და „სპათა“ წყალობის სრულ ქმნა იქნებოდა. ანტიტომაც თათბიოი შეყრილა — „ზრახვა ყვეს“. ვისგან შედგებოდა სათათბიროდ შეყრილი „შემჭირნენი“, თამარის პირველ ისტორიკოსს აღნიშნული არ აქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოტანილ ტექსტში „ლაშქარნი“ და „სპანი“ ერთად არის მოხსენებული („წყალობა და წადილი... პატრონისა... ლაშქართა და სპასთა მისთა ზედა“), უნდა დავასკვნათ, რომ ისტორიკოსს დიდგვარიანი და გავლენიანი აზნაურნი უნდა ჰყავდეს მხედველობაში. ასეთ დასკვნას მართებულად იმიტომ ვვარაუდობთ, რომ ტექსტში მოხსენებული „ლაშქარნი“ და „სპანი“, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული, ჩვეულებრივ ლაშქარს ან ჯარს კი არ ნიშნავს, არამედ „იმდროინდელ ენაში საგანგებო მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ და საქართველოს გავლენიან სამხედრო წრის გამომხატველი ტერმინები ყოფილა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. 1, გვ. 60—61.

განსვენებულ აკადემიკოსს ისეთი მოსაზრებაც აქვს გამოთქმული, რომ „ლაშქარი“ და „სპანი“ დასავლეთევროპული რაინდობის შემცველი ცნება უნდა ყოფილიყო. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების მეორე ადგილიდან ჩანს, რომ „სპანი“ დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში: „...დიდებულთა, ვაზირთა და სპათა მოაჯსენეს თამარსა და მათგან ნება დაურთავი განმზადეს ქორწილი“<sup>1</sup>. ამავე ავტორს ცოტა ქვემოთ ნათქვამი აქვს, რომ თამარ მეფე უარზე იდგა, მაგრამ: „არა ზომშებელმან დედოფალმან (რუსუდან) და სპათა აიძულეს ქმნად-ო.“ ეს საინტერესო წრე გულშემატკივარი „შეყრილი შემქირნენი“ გვარიანი და გავლენიანი აზნაურები უნდა ყოფილიყვნენ.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ საეკლესიო კრებაზე თამარისათვის საქმროს შერჩევის საკითხი საწინააღმდეგო სპასალარებსა და ერისთავებს დაუყენებიათ:

„შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოაჯსენეს მამათაო“. ისტორიკოსის ამ წინადადებიდან აშკარაა, რომ სახელმწიფოს სპასალართა და ერისთავთა მოწონებული კანდიდატია რუსი უფლისწული. თამარის პირველი ისტორიკოსიც აღნიშნავს: „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა, მოაჯსენეს თამარსა და მათგან ნება დაურთავი განმზადეს ქორწილიო“.

ზედმეტი არ იქნება იმის გარკვევა, თუ ვინ არის აბულასანი, რომელმაც ინფორმაცია მიაწოდა თათბირს. ვახუშტ ბაგრატიონს ისე გაუგია თამარის ისტორიკოსის ცნობა, რომ აბულასანი მას თბილისელ ვაჰრად მიუჩნევია: „წარმოუდგათ კაცი ვაჰარი ტფილისელი მეტყველი „მე საქმრო უწყი შესატყვისი თამარიისა“-ო<sup>2</sup>. რას ემყარებოდა მეცნიერი ბატონიშვილი, როდესაც აბულასანს ვაჰრად აღიარებს, არ ჩანს. თამარის პირველ ისტორიკოსს იგი მოხსენებული ჰყავს „თავადად“ და ამირად, „ქართლისა და ტფილისისა“, იგი იმავე დროს თბილისის „მკვიდრი“ ყოფილა. ამ აღამიანის არსებობას სხვა ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიც ადასტურებს. ტერმინი „თავადი“ XI—XIII საუკუნეებში დღევანდელი მნიშვნელობით არ იხმარებოდა, იგი წოდებრიობის აღმნიშვნელი ტერმინი იმ დროს არ არის<sup>3</sup>. არც გამოთქმა „ტფილისის

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოცემა, 53. 81.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ნაწ. I. :885.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლ. ისტ. ნაწ. II, ნაკვ. I, გვ. 50—55.

მკვიდრი“ გვეუბნება აბულასანის გვაროვნებაზე რაიმეს, „მკვიდრ-  
თა“ წრეს დიდებულებიც, ვაზირები, „თავადნი“ და დიდგვარებიც  
ეკუთვნოდნენ<sup>1</sup>.

აბულასანი, როგორც ცნობილია, მოხსენებულია თბილისში  
დაცულ ლურჯი მონასტრის კარიბჭის წარწერაში, რომელიც მისი  
ძმის ბასილი ქართლის მთავარ ეპისკოპოსყოფილის შეკვეთით  
ამოუქრიათ. მეორე წარწერა ხატზე თვით აბულასანის შეკვეთით  
არის შესრულებული. ორივე წარწერაში აბულასანი ერისთავთ-  
ერისთავად არის მოხსენებული. ლურჯი მონასტრის  
წარწერაში ქართლის ამირადაც იხსენიება. ცხადია, აბუ-  
ლასანი დიდგვაროვანი აზნაურია, მაგრამ აქ ერთი გარემოება არის  
აღსანიშნავი: არც ერთი წარწერა, რომელშიაც აბულასანი იხსე-  
ნიება, დათარიღებული არ არის. შეუძლებელი არ არის, რომ  
აბულასანს რუსი უფლისწულის სასახლეში შეყვანის შემდეგ მიე-  
ლო დაწინაურება და ერისთავთ-ერისთავობა მიენიჭებიათ, მით უმე-  
ტეს, რომ ერისთავთ-ერისთავთა იმ ნუსხაში, რომელიც თამარ მე-  
ფის ისტორიკოსს აქვს მოცემული, აბულასანი არ იხსენიება, თუმ-  
ცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ნუსხა სრული არის. მაგ-  
რამ აბულასანი თბილისის და ქართლის „ამირთა-ამირა“ უდაოდ  
არის იმ თათბირის დროს და ეს კი წერილი აზნაურის კელი არ  
არის<sup>2</sup>.

მაშასადამე, რუსი უფლისწულის კანდიდატურას, ჩვენამდე  
ნოღწეული ცნობებით. დიდგვარიანი და გავლენიანი აზნაურები  
აყენებენ და თვით თამარ მეფის თანხმობის გარეშე იწვევენ სა-  
ქართველოში. რუსი უფლისწულის გაძევების შემდეგ მოწყობილ  
განდგომილებაში ნათლად მოჩანს დიდგვარიანთა ჯგუფი, მაგრამ  
ეს დასი თამარის პირველი ქმრის საქართველოში მოსვლის შემ-  
დეგ შეიძლება გაძლიერებულიყო და თავდაპირველად ყველა მათ-  
განი რუსი უფლისწულის მომხრეთა რიგებში არ ყოფილიყვნენ.

დიდგვარიან აზნაურთა გარდა, რუსი უფლისწულის საქარ-  
თველოში მოწვევას მხარს უჭერს თუ არა სხვა ფენა? ამ კითხვაზე  
პასუხის გასაცემად ჩვენ სათანადო ცნობები არა გვაქვს. თამარ  
მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ ეკლესიის მსა-  
ხურთა გარკვეული წრე რუსი უფლისწულის მომხრე ყოფილა.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ თამარ მეფის მეორე

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლ. ისტ. ნაწ. II, ნაკვ. I, გვ. 55.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 212—215. წარწერები, რომელშიაც აბულასანი არის მოხსენე-  
ბული გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს, Археологические экскурсии, II,  
გვ. 70, და IV, გვ. 149—150.

ისტორიკოსის ცნობით, რუსი უფლისწულის მოწვევის საკითხი დიდებულებმა საეკლესიო კრებაზე გადაიტანეს და საბოლოოდ აქ გადაწყვიტეს. პატრიარქი მიქაელი ორივე ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს, როგორც ერთი მომხრეთაგანი რუსი უფლისწულისა. ცხადია, რომ საეკლესიო კრებაზე, სადაც თამარ მეფის პოლიტიკის მომხრენი დამარცხდნენ, მიქაელ კათალიკოსს მრავალი მომხრე რუსი უფლისწულის კანდიდატურის დამტკიცების დროსაც ჰყავდა.

სამხედრო გავლენიანი წრეც „სპანი“ რუსი უფლისწულის მომხრე ყოფილა: „პატრიარქმან დიდებულთა, ვაზირთა და სპათა მოაქსენეს თამარსა და მათგან ნება დაურთავი განამზადეს ქორწილი“-ო. გარკვევით არ ჩანს, რა პოზიცია ეჭირა საზოგადოების სხვა ფენებს. ერთგან თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ისეთი გამოთქმა აქვს ნახმარი, რომ ვაჭართა გავლენიანი წრეც რუს უფლისწულს უჭერდა თითქოს მხარს. პირველი ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყეთში უფლისწულის მოსაყვანად „ერთი მკვიდრთაგანი დიდ-ვაჭარი, სახელით ზანქან ზორაბაბელ“ გაგზავნესო. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ზორაბაბელს არ ასახელებს, მაგრამ რუსი უფლისწულის მოსაყვანად უღირსი კაცი გაიგზავნაო წერს: „და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქნისა წარაელინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს“<sup>1</sup>. რას უწუნებს ისტორიკოსი ზორაბაბელს? ნუთუ მან დავალება ვერ შეასრულა? პირველი ისტორიკოსის ცნობით, პირიქით, დანიშნულ ვადაზე ადრე მოიყვანა ზორაბაბელმა სასიძო. იქნება ზორაბაბელს მართო მოყვანა კი არ ჰქონდა დავალებული, არამედ კანდიდატი ადგილობრივ უნდა შეესწავლა და მის დასკვნას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა უფლისწულის სასახლეში შეყვანის საქმეში. მაშინ ვაჭართა ფენის მომხრეობის საკითხიც დადებითად გადაიჭრებოდა, მაგრამ ისტორიკოსი აქ გარკვევით არაფერს გვეუბნება და მართო შესაძლებლობაზე მსჯელობის დაყრდნობა მართებული არ იქნება. მაგრამ მხედველობაში მაინც მისაღებია ის გარემოება, რომ თამარ მეფეს 1185 წელს მეჭურქლეთ-უხუცესი ყუთლუ არსლანი განუდგა, ხოლო 1191—1192 წლებში მეჭურქლეთუხუცესის ნაცვალი ხელმძღვანელობს გაძევებულ

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 16.



რუს უფლისწულთან მოლაპარაკებას, ხოლო ვაქრები ამ სავაზი-  
როს უწყებაში შედიოდნენ.

გადაწყვეტი მნიშვნელობა მაინც აქ საქმეში დიდგვარიან  
აზნაურებს და ეკლესიას უნდა ჰქონოდა. თამარ მეფის ისტორიკო-  
სებიც ბრალს უტრო ამათ დებენ.

ნამასაღამე, ჩვენამდე მოღწეულ ცნობებით, დიდგვარიანი  
და გავლენიანი აზნაურები აყენებენ რუსი უფლისწულის კანდიდა-  
ტურას და თვით თამარ მეფის თანხმობის გარეშე იწვევენ საქარ-  
თველოში. ძირითადი ყურადღება მისაქცევი აქ ის გარემოებაა,  
რომ თამარ მეფე და გარკვეული წოე ამის წინააღმდეგი არიან.  
ეს მომენტი იმიტომ მიგვაჩნია ძირითადად, რომ თამარის საქმროს  
შერჩევაზე, რა თქმა უნდა, დიდგვარიან აზნაურებს უნდა ეზრუ-  
ნათ, აქ უცნაური და მოულოდნელი არათფერი არ არის, თუ მათ  
არა, აბა სხვას ვის უნდა ეკითხა პირველ რიგში ეს საქმე. მაგრამ  
შერჩევა ერთია და ძალდატანება მეორე. თამარი მეფე არის, დიდ-  
გვარიანნი კი ქვეშევრდომნი და ესენი მეფის პირადი თანხმობის  
გარეშე ნას ქმრად თავაზობენ ისეთ პირს და აიძულებენ ისეთ  
ადამიანთან ცხოვრებას, რომელსაც პირველად ხედავს თავის სიცო-  
ცხლეში.

თამარის ისტორიკოსთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ სა-  
ქმროს შერჩევა, მისი მოწვევა და ქორწილი ნორმალურ პირობებ-  
ში არ მიმდინარეობდა. კანდიდატის შემრჩევენი იჩქარიან, ღელა-  
ვენ, უარით პასუხობენ თამარის წინადადებაზე: „კაცნო, ვითარ  
ღირს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისა უცხო-  
სა ქცევა და საქმე, არცა მვედრობისა, არცა ბუნებისა და არცა  
ქცევისა. მაცალეთ ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა  
სიდრკუე მისი“<sup>1</sup>. მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ თამარი კატე-  
გორიულ უარს არ ამბობს, იგი რუსი უფლისწულის გასაცნობად  
დროს მოითხოვს. დიდებულნი ამაზეც არ თანხმდებიან, მოცდა  
და დროს ხელიდან გაშვება არ უნდათ:

„ყოველითურთ შეაიწრობდეს სულსა მისსა და ირემსა ემსგავ-  
სებოდეს სახისა ოდენ მიხედვითო“ აღნიშნავს იგივე ისტორიკოსი.  
ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ამასთან დაკავშირებით  
კითხვა იბადება, იყო თუ არა იმავე მაღალ წრეში რუსი უფლის-  
წულის მომხრეთა მოწინააღმდეგე დასი? თამარის პირველ ისტო-  
რიკოსს ერთგან ამ ანბების აღწერის დროს აღნიშნული აქვს:  
როცა ნებადაურთავი ქორწილი განამზადეს, „ვეითნიმე და-

<sup>1</sup> ბასილი ეხოხმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ი. ჯავახიშვილის გამოც., გვ 16.

ღონებულობით აწუხებდეს ალექსის მოყვანასა ქრმად, რომელი... მისწული იყო ბერძენთა მეფისა“<sup>1</sup>.

ეს „ვეითნიმე დაღონებულნი“ როგორც ჩანს, რუსი უფლისწულის ნომხრეთა ჯგუფს არ ეკუთვნიან, საქმე წაგებულად მიაჩნიათ და, როგორც იატორიკოსი ანბობს, მაშინ საქართველოში მყოფ ალექსი ბერძენთა უფლისწულის შერთვას თავაზობენ თამარს. ალექსი ახლო ნათესავი ყოფილა თამარის, მას ნათესავთან ქორწინება არ დაუშვია და, რაკი სხვა გამოსავალი ვერ იპოვეს იმ ჯერად, თამარს უთხოვია „ჯსნაჲ ქმროსნობისაგან“, ნაგრამ ამოდ, თამარის გულშემატკივარნი უძლური აღმოჩნდნენ.

აღწერილი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ იმ დროს საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ხასიათის პროცესებთან იყო დაკავშირებული თამარის საქმროს შერჩევა და, კერძოდ, რუსი უფლისწულის მოწვევა. დიდებულთა წრეს, „სპას“ და სამღვდლოების გარკვეულ ნაწილს რუსი უფლისწული მათთვის სასარგებლო და ხელსაყრელ პირად მიუჩნევიათ იმ დანსთა კუადილის დროს, რომელიც ასე დამახასიათებელი და გამწვავებული ყოფილა იმ დროს საქართველოში.

რატომ უნდა ყოფილიყო მიმზიდველი რუსი უფლისწული გარკვეული წრეებისათვის, რატომ მიენიჭა მას უპირატესობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შედარებით დამაკმაყოფილებლად მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, ჩვენ რომ იმ დროის გაბატონებულ კლასს შიგნით არსებული წინააღმდეგობის შესახებ საკმაო ცნობები გავაჩნდეს; გარდა ამისა, ჩვენ გარკვეული უნდა გვქონდეს რა უფლებების მატარებლად ვარაუდობდნენ „მეფის ქმარს“ მაშინდელი მოწინააღმდეგე დასები და თვით მეფე თამარი.

„მეფის ქმარს“ უფლება ქართული სახელმწიფოებრიობის პრაქტიკისათვის თამარის გამეფებამდე ჩვეულებრივ გადაწყვეტილი საკითხი არ უნდა ყოფილიყო. ბიზანტიაში ამაზე უწინარეს მაგალითები ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ხომ ამის მიხედვით საქართველოზე მსჯელობა არ შეგვიძლია; მოვლენა შინაგანი პირობების საფუძველზე უნდა იქნეს განხილული. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასმული საკითხის გადასაწყვეტად პირდაპირი ცნობები საისტორიო ძეგლებმა არ შემოგვინახეს. არ ვიცით როდის, სად, როგორ დაიხსნა ეს საკითხი და როგორ გადაწყდა. ჩვენ შეგვიძლია ნხოლოდ

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთანი, პროფ. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 81.

ზოგიერთი ცნობა გავითვალისწინოთ თამარის გათხოვების შემდეგ დროის მოვლენებიდან.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია საკითხი, თუ რა ეწოდებოდა მეფის ქმარს. თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები და ჩვენამდე მოღწეული იმ დროის სიგელები საკმარისია ამ საკითხის დასადგენად. თამარის პირველი და მეორე ქმარიც მეფეებად იწოდებოდნენ. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ რუს უფლისწულზე დაქორწინების შემდეგ კარისაკენ გაილაშქრესო: „და გამოვიდა მეფე რუსთა და აფხაზთაჲ-ო“<sup>1</sup>.

იმევე ისტორიკოსს რუსი უფლისწულის შესახებ მეორე აღგილას აღნიშნული აქვს: „კჳალად მეფემან შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისათა, მიჰმართა და მოაოკრა ქვეყანა პართთაჲ-ო“<sup>2</sup>. თამარის მეორე ისტორიკოსიც, იქ, სადაც უფლისწულის საქართველოდან გაძევების ამბავს მოგვითხრობს, წერს: „საწყალობლად განაძეს იგი და არა ეგოდენ უბადრუკი მეფობისაგან დამჯობითა, რაოდენ შუენიერებისაგან თამარისსა დაკლებითაო“<sup>3</sup>. დავით სოსლანიც მეფედ არის მოხსენებული ხსენებულ ძეგლებში<sup>4</sup>.

მაგრამ ამავე ძეგლებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დროს საქართველოში ორმეფობა სრულიადაც არ ყოფილა, სახელმწიფო საქმეების სათავეში თამარ მეფე არის და იგი განაგებს; მისი პირველი და მეორე ქმარიც, თამარის ბრძანებით მოქმედებენ. ეს ზემოთმოტანილი ტექსტიდანაც აშკარად ჩანს, რომ სხვა მაგალითებით შრომა არ დავანძიმოთ.

მაშასადამე, იმის გათვალისწინება, თუ რა ფუნქციას ასრულებდა საერთოდ „მეფე ქმარი“ იმ დროის საქართველოში, ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია, მაგრამ საქართველოს მეფის „მართებათა“ და „განსაგებელთაგან“ ჯარის „კატრონობა“ და მთავარი წინამძღოლობა რომ „მეფე ქმრის“ ხელთ იყო და ამ მოვალეობას ასრულებდნენ რუსი უფლისწული და დავით სოსლანი, ეს იეგლებიდან კარგად ჩანს. თამარს, როგორც ქალს, რა თქმა უნდა, ლაშქრის წინამძღოლობა არ შეეძლო. ამიტომაც არია, რომ თამარის

<sup>1</sup> ისტ. და აზმ. შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 82.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>3</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 17.

<sup>4</sup> ისტ. და აზმ. შრ-ნი, აკად. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 93, 97, ბასილი ეზოსმოდვ., ი. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 21, 30; იხ. აგრ. შიო-შღვიმის სამი საბუთი, ს. კაკაბაძის გამოც.

პირველი ისტორიკოსი, სანამ თამარის საქმროს შერჩევის ამბავს აღწერდეს, თამარის სიბრძნეს და სახელმწიფო საქმეში გამჭრიახობას აქებს და შემდეგ ყოველგვარი განმარტების გარეშე დასძინს: „რათა სრულ იქმნას წყალობა და წადილი პატრონისა ტკბილისა და სახიერისა ლაშქართა და სპასთა მისთა ზედა, შეიყარნეს შემკირნენი და ზრახვა ყვეს ძებნად... და მოყვანად ქრმისა“<sup>1</sup>. აქ ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველაფერში ბრძენ თამარს სპირდებოდა „ლაშქართა“ და სპათა მისთა ზედა „წყალობის სრულ საყოფელად“ ქმარი, რომელიც უშუალო წინამძღოლი იქნებოდა მათი, ხოლო თამარს ეს არ შეეძლო. ისე კი ეს თამარ მეფემდე ქართველი მეფის ფუნქცია იყო.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როცა თამარი რუსი უფლისწულის შერთვაზე უარს აცხადებდა, დიდებულნი „წინააღმდეგებოდეს... წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა-ო“<sup>2</sup>.

მართლაც, თამარ მეფის ორივე ისტორიკოსს რუსი უფლისწულისა და დავით სოსლანის მოღვაწეობა მხოლოდ მათი სამხედრო საქმიანობით აქვთ მოცემული. ის გარემოება, რომ რუსი უფლისწულისა და დავით სოსლანის მოღვაწეობა მარტო სამხედრო საქმიანობის აღწერით ამოიწურება ხსენებულ ისტორიკოსთა თხზულებებში, რა თქმა უნდა, ისეთი დასკვნის მიღების უფლებას არ გვაძლევს, რომ გვირგვინოსანი ქმრები მეტს არაფერს აკეთებდნენ ან მეტი არაფერი მოეთხოვებოდათ. თამარის ისტორიკოსების მიზანი სრულიადაც არ ყოფილა ჩვენთვის იმ დროის სახელმწიფო წყობილება უკლებლივ აღეწერათ, მაგრამ ამ ავტორთა თხზულებებიდან „ქმარი მეფის“ ერთი ძირითადი ფუნქცია უდავოდ ნათლად ჩანს — მათ სახელმწიფოში სამხედრო საქმე აბარიათ.

ორი შემთხვევა აქვს აღწერილი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს, როცა დავით სოსლანი თამარისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ისიც ხაზგასმული აქვს, რომ ეს თამარის დაუკითხავად მოიმოქმედაო. ისე რომ, თითქოს თამარის დაუკითხავად „მეფე ქმრის“ მოქმედებას ჩვეულებრივ მოვლენად არ თვლის ისტორიკოსი.

ერთი ამბავი შეეხება განდგომისათვის გუზანის დაბრმავებას. ისტორიკოსი, იქ, სადაც თამარის ლმობიერებას აღწერს, შენიშნავს, რომ თამარის დროს არავინ არ დასჯილა ფიზიკურად

<sup>1</sup> ისტ. და აზმ. შარავანდ. აკად. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 80.

<sup>2</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 16.

„თვნიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით გან-  
დგა და კოლას საღმე მათა შინა ავაზაკობდა ზალვით. ესე შეი-  
პყრეს მთიბავთა თივისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყუანეს.  
ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალეობა თამარისა, ამისათვის მისსა  
შეკითხვამდის თუალნი დასწუნა...“<sup>1</sup>. მოტანილ ტექსტში საქმის  
ვითარება ისე არის წარმოდგენილი, რომ წესით დავითი თამარს  
უნდა შეკითხოდა, მაგრამ მას არსებული წესი დაურღვევია.  
არ ვიცით როგორ შეხვდა თამარი ამ წესის დარღვევას. ისტორი-  
კოსს უფრო მკაცრი სასჯელი აწუხებს, თუ არ ეს შემთხვევა, თა-  
მარის დროს ფიზიკურად არაფერ იქნებოდა დასჯილი გარდა „ავა-  
ზაკთა“. ისტორიკოსს დასჯის შემთხვევა აქვს აქ აღწერილი,  
მაგრამ არ ჩანს „ქმარი მეფის“ წყალობა მის ხელქვეით მყოფ  
ლაშქარსა და მისი უფროსი შემადგენლობისადმი თამარის უფ-  
ლებებში შექრა იქნებოდა თუ არა. ზემოთ მოტანილი ტექს-  
ტიდან ირკვევა, რომ „ქმარი მეფე“ თამარისაგან დამოუკი-  
დებლად მოქმედებს, მაგრამ წესით თამარს უნდა შეკითხოდა,  
თამარის ქმარი არ ჩანს უფლებამოსილად, ვინმე დასაჯოს.

მეორე შემთხვევა შეეხება განძის აღებას. ისტორიკოსი მო-  
გვითხრობს, რომ, როდესაც განძა აიღეს ქართველებმა, იგი „ცნო-  
ბადმდე თაპარისსა... მისცეს შესანახავად... მირმირანსო“. ამას  
შეცდომად თვლის ისტორიკოსი: „აქა ვერა კეთილად განაგეს ზა-  
ქაოია და ივანე“ მხარგრძელებმაო. ამავე და თამარის პირველი  
ისტორიკოსის ცნობებით, დავით სოსლანი მაშინ იქ იმყოფებოდა.  
მირმირანი, ისტორიკოსის სიტყვით, დავით სოსლანს ახლდა  
იქ ბრძოლაში: „მირმირან... ესე შემოხუეწით იყო წინაშე  
თამარისსა სათხოელისა რომლისათვისმე და მაშინ დავითს წინაშე  
სამსახურადო“<sup>2</sup>. ზაქაოია მხარგრძელი ამ დროს უკვე ამირსპასა-  
ლარია. კითხვა იბადება, თუ რატომ ედება ბრალად და შეცდო-  
მად განძის ნიბარება მირმირანისათვის ამირსპასალარს და მსა-  
ხურთუხუცესს ივანე მხარგრძელს იმ დროს, როცა დავით სოს-  
ლანი იქ არის. ისე გამოდის, რომ მხარგრძელებს დავით სოსლა-  
ნისათვის ეს საქმე არ უკითხავთ და ისტორიკოსი დავითის კომ-  
პეტენტციად არც თვლის ასეთი განკარგულების გაცემას. თუ ჩვენ  
აქ ტექსტის რაიმე დამახინჯებასთან არ გვაქვს საქმე, უნდა დავა-  
სკვნათ, რომ აქ სამოხელეო ფუნქციების მტკიცე გამოიყენასთან  
გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, ამირსპასალარის გარეშე

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 30.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 21.

-ქვეყანა არ გაიცემის არცა ვინ სავამულოდ შეიწყალების<sup>1</sup>, მაგრამ „ქვეყნის გაცემის“ განკარგულება მეფისაგან უნდა გამომდინარეობდეს. თამარ მეფე კი იმეხმად იქ არ იყო. თუ აქ ისტორიკოსის უბრალო მორიდებასთან არ გვაქვს საქმე და თუ ტექსტში, მხარგრძელების რჩევა და დავით სოსლანის დასტური არ იგულისხმება, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ „მეფე ქმარს“ აღებული ქალაქის „შისანახავად“-აც ვისმეზე გაცემის დადასტურება არ შეეძლო, იგი მხოლოდ თამარს უნდა დაემტკიცებინა.

თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებიდან ჩანს, რომ ყველა ლაშქრობაში „მეფე ქმარი“ თავის „სპით“ ყოველთვის არ იღებს მონაწილეობას, ჩვეულებრივ სარბევად გათვალისწინებული ლაშქრობის მონაწილე იგი ყოველთვის არ არის. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ, როცა თამარმა რუსი უფლისწული შეირთო და მისი მონაწილეობით პირველად კარის და კარნიფორის მხარეში ილაშქრეს და გამარჯვებული დაბრუნდნენ: „ამის შედეგად წარვიდეს მკარგრძელნი. ძენი სარგისისნი და ვარამისნი... და ილაშქრეს ქუეყანასა დვინისასა... და გამარჯვებულნი და აღესებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთაო“<sup>2</sup>.

იგივე ისტორიკოსი ამ ამბის აღწერის შემდეგ აღნიშნავს: „შემდგომად ამისა... ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ და ზემონი ზემოთ და შუანი შუათ და ყოველგან ძლევა შემოსით და გამარჯუებით-ო“<sup>3</sup>. ამავე ისტორიკოსს დავით სოსლანის დროის ამბების აღწერისას აღნიშნული აქვს: „ქუალად ლორიდალმა წარვიდეს ორნი ძვანი სარგისის ძენი ზაქარია ამირ-სპასალარი და მსახურთუხუცესი ივანე, მორბევად რახსის პირისა... და სახელოანი მოვიდეს წინაშე დავით სვე ამალღებულისა და თამარ ღმრთივ დამყარებულისაო“<sup>4</sup>. დიდ ომებში, როცა სახელმწიფოს სამფლობელოებს საფრთხე მოელის, „მეფე ქმარი“ ომში აუცილებელი მონაწილე ჩანს, იგი აერთიანებს სახელმწიფოს ლაშქარს, რომელსაც ერთი სამოქმედო გეგმა აქვს. ლაშქრობის ყველა შემთხვევაში, „მეფე ქმარის“ თუ სხვა მხედართმთავრის მონაწილეობით ჩატარდა იგი, ანგარიში თამარ მეფეს ზარდება. ისტორიკოსთა ცნობით, ასე ხდებოდა ეს, როგორც რუსი უფლისწულის, ისე დავით სოსლანის დროსაც.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, სამართლის ისტ. წ. II, ნაკვ. I, გვ. 150.

<sup>2</sup> ისტორიანი და ახმანი წარავანდღდთანი, გვ. 83.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 99.

განსხვავებული მდგომარეობაა თითქოს რუსულაზნ მეფის დროს. რუსულანის ქმარი ეამთააღმწერელს არავეითარ საქმეში არ ჰყავს მოხსენებული. იგი მხოლოდ მეუღლეა, არც ერთ ომში და ბრძოლაში რუსდანიის ქმარი მონაწილედ არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ რუსულანის დროს ომები იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა. იმ შემთხვევაში, თუ ეამთააღმწერელი ან მისი წყარო საქმის ვითარებას სწორად გადმოგვცემს და აქ მოვლენათა თხრობის შემოკლებასთან არ გვაქვს საქმე, უნდა დავასკვნათ, რომ რუსულანის დროს „მეფე ქმარი“ ყოველგვარ უფლებას მოკლებულია, იგი თამარის ქმრებისაგან უფლებრივად საკმაოდ განსხვავებულია და სამხედრო საქმე მთლიანად ამირსპასალარის ხელთ არის ისე, როგორც ეს მას შემდეგ იყო, რაც დავით სოსლანი გარდაიცვალა. შესაძლებელია, რუსულანის თავისუფალი და თავდაუქერელი ყოფაქცევა იყოს ერთი მიზეზთაგანი მის დროს „მეფე ქმრის“ უფლებათა შეკვეცისა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის „მეფე ქმრის“ უფლების ერთი მხარეცაა გასათვალისწინებელი—კერძოდ ის, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი იმ დროის მოწინავე ქართველებს დინასტიის საკითხი, უნდა შეცვლილიყო დინასტია თუ არა, „მეფე ქმარი“ გადასცემდა თუ არა შვილებს თავის გვარს.

წყაროებში არავეითარი ცნობა არ გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ მსჯელობდნენ ამ საკითხის გარშემო ქართველ ღიღებულთა წრეებში. ფაქტიური მდგომარეობა ამ მხრივ ისეთი გვაქვს, რომ დასმულ კითხვაზე მთლად მარტივად პასუხის გაცემა არ ხერხდება. საქმის ვითარება ისე მოეწყო, რომ რუსი უფლისწულისაგან თამარს შვილი არ ჰყოლია, დავით სოსლანი ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და აქ დინასტია ორივე მხრით უცვლელი რჩებოდა. მაგრამ, როცა თამარს რუს უფლისწულს თავაზობდნენ ქმრად, წარმოუდგენელია დინასტიის საკითხი არ დავსვათ და არ გადაეჭრათ. ნუთუ რიურეკელთა დინასტიის დამკვიდრება ჰქონდათ გადაწყვეტილი? შემდეგი დროის ამბებიდან უნდა დავასკვნათ, რომ „მეფე ქმარს“ საკუთარი გვარის დამკვიდრების უფლებაც წარმოემული ჰქონდა. ჩვენ ძხედველობაში გვაქვს რუსულან მეფის დროის ფაქტი. რუსულანის ძე დავით ნარინი, მანით თოღრილ შაჰის ძის მოლის ედინის შთამომავალი იყო, მაგრამ იგი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია. დავით ნარინის მიერ ბოძებული სიგელი ამის უტყუარი დოკუმენტია<sup>1</sup>. ეამთააღმწერელიც, თვით როცა სურს ერთსა

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 6.

და იმავე დროს მოღვაწე ორი დავითი განასხვავოს, ერთს „რუსულანის ძეს“ ეძახის და არა მოლის ედინის ძეს. ჟამთააღმწერელს საინტერესო ცნობები აქვს, თუ როგორ მსჯელობდნენ ამ საკითხის გარშემო ქართველი დიდებულები.

როდესაც მონგოლებმა საქართველო დაიმორჩილეს და რუსულანის ძე დავით და ლაშა გიორგის ძე დავით სხვადასხვა დროს მონგოლეთში მთავარ ყაენთან გაგზავნეს და როცა თვითელი მათგანი საქართველოს ტახტზე დამტკიცებას ელოდა, მონგოლთა ყაენის კარზე კამათი გამართულა. ჟამთააღმწერელი ამ ანბავს ასე გვაუწყებს: „ხოლო იყუნეს ორნივე დავით და დავით ყუბულყაენს წინაშე, ყარყურუმს და იურვოდეს ორივე მეფობასა, არამედ სარგის თმოგველი ძლიერად წინააღმდეგობდა თვით ნარინ დავითს, და რომელნი მის წინაშე მყოფი იყუნეს თანაზრდილნი მისნი. რამეთუ ეტყოდეს: „არა ჯერ არს რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა, და არა ძემან თვითმპყრობელისა მაჰაკაცისამან. ხოლო იგინი მიუგებდეს, ვითარმედ ნარინ დავით, დაღათუ დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფევე იყო რუსულან გვირგვინოსანი, ძმისა მისისა გიორგისაგან დატევიებული, და მეფისავე ძე არს ნარინ დავით“<sup>1</sup>.

პლანო კარპინის სხვაგვარად აქვს აღწერილი ქართველი მეფეების შესახებ მონგოლთა მთავარი ყაენის კარზე წამოჭრილი დავა. იგი წერს: „თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ რაიმე სადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრის იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე—დავითი გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მანამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავის დედითურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი, რომელთანაც შეუღლების ძალით მისი კმარი ამ სამეფოს არ ფლობდა, ვინაიდან იქ ქალები მფლობელობენ, გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისელის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებინათ მამის მიერ დავითისათვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი

<sup>1</sup> ქ-ის ცხ-ბა. ჟამთააღმწერელი, კიკინაძის გამოცემა, გვ. 555.



უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოვ. უფროსი თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არაერთი გაცხადდა, არ ხელავს კანონიერ ცოლსა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დაგითს დაუნორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს. ამრიგად, მელიქმა დარიგებული საჩუქრები დაქვარა და თავისი ძმის დაგითის წინააღმდეგ წარმოებული სადავო საქმე წააგო<sup>1</sup>.

პლანო კარპინის ცნობები უდავოდ საყურადღებოა, მაგრამ ამ მასალაში ზოგი რამ მცდარია. კარპინის გადმოცემით ისე გამოიხატა, თითქოს ქართველი „მეფის ორი ვაჟი“ მანით ერთი იყვნენ და დედით სხვადასხვა. მან არ იცის, რომ ორი დაგითი — მამითაც და დედითაც სხვადასხვა იყვნენ. არც ის არის მართალი, რომ რუსულადანი მონგოლეთში გაემგზავრა და გზაზე გარდაიცვალა. კარპინის მიერ მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ დაგით ლაშა გიორგის ძე მონგოლთა კანონს იშველიებდა მოწინააღმდეგეებთან კაძათის დროს, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს კანონებით გამარჯვება დაგით რუსულადანის ძეს რჩებოდა. დაგით რუსულადანის ძის მომხრეთა მსჯელობა და არგუმენტაცია შემთხვევით წამოსროლილი სიტყვები არ არის; აკად. ივ. ჯავახიშვილის სხვა საკითხთან დაკავშირებით ყურადღება მიუქცევი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპისათვის:

-გაგზავნეს კაცი ხურაბმშას წინა შვილისა მთხოველი.

შესთვალეს: გაგდა უმკვიდროდ საწეფო ჩვენი ყოველი.

არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე გასათხოველი.

და, თუ მოგუცემ შვილსა სასიძოდ სხუასა ნულარას მოელი<sup>2</sup>.

განსვენებული მეცნიერი აქვე შენიშნავს: „მანასადამე, ქალი „კიდე-გასათხოველად“ ითვლებოდა, თუ რომ იგი ქორწინების შემდგომ ქმრის სახლში უნდა შესულიყო და ქალს „საძეო“-ს უძახოდნენ, თუ რომ იგი ქორწინების შემდგომაც ნშობლების სახლშივე რჩებოდა და ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე იყო. ამ შემთხვევაში ქალი მამრობითი მემკვიდრეობის აღმადგენლად უნდა გამხდარიყო, რომ გვარი არ მოსპობილიყო“<sup>3</sup>. თამარ მეფე და რუსულადან მეფე უფლებრი-

<sup>1</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი II, გვ. 57.

<sup>2</sup> ვეფხისტყაოსანი, კაპაბაძის გამოც., 478 ტაეპი.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 365.

ვად მამაკაცები იყვნენ, ისინი „საძეო“ ქალები იყვნენ და ამიტომ არის, რომ იმ დროის ძეგლებში ლაშა გიორგი თამარის-ძედ იხსენიება და არა დავით სოსლანის-ძედ, ხოლო დავით ნარინი რუსუდანის-ძედ.

როგორც ზემოთ განხილული ფაქტებიდან ჩანს, „მეფე ქმარი“ საკმაოდ შეზღუდული ყოფილა ძველ საქართველოში. მართალია, „მეფე ქმარის“ უფლებების არე სახელმწიფოში ასეთი მიზიხილვით არ შეიძლება გარკვეულად ჩაითვალოს, მაგრამ საკმარისია აღამიანმა საქართველოს „მეფე ქმარი“ ბიზანტიის სახელმწიფოს „მეფე ქმარს“ შეადაროს, რომ ნათლად წარმოიდგინოს თამარის და რუსუდანის მეუღლეთა სრულიად შეკვეცილი უფლებები, თუმცა ამათი საცესებით გაიგივება უფლებრივად ჩვეულებრივ დედოფლებთან არ იქნება მართებული. ლაშქრის წინაძედილობა მაინც განასხვავებდა მათ.

მაგრამ ახლა გამოსარკვევია, რით მიიზიდა რუსეთის უფლისწულმა საქართველოს მმართველი კლასის გარკვეული წრეები და ეკლესიის მეთაურნი, განა სხვას არ შეეძლო მათი მისწრაფებები რუსი უფლისწულივით დაეკმაყოფილებინა? აქ ისმება მეორე საკითხი—ვინ იყო და რას წარმოადგენდა რუსი უფლისწული?

თამარ მეფის პირველი ქმრის სახელი ქართულ წყაროებში არსად მოხსენებული არ არის. მაგრამ ამჟამად რუსი უფლისწულის საკუთარი სახელი, სომხური წყაროებით და რუსულ ძეგლებში დაცული ცნობებით დადგენილია და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მას გიორგი, რუსული გამოთქმით, „იური“ ან „იურგი“ ერქვა<sup>1</sup>.

რით აიხსნება, რომ თამარ მეფის არც ერთი ისტორიკოსი მის სახელს არ გვაუწყებს.—გადაქრით რაიმეს თქმა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება.

განორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ხსენებულ წყაროებს მისი სახელი ჰქონდათ მოხსენებული, მაგრამ გადაწერლებს გამოჩნდა. და თუ თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებების პირვანდელ ნუსხებში რუსი უფლისწულის სახელი თვით ავტორთა მიერ იყო უგულებელყოფილი, შესაძლებელია, ეს განხრახ ჩადენილი საქმეა.

თამარ მეფის პირველი ქორწინება მის ისტორიკოსებს თამარის მეფობის ხანაში მეტისმეტად არასასიამოვნო მოვლენად მიაჩნიათ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა ისტორია, II, გვ. 587. დაწერილებით მ. ბროსეს Additions et éclaircissements... გვ. 288—296. აქ ბროსეს განხილული აქვს როგორც ძეგლების, ისე მის წინა მკვლევართა ყველა ცნობები.

და ამ პერიოდს მკრთალად ასახავენ თავიანთ შრომებში. მეორე ისტორიკოსი მაინც გიორგი რიჟორიკის საქმიანობას—ლაშქრობებს ერთ სტრიქონსაც არ უთმობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ რაკი საქართველოში მისი მოსვლა და შემდეგ განდევნა გვამცნეს, სახელით მის ხსენებას რად გაუბრძიან? საფიქრებელია, რომ მისი საკუთარი სახელის არ მოხსენებით ავტორები გიორგი უფლისწულისადმი თავიანთ განწყობილებას გამოხატავენ, ამავე დროს ამით უფლისწულს ამცირებენ.

გარდა ამისა, სახელი „გიორგი“ თამარ მეფის მამას ერქვა, იგივე სახელი მამის ხსოვნის პატივსაცემად თამარის შვილსაც ეწოდა. და რაკი იგივე სახელი თამარის არასასიამოვნო ამ ქმარსაც ჰქონდა, შესაძლებელია ისტორიკოსებმა თამარისათვის საყვარელი ადამიანების საკუთარი სახელის პატივი დაიცვეს და თავიანთ თხზულებებიდან განზრახ ამოიღეს უფლისწულის სახელი. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ მოსაზრებებზე ვარაუდი იმ შემთხვევაში შეიძლება ვიქონიოთ, თუ თამარის ისტორიკოსები განზრახ ერიდებიან რუსის უფლისწულის საკუთარი სახელით მოხსენებას და აქ უბრალო უფლებელყოფას ათა აქვს ადგილი, ან ხსენებული ძეგლების შემდეგი დროის გადამწერლებმა შემთხვევით არ გამოტოვეს ეს საკუთარი სახელი.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენებული „ანდრია დიდი რუს-მთავარი“ რუსეთის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი როსტოვ-სუზდალის დიდი მთავარია; მას, რუსული წყაროების მიხედვით, სხვა შეილებს შორის, ხართლაც ჰყავს უმცროსი შვილი გიორგი. რუსული მატრიანეები მას უწოდებენ „იური“-ს ან „იური“-ს, ეს მისი პაპის, მოსკოვის ციხე-ვალანის პირველი ფუძენდებლის, იური დოლგორუკის სახელიც იყო. თვით გიორგის შესახებ ცნობები რუსულ მატრიანეებში ცოტაა დაცული. არ ჩანს მისი დაბადების თარიღი. არც ის ვიცით, თუ როგორი აღზრდა მიიღო მან.

თუ გავითვალისწინებთ მისი მამის, ანდრია ბოგოლიუბსკის უაღრესად კულტურულ მოღვაწეობას და იმ დროს არსებულ კულტურულ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს რუსეთის მთავრის ოჯახში. უნდა დავასკვნათ, რომ გიორგის ამ მხრივ მამა მშობელი აოაფერს მოაქლებდა.

რუსულ ძეგლებში გიორგი პირველად 1172 წელს ჩანს; იგი მოხსენებულია ე. წ. ნოვეგოროდის მატრიანეში და სხვა მატრიანის ნუსხებშიაც. ნოვეგოროდელ მემატიანეს გიორგის ხსენება იმისათვის დასკირდა, რომ იგი 1172 წელს ნოვეგოროდში დამჯდარა მთავრად.

მემატიანე წერს: „В лето 6680. Прииде Новугороду князь Гюрги Андреевиц...“<sup>1</sup>. ამავე მემატიანის ცნობიდან ჩანს, რომ ნოვგოროდელებს თვით უთხოვიათ ანდრია ბოგოლიუბსკისათვის შვილის ნოვგოროდში მთავრად გაგზავნა, მაგრამ 1171 წელს ანდრიას ნოვგოროდში გიორგი ვერ გაუგზავნია. ნოვგოროდელი მემატიანე 1171 წლის ქვეშ მოგვითხრობს: „Томь же лете иде на зиму, Рюрик из Новгорода, и послаша Новъгородци к Ондрею по князь; и присла Жирослава посадницит с мужи своими“<sup>2</sup>.

მაშასადამე, 1171 წელს ანდრიამ ნოვგოროდს მხოლოდ პოსალნიკი დაუნიშნა, ხოლო ნოვგოროდში აქამდე მჯდომი მთავრის რიურის ნაცვლად მხოლოდ 1172 წელს გაგზავნა თავისი შვილი გიორგი.

ამგვარსავე ცნობას იძლევა რუსული მათიანის იპატის მონასტრის ნუსხა: „В ту же зиму выйде Рюрик из Новагорода; потомъ же Новгородци послашася ко Аньдрею князю в Суждаль, и вда им детя свое Юрья и прияша и с честию“<sup>3</sup>.

მაშასადამე, გიორგი 1172 წლისათვის ნოვგოროდის მთავარია, მისი მოღვაწეობის შესახებ მცირე ცნობებია დაცული რუსულ ძეგლებში. იპატის მათიანის ნუსხაში ერთგან ისეთი ცნობა მოიპოვება, რომ გიორგის მოღვაწეობა საერთოდ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, შეზღუდული უნდა ყოფილიყო. ეს მომენტი თითქოს ამავე მათიანის ზემოთ მოტანილი ტექსტის ერთ ტერმინშიაც უნდა მოჩანდეს. მოტანილ ტექსტში გიორგი ძალიან ახალგაზრდად უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს წინადადება: „И вда им детя свое Юрья“. აქ მოცემული ტერმინი „детя“ შეიძლება გაგვეგო, როგორც „შვილი“, მაგრამ ამ სიტყვას იმ დროს რუსულ ენაში სხვა მნიშვნელობაც აქვს, იგი იხმარება „Отрок“ და „Юноша“-ს ნაცვლად<sup>4</sup>. მეორე ადგილას იმავე მათიანეში აღნიშნულია, რომ, როცა ანდრია ბოგოლიუბსკი აჯანყებულმა ბოიარებმა მოკლეს და ახალი მთავრის საკითხი დაისვა როსტოვ-სუზდალის სამთავროში, გაბატონებული წრისა და დრუჟინის გაერთიანებულ თათბირს სხვა-

<sup>1</sup> Новгородская Летопись по синод. харат. сп. изд. Арх. комисс. 1898 г., гл. 151.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>3</sup> Летопись по Шпагекому сп. Арх. комисс. 1871, гл. 386.

<sup>4</sup> И. Н. Срезневский. Материалы для словаря древне-русского языка, т. I, об. Дети—дети.

თა შორის ასე დაუსკვნია მომხდარი ამბის გამო: „Се ся уже тако створило, князь нашъ убьен, а детей у него нетуть, сынъ его малъ в Новогороде, а братья его в Руси“<sup>1</sup>. ამ ტექსტში თითქოს გარკვევით ჩანს, რომ გიორგი 1175 წლისათვის მეტისმეტად ახალგაზრდაა („сынъ“) და ისიც ხაზგასმულია, რომ გიორგი ანდრიას უმცროსი შვილია („малъ“). თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ აბულასანს, როცა ქართველი დიდებულების თათბირს აცნობდა გიორგის ვინაობას, განუცხადებია, რომ იგი (გიორგი) „მცირე და რჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნული“-აო. მაშასადამე, მამას პატარა დარჩენია გიორგი, მაგრამ სავსებით უსააკო იგი არ უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის ორიოდე ცნობა, რომელიც რუსულ მატრიანეებშია შემონახული გიორგის ნოვგოროდში მოღვაწეობის შესახებ. მატრიანეთა სხვადასხვა ნუსხაში დაცულია ცნობები გიორგის მონაწილეობით ლაშქრობის შესახებ. იგი ლაშქარს ახლავს, როგორც ნოვგოროდის მთავარი და ანდრიას რწმუნებული. კარგად ვიცით ამ ლაშქრობის შედეგებიც, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ასე რომ, ეს ფაქტი გარკვევით გვეუბნება იმას, რომ გიორგი 1172—75 წლებში 10—13 წლის ბავშვი უნდა ყოფილიყო. ეს ასაკი სავსებით საკმარისი იყო რუსეთში იმისათვის, რომ მთავარი ტახტზე დაესვათ და იგი ომში ლაშქრისათვის გაეყოლიბინათ. მთავრის ასაკი რუსეთში იმით განისაზღვრებოდა—შეძლებდა იგი თუ არა ცხენზე დამაგრებას და ლაშქართან ერთად მოგზაურობას. მთავარი სასურველი იყო პირადად ყოფილიყო სარდალი, მაგრამ, ჩვეულებრივ, ლაშქარს ბრძოლაში ნაცადი ბოიარები ხელმძღვანელობდნენ, მთავარი კი თავისი ხლებით ლაშქრობას აფორმებდა, ფაქტიური სარდლის გადაწყვეტილებებს ბრძანების სახით სავალდებულოდ ხდიდა ყველა სარდლისათვის, უამისოდ ფეოდალურ სამყაროში არ შეიძლებოდა საქმის წარმართვა. ჩვენ გვაქვს შენთხვევა რუსეთში, როცა ათი წლის ასაკში მყოფი მთავარი ლაშქარს ახლავს ომში. გიორგის ვითარცა სარდლის და სამხედრო ხელოვანის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა რუსი უფლისწული საქართველოში მოიწვიეს, იგი 25—28 წლის ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო.

რუსულ წყაროებში არაფერია ნათქვამი, თუ როგორი იყო იგი გარეგნულად. სამაგიეროდ ქართულ წყაროებში საანისო.

<sup>1</sup> Летопись по Шатскому св., 1871, гл. 403—404.

ცნობები მცირედ მაინც შემონახულა. ეს ცნობები თამარ მეფის პირველ და მეორე ისტორიკოსთა თხზულებებშია დაცული. აქ ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თამარ მეფის ეს ისტორიკოსები გიორგის და მისი მომხრე დიდებულების საშინელი მოძულენი და მოწინააღმდეგენი არიან და ამიტომ, რა თქმა უნდა, თუ ისინი გიორგის გარეგნობის შესახებ რაიმე დადებით ცნობას გვაწვდიან, ამის ახსნა რაიმე მიკერძოებით, ცხადია, მართებული არ იქნება. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, იქ, სადაც ყივჩაყეთიდან რუსი უფლისწულის მოყვანის ამბავს მოგვითხრობს, წერს: „...და მოიყვანა... მოყმე სახე კეკლუცი სრული ანაგებითა და მქურეთაგან მოსაწონი“. მაშასადამე, იგი სახით ლამაზი, ტანადი და შესახედავად მოსაწონი ყოფილა.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი გვაუწყებს: „და მოიყვანა კაცი დიდად გუარიანი... და სახითაცა არა უმარჯვი, რომელიცა იხილეს რა, ყოველთა კაცთა სთნდა“-ო<sup>1</sup>.

რა ცნობებია შემონახული გიორგის ნოვგოროდში მოღვაწეობის შესახებ? ცნობები ამის შესახებ მცირეა. ჩვენ არ ვიცით, როგორ ართმევდა თავს გიორგი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ნოვგოროდში. მატჩანეში ერთგან გიორგის შესახებ ნათქვამია, რომ მან ნოვგოროდის ერთ უბანში წმ. იაკობის სახელობის ქვის საყდრის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველიო: „В то же лето заложиша церковь камяну святого Якова в Неревском коньци“<sup>2</sup>. ეს თითქოს 1172 წელს მომხდარა. როგორც ჩანს, გიორგის და მის მხლებლებს იმ დროისათვის კულტურულ საქმიანობაში მისი სახელოვანი მამისათვის მიუბაძვით, თუ საერთოდ საყდრის აგება ნოვგოროდში, გარკვეული მოსაზრებით, მთავრისათვის სავალდებულო არ იყო მთავრების მიმართ ქირეეული ნოვგოროდელებისა და მისი ვერეს სათავეში მყოფ ეპისკოპოსის გულის მოსაგებად<sup>3</sup>.

მატჩანეების ცნობით, გიორგის ლაშქრობაშიაც მიუღია მონაწილეობა. მთავრის დანიშნულებაც ნოვგოროდში ძირითადად სარდლობა და სამხედრო ხელმძღვანელობა იყო, დანარჩენი საქმეები ამ დროს პროსადნიკისა და ვერეს ხელში იყო.

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 16.

<sup>2</sup> Новгородская летопись. 1868 г. გვ. 151.

<sup>3</sup> ამ აზრს თითქოს მისაღებად უნდა ხდიდეს მატჩანის ცნობები. თითქმის ყველა, ნოვგოროდში მყოფი მთავრები, XII საუკუნეში მაინც საფუძველს უყრიან ან ამთავრებენ საყდრების მშენებლობას. იქნება ამით ვერეს წინაშე ავტორიტეტის მოპოვება სურდათ.

ლაშქრობა, რომელშიაც გიორგის პირველად ვხვდებით მონაწილედ, ნოვგოროდის ინიციატივით წამოწყებული საქმე არ არის, მას ანდრია ბოგოლუბსკი მეთაურობს, იგი აერთიანებს ჩრდილოეთის სამთავროთა ძალებს, მათ შორის ნოვგოროდსაც მონაწილეობას აღებინებს და კიევისაკენ ლაშქრობს. ცნობილი ისტორიკოსი სოლოვიოვი აღნიშნავდა, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილე ჩრდილოეთის მთავრების ინტერესებს ეს ომი ნაკლებ შეესაბამებოდარ.— უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, თუ რიურსკელთა რომელ შტოს უნდა დარჩენოდა უკვე დაქვეითებული კიევი. საქმე ისე მიმდინარეობდა, რომ ლაშქრობაში მონაწილე ჩრდილოეთის მთავრებს სისხლი უნდა დაედვარათ, ხოლო კიევი არც ერთ მათგანს არ შეხვდებოდა სამფლობელოდ. რუსეთის დაქუცმაცებულობის პირობებში, როცა ყოველი სამთავრო საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარეობდა, ანდრიას გეგმებს თავგამოდებით არავინ იცავდა და საკმარისი იყო სამხრეთ რუსეთის მთავართა კოალიცია მტკიცედ დახვედროდა ჩრდილოეთიდან წამოსულ მხედრობას, რომ ანდრიას მოწყობილი კოალიცია და მათი ლაშქრობა სწრაფად — თითქმის უბრძოლველად დაშლილიყო და დაიშალა კიდევ, მოლაშქრენი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

ნოვგოროდელი მემკვიდრის ცნობით ეს ანბავი 1173 წელს მომხდარა. ანდრიას განკარგულებით ნოვგოროდსაც მონაწილეობა მიუღია ამ ლაშქრობაში და ნოვგოროდელებს გიორგი გაჰყვა, ვითარცა მთავარი. მემკვიდრე ანდრია ბოგოლუბსკის შესახებ წერს: „И посла на нь сына своего Юрья с Новгородци и с Ростовци и с Суздалци и инех князеи 20 с полкы своими, воеводство же поручи Борису Жидиславичю... Князь Юрьи Андреевич пришед с вой своими и стоя у Вишгорода 9 недель, и не хоте кровопролитья в' зратися в свояси“<sup>1</sup>. რუსული მატიახის იპატის ნუსხაში ამავე ფაქტის შესახებ ნათქვამია: „И посла с ними сына своего Юрья и Бориса Жидиславича военодою“<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, გიორგი ჩრდილოეთის რუსი მთავრების გაერთიანებულ ლაშქრის სათავეში დაუყენებია ანდრია ბოგოლუბსკის, და ადამიანს ერთი შეხედვით ისე მოეჩვენება, რომ იგი ვითარცა დიდი ნიჭიერი სარდალი ასე იგზავნება დიდ საპასუხისმგებლო საქმეზე, ნაგრამ საკმარისია ადამიანი რუსული მა-

<sup>1</sup> Полное собрание русских летописей, том. XXV. Московский летописный спод конца XV века. 1949. გვ. 83.

<sup>2</sup> Летопись по Ипатьк. сп. 1871. გვ. 390.

ტიანის ტექსტებს ჩაუკვირდეს, საეგვიპტო დარწმუნდება იმაში, რომ გიორგი ანდრიასძე ამ ლაშქრობას აფორმებს მხოლოდ. იგი, როგორც ანდრია ბოგოლუბსკის შვილი, ანდრიას ნაცვლად მიჰყვება ლაშქარს და ამ ლაშქარში მყოფ სხვა 20 მთავართა შორის პირველი ადგილი უკავია, როგორც ანდრიას რწმუნებულს. ლაშქრობის მთელი საქმიანობა კი ანდრია ბოგოლუბსკის სახელოვან სარდალს ბორის ჟიდისლავის-ძეს აქვს ჩაბარებული. ეს ბორისი არა ერთხელ იგზავნება ანდრიას სხვა ვაჟიშვილებთან ერთად ბრძოლებში და მთელი პასუხისმგებლობა მას აწევს, იგი განთქმული სარდალია ანდრიას სამთავროში. ამრიგად, ამ ლაშქრობაში გიორგის მონაწილეობა მხოლოდ ნომინალურია და მისი სათავეში ყოფნა არავითარ შემთხვევაში გიორგის სამხედრო ნიჭზე არაფერს გვეუბნება. ის ანდრიას სახელით არის ამ ლაშქრობაში. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უზარმაზარი ლაშქარი ხელცარიელი დაბრუნდა სახლში. მემატიანე ამ ლაშქრობის გამო ირონიულად შენიშნავს: „И тако възвратишася вся сила Андрея князя Суждальского: совокушил бо бяшесть все земле и множеству вой не бяше числа. Пришли бо бяху высокомысляще. а смирснии отъидоша в дома своя“<sup>1</sup>.

ნოვგოროდელი მემატიანეც შენიშნავს, რომ კიეველებმა ანდრიას ლაშქარი სახლში გამოაბრუნეს: „...прогнаша е ис Кыева. и стояше под Вышгородомъ 7 недель, и придоша сторови вси Новугороду“<sup>2</sup>.

აქ მოტანილი ცნობებიდან გიორგი უფლისწულის სამხედრო ნიჭიერების ან უნიჭობის შესახებ არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეგვიძლია. ჩვენ გარკვევით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ახალგაზრდა გიორგის სამხედრო საქმეში წვრთნიდნენ რუსეთში, მას სათანადო სპეციალისტები ჰყავდა ნოვგოროდში და ნოვგოროდიდან გამოდევნის შემდეგაც; ასე რომ, გიორგი ლაშქრობებში ნამყოფი ახალგაზრდა იყო უდავოდ, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ჩანს, რომ მან რუსეთში მხოლოდ თავის თანამემამულეებთან წარმოებული ბრძოლები ნახა და მისი უშუალო მონაწილე იყო. რომ იგი რუსეთში გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილიყო, საამისო ცნობა ჩვენ არა გვაქვს და, ეტყობა, საქართველოში მოსვლამდე ასეთი შემთხვევა მას არც ჰქონია.

<sup>1</sup> Летопись по Ипатск. сп. 1871, гл. 392.

<sup>2</sup> Новгородская Летопись. арქეოგრაფ. კომის. 1888 г. გამოც., გვ. 151.



ამ ლაშქრობის შემდეგ გიორგი ნოვგოროდელ მემკვიდრეს ანდრია ბოგოლუბსკის სიკვდილის შემდეგ ჰყავს ერთხელ და უკანასკნელად მოხსენებული. ანდრია 1174 წელს ბოიართა შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. ანდრიას მკვლელობაში დიდი წილი ნიუძღვის მის კარზე დაწინაურებულს, ტომით ოსს, ვინმე „ანბალს“. ანდრიას მოკვლის შემდეგ გიორგი ერთხანს კიდევ ნოვგოროდში არის 1175 წლამდე. ამ წლის ქვეშ მოთხრობილ ამბებს შორის ნოვგოროდელი მემკვიდრე გვაუწყებს: „В лето 6683. Выведоша из Новагорода князя Гюргия...“<sup>1</sup>. რატომ გააძევეს ნოვგოროდიდან გიორგი, ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ, რამდენადაც გიორგის ნოვგოროდში მოწვევა ანდრია ბოგოლუბსკის დაპყრობითი პოლიტიკისაგან თავდასახსნელად იყო მოლონებული და ანდრიას გარდაცვალებით სიტუაცია შეიცვალა, როსტოვ-სუზდალის სამთავროში შექმნილი შინათ-აშლა ნოვგოროდელებისათვის აშკარა მაჩვენებელი იყო იმისა, რომ გიორგის ნოვგოროდში მთავრად დატოვება ნოვგოროდს ვერაფერს შესძენდა და ანტიომ იგი გააძევეს და მის ნაცვლად სხვა მოიწვიეს. ნოვგოროდის მკვიდრე ამის შემდეგ გიორგის აღარ იხსენიებს.

იპატის ნუსხით კი გიორგი ამის შემდეგ როსტოვ-სუზდალის სამთავროს ამბებშია მოხსენებული. ანდრიას მოკვლის შემდეგ როსტოვ-სუზდალის სამთავრო მთავართა შორის ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. გიორგი ამ დროს ქ. ვლადიმირში იმყოფება, მაგრამ იმის გამო, რომ იგი უმცროსი არის, სამთავროს ტახტზე უფლებები არ აქვს, მაგრამ მონაწილეობას იღებს მოწინააღმდეგე მთავრების ერთ დაჯგუფებაში და ვლადიმირის რაზმს ხელმძღვანელობს: „И ту стреташа и Володимеръци с Андреевичем Юремъ, одни бо Володимеръци бяху ему добри“<sup>2</sup>.

ამის შემდეგ გიორგი რუსულ ძეგლებში აღარ ჩანს.

1176—7 წლიდან ანდრიას ძმამ ვსევოლოდმა დარპყრო ანდრიას სამფლობელო მთლიანად და აღარავინ თავის ძმათა წულთაგანი სუზდალის სამთავროში არ დაარჩინა. გიორგის შემდგომი ხანის თავგადასავალი მხოლოდ ქართული წყაროებიდან შეიქნა ცნობილი რუსეთის XIX საუკუნის ისტორიკოსებისათვისაც. სადა არის გიორგი 1176 წლის შემდეგ, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ 1184—5 წლებში იგი ქართველმა დიდებულებმა ყივჩაყეთში აღმოაჩინეს. როდის მოვიდა

<sup>1</sup> Новгородская Летопись. Арх. комисс. 1893 г., гл. 152.

<sup>2</sup> Летопись по Ипатьк. св. Арх. комисс. 1871, гл. 407.

გიორგი ყვიჩაყეთში, უცნობია ჩვენთვის. მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ყვიჩაყეთს თავს აფარებს იმის შემდეგ, როცა ბიძანისმა ვსევოლოდმა ბრძოლა საბოლოოდ მოიგო და არაერთარი იმედი „მამულში“ წილის მიღებისა გიორგისათვის აღარ ჩანდა; ეს მდგომარეობა კი 1177 წლისათვის უკვე გამორკვეული იყო.

რა პირობებში ცხოვრობს გიორგი ყვიჩაყეთში, გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ იგი მამულში დაბრუნების იმედით ცხოვრობდა ყვიჩაყეთში, თუმცა ვსევოლოდის საქმიანობას იგი ბოლოს სავსებით უნდა დაერწმუნებინა იმაში, რომ ვსევოლოდის გარდაცვალებამდე მამულში დაბრუნების ხელსაყრელი შემთხვევა არ ექნებოდა. ვსევოლოდი საკმაოდ საღი აგებულების ადამიანიც გამოდგა, 1212 წლამდე იცოცხლა, საკმაოდ ბრავალრიცხოვანი ოჯახი დატოვა და საამისო ეპითეტიც დაემატა მის სახელს<sup>1</sup>.

გიორგი უდავოდ მართალი იყო, როცა იგი თავის ბედს საქართველოს უკავშირებდა: რუსეთში მცხი მოწინააღმდეგე ვსევოლოდი ამ ქვეყანასთან გაყრას არ უჩქაროდა, საქართველოში არსებული პირობები მეტისმეტად მიწილდელი იყო ყვიჩაყეთში გადმოხვეწილი გიორგი უფლისწულისათვის. სანშობლოში მას სიკვდილი ემუქრებოდა, წარმართ ყვიჩაყთა ურდოში. ყოფნა არც ისე სახარბიელო იყო, რომ მას არ გაცლოდა.

გიორგი რომ სიამოვნებით წამოვიდოდა საქართველოში, ეს ჩვენთვის სავსებით გასაგებია. ეხლა საკიროა ჩვენ პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვას—რით უნდა ყოფილიყო გიორგი მიწილდელი ქართველი დიდებულებისათვის?

ამ საკითხის გასარკვევად ყურადღება უნდა მიექცეს თამარის საქმროს შესარჩევად შეყრილ თათბირზე აბულასანის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. თუ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი სწორად გადმოგვცემს აბულასანის სიტყვებს და მას იმის მეტი არაფერი უთქვამს, რაც ისტორიკოსს შეუტანია თავის ნაშრომში, უნდა დავასკვნათ, რომ დიდებულთათვის მიწილდელი მომენტები გიორგის კანდიდატურის მისაღებად აბულასანის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში უნდა ვეძიოთ ძირითადად. აბულასანი, ისტორიკოსის ცნობით, პირველ რიგში თათბირის ყურადღებას მიაქცევს რუსი უფლისწულის შთამომავლობისა და გვარიწვილობისაკენ: „მე ვიცი შეილი კელმწიფისაჲ, ანდრია დიდისა რუსთ მთავრისაჲ, რომელსა ჰმონებენ სამასნი მთავონი რუსთანი“. საფიქრებელია, რომ გვარიწვილობის საკითხი უდავოდ მნიშვნელოვან და აუცილებელ პი-

<sup>1</sup> ვსევოლოდ—„დიდი ბუღე“.

რობად მიაჩნდა თათბირს კანდიდატურის დასახელების დროს და აბულასანი ამ მხარეს სათანადოდ აშუქებს კიდევ. მეორე მომენტი, რომელიც აბულასანის სიტყვებში გარკვევით მოჩანს, ეს არის რუსი უფლისწულის თავგადასავალი, მისი მაშინდელი მდგომარეობა და ადგილსამყოფელი: „და იგი მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნილი, გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან, და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სუნჯისა ქალაქსა“. ამ სიტყვებში რუსი უფლისწულის უთვისტომობაა ხაზგასმული—თავის მამულიდან დევნილია და ყივჩაყთაში იმყოფება.

მაშასადამე, აბულასანმა თათბირს ორი მხარე გაუშუქა რუსი უფლისწულის კანდიდატურის დასახელების დროს: კარგი გვარიშვილობა და „ექსორია ქმნილის“ ყივჩაყთაში უთვისტომოდ მყოფობა. სასიძოს არაფერი არ გააჩნია, არც მამული და არც ყმა. სხვა ქონება კი უფლისწულისათვის და, საერთოდ „გვაროვანი“ ადამიანისათვის მაშინ მნიშვნელობას მოკლებული იყო.

აი ამ მდგომარეობაში მყოფი გიორგი სასურველ კანდიდატად იქნა მიჩნეული და იგი სასწრაფოდ მოიყვანეს ყივჩაყეთიდან. ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ მოყვანა საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. იგი საქართველოში მოყვანის შემდეგ, ვისგანაც დამოკიდებული იყო, „გაიხინჯა“, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი აბულასანის სიტყვებს არ გადმოგვცემს, მაგრამ რუსი უფლისწულის გვარიშვილობას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონია მის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო საქმე, ეს ამ მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილიდანაც კარგად ჩანს: „და მოიყვანა კაცი დიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა“-ო. ამავე ისტორიკოსის რუსი უფლისწულის კანდიდატურის გამარჯვების ასახსნელად ისეთი მომენტიც აქვს აღნიშნული, რომელზეც პირველი ისტორიკოსი არაფერს ამბობს. მეორე ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ რუსების ქრისტიანობამ და მართლმადიდებლობამ საქმე გადაწყვეტაო: „და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასაო“.

თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი იმის შესახებ, რომ თათბირზე ქრისტიანობის და მართლმადიდებლობის საკითხი იდგა და ამ მხარემ გადამკრელი როლი ითამაშა. მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს მეორე ისტორიკოსის ცნობა, სარწმუნოება

უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ძირითადი არ ყოფილა და დიდებულებს, ამით არ უნდა ეხელმძღვანელათ, როცა გიორგის კანდიდატურას აძლევდნენ უპირატესობას. ცნობილია, რომ ყოველი რჯულის ადამიანის მოქცევა შეიძლება ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახლად მოქცეული ქრისტიანის მდგომარეობა და ფასი განსხვავებული იყო მაინც იმ დროის ქრისტიანულ სამყაროში იმთავითვე ქრისტიანული მოდგმის მქონე ადამიანისაგან, მაგრამ ჩვენ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ არაქრისტიანობა არ იყო იმ დროს გადაუღახავი დაბრკოლება და, რაც მთავარია, იმ დროის საქართველოს დიდ სახელმწიფოში საკმაოდ დიდი პატივი ენიჭებოდა არამართლმადიდებლებსა და სხვა სარწმუნოების ხალხსაც. ეს საკმაოდ ბრძნული პოლიტიკა, თუ უფრო ადრე არა, დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული, ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებათაგანია ფეოდალურ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოსი.

თათბირზე წარმოთქმულ აბულასანის სიტყვებში მოცემული რუსი უფლისწულის იმ დროის მდგომარეობის აღწერა ყველაზე უფრო მიმზიდველი უნდა ყოფილიყო დიდებულთათვის. გიორგი რომ გადმოხვეწილი იყო, ყველა თავისიანის მიერ მოძულებული და თავისი ყმა და მამული არ გააჩნდა, ეს გარემოება ქართველ დიდებულთა გარკვეული წრეებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, რადგან გიორგის საქართველოს სამეფო კარზე ადგილობრივ გაბატონებულ წრეებში დასაყრდენის ძიებაზე უნდა ეზრუნა, როგორც გარედან მოსულს და, რაც მთავარია, მას საქართველოს გარეთ არავითარი ძალა არ გააჩნდა. ცენტრალურ ხელისუფლებას და თვით თამარს გიორგის სასახლეში შესვლა ვერავითარ ძალას ვერ შემატებდა. იგი, ერთი ადამიანი, სამუდამოდ იმათი მადლიერი რჩებოდა, ვინც სასახლეში შეიყვანა. ეს მომენტი თამარ მეფის ისტორიკოსებს აღნიშნული არ აქვთ. მაგრამ იმის შემდეგ, როცა 1184—5 წლების საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ამბებს გავითვალისწინებთ, წამოყენებული მოსაზრება სინამდვილესთან ახლო გვესახება.

რა თქმა უნდა, თამარის გათხოვება დიდებულთა წრეებს ბაგრატიონთა გვარის გადაშენების შიშითაც ეჩქარებოდათ, მაგრამ არსებული მდგომარეობის გამოყენებაც სურდათ და კანდიდატის შერჩევის დროს მარტო სქესის საკითხი კი არ იდგა, არამედ, პირველ რიგში, პოლიტიკური. ამ მოსაზრებით კი ყველაზე

უფრო მისაღები და საიმედო, აბულასანის დახასიათების შემდეგ, გიორგი ჩანდა. კაცი გაიგზავნა და გიორგიც მოიყვანეს.

თამარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსის თხზულებათა ერთი ადგილიდან ჩანს, რომ საქართველოში გიორგი უფლისწულის მოყვანის შემდეგ მმართველ წრეში კვლავ უნდა შემდგარიყო თათბირი. პირველ თათბირზე აბულასანის მიერ წამოყენებული კანდიდატურა იქნა მოწონებული, მაგრამ საქმე ამით არ გადაწყვეტილა. როდესაც გიორგი საქართველოში მოუყვანიათ, ამის შენდევ იგი კვლავ შეუმოწმებიათ, ისტორიკოსი აპობს: „ამისთა მნახველთა და გამცდელთა: პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა, მოაქსენეს თამარსა, და მათგან ნება დაურთავი განმზადეს ქორწილიო“. თამარის მეორე ისტორიკოსიც აღნიშნავს, რომ გიორგი აქ, საქართველოში, „განიხილეს“-ო და ამის შემდეგ თამარს ძალას ატანდნენ იგი შეერთო. საფიქრებელია, რომ დიდებულთა წრეები გიორგის მარტო მხარ-ბეჭსა და სახის მოყვანილობას კი არ უსინჯავდნენ და მარტო მის გარეგნულ მოწონებაზე კი არ აყო იქ ლაპარაკი. დიდებულთა წრეებმა გიორგის მოყვანისთანავე გააცნეს გარკვეული პოლიტიკური პირობები და, რაკი გიორგის თანხმობა მიიღეს, შემდეგ ერთი დღით ქორწილის დაყოვნება არ უნდოდათ და თამარის უნებურად „ქორწილი განამზადეს“.

გიორგის დაწუნება გვარიშვილობით არ შეიძლებოდა, შესახედავად კარგი ყოფილა, სარწმუნოებით ქრისტიანი მართლმადიდებელი, უარის თქმა აღარ გაეწყობოდა, თამარიც ამ მხრივ ვერ ახერხებს მის დაწუნებას, მაგრამ დროს ითხოვს, შინა ბუნება და სამხედრო ხელოვნების ნიჭი არ ვიციოთ, გავიცნოთ და შემდეგო.

თამარის მოტივები შეწყნარებული არ იყო. ეს თამარის პირველი ქორწინების ისტორიის ოფიციალური მხარე არის, ამ ქორწინებას იმ დროს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის პირობებში არაოფიციალური, მაგრამ ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მეორე მხარეც ჰქონდა, რომელმაც არ დაინდო გვირგვინოსანი გასათხოვარი ქალიშვილის გრძნობები და არც ამ გვირგვინოსნის მხარეზე მყოფი მოწინავე წრის ინტერესები, — გიორგი სასახლეში შევიდა. ეს მეორე და გადამწყვეტი მხარე ძალდატანებითი ქორწინების ფაქტში მოჩანს.

შეეძლო თუ არა გიორგის საქართველოში შექმნილ შინა სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში გარკვეულიყო და მისთვის ხელსაყრელი პოზიცია დაეკავებინა?

მართალია, ჩვენი ანგარიშით გიორგი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, როცა საქართველოში მოვიდა, მაგრამ ის ცნობები, რომლებიც ჩვენ გიორგის შესახებ გავაჩნია, გვაფიქრებინებს, რომ იგი საკმაოდ გამოცდილი და საქმეებში ჩახედული ადამიანი უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ, რომ გიორგი ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟიშვილი იყო. ანდრიას ბრძოლა როსტოვ-სუზდალის სამთავროს ბოიარებთან საკმაოდ მძაფრი ხასიათის იყო, ანდრია ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდევ. წარმოდგენილია აღნიშნულ ფაქტს გიორგის ყურადღების გარეშე ჩაველო და მას აქედან დასკვნა არ გამოეტანა.

უნდა მოვიგონოთ აგრეთვე ის ფაქტი, რომ გიორგი ნოვგოროდში იყო მთავრად, სადაც ძირითადი საქმეები ვეჩეს ხელთ იყო, ხოლო ვეჩეში ვაქრები და ბოიარები ბაჟონობდნენ. ვეჩეს საბქოს კი სათავეში ეპისკოპოსი ჰყავდა. ვეჩეს გადაწყვეტილებათა მორჩილი იყო მთავარი XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც.

ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრე არა ვართ, რომ იმ დროის რუსეთის ცხოვრება, თუ გინდ ნოვგოროდის, საქართველოს მაშინდელ ცხოვრებასთან გავაიგივეოთ. მაგრამ მსგავსი მოვლენები, კლასთა ბრძოლის სიმძაფრე ორივე ქვეყანას ახასიათებს და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების ცხოვრების ისეთ თავისებურებებთან გვაქვს საქმე, რომ მათი შედარება და წსგავსების ძიება კონკრეტულად არ არის დასაშვები, მაგრამ XII საუკუნის საქართველო და რუსეთი ფეოდალური საზოგადოების სამყაროა და ამდენად გიორგისათვის ჩვენს ქვეყანაში გაუგებარი არაფერი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო მიუხედავად იმისა, რომ აქ მრავალი თავისებურება მოხვდებოდა მას თვალში.

მაგრამ აქ საყურადღებოა საკითხი, იცოდა თუ არა თვით გიორგიმ, რომ მისი კანდიდატურა მანამ იყო წარმოდგენილი საქართველოში, სანამ მის წასაყვანად მივიდოდა ზანქან ზორაბაბელი. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გიორგიმ ყველაფერი იცოდა. იგი ყივჩაყეთში აღრე უნდა გაცნობოდა საქართველოში ტახტზე არსებულ მდგომარეობას და საფიქრებელია მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს სამეფო ტახტთან ახლო მყოფ პირებთან და მათ შორის აბულასანთანაც. ყივჩაყეთის ის მთავარი, რომლის ურდოს თავს აფარებდა გიორგი, საქართველოს სახელმწიფოს ყმადნაფიცი იყო. იქაური მთავრის სვინჯის ძმა სალაგათი გარკვეულ ვალდებულებას

იხდის საქართველოს სამეფოს წინაშე და არა ერთხელ ჩანს ჩვენს ძეგლებში „სამსახურად მოსული“ თბილისში. ისე რომ, აბულასანი დიდებულთა თათბირზე შემთხვევით ყურმოკრულ ამბავს კი არ აცნობს დაჰსწრეთ, არამედ წინასწარ შესწავლილს და მომზადებულს. გიორგისაგან გარკვეული ცნობები და პირობები უნდა ჰქონდეთ მიღებული. მისი მდგომარეობა ისე დაწვრილებით იცის აბულასანმა და, რაც მთავარია, ისე სწორად, რომ გიორგის საქართველოს სამეფო სასახლეში შეყვანის გეგმა გარკვეულ წრეში ადრე მოთქმებული და დამუშავებული ჩანს. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი რომ მოკლედ გვაცნობს დიდებულთა თათბირს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თამარის გათხოვების საკითხი ყურმოკრული ამბით გადაეწყვიტოთ.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ის გზები და საშუალებანი, რომლითაც აბულასანს და მის ჯგუფს ყიფჩაყეთიდან ცნობები შეიძლებოდა მიეღო. აბულასანი ცნობილია თბილისში დაცული ძეგლების წარწერებიდანაც. „ლურჯი მონასტრის“ ქვაზე ამოკრილ წარწერაში იგი მოხსენებულია, როგორც, ერისთავთ-ერისთავი, ქართლისა ამირათ-ამირი, „რუისთავისა და შვილთა მთეულთა პატრონი“<sup>1</sup>. მეორე წარწერაში—„ერისთავთ-ერისთავად და მექუტუქლეთუხუცესად“<sup>2</sup>.

ეს წარწერები ჩვენთვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აბულასანი დასახლებულია „შვილთა მთეულთა პატრონად“. თუ აქ კავკასიონის მთეულნი იგულისხმებიან, მაშინ საფიქრებელია, რომ, რაკი ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა მთეულთა მიწა-წყალზე გადადიოდა, აბულასანს ჩრდილოეთის ამბები სხვაზე უფრო კარგად უნდა სცოდნოდა. მაგრამ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით როდის მიიღო აბულასანმა „შვიდი მთეულეთი“ საპატრონოდ. არ არის გამორიცხული, რომ იგი მას, ასევე მექუტუქლეთუხუცესობაც, რუსი უფლისწულის საქართველოში მოსვლის შემდეგ მიეღო.

უფრო მართებულია ყურადღება მივაქციოთ აბულასანის იმ თანამდებობას, რომლითაც იგი მოხსენებული ჰყავს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს. აქ იგი თბილისისა და ქართლის ამირად არის მოხსენებული. ამირები, როგორც გამორკვეულია, საქალაქო ცხოვრებაზე უშუალო ზედამხედველობას აწარმოებდნენ და ვაქართა

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Арх. экскурсии, Вып. IV, гл. 150.

<sup>2</sup> მიწივე, Арх. экск., вып. II, гл. 70.

ფენასთან დაკავშირებული იყვნენ<sup>1</sup>. ის ფაქტი, რომ რუსი უფლისწულის კანდიდატურას ქართლისა და თბილისის ამირა აყენებს და ყივჩაყეთიდან მისი მოყვანაც ვაჟარს — „ლიდეაჟარს“ მიენდო, იმის მაჩვენებელია, რომ ჩრდილოეთის ამბები, ჩვეულებრივ, ალებ-მიცემობაში ჩაბმულ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მოჰქონდეთ.

რუსი უფლისწულის შესახებ ცნობები აბულასანამდე უდავოდ ყივჩაყეთიდან მოდის. დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული ყივჩაყეთთან ურთიერთობა XII საუკუნის მეორე ნახევარშიაც გრძელდება. ლაშა გიორგის დროის მემატიანე გიორგი III-ის ძლიერების აღსანიშნავად გვაუწყებს: „და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენ ათასი კაცი უბრძანის მოვიდიანო“<sup>2</sup>. თამარ მეფის ხანაშიაც გრძელდებოდა ყივჩაყეთთან ურთიერთობა. „ძმა ყივჩაყთა მეფისა სეიფჯისა სალავათი აქა იყო სამსახურადო“, აღნიშნავს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი შამქორის ომის ამბავთან დაკავშირებით. აქ ყურადღება მისაქცევია ტერმინი „სამსახური“. ეს „საპატრონყმო“ ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინია. ამასთან დაკავშირებით მეტისმეტად საგულისხმო ხდება თამარ მეფის იმავე ისტორიკოსის ცნობა თამარის დროის საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ: „ოცდაათერთმეტთა მოკცევათა ჟამთა თამარ... იპყრნა ზღვთ პანტოსით ზღუადმდე გურჯანისად და სპერიოთგან დარუბანდამდის და ყოველნი კვე კასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვითამდის“<sup>3</sup>. „სკვითეთი“ რუსეთს ნიშნავდა მაშინდელ ქართულ ენაში და, თუ ყივჩაყთა მთავარი საპატრონყმო დამოკიდებულებაში იყო XII ს. საქართველოსთან, მაშინ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიერ საქართველოს საზღვრების მოხაზვა სინამდვილეს შეიძლება შეიცავდეს და თუ მთელი ყივჩაყეთი არა, ნაწილი მაინც საქართველოს უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნად უნდა მივიჩნიოთ. ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობა იმის შესახებ, თუ რა სისწრაფით მოიყვანეს გიორგი ყივჩაყეთიდან, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ყივჩაყეთამდე გზა საქმოდ შოწესრიგებული ყოფილა. „მსწრაფლ მისულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყუანა უწინარე პაემნისაო“ — მოგვითხრობს ისტორიკოსი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქარტვ. ეკონომ. ისტ., 1907 წ., გვ. 19—30. იხ. აგრეთვე მისივე ქართ. სამართ. ისტ., წიგ. II, ნაკვ. 1, გვ. 178, 213, 215.

<sup>2</sup> ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ივ. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 16.

<sup>3</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, გვ. 79—80.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 81.



თუ ჩვენ მართალი ვართ იმაში, რომ გიორგის ექსორიაში ყოფნა ყველაზე უფრო მიზნიდგელი უნდა ყოფილიყო დიდებულთა წრისათვის და აბულასანს გიორგის ვინაობისა და თავგადასავლის შესახებ ინფორმაცია თამარის გათხოვების საკითხის დამოუკიდებლად. გიორგის საქართველოში მოსვლამდე აქვს მიღებული, მაშინ ეს ფაქტი დამახასიათებელი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

მაგრამ ყივჩაყეთის მეშვეობით რომ რუსეთის მნიშვნელოვანი ცნობები საქართველომდე აღწევდა, ეს სადავო არ უნდა იყოს.

საქართველოსა და იმ დროის რუსეთს შორის შუამავალ ინფორმატორად მათი საერთო მეზობელი, კავკასიონის იქეთ მდებარე, ყივჩაყეთი უნდა ყოფილიყო. მართალია, რუსული მატრიანეები რუსეთის სამთავროების დამოკიდებულებას ყივჩაყეთთან მეტისმეტად მუქი ფერებით გვისურათებენ: ყივჩაყები ისე არ იცნებებიან, რომ „Окажишия“ არ მიაკერონ, მაგრამ იმავე მემატრიანეებს არა ერთი ცნობა მოეპოვება ყივჩაყების მონაწილეობაზე რუსი მთავრების ლაშქარში, და ზოგიერთი მათგანი საკმაო ახლო ნათესაურ ურთიერთობაში არის რუს მთავრებთან. აკად. გრეკოვის ნაშრომში ამ მხრივ არა ერთი საყურადღებო ცნობაა განხილული<sup>1</sup>.

ქართული წყაროებიდან ნათლად არ ჩანს ქართველების მიერ ყივჩაყეთს იქეთ, რუსეთის სამთავროებისაკენ, გზა ჩვეულებრივ გათვლილი იყო თუ არა.

XIV საუკუნეში მცხოვრებ ქართველ ისტორიკოსს, ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქამთაღმწერელის“ სახელწოდებით ცნობილს, თავის თხზულების იმ ნაწილში, სადაც მონგოლთა მიერ საქართველოს დაპყრობაზეა ლაპარაკი, ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ჩალათა ნოინმა ავაგ ათაბაგი რუსეთის მპყრობელ ბათო უაენთან გაგზავნაო. ისტორიკოსი ავაგის ამ მოგზაურობის შესახებ შენიშნავს: „წარვიდეს უცნაურსა და ყოელადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზაჲა და... მიიწინეს ბათოსაო“<sup>2</sup>.

---

1. Греков, Киевская Русь, 1944. გვ. 216—222, საყურადღებოა, რომ ყივჩაყების დაუქმინებელი მტრის ვლადიმერ მონომახოსის შვილს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის „ეპიოპის“ ქალი. და რაც მთავარია, თვით ვლადიმერმა მოჰკვარა თავის შვილს იურის ეს ყივჩაყი ქალი. იხ. Летопись по Шатск. с. 1871. გვ. 187.

<sup>2</sup> ქართლ. ცხოვრება. მ.მ დედოფ. ვარ., გვ. 608.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, ეამთა-  
აღწერელი, მართალია, XIV საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ  
თავის თხზულების დაწერის დროს ხელმძღვანელობდა და მასა-  
ლებს კრებდა მონგოლთა საქართველოში შემოსვლის და აქაურ  
ამბების ვითარების შესახებ XIII საუკუნის ქართულ საისტორიო  
ძეგლებიდან. ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა იფიქ-  
როს, რომ ბათო ყაენის რუსეთში გაბატონებამდე ქართველს მარ-  
თლა ფეხი არ დაედგა ვოლგის ქვემო ნაპირებამდე, სადაც მაშინ  
ბათო ყაენის საბრძანებელი იყო.

მაგრამ ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველ  
ისტორიკოსს ავგ ათაბაგის ბათო ყაენის საბრძანებლამდე მოგზაუ-  
რობის სიძნელისა და საშიშროების დასახასიათებლად ჰიპერბოლა  
უნდა ეხნარა, ანდა ეს შესაძლებელია XIV საუკუნეში არსებუ-  
ლი მდგომარეობის გადატანაა წინა საუკუნეში.

XII საუკუნის ქართველი პოეტი გრიგოლ ჩახრუხაძე ძვირ-  
ფას ცნობას გვაწვდის იმის გასათვალისწინებლად, რომ XII საუ-  
კუნეში, ე. ი. მონგოლთა შემოსევამდე, ქართველისათვის ვოლგის  
მიდამოები „ყოვლად უცნაური გზა“ არ ყოფილა. გრ. ჩახრუხაძე  
პოეტი მოგზაურის შესახებ წერს:

ა ტ ა ლ ა ს მოყვის, ქვეყანა მოსცვის,  
არვისი ჰქონდის შესაუარი,  
ხაზარეთს დაჰყვის რუსეთსაც ჩაჰყვის,  
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი“<sup>1</sup>.

თუმცა ჩახრუხაძის ზემოთ მოტანილ ტექსტში არაფერია  
ნათქვამი საქართველოდან პირდაპირ რუსეთისაკენ მოგზაურობის  
შესახებ, პოეტი მოგზაური ინდოეთიდან ჩინეთზე გამოვლით მოდის  
ატალაზე, თანამედროვე ვოლგისა და ასტრახანის მიდამოებზე,  
იქედან ყოფილ ხაზარეთის ტერიტორიის გავლით რუსეთისაკენ,  
მაგრამ მაინც ქართველისათვის ყოვლად უცნაური გზა არ ყოფი-  
ლა ვოლგის მიდამოები. რაც შეეხება საქართველოდან რუსეთისა-  
კენ მოგზაურობას, რუსული ძეგლები ამის შესახებ გარკვეულ ცნო-  
ბებს გვაწვდიან, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჩახრუხაძის თხზულების ის ადგილი, რომელიც ჩვენ ზემოთ  
მოვიტანეთ და რომელშიაც რუსეთი იხსენიება, აკად. ნ. მარის  
შეხედულებით, ეკუთვნის „ელეგიას“ და ეს ელეგია ცალკე ნაწარ-  
მოებია, რომელსაც კავშირი არ აქვს ჩახრუხაძის მიერ სხვადასხვა  
დროს შექმნილ „შესხმებთან“. 1902 წელს განსვენებული აკადემი-

<sup>1</sup> თამარიანი, ჩახრუხაძისა, ს. კაკაბაძის გამოც., 1937 წ., გვ. 60.

კოსი ამ ელევგის ჩახრუხადის ნაწარმოებად თვლიდა<sup>1</sup>, მაგრამ შიგ ჩანართ ადგილებს ხედავდა და სავსებით დამაჯერებლად გამოჰყო მან ეს ჩანართი ადგილები.

მაგრამ 1917 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ეს ელევგია, რომელიც მე-6 ნაწილად ჰქონდა 1902 წელს გამოყოფილი მის მიერ. გამოცემულ „თამარიანში“, ნ. მარმა ჩახრუხადის შემოქმედებად არ მიიჩნია და მისი დაწერის დრო განსაზღვრა XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე: „Поэту Чахрухадзе, певцу Тамары, элегия ни в каком случае не может принадлежать: элегия, по ряду соображений из эпохи монгольского владычества... вероятно не позднее 1338 г.“<sup>2</sup>.

ამ აზრს მკვლევარი იმით ასაბუთებს, რომ ელევგიაში მოხსენებული ჰოეტის მიჯნური მეგობრის ასეთ შორეულ მხარეებში მოგზაურობა, როგორც არის ჩინეთი, ინდოეთი, თურქთა სამყარო, ვოლგის ნაპირები და რუსეთი. შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მონგოლთა ბატონობის ხანაშიო, როცა მანამდე არასებელი დიდი გეოგრაფიული მოცულობის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის პირობები შეიქმნაო<sup>3</sup>.

ამის საწინააღმდეგო მოსაზრება 1934 წელს გამოთქვა განსვენებული აკადემიკოსის შვილმა იური მარმა. იგი დაემყარა ერთი ტაეპის აკად. მარისეულ რუსულ თარგმანს და ელევგია დაათარილა 1186 წლის ახლო დროით. რამდენად უსაფუძვლოა იური მარის მოსაზრება, ეს ნათლად შეიძლება დაინახოს ადამიანმა აკად. კ. კეკელიძის ნაშრომში<sup>4</sup>. ი. მარის შეცდომა ძირითადად იმისაგან წარმოდგება, რომ ტექსტის რუსული თარგმანი, რომელზეც მკვლევარი თავის მოსაზრებას ამყარებდა, მცდარია. ამდენად ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნ. მარი მონგოლების ხანაში ეძებს „ელევგის“ დაწერის თარიღს, თითქოს ამ ხანაში შეიძლება ქართველს ის გეოგრაფიული არე წარმოედგინა, რომელიც „ელევგიაშია“ მოცემული.

<sup>1</sup> И. Марр. Древнегрузинские одашцы. 1902, стр. 42—43

<sup>2</sup> И. И. Марр. Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“. 1917 г., стр. 503.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 504—505.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941 წ., გვ. 229.

ეს აზრი მაშინ იქნებოდა მისაღები, თუ ჩვენ დამტკიცებული გვექნება, რომ მონგოლების დაპყრობამდე მცირე აზიაში ინდოეთის, ჩინეთის, ატალისა და რუსეთის არსებობა არ იცოდნენ. ნუთუ შეიძლება ამისი მტკიცება ანდა საკირო არის ვამტკიცოთ, რომ მცირე აზიაში XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იცოდნენ ეს ქვეყნები.

ჩვენ თუ მონგოლების ბატონობამდე არსებული ცხოვრება ისე წარმოვიდგინეთ, რომ არავითარი მიმოსვლა და კავშირი სახელწიფოებსა და ხალხებს შორის არ არსებობდა, უდავოდ შენცდარი ვიქნებით. მაშინ უფრო ნორმალური ხასიათის უნდა უოფილიყო მიმოსვლა, ვინემ მონგოლების დროს. და თუ „ელეგიაში“ მოხსენებული მოგზაური სინამდვილეში არსებობდა, მას მონგოლთა ბატონობის ხანამდე უფრო შეეძლო ემოგზაურა. ვინემ მონგოლების დროს, როცა პოლიტიკური ამინდი ასეთი მოგზაურობისათვის არ არსებობდა.

„ელეგია“ რომ „თამარიანის“ განუყრელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ და იქ დაცული ცნობები რომ არსებულ ფაქტებს არ ეწინააღმდეგება, ეს თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებათაგანაც შეიძლება აღამიანმა გაითვალისწინოს.

თამარ მეფის ისტორიკოსები არა ერთ მაჰმადიან და სხვა მფლობელთ თუ „მოყმეთ“ გვისახელებენ, თამარის სიყვარულით შეპყრობილთ. ამ მომენტის ასახვა თამარის შესაქებლად დაწერილ ლექსთა კრებულში სრულიადაც მოულოდნელი და შეუძლებელი არ არის, პირიქით, ეს ბუნებრივია.

ვინც არ უნდა იგულისხმებოდეს „ელეგიის“ მოგზაურში. XII ან XIII საუკუნის პირველი მესამედის ქართველს თუ მის მეზობელ მაჰმადიან მფლობელს თავისუფლად შეეძლო ემოგზაურა ამ შორეულ ქვეყნებში და ამის შესახებ ქართველ პოეტს, ჩახრუხაძეს, ცნობები ჰქონოდა. არც ერთი ისეთი მყარი საბუთი არ ნოიპოვება აღნიშნულ „ელეგიაში“, როპელიც ამ ელევგის მონგოლთა ბატონობის ხანამდე დაწერას შეუძლებლად სახავდეს. არსებულ ტრადიციას, ჩახრუხაძის ცნობების შესახებ მაინც, ანგარიში უნდა გაეწიოს. სანამ მართლა ურყევი საბუთი არ აღმოჩნდება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად.

ამრიგად, რუსი უფლისწულის საქართველოში მოსვლა პირველ რიგში საქართველოს შინა პროცესებმა განსაზღვრეს, ხოლო შემდეგ თვით გიორგის დიდმა გვარიშვილობამ, მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ და ვითარცა მფლობელის საგანგებო მდგომარეობამ — „ექსორია ქმნით“ დევნილობამ.

ზემოთ განხილული საკითხების შემდეგ თამარ მეფის ისტორიკოსების ცნობებიდან ჩვენ უნდა განვმარტოთ ზოგიერთი სიტყვები და შემდეგ გადავიდეთ რუსი უფლისწულის საქართველოდან განდევნის საკითხზე.

მკვლევართა შორის გაურკვეველობა არსებობს ზოგიერთ საკუთარ სახელის გარშემო, რომელიც მოხსენებული აქვს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს.

ზემოთ, თავის ადგილას მოტანილ, აბულასანის მიერ თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში მოხსენებულია რუსი უფლისწულის ბიძის სახელი „სავეალათი“. სავსებით სამართლიანია აკად. ბროსეს შენიშვნა, რომ „სავეალათი“ რუსული „ესევილოდი“ არის. მართლაც გიორგის ბიძა, რომელმაც იგი სამშობლოდან განოაძევა, ესევილოდი იურის ძე იყო. მაგრამ ბროსე უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდნილა, როცა იმავე ისტორიკოსის თხზულებაში ყიფჩაყთა მეფის ძმის სახელს წააწყდა, რომელსაც „სალავთი“ ეწოდებოდა.

უხერხულობა გააძლიერა მეორე ფაქტმაც. აბულასანის სიტყვაში აღნიშნულია, რომ რუსი უფლისწული იმყოფება ქალაქ „სეინჯში“-ო. შემდეგ კი იმავე ისტორიკოსის თხზულებაში ნათქვამია, რომ „ყიფჩაყთა მეფეს“ „სეინჯი“ ერქვაო. ეს უკანასკნელი წას მოხსენებული ჰყავს „სალავთის“ საქართველოში მოსვლასთან დაკავშირებით: „მას ჟამსა ძმაჲ ყიფჩაყთა მეფისა სეინჯისაჲ სალავთი აქა იყო სამსახურადო“<sup>1</sup>. რუსეთის ცნობილი ისტორიკოსი სოლოვიოვი აკად. ბროსეს მასალებზე დაყრდნობით იმეორებს შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ ამბავს რუსი უფლისწულის საქართველოში მიწვევის შესახებ და შემდეგ ცდილობს ახალი ახსნა მოუპოვოს ამ საკუთარ სახელებს. პირველი, „სავეალათი“, მისი აზრით, უდავოდ „ესევილოდია“. დანარჩენი სახელები, მისი აზრით, ისევ რუსი მთავრების სახელწოდების დამახინჯებული გამოთქმაა: „если предположить здесь смешение, и под кипчакскими царями разумеать князей южно-русских, соседних с половцами, то дело может объясниться легче: первого извещения может быть испорченное Святослав, князь Черниговский, у которого Юрий мог найти убежище, как прежде находили его дяди и двоюродные братья; под вторым же может разумееться Святославич—Всеволод Трубчевский второй герой Слова о полку Игореве“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შოავენდეთანი. გვ. 162.

<sup>2</sup> Соловьев, Ист. России с др. пр., ტომი I—V, გვ. 525. შენიშვნა 1.

რა თქმა უნდა, განსვენებულ ისტორიკოსის შესწორება და მოსაზრება მისაღები არ არის და ამ მოსაზრების უუუაღლებოდ დატოვებას შეუძლია ადამიანი შეცდომაში შეიყვანოს.

საქმე ის არის, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობებში არავითარ გაუგებრობას არ აქვს ადგილი. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ რუსი უფლისწული მისი ბიძის „სავალთის“ მიერ არის დევნილი. გიორგის ბიძას, რომელმაც იგი გამოაძევა, „ვსევოლოდი“ ერქვა. გამოაძევებული რუსი უფლისწული, განაგრძობს იგივე ისტორიკოსი, იმყოფება „სვინჯის“ ქალაქში. აქაც არავითარი გაუგებრობა არ არის. შემდეგ ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ, როდესაც შამქორის ომი იწყებოდა, „ყივჩაყთა მეფისა სვინჯისაჲ ძმად სალაეთი აქა იყო, სამსახურადო“, ხსენებული მკვლევარნი ამ წინადადების გამო ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში: თუ „სვინჯი“ ერთ შემთხვევაში ქალაქის სახელია, როგორ მოხდა, რომ მეორე შემთხვევაში მეფის საკუთარი სახელი ყოფილიყო. ამჟამად გამორკვეულია, რომ ყივჩაყთაში ქალაქის სახელი იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რა სახელის მატარებელიც იყო იქ მჯდომი მეფე თუ მთავარი. სვინჯი ქალაქს იმიტომ ეწოდა, რომ იქ მჯდომ მეფეს სვინჯი ერქვა სახელად. ყივჩაყთა ისტორიიდან ეხლა ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია<sup>1</sup>. მაშასადამე, აქ არავითარ გაუგებრობას და დამახინჯებას არ აქვს ადგილი. დაგვრჩა ყივჩაყთა მეფის ძმის სახელის განმარტება. ბროსესა და სოლოვიოვს უხერხულ მდგომარეობას უქმნის ის გარემოება, რომ პირველ ნენთხვევაში „სავალთი“ ვსევოლოდია, ხოლო მეორე შემთხვევაში „სალაეთი“ ყივჩაყთა მეფის ძმაო. საქმე ის არის, რომ ტექსტში ჩვენ „ვსევოლოდის“ ნაცვლად სავალთი გვაქვს, ხოლო ყივჩაყთა მეფის ძმის სახელად „სალაეთი-ა“. აქ განსხვავება დიდია. XVIII საუკუნეში „სალაეთი“, მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრებით“ „სალაეთი“<sup>2</sup>, როგორც საკუთარი სახელი, ბაშკირებში არის დადასტურებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ „სალაეთი“ თითქოს მაჰმადიანური სახელწოდება უნდა იყოს და წარმართ ყივჩაყებს ასეთი სახელი არ უნდა ჰქონოდათ.

ჩვენ გადავსინჯეთ რუსულ მატრიანებში მოხსენებული ყივჩაყთა მთავრების საკუთარი სახელები და იმაში დავრწმუნდით,

<sup>1</sup> И. Аристов. О земле половецкой, гл. 9—10.

<sup>2</sup> აქ და სხვა შემთხვევაშიაც, ცნობისათვის ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერებთან შესადარებლად მივმართავდით პროფ სვ. ყაუხჩიშვილს, რომელიც თხოვნას თავახიანობით გვისრულებდა.

რომ მათ ყივჩაყურ სახელებს გარდა რუსული და სხვა ქრისტიანული სახელებიც ჰქონდათ.

ერთ მათგანს „რომანი“ ეწოდება, მეორეს „იური“ ხან „იურგი“. მესამეს „იაროპოლკი“, მეოთხეს „დანიელი“, ერთს კიდევ „ბარაქა“, ერთსაც „გლებ“<sup>1</sup>. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ყივჩაყთა მეფის ძმის საკუთარი სახელი შეცდომით არის ჩვენამდე მოღწეული და აქ საღავათი კი არა „საღალათი“ იყო დედანში თავდაპირველად, მოულოდნელი აქ არაფერია, „ვისეველოლი“ ყივჩაყს შეიძლებოდა რქმეოდა.

ამრიგად, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობები ამ მხრივ არავითარ გაუგებრობას არ იწვევს და ზედგომარეობას სწორად გადმოგვცემს. რაც შეეხება თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობას, რომ რუსი უფლისწულის მოსაყვანად კაცი თითქოს რუსეთში გაიგზავნა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანგარიშგასაწევი არ არის; იგი ამ ამბავს სხვათა შორის გვაცნობს, და ეტყობა, რომ ეს დეტალები არ იცის და არც სჭირდებოდა მისი გამოძიება. მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, როცა თავის თხზულებას წერდა.

იმ შემთხვევაში, თუ ზანქან ზორაბაბელი რუსეთში იყო წასული რუსი უფლისწულის მოსაყვანად, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობები უარსაყოფელი მაინც არ უნდა იყოს, რუსი უფლისწული შეიძლება ყივჩაყეთში არ აღმოჩნდა ზორაბაბელის იქ მისვლის ეამს და მან იგი მახლობელ რუსულ სამთავროში იპოვა და წამოიყვანა. სხვანაირად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საქმე. არ არის დასაშვები, რომ თამარის პირველ ისტორიკოსს ყველაფერი თვითონ შეეთხზას, იგი საკმაოდ შემოწმებული და სანდო ისტორიკოსია.

გაამართლა თუ არა რუსმა უფლისწულმა ის იმედები, რომლებსაც მასზე დიდებულთა გარკვეული წრეები ამყარებდნენ.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი რუსი უფლისწულის საქართველოში საქმიანობის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. იგი მარტო მწუხარებას გამოთქვამს მისი სასახლეში შეყვანის გამო და მაშინვე გადადის იმ ამბების თხრობაზე, თუ რა მიზეზით გააძევეს იგი და როგორ მოიქცა თამარი.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსიც რუსი უფლისწულის მოწინააღმდეგეა, მაგრამ მის მოღვაწეობაზე სრულიადაც არ ღუმს.

<sup>1</sup> Летопись по Ипатьев. сп. 1871. гв. 434, 455, 427, 424 და სხვ.

მას აღწერილი აქვს ლაშქრობანი, რომლებსაც თამარის ნაცვლად გიორგი ხელმძღვანელობდა და თუმცა ამ ლაშქრობებს ისე აღტაცებით და მხატვრულად არ აღწერს, როგორც დავით სოსლანის ლაქრობებს, მაგრამ მაინც თამარის პირველ მებრძოლს ლაშქრობაში არაფერს არ უწუნებს. ამ ისტორიკოსის გადმოცემით, გარკვეულ დრომდე არაფითარი უკმაყოფილება არ ჩანს; ყოველ შემთხვევაში რუსი უფლისწულის სამხედრო საქმიანობა დასაწუნი არ ყოფილა და ამ მხრივ მისი საწინააღმდეგო არც დიდებულებს ჰქონიათ რაიმე და არც თვით ისტორიკოსს. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ერთგან თითქოს ისეთი აზრიც აქვს გატარებული, რომ რუსი უფლისწულის მომხრე დიდებულები პატრიარქი და სპასპეტნი, რომელთაც თამარის თანხმობის გარეშე მოაწყვეს ქორწილი, კარგა ხანს განცხრომით ცხოვრობდნენ: „შემდგომად მრავლისა ცილობისა თუნიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი და მრავალ ეამ იყვნეს განცხრომასა შინა, მსგავსსა საქმისასაო“<sup>1</sup>. მაგრამ ამ წინადადებაზე დაყრდნობა საიმედო არ არის, ნათლად არ ჩანს. დიდებულთა ქორწილით განცხრომაზეა აქ ლაპარაკი, თუ საერთოდ რუსი უფლისწულის მოსვლით დიდებულთათვის შექმნილ შინა პოლიტიკურ მდგომარეობით განცხრომასა და კმაყოფილებაზე. მით უმეტეს, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით მხიარულება ერთ კვირას გაგრძელებულა: „ეგრეთ იქნა ქორწილი... იგავ-ძიუწვდომელი... მსგეთსამდი სიხარული, შუება ძღუნობანიო“<sup>2</sup>.

რუსი უფლისწულის საქართველოდან გაბეგების მიზეზები თამარ მეფის ისტორიკოსებს მთლად ერთნაირად არ აქვთ მოთხრობილი. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი საქმეს ისე აგვიწერს, რომ თამარის შერთვის შემდეგ მალე გამოაჩნდა რუს უფლისწულს მიდრეკილება ლოთობისადმი და ამ მდგომარეობაში მყოფი მრავალ უწესობას ჩადიოდაო. ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თამარი იმთავითვე აფრთხილებდა დიდებულებს რუსი უფლისწულის შინა ბუნება შევისწავლოთ და ქორწილი შემდეგ გადაწყვიტოთო, მაგრამ არ დაუჯერეს და აი: „არა მრავალთა დღეთა შემდგომად, მიილო აღსასრული სიტყუამან თამარისამან და გამოაჩნდებოდეს რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებნი ბუნებითნი. და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესობად იწყო

<sup>1</sup> ბასილი ეხოსმოძღვარი, გვ. 16.

<sup>2</sup> ისტორიანი და აზნანი შარავანდელთანი, გვ. 81 – 82.



მრავალთა, რომელთათვის ნამეტნავ არს წერად და თქუჲად, რათა არა სიგრძელ მიიწიოს სიტყუაო<sup>1</sup>.

აქ ისტორიკოსი იმას გვაუწყებს, რომ ყველაფრის აღწერისაგან თავს ვიკავებო, რადგანაც სიტყვა გამიგრძელდებაო. ისტორიკოსის გადმოცემით თამარი „ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გრდემლი, მოითმენდა უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხუა ვერლარავინ მოითმენდა. და იწყეს კრტინვად, არამედ ცილობითა მათთვის პირველთა რცხუენოდა ყოველთა თამარისაგან“<sup>2</sup>.

ამავე ისტორიკოსის ცნობით, თამარი მეუღლის გამოსწორებას ცდილა, მაგრამ ამ ცდებს სამწუხარო შედეგი გამოჴლია. ისტორიკოსი წერს: „ხოლო ბრძენმან თამარ იძია წრავალი ღონე განკურნებისა მისისა და უბრძანა სარწმუნოთა ნონაზონთა პირითა მრავალ გზის, დაღათუ ყოვლად არა სარგებელეყო რუსსა“<sup>3</sup>. როდესაც შუა კაცებმა ვერაფერი გააწყვესო, წერს ისტორიკოსი, თვით თამარი ცდილა პირისპირ მის მხილებას: „ამისთვისცა თუით პირის-პირ იწყო მხილებად მისდა, არამედ უფროს განძინდებოდა რუსი, ვითარცა ღთისაგან საფარველ-მოდურცილი“<sup>4</sup>.

ძველ საქართველოში ღვინის სმა ითვლებოდა თუ არა ისეთ ჩვევად. რომელსაც ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული? საქართველო უძველესი დროიდან ვაზის კულტურის ქვეყანაა. ამ კულტურას ჩვენი ქვეყანა შეეზარდა, ხოლო ყურძენი, ყურძნის წვენი და ღვინო ათასეული წლის მანძილზე ქართველი ხალხის კვების მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართველი ხალხის ჩვეულებრივ გამოთქმაშიაც ღვინო, პურთან ერთად, მეორე აღგილზეა დასახელებული („პურ ღვინო“). მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარტო ვაზისა და ღვინის კულტურა კი არ იყო განვითარებული, არამედ ყურძნის წვენისა და ღვინის მოხმარების კულტურაც სათანადო სიმაღლეზე იდგა. ღვინის მოხმარების თავისებური რეჟიმის არსებობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საინტერესო დაკვირვება აქვს ჩატარებული პროფ. ა. ზურაბიშვილს. სპეციალური ექსპედიციის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს იმ კუთხეში, სადაც ღვინოს აყენებენ, ლოთობა კი არ არის გავრცელებული, არამედ აქ უფრო ზარხოზობა ყოფილა დამახასიათებელი. ლოთობა წლის განმავლობაში უქმე დღეებზე მოდის, რომელთა რიცხვი წელიწადში საგრძნობლად

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოდვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1944, გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

მცირეა. ქართველი გლეხი ლოთი არ არის, მის სუფრას ღვინო ამშვენებს ჩვეულებრივ კვების დროს და, როცა მის სუფრას მხოლოდ ოჯახის წევრები უსხედან, იგი არასოდეს სადილის, სამხარის ან ვახშმის დროს ორი-სამი კიქის მეტს არ დალევს. მოკარბებულად ღვინის სმა ოჯახში უფრო სტუმრიანობასთან არის დაკავშირებული.

მაგრამ ღვინის სმის სასურველი ნორმების დაცვა საზოგადოების ყოველ წევრს ყოველთვის როდი შეძლება. ძველდაც ამ მოვლენას ებრძოდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოება: „აწ მითხარ-ლა მე შენ: რაჲ კეთილი უყავ ძმასა შენსა, რამეთუ ასუ მას ღვინოჲ და დათრევე იგი? მიელო მას ძალი იგი ძლიერებისა მისისაჲ მისგან, მოეხუნეს მას ჳელნიცა, და ფერჳნიცა... ენაჲცა მისი მოველო მისგან. იხედაეს იგი თუალითა ვითარცა ბორჯნეული... იჳმნა იგი ყოვლად ვითარცა უგუნური. და თუ ზე აღდგეს, დავეეცეს; და თუ პოვოს კედელი, ებრჯინებოდის... მე ვითარ ვჳგონებ, არაჲ კეთილი უყავ ძმასა მას შენსა არამედ ყოველი ბოროტი...“<sup>1</sup>.

ასე აძაგებს ძველი მოწინავე ქართველი ქარბად ღვინის სმას და, ცხადია, როდესაც ამ საკითხზე წერს, იგი იბრძვის სიფხიზლისათვის, ღვინის ნორმალურად მოხმარებისათვის. მთვრალი ადამიანი ჩვენს წერილობითს ძეგლებში ყოველგან აუგად იხსენიება.

ისტორიკოსის ცნობით, თამარ მეფის ვაჟიშვილი, გიორგი ლაშა „განისვენებდა ნადირობითა და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტემდიო“, მაშასადამე, ღვინის მსმელებს აჰყოლია თავშეუჟკავებლად. მეორე ადგილას იგივე წყარო ლაშა გიორგის შესახებ წერს: „სახეობის მოყუარე და ღვინისა მოყუარე და გემოთ-მოყუარე“ გიორგი „შექცეულიყო სმასა და ჳამასაო“ და „შეიყარნა თანამოასაკენი მსმურობითა“-ო.

ისტორიკოსი ერთგან აღნიშნავს, რომ „მეფე მსმელ ფრიადისა ღვინისა“ ამხანაგებმა „წარიყვანეს რინდთა თანა“ და, რადგანაც რინდებს ბეფე ვერ უცენიათ, წალაპარაკებულან მთვრალეები და „ზედა მოეტევენეს მეფესა მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდე ერთიცა თვალი მარჯვენე ხედვისაგან უხედვო ყვეს“<sup>2</sup>. ცხადია, უმაღლეს არისტოკრატიას დროას სატარებლად მეტი საშუალება

<sup>1</sup> ქართული ენის ისტორიული ჰრესტომათია, V—X საუკუნეების ძეგლები. გამოსცა ი. იმნაიშვილმა. ა. შანიძის რედაქციით. 1953 წ., გვ. 303.

<sup>2</sup> ლაშა გიორგის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III. 1949 წ., გვ. 23—25.

უნდა ჰქონოდა, თუმცა ღვინის მოტრეფილენი უფრო დაბალ წრეებშიაც არა ერთი უნდა ყოფილიყო.

ცხადია, რუსი უფლისწული, საქართველოში ღვინის სმით ვერავის გააკვირვებდა, მაგრამ სასახლეში რომ მაინც რაღაც რეჟიმი არსებობდა და ლოთობას მეფის ოჯახში ებრძოდნენ, ეს ლაშა გიორგის შესახებ მოტანილ მასალიდანაც ჩანს. ლაშა გიორგის საქციელი გაიციხულია, ისტორიკოსი მეფის საქციელს ნორჩალურ ნოვლენად არ თვლის, მაგრამ ღვინის სიყვარულს ამ მეფის სასახლიდან განდევნა, რა თქმა უნდა, არ გამოუწვევია.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ რუს უფლისწულს თამარისათვის, როგორც მეუღლისათვის, თითქოს უღალატნია. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მეუღლის უწესო ქცევით მოთმინებიდან გამოსულ თამარს სასახლეში სხვათა თანადასწრებით განუცხადებია: „დალა თუ საღმთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე არა განშორებად პირველსა საწოლსა, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თუისი წმიდად, არა ჯერ არს მისთანა დათმენაო“<sup>1</sup>.

აქედან აშკარა არის, რომ თამარი მას ბრალს დებდა სხვასთან ცხოვრებაში. ჩვენ არ ვიცით, როგორ განიცდიდა და რა ღონისძიებებს მიმართავდა საქართველოს მეფის ოჯახში ქართველი დედოფალი, როცა მათ ქართველი მეფე ქმარი ღალატობდა, მაგრამ ქართველი მეფეები რომ ამ მხრივ დედოფლების წინაშე მთლად პატიოსნები არ იყვნენ, ამის შესახებ იმავე, XII საუკუნის ცნობები გვაქვს შემონახული. არაპირდაპირი ცნობა, როგორც ვიცით, შეეხება დავით აღმაშენებელს, ხოლო თამარის მამის გიორგი III-ის შესახებ ხომ უქვეელი ცნობა გვაქვს. გიორგის საყვარელთან გაჩენილი ქალიშვილი, როგორც ვიცით, თვით თამარ მეფემ გაათხოვა. მაგრამ, როგორც ჩანს, მეფის ასეთი საქციელი დაგმობილი ყოფილა, ასეთ რაიმეს იმ დროის მოწინავე წრეები მეფესაც არ უწონებდნენ და კიცხავდნენ, ყოველ შემთხვევაში ეკლესია დიდ წინააღმდეგობას უწევდა ამას. საკმარისია მოვიგონოთ გრ. ხანძთელის ცხოვრების მსგავსი აღდგომები, რომ ამაში სავსებით დავრწმუნდეთ.

მაგრამ რუსი უფლისწულის საქართველოდან გაძევების მიზეზები უფრო ღრმა უნდა იყოს, ვინემ ამას ისტორიკოსები გვაუწყებენ, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოდღარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 17.

ჩვენ ჯერჯერობით თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობები განვიხილეთ. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ლოთობია შესახებ არათუ არამბობს. იგი რუსი უფლისწულის გაძევების ამბავს იმით იწყებს, რომ თითქოს გიორგის წალაპარაკება მოსვლია თამართან. იგი წერს: „ამას ესე ვითარსა მშვიდობასა მარჯუებასა და ზეობასა შენოეიდა უცხო რაამე და უმსგავსი საქმე, შეუწსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან; შევიდა სატანა გულსა სუეუბედურისა რუსისასა, სკვით რაიმე სახელდებულისა და სიტყვით აღძრა წყენად თამარისა“-ო<sup>1</sup>. რა ნიადაგზე მოხდა ასეთი არასასიამოვნო შესიტყვება გვირგვინოსან მეუღლეებს შორის, ამ ისტორიკოსის თხზულებაში არ ჩანს. ამის შემდეგ იგივე ისტორიკოსი წერს: „სოდომურიცა მოიპოვა ქცევაჲ, ქცევითა დაქცეულმან და წარწყმედითა წარწყმედილმან“<sup>2</sup>.

თამართან ზემოთ ხსენებული არასასიამოვნო საუბარი რომ რუსი უფლისწულის სოდომური ცოდვით ყოფილიყო გამოწვეული, მაშინ ისტორიკოსი ამბავს იმ თანმიმდევრობით არ მოგვიყვებოდა და „ცა“ ნაწილაკი არ ექნებოდა სიტყვა „სოდომურს“ („სოდომურიცა მოიპოვა ქცევა“), „სიტყვით წყენად აღძრა“ სხვას უნდა ნიშნავდეს.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც თამარი რუსი უფლისწულის ცუდი ჩვევებისაგან განკურნებას შეეცადა, უკანასკნელი არა მარტო არ განოსწორდა, არამედ უარესი ჩაიდინაო; „არა თუ ოდენ არა შეიგნო, არამედ უძუირესთა მიმართ იწყო“<sup>3</sup>.

მაშასადამე, გიორგის ნოწინალმდეგე ქართველ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით, რუსი უფლისწული წარმოგვიდგება, როგორც ალკოჰოლის მოყვარული, სოდომური ცოდვით შეპყრობილი, თამარის ურჩი და ყველა ამ უკეთურებათაგან უკურნებელი.

ისტორიკოსთა ცნობით, ორი წლის განმავლობაში თამარი ამას იაზმენდა ისე, რომ გიორგი საჯაროდ მხილებული არ ყოფილა. ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყარო ასეთ სურათს იძლევა. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: იმ წყაროთა ავტორები, საიდანაც ჩვენ ამ ცნობებს ვიღებთ, თამარის მოღვაწეობის ობიექტურ და მიუკერძოებელ აღმწერლებად

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 84.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>3</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 17.

ვერ ჩაითვლებიან. ისინი თამარის პიროვნებას აღმერთებენ და მისი მოწინააღმდეგეებისადმი საშინელ მტრობასა და სიძულვილს ამჟღავნებენ. ჩვენ საშუალება არა გვაქვს ეს ფაქტები შევამოწმოთ. თვით ის ფაქტი, რომ თამარმა ადვილად მოახერხა რუსი უფლისწულის გაძევება, თითქოს იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ მისი დაცვა და სასახლეში დატოვება აღნიშნულ „უკეთურებათა“ გამოაშკარაების შემდეგ ვილარავის უკისრია. ყოველ შემთხვევაში ასეთი სურათია აღწერილი თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებში. მის დამცველად არავინ დასახლებული არაა, თითქოს არც არავის განუზრახავს სასახლეში მის დასატოვებლად ზრუნვა. ისტორიკოსთა ცნობებიდან გამოდის, რომ რუსი უფლისწულის ორ წელიწადზე მეტ ხანს სასახლეში ყოფნა ისევე თამარის ლმობიერებითა და გულკეთილობით მოხდა, თორემ იგი ქორწინების დღიდან რამდენიმე კვირის შემდეგ იყო გასაძევებელი და გააძევებდნენ კიდევ თანაღრს რომ ემხილებინა.

მართლაც, ისტორიკოსებს ისე აქვთ ცნობები მოცემული, რომ რუსი უფლისწულის დარჩენას სასახლეში აზრი არ ჰქონდა. როცა დიდებულნი თამარს კმრის შერთვას თავაზობდნენ, ძირითად მოტივად „უშვილობასა მოაქსენებდეს. სახლისა მისისა უნაყოფობასა დრტუინვედეს“-ო. რუსი უფლისწული ორ წელიწადზე მეტს იყო თამარის კმრად და თამარს მისგან შვილი არ შეძენია. ამას სოლომურის ცოდვის გამომჟღავნებაც დაემატა, ამის გამო რუსი უფლისწული სამეფო თაობის გამგრძელებლად ვერ იქნებოდა მიჩნეული. სასახლეში მისი დატოვება ვერაფრით ვერ დასაბუთებოდა და ერთი გამოსავალი ის იყო, რომ სათანადო ქონებით, ისე რომ სამეფო სახლი არ შერცხვენილიყო, უცხოეთში გადაესახლებინათ. წყაროებიდან არ ჩანს, თვით „ექსორია კმნილმა“ აირჩია კონსტანტინოპოლი, თუ თამარის განჯარგულებით მოხდა მისი საბერძნეთში გაგზავნა. სხვა მასალები თითქოს იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ შესაძლებელია თამარმა აირჩია საბერძნეთი „მეფე-ყოფილისათვის“.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ კყონდიდელ მწიგნობართუხუცესის, ანტონის, ორი ძმა ხუთმა ძმამ „კახაბერთა შვილებმა“ მოკლეს. თამარმა ისინი ჯერ ციხეებში შეამწყვდია, ხოლო, რაკი გამოსწორება არ ეტყობოდათ, „ამისათვის ექსორია ყუნა მაკედონიას საბერძნეთისასო“<sup>1</sup>. საბერძნეთში გადასახლება პრაქტიკაში ყოფილა, როგორც ვხედავთ, მაგრამ გადაქრით რაიმეს დამტკიცება ამ მაგალითის მიხედვით არ შეიძლება.

<sup>1</sup> ბასილი ეხოსმოდვარი, გვ. 24.

ისტორიკოსებს არათფერი აქვთ ნათქვამი, თუ ვინ გაჰყვა საბერძნეთში გაძევებულს. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი წერს: „რუსუდან დედოფალნან და ყოველთა მთავართა საწყალობელად განაძეს იგი“<sup>1</sup>. დავიჯეროთ რომ თამარ მეფის ისტორიკოსები ჩვენ გიორგი უფლისწულის საქართველოდან გაძევების მიზეზებს სწორად და სრულად გვაწყვიდიან? ვფიქრობთ, რომ ასეთ ნდობას ამ საკითხში ეს ისტორიკოსები ვერ იმსახურებენ. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, ცდილან საქმის ვითარება ისე დაესახათ, რომ მათ მიერ მოწოდებული ცნობებით ექვი არავის აღძვროდა.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეოდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოში რუსი უფლისწულის საქმიანობა თამარ მეფის ისტორიკოსებს ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულად აქვთ აღწერილი.

რუს უფლისწულთან ქორწინების შემდეგ მომხდარი ამბების გადმოცემას თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ასე იწყებს: „ამისდა შემდგომად კელ-ყვეს გალაშქრებად და ...პირველ ილაშქრეს ქვეყანასა კარისა და კარნიფორისასა და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის, და გამარჯვებულნი და აღვსებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონისა, მის ღმრთივ-განათლებულითა, და აღივსეს სიყვარულითა და სიხარულითა“<sup>2</sup>. ამის შემდეგ კარნუ-ქალაქელნი მოკავშირეებით შემოსევიან შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანას. თამარის მეუღლის შეუწუხებლად ქართველ დიდებულებს თავდამსხმელნი დაუმარცხებიან და გამარჯვებულნი აუარებელი ნადავლით გამოცხადებულან თამართან. ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ამ დროს თამარის ოჯახში „ამას შინა იხარებდეს, იშუებდეს, ნადირობდეს და მხიარულობდეს“.

კარნუ-ქალაქელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში გიორგი არ ჩანს. ლაშქრობის სარდლობა გუზან ტაოელს და ბოცოს უთავებიანთ. გამარჯვებისა და მხიარულების შემდეგ მოლაშქრეებს მხარგრძელების მეთაურობით დვინის მხარე მოურბევიანთ, დვინელები სასტიკად დაუმარცხებიანთ, აუარებელი ნადავლით დაბრუნებულან და: „გამარჯვებულნი და აღვსებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთა, და მათ, წყალობის მყოფელთა, გარდაიჭადეს მადლი“<sup>3</sup>. არც დვინის ლაშქრობაში ყოფილა გიორგი, როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ. დვინი მჭარგრძელებმა მოარბიეს და გამარჯვე-

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 17.

<sup>2</sup> ისტ. და აზმანი, კ. კეკელიძის გამოც, გვ. 82.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83.

ბულნი გამოცხადდენ „წინაშე მეფეთაო“, წერს იგივე ისტორიკოსი ზემოთ დამოწმებულ ამონაწერში. დვინის ალბის რამდენიმე ხნის შემდეგ: „ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ და ზემონი ზემოთ და შუანი შუათ და ყოველგან ძლევამოსით და გამარჯვებითაო“<sup>1</sup>.

ამ ბრძოლების შემდეგ თამარის ბრძანებითა და გიორგის მონაწილეობით „პართთა ქვეყანა“ დაუბრუნებიათ: „კულად მეფემან, შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისითა, მიჰმართა და მოაოჯრა ქვეყანაჲ პართთაჲ და, წარმომღებელი და გამომღებელი ქალაქისაჲ და მას შინა მყოფთა საუნჯეთა და ტყუეთაჲ, მოვიდა თამარისავე... წინაშეო“<sup>2</sup>. პართთა ქვეყნისაკენ ლაშქრობის შემდეგ საქართველოს სამეფოს შეუსვენებია. სამეფო სახლი თურმე იმერთა ქვეყანაში გადასულა როგორც წესი („ამას შინა ოდესმე მოისვენიან ლაშქრობათაგან და მშებელნი გარდავიდიან იმერთა ქუეყანათა წესისაებრო“). იქ თურმე ნადირობაში ატარებდნენ დროს; ხან კი „შარვანის მზღუარაჲდე, და მოვიდის შარვანშა დიდითა ნიკითა და ძლუნითა და ერთგან მონადირებელნი მინდორთანნი და მხიარულნი, კულად განიყარნიან და უბოდის საბოძუართა სიმრავლე და წარგზავნის პატივითა ძმებრივითაო“<sup>3</sup>.

გიორგის მონაწილეობა მიუღია მესამე დიდ ლაშქრობაში გელაქუნისაკენ. აქაც დიდი ბრძოლები გადაიხადეს ქართველებმა და გამარჯვებული გიორგი თამართან გამოცხადებულა. ამის შემდგომ ასათ გრიგოლის ძეს დაუპატიჟებია სალაშქროდ გიორგი და „ილაშქრეს განძას ქუემო ბელაყონამდე, შემდგომად ზემოკერძო რახისსა პირსა მასისამდეო“. ამ ბრძოლებაში ვარდან დადიანს უსახელებია თავი, ხოლო რუსი უფლისწული თავისი თვალით ხედავდა თურნე ამ სურათს. ისტორიკოსი წერს: „თვით მეფისა მკურეტელობასა შინა, ვარდან დადიანმან მსახურთ უხუცესმან, ოთხთავე მწარგრძელთა და სხუათა დიდებულთა აზნაურთა დიდი და დაქირვებული ომი გარდაიჭადეს და გააქცივნესო“<sup>4</sup>. ამით მთავრდება რუსი უფლისწულის მოღვაწეობის აღწერა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში, რის შემდეგ ეამთაღმწერელი მოულოდნელად გადადის „რუსის“ უკეთურებათა გამოაშკარავების ამბავზე.

<sup>1</sup> ისტ. და აზმანი..., კ. კველიძის გამოც., გვ. 83.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 84.

სრული არის თუ არა რუსი უფლისწულის საქმიანობის აღწერილობა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში? რა თქმა უნდა, არა. ამას მოწმობს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება. მაგრამ ეს უკანასკნელი კი სრულად აგვიწერს ამავე რუსი უფლისწულის მოღვაწეობას საქართველოში? რა თქმა უნდა, არა. იგი ცდილა დაეფარა ჩვენთვის ის საქმიანობაც, რომელზეც საუბარი აქვს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს. გიორგის საქართველოდან გაძევების მიზეზების აღწერას აშკარა ტენდენციურობა ეტყობა თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებში და საჭირო იქნება ამ მასალაზე შეჩერება.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში შემონახული ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობები გვაფიქრებინებს, რომ გიორგის საქართველოდან გაძევებას უფრო ღრმა საფუძველი უნდა ჰქონოდა. სასახლეში გიორგის დარჩენას საქართველოში მისი მოსვლის პირველი დღიდანვე ჰქონდა ნიადაგი შერყეული. იგი თამარის და მისი მომხრე პოლიტიკური დასის მოწინააღმდეგეთა კანდიდატი იყო და პირველ დღიდანვე თამარისადმი ოპოზიციურად განწყობილ დიდებულთა წრეში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გიორგი დიდ იმედებს ამყარებდა ამ ოპოზიციის დიდებულთა ჯგუფზე და მას თავი ველარ დააღწია, ეგონა, რომ ეს ჯგუფი უფრო სტაბილური აღმოჩნდებოდა სახელმწიფოში, ვინემ თამარი და მისი მომხრეები. მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება რუსი უფლისწულის თამარის ქმრად მოწვევის შეჰდევ საქართველოს სახელმწიფოს წინართველობის უმაღლეს აპარატში და რა პოზიცია ეკირა გიორგის ამ პროცესში? ერთი ცნობა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში თითქოს იმას უნდა გვეუბნებოდეს, რომ თამართან რუსი უფლისწულის შეუღლების შემდეგ დიდი თანამდებობის მქონე დიდებულთა წრეში საკმაოდ ცვლილება მომხდარა. ეს ცნობა შეეხება ანტონ გლონისთავის ძის ვაზირთა-ვაზირობის საკითხს.

პირველ რიგში უნდა გაიკვეს, თუ როდის მოიწვიეს რუსი უფლისწული ყივჩაყეთიდან. აკად. ივ. ჯავახიშვილი საეხებით სამართლიანად ამტკიცებს, რომ გიორგი მოცყანეს იმის შემდეგ, როცა დიდგვაროვანი ამხედრდნენ „უგვართა“ წინააღმდეგ, ყუთლუ არსლანის ჯგუფის გამოსვლები დასრულდა და „ერთნებაობისა და თანადგომობის“ უფლება გამოსტაცეს თამარს<sup>1</sup>. ამას ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება, სადაც ამბები მოთხრობილია მოვლენათა მსვლელობის ქრონოლოგიურად.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 584.



თანმიმდევრობით, თუმცა თვით თარიღები მოცემული არაა. ამ მხრივაც ეს თხზულება სავსებით განსხვავდება თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებებისაგან.

წყაროების მიხედვით საქმის ვითარება შემდეგი სახით წარმოგვიდგება. თამარის პირველ ისტორიკოსს ანტონი ვაზირად ჰყავს მოხსენებელი გიორგი III-ის გარდაცვალებისა და მისი გლოვის აღწერისას: „მოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ეპისკოპოსთა თანამდგომი და ვაზიოი ანტონი და ამირ-სპასალარი ყუბასარ და სხუანი ქელისუფალნი“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, დიდგვარიან აზნაურთა და ყუთლუ-არსლანის განდგომილება მოხდა. ამ ამბების დასრულების შემდეგ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თამარი „კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისაჲ საყრდართა მათ ცამდი აღმართებულთაო“<sup>2</sup>. შემდეგ იგივე ისტორიკოსი წერს: „...პირველად გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა, თანადგომითა და ერთნებობითა (შვილთავე საწეფოთა დიდებულთაჲთა), ბრძანა დამტკიცებად ქუონდილლად, მწიგნობართ-უხუცესად და (ვაზირთა) ვაზირად ანტონ გაზრდილივე მამისა მათისაჲ, ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სუიანი და ერთგული... და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მჭარგრძელი, კაცი გუარიანი.. და უბოძა ლორე...“<sup>3</sup>. შემდეგ მიდის ჩამოთვლა სხვათა დანიშვნებისა. მოტანილ ტექსტში ერთი უცნაური გამოთქმაა: „გარდაცვალებასა“, თუ ეს სიკვდილს ნიშნავს,—იბადება კითხვა ვინ გარდაიცვალა? ამის უწინარეს ამირ-სპასალარად ყუბასარი იყო, თავის დროზე დიდებულებმა მისი გადაყენება მოითხოვეს და თამარი დათმობაზე წავიდაო,—გვაუწყებს ისტორიკოსი. ანტონი გიორგი III-ის გარდაცვალების მომენტში ვაზირია. არც ქვემოთ ჩამოთვლილ დანიშვნებში ჩანს ნიშნავებული; მაგრამ ტექსტში, „გარდაცვალება“ ორთა ვაზირთა და სპასპეტებს ეხება. შესაძლებელია, რომელიმე დიდი თანამდებობის პირი მართლაც გარდაიცვალა, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ აქ ტექსტის რაიმე დამახინჯებასთან გვეკონდეს საქმე, თუ სიტყვა „გარდაცვალება“ შეცვლის მნიშვნელობით არ იხმარებოდა.

მაშასადამე, განდგომილებათა მოწესრიგების შემდეგ, „ერთნებობით და თანადგომით“ თამარი სხვებს გარდა ორ ძირითად

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 1941 წ., გვ. 72.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 79.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 78.

ვაზირს: ანტონს და სარგის მვარგრძელს ამტკიცებს. ანტონს, როგორც ტექსტიდან ჩანს, „ამტკიცებს“ ვინაიდან იგი მანამდე, გიორგი III-ის დროსაც. ვაზირი იყო და შესარჩევი და ახლად ნოსაძებნი არ ყოფილა, ხოლო სარგის მვარგრძელი ახლად „განჩენილია“, შესაძლებელია იმ ყუბასარის ადგილზე, რომლის გადაყენება, როგორც ვიკით, დიდებულებმა მოითხოვეს ამაზე ადრე. მაშასადამე, რუსი უფლისწულის მოყვანის წინ, ან მისი მოსვლის მომენტში, ანტონი ნწიგნობართუხუცესია.

მაგრამ, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობით, თითქოს ეს ასე არ უნდა იყოს. ეს ისტორიკოსი თამარის მოღვაწეობის ისტორიას იწყებს საეკლესიო კრების მოწვევით. დიდგვაროვანთა აჯანყების შესახებ იგი ღუმს; არც ყუთლუ არსლანის ამბავს მოგვითხრობს. თხზულების შუა ნაწილში ერთგან თითქოს ამ ამბებს გაკვრით იხსენიებს, მაგრამ, როგორც ჩანს, თამარის ისტორიის ან არასასიამოვნო ფაქტების აღნუსხვას არ თვლის საჭიროდ. მას ისე აქვს დაწყებული თავისი თხრობა, თითქოს თამარი გამეფებისთანავე საეკლესიო კრებას იწვევს. „ქართლის ცხოვრების“ შემესებელთ საქმის ვითარება ასე გაუგიათ და პირველი ისტორიკოსის ცნობებისათვის წინ წაუმძღვარებიათ საეკლესიო კრების მოწვევის ამბავი—ჯერ ვითომც საეკლესიო კრება იქნა მოწვეული, შემდეგ დიდგვარიანთა, „უგვართა დასანჯობად“ განიზნული აჯანყება, ბოლოს ყუთლუ-არსლანის განდგომილება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რუსი უფლისწულის მოყვანა ყივჩაყეთიდან 1184 წელს უნდა ვიანგარიშოთ, იმიტომ რომ, როგორც დავინახეთ, ამავე ისტორიკოსის ცნობით, ამ საეკლესიო კრებაზე დამტკიცდა რუსი უფლისწულის კანდიდატურა. მაშინ გამოვა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის არგუმენტაცია რუსი უფლისწულის ყივჩაყეთიდან ნაწვევის თარიღის დასადგენად უსათუძვლოა<sup>1</sup>. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ არავითარი საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვიყვება ამბებს თამარის მოღვაწეობის ისტორიიდან. იგი თხრობას ასე იწყებს: „პირველად აღმოუწოდა წმინდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლოზ გულაბრის ძესა... შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თუისისა მღვდელმოდღუარნი“. ეს „პირველად“ არაა ისეთი არგუმენტი, რომ ამით იწყებოდეს თამარის საქმიანობა. საფიქრებელია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსისათვის, როგორც სასულიერო პირისა-

<sup>1</sup> იხ. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 590.

თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს კრება იყო. ამ ისტორიკოსს მოვლენათა თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სრულებით არ აინტერესებს და იგი არც იცავს მას. მაგალითად, ამირსპასალარის გამრეკელ თორელის გარდაცვალება მას რუსი უფლისწულის მეორედ მოსაყვანად მოწყობილი განდგომილების ფაქტის უწინარეს აქვს მოცემული. ამის შემდეგ განდგომილება მოხდაო, აღნიშნავს იგი. პირველი ისტორიკოსის მიერ ამ განდგომილების დაწვრილებით აღწერილობიდან ჩანს, რომ გამრეკელი თორელი ჯავახეთის დიდ ბრძოლაში ხელმძღვანელი ძალაა და თამარის მხარეზე იმყოფება. იგი გარდაცვლილა განდგომილების შემდეგ და მის ნაცვლად ზაქარია მხარგრძელი დაუნიშნაეთ.

და აი, ამ საეკლესიო კრებაზე, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობით, საკითხი დგას—განაყენონ კათალიკოსი მიქაელი: „არა ინებებს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიათა და ქყონდიდელ პაწყურელობა და მწიგნობართ-უხუცესობა მოვერაგა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცა თუ ფრიად ილუაწეს, რომელი ადრე თუით განაყენა სასჯელმან ღმრთისამან“<sup>1</sup> ... ვისგან „მოივერაგა“ კათალიკოს-პატრიარქმა ვაზირთა ვაზირობა? ისტორიკოსის ცნობით,—„უფლისაგან“. საესებით სამართლიანია ივ. ჯავახიშვილის მიერ ტექსტის ამ ტერმინის განმარტება. ამ შენთხვევაში უფალი სამეფო სახლის წევრია, მაგრამ მეფეს თავისი ტერმინი ჰქონდა, და თამარის მამიდა „რუსუდან დედოფალი“ ხომ არ იგულისხმებო, შენიშნავს განსვენებული მეცნიერი. თამარის გამეფების პირველ მომენტში, ნართლაც, რუსუდანი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო სახელმწიფო საქმეების ცენტრში იდგა და მას შეეძლო ასეთ დათმობაზე წაყვანა თამარი და მიქაელს თავისი საქმე „მოვერაგებინა“. მაგრამ აქ უფრო ადვილი შესაძლებელია რუსი უფლისწული, თამარის მეფე ქმარი, იგულისხმებოდეს სიტყვა „უფლისაგანის“ ქვეშ.

ზოგიერთი ცნობა ამ აზრს მისაღებად ხდის. რუსი უფლისწულის ყივჩაყეთიდან მოწვევის შემდეგ, იმავე მეორე ისტორიკოსის გადმოცემით, მიქაელ კათალიკოსმა მწიგნობართ-უხუცესობა ანტონ გლონისთავის ძეს—„მისტაცა, მოძმაცვითა ვიეთ-თამე მეფისა განმზრახთათაო“<sup>2</sup>. მაშასადამე, მიქაელს ამ საქ-

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 16.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 18.

მეში დახმარებიან „მეფის განმზრახნი“, რომელნიც ანტონის ნოწინაღმდეგენი ყოფილან. სიტყვა „ძმაცვა“, საბა ორბელიანის განმარტებით, ნიშნავს: „მტერთათვის გამოჩევა ბოროტის ღონის ძიებისა, გინა ძვირის ზრახვა“. ანტონი თამარის უერთგულესი ადამიანია, რომელსაც მკრობენ „მეფის განმზრახნი“. ვინ იგულისხმება სიტყვა „მეფეში“ აქ? შეიძლება ვიგულისხმეთ თამარიც და თამარის ქმარიც, მაგრამ თამარის განმზრახნი ანტონის მტრად არ არის საგულისხმებელი: ანტონის მტრობა თამარის მტრობაა და ასევე აქვს დასახული ისტორიკოსს „კახაბერის“-ძეთა მოქმედება, როცა ანტონის ძმები მოკლეს. ეს „განმზრახნი“ უფრო თამარის „მეფე ქმრის“ ხალხია. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში თამარი არსად არაა მოხსენებული ასე ოფიციალურად, ტერმინით — „მეფე“. ავტორი ყველგან მას თამარს ეძახის; არის შემთხვევა, რომ „მეფე თამარ“-ადაც იხსენიებს. ეს მხოლოდ ერთგან, სადაც საეკლესიო კრებაზე თამარის მიერ სიტყვის წარმოთქმის შესახებ აქვს საუბარი; კრებაზე დამსწრენი „მადლობდეს ღმერთსა და თამარ მეფესა ღთივ განბრძობილსაო“. აქაც გარკვეული ეპითეტით არის თამარი მოხსენებული. სხვა შემთხვევაში არსად ასეთი გამოთქმა თამარის მიმართ არ გვხვდება. ზემოთ მოტანილ ტექსტში ისე ოფიციალურად და უგულოდ არის მოხსენებული უზენაესი ხელისუფალი, რომ თხზულების ავტორის მამობრივი სიყვარულის განწყობილება თამარის მიმართ, რაც მისთვის ასე დამახასიათებელია, აქ დარღვეულია. ამიტომ უფრო შესაძლებლად გვესახება, რომ ეს „განმზრახნი“ „მეფე ქმრის“ ახლომდგომ პირებად მივიჩნიოთ. მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ მწიგნობართუხუცესობა მიქაელს სხვა დროს და სხვა საშუალებით უნდა ჰქონდეს მიტაცებული.

ის გარემოება, რომ, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ანტონი მწიგნობართუხუცესად თამარის მიერ 1185 წელს „თანადგომობით და ერთნებაობით“ არის დადგენილი, რუსი უფლისწულის მოყვანა კი საეკლესიო კრებაზე არის დამტკიცებული, ხოლო საეკლესიო კრება 1185 წელზე ადრე არ უნდა იყოს მოწვეული, აგრეთვე გამოთქმა „მეფის განმზრახნი“ რომ უფრო „მეფე ქმრის“ ხალხს უნდა გულისხმობდეს, გვაფიქრებინებს, რომ მიქაელის მიერ მწიგნობართუხუცესობის მიტაცება რუსი უფლისწულის სასახლეში შეყვანის შემდეგ მომხდარა.

მიქაელ პატრიარქს საქმაოდ დიდი დამსახურება მიუძღოდა სასახლეში რუსი უფლისწულის შეყვანის საქმეში. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით: „პატრიარქმან, დიდებულ-

თა, ვაზირთა და სპათა, მოაქსენეს თამარსა, და მათგან ნება დაურთაფი განმზადეს ქორწილიო<sup>4</sup>.

მიქაელ პატრიარქმა რომ რუს უფლისწულს მხარი დაუჭირა თავის დროზე და საერთოდ იგი თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფება, ეს აშკარად ჩანს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან. ამ ისტორიკოსს სძაგს მიქაელი; როცა კი შემთხვევა აქვს, აუგად იხსენიებს მას. როცა იგი მიქაელის გარდაცვალების შესახებ წერს, თავს ვერ იკავებს და წერს: „მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, კყონდიდელი, მწიგნობართუხუცესი... მიქაელ... და არაფერ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი, არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“.

ჩანს, რომ რუსი უფლისწულის ხელშეწყობით და სხვათა მხარდაჭერით მიიღო მიქაელმა მწიგნობართუხუცესობა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა საფიქრებელი, რომ ასეთ საკითხებს რუსი უფლისწული დამოუკიდებლად წყვეტდა და იგი ამ მხრივ უფლებამოსილი იყო. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ მიქაელს „მეფის განმზრახთა-საშუალებით აქვს მიღებული მწიგნობართუხუცესობა. აქ დასტური (იძულებითი, რა თქმა უნდა) თამარს უნდა მიეცა, მაგრამ „მეფე ქმარის“ ოპოზიციის მხარეზე ყოფნას ამ საქმეში უდავოდ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც მთავარია, გიორგი თამარის მოწინააღმდეგე დიდებულთა დასში იმყოფება აშკარად<sup>1</sup>.

მოხდა თუ არა კიდევ რაიმე ცვლილება რუსი უფლისწულის დროს საქართველოს მმართველ აპარატში. თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებიდან ეს არ ჩანს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ საამისო ვერაფერი შევნიშნეთ. საერთოდ. ხსენებული წყაროები ამ პერიოდის ყოველმხრივ აღწერას მიზნად არ ისახავდნენ და არც აღუწერიათ. სტრიქონებს შორის თუ დაიქვრს ადამიანი, თორემ პირდაპირ იქ ამ საკითხის გარშემო არაფერია ნათქვამი. მაგრამ პატარა საქვე განა ვაზირთა უპირველესის, მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე თამარის მოწინააღმდეგე დასიდან კაცის დანტეციების მოხერხება? თამარის ოპოზიციის ეს განარჯვება ისეთ რთულ მდგომარეობას ქმნიდა სახელმწიფოში, რომ დიდხანს მისი გამოსწორება ვერ შეძლეს, მიქაელს სიკვდილამდე ვერაფერი მოუხერხეს. თამარ მეფის ისტორიკოსი არ არის მართალი, როცა საქმეს ისე

<sup>1</sup> პროფ. ვ. დონდუას ბასილი ეზოსმოძღვარას თხზულების ის ადგილი. სადაც მწიგნობართუხუცესობის მიქაელის მიერ ნიტაცებაზე არის საუბარი, წესანიშნავად აქვს გაკლებული და მეფის განმზრახნი უთარგმნია „смертвеннаго царя“.

გვაცნობს, ვითომც მიქაელ პატრიარქი და მწიგნობართუხუცესი ყველას ძულდა. იგი რომ ყველას ძულებოდა, როგორ შეინარჩუნებდა უპირველეს ადგილს სახელმწიფოში. აშკარაა, რომ მიქაელი ძულდა თამარის მონხრე დიდებულთა და საეკლესიო მოღვაწეთა წრეებს და მათ შორის თვით თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსსაც. ისე რომ, როცა მიქაელი გარდაიცვალა, არა ერთი ადამიანი შეწუხდებოდა ამ აზბით, რადგანაც მიქაელი გარკვეული წრეებისათვის სასურველი პიროვნება იყო პირველი ვაზირის თანამდებობაზე. როგორც კი მიქაელმა სააქაო დატოვა, თამარს მაშინვე თავისი მომხრე და ერთგული ანტონ გლონისთავის ძე მოუწვევია და აღუდგენია პირველი ვაზირის თანამდებობაზე. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი, რომელიც ალტაცებული იყო მიქაელის გარდაცვალებით და ანტონის ხელახლა გავაზირებით, გვაუწყებს: „ხოლო თამარი ევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა თუ ვის მიანდოს დაეით და სპა თუისი და განსაგებელი სახლისა თუისისა, რომლისათუისცა არა არხცუინა ღთმან, არამედ აღიესო სიბრძნითა და მეცნიერებითა და... მოიყვანა ანტონი გლონის თავისძე გარეჯით, რომელ პირველ ჰყონდიდელ იყო და მიქაელ ქართლისა კათალიკოზმან მას მისტაცა, მოძმაცვითა ვაეთთაშე მეფისა გამზრახთათაო“<sup>1</sup>. შეუძლებელია თამარსა და გიორგის შორის ნორმალური ურთიერთობა არსებულიყო ასეთ წმინდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაჭრისას, რადგან გიორგი თამარის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და მისი განმზრახნი თამარის მოწინააღმდეგე ჯგუფთაგან იყვნენ შერჩეული. ანტონ გლონისთავის ძეს რომ მტრები საკმაო ჰყოლია, ამას თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ერთი ცნობაც ცხადჰყოფს. ხსენებული ისტორიკოსი ერთგან აღნიშნავს, თუ როგორ არღვევდნენ სახელმწიფოს მყუდროებას თამარის გამეფების პირველ წლებში ზოგიერთები და მათ შორის იხსენიებს ლიპარიტების მოდგმის გვარს: „შვილთა კახაბერთა, რამე თუ იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მახლობელთა თუისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთუის დაწერილი კუალად განახლდეს... და ო რნი ძმანი ანტონი ჰყონდიდელისანი დაჯოცნეს და ამით შეაწუხეს მართალი იგი... და თამარ, რამეთუ ქალასა მდგომმან, მოუწოდა ხუთთავე და სიბრძნითა თუისითა შეიპურნა... არამედ იგინი იგივე იყუნეს, ამისთუის ექსორია ყუნა მაკედონიას

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი . თბ. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 18.

საბერძნეთისასა და მუნ მოსწყედეს ყიფჩაყთა მიერ კარგნი ქაბუ ბროძლასა შინა, ვითარცა გუესმაო“<sup>1</sup>. შესაძლებელია ეს კახაბე ძეები სწორედ ის პირები იყვნენ, რომელნიც იმავე ისტორიკო-თხზულებაში გიორგი რუსი უფლისწულის განმზარახებად არიან ხსენებული და ანტონის მწიგნობართუხუცესობიდან გადადგომას ყობენ.

გიორგი რომ თამარის, ვითარცა მეფის, წინააღმდეგ მოდი პირია სასახლეში, ამას თამარ მეფის მეორე ისტორიკო-თხზულების სხვა ადგილიც ცხადყოფს. იქ, სადაც რუსი უფლწულის უწესო მოქმედებას გადმოგვცემს და მასთან თამარის სიტყვების ცნობას გვაწოდის, ისტორიკოსი რუსი უფლისწუ: შესახებ შენიშნავეს: „...უძუირესთა მიმართ იწყო და შერაცხი ნიცა კაცნი უბრალოდ გუენა და ასოთა აღმოგდებითა ქჯნაო“<sup>2</sup>. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შერაცხილნი კაცნი“ უბლო ხალხი არ არის, ეს თამარის მიერ დაწინაურებულნი და იძროს თამარის მომხრე პირები უნდა იყვნენ. ჩვენ, რა თქმა უნ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ გიორგი რუსი უფლისწული „შერაცხილ კაცებს“ „უბრალოდ“ და უდანაშაულოდ სჯიდა. ნი გიორგის წინააღმდეგ და თამარის სასარგებლოდ მოქმედნენ და, ცხადია, ამიტომ ისჯებოდნენ „მეფე ქმრის“ მიერ. რამ, როგორ შეეძლო გიორგის თამარის წინააღმდეგ ასე ემო, დნა? ცხადია, სასახლეში დიდი წინააღმდეგობა სუფევდა პოტიკური დასების კიდლის შედეგად და, ეტყობა, რომ თამარ, მოწინააღმდეგე დასი ერთხანს საკმაოდ ფეხმოდგმული იყო ისე, რ გიორგი აშკარად ბედავდა თამარის მომხრე წარჩინებული პირღ ფიზიკურად დასჯას.

ბდება თუ არა კიდევ სხვა რაიმე ცვლილება სამეფო კასასახლეში გიორგის ყოფნის წლების განმავლობაში? პირველი ზირის ანტონის გადაყენებისა და მის ადგილზე პატრიარქი მლის დანიშვნის შემდეგ უდავოა, რომ დიდებულთა გარკვეუ დასი მნიშვნელოვანი მამულებისა და თანამდებობის დაკავ შეეცდებოდნენ და დაიკაებდნენ კიდევ. მაგრამ ამირსპასალა თანამდებობა თამარის მომხრე დიდებულთა დასის წარმომადნელს შეუნარჩუნებია; იგი ჯერ მჭარგრძელს აქვს, შემდეგ განკელ-თორელს. თამარ მეფის ისტორიკოსები დიდი სიყვარულ

<sup>1</sup> ბასილი ეზოს მოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 24.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 17.

ახსენიებენ ამ პირებს, განსაკუთრებით გამრეკელ-თორელს, რომლის გარდაცვალება „ყოველთა იგლოვესო“<sup>1</sup>. აქ ისტორიკოსს საგანგებოდ აქვს დაპირისპირებული ორი ფაქტი: მიქაელ პატრიარქის გარდაცვალებისათვის არვინ შეწუხდაო, გამრეკელი კი ყველამ იგლოვაო (ამ დაპირისპირებას აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება). სხვა მაღალი თანამდებობები ვინ ჩაიგდო ხელთ, არ ჩანს. მაგრამ ზოგიერთი ჩვენამდე მოღწეული ძეგლი გვაფიქრებინებს, რომ ფინანსთა მინისტრის (მექურკლეთუხუცესის) თანამდებობა 1185 წლის შემდეგ 1190 წლამდე მაინც თამარის მოწინააღმდეგე დასის წარმონაღვენელს უნდა ჰქონდეს.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ თამარის გამეფებისას მექურკლეთუხუცესად ყუთლუ-არსლანია. მისი გამოსვლების შემდეგ 1185 წლისათვის თამარი მექურკლეთუხუცესობას კახაბერ ვარდანის ძეს უბოძებს. შემდეგ კი ვის აქვს ეს თანამდებობა, ახსნა თხზულებიდან არ ჩანს. მაგრამ ანდრია ნოციქულის ხატის წარწერაში აღნიშნულია, რომ ამ ხატის შემკობელი აბულასანი მექურკლეთუხუცესია: „შეიწირე მცირედი ესე მსახურება ჩენგან ერისთავთ-ერისთავისა და მექურკლეთ-უხუცესისა აბულასანისაგან იობის-ძისაო“<sup>1</sup>. შესაძლებელია, რომ აბულასანი რუსი უფლისწულის დროს დაწინაურდა და ფინანსთა მინისტრობა მიიღო თამარის ხანაში, თითქოს სხვა დროს აბულასანის დაწინაურება მოსალოდნელი არაა. აბულასანს ნიქაელ პატრიარქის პირველ ვაზირობის დროს, რუსი უფლისწულის სასახლეში შემოყვანის ინიციატორს, თავისი აღზევება უნდა მოეხერხებინა ადვილად. სამწუხაროდ, არც ერთ იმ წარწერას, რომელშიაც აბულასანია მოხსენებული, თარიღი არ აქვს. ჩვენ XII საუკუნის ვაზირობის სრული ნუსხაც არ გვაქვს.

აბულასანი ერისთავთ-ერისთავადაც იხსენიება, მაგრამ თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ჩამოთვლილ ერისთავთა შორის, რომელიც 1185 წლის მდგომარეობას უნდა ასახავდეს, იგი მოხსენებული არაა. იქნებ ერისთავთ-ერისთავობაც რუსი უფლისწულის დროს მიიღო. მაგრამ აქაც რუსი უფლისწულის უფლებამოსილად წარმოდგენა არ იქნება მართებული. აქ გამარჯვებული ოპოზიცია უნდა ახდენდეს ზეგავლენას თამარ მეფეზე. ხოლო „მეფე ქმარი“ იმათ მხარეზეა, მათ ზურგს უნაგრებს.

ანტონ გლონისთავის ძის გადაყენებისათვის ხელის შეწყობა და მიქაელ პატრიარქის, ვითარცა თამარის მოწინააღმდეგე დასის

<sup>1</sup> Такашвили Е. Арх. экск. вып. II гл. 70.



წარმომადგენლის, პირველ ვაზირად დასმა, „შერაცხილ კაცთა“, ვითარცა თაბარის მიერ დაწინაურებული პირების, ფიზიკურად დასჯა გვირგვინოსანი ცოლისა და ქმრის კერძო ურთიერთობის გამწვავების ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენები კი არაა, არამედ იმ დროის საქართველოს სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული დასთა კიდობის შედეგებია. გიორგი და თანარი, მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-ქმარი იყვნენ, მოწინააღმდეგე სხვადასხვა დასს ეყრდნობიან. ამდენად, გიორგისა და თამარს შორის წამოჭრილი კონფლიქტი, რასაც საქართველოდან გიორგის გაძევება მოჰყვა, გაცილებით უფრო ღრმა საფუძველის მქონეა, ვინაშ ამას თამარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსი გვისახავს. მოვლენები, რომელთაც იმ დროის საქართველოში ჰქონდა ადგილი, გვაუჩქრებინებს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსები განზრახ უნდა აზვიადებდნენ რუსი უფლისწულის ზნეობრივ დაცემულებას. როგორც ჩანს, ისტორიკოსები დაინტერესებული არიან მაშინდელი საზოგადოების თვალში თამარის ქმართან გაყრა გაანართლონ მარჯულმადიდებლური ეკლესიის თვალსაზრისით. ცოლ-ქმრის გაყრა იმ დროს პატარა და ადვილი საქმე არ იყო, მით უმეტეს, როცა ინიციატივა ქალისაგან მომდინარეობდა. ამიტომ თანარ მეფის ისტორიკოსებს წინ წამოწეული უნდა ჰქონდეთ რუსი უფლისწულის ზნეობრივი მხარეების სისუტე, ისე რომ, პირველი ისტორიკოსი სრულებით არ ასახელებს „მეფე ქმრის“ ჩარევას ვაზირების გადაჯენების საქმეში და არც „შერაცხილ კაცთა“ უდანაშაულოდ გვემას. მეორე ისტორიკოსიც ანტონ გლონისთავის ძის ამბავს სულ სხვა ანგებთან დაკავშირებით გვაუწყებს, თითქოს შემთხვევით წააოცდა მას. თანარ მეფის ისტორიკოსთა ცნობები აშკარად ტენდენციურია.

თუ გიორგი ისეთი მიუღებელი პიროვნება იყო, რომ სახელმწიფო საქმეებთან მისი გაჩერება უაზრობა იქნებოდა და არავის არ მოსვლია ფიქრად მის „უკეთურებათა“ გამოაშკარავების შემდეგ სასახლეში კვლავ ძის დასატოვებლად ზრუნვა და თუ იგი ერთბაშად ყველამ მოიძულა, როგორც ანას თამარ მეფის ისტორიკოსები გვაუწყებენ, მაშ როგორ მოხდა, რომ, იმავე ისტორიკოსთა ცნობით, ყველასათვის საყვარელ დავით სოსლანის თამარის ქმრად მოწვევის რამდენიმე წლის შემდეგ სასახლეში რუსი უფლისწულის ისევე შემოსაყვანად თითქოს ნახევარი საქართველო იარალით გამოვიდა და ძმათა სისხლი დაიღვარა. გიორგი რუსი უფლისწულის „უკეთურებანი“ ყველაზე უფრო კარგად მსახურთუხუცესს ვარდან დადიანს არ უნდა ცოდნოდა? და თუკი იცოდა, რას

ფიქრობდა იგი „დასავლეთ საქართველოს უცილობლად მქონებელი“, როცა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ მოწყობილ აჯანყებას სათავეში უდგებოდა. აშკარაა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსები, ვითარცა თამარის მოწინააღმდეგეთა მოძულენი, ფაქტებს აზვიადებენ და ამ შემთხვევაში რუსი უფლისწულის გარშემო ფერებს განზრახ ამუქებენ. გიორგი შეცდა არჩევანში საქართველოს სამეფო კარზე დასაყრდენის ძიების დროს, მის მიერ არჩეული დიდებულთა დასი მალე დაშარცხდა.

XII საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოს სახელმწიფოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ბრძოლები, სათანადო ფაქტიური მასალის სიმციროს მიუხედავად, აკად. ივ. ჯავახიშვილმა განიხილა თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნი II, ნაკვეთი მეორე, 1929 წ.). ამ ნაშრომში იგი, არსებული მასალის იშვიათი გონებამახვილური ანალიზის შედეგად, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „სიმდიდრით აღზევებულთა დასის მოძრაობას (ლაპარაკია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე) საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისათვის მაინც უნაყოფოდ არ ჩაუვლია და მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტასა და დიდ ხელისუფალთა დანიშვნის დროს დარბაზის „თანადგომა“, „გამორჩევა“ და „ერთნებობა“ წესად შემოსულა, მეფის ხელისუფლებასაც მონაწილენი გასჩენიან, რომელნიც თურმე იყვნენ „თანაზიარნი მეფობისა“. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ თამარის მეფობის დროს საქართველოში ე. წ. შეზღუდვილი მონარქია დამყარებულა“<sup>1</sup>. ამ პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ილაშქრებდა დიდგვარიან ხელისუფალ აზნაურთა ის დასი, რომელთანაც მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუს უფლისწულს. ეს დასი რეაქციული დასია საქართველოს პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. ამ გარემოებასაც ყურადღება აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია<sup>2</sup>.

განვიხილოთ ქართველ დიდებულთა ამ რეაქციული დასის გამოსვლები არსებული პროგრესული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ და რუსი უფლისწულის ადგილი ამ მოძრაობაში.

პირველ რიგში განსახილველი გვაქვს საკითხი, თუ როდის დაიწყო აჯანყება რუსი უფლისწულის საქართველოში ხელახლა შემოსაყვანად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ეს განდგომი-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 181.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 185.

ლება 1190—1191 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. რა მოხდა რუსი უფლისწულის გაძევებიდან (1187—88 წლებიდან 1190—91 წლებამდე) ისეთი, რასაც ქართველ დიდებულთა რეაქციული დასი წონასწორობიდან უნდა გამოეყვანა? სამწუხაროდ, თამარ მეფის ისტორიკოსები ამ აჯანყების მიზეზებს არ ასახელებენ. ისე წერენ თითქოს არავითარი მიზეზი და საბაბი ამ აჯანყებისათვის არ არსებობდა და ვითომც ყველა გაკვირვებული იყო აჯანყების ფაქტით. ასეთი თხრობით დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვიძლია, ყოველად წარმოდგენილია უმიზეზოდ მოწყობილიყო ასეთი გრანდიოზული განდგომილება.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ასე მოკლედ გვაუწყებს ამ აჯანყების ფაქტს: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელსუანნი მსგავსად ჩვეულობისა ურჯულობისა და რუსი მორყევანეს, რეცა კუალად გასამეფებლად“-ო<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ეს ისტორიკოსი იმერლებისა და სვანების (აჯანყებულთა მთავარი შემაღენლობის) ბუნებრივი მოუსვენრობით ხსნის განდგომილების ფაქტს, თითქოს დასავლეთ საქართველოს ხელობად ჰქონდეს გადაქცეული აჯანყება. ასეთი მიზეზის დასახელება ჩვენ ვერაფერს აგვიხსნის. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი არსებითად ამ განდგომილებისადმი თავის განწყობილებას და საქართველოს იმ პროვინციის ადგილმდებარეობას უფრო გვაცნობს, საიდანაც თვითონ უნდა იყოს, ვინემ აჯანყების ნამდვილ მიზეზს. ასეთ ვითარებაში შემცდარი არ ვაქნებით, თუ ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებას: როგორც თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, აჯანყებამდე ქართლის კათალიკოსი და პირველი ვაზირი მიქაელი გარდაცვლილა. მართალია, მიქაელის გარდაცვალების თარიღი ზედმიწევნით არ ვიცით, მაგრამ აჯანყების პროცესის აღწერილობიდან კარგად ჩანს, რომ კათალიკოსად მიქაელის ნაცვლად იმ ხანად თევდორე ყოფილა. იგი თამარ მეფეს განდგომილ დიდებულებთან ბრძოლის დაწყებამდე მოსალაპარაკებლად გაუგზავნია.

მაშასადამე, თამარის მოწინააღმდეგე დიდებულთა დასის მთავარი საყრდენი მთავრობაში, პირველი ვაზირი მიქაელ პატრიარქი გარდაცვლილა აჯანყების წლის წინ. ვინ დაიკავა ეს უდიდესი თანამდებობა სახელმწიფოში? თამარის პოლიტიკის მომხრე და უერთგულესმა კაცმა ანტონ გლონისთავის ძემ, რომელიც, როგორც ვიცით, წინათაც ამ თანამდებობაზე იყო, სანამ მიქაელ პატრიარქმა არ წაართვა იგი რუსი უფლისწულის მომხრეების დახმარებით. მწიგნობართუხუცესობის თანამდებობის დაკარგვა დიდებულთა

<sup>1</sup> ბასილა ეზოსმოდღვარი, გვ. 18.

გარკვეული დასისათვის მით უფრო სამძიმო უნდა ყოფილიყო, რომ თამარ მეფის მეორე მეუღლე დავით სოსლანი, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსთა ნაშრომებიდან ჩანს, თამარის უერთგულესი აღამიანი ყოფილა და, თუ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა „მეფის ქმარს“ სახელმწიფოში, ამ მოწინააღმდეგე დასის საამებლად არაფერს არ გააკეთებდა და, ეტყობა, არც გაუკეთებია.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ანტონი გლონისთავის ძე ხომ თამარის პოლიტიკის დამცველია და შემცდარი არ ვიქნებით თუ დავასკვნით, რომ მიქაელ პატრიარქის და აბულასანის რეაქციულ დიდებულთა დასი სასახლის და მთავრობის შემადგენლობაში ამ რადიკალური ხასიათის ცვლილებების შედეგად კარგს არას მოელოდა და ამიტომ განდგომილებითა და ძალით წინანდელი მდგომარეობის აღდგენა ცადა. მართალია, ჩვენ კონკრეტულად არ შეგვიძლია განდგომილების პროგრამა და მისწრაფებანი განვსაზღვროთ და დავასახელოთ, მაგრამ სასახლის შემადგენლობის ცვლილებები რომ გარკვეული პროცესების შედეგია და ამ პროცესის საწინააღმდეგო მოვლენა განდგომილებაა, ეს უდავო უნდა იყოს.

განვიხილოთ განდგომილების მიმდინარეობა.

თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებში განდგომილების ამბავი ერთნაირად არაა მოთხრობილი. პირველ ისტორიკოსს უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი იგი, ხოლო მეორე ისტორიკოსი რამდენიმე სტრიქონს უთმობს ამ ამბებს. ორივე ისტორიკოსი სრულიად მოულოდნელად თვლის ამ განდგომილებას, არაერთარი მიზეზი, რაც განდგომილებას საფუძვლად უნდა დადებოდა, არ ჩანს მათ ნაშრომებში.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი საქმის ვითარებას ისე აგვიწერს, თითქოს, თამარის დავალებით, მექურქლეთუხუცესის ნაცვალი მოციქულად გაიგზავნა კარნუ-ქალაქში, სადაც იგი სრულიად შემთხვევით რუს უფლისწულს შეხვდა. უკანასკნელი კონსტანტინოპოლიდან თითქოს ამაზე ადრე მისულა იქ და „შეიყარნეს რუსი და იგი ერთად“-ო—მოგვითხრობს ისტორიკოსი. აქედან ისე გამოდის, რომ მათი შეხვედრა თითქოს შემთხვევითი ფაქტია. თამარ მეფის ისტორიკოსი ერთ ადგილას ამბავს ისე გადმოგვცემს, რომ სანამ მექურქლეთუხუცესის ნაცვალი კარნუ-ქალაქში გაემგზავრებოდა, საქართველოში თითქოს მანამდე მოსული იყო ამბავი იმის შესახებ, რომ რუსი უფლისწული კონსტანტინოპოლიდან კარნუ-ქალაქში გადაბარგდა: „შემდგომად ამისსა. მშვდობასა და მტერთა მძლეობასა ამათსა, ოდესმე მოესმა, ვითარმედ რუსი იგი... წამოსრულა კონსტანტინოპოლით და მოსრულა ქუეყნად

უხიკისად, კარნუ-ქალაქისად. მას ეამსა ნაცვალ მემქურქლეთა-  
უხუცესისაჲ... პატრონთაგან... მოციქულად წარივლინა საქმისა  
რადსთვსმე და. მისსა კარნუ-ქალაქსა მისლვასა შინა, შეიყარნეს რუ-  
სი და იგი ერთად“<sup>1</sup>. თუ რუსი უფლისწულის კარნუ-ქალაქში გადმო-  
სვლა საქართველოდან მემქურქლეთუხუცესის ნაცვლის იქ გამგზავ-  
რებამდე იყო ჩვენში ცნობილი (ამას მნიშვნელობა აქვს), მაშინ  
ჩვენს წინაშე ისმის საკითხი, საქართველოდან გამგზავრებისას მე-  
ქურქლეთუხუცესის ნაცვალს ჰქონდა თუ არა დავალებული მოლა-  
პარაკებოდა რუს უფლისწულს.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულების ის ადგილი,  
სადაც განდგომილების ამბავია მოთხრობილი, ორი ნაწილისაგან  
შედგება. პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მასში მოკლედ  
მოთხრობილია რუსი უფლისწულის კონსტანტინოპოლიდან კარნუ-  
ქალაქში მოსვლა, მემქურქლეთუხუცესის ნაცვალის იმავე ქალაქში  
გაგზავნა, მათი შეხვედრა და იმერთა განდგომა რუსი უფლისწუ-  
ლის სასახლეში შესაყვანად.

მეორე ნაწილში კი მოთხრობილია დაწერილებითი ამბავი, თუ  
ვინ მიემხრო საქართველოში. განდგომილებას და როგორ წარიმარ-  
თა საქმე.

მაგრამ ჩვენ გვინტერესებს, სად ჩაისახა თავდაპირველად გან-  
დგომილების იდეა, კარნუ-ქალაქში თუ საქართველოში, ინიციატივა  
რუსი უფლისწულისაგან მომდინარეობს თუ ქართველ დიდებულე-  
ბისაგან. თამარ მეფის ისტორიკოსს აზრი ამ ხრივ ნათლად არ აქვს  
გადმოცემული: ვინ იგულისხმება წინადადებაში: „მისისა სარგებლი-  
სა მოწადინენი შეეხუეწნეს ამას დიდსა (მოციქულსა) რომელი აქაჲთ  
მისრულ იყო“, ნათელი არ არის და, რაც მთავარია, სად „შეეხუეწ-  
ნეს“ მემქურქლეთუხუცესის ნაცვალს— საქართველოში თუ კარნუ-  
ქალაქში?

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში ამ განდგომილების  
აღწერილობიდან ყურადღებას პირველ რიგში ის გარემოება იპ-  
ყრობს, რომ კარნუ-ქალაქში რუსი უფლისწულის გადმოსვლა იმა-  
ზე უწინარეს გაუგიათ საქართველოში. ვინემ მემქურქლეთუხუცესის  
ნაცვალს საქართველოდან იქ გამგზავრებოდა. ისე რომ, როცა ჭს  
დიდი სახელმწიფო მოხელე მიდიოდა კარნუ-ქალაქში, აქ, საქარ-  
თველოში, განდგომილება უკვე ორგანიზებული ყოფილა ძირითა-  
დად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის  
თხზულების გამომცემელს, აკად. კ. კეკელიძეს, ტექსტის იმ ადგი-  
ლას, სადაც განდგომილების ამბავია აღწერილი, სასვენი ნიშნები

<sup>1</sup> ისტორიანი და ასმანი შარავანდედთანი, გვ. 90.

მართველად აქვს დასმული; „მას ეამსა ნაცვალს მუქურქლეთა-  
უხუცესისაჲ... მოციქულად წარვიღინა საქმისა რაჲსათვისმე და,  
მისსა კარნუ-ქალაქსა მისლვასა შინა, შეიყარნეს რუსი და იგი  
ერთად. მიუდგეს იმიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ  
ყონ; მისისა სარგებლისა მოწადინენი შეეხუეწნეს ამას დიდსა  
(მოციქულსა), რომელი აქაჲთ მისრულ იყო“. „მისისა სარგებლისა  
მოწადინენი“ არიან „იმერეთა“ მეთაურები, რომელნიც ფარულად  
უკვე განდგომილნი არიან, და კარნუ-ქალაქში „მიმავალ დიდ  
მოციქულს“ ეხუეწებიან“ რუს უფლისწულთან მოლაპარაკებას.  
მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულებულა, მექურქლეთუხუცესის  
ნაცვალს ეს ამბავი საქართველოში უცნობებია. შემდეგ ისტორი-  
კოსი ჩამოთვლის განდგომილების აქტიურ მონაწილეებს.

მაგრამ იბადება კითხვა, რა უნდოდა რუს უფლისწულს კარნუ-  
ქალაქში? შემთხვევით ჩამოვიდა იგი იქ, თუ კონსტანტინოპოლი-  
დან მისი წამოსვლა იმ თავითვე განდგომილების მოწყობასთანაა  
დაკავშირებული.

კარნუ-ქალაქელნი საქართველოს ძლიერებით შევიწროებული  
ხალხია, არა ერთხელ ქართველი ჯარების მიერ გაძარცვული. რუ-  
სი უფლისწულის საქართველოში ყოფნის დროს, თამარ მეფის  
პირველი ისტორიკოსის ცნობით: „მოვიდეს კარნუ-ქალაქელნი,  
შამელნი და თურქნი გარმიანისანნი... და აივსო შევშეთისა და  
კლარჯეთისა ქუეყანაჲ... ბედმან თამარისამან სძლია, გააქციენეს...  
და დაჯოცნეს, და მუნითცა მოიღეს ურიცხუი კაცი და ცხენი წინა-  
შე მეფისა-ო“. სხვა, შემდეგ წლებში მომხდარი ამბების აღწერი-  
ლობიდან ჩანს, რომ ეს ქვეყანა ხარკს უხდიდა საქართველოს.  
რუსი უფლისწულის კარნუ-ქალაქში გამოჩენა შემთხვევითი მოვ-  
ლენა არ უნდა იყოს. თვით კარნუ-ქალაქელთა მმართველი წრეები  
საქართველოს შიგნით განხეთქილების შეტანის მოსურნენი უნ-  
და ყოფილიყვნენ. მცირე აზიაში გაძლიერებულ საქართველოს  
რომ გარედან ვერაფერი დააკლეს თურქმა მფლობელებმა, ბუნებ-  
რივია, საქართველოში შინა-განხეთქილების შეტანისათვის ხელი  
შეეწყოთ. ამ მხრივ დამახასიათებელია ათაბაგის მიერ კონსტან-  
ტინოპოლიდან რუსი უფლისწულის მეორედ გამოყვანა: მან სამ-  
ფლობელო და ლაშქარი მისცა და ახლა საქართველოს მეორე  
მხრიდან შემოუტია, მაგრამ ამჯერად რუს უფლისწულს მომხრე  
არ გამოუჩნდა საქართველოში და იგი საბოლოოდ დამარცხდა.

წარმოუდგენელია, რომ ასეთი გრანდიოზული ხასიათის გან-  
დგომილება ისე სწრაფად და რუსი უფლისწულის შემთხვევით მო-  
გზაურობით მოწყობილიყო. ყოველივე ამას წინ უსწრებდა ჯერ

საქართველოში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობით აღსავსე პროცესი და შემდეგ მოწინააღმდეგე დაჯგუფების ორგანიზებული მუშაობა. განდგომილების მიზეზების ასახსნელად სრულიადაც საკმარისი არაა იმის გათვალისწინება, თუ რა სურდა იმ დროს საქართველოს მტერსა და ექსორიაში მყოფ რუს უფლისწულს. მტერს მოწინააღმდეგის დასუსტება და დაცემა სურს, აქ ბევრი არაფერია საძიებელი. მაგრამ მთავარია, თუ რისი იმედი ჰქონდათ საქართველოში განხეთქილების შეტანის მოსურნეთ და მათ იარაღს, — რუს უფლისწულს.

უდავოა, რომ საქართველოში, გარკვეულ წრეებში, უკმაყოფილება სუფევდა. ანტონის პირველ ვაზირად დაჯდომა და დავით სოსლანის სასახლეში შესვლა მიქაელ პატრიარქის წრის წინათ არსებულ მდგომარეობას ცვლიდა ან შეცვლით ემუქრებოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებში განდგომილება იმიტაც იქცევს ყურადღებას, რომ საქართველოში რუსი უფლისწულის მეორედ მოყვანას მთელი დასავლეთი საქართველო ცდილობდა. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ამ განდგომილების აღწერას რანდენიმე სტრიქონს უთმობს და განდგომილებას დასავლეთ საქართველოს მიაწერს მთლიანად: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯუკობისა და რუსი ნოიყვანეს, რეცა კუალად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხეთაცა მიოთვასა, რონელი ვერა უძლეს, არანედ უფროსლა შეიმტერნეს“<sup>1</sup>. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსიც აღნიშნავს: „მიუდგეს ინიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ“<sup>2</sup>. ამავე ისტორიკოსის ცნობით, განდგომილთა შორის ცენტრალურ ფიგურათაგანია მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომელიც დაეთხოვა თამარს სახელმწიფო საქმის მომიზეზებით და მთელი დასავლეთი საქართველო თამარის წინააღმდეგ აამხედრა: „ესე მცირედისა რაჟსამე საქმისათჳს წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა მან ყოველი სუანეთი, აფხაზეთი, საეგროჲ გურიითა, სამოქალაქოჲ, რაქა-თაქუერი და არგუეთი და. მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან, აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“<sup>3</sup>. განდგომილებაში პირველობას ისტორიკოსი აკუთვნებს გუზანს, „კლარჯეთისა და შავშეთის პატრონს“, რომელიც იმ

<sup>1</sup> ბასილი ეზოს მოძღვარი, გვ. 18.

<sup>2</sup> ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, გვ. 90.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 91.

დროის საქართველოს შედარებით განაპირა პროვინციების მფლობელი იყო და მასზე იყო დამოკიდებული რუსი უფლისწულისათვის გზა გაეხსნა. ამერეთი მთლიანად, მცირე გამონაკლისს გარდა, თამარის მხარეზე დარჩა. დასავლეთ საქართველოდან ერთადერთი ადამიანი ანტონ ქუთათელი აღმოჩნდა თამარის მხარეზე, რომელიც მაშინ თამართან ყოფილა.

ისტორიკოსთა ცნობებიდან სავსებით ნათელი არაა, როგორ სურდათ რუსი უფლისწულის გამეფება—დავით სოსლანის განდევნით და კვლავ რუსი უფლისწულის თამართან შეუღლებით. თუ სხვა რიგად. ისტორიკოსი წერს: „და მუნით წარმოვიდა რუსი, და შეყრილთა მიჰპართეს სამცხეს... და გარდამვლელნი მთისანი, მივიდეს გეგუთს. ჰოი ლალადი დიდი და განსაკვრებელი კაცთა ცნობისაჲ! ვინა ანუ ვისილა მოსაყდრე დაჯდა საყდარსა დავითიანსა“? აქ ტექსტი ისე უნდა გავიგოთ, რომ რუსი უფლისწული მეფედ უკვე იყო ლიხთ-იმერეთის ტახტზე. იგივე ისტორიკოსი ვარდან დადიანის შესახებ ამასე იმეორებს: „აფიცა რუსისა გამეფებისა და მისი მეფე-ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუყუანისანიო“. მაგრამ ერთი გარემოება მაინც არ იძლევა გაბედული დასკვნის გამოტანის საშუალებას: „მეფე“ თამარის ქმარსაც ეწოდებოდა და არ ჩანს თუ რას გულისხმობს ისტორიკოსი აქ—რუსი უფლისწული თამარის „ქმარი მეფე“ იქნებოდა წინანდებურად თუ იგი დამოუკიდებელ მეფედ გამოცხადდებოდა.

განდგომილების მსვლელობის აღწერა ისეა მოცემული, რომ, როცა რუსი უფლისწული საქართველოს საზღვრებში შემოვიდა, წას მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქარი გუზან-კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელის პროვინციაში შეეგება. აქვე შემოუერთდა ბოცო სამცხის სპასალარი. ისტორიკოსის ცნობით, ჯერჯერობით თითქოს თამარმა არაფერი არ იცოდა ამის შესახებ.

რუსი უფლისწული და მისი მომხრე დიდებულნი თავისი ლაშქრით თბილისისაკენ კი არ გამოემართნენ, არამედ „გარდამვლელი მთისანი მივიდეს გეგუთს“ და მათ, როგორც ჩანს, ქართველ მეფეთა აქაურ სასახლეში გიორგი მეფედ დაუსვამთ.

თამარი, „ამა უსახურისა და უაზროსა საქმისაგან განკვირვებული“, თბილისში მოსულა და ერთგულნი შეუკრებია. „ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით“. ისტორიკოსი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მაშინ თამარ მომართა ქალაქს... მბრძანებელ ექმნა ყოველთა ერისთავთა ერთგულთა, ვინაჲცა შემოკრბეს სპასალარნი და დიდებულნი ჰერეთით, კახეთით, ქართ-



ლით, სომხითით, და სამცხით, მეურნენი საქმეთანი. ჰკადრეს ფიციით არა მათგან ნებადართულობად საქმისად და ვითარცა შეაჯერეს უმათოდ ქმნილებად, მკეცებრ განკდა გული მათი ერთგულებით-სათვს და თავისა საწამებლად დადებისათვს<sup>1</sup>.

რა ხდება ამის შემდეგ? თამარი დელეგაციას გზავნის იმერეთში, თევდორე პატრიარქს და ანტონი ქუთათელს. ეს უკანასკნელი ერთადერთი კაცია ლიხთ-იმერეთიდან თამარის მხარეზე. შემდეგ ეჯიბი და მესტუმრე გაუგზავნია, მაგრამ „მათგან ვერაფს პირის მპოვნელ იქმნაო“—მოლაპარაკებიდან არაფერი გამოსულა. განდგომილებთან თამარის დელეგაციების მოლაპარაკების შინაარსი არ ვიცით, მაგრამ განდგომილთათვის აშკარა გამხდარა, რომ თამარ მეფე არსებულ მდგომარეობას არ ურიგდება და ბრძოლა გადაუწყვეტიათ, შეტევაზე ისინი გადმოვიდნენ. თამარი ამ ხნის განმავლობაში მომზადებულა და ბრძოლა მოიგო კიდევც.

თამარ მეფის ისტორიკოსები რომ „იმიერად“ ნათლავენ ყველა ამ განდგომილებაში მონაწილეთ, იმიერ-ამიერთა ინტერესების ღრმა წინააღმდეგობასთან და რაიმე მიმძლავრებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ამ აზრს აძლიერებს ნეფის კურთხევის წესში მომხდარი ცვლილება, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით XIII საუკუნეში თვალსაჩინოა. განსვენებული აკადემიკოსი აღნიშნავს, რომ თამარის შემდეგ, მეფის კურთხევის წესში წინანდელ „აფხაზეთის მეფეების“ ღროის წესების ყოველივე კვალი წარხოცილია. ის, რაც დასავლეთ საქართველოს მეფობასა და დიდგვარიან აზნაურთა ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, XIII საუკუნეში აღარაა. საქართველოს ნეფის ხელისუფლების წარმოშობილობის ანარეკლი და ისტორიული ტრადიციის კვალი არ ჩანს<sup>2</sup>. ასეთი ცვლილებები მდივნის კალმის თვითნებობის შედეგი არ შეიძლება იყოს. ამ სიმბოლურ ცვლილებებს წინ საკმაო მწუვავე და ხანგრძლივი ბრძოლა უძლოდა და უმართებულო არ იქნება თუ ასეთი ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდად ზემოთ განხილულ განდგომილებას მივიჩნევთ. მაგრამ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიერ აღწერილ ამ განდგომილების ამბავში ჩვენ განდგომილთა მხარეზე მარტო დასავლეთ საქართველოს კი არ ვხედავთ, არამედ კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელს, სამცხის სპასალარს და ზოგიერთ „ამიერსაც“. მაგრამ გან-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 91.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II გვ. 202—203.

დგომილებაში გადამწყვეტი როლი დასავლეთ საქართველოს და შავშეთ კლარჯეთს ეკუთვნოდა. ყოველ განდგომილებაში ერთი ძირითადი მიზეზი შეიძლება წამყვანი იყოს, იგი მთავარ ბირთვს შექმნის, მაგრამ განდგომილებაში ყოველთვის ყველა ერთი მიზეზით არ მონაწილეობს. ზოგიერთი სხვა მოტივით ემხრობა მას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოს დებს ბრალს და სხვებს სრულიადაც არ იხსენიებს. პირველი ისტორიკოსიც „იმიერთ“ იხსენიებს.

აქ ხაზი იმ გარემოებას უნდა გაეყვას, რომ ლიხს იქეთი პროვინციები მთლიანად ერთ კაცს ექვემდებარებოდა და იგი საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ნაწილის „უცილობლად მქონებელი“ იყო თურმე. ეს კაცი მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი იყო და მისმა პოზიციამ მთელი დასავლეთი საქართველოს აჯანყებულთა მხარეზე გადასვლა განაპირობა. ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით— პირადად რა დამოკიდებულებაში იყო იგი რუს უფლისწულთან. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს, რომ ვარდან დადიანს პიროვნულად დიდი ბრძოლა გადაუხდია ისე, რომ ამ ომში მყოფი რუსი უფლისწული თურმე პირადად უცქეროდა დადიანის ვაჟკაცობას. ისტორიკოსი წერს: „მუნცა დიდთა ლაშქართა მოწვევასა შინა ისახელეს თავი ბუმბერაზთა ამის სამეფოაჲსათა, თვით მეფისა მქურეტელობასა შინა, ვარდან დადიანმან მსახურთ-უხუცესმან, ოთხთავე მკარგრძელთა და სხუათა დიდებულთა აზნაურთა“... ამ ცნობიდან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ დადიანი რუს უფლისწულს უნდა მოწონებოდა, როგორც გაბედული ვაჟკაცი, მაგრამ ამავე ცნობიდან ჩანს, რომ არც მხარგრძელები ყოფილან ნაკლები და რუსი უფლისწულის ეს საბრძოლო შეხვედრა ქართველ დიდებულებთან. რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს გვეუბნება ამა თუ იმ დიდებულთან რუსი უფლისწულის დამოკიდებულების ხასიათზე.

ვარდან დადიანს გარდა, აჯანყების სათავეში ჩანს გუზან აბულასანის ძე, ტაოს მფლობელი. ზოგიერთი მკვლევარი სრულიად დაუსაბუთებლად ამ გუზანს იმ აბულასანის ძედ თვლის, რომელმაც რუსი უფლისწულის კანდიდატურა წამოაყენა დიდებულების თათბირზე. განა აბულასანი სხვა ქართველ დიდებულს არ შეიძლებოდა რქმეოდა? ჩვენს ხელთ არსებულ ცნობის მიხედვით აბულასანის ერთ შვილს დავითი ერქვა. სხვა შვილი ჰყავდა მას

თუ არა — არ ჩანს. აჯანყებაში აქტიურ როლს თამაშობს მექურკლეთ-უხუცესის ნაცვალი, მაგრამ თუ ვინ არის იგი, რა ეწოდებოდა მას ჩვენ არ ვიცით. ზოგიერთს იგი სწორედ ის აბულასანი ჰგონია, რომელმაც თავი ისახელა ჩვენს ისტორიაში რუსი უფლისწულის ყივჩაყეთში აღმოჩენით და მისი კანდიდატურის დასახელებით. ჩვენთვის ნათელი არაა, რა საფუძველი აქვს ასეთ მსჯელობას. თუ აჯანყების მომენტში აბულასანი მექურკლეთუხუცესის ნაცვალი იყო, მაშინ როდის ელირსა იმას მექურკლეთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთავობა, რომლის პატივით იგი თავისთავს იხსენიებს ანდოია მოციქულის ხატის ვერცხლის მოქედლოობის წარწერაში. ამდენად, მექურკლეთუხუცესის ნაცვალი სხვა პირი უნდა იყოს, მაგრამ, ცხადია, აბულასანის დასის დიდებულთაგანი. თვით აბულასანი ამ აჯანყების დროს მექურკლეთუხუცესობის თანამდებობიდან შეიძლება გადაყენებული იყო კიდევ, რაკი ამიერიდან ანტონ გლონის-თავის ძის სავაზიროში მას აღვილი აღარ უნდა ჰქონოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლურჯი მონასტრის წარწერაში რომ ბასილი ქართლის მთავარეპისკოპოსოყოფილი თავის ძმას აბულასანს მხოლოდ ერისთავთ-ერისთავად, ქართლის ამირთა-ამირად, „რუსისთვისა და შეიღთა მთელთა პატრონად“ იხსენიებს, ხოლო მექურკლეთუხუცესობის შესახებ კი დუმს, — იმის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, რომ ეს წარწერა მაშინაა ამოქრილი, როცა აბულასანმა, ანტონ გლონის-თავის ძის გაევაზირების შენდევ, მექურკლეთუხუცესობა დაკარგა. ამაზევე უნდა მიგვიფიქრობდეს თვით ბასილის ქართლის მთავარეპისკოპოსო ყოფილად მოხსენიება. ეტყობა მიქაელ პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ არა მარტო აბულასანი, არამედ აბულასანის ძმა ბასილიც დააქვეითეს, ამ უკანასკნელს, მაგალითად, მთავარეპისკოპოსობა დაუკარგავს.

ამ მცირე მასალის ნიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ საკმაო მიზეზები უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ თამარის მოწინააღმდეგე დაას შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შეცვლია ცდა მოეხდინა და ამისათვის რუსი უფლისწულის, ვითარცა საქართველოს სახელმწიფო სასახლის ყოფილი წევრის, გამოყენება დაეგეგმა. როგორც აღვნიშნეთ, ბრძოლა თამარმა მოიგო. საქართველოს სახელმწიფომ ამის შემდეგაც არა ერთი დიდი გამოცდა დაიჭირა თურქთა გაერთიანებულ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ძლიერება იმ დროს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის სათავეში მყოფი დასის ფრთხილი ნაბიჯების მეოხებით ყოფილა შენარჩუნებული.

დამარცხებული ვარდან დადიანის ჯგუფი რუსი უფლისწულის თანხლებით თამარის წინაშე გამოცხადდა. სახელმწიფოს ლალატი მაინაც უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა, მიუხედავად ამისა არც ერთი ამ აჯანყების მონაწილე სიკვდილით არ დასჯილა. თამარ მეფის ისტორიკოსების განცხადებით ეს თითქოს თამარის ლმობიერების ნაყოფი იყო.

მართალია, ჩვენი წყაროებით თამარი ფეოდალურ საქართველოში უდავოდ დიდბუნებოვანი ადამიანის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ თამარი, რომელიც საქართველოს მართავდა „ერთნებაობითა და თანადგომითა დიდებულთა“, უფლებამოსილი იყო თუ არა სიკვდილის განაჩენი გამოეტანა ამ დიდებულთა დასტურის გარეშე?

დამნაშავეთა შემორიგების საქმეში ცენტრალური ადგილი ისევ თამარის მამიდას რუსუდანს ეჭირა. „შემნანებელთა შეცოდებისათა,.. ითხოვნეს ცხოველნი ხატნი და თვთ დედოფალი რუსუდან მათ შუა საყოფელად... ვინაჲცა გარდამოვიდეს სუიანნი დიდებულნი... და გარდამოიტანეს რუსი, მეფე-ყოფილი, მისცა დედოფალმან (რუსუდან—ი. ც.) სიმტკიცე პირველად რუსის უვნებლად გაშვებისათვის და მერე მის ჟამისა შეცოდებისა არ მოკსენებისათვის; და დედოფლისად მოვიდეს ნაქარმაგველად“<sup>1</sup>. როგორც ჩანს, აჯანყებულ დიდებულებს საშუალება ჰქონდათ დამარცხების შემდეგ რუსი უფლისწული დასავლეთ საქართველოდან ისევ საბერძნეთში გაემგზავრებინათ, მაგრამ ეს ვერ გაბედეს. თუკი თამართან შერიგება უნდოდათ, რუსი უფლისწული აუცილებლად უნდა გაეწირათ და თამარისათვის უნდა ჩაებარებინათ, ეს მათი საბოლოო განიარაღების ნიშანი იქნებოდა. სხვა რიგად მათგან მორჩილების გამოცხადება სანდოდ ვერ ჩაითვლებოდა. და აქი ეს, ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებ დამნაშავე, ადამიანი მიენდო რუსუდან დედოფლის სიტყვას.

მართალია, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით რუსუდანის შესახებ, მაგრამ როგორღაც საქართველოს სამეფო კართან რუსი უფლისწულის დამოკიდებულების საქმეში იგი აქტიურ პიროვნებად მოჩანს. ეს შესაძლებელია იმიტომაც, რომ დიდებულებთან თამარის ურთიერთობისას რუსუდანი ყოველთვის შუამავალია და მას ბევრი რამ ეკითხება გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში თამარის ახალგაზრდობის გამო.

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 95.

რუსუდან დედოფლის წინაშე გამოცხადებისას, რუს უფლისწულს ივანე მხარგრძელის თავმდებობით უთხოვია საქართველოდან წასვლის ნებართვა. როგორც ჩანს, ივანეს ეს თხოვნა შეუსრულებია და თამარის ნებართვით იგი უვნებელი წასულა საქართველოს საზღვრებიდან.

იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა გიორგი ამ მარცხის შემდეგ, ისტორიკოსებს არაფერი აქვთ ნათქვამი. ბიზანტიურ საისტორიო ძეგლებში ეგების სადმე იყოს შემონახული რაიმე ცნობა კონსტანტინოპოლში ან სხვა ქალაქში გიორგის შეხიზვნის შესახებ, მაგრამ ეს მომავალი ძიების საქმეა. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ იგი ერთხანად ისევ კონსტანტინოპოლში ყოფილა. შემდეგ მას კონსტანტინოპოლი დაუტოვებია და კვლავ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე გამოჩენილა. მაგრამ ამჯერად იგი საქართველოს აღმოსავლეთიდან მოსდგომია და, რაც მთავარია, ქართველ დიდებულებთან მისი კავშირი უკვე არ ჩანს. ისტორიკოსი წერს, რომ კონსტანტინოპოლიდან „აფრა აწყვეტილ“ ნავივით ზღვის ტალღების მიერ უგზოუკვლოდ გამორიყული არანის ქვეყნის ათაბაგთან მოსულა და ამ უკანასკნელს მისთვის საცხოვრებლად და სამყოფად მამული მიუბოძებია. თამარის ისტორიკოსი დასცინის გიორგის ამ სამყოფელს, მისი საკადრისიც ეს იყო: „...და მისგან აიღო არანისა ქვეყანასა სამყოფი, შემსგავსებული სუისა მისისაჲ“. სადიქრებელია, რომ გიორგი ათაბაგმა მიიწვია. ათაბაგს ალბათ იმის იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს საზღვართან გიორგის ახლო ყოფნა საქართველოს შიგნით არსებული წინააღმდეგობების გალრნავებას შეუწყობდა რაიმე გზით ხელს. ყოველ შემთხვევაში ათაბაგი რუსი უფლისწულის ინტერესებით არ იხელმძღვანელებდა, როცა მას თავშესაფარს და მამულს აძლევდა. რას გეგმავდა თვით გიორგი, გაურკვეველია, მაგრამ ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ მაშინ მას საქართველოს პროვინციების დარბევა და ძარცვა დაუწყია: „მუნითღალმა, შემყრელი ლაშქართა განძისა და არანისათა, მოვიდა ქვეყანასა კამბეჩოვანისასა და შიგნით მინდორნი მოარბია და აიღო სიმრავლე ტყუისა და ნატყუენავისაჲ“-ო. მაგრამ ეს სიმდიდრე სახლში ვეღარ მიუტანია გიორგის და მის დამხმარეებს. ხორნაბუჯის მფლობელს სალირ მახატლის ძეს მცირე ლაშქარი შეუყრია, მოთარეშე რუს უფლისწულს დასწევია და იგი სასტიკად დაუმარცხებია ისე, რომ გიორგიმ ძლივს გაქცევით უშველა თავისთავს: „...მიეწივნეს და გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დაკოცნეს, ვინაჲ რუ-

სი ძლით სავე გარდაიხუეწა<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ათაბაგს ამიერიდან არანში მისი შეფარება ველარ უკისრია; საქართველოს სამეფოში რაკი მომხრე არ გამოუჩნდა, მან სხვაგან ეძია თავშესაფარი. გიორგის კვალიც ამ ამბის შემდეგ ჯერჯერობით არ ჩანს. სამშობლოში დაბრუნება მას აღარ შეეძლო, ყიფაყეთი, საქართველოს ყმად ნაფიცი ქვეყანა, მის მიღებას ვიღარ გაბედავდა. ჩანს სადმე ნცირე აზიის რომელიმე მფლობელთან აფარებდა იგი თავს და ამ მფლობელის საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავების ან თვით საქართველოში შინაგანი გართულების შემთხვევებზე აგებდა რაინე გეგმებს და ამ იმედით ცხოვრობდა. წყაროების სრულად გამოქვეყნების შემდეგ რუსი უფლისწულის შემდგომი თავგადასავალიც შეიძლება გამოიკვეს.

განხილული მასალის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: თანარ მეფისათვის საქმროს შერჩევის საკითხი საქართველოს შინაპოლიტიკურ მწვავე ბრძოლას დაემთხვა და ამდენად საქმროს შერჩევის საკითხი ამ შინაპოლიტიკური ბრძოლის პროცესთან დაკავშირებით უნდა იქნეს განხილული. თამარ მეფის გათხოვების საკითხი კი იმის შემდეგ დაისვა და გადაწყდა, როცა პოლიტიკური ბრძოლის ერთი ეტაპი დასრულდა—დიდგვარიანთა წრემ საქართველოს მეფე შეზღუდა, იგი სახელმწიფოს განაგებდა „ერთნებაობითა და თანადგომითა“ დიდებულთა. ამდენად თამარ მეფის ქმრის უფლებებიც წინასწარ გათვალისწინებულ ჩარჩოებშია ნაგარაუდვეი დიდგვარიანთა გარკვეული, გამარჯვებული დასის მიერ. თამარის „მეფე-ქმარი“ „სპათა და ლაშქართა“ სათავეში დგას, იგი საქართველოს მეფის „მართებათა და განსაგებელთაგან“ სახელმწიფოს ლაშქრის პატრონობას და მთავარ წინამძღოლობას ასრულებს ფაქტიურად თუ არა ფორმალურად მაინც. ამ საქმეში თამარის შემცვლელია იგი, რადგან ქალისათვის ლაშქრად ყოფნა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამათ გარდა, თუ რა შედიოდა კიდევ „მეფე ქმრის“ კომპეტენციაში, დასადგენია. „მეფე ქმარს“ საქართველოში საკუთარი გვარის—ახალი დინასტიის დამკვიდრების უფლება აღკვეთილი ჰქონია. ლაშა გიორგი თამარის ძედ იყო ცნობილი, დავით ნარინი რუჰაუდანის ძედ. თამარის საქმროს შერჩევის საკითხი მარტო დინასტიის გამგრძელებელ მამრობითი სქესის და სარწმუნოების საკითხი კი არ იყო, არამედ მწვავე შინა პოლიტიკურ ვითარებებს უკავშირდებოდა და კანდიდატი არც ისე მარტივად შესარჩევი იყო. რუსი

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი., გვ. 100.

უფლისწული სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო მიმზიდველი. შეიქნა ქართველ დიდებულთათვის, როგორც უმამულო, უქმო, სამშობლოდან დევნილი, წარმოშობით რუსეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი და მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი.

რუსი უფლისწულისათვის საკუთარ მამულში დაბრუნების იმედის აღკვეთის შემდეგ საქართველოს დიდებულებთან შეთანხმება და შეზღუდულ მდგომარეობაში ყოფნა უფრო მიმზიდველი იყო, ვინემ ნახევრადველურ და წარმართ ყვიჩაყთა შორის ცხოვრება. გიორგი, სასახლეში შესვლის შემდეგ, თამარის ოპოზიციისაში ხვდება და მისი ხელის შეწყობით სახელმწიფოში დიდი თანამდებობები თამარის მოწინააღმდეგე დიდგვარიან პირებს ჩაუვარდა ხელში. წინააღმდეგობა თანარსა და გიორგის შორის წინდა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხების გადაჭრისას წარმოიშვა და ეს წინააღმდეგობა იმაზე უფრო ღრმა საფუძვლის მქონეა, ვინემ თამარ მეფის ისტორიკოსები ცდილობენ ნოგვაჩვენონ. ამდენად, საქართველოდან გიორგის გაძევებას ღრმა სახელმწიფოებრივი ხასიათის საფუძველი აქვს და არა მარტო ცოლ-ქმრული კერძო ექვიანობის ფაქტი. გიორგის სასარგებლოდ მოწყობილი განდგომილება და სისხლისმღვრელი აჯანყება ამ მხრივ ყველაზე უფრო მკვერმეტყველი ფაქტია. რუსი უფლისწულის საქართველოში მოსვლის ფაქტს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ნაკლები ღირებულება აქვს იმდენად, რამდენადაც თვითონ გიორგის არ ჰქონდა ურთიერთობა რუსეთთან. მაგრამ, რომ ამ დროის საქართველო ყვიჩაყთა მეშვეობით რუსეთში მიმდინარე პროცესებს იცნობდა, ამას აბულასანის მიერ რუსი უფლისწულის სასარგებლოდ წარმოთქმული სიტყვა ცხადყოფს. რუსი უფლისწული, როგორც ნოვგოროდის ვეჩეს ხელკვეით მყოფი მთავარი, პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ჩახედული ახალგაზრდა იყო და საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში უდავოდ სწრაფად გაერკვა და გაბატონებული ფენის გარკვეული წრის გული უთუოდ სწრაფად და საფუძვლიანად მოიგო. გიორგის შესახებ დამატებითი წყაროები ჯერ კიდევ საძიებელი გვაქვს.

\* \* \*

ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. XXIII, 1946 წ.) პროფ. სურენ ერემიანი პატარა გამოკვლევა მიუძღვნა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხს— „Юрий Боголюбовский в армянских и грузинских источниках“ (იხ. შრომები, გვ. 389—421). ერემიანი მის ხელთ არსებულ ქარ-

თულ და სომხურ წყაროებს შემდეგ დასკვნებამდე მიუყვანია: საქართველოში რუსი უფლისწულის შემოყვანა არსებითად სომხეთის არისტოკრატიის ინიციატივაა. აბულასანი, რომელმაც დიდებულთა თათბირზე რუსი უფლისწულის კანდიდატურა წამოაყენა, სომეხი არის ...на основании некоторых данных, устанавливается идентичность этого Абул-Асана с известным армянским феодалом, владельцем Махканаберда и Ахпата, Амир-Курдом Арцруни“ (გვ. 395), ამირ-კურდი არწრუნი, ახპატისა და მაჰკანაბერდის მფლობელი, რუსი უფლისწულის სასახლეში შემოყვანის შემდეგ, ალბათ, კმრით მადლიერმა თამარმა კიდევ უფრო დააწინაურა და საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ, 1188 წელს სომხეთის არისტოკრატიის მეორე შტომ, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. დაინახა რა, რომ რუსი უფლისწული კარგი სარდალია და მხარგრძელები ვითარცა სპასალარები თავის მდგომარეობას სამეფო კარზე დაკარგავდნენ, თამარის მამიდასთან—რუსულადან დედოფალთან შეთანხმებით რუსი უფლისწული განდევნა სასახლიდან და ოსეთის დინასტიის წარმომადგენელი დავით სოსლანი გაამეფა—„Изгнание Георгия русско-го из Грузии случилось в 1188 году. Несомненно это произошло под давлением Русуданы и братьев Захарии и Иване Долгоруких, которые, видя воинские доблести русского, опасались потерять свое влияние при дворе“... (გვ. 412—413). შორსმკვრეტელი ზაქარია და ივანე მხარგრძელები ზურგს შეაქცევენ აბულასანს, რომელმაც სასახლეში თავისი გავლენა უკვე დაკარგა.

რაკი რუსი უფლისწული სასახლიდან გააძევეს, „ამირ-კურდ-აბულასანს“ განუზრახავს თამარ მეფისათვის მეორე კმარიც თვითონ გაეშუამავლებინა და ახლა სალდუხის ძის ძე მუტაფრაღინის კანდიდატურა წამოაყენაო, მაგრამ მარცხი განიცადა; ოუსულდან დედოფალმა მხარგრძელების მხარდაკერით დავით სოსლანი შეიყვანა სასახლეშიო (გვ. 413). ამის შემდეგ აბულასანი ხელსაყრელ დროს უცდის და რაკი სასახლეში კვლავ გავლენის მოპოვების სხვა საშუალება ვერაფერი ნახა, ისევ გაძევებული რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანა განიზრახა, აბულასანი რატომღაც მეკურკლეთუხუცესის ნაცვალთა, კარნუ-ქალაქში მიდის. შემთხვევითი არ არის მისი კარნუ-ქალაქში წასვლა და იქ რუსი უფლისწულის ნახვა („Не случайна встреча Абул-Асана с Юрисм именно в Карине (Карну-Калаке). Ведь здесь именно он имел владения, которыми управляли его сородичи, находившиеся в дру-



жественных отношениях с эмирами города“ (გვ. 413). აბულასანს აქ მამულები ჰქონდაო. ვარდან დადიანმაც მხარი დაუქირა, ისიც იქ მივიდა და გიორგი რუსის ტახტზე აღდგენა ცადესო, მაგრამ ეს აჯანყება დამარცხდა მხარგრძელების ენერგიული მოქმედებით [„Благодаря энергичным действиям братьев Долгоруких восстание это было подавлено...“ (გვ. 414)]. ამის შემდეგ „ამირ-კურდი აბულასან არწრუნი“, ყოველგვარი თანამდებობიდან გადაყენებული და პატივყარილი, თავის წამულში მაჰკანაბერდში წავიდა და დარღით მალე გარდაიცვალაო. ამას გარდა, ამხ. ერემიანი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ 1191 წლამდე სომხეთში მეფედ მხოლოდ გიორგი რუსს თვლიდნენ და იმის შემდეგ, როცა თვით ზაქარია მხარგრძელმა ითავა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ მოწყობილი აჯანყების წინააღმდეგ გალაშქრება, წარწერებში თამარ მეფეს იხსენიებენ, ხოლო შემდეგ ლაშა გიორგის. დამახასიათებელიაო, რომ დავით სოსლანი სომხურ წყაროებში არსად ერთხელაც არ იხსენიებაო [„В Армении повидимому, до 1191 года включительно, царем признавали Георгия русского и только после этого года, когда сам Захария Долгорукий возглавил поход против восставших феодалов, желавших восстановить Георгия на царство, в армянских надписях фигурирует Тамара, а затем Георгий Лаша. Характерно, что Давид Сослан в армянских надписях ни разу не упоминается“ (გვ. 410)]. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად სურენ ერემიანს დამოწმებული აქვს ორი სომხური წარწერის ტექსტი, სადაც ქართველების მეფედ თურმე გიორგი იხსენიება. თარიღის მიხედვით ეს გიორგი მეფე უდავოდ გიორგი რუსი უნდა იყოსო. ეს იმ დროს, როცა ქართული წყაროები გიორგი რუსის ისეთი მოძულე არიან, რომ მისი სახელიც კი არ ნოუხსენებიან, აბულასანს და ამ გიორგის ლანძღვა-გინებით იხსენიებნო.

ამას გარდა, ერემიანის გამოკვლევაში აღნიშნულია ისიც, თითქოს ანდრია ბოგოლუბსკი მოკლულ იქნა შორეულ ჩრდილოეთში ოსი ანბალის ხელით, ხოლო აქ, თამარის სამეფო კარზე, ასეთსავე ხვედრს უმზადებდნენ სომხების მიერ მოყვანილ რუს უფლისწულს იგივე ოსები, ვსევოლოდ დიდი ბუდის მომხრენი [„...В Далекой Руси в поместьи Боголюбове пал от руки осетина Анбала Андрей Боголюбский, а здесь, при дворе Тамары такой же удел готовили те же осетинны сторонники Всеволода Большое гнездо, сыну его брата Юрию“ (გვ. 420)]. მაგრამ ამაზე როდი მთავრდება პროფ. ერემიანის წერილი

რუსი უფლისწულისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარშემო. მისი მტკიცებით რუს უფლისწულს. ამ ჩვენს მხარეში გადმობეწილს, გარდაცვალების შემდეგაც თურმე სომხები — აბულასანი, იგივე არწრუნი, და მისი ძმა ბასილ მთავარ ეპისკოპოსი, იგივე სომეხი ახპატის ეპისკოპოსი ბარსელი, კირისუფლობდნენ. გიორგის პატივსაცემად მათ თბილისში აუგიათ საყდარი (დღესაც ცნობილი ლურჯი მონასტერი ვერის ბაღის მახლობლად), რომელშიაც აჯანყების შემდეგ მალე გარდაცვლილი გიორგი დასაფლავებული ყოფილა კიდევ. პროფ. ერემიანი წერს: [„...Однако. из надписи не видно, что эта церковь могла служить усыпальницей Абул-Асана с семейством и его брату, бышему картлийскому архиепископу Василию, как это думает Е. Такайшвили. В самом деле, если она посвящена Георгию Боголюбскому, каким образом могла стать фамильной усыпальницей Абул-Асана“? (стр. 418)... „Нам представляется возможным предполагать, что здесь был погребен не кто иной, как сам Юрий Боголюбский.“ стр. 419)].

არც ამით მთავრდება პროფ. ერემიანის გამოკვლევა. მისი გაგებით, მხარგრძელების მოდგმა თმოგველების ჩათვლით გაქართველებული სომხები არიან. ამათგან თავისი მოქნილი პოლიტიკით მთელი სახელმწიფოს ფაქტიური მართველი ხდება ზაქარია მხარგრძელი, რომელმაც ჩრდილში მოაქცია დავით სოსლანი. თამარ მეფე ყველაფრის შემძლე ძმების—ზაქარია და ივანე მხარგრძელების, ძლიერ ხელში მოექცა მთლიანად: [„Захария Долгорукий своєю умелой и гибкой политикой сумел стать фактическим правителем страны, оставив в тени Давида Сослана; Тамара оказалась целиком во власти всемогущих братьев Захария и Ивана Долгоруких“ (გვ. 415)].

პროფ. ერემიანი კიდევ უფრო შორს მიდის. ის აღნიშნავს, რომ ლურჯი მონასტრის წარწერაში მოხსენებული აბულასანის ძმა ბასილი, ყოფილი ქართლის არქიეპისკოპოსი, არის იგივე სომეხი არქიეპისკოპოსი ახპატისა—ბარსელი.

ეს ახპატელი არქიეპისკოპოსი ბარსელი, კვირიაკე განჯელის ცნობით, დიდად პატივცემული ყოფილა თამარ მეფის მიერ იმის გამო, რომ კარგი გარეგნული სილამაზე ჰქონდა და თამარ მეფეს თურმე მოეწონაო: *«Մա էր գեղեցիկ տեսեամբ. դաս տեսեալ թագուհին վրայ թամար մեծապէս պատուեալ զնա վասն վայելչութեան զեղոյ նորա, զի եղբարք նորա դիրեակալք*

ტის სახელს აყენებდა... და კიდევ იმიტომ, რომ მისი ძმები სასახლის თანამდებობის პირები იყვნენ.

ამხ. ს. ერემიანს შესაძლებლად მიაჩნია, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი ბასილი და ეს ახპატელი ბარსელი ერთი და იგივე პირი იყოს [„Возникает вопрос—не идентичен ли это Басили с Басили Эвсμοдазгвари автором „Истории царичи царицы Тамары“ (გვ. 405)].

სამწუხაროდ, სურენ ერემიანს თავისი ამ მოსაზრებების დამატკიცებელი არგუმენტაცია ისე აქვს მოცემული, რომ მისი გაზიარება არ შეიძლება. ამის გამო ჩვენ იძულებული ვხდებით პროფ. სურენ ერემიანის არგუმენტაცია და შემდეგ თვით მისი კონცეფცია დაწვრილებით განვიხილოთ.

პირველ რიგში საკიროდ მივიჩნევთ პროფ. ს. ერემიანის მიერ ახლად დადგენილი ფაქტები შევამოწმოთ. იგი ამტკიცებს, რომ ის პირი, რომელმაც რუსი უფლისწულის კანდიდატურა წამოაყენა დიდებულთა თათბირზე, არის სომეხი, მაჰკანაბერდისა და ახპატის მფლობელი, ამირ-კურდი ვაჰრამის ძე არწრუნი. მართალია, ქართული წყაროს მიხედვით ამ დიდებულს აბულასანი ეწოდება, მაგრამ, ს. ერემიანის აზრით, აბულასანი და ამირ-კურდი ვაჰრამის ძე არწრუნი ერთი და იგივე პირია. საამისო მოსაზრება ს. ერემიანს დასახელებულ წერილში მოკლედ აქვს მოცემული, მაგრამ იგივე მოსაზრება მას უფრო ვრცლად „დამტკიცებული ჰქონია“ სხვა ნაშრომში, სახელდობრ, „Архруниды Махканаберда“-ში, რომელიც ჯერ განოქვეყნებული არ ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება ერემიანის ამ მეორე ნაშრომზე, მაგრამ ისეთი მონაცემები გვაქვს, რომ აბულასანის გაიგივება ამირ-კურდ არწრუნისთან შეუძლებელია.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დიდებულის სახელწოდება, რომელმაც თამარის პირველი ქმრის რუსი უფლისწულის კანდიდატურა წამოაყენა, დასახელებული აქვს ნხოლოდ თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს. მას აბულასანი რქმევია. იგი მოხსენებულია თბილისში დღესაც არსებულ „ლურჯი მონასტრის“ კარიბჭის ქართულ წარწერაში და ანდრია მოციქულის ხატის ვერცხლის პერანგის მინაწერში. სხვაგან დღემდე ცნობილ ძეგლებში არსად აბულასანი მოხსენებული არაა და არც სურენ ერემიანს უნახავს ასეთი ძეგლი. მოვიტანოთ აქ ქართული წერილობითი ძეგლების ის ადგილები, სადაც მოხსენებულია აბულასანი. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „...გამოვინმეჩნდა მეტყუელი მკვდრთაგან ტფილისისათა, თავადი, და

მეფეთ-მეფეთაგან წყალობა-კელდასხმული, ამირაჲ ქართლისაჲ და ტფილისისაჲ, სახელით აბულასან<sup>1</sup>...

სხვაგან, თამარის არც პირველ და არც მეორე ისტორიკოსს აბულასანი მოხსენებული არ ჰყავთ. თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი სრულებით არ ახსენებს აბულასანს და არც აღწერს დიდებულთა იმ თათბირს, სადაც თამარ მეფის საქმრო კანდიდატურების განხილვა მიმდინარეობდა. მაშასადამე, მოტანილი ცნობით, აბულასანი თბილისის მკვიდრი, თავადი, ქართლისა და თბილისის ამირა ყოფილა.

ანდრია მოციქულის ხატის ვერცხლის პერანგის წარწერაზე ვკითხულობთ: „ჰოი ყოვლად წმიდაო შოციქულო ქრისტე ღვთისაო ანდრია, შეიწირე (მცირე)დი ესე მსახურებაი ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთ-უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა (ვერცხლითა შევქედე კუბოი ესე შენი (სალოცველად) სულისა ჩემისა და ძმათა... და ელიასათუის“<sup>2</sup>.

მესამე ცნობა თბილისში დაცულ ლურჯი მონასტრის კარიბჭეზე და ეკუთვნის აბულასანის ძმას. აღნიშნული წარწერა აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ამოკითხულია შემდეგი სახით: „ვინაითგან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებით კეთილ-კეთილნი კეთილად ქმნილნი. ამისათვის მეცა შვილი ქეშმარიტისა ემბაზისა, გარნა სახელითოდენ ქრისტეანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიში ღმრთისა ბრძანებათაი, უღირსი ბასილი, ქართლისა მთავარ ეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ ნათესავისა იობისი, უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულს-მოდგინებით მსასოებელი შენი, ცეებრსა ამას გიმკობ საყდარ სართულსა სამსხემგსა ამას კედარსა შინა ყოვლისა სოფლისა მომდინარებელსა სარწმუნოებასა ზედა მართალსა, ათერთმეტ თავად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო და სწორო ანდრია ხმევით. ხოლო ვაშენე ნაცვალსაგებად ჩემთვის და საყუარლისა ძმისა ჩემისა, ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუისთვისა და შვიდთა მთელთა პატრონის აბულასანისა თუის და უპირამოესისა ძმისა ჩემისა შვილისა დავითისათვის, ვიდრემდის დაუდროგომელსა ამას და წარმდინარესა სოფელსა შინა, ხოლო მდებარე...“

<sup>1</sup> ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამოც. 1941 წ., გვ. 81.

<sup>2</sup> Е. Такашвили, Археологические экскурсии. Вып. II стр. 70.

არა შევიდენ... მყუდროებით მშვიდობით დაიცევ საძვალეთა ამით შინა ქორონიკონსა...“.<sup>1</sup>

რა ცნობები გვაქვს ჩვენ მოტანილ ტექსტებში აბულასანის შესახებ? აბულასანი ყოფილა იობის ძე. მას ჰყოლია ძმები — ბასილი და ელია, უფროსი შვილი დავითი. ტექსტების დაზიანების გამო სხვა მის ნათესავთა ვინაობას ვერ ვგებულობთ. თაპარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით თამარის გამეფების პირველ წელს აბულასანი არის თავადი, თბილისის მკვიდრი და თანამდებობის მქონე ანირა ქართლისა და თბილისისა. როგორც ჩანს, შემდეგ აბულასანი დაწინაურებულა, ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში იგი თავისთავს იხსენიებს ერისთავთ-ერისთავად და მექურქლეთუხუცესად. მაშასადამე, იგი ვაზირი განხდარა. ვფიქრობთ, რომ ეს დიდი თანამდებობა მან მიიღო 1186—1187 წლებს შორის, როცა რუსი უფლისწულის ხელისშეწყობით პირველ ვაზირად მიქაელ პატრიარქი იქნა დამტკიცებული და თამარის მომხრე პირველი ვაზირი ანტონი გადააყენეს.

რა საფუძველი გვაქვს საამისოდ? გიორგი III-ის მეფობის დროს, დემნას განდგომილებამდე (1177 წლამდე), მექურქლეთუხუცესად ჩანს იოანე ვარდანის ძე, სუანთა ერისთავი<sup>2</sup>. დემნას განდგომილების შემდეგ ეს იოანე ვარდანის ძე გაგის მფლობელად არის გადაყვანილი (იგი მონაწილეა სასახლეში რუსი უფლისწულის მეორედ შესაყვანად მოწყობილ აჯანყებისა). თამარის გამეფების პირველ წელს მექურქლეთუხუცესად ცნობილი ყუთლუ-არსლანია. მას შემდეგ კი, რაც ამ უკანასკნელის თაოსნობით „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასმა „ისნის კარავის“ პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა და გამოსვლები მოაწყო, მექურქლეთუხუცესობა ამ დასის დამარცხების შემდეგ კახაბერ ვარდანის ძეს უწყალობა თამარმა.

აბულასანის ინიციატივით და სხვათა მხარდაჭერით სასახლეში რუსი უფლისწულის შეყვანის შემდეგ, როცა რუსი უფლისწულის მომხრეთა მოხერხებით, როგორც ამას თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი გვაუწყებს, მიქაელ პატრიარქმა პირველი ვაზირის თანამდებობა იგდო ხელთ, ყველაზე უკეთესი პირობები შეიქმნა აბულასანისათვის მექურქლეთუხუცესობის თანამდებობის

<sup>1</sup> Е. Такнйшвилл. Археологич. экскурсии., вып. IV, стр. 150—151.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, 1937 წ., პარიზი, გვ. 24—25.

(1187—88 წლებში) მისაღებად. მაგრამ, როგორც ჩანს, აბულასანს ეს თანამდებობა მალე დაუკარგავს. სავარაუდოა რუსი უფლისწულის გაძევების შემდეგ. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ლურჯი მონასტრის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა ბასილი აბულასანს მხოლოდ ერისთავთ-ერისთავად რუისთვის და შვიდი მთეულეთის პატრონად და ქართლის ამირთა-ამირად იხსენიებს. როდესაც ეს წარწერა კეთდებოდა, მაშინ აბულასანი მექურქლეთუხუცესი არ უნდა ყოფილიყო, თორემ ამ თანამდებობის გარეშე იგი მას არ მოიხსენიებდა. ვაზრობა მაშინდელ საქართველოში ისეთი დიდი პატივი იყო, რომ მისი არმოხსენება და უგულუბელყოფა ასეთ წარწერებში შეუძლებელი იყო. ეს თანამდებობა ამირთა-ამირობაზე დიდი იყო. მაშასადამე, სინამდვილესთან უფრო ახლო ვიქნებით, თუ დავასკვნით, რომ რუსი უფლისწულის დროს დაწინაურებული აბულასანი, ამირთა-ამირობის გარდა, ერისთავთ-ერისთავი, მექურქლეთუხუცესი და რუისთავისა და შვიდი მთეულეთის პატრონია. რუსი უფლისწულის განდევნის შემდეგ და უფრო მიკაელ პატრიარქის, ვაზირთა-ვაზირის, გარდაცვალების შემდეგ (რაც 1190 წელს უნდა მომხდარიყო, რადგანაც რუსი უფლისწულის აჯანყების დროს უკვე თევდორეა პატრიარქად, ხოლო ვაზირად ისევ ანტონ გლონისთავის ძე) ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა იქმნებოდა აბულასანის ვაზირობიდან გადაყენებისათვის. ლურჯი მონასტრის კარიბჭის წარწერაში აბულასანი რომ პატივით იხსენიება, შეიძლება აიხსნას იმ წარჩინებული ძღვომა-რეობით, რომელშიც იგი, ჩვენი ვარაუდით, იმყოფებოდა 1191 წლამდე. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ ამ წარწერაში იგი რუისთავის პატრონად იხსენიება.

რუსი უფლისწულის სასარგებლოდ მოწყობილ აჯანყების დამარცხებისთანავე რუისთავი, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ზაქარია მხარგრძელს უბოძეს, „მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარია მგარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფის ადგილთა, პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქი რუსთავი მოყმესა სპასპეტობისასა“...<sup>1</sup>. ეს კი მოხდა 1191 წელს. მაშასადამე, აბულასანი 1190 წლამდე უნდა მოხსენებულიყო იმ პატივით, როგორც მოხსენებულია ლურჯი მონასტრის წარწერაში. მექურქლეთუხუცესობა მას დაუკარგავს 1190 წლის წინა წლებში ან, შესაძლებელია,

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 95.

ამ წლის დასაწყისში, როცა მიქაელ პატრიარქი, პირველი ვაზირი, გარდაიცვალა.

როგორც ჩანს. ამ დროს დაზარალებულა თანამდებობის მხრივ აბულასანის ძმა ბასილიც. იგი ამ ლურჯი მონასტრის წარწერაში თავის თავს იხსენიებს ქართლის მთავარეპისკოპოს ყოფილად. საფიქრებელია, რომ მიქაელ პატრიარქის გარდაცვალებისთანავე თევდორეს პატრიარქობის დასაწყისშივე დაზარალდა ბასილიც. ეს ბასილი ალბათ ნიკოლოზ გულაბერის ძის მოწინააღმდეგე საეკლესიო მოღვაწე იყო, მიქაელის მხარეზე იბრძოდა და მიქაელის გარდაცვალების შემდეგ მთავარ ეპისკოპოსობა დაჰკარგა. აი, ყოველივე ის, რის თქმაც შეიძლება ქართული წყაროების საშუალებით აბულასანის შესახებ. სხვა წყარო კი, როგორც აღნიშნული იყო. აბულასანის შესახებ არც ერთ ენაზე მეცნიერებას არ მოეპოვება და არც ამხ. ერემიანს აქვს.

თუ წყაროების უტყუარი ჩვენება ასეთია, მაშინ რა აქვს საერთო ქართველ დიდებულს აბულასანს იობის ძეს ამირ კურდ ვარქანის ძე არწრუნისთან, მაჰკანაბერდისა და ახპატის პატრონთან. ჩვენი აზრით, ამ ორ ისტორიულ საკუთარ სახელწოდებებს შორის არაფერი საერთო არ შეიძლება იყოს, გარდა იმისა, რომ ეს ორი სხვადასხვა პირი, ერთი ქართველი, მეორე სომეხი, ორივე XII საუკუნის ფერდალურ საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრობენ. ამირ-კურდ არწრუნი სომხეთის გარკვეული პროვინციის პატრონია, მაგრამ, რადგანაც მაშინ სომხეთის სახელმწიფო არ არსებობდა, მისი სამშობლო საქართველოს ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილთაგანი იყო. მაგრამ, თუ ეს ასეა, საინტერესოა, მაინც რატომ ფიქრობს ანხ. ს. ერემიანი, რომ აბულასანი არის სომეხი დიდებული ამირ-კურდ არწრუნი. ვნახოთ, რას წარმოადგენს საამისო არგუმენტაცია.

როდესაც პროფ. ერემიანს ლურჯი მონასტრის და ანდრია მოციქულის ხატის წარწერებმა აუწყეს, რომ აბულასანის მამას იობი ეწოდებოდა, ხოლო ამირ კურდ არწრუნის მამას, სომხური ძეგლების მიხედვით, ვაჰრამი, გამოსავალი მან ასეთი იპოვა: «В статье «Арцруниды Махканаберда» Мы указываем, что отец Абул-Асана (т. е. Амир-Курда Арцруни) его «Звенишва ერემიანისა») и Басили, «благодорный Иов», идентичен с Вохрамом армянских источников. «Иов» должно-быть календарное имя Вахрама, явление обычное для указанной эпохи»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Научные труды Ереванского гос. университета им. В. М. Молотова, 1946. XXIII, 416.

ასეთი საბუთიანობით ერემიანი სრულიად მარტივად წყვეტს ისტორიულ პიროვნებათა ვინაობის საკითხს და, თავისთავად ცხადია, იგი რასაც მოისურვებს იმას „დამტკიცებს“. ამხ. ს. ერემიანს ისეთი ფორმულა აქვს, რომლის ძალით XII საუკუნის მოქალაქის გასომხება და გაქართველება შეიძლება. ეს ფორმულა გახლავთ იმ დროს არსებული საეკლესიო ტიბიკონის სხვაობა. როგორც ცნობილია, სომხების ტიბიკონი განსხვავდებოდა „მართლმადიდებლური“ ბერძნული ტიბიკონისაგან. საქართველოში ეს ბერძნული ტიბიკონი იყო დამკვიდრებული, მაგრამ გარკვეულ დრომდე და XII საუკუნეშიც არაერთ ქართველს ე. წ. გრიგორიანული ტიბიკონი მიაჩნდა თავისთვის სავალდებულოდ. ამას თავისი საფუძველი აქვს. იგი მომდინარეობს იმ ხანიდან, როცა ჩვენ საერთო საეკლესიო ტიბიკონი გვექონდა და შემდეგ ქართული და სომხური ეკლესიები გაითიშნენ. ამა თუ იმ პირის ვინაობის დადგენისას თუ წინააღმდეგობას წააწყდა, ამხ. სურენ ერემიანი ყოველგვარ საბუთის და დამტკიცების გარეშე, მოიშველიებს ტიბიკონის საკითხს. მაგალითად, აბულასანი და მისი ძმებისა ილი რომ ქართულად სწერენ, თბილისში მონასტრებს აგებენ და სხვა, ეს ყველაფერი მას ახსნილი აქვს იმით, რომ აბულასანს და მის ძმას სომხური ეკლესიისათვის უღალატნია და ბერძნულ, ე. ი. ქართულ ეკლესიას მიმბრობიანო. საამისო საბუთი მას, რატუნა უნდა, არ აქვს.

ღირს თუ არა დღეს ჩვენს მეცნიერებაში ასეთ საკითხებზე დრო და ენერგია ხარჯოს მკვლევარმა და დასკვნები აკეთოს. ეს მეორე საკითხია და ამაზე საჭირო არ არის საუბარი. ახლა ჩვენ გვინდა ერემიანის მიერ აღძრული საკითხების და „დამტკიცებული“ ფაქტების რაობა განვიხილოთ.

რატომ ფიქრობს ამხ. ერემიანი, რომ აბულასანი სომეხია. ს. ერემიანის გადმოცემით იგი ამ დასკვნამდე მიიყვანა მაჰკანაბერდელ არწრუნების შესაბამე კვლევა-ძიებამ. მაგრამ არა მარტო ერემიანია ამ აზრის. აბულასანის სომხობა საეკვო არ ყოფილა პროფ. ალ. ხახანაშვილისათვისაც. პროფ. ს. ერემიანი წერს: „В одной из наших последних работ, на основании некоторых данных, устанавливается идентичность этого Абул-Асана с известным армянским феодалом, владельцем Махканаберда и Ахпата, Амир-Курдом Арцруни, что подтверждает мнение об армянском происхождении Абул-Асана, высказанное еще в 90-х годах прошлого столетия проф. А. С. Хаханашвили. По словам последнего, „по решительному голосу Абул-Асана, од-



ნოგო იზ თიფლისსკი არმენი, იმენიტოგო კუპცა ი ბუფშეგო ი ვ რაზნიკ კრაიხ პო ტორგოვიმ პრედპრიატიამ, სოვეტ ვსელმოჯ ოპრედელილ პროსიტ იუნოჯ ცარიცუ ტამარუ... პრინატ პრედლო-ჯენიე რუსსკოგო კნიაზ<sup>1</sup>.

პროფ. ს. ერემიანი მართალია, როცა ა. ხახანაშვილის წერილის ზენოთ მოტანილ ამონაწერზე მიუთითებს. ალ. ხახანაშვილს ერთ-ერთ თავის წერილში მართლაც აქვს ასეთი მოსაზრება. მაგრამ განიხი-ლა თუ არა ამხ. ერემიანმა, თუ რა ღირებულების არის ხახანაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ აბულასანი სომეხი იყო. ა. ხახანა-შვილის აზრით, აბულასანი სომეხი ვაჭარია. საიდან მოიტანა მან ცნობა იმის შესახებ, რომ აბულასანი ვაჭარი იყო. ჩვენ გვეინტერე-სებს, თუ რას ფიქრობს ერემიანი, ნუთუ აბულასანი მართლაც ვაჭარი იყო? აქ ხომ შეუსაბამობაა ისტორიულ ცნობებსა და ხახანაშვილის განცხადებას შორის. აბულასანის სომხობა ხახანაშვილისეულ მო-საზრებაში ძირითადად იქიდან მომდინარეობს, რომ მას აბულასა-ნი ვაჭარი ჰგონია. მაგრამ რატომ ჰგონია განსვენებულ პრო-ფესორს აბულასანი ვაჭარი, სად იპოვა მან ასეთი ცნობა? XII საუკუნის ასეთი წყარო არ არსებობს. ყოველგვარი ცნობა გვაქვს ჩვენ ზემომოტანილი ქართულ წყაროებში აბულასანის სოციალუ-რი მდგომარეობის და თანამდებობის შესახებ. მაგრამ არსად იგი ვაჭრად არ იხსენიება და არც შეიძლებოდა. რომ ასეთი ყოფილი-ყო. საიდან აიღო მან: ა. ხახანაშვილმა აბულასანის სოვ-დაგრობა? ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულების იმ ნაწილში, სადაც თამარის პირველი ქორწინების შესახებ აქვს საუბარი, აბულასანის შესახებ წერს. რომ ქართველ დიდებულთა თათბირ-ზე: „წარმოუდგათ კაცი ვაჭარი ტფილისელი მეტყველი, „მე საქმ-რო უწყი შესატყვისი თამარისა“-ო“. ამ ცნობას ემყარება პროფ. ხახანაშვილი, როცა ვაჭარს უწოდებს აბულასანს, და, რად-განაც ვაჭრად ჩვენში უმეტესად სომეხები იყვნენ, ხახანაშვილმა აბულასანი სომხად წარმოიდგინა. მისაღებად მიაჩნია თუ არა ამხ. ს. ერემიანს ხახანაშვილის ან ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრება აბულასანის ვაჭრად გამოცხადების შესახებ? რატომ არ ეკამა-თება იგი პროფ. ხახანაშვილს. განა შეიძლებოდა აბულასანი ან თუგინდ ამირ-კურდი არწრუნი მაჰკანაბერდისა და ახპატის პატრო-ნი ვაჭარი ყოფილიყო? ნუთუ შესაძლებლად მიაჩნია მას რუისთა-

<sup>1</sup> Научные труды Ереванск. ун-та, დასახ. ტომი. გვ. 395.

<sup>2</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია. დ. ბაქრაძის გამოცემა, ნაწ. 1, 1885 წ., გვ. 185.

ვის და შვიდი მთელეთის პატრონი ვაქარი ყოფილიყო? ვის ეძახოდნენ XII საუკუნეში პატრონს? აბულასანი ხომ „თავადაც“ იხსენიება, თბილისის „მკვიდრადაც“. როგორ ესმოდათ XII საუკუნეში თავადი და მკვიდრი? აკად. ივანე ჯავახიშვილს ეს ტერმინები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი თავის „სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველ ნაკვეთში. „მკვიდრის“ შესახებ იგი წერს: „საქართველოში სამეფოს მემკვიდრედ, მის სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლების პატრონად მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდა „მკვიდრნი ქვეყნისანი“ ან „მკვიდრნი სამეფოსანი“ და რომელიც აგრეთვე სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მოჩანან“<sup>1</sup>. აბულასანის შესახებ თამარ მეფის ისტორიკოსი წერს: „გამოვიწინებდა მეტყველი მკვიდრთაგან ტფილისისათა, თავადი, და მეფეთ-მეფეთაგან წყალობა კელდასხმულიო“. რას ნიშნავს თავადი? ამავე მეცნიერის განმარტებით იმ დროს ის მნიშვნელობა არ ჰქონია ამ სიტყვას, როგორც მას დღეს აქვს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „თავადი“ დიდ გვარის უფროსი და თავი ყოფილა. რომ „თავადი“ თავდაპირველად წოდებრივი ღირსება არ იყო და თავადის ყოველი მახლობელი ნათესავიც კი „თავადად“ არ ითვლებოდა, არანედ მხოლოდ თვითონ ის, პირადად,—ეს XVIII საუკუნემდე კარგად ყოფილა შემონახული „დიდებული თავადის“ ცნებაში... „დიდებული თავადი“ მთელ საგვარეულოში მხოლოდ „ერთი თავი“ ყოფილა... როგორც თითოეულ ქალაქში, ისევე სახელმწიფოშიც მეფის შემდგომ პირველი ადგილი მცხოვრებთა შორის „თავადთ“ ეკუთვნოდათ“<sup>2</sup>, როგორც დიდი გვარეულობის თავს და მეთაურს. განსვენებული აკადემიკოსი ბოლოს შენიშნავს: „დიდებულნი“, „წარჩინებულნი“ და „თავადნი“ ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი, ეამთა აღმწერელის სიტყვით, „თავნი და პირნი ქვეყნისანი იყვნენ“<sup>3</sup>. აი, ვინ არის აბულასანი—მკვიდრი თბილისისა, თავადი მთელი საგვარეულოსო, რუისთავისა და შვიდი მთელეთის პატრონი. ერისთავთ-ერისთავი და არა ვაქარი. მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობის თავისებურად გადაკეთებამ დიდი ფეოდალური გვარის წარმომადგენელი ვაქრად წარმოგვიდგინა და ამ ნიადაგ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვეთი პირველი: „მკვიდრის შესახებ“, იხ. გვ. 48—50.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>3</sup> იქვე.

ზე პროფ. ალ. ხახანაშვილმა იგი სომხადაც გამოაცხადა. მცდარა და უსაფუძვლოა პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება.

მაგრამ პროფ. ს. ერემიანი ხახანაშვილის მიერ გამოთქმულ აზრის თავის საყრდენს უძებნის. როგორც ზემოთ დავინახეთ, ერემიანი თავის ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია ის ფაქტი, რომ აბულასანს აბულასანი ჰქვია სახელად, არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ აბულასანის მამას იობი ეწოდება. იგი მისთვის მაინც ამიერიდან ვაჭაშის ძე არწრუნი არის, და აი რატომ: ამხ. ს. ერემიანი თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „Арцруниды Махканаберда“ — დამტკიცებული აქვს, რომ ქალაქ თბილისის ამირობასთან დაკავშირებულია მექურჭლეთუხუცესის ნაცვალის თანამდებობა. ვისაც, მაშასადამე, თბილისის ამირობა აქვს, იგი იმავე დროს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, მექურჭლეთუხუცესის ნაცვალის უნდა იყოს. ეს თანამდებობა კი საქართველოში არწრუნების სამემკვიდრეო თანამდებობა ყოფილა. იგი წერს: „...нами установлено, что эт Ог Амир-Курд упоминается историком Тамары сперва, как амир Картали и Тбилиси и нацвали мечурчлет-ухуцеси (т. е. заместитель министра финансов), а затем как „амира Картали и Тбилиси и мечурчлет-ухуцеси“ и носит имя Абуласана“ (იხ. გვ. 399). ჩვენ აქ კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ არსად აბულასანი მექურჭლეთუხუცესის ნაცვალად (ფინანსთა მინისტრის მოადგილედ) არაა მოხსენიებული. მაგრამ ჩვენ ანალოგიურ გამოთქმას ვპოულობთ ცნობილი ქართველი მეკლევიარის პავლე ინგოროყვას ნაშრომში — „რუსთველიანა“. პავლე ინგოროყვამ ეს წიგნი 1926 წელს დაბეჭდა, ე. ი. 20 წლით ადრე, ვინემ ამხ. ერემიანის წერილი დაიბეჭდებოდა. ამ თხზულებაში პავლე ინგოროყვა წერს: „...საი სტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ თამარის მეფობის პირველ წლებში (1184—1187) აბულასან ყოფილა სამეფო დარბაზის წევრად და „ამირათა-ამირად“ („ამირთა ამირა“, ანუ, რაც იგივეა — „ნაცვალის მექურჭლეთუხუცესისა“, ითვლებოდა ფინანსთა მინისტრის მოადგილედ); ხოლო შემდეგ წლებში (1189—1190) იგი კიდევ უფრო აწინაღობებულა და მიუღია ვაზირის თანამდებობა — „მექურჭლეთუხუცესობა“ (ე. ი. ფინანსთა მინისტრობა)<sup>1</sup>. პავლე ინგოროყვა აბულასანის ვინაობის საკითხს სხვა მიზანდასახულობით იხილავდა და იგი სავსებით სამართლიანად თელის მას ქართველ დიდებულად, რომელსაც ერთ დროს რუისთავი ჰქონდა ჩაბარებული. ჩვენ არც

<sup>1</sup> პავლე ინგოროყვა, რუსთველიანა. 1926 წ., გვ. 169—170.

ციტ რა დამოკიდებულებაში იმყოფება პავლე ინგოროყვას ზემომოტანილ მოსაზრებასთან ს. ერემიანის დებულება, რომ თბილისის ამირა იმავე დროს მექურქლეთუხუცესის ნაცვალცი იყო, მაგრამ აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც ამ დებულებას აქვს საერთო რაიმე სინამდვილესთან. აბულასანი არსად მექურქლეთუხუცესის ნაცვალად მოხსენებული არაა.

„ამირასა“ და „ამირათა-ამირას“ თანამდებობის შესახებაც აკად. ივ. ჯავახიშვილს საინტერესო ცნობები აქვს მოძიებული. იგი წერს: „ამირათა-ამირა უმთავრესად რასაკვირველია ქალაქის უფროსი იყო. მერმინდელი საბუთები გვიჩვენებენ, რომ ამირათა-ამირა ქუთაისშიც იყო, მაშასადამე, ეს ხელისუფლება მარტო საქართველოს დედაქალაქში კი არ ყოფილა დაწესებული, არამედ იგი დიდმნიშვნელოვანი ქალაქების უფროსთა ერთგვარ საზოგადო სახელს წარმოადგენდა. ამ აზრს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ თამარ მეფემ, რაკი 1206 წ. ქალ. კარი ქართველთა მიერ დაპყრობილ იქმნა, „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე“ და მასაც უბოძა ამირათა-ამირობა“-ო<sup>1</sup>. ამავე მეცნიერს იქვე განპარტებული აქვს, რომ საქართველოში: „ქალაქის ამირანიც იყვნენ, მაგრამ ისინი, როგორც უკვე დავრწმუნდით, მექურქლეთუხუცესის ქვეშეთი მოხელენი ყოფილან“<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, არსად არავის არ დაუმტკიცებია, რომ მექურქლეთუხუცესის ნაცვალცი და ამირათა-ამირობა ერთი და იგივე თანამდებობა იყო და მემკვიდრეობით გადადიოდა არწრუნების გვარში.

მექურქლეთუხუცესსაც ქალაქის ამირები ექვემდებარებოდნენ. ყველა ზემოაღნიშნულის შემდეგ რა ძალა აქვს ამხ. ერემიანის არგუმენტაციას აბულასანის სომხური წარმოშობის შესახებ?

აბულასანის არც სახელი, არც მამის სახელი, არც თანამდებობა და არც მამულის მფლობელობა არავითარ კავშირში არაა ამირკურდ ვაჰრამის ძე არწრუნისთან. აბულასანი არსად მექურქლეთუხუცესის ნაცვალად მოხსენებული არაა, მაგრამ საინტერესოა. რატომ ფიქრობს ამხ. ს. ერემიანი, რომ აბულასანი მექურქლეთუხუცესის ნაცვალცი იყო? როგორც აღნიშნული გვქონდა, პროფ. ერემიანს საქმე იაე აქვს წარმოდგენილი, რომ, როცა რუსი უფლისწული საქართველოდან გააძევეს, აბულასანმა თითქოს თამარისათვის მეორე ქმრის გამუჰამავლება მოიწადინა, მაგრამ ველარ მოახერხა და აბულასანის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II. ნაკვ. პირველი. გვ. 215.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 215. ამირების შესახებ კი 213—215. მექურქლეთუხუცესის ნაცვალის შესახებ იხ. გვ. 167—169.

სურვილის მიუხედავად, დავით სოსლანი იქნა არჩეული. ამის შემდეგ აბულასანი დროს უცდიდა თურმე და აი, როცა კონსტანტინოპოლიდან უფლისწული კარნუ-ქალაქში ჩავიდა, იქ, კარნუ-ქალაქში, თავი ამოჰყო აბულასანმაც. ერემიანი წერს: „Здесь оказался Абул-Асан, „нащвал мечурчлет-ухудеси, варвар по вере и дьявол по поведению“ который был послан сюда „по какому то делу“, и когда он прибыл в Карну-калак, здесь „сошлись вместе русский и он“... (გვ. 413). ს. ერემიანი მოტანილ რუსულ ტექსტში ვითომც ქართველი ისტორიკოსის დედნის სიზუსტეს იცავს და ფაქტიურად ასწორებს მას, ისე გადმოგვცენს ტექსტის შინაარსს, მაგრამ გვაკვირვებს რატომ ჭირდება ამხ. ერემიანს ქართული ტექსტის თვითნებური შესწორება? მოვიტანოთ აქვე ეს ტექსტი: „...ოდესმე მოესნა, ვითარმედ რუსი იგი... წამოსრულა კონსტანტინოპოლით და მოსულა ქუფყანად ეზინკისად, კარნუ-ქალაქისად. მას ეამსა ნაცვალი მექურპლეთა უხუცესისაჲსჯულითა ბარბაროზი და ქცევით ტარტაროზი... მოციქულად წარივლინა საქმისა რაისათვისნი და მისსა კარნუ-ქალაქსა მისცლასა შინა, შეიყარნეს რუსი და იგი ერთად. მიუდგეს ინიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ...“<sup>1</sup>.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს სრულებით არ ჰყავს მოხსენებული ის პირი, რომელიც კარნუ-ქალაქში რუს უფლისწულთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და არც აქვს ეს ამბავი მოთხრობილი დაწვრილებით. საიდან მოაქვს ერემიანს, რომ ეს მექურპლეთუხუცესის ნაცვალი აბულასანი იყო? საკვირველია, რადგანაც არავითარი საამისო წყარო ერემიანს არ აქვს. მხოლოდ პავლე ინგოროყვას „რუსთველიანში“ ერთგან აღნიშნული აქვს: „გიორგი რუსის განდევნის შემდეგ საქართველოს დიდებულთა ერთმა წრემ, როგორც ცნობილია, მოახდინა აჯანყება გიორგის ხელახლა გასანეტებლად. როგორც ირკვევა, ამ აჯანყების მეთაურიც იგივე აბულასანი ყოფილა. თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მექურპლეთა უხუცესის ნაცვალი, ე. ი. აბულასანი, წარგზავნილი იყო ელჩად კარნუ-ქალაქის და ეზინკის სამფლობელოში; კარნუ-ქალაქში იგი შეხვედრია კონსტანტინოპოლიდან გადმოხვეწილს მეფეყოფილს გიორგის, და ამ შეთხვევის დროს გადაუწყვეტიათ აჯანყების მოწყობა“<sup>2</sup>. რადგანაც არავითარი წყარო არ ჩანდა ისეთი, სადაც აბულასანი მექურპლეთუხუცესის ნაცვლად იყოს მოხ-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 90.

<sup>2</sup> პავლე ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 170.

სენებელი, ჩვენ პირადად მივმართეთ პავლე ინგოროყვას, თუ საიდან გამოჰყავდა მას ასეთი დასკვნა. მან განაცხადა, რომ დავით გარეჯელის ცხოვრებაში იმ მხარის მფლობელი, საიდანაც შემდეგ აბულასანი იყო, წოდებულია „ბარბაროსად“ და, როგორც ჩანს, ამ გვარს ეს ეპითეტი შერჩა და თამარმეფის ისტორიკოსი იმ დროს ამ ყველასათვის ცნობილ ეპითეტით აბულასანს იხსენიებდნო. ჩვენ არ ვიციტ პროფ. ერემიანი რომელი ძეგლის ცნობას ეყრდნობა, როცა აბულასანს ფინანსთა მინისტრის ნაცვალს ეძახის, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი ცნობა არსად აღმოჩენილი არაა, თუმცა ასეთი ისტორიული დასაყრდენის აღმოჩენის შემდეგაც აბულასანს არწრუნის გვარის წარმომადგენლად ვერ მივიჩნევთ.

თუკი ს. ერემიანი პავლე ინგოროყვას მოსაზრებას იმეორებდა, სასურველი იქნებოდა იმის ჩვენებაც, თუ რატომ მიაჩნია მას მისაღებად ეს დებულება.

სრულიად დაუსაბუთებელია აგრეთვე ს. ერემიანის მტკიცება იმის შესახებ, რომ აბულასანმა მეორედ მოინდომა თამარ მეფის გათხოვება მუტაფრადინზეო: „Амир Курд Абул-Асан и его сторонники лишились при дворе прежнего почета и влияния (ე. ი. გიორგი რუსი უფლისწულის გაძევების შემდეგ). Последний его ставка, предложить вторым мужем Тамары сына Насреддина, сельджуского эмира Карну-калака Музафсрэддина, внука известного Салдуха, потерпела крах“ (იხ. გვ. 413).

იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდნენ აბულასანი ან ამირ-ქურდი არწრუნი თამარ მეფის მეორედ გათხოვების საკითხში, არსად არავითარი ცნობა არაა შემონახული.

ასეთივე დაუსაბუთებელია ს. ერემიანის დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს მეფის გიორგი III-ის დროს აბულასანი მოხსენებულა „ერისთავთ-ერისთავად, ამირთა-ამირად ქართლისა და თბილისისა და მექურკლეთუხუცესად“. ერემიანი წერს: „Саргис Долгорукий добился того, что Тамара вернула опального владельца Махканаберда и Ахпата, князя Амир-Курда Арцруни, который при Георгии III был в должности «эристава-эриставов и амира Картли и Тбилиси и мечурчлетухуцеси“ (იხ. გვ. 399). აქ ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ქართული წყაროდან მოაქვს ს. ერემიანს ეს ცნობა, მაგრამ ასეთი წყარო არ არსებობს, სადაც აბულასანი გიორგი III დროს ასეთი პატივით იხსენიებოდეს. სომხურ წყაროში მაჰკანაბერდის მფლობელი ქურდი მოხსენებული არის, როგორც თბილისის ამირთა მეზაური გიორგი III დროს, ორბელთა განდგომილების წლებში



და მხარგრძელებიც სომხები არიან. სარგის მხარგრძელის შესახებ იგი წერს: „...крупный армянский феодал „амир спасалар армяня и грузин“ Саргис Великий, приобревший своим мечом славу отважного воина и полководца, за что грузины его называли „Долгоруким“ („Мхарგრძელი“) (იხ. გვ. 398).

ამირსპასალარი სამხედრო მინისტრს ეწოდებოდა ძველ ქართულ სახელმწიფოში. ამდენად სარგის მხარგრძელი საქართველოს სამხედრო მინისტრი იყო და არა სომხებისა და ქართველების ამირსპასალარი. რა ცნობები გვაქვს ჩვენ მხარგრძელების და თმოგველების შესახებ? ამ გვარის, მხარგრძელის შესახებ არსებობს ქართული ცნობა, რომ ისინი იყვნენ ქურთები, რომელთაც მიღებული ჰქონდათ სომეხური ტიბიკონის ქრისტიანობა. მთელ თავის გამოკვლევაში პროფ. ს. ერემიანი მხარგრძელის ნაცვლად წერს „დოღგორუქს“ ისე, რომ ვითომც ამ გვარს ატარებდნენ XII საუკუნის ხსენებული მოღვაწეები. ერთგან ზემომოტანილ რექსტში აქვს ფრჩხილებში აღნიშნული, რომ მათ მხოლოდ ქართველებმა უწოდეს მხარგრძელებიო. ისე კი, ს. ერემიანის აზრით, ესენი, ე. ი. დოღგორუქები, ზახარიდები არიან „Дом Захаридов, представителем которого был Саргис Долгорукий...“. ჩვენ გვინტერესებს რას ეძახოდნენ თვით მხარგრძელები თავისთავს, საიდან მოიტანა ამხ. ერემიანმა ეს ცნობა? ახსნა თუ არა მან, რატომ იხსენიებიან ამ გვარის წარმომადგენლები ძველ ქართულ ძეგლებში მხარგრძელებად? თვით ამ გვარის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი ქართული საბუთი დღესაც დაცულია. მხარგრძელები ხომ თავისი ხელით აწერდნენ მათ მიერ შემუშავებულ ვაჭანის ქვაბთა განგებას: „მე მქარგრძელი ვამტკიცებ“ ანდა, „მე მქარგრძელსა დამინიშნავს“<sup>1</sup>. აქ ხომ გვარ-სახელად არის ეს სიტყვა მოცემული. ასე რომ, იგი ქართველების მიერ შერქმეული კი არაა, ძველიდანვე მომდინარე გვარ-სახელია. აღსანიშნავია, რომ სომეხურ ენაზე არ არსებობს ისეთი საბუთი, სადაც ამ გვარის წარმომადგენელი თავის თავს „ზახარიდს“ ეძახდეს. საიდან იცის ერემიანმა, რომ პირველად სარგის ამირსპასალარს უწოდეს ქართველებმა „მხარგრძელი“? ცხადია, არსაიდან. ეს მათი გვარის მამა-პაპეული სახელი ჩანს და, როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის დასაწყისში ამათივე შთამომავლობის კაცს გვარ-სახელად აქვს იგი ვაჭანის ცნობილ ძეგლში. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ჩვენ ეს შეგვიძლია ვთქვათ სიტყვა „მხარგრძელის“ შესახებ.

<sup>1</sup> ვაჭანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, გვ. 55.



XII--XIII საუკუნეების ქართული წყაროებით მხარგრძელების წინაპრები ქურთებად არიან დასახელებულნი. თუ ისინი მოდგმით ქურთები იყვნენ, მაშინ მათ სომხურ წარმოშობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სომხური სარწმუნოება, მართალია, ბოლოს და ბოლოს გაასომხებდა, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ყველა მხარგრძელის შესახებ. შემთხვევითი არაა, როცა თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი მხარგრძელების შესახებ წერს: „მოიყვანეს სარგის ამირსპასალარისა მვარგრძელისა ორნი ძენი, ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მკნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთუის დიდად შეყუარებულნი თუით თამარის პაპათა და მამათაგანცა... ესე კაცნი ღირსნი იყუნეს კაცობისანი: დაღაცა თუ სჯულითა სომეხნი იყუნეს, გარნა ყოვლითურთ მართლმადიდებლობისა მოსავნი. ესე ივანე წერილთა ზედმიწევნითა სწავლული იყო, რომლისათუისცა გულისგმა ჰყო სიმრუდე სჯულისა სომეხთასა, ნათელი ილო და იქმნა ქეშმარიტ ქრისტიანე<sup>1</sup>. აქ ქართველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხარგრძელთა გვარი თამარის მამა-პაპათა ერთგული იყო. თუ ამ სიტყვებში რაიმე შინაარსია ჩაქსოვილი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხარგრძელი დავით აღმაშენებლის დროიდან მაინც საქართველოს სახელმწიფოში ცნობილი მოღვაწე გვარია. ამას გარდა, აქ ქართველი ისტორიკოსი მხარგრძელთა სომხობაზე კი არ გვითითებს, არამედ მხარგრძელთა სომხურ სარწმუნოებაზე „სჯულითა სომეხნი იყუნეს“, ხოლო საქმით „მართლმადიდებლობისა მოსავნიო“. აქ, რომ სჯული საეკლესიო ტიბიკონს აღნიშნავს, ეს იქედანაც ცხადია, რომ მოტანილ ტექსტის ქვემო წინადადებაშივე აღნიშნულია, რომ ივანე მხარგრძელმა დაუტყვევა სჯული ანუ კანონი სომეხთაო. და თუ ასეთი გზა აირჩიეს არასომხური წარმოშობის მხარგრძელებმა— თმოგველებმა და სხვებმა, მაშინ სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა იქნან ისინი მიჩნეული სომეხებად. სარწმუნოება თუ განსაზღვრავს ყველაფერს, მაშინ რატომ არის, რომ თვით სურენ ერემიანის მიერ მოძიებული ცნობით აბულასანის მოდგმა, რომელმაც სომხური სარწმუნოება დატოვა, ისევ სომხად ითვლება.

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 13. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. გიორგი წერეთლის მიერ აღმოჩენილი მასალებით ქურთებს ანუ ქურდებს ჩვენი მეზობელი შაჰმადიანები ქართველებს ეძახდნენ თურმე. იხ. არაბულ-ქართული ლექსიკონი. ამ საკითხზე ალბათ ამ მეცნიერის საგანგებო გამოკვლევა გამოკვეყნდება და მაშინ მხარგრძელთა ქურთობასაც სხვა შინაარსი აღმოუჩნდება.

მაგრამ ამით არ მთავრდება ამხ. ერემიანის მიერ ქართველი მოღვაწეების უცხო მოღვმის ადამიანებად გამოცხადება: იგი ჩვენს ისტორიაში ცნობილ ყუთლუ-არსლანს ყიფჩაყად მიიჩნევს. ჩვენ არ ვიცით, რა საფუძველი აქვს მას საამისოდ, ან რაში სჭირდება პროფ. ერემიანს ამაზე საუბარი. თავისი წერილის 398 გვერდზე იგი წერს: „Приндлизительно в это же время (около 1185 года) было ликвидировано выступление влиятельного везира, мечур-члст-ухуцеси, кипчака по происхождению, Кутлу-Арслана“. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ასეთი წყარო ჯერ აღმოჩენილი არაა, სადაც ყუთლუ-არსლანი ყიფჩაყად იყოს გამოცხადებული. მაშინ რა საფუძველზე აცხადებს ასე კატეგორიულად ანხ. ერემიანი ამას. იგი ცდება, თუ ფიქრობს, რომ სახელს—„ყუთლუ-არსლანს“ პირველად მან მიაქცია ყურადღება.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავისი „სამართლის ისტორიის“ მეორე ნაკვეთში, იქ, სადაც ყუთლუ-არსლანის ცნობილ პოლიტიკურ გამოსვლაზე აქვს საუბარი, სხვათაშორის ყუთლუ-არსლანის ვინაობასაც შეეხა და საამისოდ არსებული ცნობების ანალიზი მოგვცა. თამარის ისტორიკოსის მიერ მოხსენებულ ყუთლუ-არსლანის გარდა, იგი ჩვენს ძეგლებში პოულობს კიდევ ორ ყუთლუ-არსლანს: ერთს—კორიდეთის სახარების მინაწერში და მეორეს—რკონის ცნობილ სიგელში. მეცნიერი დაასკვნის: „ზემომოყვანილი ორი, ყუთლუ-არსლანის სახელის შემცველი ცნობა, იმ მხრივ არის მაინც საყურადღებო, რომ ცხადყოფს, თუ რამდენად მცდარი იქნებოდა მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუთლუ-არსლანის ეროვნებაზე (მაგ., თურქობაზე, გინდ სპარსელობაზე), ან სარწმუნოებაზე (თუნდ მაჰმადიანობაზე) რაიმე დაგვესკვნა მხოლოდ იმისდა მიუხედავად, რომ სახელი ყუთლუ-არსლანი უეჭველია თურქული „ყუთლუ-არსლანი-საგან“ არის წარმომდგარი და თურქულად ბედნიერ ლომსა ჰნიშნავს. ამგვარად, ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესის ვინაობის გამოსარკვევად ჯერჯერობით თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობის გარდა სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება“<sup>1</sup>. წყაროში კი იგი რაკი „ბიქად“ იხსენიება, განსვენებული მეცნიერი დაასკვნის: „ბიქი ძველ ქართულში უკანონო შვილს, ბუშს, ნაბიქვარს ნიშნავდა... ეს გარემოება ცხადყოფს, რომ შეუძლებელია ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანი აზნაური ყოფილიყო, თუნდაც, რომ მას მამა დიდგვარიანი აზნაური ჰყოლოდა... ამავე

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 151.

ნაბიკერობაზე უნდა იყოს დამყარებული ისტორიკოსისაგან ნახმარი გამონათქვამი და შედარება, რომ ყუთლუ-არსლანმა ჯორის მსგავსად ორი ბუნება გამოიჩინა. ცნობილია, რომ ჯორი ვირისა და ცხენის ნაშობს წარმოადგენს და ვირისა და ცხენის თვისებებიც აბაღია. ვირი ისტორიკოსს ყუთლუ-არსლანის პიროვნებაში წარმოშობილობის უფრო დაბალი წოდებრიობის სიმბოლოდ გამოუყენებია, ცხენი მისი წარმოშობილობის უფრო მაღალი წოდებრიობის სიმბოლოდ<sup>1</sup>. ეს ვრცელი ამონაწერი განსვენებული მეცნიერის ნაშრომიდან იმისათვის მოვიტანეთ, რომ ნათელი გაგვეხადა რაოდენ არამეცნიერული იქნებოდა მსჯელობა ყუთლუ-არსლანის ყიფჩაყობის შესახებ.

საკუთარ სახელებით რომ აღამიანის ეროვნული წარმომავლობა ვამტკიცოთ, არც ერთი ალექსანდრე. ნიკოლოზი, დავითი და სხვ. სომეხი, რუსი და ქართველი არ იქნება, თამარიც ებრაელი გამოვა.

ამხ. სურენ ერემიანი ისე გატაცებულია ქართველ მოღვაწეთა არაქართველად გამოცხადებით, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსიც ახპატელ ეპისკოპოსად ბარსელად სურს გაგვაცნოს. რა საფუძველზე წამოეჭრა ერემიანს ასეთი ექვი? მას შენდევ, რაც მან აბულასანის ამირკურდ-არწრუნობა „დაამტკიცა“, თავისთავად ცხადია, აბულასანის ძმა, ბასილი ქართლის მთავარ ეპისკოპოსს ყოფილიც, სომეხი ბარსელი იქნებოდა. და, რაკი სომხურ წყაროებით ახპატის ეპისკოპოსს ბარსელი ერქვა, ეს ბარსელი და აბულასანის ძმა ბასილი, ს. ერემიანის მიხედვით, ერთი და იგივე პიროვნება იქნებოდა. არის თუ არა ეს რაიმე ძეგლით დადასტურებული, ამაზე. რა თქმა უნდა, ს. ერემიანს მასალა არ მოაქვს. აქ იგი იშველიებს მხოლოდ იმას, რომ ბასილი „ქართლის მთავარ ეპისკოპოსს ყოფილი“ იმიტომ ითვლება ყოფილად, რომ მან სომხური სარწმუნოება დატოვა ალბათ და მართლმადიდებლობაში გადავიდაო. და რადგანაც აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი შესაძლებელია ბასილი ეზოსმოძღვარი იყოსო, ერემიანი იქპარის და ცდილობს ახპატელი ბარსელი ამ ბასილ ეზოსმოძღვრადაც მიიჩნიოს. იგი წერს: „Возникает вопрос—не идентичен ли этот Басили с Василии Эзосмодзгвари, автором „Истории царичы цариг Тамары“ (გვ. 405). ამხ. ერემიანის გამოკვლევაში სამწუხაროდ ის მოვლენა უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ მოტანილი ფაქტების მისეული შერჩევა და „მტკიცება“ რო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 159—160.

გორდაც თანმიმდევრული მოჩანს. შეიძლება თუ არა ბასილ „ქართლის მთავარ ეპისკოპოს ყოფილი“ ის ბასილ ეზოსმოდღვარი იყოს, რომელმაც თამარ მეფის ისტორია დაწერა. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან ყოველად შეუძლებელია ასეთი დასკვნის გამოტანა. ეზოსმოდღვრობა სულ სხვა თანამდებობაა და მთავარ ეპისკოპოსობა სხვა. ამას გარდა ბასილი, აბულასანის ძმა, იმას არ დაწერდა აბულასანსა და რუს უფლისწულზე, რასაც თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს. ნუთუ ამას დიდი დაკვირვება უნდა, რომ ის პიროვნება, რომელიც ლურჯი მონასტრის წარწერაში აბულასანს უსაყვარლეს ძმად იხსენიებს, ისტორიას წერდეს და ამ ძმის მოღვაწეობას ასე აუგად უნდა იხსენიებდეს? ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბასილ აბულასანის ძმას საერთო არაფერი აქვს ახპატის ბარსეღთან, ისევე როგორც ამირ-კურდ არწრუნისთან, და ბასილის ბარსეღობია საკითხი თავისთავად უნდა მოიხსნას. რაც შეეხება თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ვინაობას, ეს საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. აკად. ივ. ჯაფახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ თხზულების ავტორი შესაძლებელია ის ბასილ ეზოსმოდღვარი იყოს, რომელიც თვით ტექსტში იხსენიება. ხოლო ეზოსმოდღვრობა ეპისკოპოსობას არ გულისხმობს, ასეთი თანამდებობა ერისკაცსაც შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ ყველაფერ ამას ბარსეღთან არავითარი დამოკიდებულება არ უჩანს.

რუსი უფლისწულის თავგადასავალის თხრობის დროს ამხ. ერემიანის კონცეფცია ასეთია: რუსი უფლისწული საქართველოს სამეფო სასახლეში სომეხმა დიდებულებმა შემოიყვანეს. მაგრამ, რადგანაც მას დიდი სამხედრო ნიჭი აღმოაჩნდა, საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულმა სარდლებმა „დოღგორუკებმა“ (ისევ სომეხებმა) იმის შიშით, რომ სამხედრო საქმეში დიდი ნიჭის მქონე რუსი უფლისწული სომეხი სარდლების მნიშვნელობას დასცემდა, რუსი უფლისწული გააძევეს. სომეხების მეორე დასმა მოინდომა გაძევებული უფლისწულის ჭელახლა დაბრუნება სასახლეში და წინანდელ უფლებებში მისი აღდგენა. ამაში ქართველი დადიანიც მონაწილეობდა. მაგრამ „დოღგორუკების“ სომეხური დასი ენერგიულად შეებრძოლა და დაამარცხა რუსი უფლისწულის მომხრეები. ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან გაძევებულ რუს უფლისწულს სომხეთში მაინც მეფედ თვლიდნენ და წარწერებში საქართველოს მეფედ ყველგან მას იხსენიებდნენ. ხოლო შემდეგ, რაც „დოღგორუკები“ შეებრძოლნენ რუსი უფლისწულის მომხრეებს, სომხეთში თავი დაანებეს გიორგი უფლისწულის მეფედ მოხსენიებას, მაგრამ სომხეთმა დავით სოსლანი მაინც არ მიიჩნია მეფედ და

ამ ტიტულით იქ ჯერ მარტო თამარს, ხოლო შემდეგ თამარის შვილს—ლაშა გიორგის იხსენიებდნენო. გარდაცვლილ გიორგი რუსს იგივე სომეხი აბულასანი და მისი ძმა ბასილი თბილისში ტაძარს უკებენ და მას იქ ასაფლავებენ. ასე რომ, დღესაც თბილისის ლურჯ მონასტერში ეგულვება ს. ერემიანს რუსი უფლისწულის საფლავი. პროფ ს. ერემიანისავე მტკიცებით, ქართულ წყაროებს კი საშინლად სძაგთ აბულასანი და რუსი უფლისწულიც. არსად მას სახელითაც კი არ იხსენიებენ. ასეთივე მტრულ დამოკიდებულებაში არიან ანდრია ბოგოლუბსკის ოჯახის მიმართ ოსები: „Заканчивая рассмотрение фактов, относящихся к личности Юрия Боголюбского, приходим к выводу, что и в далекой Грузии против него выступили те силы, которые не давали ему покоя на родине... В далекой Руси в поместьях Боголюбове пал от руки осетина Анбала Андрей Боголюбский, а здесь, при дворе Тамары такой же удел готовили те же осетины, сторонники Всеволода Большое Гнездо. сыну его брата Юрию, уличивших его в пороках и приведших в конце концов к изгнанию его из Грузии и к его гибели“ (გვ. 420). ს. ერემიანი თავის ამავე გამოკვლევაში, ცოტა ზემოთ, სულ სხვანაირად გვიხსნის რუსი უფლისწულის გაძევების მიზეზებს: „Изгнание Георгия русского из Грузии случилось в 1188 году. Несомненно это произошло под давлением Русуданы и братьев Захарии и Ивана Долгоруких, которые видя воинские доблести русского опасались потерять свое влияние при дворе. Вкупе с Долгоруким Русудана не замедлила привести в исполнение свой план...“ (გვ. 413), როგორც ჩანს ამ მოსაზრებების სრული შეუსაბამობა მას შემჩნეველი დარჩენია. ჩვენთვის ნათელი არაა, თუ რა მიზანდასახულება აქვს ს. ერემიანის ამ კონცეფციას.

ს. ერემიანის მიერ დამოწმებული მასალიდან ჩვენ განსახილველი გვჩანს სომხეთში რუსი უფლისწულის მეფედ მოხსენიების დამამტკიცებელი წარწერები იმ დროისა, როცა გიორგი საქართველოდან გაძევებული იპოფეობდა საბერძნეთში. დასაჯერებელია თუ არა, რომ სომხეთში 1191 წლამდე თვლიდნენ გიორგის მეფედ? რა უფლება ჰქონდა საქართველოს სამეფოს რომელიმე ქვეშევრდომს ასეთი თვითნებობისა და, რაც მთავარია, რად სჭირდებოდა ვინმეს სომხეთში ან საქართველოში განზრახ ისეთი საქმის გაკეთება, რომელშიც არავითარი აზრი და სარგებლობა, გარდა ხიფათისა; არ არსებობდა.

პროფ. ს. ერემიანს უნდა მოეხსენებოდეს, რომ საქართველოში მეფედ და უზენაეს ხელისუფლად თამარი იყო და არა მისი ქმარი. იგი ალბათ ბიზანტიის სახელმწიფოს ანალოგიით თუ განიხილავს საქართველოს მაშინდელ მოვლენებს, სადაც ტახტის მემკვიდრე ქალის ქმარი იმპერატორად ჯდებოდა და დინასტიაც ამის მიხედვით იცვლებოდა. წინამდებარე შრომის სათანადო ადგილას ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ამ საკითხს. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოში მეფედ მაშინ თამარი იყო და თამარის მეუღლეს უზენაეს ხელისუფლად არ თვლიდნენ, თუმცა მას მეფეს ეძახდნენ. ამიტომაც, რომ სომხურ ძეგლებში დავით სოსლანი მეფედ არ იხსენიება და ყველგან ჯერ თამარია მოხსენებული, ხოლო შემდეგ მისი შვილი ლაშა გიორგი. ის გარემოება, რომ სომხურ ძეგლებში დავით სოსლანი მეფედ არ მოიხსენება, შეუნიშნავს ამხ. ერემიანს და წერს კიდევ: „в армянских надписях фигурирует Тамара, а затем Георгий Лаша. Характерно, что Давид Сослан в армянских надписях ни разу не упоминается“ (გვ. 410). მაგრამ აქედან რა დასკვნა უნდა გამოიტანოს მკვლევარმა. ამხ. ს. ერემიანს რომ ეკითხოთ, საქმე ისე უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს სომხეთში რუს უფლისწულს მეფედ თვლიდნენ „В Армении повидимому, до 1191 года включительно царем признавали Георгия русского“. თამარ მეფე რაღად მიაჩნდათ? დავით სოსლანი ვითომ რატომ არ მიაჩნდათ არაფრად? ს. ერემიანის კონცეფციით ალბათ იმიტომ, რომ დავით სოსლანი ოსი იყო და რუს უფლისწულს ცოლი წაართვა, მისი კონცეფციით ხომ ოსები მოსვენებას არ აძლევენ ანდრია ბოგოლუბსკის ოჯახსა და მის წევრებს, არც რუსეთში და არც საქართველოში.

განვიხილოთ ის წარწერები, რომლის საფუძველზე ამხ. ს. ერემიანს თავისებური დასკვნები გამოაქვს. სანაინში დაცულ ერთ წარწერაში, რომელიც დათარიღებულია 1181 წლით, ვკითხულობთ: „შეფობასა ძლევაჲმოსილ გიორგისა, ამირსპასალარობასა სარგისისა და შვილებისა მისისა ზაქარია და ივანე და ქურდის ამირობასა მე ჰვე წმიდისა ამის საყუდელისა წინამძღვარმან აღვაშენე ოდესლაც არსებული ეს საყდარი დახმარებითა ამირ ქურდი-

<sup>1</sup> ს. ერემიანს ამ რამდენიმე წლის წინათ სომხურ ენაზე გამოცემულ ბროშურაში, რომელიც ზაქარია მხარგრძელის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი, უნებებია სხვა კონცეფციის განვითარება. ახლა ჩვენ აო ვეხებით ან წიგნს იმიტომ, რომ იგი რუსი უფლისწულის საკითხთან არაა დაკავშირებული. მაგრამ ამ წიგნის გარშემო დროებითი დემილი, მასში გატარებულ მოსახრებებისადმი თანხმობით როდი აიხსნება.

სათა და დიდის მოძღვრის გრიგორისათა და ქე ლთსათა...“. ამ წარწერას, რომელიც აქ ჩვენ ქართულ თარგმანით მოგვყავს, სომხურივე ქორონიკონი უზის—„630“, რაც 1181 წელს უდრის. ს. ერემიანის აზრით, ეს თარიღი XII საუკუნის ხელოსნებს შეცდომით ამოუჭრიათ. აქ თურმე უნდა ყოფილიყო დაწერილი სომხური ქორონიკონით „634“, რაც 1185 წელს მოგვცემდა. რა საფუძველი ჰქონდა ს. ერემიანს თარიღის ასეთი შესწორებისათვის? პირველ რიგში იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ სარგისი ამირსპასალარად არის მოხსენებული წარწერაში. ხოლო სარგის მხარგრძელი მართლაც 1185 წ. დაამტკიცა თამარმა ამირსპასალარად, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო მინისტრად, და იგი 1187 წლამდე იყო ამ თანამდებობაზე. რაკი ეს ასე არის, წარწერაში მოხსენებული ძღვეამოსილი მეფე გიორგი, ერემიანის აზრით უნდა იყოს რუსი უფლისწული, რომელიც 1185 წელს შერთეს თამარს კმრად. მეორე საფუძველი, რის გამოც წარწერის თარიღი უნდა შესწორდეს, არის წარწერაში მოხსენებული წინამძღვარი იოვანესი, ეს უკანასკნელი 1184 წლამდე არ შეიძლებოდა სანაინში ყოფილიყო წინამძღვრად, რადგანაც 1173—1184 წლებში ამ თანამდებობაზე სანაინში გრიგოლ ტუტეს ძე ყოფილა. ერემიანის მიერ მოტანილ ამ მოსაზრებათაგან ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი და დამაფიქრებელია სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად მოხსენიება, ხოლო გრიგოლის და იოვანეს (სანაინის წინამძღვრების) საკითხი გაურკვეველია; დაზუსტებით არაა ცნობილი, თუ რომელი როდის წინამძღვრობდა. ჩვენ გადავსინჯეთ პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის შრომა—„ჩრდილო-მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა“ და დაერწმუნდით, რომ ამ პირთა წინამძღვრობის წლების ზუსტად განსაზღვრა არ შეიძლება. გრიგოლ ტუტეს ძე, სანაინის 1184 წლის წარწერის მიხედვით, მონასტრის მამად არ ჩანს, ამ დროს წინამძღვარი იოანეა, მაგრამ როდის გახდა იოანე წინამძღვარი, ეს გარკვეული არაა. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს სიტყვასიტყვით აღნიშნული აქვს: „გრიგოლ ტუტას ძე“ 1173 წელს ეპისკოპოზის ხარისხის მქონე და სანაინის წინამძღვარი ყოფილა, რომელ თანამდებობაზე იგი 1184 წელს აღარა ჩანს“<sup>1</sup>. არსად არ არის მითითებული, რომ 1184 წელს წინამძღვრობიდან გადადგა გრიგოლ ტუტეს ძე და იოანე დადგაო. ცხადია, ასეთი ფაქტი თარიღის ისე დასაზუსტებლად, როგორც ეს ერემიანს გამოუყენებია, არ გამოდგება.

<sup>1</sup> ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, 1928 წ., 33-183.

დავერჩა სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად მოხსენიების საკითხი. ჩვენ გადავსინჯეთ ის სომხური წარწერები, სადაც ამირსპასალარებია მოხსენებული და დავრწმუნდით, რომ ამ სიტყვას სომხურში ხმარობენ არა მარტო იმ გაგებით, როგორც ეს XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში ესმოდათ, არამედ თავისებურადაც. პირველ რიგში დავაკვირდეთ თვით მოტანილ წარწერის დასაწყისს, სადაც „ამირსპასალარი“ იხსენიება. იქ სიტყვისიტყვით აღნიშნულია: „ამირსპასალარობასა სარგისისა და შვილთა მისთა ზაქარია და ივანესი“ (*ეკამქრეაყასაყარილქსან შარეღაქი ლ ირეღე ჯაჲარქი ლ ჰანქი*). აქ ისე გამოდის, რომ სარგისთან ერთად, ზაქარია და ივანეც ამირსპასალარები იყვნენ. სამი სამხედრო მინისტრი ჩვენს სახელმწიფოში არ ყოფილა, მაგრამ სარდალი არა ერთი იყო. როგორც ჩანს, ეს ტერმინი სომხურ ენაშიც XII საუკუნეში ჩნდება და ისეთი შინაარსის მქონე არ უნდა იყოს, როგორც მას ქართულ ენაში აქვს. ზაქარია და ივანე სარდლები იყვნენ და ამათაც სომხეთში ამირსპასალარებს უწოდებდნენ. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი. 1187 წლის ჰორომდირის ეკლესიის წარწერაში იგივე ზაქარია და ივანე მხარგრძელები ამირსპასალარებად არიან მოხსენებული. აი, ეს წარწერაც შემოკლებით: „მე ამირსპასალარმა ზაქარია და ივანემ აღვაშენეთ ეკლესია ესე“... (*«ქილქნ იღ ხა ამქრეაყასაყარ ჯაჲარქ ლ ჰანქ ქინხეაჲ გხსღსეჲ...»*)<sup>1</sup>. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ სარგის მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, 1187 წელს, ამირსპასალარად თამარმა გამრეკელი-თორელი დაამტკიცა. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ტერმინი „ამირსპასალარი“ ახალი შემოსულია XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოშიც. ძველი სომხური ენის ლექსიკონებშიც ეს სიტყვა შეტანილი არ აქვთ. მხოლოდ აკად. აპარიანის ცნობილ ლექსიკონშია იგი შეტანილი და მისი მნიშვნელობა ამ სიტყვის შედგენილობის მიხედვით არის განმარტებული და, ამას გარდა, იქ აღნიშნული არაა, რომ ამირსპასალარი ვაზირი იყო.

ასეთ ვითარებაში ამ ტერმინით სომხურ ტექსტში ვაზირი კი არ აღინიშნებოდა ყოველთვის. არამედ დიდი სარდალი. ასეთივე შინაარსით არის ნახმარი „ამირსპასალარი“ 1191 წლის წარწერაშიც, რომელიც ს. ერემიანს აქვს მოტანილი თავის გამოკვლევაში. იქ აღნიშნულია: „...ამირსპასალარობასა ზაქარიასა და ივანესა ძმისა მისისა-ო“ (*ეკამქრეაყასაყარილქხან შარეღაქი ლ ჰან-*

<sup>1</sup> ი. ქაქაძის თარგმან... ლაღმსიფ ზ. ლითონისაზე. 1913. გვ. 36.



*საქს ხერაპე (საქსი)*). მაშინ 1181 წლით დათარიღებულ იმ სომხურ წარწერაში, სადაც სარგის მხარგრძელი და მისი შვილები ამირსპასალარად არიან მოხსენებული. საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ სარდლებად და ამავე დროს თარიღიც. 1181 წელი, უცვლელად უნდა დარჩეს. ეს რომ ასე არის, ამას ცხადყოფს გიორგი ქართველთა მეფის ძღვევამოსილად მოხსენიება. ეს უდავოდ თამარის მამა გიორგი III არის, სახელგანთქნული მეომარი და სარდალი, რომელიც 1181 წელს ცოცხალი იყო.

ერემიანი გეთავაზობს ამ წარწერის თარიღის შესწორებას ისე, რომ 1185 წელი გამოვიდეს და აქ მოხსენებული გიორგი თამარის ქმრად უნდა ვიგულისხმოთ. 1185 წელს გიორგი რუსი უფლისწული ნოიყვანეს საქართველოში, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამავე წელს იგი სომხეთში უკვე ძღვევამოსილ და გამარჯვებების მომპოვებელ მეფედ არის ცნობილი. ამასთან ჩვენ ვიცით, რომ გიორგი III-ის დროს, 1177 წ., საქართველოს სახელმწიფოში, რომელშიც სომხეთიც შედიოდა, ეკლესიები გადასახადებისაგან გათავისუფლდა 1177 წლის ახლო წელს, და მართლაც, ამ სომხურ წარწერაში საგანგებოდ არის აღნიშნული: „რამე თუ ამათ დროს ჩვენი ეკლესიები კვლავ გათავისუფლდა გადასახადებისაგან“... *«ქსკალიცა სიფა კლქსნ საყათსჟან ხსხფხჟაჟა მსრ კაოხნაჟნ ზარქს ქქსტჟ»*.

დასასრულად, ერემიანს ამ თარიღის შესწორების გასამართლებად აღნიშნული აქვს, რომ წარწერაში მოთხრობილი მშენებლობა არ შეიძლებოდა 1181 წელს წარმოებულყო, რადგანაც მეორე, სხვა ძეგლის მინაწერიდან ჩანს, რომ მთავარი ტაძარი, რომლის მინაშენია იოანე წინამძღვრის ეკვდერი, 1184 წელს გაკეთდაო. ამხ. ერემიანს ავიწყდება, რომ 1184 წელს განაახლეს მთავარი ტაძარი, განახლება ახლად აშენებას არ ნიშნავს. ხოლო იოანე წინამძღვრის მიერ აგებული ეკვდერი, როგორც წარწერიდან ჩანს, წინათაც ყოფილა, მაგრამ 1181 წელს საფუძვლითურთ ახლად აუგიათ. აქ მშენებლობის არაფითარი ისეთი ტექნიკური პირობები არ ჩანს, რომ ეკვდერის აგებას ხელი შეშლოდა.

დარჩენილი გვაქვს მეორე, 1191 წლის წარწერა, სადაც გიორგი მართლაც მეფედ არის მოხსენებული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ აქ თარიღში რაიმე შეცდომა არაა, უნდა დავეუშვათ, რომ ეს წარწერა ასახავს 1191 წლის იმ ფაქტს, როდესაც აჯანყებულებმა გიორგი რუსი უფლისწული ქუთაისში დროებით მეფედ დასვეს. გიორგი ხომ ერთხანს ქუთაისში მეფედ იყო გამოცხადებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აქ სომხეთის მოსახლეობის გიორგი რუსი-

სადმი განსაკუთრებული მიკერძოება არ უნდა იგულისხმებოდეს. როგორც ცნობილია იგი მეფედ ქართველმა დიდებულებმა დასვეს ქუთაისში და არა სომხეთის არისტოკრატიაში, როგორც ეს ამხ. ერემიანს ჰგონია.

ერთგან ერემიანს ასეთი დებულება აქვს წამოყენებული: „Захария Долгорукий своей умелой и гибкой политикой сумел стать фактическим правителем страны, оставив в тени Давида Сослана; Тамара оказалась целиком во власти всемогущих братьев Захария и Иване Долгоруких“ (იხ. გვ. 415). უპირველეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ, რომ საქართველოში იმ ხანად თვითმპყრობელი მეფე არ ყოფილა. როგორც გამორკვეულია, „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასის პოლიტიკური გამოხვლის შედეგად საქართველოს მეფე შეიზღუდა და ქვეყანას მართავდა „თანადგომითა და ერთნებაობითა დიდებულთა“. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არსებობდა დარბაზი, სადაც სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად თავს იყრიდნენ „შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი“, და სადაც მიღებული გადაწყვეტილება მეფეს, ამ შემთხვევაში თამარს, უნდა დაემტკიცებინა. საფაზირო კანდიდატებს საქართველოს ყველა დიდებული შეარჩევდა და თამარი დაამტკიცებდა<sup>1</sup>. საქართველოს იმ დროის სახელმწიფოს ძლიერების ერთი პირობათაგანი სახელმწიფო წყობილების ეს მხარე იყო. ამ წყობილებას ფეოდალურ სამყაროში რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის მოწამეა იმ დროის ისტორიული ფაქტები და ამაზე ახლა სიტყვის გაგრძელება საჭირო არაა.

მაგრამ საინტერესოა არსებობს თუ არა ისეთი ცნობა, სადაც საქართველოში ზაქარია მხარგრძელის ხელისუფლების გაბატონებაზე იყოს საუბარი.

იყო თუ არა ზაქარია მხარგრძელი საქართველოს ფაქტიური მმართველი, და დავით სოსლანი ჩრდილში მიყენებული, როგორც ამას ამხ. ს. ერემიანი ფიქრობს. ჩვენ ხელთ გვაქვს თამარ მეფის პირველ და მეორე ისტორიკოსთა თხზულებები. რა თქმა უნდა, ეს ძეგლები, ისე როგორც ყოველი ნარატიული ძეგლი, მიკერძობი-სა და ფაქტების გარკვეული თვალსაზრისით დალაგების კვალს ატარებს; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თანარ მეფის ისტორიკოსები მხარგრძელების მიმართ უარყოფითი ხასიათის ტენდენციურობას იჩენენ? პირიქით, მხარგრძელები ისეთი საყვარელი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. II, ნაკვ. II, გვ. 178.

ადამიანებია ამ ქართველი ისტორიკოსებისათვის, რომ მათ კეთილ განწყობილებას ამ მოღვაწეებისადმი არც მალავენ და დემონსტრატულად აქებენ კიდევ მათ, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებით ისინი მართლმადიდებლები არ იყვნენ. სწერია თუ არა სადმე, რომ დავით სოსლანი არაა იყო და ზაქარია მხარგრძელი განაგებდა ქვეყანასო, არსად ამისი მსგავსი ცნობა ჩვენს ძეგლებში არაა და არც ფაქტიურად იყო. დავით სოსლანი საქართველოს ლაშქარს უდგას სათავეში ყველა იმ ბრძოლაში, სადაც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხები წყდება. არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ბრძოლა, სადაც დავით სოსლანი ჩრდილში მოჩანდეს,— შამქორის ომი, ბასიანის ომი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია მხარგრძელი სამხედრო მინისტრია, მთავარსარდლობა ყოველთვის დავით სოსლანის ხელთ იყო და ე. წ. რეიდის (ზურგის შეწოვლის) ოპერაციებს იგი უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა. რას აკეთებს ზაქარია მხარგრძელი? იგი მეწინავე სარდლის როლს ასრულებს ყოველთვის, სანამ დავით სოსლანი ცოცხალია. სხვა საქმეები თამარ მეფის ქმარს არ ეკითხებოდა და, თავისთავად ცხადია, იგი ჩრდილში იყო მიყენებული. მაგრამ არა ზაქარია მხარგრძელის, არამედ თამარ მეფის მიერ, რადგანაც თამარი იყო მეფე ხელისუფალი, „დარბაზის განგებულის“ დამამტკიცებელი. და ნუთუ შეიძლება ახლა ამ წიგნში საქართველოს სახელმწიფო წყობილების ისტორია ვწეროთ: შეუძლებელი ხდება ყოველ საკითხზე თვითეულად პასუხი გავცეთ.

შეიძლება თუ არა გიორგი რუსი უფლისწული ლურჯი მონასტრის რომელიმე ადგილას იყოს დასაფლავებული? წერია სადმე, რომ გიორგი რუსი უფლისწულისათვის ააშენა აბულასანის ძმამ ბასილმა ეს მონასტერი? თვით მონასტრის ამშენებლის წარწერაში ვკითხულობთ: „ხოლო ვაშენე ნაცვალ-საგებულად ჩემთვის და საყუარლისა ძმისა ჩემისა, ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირთა-ამირისა, რუისთვისა და შვიდთა მთელთა პატრონისა აბულასანისათვის და უპირმშოვისისა ძმისა ჩემისა შვილისა დავითისათვის, ვიდრემდის დაუდრგომელსა ამას...“. ნუთუ ამას რაიმე კომენტარი სჭირდება იმის გასაგებად, რომ ეს ძეგლი რუსი უფლისწულისათვის არ აგებულა და არც შეიძლებოდა აგებულიყო.

რუსი უფლისწულის კირისუფლობას აბულასანი ვერ გაბედავდა იმის შემდეგ, რაც მოხდა და, რაც მთავარია, განა ვიცით ჩვენ თუ სად გადაიკარგა საქართველოს სახელმწიფოს მტრების ბანაკში გადასული რუსი უფლისწული იმის შემდეგ, როცა კამბეჩოა-

ნის მიდანივებში თურქთა დახმარებით შეიპოვრილს, მოსახლეობის ძარცვაზე მიუსწრო ქართველთა მონაპირე რაზმმა და ძლივს ტყვეობას და სიკვდილს თავი დააღწია?

დაბოლოს, რა ღირებულება გააჩნია პროფ. ს. ერემიანის დებულებას, იმის შესახებ, რომ ოსები ანდრია ბოგოლუბსკის ოჯახის წევრების მტრები იყვნენ და რომ ისინი მათ გასაქანს არ აძლევდნენ არც რუსეთში და არც საქართველოში. რუსეთის ისტორიის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში შეეძლო ერემიანს ამოეკითხა და გაეგო რა ხდებოდა ოსტოვ-სუზდალის სამთავროში XII საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში. ეს სამთავრო ავანტიურისტების სასაიერო ადგილი არ იყო. იქ მიმდინარეობს მძაფრი კლასობრივი ბრძოლა, იქაური ბოიარები და დიდი მთავარი უფლებსათვის დაეჯახნენ ერთმანეთს. მთავრის საყრდენი საზოგადოებრივი ფენა ისე ძლიერი არ გამოდგა, რომ ბრძოლა მთავარს მოეგო და ანდრია დაეცა ამ ბრძოლაში. ნუთუ ოსების სარბიელია ოსტოვ-სუზდალის სამთავრო ან ანბალის მოწყობილია ანდრიას მოკვლა?

სომხეთისა და საქართველოს ხალხებს მდიდარი წარსული აქვთ. უცხოელ დამპყრობელებთან დაუცხრომელ ბრძოლებში მათ თავისი მაღალი კულტურა შეუქმნიათ და ამისათვის ერთად მხარდამხარ უბრძოლიათ, როგორც კი ეს ფეოდალურ სამყაროში იყო მოსახერხებელი. ამ პროცესში საქართველოს ერთი საუკუნის მანძილზე ამიერკავკასიის მასშტაბით ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნა მოუხერხებია. ამ სახელმწიფოში, როგორც ეს შეშვენოდა მაღალი კულტურის ხალხს, სომხეთსაც თავისი წვლილი შეჰქონდა, მაგრამ ეს საქართველოს მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული სახელმწიფო იყო, ფეოდალური სახელმწიფო, თავისი, ამ ფორმაციის შესაფერისი, სპეციფიკის მქონე. წარსულის იდეალიზაცია საქირო არაა, მაგრამ არც ამ წარსულის აბუჩად აგდებაა მისასალმებელი.

საბჭოთა ისტორიკოსის ვალია მოძმე ხალხების წარსულსა და აწმყოს ისევე ვცეთ პატივი, როგორც საკუთარს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ამით ვამთავრებთ ერემიანის გამოკვლევის მიმოხილვას, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შეცდომებიც არ იყოს ამ ნაშრომში. აქ ჩვენ მხოლოდ იმ საკითხებზე შევჩერდით, რომელიც ახლო იყო ჩვენი კვლევის საგანთან.

XII საუკუნის რუსთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გასათვალისწინებლად სრულიადაც საკმარისი არაა მარტო ქართული წყაროების ანალიზი. როგორც დავინახეთ, ქართული წყაროები საკმაოდ მწირია. ეს გარემოება სრულიადაც არ გვაძლევს საფუძველს ურთიერთობის არე ამ წყაროებით შენმოვთარგლოთ. წყაროების დუმილი ბშირად არ ნიშნავს მოვლენის არარსებობას. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს ხელთ არაა ყველა ის წერილობითი ძეგლი, რომელიც XII საუკუნის ცხოვრების შედეგად წარმოიშვა. საფიქრებელია, რომ მათგან ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ჩახრუხადის „თანარიანს“ ჩვენამდე არ მოედწია. რა დასკვნა შეიძლებოდა გამოგვეტანა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო.

სად არ დადიან ქართული მხატვრული ლიტერატურის გნიჩრები, მარტო „ვეფხისტყაოსნის“ გმირები რომ გავითვალისწინოთ, ისიც საკმარისია. სად არ ნახავთ ტარიელს და ავთანდილს, როგორ ფართოა გეოგრაფიული და პოლიტიკური არე: „ქაჯეთს“ მიწვედა მათი ფეხის კვალი და ჩრდილოეთს კი აცდა. ასეთივე მოვლენაა სხვა მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლებშიაც, მათი გმირებისათვის მხოლოდ აქეთა საწყარო არსებობს.

დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ეს მოვლენა, მაგრამ ჩახრუხადის შემოქმედება გვიჩვენებს, რომ იმ დროის საქართველოს მხატვრული ნაწარმოებებისათვის ჩრდილოეთი სრულიადაც „terra incognita“ არ ყოფილა. და რამდენი ასეთი ძეგლი გვაქვს დაკარგული? მარტო ამ გარემოებათა გათვალისწინება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ძიებაზე ხელი არ ავილოთ ნაჩქარევად და წერტილი არ დავსვათ.

თვით რუსული ძეგლების განხილვა აშკარად დაგვანახებებს, თუ რაოდენ შემცდარი ვიქნებოდით მარტო ქართული ძეგლებით რომ საბოლოო დასკვნები გამოგვეტანა.

XII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით რუსულ მატიანეში საქართველო 1154 წელზე ადრე არ არის მოხსენებული. 1154 წლის ამბავთა შორის რუსი მემატიანე წერს „В лето 6662 (1154). Посла Изяслав второс сына своего Мьстислава противу махесе своей, бе бо повел из Обез жену себе цареви дщерь, и

სრეთე იუ ვ პოროვех приведе ю Кневу, а сам иде в Переславль; Изяслав же поя ю собе жене и учини сватбу“<sup>1</sup>.

აქ აღნიშნულია, რომ კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა ნეორეჯერ გაგზავნა თავისი შვილი მსტისლავი, რათა „აფხაზეთიდან“ (საქართველოდან) მოეყვანა მისთვის, ე. ი. იზიასლავისათვის, ცოლად მეფის ასული და შეეგება მას, ე. ი. აფხაზთა მეფის ასულს, მსტისლავი ქვემო დნეპრის ქოროშებთან და მოიყვანა იგი კიევში, თვით კი (მსტისლავი) გაემართა პერეიასლავისაკენ, ხოლო იზიასლავმა შვირთო იგი ცოლად და გადაიხადა ქორწილი“.

რუსულ მატრიანეში დაცული თარიღის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ აქ ლაპარაკია დემეტრე I-ის მეფობის ხანაზე. დემეტრე კი 1156 წლამდე მეფობდა. ქართული წყაროების ცნობით დემეტრეს „ესხნეს ძენი ორნი დავით და გიორგი, ასული ერთი სახელით რუსუდან“<sup>2</sup>. ამ რუსუდანის შესახებ ვიცით, რომ იგი გათხოვილი ყოფილა შანიჩამელ სულტანზე და შემდეგ დაქვრივებული საქართველოში ცხოვრობდა. დემეტრე მეფის სხვა ასული, გარდა ამ რუსუდანისა, ქართულმა წყაროებმა არ იცის. მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს, რომ თითქოს დემეტრე I-ს მეორე ქალიშვილიც ჰყავდა და მასაც თითქოს რუსუდანი ერქვა.

აკად. კ. კეკელიძის ერთ-ერთ გამოკვლევებაში, ვფიქრობთ, საბოლოოდ გარკვეულია საკითხი იმის შესახებ, რომ ვახუშტი ცდებოდა, ორი რუსუდანი დემეტრე I-ს არ ჰყოლია<sup>3</sup>. ვახუშტი ბაგრატიონი შეცდომაში შეუყვანია თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობას თამარ მეფის დის რუსუდანის შესახებ. ვახუშტის თამარის და რუსუდანი მეორე მამიდად მიუჩნევია<sup>4</sup>.

ვინ უნდა იყოს კიევის მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის ნეულღე ქართველთა მეფის ასული? ის გარემოება, რომ რუსული მატრიანე არ ასახელებს ქართველ მეფეს და არც თვით იზიასლავის ნეულღეს, იმის მაჩვენებელი არ უნდა იყოს, რომ მემატრიანემ მათი სახელები არ იცოდა. ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული რუსული მატრიანეები წარმოადგენს სხვადასხვა რუსული მატრიანეებიდან ამოკრებილ ცნობების კრებულს. შესაძლებელია კიევის მატრიანე-

<sup>1</sup> Летопись по Шатерк. сп. 1671. гв. 322. Летопись по Лаврент. сп 1872 гв. 383.

<sup>2</sup> ქართლ. ცხოვრ. ჭიჭინ. გამოც., გვ. 383.

<sup>3</sup> კეკელიძე, რუსთველოგოური შტუდიები, ტფილ. სახ. უნივ. შრომები, III, 1936 წ., გვ. 116—122.

<sup>4</sup> თამარ მეფის და რუსუდანი მოხსენებულია აგრეთვე ეწერის სახარების მინაწერშიაც. იხ. თ. ქორდანია, ქრონიკები, 1. გვ. 254.

ნეში იზიასლავის მეუღლე და სიმამრიც დასახელებული იყო, მაგრამ კრებულის რედაქტორმა ისინი არ გაითვალისწინა.

ქართულ ძეგლებში კი მეფის ოჯახის შემადგენლობის შესახებ ჩვენ ყოველთვის სრული ცნობები არა გვაქვს. არც დავით აღმაშენებლის და არც დემეტრეს შვილების სრული სია არ მოიპოვება. იზიასლავის ცოლი დავით აღმაშენებლის ასულიც შეიძლება ყოფილიყო და დემეტრე პირველისაც. გარკვეულ დრომდე ჩვენ ისე ვიცოდით, რომ დავით აღმაშენებელს ორი ქალიშვილი ჰყავდა, „კატა“ და თამარ. „კატა“ საბერძნეთში იყო გათხოვილი, თამარი—შირვანში. ახლა აკად. კ. კეკელიძის გამოკვლევებიდან დასამდვილებით ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელს კიდევ ჰყოლია მესამე ქალი, ოსეთის მეფეზე გათხოვილი. დავით აღმაშენებლის ამ ქალიშვილების შესახებ ზოგიერთი ცნობები მოგვეპოვება. თამარი, „თიღუის მამულებელი“, დაქვრივებული და შემონაზვნებული, მისი ძმის დემეტრე I-ის გარდაცვალების წელსვე საქართველოში გარდაიცვალა. კატას შესახებ მემატიანე ისეთ ცნობას იძლევა, რომ თითქოს იგი საბერძნეთიდან სანშობლოში აღარ დაბრუნებულა და ეტყობა, რომ მემატიანემ მისი გარდაცვალების შესახებ არაფერი არ იცის. ის წერს: „ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა და დაჲ დემეტრესი თამარი, თიღუისა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა. და დაჲ მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გათხოვილ იყო“<sup>1</sup>. დავით აღმაშენებლის სხვა ქალიშვილების შესახებ არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და არც ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსი ცნობებს არ გვაწვდიან. თუმცა არც იმას გვეუბნებიან, რომ დავითს ორის გარდა სხვა ქალიშვილი არ ჰყავდა.

თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ დავით სოსლანი თამარ მეფის მამიდას რუსუდანს ენათესავებოდა, რუსუდანის მამის დის, დავითის ქალიშვილის, ოსეთში გათხოვების გამო. როგორც აკად. კ. კეკელიძემ გამოარკვია, ეს დავითის მესამე ქალიშვილი უნდა იყოს. დავით აღმაშენებლის ცნობილ ანდერძში ჩვენ ისეთი ცნობა უნდა გვქონდეს დაცული, რომ დავითს, ამ სამ ქალსა და დემეტრეს გარდა, კიდევ უნდა ჰყოლოდა ქალიშვილები და ერთი ვაჟიშვილი „ცუატა“.

დავით აღმაშენებელი ამ ანდერძში, უფროსი შვილის დემეტრეს მისამართით, წერს: „და მივანდძნ შვილნი და დედოფალნიცა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა. ლაშა გიორგის დროინდელი მემბატ, სვ. ყაუხჩი შვილის გამოც., 1942 წ., გვ. 238.

შუამდგომლობითა ლუთისათა, რათა ძმა მისი ზაზარდოს და თუ ინებოს ლმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა, მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა<sup>1</sup>.

ან ტექსტში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სიტყვა „დედოფალნიცა“. თუ ტექსტის გამომცემელს სიტყვა სწორად აქვს ამოკითხული, კითხვა იზადება: ვინ უნდა იყვნენ ეს „დედოფალნი“, რომელნიც დავეითის გარდაცვალების წინ ცოცხლები არიან? ერთი მხრივ, საფიქრებელია, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს დავეითის ნეორე მეუღლე, ყივჩაყთა მთავრის ასული და თავთ დემეტრეს ცოლი, მაგრამ სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ აქ დავეითის პირველ და მეორე ცოლზე იყოს ლაპარაკი, რომელთაგან ერთი დემეტრეს დედა იქნებოდა.

შეიძლება აქ ისიც ვივარაუდოთ, რომ „დედოფლებად“ დავეითის გათხოვილი ქალიშვილები, — თამარ და კატა იგულისხმება, მაგრამ მოტანილ ტექსტში ისეა დაპირისპირებული „შვილნი“ და „დედოფალნი“, რომ აქ უფრო დავეითის მეუღლეებზე უნდა იყოს ლაპარაკი. დავეითი რომ შიომღვიმის მონასტრისადმი განკუთვნილ ანდერძში „სიყრმის ცოდვების შენდობას“ ითხოვს, შესაძლებელია ერთი ამ ცოდვათაგანი მისი ორცოლიანობა იყოს, — უმიწეზოდ ქრისტიანული წესის დარღვევა, პირველი ცოლის (დემეტრეს დედის) განტევება და ყივჩაყთა მთავრის „ათრაქა შარალანისძის“ ქალის შერთვა.

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველი ცოლიც დავეითის გარდაცვალების წინ ცოცხალია და დავეითი დემეტრეს თხოვს „დედა დედოფლის“ გარდა მეორე დედოფალსაც ყურადღებით მოეპყრას.

მოტანილი ტექსტიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე „ცუატა“. იგი, როგორც ჩანს, მცირეწლოვანია, ყივჩაყთა ქალისაგან უნდა იყოს შობილი და ამდენად, საფიქრებელია, დემეტრეს ნახევარძმაა. შემდეგ ტექსტში მოხსენებულია დემეტრეს და „ცუატას“ დები. ტექსტის ის ადგილი, სადაც „დებზე“ არის ლაპარაკი, ისეთ მთაბეჭდილებას ტოვებს, რომ დემეტრეს მკვიდრი დები არ უნდა იყვნენ აქ ნაგულისხმევი: „და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა“. აქ თითქოს მოულოდნელია განმარტება „ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა“. დემეტრეს დები თუ არის, დავეითის შვილები უნდა იყვნენ ცხადია და საპირო არ

<sup>1</sup> თ. ჯორდანიია, ქრონიკები, ტ. II. გვ. 51.



უნდა ყოფილიყო დემეტრესათვის იმ ცნობაზე მითითება, რომლის საფუძველზე დემეტრეს „პატივი უნდა ეცა“ მათთვის.

ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ დემეტრეს ნახევარდები იგულისხმება. ერთი გარემოება აგრეთვე გვაფიქრებინებს, რომ აქ დავითის ქალიშვილები — თამარ და კატა არ უნდა იგულისხმებოდეს.

ტექსტის მიხედვით დემეტრეს ევალება დების მიმართ „პატივის ცემა“. თუ ჩვენ სიტყვებს „პატივ სცეს“ ჩვენი თანამედროვე მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ აქ თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ თამარ და კატა, რომელნიც 1116 წლიდან გათხოვილები არიან<sup>1</sup>. მაგრამ საქმე ისაა, რომ ტერმინი „პატივი“ XII—XIII საუკუნეებში საკარისკაცო, სამოხელეო და სამღვდელმსახურო საპატიო თანამდებობათა აღმნიშვნელი სიტყვა ყოფილა. ამასთანავე დედოფლობა, ვისიმე გადედოფლება „პატივის მიგებად“ ითვლებოდა<sup>2</sup>.

თუ ტერმინს „პატივს“ ზემოთ მოტანილ ტექსტში ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ვივარაუდებთ, მაშინ დავით აღმაშენებლის აქამდე ცნობილი ქალიშვილები — თამარი და კატა დემეტრეს „პატივსაცემელი“ აღარ იყვნენ, ისინი თვით დავით აღმაშენებლის სიციოცხლეში იყვნენ გათხოვილი და „გადედოფლებულნი“.

ამიტომაც ამ ტერმინიდანაც თითქოს მოჩანს, რომ ტექსტში მოხსენებული დები დემეტრეს არამკვიდრი დები უნდა იყვნენ, გაუთხოვარნი, ყვიჩაყთა მთავრის ასულისაგან შობილნი. ერთი ამათგანი, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემ გამოარკვია, შესაძლებელია სწორედ ის ქალი იყო, როცელიც ოსთა მეფეს მითხოვდა და მისი საშუალებით დავით სოსლანი „თვის ეყოდა თამარის მამიდას რუსუდანს“. ერთი მათგანი კი შესაძლებელია სწორედ ქართველი მეფის ის ასული იყო, რომელიც იზიასლავს შერთეს ცოლად და რომელიც რუსულ მატრიანეშია მოხსენებული.

იზიასლავი 1154 წელს, თუ ბეტის არა, დაახლოებით, 55 — 56 წლის უნდა ყოფილიყო<sup>3</sup>. დავითის უმცროსი ქალი ოომ 1120 წელს დაბადებულად ვაგულოვთ, 1154 წელს იგი 34 წლის უნდა ყოფილიყო. არის შესაძლებლობა ვიფიქროთ, რომ დავითს გარდაცვალების წინ ნცირეწლოვანი ქალიშვილი ჰყოლოდა. „სუატას“ მოხსენიება გვიჩვენებს, რომ დავითის მეუღლეს შვილი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., წ. II, გვ. 513.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლ. ისტ., II. ნაკვ. 1. გვ. 115—116.

<sup>3</sup> იზიასლავის წლოვანობას განესაზღვრავთ იმ მონაცემების მიხედვით, რომელნიც მოცემული აქვს ისტორიკოს სოლოვიოვს მისი მამის ნსტისლავის შესა-

ეყოლა დავითის გარდაცვალების წინა წლებშიც და, თუ ამას ვივარაუდებთ, იზიასლავს ცხადია, შეეძლო დავითის ქალიშვილი ცოლად შეერთო.

თუ ჩვენ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ იზიასლავის უმცროს ბიძას გიორგის მამამისმა (ვლადიმერ მონომახმა) 1107 წელს ყივჩაყთა მთავრის „ეპიოპის“ ქალიშვილი მოჰგვარა ცოლად, დასაშვები ხდება დემეტრე მეფეს დავითის ყივჩაყ-მეუღლის ნათესავეების საშუალებით, რომელნიც საქართველოში დავითის გარდაცვალების შემდეგაც იყვნენ, იზიასლავისათვის თავის ნახევარ-და მიეთხოვებინა.

დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი შვილის რუსეთში გათხოვების ფაქტის ასე დატყობილბით ძიებას გვაიძულებს ქართველი მიმატიანის კატეგორიული განცხადება, რომ დემეტრეს „ესხნეს ძენი ორნი დავით და გიორგი, ასული ერთი სახელით რუსუდან“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მართალია, არ იხსენიებს დემეტრესა, ვახტანგისა, თამარისა და კატას გარდა დავითის სხვა შვილებს, მაგრამ მის თხზულებაში არც ის არის აღნიშნული, რომ ამათ გარდა დავითს სხვა შვილები არ ჰყავდა. ამ შვილების ხსენებაც გარკვეულ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ისე რომ, ისტორიკოსს, როგორც ჩანს, მიზნად არ ჰქონდა მოეცა დავითის ოჯახის შემადგენლობის შესახებ სრული ცნობა.

იმ შევთხვევაში, თუ დავითის ქალიშვილი არ მიეთხოვებიათ იზიასლავისათვის და დემეტრე I-ს რუსუდანის მეტი ქალიშვილი არ ჰყავდა, შესაძლებელია ეს რუსუდანი მიათხოვეს იზიასლავს 1154 წელს. ხოლო, რაკი იზიასლავი იმავე წელს უეცრად გარდაიცვალა, დაქვრივებული რუსუდანი სამშობლოში დაბრუნდა და მეორედ გათხოვდა მეზობელ მფლოძელ სულტანზე, და მეორეჯერაც დაქვრივებული და უშვილოდ დარჩენილი, საქართველოში კვლავ

---

ბებ. მსტისლავი, ვლადიმირ მონომახის უფროსი შვილი, დაბადებულია 1076 წელს. ოცი წლის მსტისლავს რომ იზიასლავი გაჩნდა, იგი 1096 წელს უნდა დაბადებულიყო. სამოც წლამდე მიღწეული იზიასლავი. რომელსაც 1154--4 წლებისათვის უკვე ცოლშვილიანი შვილი ჰყავს და მას გზავნის სადედინაკვლოს შესახებ ვედრად, საფიქრებელია და უფრო ბუნებრივია ძალიან ახალგაზოდა ქალს არ შეირთავდა და დავითის ქალიშვილი 1154 წელს იზიასლავის შესაფერისად უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ჩვენი მსჯელობა „შესაფერისობის“ შესახებ იზიასლავისათვის სრულიადაც სავალდებულო შეიძლება არ ყოფილიყო. იზიასლავის წლოვანების გამომანგარიშების საფუძველი იხ. С. Соловьев. Ист. России с древн., СИБ, т I—V, гл. 432, შენიშვნა, № 1.

დაბრუნდა და თავის ძმისწულებთან იმყოფებოდა<sup>1</sup>. ცნობების სიმ-  
ცირის გამო ამ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმა არ ხერხდება.

როგორც რუსი მემატიანის ზემოთ მოტანილი ტექსტიდან  
ჩანს, 1154 წელს იზიასლავ მსტისლავის ძეს თავისი შვილი მსტის-  
ლავი გაუგზავნია ქართველთა მეფის ასულის შესახვედრად; იმავე  
დროს იქ აღნიშნულია, რომ იზიასლავს მეორეჯერაც გაუგზავნია  
თავისი შვილი ამავე მიზნით „Посла Изяслав второе сына свое-  
го Мьстислава противу мачесе своей“. აქედან ჩანს, რომ  
იზიასლავს აწის წინათ ერთხელ კიდევ გაუგზავნია თავისი შვილი  
ანგვარივე დავალებით. მართლაც, იმავე მემატიანეს 1153 წლის  
ქვეშ მოთხრობილ ამბებს შორის ნათქვამი აქვს: „На ту же осень  
посла отец Мьстислава противу мачесе, с Володимером Ан-  
дреевичем и с Берендичи, и ходиша до Олешья; и не обрет-  
шесе, и возвратишася“<sup>2</sup>. მაშასადამე, 1153 წლის შემოდგომაზე იზია-  
სლავი თავის შვილს მსტისლავს გზავნის სადებიანაცლოს შესა-  
ხვედრად, მაგრამ ამ ჯერად იგი ხელცარიელი ბრუნდება. მოტა-  
ნილი ტექსტიდან გარკვევით არ ჩანს, საიდან მოელოდა იზიასლა-  
ვი საცოლეს, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას,  
რომ 1154 წელს იგივე მსტისლავი იმავე მიმართულებით მეორე-  
ჯერ იგზავნება და ქართველი მეფის ასულს დნეპრის ქორომებ-  
თან ხვდება, უნდა დავასკვნათ, რომ 1153 წელსაც იზიასლავი სა-  
ქართველოდან ელოდა საცოლეს. ამ მხრივ საყურადღებოა რუსუ-  
ლი მატიანის მეორე ნუსხა. იქ იმავე წლის (1153) ამბებს შორის  
მსტისლავის შესახებ ნათქვამია: „На ту же осень посла и отец  
его противу мачесе с Володимером Андреевичем и с Берен-  
дичи, и ходиша до Олешья и не обретше ея возвратишася, пос-  
лаа си бняше Изяслав по другую жену себе во Обезы“<sup>3</sup>.

ტექსტში მოცემული განმარტება იმის შესახებ, რომ იზიასლავი  
აღნიშნულ წელს საქართველოდან მოელის საცოლეს, არ ეკუთვნის  
რედაქტორს და, სავარაუდოა, იგი ამ სახით უნდა ყოფილიყო  
კიევის მატიანის თავდაპირველ ნუსხაში. არც ერთ რუსული მატი-  
ანის სხვა ნუსხაში ეს განმარტება არ მოიპოვება. რა თქმა უნდა,

<sup>1</sup> ამ შესაძლებლობას იმ შემთხვევაში დაუშვებთ, თუ კვირიკე ქალის მე-  
ორედ გათხოვება გიორგი III-ის დროს პრაქტიკაში იყო. ბიზანტიაში მეორედ  
ქათხოვება XII საუკუნეში ნებადართული იყო. იხ. ამის შესახებ აკად. კ. კეკელი-  
ძის გამოც., „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 8—9.

<sup>2</sup> Летопись по Платек. сп. 1871. гв. 320.

<sup>3</sup> Летопись по Воскресенск. сп. Полн. собр. русск. летоп. Арх.  
комиссе, т. VII, 1856 г., гв. 60.

ეს გარემოება იმას არ ამტკიცებს, რომ ხსენებული ნუსხა კიეველი მემატიანის ცნობას სრულად გადმოგვცემს. მაგრამ ერთი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ „ვოსკრესენსკის ნუსხა“ აქ თვითნებურად არ უნდა იქნებოდეს განმარტებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იზიასლავის შესახებ დაცული ცნობები რუსულ მათიანეებში კიეველ მემატიანეებს ეკუთვნის და ამ ნაშრომებიდან მოხვდა ეს ცნობები სხვადასხვა რედაქტორის შემდეგი დროის ნუსხაში. 1145 წლიდან 1156 წლამდე მომხდარი ამბები აღწერილია ერთი პირის მიერ, რომელიც, სპეციალისტების აზრით, სასულიერო პირი არაა<sup>1</sup>, თუმცა კიევეში კვინკლოსური ხასიათის ცნობები არა მარტო ერთ ადამიანს შეიძლებოდა ეწერა.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ რუსი მემატიანეები ამბებს წლის მიხედვით გადმოგვცემენ, იმიტომ, რომ მოვლენები კვინკლოსური წესით იწერებოდა. როდესაც კიეველი მემატიანე 1153 წლისათვის განკუთვნილ ადგილს ავსებდა, მან არ იცოდა, რომ 1154 წელს საქართველოდან მომავალი მეფის ასული ზოალწევდა კიევამდე და იზიასლავი იქორწინებდა. ამიტომაც მემატიანეს 1153 წლის ამბავი—მსტისლავის გამგზავრება შესაგებებლად, დეტალურად უნდა განემარტა, რომ იგი საქართველოდან მომავალ სადედინაცვლოს შესახებდრად გაიგზავნა. 1154 წელს ქართველი დედოფალი მართლაც მივიდა კიევში და ეს ფაქტიც ნიშანდობლივ აღინიშნა 1154 წლის ქვეშ მომხდარ ამბებს შორის.

შემდეგ, როცა კიევის მათიანის ცნობები რუსეთის მათიანის ნუსხების რედაქტორებს დასჭირდათ, ზოგიერთმა რედაქტორმა 1153 წლის ცნობა იმის შესახებ, თუ საიდან მოელოდა იზიასლავი საცოლეს, შეამოკლა, რადგან მომდევნო 1154 წლის ამბებში თავისთავად მოცემული იყო, რომ მეორედ გაგზავნილი მსტისლავი საქართველოდან მომავალ მეფის ასულს შეეგება ქორამებთან და მან იგი კიევში მიჰგვარა იზიასლავს.

„ვოსკრესენსკის“ ნუსხა და ე. წ. „ნიკონის“ ნუსხა XVI საუკუნეშია შედგენილი და მეტისმეტად რთული აღნაგობის არის. ისინი ეყარებიან ისეთ ნუსხებს, რომელთაგან უმეტეს ჩვენამდე არ მოუღწევია თავისი სახით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Н. Костомаров. Лекций по русской истории, I, Источники русской истории. 1841. гл. 43—44.

<sup>2</sup> ამ ნუსხების შესახებ იხ. Н. Костомаров და სხ. ნაშრ. გვ. 97. და А. Шахматов. Обзорение русских летописных сводов, XIV—XVI. 1938. гл. 370—371.

იზიასლავის მიერ ქართველი მეფის ასულის ცოლად შერთვას მცირე ადგილს უთმობს ე. წ. „ერმოლინის“ ნუსხა. იქ მოკლედ ნათქვამია: „В лето 6662 (1154). Изяслав поя дружину Обезыню“<sup>1</sup>. სხვებთან შედარებით 1154 წლის ამბავი იზიასლავის ქორწინების შესახებ უფრო ვრცლად არის ე. წ. ნიკონის ნუსხაში და, საფიქრებელია, რომ იგი პირვანდელი, დედნის სახით არაა მოღწეული: „В лето 6662. Князь велики Киевский Изяслав Мстиславич, внук Мономаш, посла второе сына своего Мстислава противу новыя жены свояя, а его мачехи; он же шед сретс ю в порозех и приведе ея ко отцу своему великому князю Изяславу Мстиславичю в Киев, бе же сия пришла из Обоз; князь велики же Изяслав Мстиславичь сотвори свадбу и поят себе сню Обезыню в жену“<sup>2</sup>. ერთი მხრივ, იზიასლავის ვინაობის ასე დეტალურად აღნიშვნა თითქოს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ სტრიქონების დამწერი თვით იზიასლავის ქვეშევრდომი, კიეველი მემკვიდრე უნდა იყოს. მაგრამ ის გარემოება, რომ მოტანილ ტექსტში გამოტოვებულია იზიასლავის საცოლეს შესახებ განმარტება—„царевна дщерь“—გვაფიქრებინებს, რომ იგი კიეველი მემკვიდრის ტექსტის პირვანდელ სახეს დაშორებული უნდა იყოს. არც ისე უმნიშვნელო ამბავი იყო მთავრისათვის „მეფის ასულის“ შერთვა, რომ იგი კიეველ მემკვიდრეს უყურადღებოდ დაეტოვებინა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული მკვლევართა ნუსხები ამ ამბავს ერთი და იმავე სიტყვებით არ გადმოგვცემს. მაგრამ მათ შორის მაინცდამაინც არსებითი განსხვავება არაა; ყველა ნუსხით იზიასლავი ქართველი მეფის ასულზე ქორწინდება.

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, 1153 წელს კიევის მთავარი საცოლეს მოელის საქართველოდან, მაგრამ იგი ამ წელს რუსეთში არ მოსულა. მკვლევართა ცნობით, 1153 წლის შემოდგომისათვის ელიან ქართველი მეფის ასულს რუსეთში. როდის უნდა დაწყებულიყო საქართველოს სამეფო კართან მოლაპარაკება? 1151 წლამდე შეუძლებელია იზიასლავს საქართველოში ქალი ეთხოვა, რადგან რუსული მკვლევართა ცნობით, იზიასლავის პირ-

<sup>1</sup> Ермолинская летоп. об. Польное собр. русск. летоп. т. XXIII. 1910, 33. 40.

<sup>2</sup> Полн. собр. русск. летоп., т. IX, 1862, Патриарш. или Никоновск. летоп., 33. 198.

ველი მეუღლე 1151 წელს ზამთარში გარდაიცვალა<sup>1</sup>. თუ ერთი წლის გლოვიარებას ვივარაუდებთ, 1152 წლიდან უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება საქართველოს მეფესთან კიევის მთავრის ინიციატივით.

იზიასლავის შესახებ მანამდე თუ რაიმე ცნობა არსებობდა საქართველოში, იგი აქ ცნობილი იქნებოდა როგორც ცოლ-შვილიანი. ისე რომ, იზიასლავი თვითონ უნდა აუწყებდეს საქართველოს სამეფო კარს თავის დაქვრივებასა და მის სურვილს ცოლის შერთვის შესახებ. ამას ადასტურებს რუსული მატეიანის „ოვსკრესენსკის ნუსხის“ ზემოთ მოტანილ ტექსტში დაცული ცნობა. იქ 1153 წლის ქვეშ, როგორც ვნახეთ, განმარტებულია: „Послаа ни бряше Изяслав по другую жену себе во Обезы“. ეს ცნობა ეხება იზიასლავის მიერ საქართველოში გაგზავნილ ელჩებს. მაშასადამე, იზიასლავის ელჩები 1152 წელს საქართველოში უნდა მოსულიყვნენ დემეტრე I-ის კარზე და მოლაპარაკება ეწარმოებინათ. საფიქრებელია, რომ იზიასლავის ელჩები ორჯერ იყვნენ საქართველოში. ეს მოსაზრება ნაგვიანევი დროის ფაქტების ანალოგიით შეიძლება წამოყენებულ იქნეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს XV საუკუნის ამბები, როგორც ცნობილია, 1451 წელს ბიზანტიის კეისარმა საგანგებო პირი გამოგზავნა ტრაპეზონისა და საქართველოს სამეფოში მისთვის საცოლეს ასარჩევად. გიორგი მეფის ქალი მოწონებულ იქნა და ელჩი გაბრუნდა კონსტანტინოპოლში ამბის ჩასატანად და პირობების გასაცნობად<sup>2</sup>.

ქალის გათხოვება XII საუკუნეში არ უნდა ყოფილიყო მარტივი ამბავი, გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა როგორც სიძეს, ისე ქალის ჭარისუფალთ და ეს წინასწარ შეთანხმებას მოითხოვდა. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღესდღეობით ისეთი აზრია მიღებული, რომ სასიძოს ევალდებოდა საჩუქრების მორთმევა<sup>3</sup>. ამავე დროს, გათხოვილ ქალს მზითევიც მიჰყვებოდა. ეს დადასტურებულია XII საუკუნის ცნობითაც. როცა თამარ მეფემ თავისი ნახევარ-და სელჯუკელ ბატონიშვილს მიათხოვა, „მრავლითა ზითვითა წარგზავნეს იგი თვისად სამყოფად“<sup>4</sup>. ისე რომ, იზიასლა-

<sup>1</sup> Летопись по Впатеку. см., 1871. гл. 308. და იხ. Новгородская летопись по синод. харат. см., 1888. гл. 139.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV წ., 1924 წ., გვ. 44—45.

<sup>3</sup> იქვე, იხ. ავრეთვე მისივე ქართული სამართლის ისტორია, I, 1928 წ., გვ. 160—165.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართ. ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 374.

ვის ელჩებს, ჯერ ქალი უნდა ენახათ, პირობები გაეგოთ და იზიასლავისათვის ეცნობებინათ, წინდევ ისევ სათანადო საჩუქრებით უნდა დაბრუნებულიყვნენ ქალის წასაყვანად. მაზასადამე, 1153 წ., როდესაც რუსეთში უკვე ქალს ელიან, ზემოხსენებული პროცედურა მოთავებულა.

რა გზით უნდა ემგზავრათ იზიასლავის ელჩებს 1152 წელს? ამ საკითხის გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც საქართველოდან რუსეთისაკენ მიმოსვლის გზა, ალბათ ყველაზე უფრო მოსერხებული და საიმედო, ცნობილი გახდება ჩვენთვის. პირდაპირი ცნობა ამის შესახებ ჩვენს მატრიანეებში დაცული არ გვაქვს. არც ქართველთა მეფის ასულის მიერ კიევამდე გავლილ გზის ოთხი მეხუთედი ვიცით.

რუსული მატრიანის ცნობიდან ჩანს, რომ კიევში მიმავალ ქართველ დედოფალს დნეპრის ქორომებთან შეხვდნენ და იგი იქიდან დნეპრით კიევში უნდა მიეყვანათ: „*спете ю в порозех приведе ю Киеву*“, აღნიშნულია მატრიანეში. მაგრამ დნეპრის ქორომებამდე რა გზით იმგზავრეს?

რუსული მატრიანის ზემოთ მოტანილ ტექსტებში დაცული ცნობების ანალიზით, რუსი ელჩების მიერ გამოვლილი გზა შეიძლება დავადგინოთ, მაგრამ ამავე გზით იმგზავრა თუ არა ქართველმა დედოფალმა, ამისი გადაჭრით თქვა არ შეიძლება.

რუსულ მატრიანეში 1153 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბებს შორის აღნიშნულია, რომ ამ წლის შემოდგომაზე იზიასლავის შვილი მსტისლავი და ვლადიმერ ანდრიას ძე, ე. ი. მსტისლავის ბიძაშვილი, ყივჩაყთა ტომის ბერენდეელების თანხლებით საქართველოდან მომავალი დედოფლის შესახვედრად წამოვიდნენ. ესენი ქ. ოლეშიამდე მოსულან და, რაკი დედოფალი ვერ ნახეს, უკან გაბრუნებულან: „*И ходиша до Олешья; и не обрете е и воротишася*“. ქ. ოლეშია მდებარეობდა მდ. დნეპრის შესართავთან. ამ ქალაქის ხელში ჩაგდებით ყივჩაყთა ტომები დნეპრზე გზას უჭრდნენ კიევისაკენ ზღვით მიმავალ ბერძენ ვაჭრებს და ამის გამო რუსი მთავრების გაერთიანებული ძალები არა ერთხელ ლაშქრობდნენ ყივჩაყთა წინააღმდეგ<sup>1</sup>.

რუსული მატრიანის ამ ცნობიდან გამოდის, რომ მსტისლავი თავისი მსლებლებით დნეპრს მოჰყვება სამხრეთით — შავი ზღვისაკენ და ქ. ოლეშიამდე მისი მოსვლა იმის მაჩვენებელია, რომ დედოფალს შავი ზღვით მოელიან. სხვანაირად ოლეშიამდე მსტისლა-

<sup>1</sup> Соловьев. Ист. России с др. вр. წ. I, ტ. II, გვ. 486.

ვის ჩასვლა არ აიხსნება. მაგრამ აქედან უეჭველად ის ჩანს, რომ შავი ზღვით პირველ რიგში თვით იზიასლავის მიერ საქართველოში ქალის სათხოვრად გაგზავნილ ელჩებს უმგზავრია. კიევის მთავრისათვის ხმელეთის გზა მეტისმეტად სახიფათო რომ ყოფილა, ეს, სხვა ცნობებიც რომ არ იყოს, თვით ჩვენ მიერ დამოწმებული მატეანის ტექსტშიც შეინიშნება.

დედოფლის შესაგებებლად 1153 წლის შემოდგომაზე გაიგზავნა მსტისლავი, ვლადიმერი და ყივჩაყთა ტომი—ბერენდელები, რომელნიც კიევის მთავრის მეზობელი და მოკავშირეები იყვნენ. რუსული მატეანის ლავრენტის ნუსხა გვიჩვენებს, რომ ისინი ლაშქრით გამგზავრებულან: „На ту же осень посла и отъ с вой“<sup>1</sup>. იზიასლავს ყივჩაყთა ტომების ეშინია ჯერ კიდევ დნეპრის ნაპირებზე და, ცხადია, თვით ყივჩაყთა ტომების ტერიტორიაზე გავლით საქართველოში ელჩების გაგზავნა მას არ შეეძლო. რუსები ზღვის საქმის ოსტატები იყვნენ და, ბუნებრივია, შავი ზღვით საქართველოს ნაპირებამდე მისვლა უფრო მოხერხებული უნდა ყოფილიყო მათთვის.

მაგრამ სხვა საკითხია—ქართველი დედოფალიც ზღვით გაემგზავრა თუ არა. რუსეთში მას ზღვით მოეღიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოდან მხოლოდ შავი ზღვით შეიძლება გადაემგზავრება. თუ აღმოსავლეთ ყივჩაყეთი კიევის მთავრისადმი მტრულად განწყობილი იყო, საქართველოსათვის ყივჩაყეთი ასეთად არ ჩაითვლება. დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს მეფეს შეეძლო თავისი ოჯახის წევრი ყივჩაყეთით კიევში გაეგზავნა, თუ რაიმე მიზეზით ზღვის გზა სახიფათო იქნებოდა. ყივჩაყეთთან საქართველოს კეთილმეზობლობა და თვით დედოფლის ნათესაური ურთიერთობა ყივჩაყეთის მთავრებთან უფრო მტკიცე გარანტია იყო რუსეთისაკენ მეფის ასულის მშვიდობიანი გამგზავრებისათვის. ის გარემოება, რომ რუსი მემატეანე 1154 წ. მარტო მსტისლავს გვისახელებს დედოფლის შემგებებლად და 1153 წელს დედოფალი არ გაემგზავრა რუსეთში, გვაფიქრებინებს, რომ 1154 წელს დედოფლის გამგზავრება შეიძლება ხმელეთით მომხდარიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, გადაქრით ამის მტკიცება არ შეიძლება. რუსული მატეანის ცნობებიდან უფრო ისეთი მონაცემები გვაქვს, რომ ქართველ დედოფალს ზღვით უნდა ემგზავრა ოლეშიამდე. მაგრამ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ხმელეთით საქართველოდან კიევში მოგზაურობა შეუძლებელი არ

<sup>1</sup> Лаврент. летоп., 1897. გვ. 322.



უნდა ყოფილიყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ ყივჩაყეთთან დარიალის გზით წარმოებდა მიმოსვლა. მაშასადამე, დარიალით ყივჩაყეთზე გავლით დნეპრამდე შეიძლებაოდა ხმელეთით გავლა, ხოლო შემდეგ დნეპრით—კიევიანდე.

იზიასლავის ქორწინებისა და ქართველი დედოფლის კიევეში გამგზავრების შესახებ პირველად მოსაზრება გამოთქვა ბუტკოვმა 1825 წელს და აღნიშნა, რომ ქართველი დედოფალი შავი ზღვით გაენგზავრა კიევეშიო. მაგრამ ამას იგი არ ასაბუთებს და არც განმარტავს. საფიქრებელია, რომ განსვენებული მკვლევარი მათიანის ზემოთ მოტანილ ცნობებზე დაყრდნობით ფიქრობს ამას. ჩვენ წინათ ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გექონდა გამოთქმული ერთ წერილში და ბუტკოვის წერილის გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ საკითხი ისევ გადასასინჯავი იყო<sup>1</sup>. ვლადიმირ მონომახის შემდეგ იზიასლავ ნსტიასლავის ძე ერთი ცნობილი წთავართავანა კიევის ტახტზე 1146—1154 წლებში. რუსული მათიანეები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იზიასლავის მხნეობას, განქრიახ პოლიტიკოსობას და გულკეთილობას.

მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონია მეზობელ პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის მფლობელებთან, განსაკუთრებით უნგრეთის მეფესთან, რომლისაგან არა ერთგზის ჯარით დახმარება მიუღია წის მოწინააღმდეგე რუს მთავრებთან საბრძოლველად.

ნათელი არაა, რით ხელმძღვანელობდა კიევის მთავარი იზიასლავი, როცა საქართველოს ტახტს ქალს სთხოვდა. მართალია, იზიასლავი მახლობელ მეზობელ მფლობელებთან დამოყვრებული იყო,—მისი ერთი და (ეფროსინე) ცოლად ჰყავდა უნგრეთის მე-

---

<sup>1</sup> მოგვაქვს ბუტკოვის წერილის ის ადგილი, სადაც იზიასლავის ქორწინებაზე დაპარავი: „Знакомство с Кавказом нескоро русскими занято по потере Тмутаракани, судя по тому, что великий князь Киевский Изяслав избрал себе оттуда невесту. Осем последнем пропшестввиі сказано летописцами нашими, что Изяслав, вдовец с 1152 года получив известие о красоте и добром нраве дочери царя Обезжского, отправил по черному морю к родителю ея, послов своих, которые данное им поручение исполнили успешно, и кину с послами царя Обезжского сопровождали невесту тем же путем в пределы России; что царевну встретил в днепровских порогах сын жениха ея, и что она венчалась в Киеве с Изяславом 1154 году, а 1155 году овдовела и не оставила о себе других воспоминаний“ (იხ. Северный Архив. XIII, № 1825 г., გვ. 318). შემდეგ ბუტკოვი ეძებს. თუ ქართველი მეფის რომელი ასული უნდა იყოს რუსეთში გათხოვილი, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი გიორგი III-ის ქალი იყო. მისი აზრით, გიორგის ერთი ქალი იზიასლავს ჰყავდა ცოლად, ხოლო მეორე—თამარი ანდრია ბოგოლუბსკის შვილს.

ფეს, ძმისშვილი პოლონეთში ყოფილა გათხოვილი, ჩეხეთის მთავრის ქალიშვილი მისი ძმის სვიატოპოლკის ცოლი ყოფილა<sup>1</sup>, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ამ ახლო მეზობლებშიც იზიასლავისათვის საცოლვე თითქო არ მოიძებნებოდა.

ბუტკოვის მოსაზრება თითქოს იზიასლავი ქართველი მეფის ასულის სილამაზემ და კეთილზინანობამ მიიზიდა, უსაბუთოა. არსად, არც ერთ წყაროში აღნიშნული არაა, რომ ქართველი დედოფალი განთქმული იყო სილამაზით, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ის ლამაზი ყოფილიყო. ბუტკოვის ნსჯელობა ალბათ იმას ემყარება, რომ, მისი ანგარიშით, იზიასლავის საცოლვე თამარ მეფის და იყო და, რაკი თამარის სილამაზის შესახებ ცნობები შემონახული გვაქვს, თამარის ეს „დაც“ ლამაზ ქალად მიიჩნია.

სრულიადაც არაა საკმარისი იზიასლავის გემოვნებით ამ ქორწინების საკითხის გადაჭრა. საქართველოს სამეფო კარი ქალს იმის მიხედვით არ ათხოვებდა, თუ ვის მოეწონებოდა იგი. იზიასლავს თუ ქართველი მეფის ქალი მოეწონებოდა—ახლა თვით იზიასლავის აქ „მოწონება“ იქნებოდა საჭირო საქმის დასაბოლოებლად.

იმ დროს მეფეებსა და მთავრებს შორის ასეთი დამოუკრება პოლიტიკურ შინაარსს მოკლებული არ იყო და ყოველთვის სილამაზის პრინციპით ასეთი საქმე არ წყდებოდა. ხშირად სილამაზის საფუძველი სრულიად უგულვებელი შეიძლება ყოფილიყო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1154 წელს მომხდარი ქორწინება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კიევის მთავარს და მის თანაგანმზრახთ საქართველოს სახელმწიფოს შესახებ გარკვეული ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ, და ეს ინფორმაცია იმდროინდელი საქართველოს ძლიერებას აუწყებდა რუსეთის მთავარს.

---

ბუტკოვის ეს მსჯელობა მცდარ თარიღებზე არის აგებული. მას ჰგონია, რომ თამარ მეფე 1171 წელს გაემეფა და იმავე წელს გათხოვდა. ბუტკოვისათვისაც გაუგებარია, თუ როგორ მოხდა ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი ნოვგოროდის მთავრად 1172 წელს. ბუტკოვის წერილის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს ისტორიის საკითხებს ეხება, ამჟამად ყოველგვარი მეცნიერული ღირებულება დაკარგული აქვს და ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. იზიასლავის ქორწინების საკითხს რუსეთის ცნობილი ისტორიკოსი კარამზინიც ეხება, მაგრამ მას შხალოდ მატიანის სიტყვები მოაქვს და არავითარი ანალიზი იქ მოცემული არაა, გარდა იმისა, რომ ამ დროისათვის ქართველების ქრისტიანობას აღნიშნავს, იხ. მისი История государства Русснского, 1842, წ. I, ტ. II. გვ. 159 და примечание к II тому—№ 354, გვ. 148; აკად. ბროსე იმეორებს კარამზინის ცნობას. იხ. მისი Additions et éclairc... გვ. 288—289.

<sup>1</sup> С. И. Осовьев. დასახ. ნაშრ. წ. I, ტომი III, გვ. 417. შენიშვნა № 1.

მართალია, დემეტრეს მეფობის ხანა—30-მდე წელი—საქართველოს ისტორიას ხარვეზად აქვს ჯერჯერობით. დენეტრეს შესახებ ჩვენამდე მოღწეული ქართველ ისტორიკოსთა თხზულებები რამდენიმე სტრიქონს იმეტებენ. ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ დემეტრეს შესახებ ქართველი ისტორიკოსის თხზულება დაკარგულია, იგი კრებულის შედგენის დროს შიგ არ შეუტანიათ თავის დროსზე. ისე კი, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი გარკვევით გვეუბნება, რომ დემეტრეს მეფობა შესხმით იოვანე ფილოსოფოს ქიმიკიმელს აღუწერია<sup>1</sup>.

დემეტრეს დროის საქართველო ისევე ძლიერი ჩანს, როგორც დავით აღმაშენებლის დროს და, საფიქრებელია, რომ ამ ძლიერების შესახებ რუსეთშიც ექნებოდათ ცნობები, ბიზანტიიდან ან ყივჩაყუთიდან, ანდა არ არის გამორიცხული, რომ ზღვის გზით—უშუალოდ საქართველოდან.

იზიასლავის ქორწინების საკითხში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ქართველი ხელისუფალი საერთაშორისო ურთიერთობაში ნეფედ იყო ცნობილი.

კიევის მთავრისათვის „მეფის“ ქალის შერთვა უდავოდ მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. იმ დროს ამ გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე დროს ქართველი ხელისუფალი მართლმადიდებელი ქრისტიანი მეფე იყო.

რაკი კიევის სანთავროს მახლობელი მფლობელნი ისედაც ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ იზიასლავთან და იმავე დროს უკანასკნელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მათთან, ბუნებრივია—საქართველოს მეფის ასულის შერთვა მოეწადინებინა იზიასლავს. მეფის ოჯახიშილის კიევის მთავრის სასახლეში შეყვანას შინაპოლიტიკური მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა მაშინდელ რუსეთში.

იმავე დროს, არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ იზიასლავს კიევის სამთავროს სანხრეთ აღმოსავლეთის საზღვრების უზრუნველყოფაც ჰქონოდა მხედველობაში. შესაძლებელია მას უნდოდა შეენელებია ყივჩაყთა შემოტევები საქართველოს შუამავლობის მეოხებით. მით უმეტეს, რომ კიევში გათხოვილი ქართველი მეფის ასული ყივჩაყთა ქალის ნაშობი უნდა იყოს.

არსებულ პირობებში ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, თუ რა პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იზიასლავი, მაგრამ ქართველი დედოფლის მეფური შთამომავლობა რომ ერთი მიმ-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის გამოც., გვ. 54.

ზიდველ მომენტთაგანია იზიასლავისათვის, სადავო არ უნდა იყოს.

გაურკვეველია აგრეთვე ისიც, თუ რით ხელმძღვანელობდა საქართველოს სამეფო კარი, როცა თავისი ოჯახის წევრს კიევის მთავარზე ათხოვებდა.

უდავოა, რომ ამ დროს საქართველოში კიევის სამთავროს შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსების მართლმადიდებლობა იცოდნენ.

ქართველ მეფეთა ქალიშვილების მაჰმადიან მფლობელებზე მითხოვება ჩვენში სარწმუნოებრივი თვალსაზრისის უგულვებელყოფით როდი ხდებოდა.

XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ქართველი მეფის ქალის მაჰმადიან მფლობელზე გათხოვების რამდენიმე შემთხვევა გვაქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ქალი იქ თავის ახალ ოჯახში ქრისტიანად რჩებოდა. ეტყობა, რომ ეს საგანგებო შეთანხმების შედეგად იყო და დათმობაზე თვით მაჰმადიანი მფლობელი მოდიოდა. დავით აღმაშენებლის ქალი თამარი დაქვრივებული და შემონახვნილებული სამშობლოში დაბრუნდა. ასევე დაქვრივებული სამშობლოში დაბრუნდა თამარ მეფის მამიდა რუსუდანი, დემეტრეს ქალი, რომელსაც ქრისტიანული სარწმუნოება არ შეუცვლია. ეამთა აღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ რუსუდან მეფეს სულტან ყიასდინ ნუქარდინის ძემ „სთხოვა, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ და აღუთქუა ფიცით არა დატევება სჯულსა ქრისტიანეთასაო“<sup>1</sup>. შემდეგ იმავე ისტორიკოსს რუსუდანის ამავე ასულის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ მას „მტკიცედ ეპყრა სჯული კემშარითი, რამეთუ ხუცესნი, და ხატნი და ჯვარნი, წინაშე მისსა აქუნდეს, არა ფარულად, არამედ განცხადებულადო“<sup>2</sup>.

ისე რომ, სასიძოს სარწმუნოების საკითხი მეორე ხარისხოვანი საკითხი არ ყოფილა საქართველოში და თუ საქართველოს სამეფო კარი ქრისტიან მფლობელს იზოვიდა სასიძოდ, ამ უკანასკნელის ქრისტიანობა ერთი ხელისშემწყობი პირობათაგანი უნდა ყოფილიყო საქმის დასაბოლოებლად.

მეორე მნიშვნელოვანი პირობა ჩვენში ქალის გათხოვების დროს უნდა ყოფილიყო სასიძოს მიერ ძღვენის „მიერთმევა“. ეამთა აღმწერელს რუსუდანის ქალის თამარის გათხოვების ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს, რომ სასიძო, ყიასდინი, რუსუდანს „ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღვენთა მიერ, რათა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, კიკ. გამოც, გვ. 512.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 535.

მისცეს ცოლად ასული მისი თამარ. და გაუგზავნა ძღვენი დიდფასისაო“<sup>1</sup>. XV საუკუნეშიც საქართველოს მეფეს გიორგის ბიზანტიის დესპანისათვის საქართველოში არსებული წესი სასიძო-საგან ძღვენის მორთმევის შესახებ გაუცენია<sup>2</sup>.

ამრიგად, კიევის მთავარს, იზიასლავს, საქართველოს მეფის კარი უნდა მიეზიდა „მართლმადიდებლური“ სარწმუნოებით, კიევის სამთავროს როგორც პოლიტიკური ერთეულის სახელით და შე-საფერისი „ძღვენის“ მორთმევით. ამ უკანასკნელის ფასი კიევის მთავრის ძლიერების საზომიც იქნებოდა<sup>3</sup>.

თუ ჩვენ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ საქარ-თველოდან XII საუკუნეში გათხოვილ მეფის ასულს ახალ ოჯახში ხელცარიელს არ ისტუმრებდნენ, დაერწმუნდებით, რომ 1152—1154 წლებში კიევსა და საქართველოს შორის ძვირფასი ნივთე-ბის გაცვლა-გამოცვლას უნდა ჰქონოდა ადგილი ამ ქორწი-ნებასთან დაკავშირებით. თუ ამ ქორწინებამდე რუსეთის შე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, კიკინაძის გამოც., გვ. 512.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 44.

<sup>3</sup> 1955 წლის 24 სექტემბრის თარიღით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწესნიერო ბიბლიოთეკის სახელზე რომიდან მი-ღებულ იქნა ბ-ნ შარლ მისტრუცკის მომართვა დანართით. მომართვაში აღნიშ-ნულია: „თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბ-ნო დირექტორო. ისტო-რიკოსების ყრილობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ცოტა ხნის წინათ რომში, მე პატარა შრომა გავაკეთე—იტალიაში საქართველოს მეფის დიმიტრის შთამომავლობის არსებობის შესახებ, იმ დიმიტრის, რომელიც ერთი უმნიშვნე-ლოვანესი ხელმწიფეთაგანი იყო შუა საუკუნეებში. მე ნასიამოვნები ვარ მოკრძა-ლებით შემოვთავაზო უნივერსიტეტს ჩემი ნაშრომი, რადგანაც ვფიქრობ, რომ იგი საინტერესო შეიძლება იქნეს საქართველოს ისტორიაში მომუშავე პროფესო-რებისა და სტუდენტებისათვის. ვიმედოვნებ, რომ თქვენ კეთილინებებთ და თქვენს ბიბლიოთეკაში მიიღებთ ჩემს ნაშრომს. გთხოვთ მაუწყეთ თქვენ მისი მიღება. სალამი და სხე...“ ამ მომართვას სამი გენერალოგიური ტაბულა ახლავს დანართის სახით. ამ გენერალოგიური ცხრილების განხილვა ამაჟამად ჩვენ არ მოგვიხდება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბ-ნი შ. მისტრუცკი თავის გვარს და ამდენად თავის თავსაც ქართველი მეფის დემეტრე I-ის თვის აღმამენებლის ძის შთამომავლად თვლის და გარკვეული ისტორიული „მონაცემებითაც“ ფიქრობს ამის დამტკიცებას, ხოლო ეს „მონაცემები“ კი უშუალოდ აქ ამ წიგნში აღძრულ საკითხებს უკავშირდება ნაწილობრივ, მიზანმეწონილად მივიჩნით შექმნილ გაუ-გებრობის გასარკვევად ბ-ნ შ. მისტრუცკის ოთხივე ცნობა მივაწოდოთ.

ბ-ნ შ. მისტრუცკის ქართველი მეფის დემეტრე I-ის შთამომავლობა იტა-ლიაში ეგულდება რუსულ მატინაში დატული იმ ცნობის საფუძველზე, რომელ-ზედაც ხემათ დაწვრილებით გვექონდა საუბარი. როგორც აღნიშნული გვექონდა, რუსულ მატინაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ 1154 წელს კიევის მთავარმა იზიასლავმა დედოფლად მიიყვანა ქართველი მეფის ასული. რადგანაც 1154 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე დემეტრე I იჯდა, ცხადია, კიევი იზიასლავის საცოლოდ გამგზავრებული მეფის ასული დემეტრე I ქალი შეიძლებაყოფ-

სახებ საქართველოში და საქართველოს შესახებ რუსეთში ინფორმაცია ჰქონდათ, 1152—1154 წლების აქტის შემდეგ ეს ცნობები უფრო ვრცლად წარმოედგებოდა ორივე მხარეს. ქართველ დედოფალს საქართველოდან უნდა გაჰყოლოდა საკუთარი მხევლები და მხლებლები, რომელთა ნაწილი პასთან კიევეში დარჩებოდა, ნაწილი კი დედოფლის მიცილების შემდეგ უკან დაბრუნდებოდა. რუსეთში რომ ამანე ადრე მოწინავე წრეებმა ქარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა კავკასიონს აქეთ, და თავის დროზე ამას

ლიყო, თუკა, როგორც ზემოთ თავის ადგილას ვწერდით, ამ ქართველი მეფის ასულის ვინაობა ამ მხრივ სავსებით დადგენილი არ არის, იგი თვით დაკით აღმაშენებლის ქალიშვილიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ საკითხის ძირითადი აოსი ამაში არ მდგომარეობს.

ბ-ნ შ. მისტრუცის საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი თავის გენეალოგიურ ცხრილში, რომ თითქოს იზიასლავის შვილი მსტისლავი (შემდეგში ცნობილი კიევის მთავარი) ქართველი მეფის ასულის მიერ იყოს ნაშობი, ხოლო შემდეგ მსტისლავის შთამომავლობა ნათესაურად უკავშირდება დასავლეთ ევროპის ცნობილ გვარებს (ქალებს უცხოეთში გათხოვების გზით) და ამ სახით დღეს იტალიაში არსებული გვარის მისტრუცეც ქართველი მეფეების შთამომავლობასთან არის დაკავშირებული.

მაშასადამე, ბ-ნ შ. მისტრუცის გენეალოგიური ცხრილის საყრდენი არის კიევის მთავარი მსტისლავ იზიასლავის ძე, რომელიც ქართველი მეფის ასულის მიერ უნდა იყოს ნაშობი. მაგრამ შეიძლება განა იმის დამტკიცება, რომ მსტისლავის დედა ქართველი იყო? რუსულ მატრიანეში ზომ გარკვევით არის აღნიშნული, რომ კიევის დიდ მთავარს იზიასლავს 1154 წლამდე ცოლზე ილი ჰყავდა. პირველი ნეუღლე მას 1152 წელს გარდაეცვალა. ამ ქალისაგან იზიასლავს შვილები ჰყავდა, მათ შორის ის მსტისლავიც, რომელიც ბ-ნ შ. მისტრუცის ქართველი ქალის შვილი ჰგონია. და რომ მსტისლავი არ შეიძლებოდა ქართველი დედოფლის შვილი ყოფილიყო, ეს თვით რუსული მატრიანდან კარგად ჩანს. როცა ქართველი მეფის ასული საქართველოდან 1154 წელს მიჰყავდათ კიევი იზიასლავთან შესაუღლებლად, უკვე დავაუკაცებელი მსტისლავი მამამ სადენინაცელოს (ქართველი დედოფლის) შესაგებებლად გამოგზავნა. მართლაც, იმავე მემატრიანის ცნობით. მსტისლავი ქართველ დედოფალს, საქართველოდან კიევიში მიმავალს, დნებრის კორომებთან შეეგება და დიდის პატივით მიჰგვარა იგი თავის მამას იზიასლავს; „ В лето 6662 (1154). После Нюслав второе сына своего Мистислава противу матере своей, бе бо пошел из Обез жену сестре цареву дочерь, и спрете ю в порозех приведе ю Кневу, а сам иде в Перемеславль; Нюслав же пою ю себе жене и учини сватую“. (Летопись по Ншатекову Списку, изд. Арх. комисси, 1872 г. გვ. 322).

იზიასლავი ამ ქართველი ქალის შერთვის წელს (1154 წ.) გარდაცვლილა. ქართველ დედოფალს შვილი გაუჩნდა თუ არა სავრთოდ, არავითარი ცნობა არ არის დაცული.

ისე რომ, თუ მსტისლავ იზიასლავს მესთან და მის შთამომავლობასთან მართლა რაიმე კავშირი აქვს დღეს იტალიაში არსებულ გვარს მისტრუცის, მაშინ საუბარი შეიძლება მხოლოდ იმის შესახებ, რომ იტალიელი მისტრუცე რუსეთის ძველ დინასტიის შთამომავლობასთან რიურეკებთან არის გენეალოგიურ იმდენით დაკავშირებული და არა ბაგრატიონებთან.

თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის პოლიტიკოსები, ამის დამტკიცება ჩვენ შეკვიძლია ვოლინელა გემატიანის თხზულებაში დაცული ცნობითაც.

ვოლინელი გემატიანეს თხზულება დაცულია რუსულ მატიანეთა გარკვეულ ნუსხებში XII საუკუნის მიწურულის ამბების გაგრძელების სახით. 1202 წლიდან (მაგალითად. ე. წ. იპატის ნუსხაში და სხვა მის მსგავს ნუსხებში) 1305 წლამდე მოთხრობილი ამბები ვოლინელ გემატიანეთა ნაშრომებიდანაა ამოღებული. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ვოლინსა და გალიჩში 1200 წლიდან დაიწყო მატიანის წერა. სპეციალისტები იმ აზრს გამოთქვამენ, რომ ვოლინის მატიანის დასაწყისი დღეს არსებულ ნუსხებს არ დაუკავს. ვოლინისა და გალიჩის მატიანე ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის ამბებს აღწერს. საქართველო ამ თხზულებაში წახსენებულია ვოლინის და გალიჩის ცნობილი დიდი მთაქრის რომანის (1186—1205) დახასიათებასთან დაკავშირებით.

ვოლინელი გემატიანე რომანს წესხებ მსატერული ენით გადმოგვცემს: „По смерти же великого князя Романа, припомянутого самодержца всея Руси, одолевша всем поганьским языком, ума мудростью хощаще по заповедем божием: устремилася бяше на поганяя яко и лев, сердит же бысть яко и рысь, и губише яко и коршак, и прехожаше землю их яко и орел, крабор бо бе яко и тур. Ревчовавше бо деду своему Мономаху, погубившему поганые измалтяны, рекомыи Половцы, изгнавшю Огрокя во Обезы за железная врата, С рчанови же оставшю у Дону, рыбюю ожившю; тогда Володимер Мономах пва золотом шоломом Дон, и приемшю землю их всю, и загнавшю окаяньные Агаряны. По смерти же Володимера, оставшю у Сырьчана единому гудью же Ореви, посла и во Обезы, река: «Володимер умерла есть, а воротися, брате, поиди в землю свою; молви же ему моя словеса, пои же ему несви Половецкия; оже ти не восхочеть, дай ему поухати зелья именем свшан<sup>1</sup>. Оному же не восхотавшю обратися ни послушаты, и дасть ему зелье: сному же обухавшю и воспакавшю, рече: и да луче есть во своей земле костью лечи, нели напюже славну быти». И прииде во свою землю. От него родившюся Концаку<sup>1</sup>».

<sup>1</sup> Летопись по Шатерскому списку. 1871. гл. 479—480.

ზედმეტი არ იქნება მოტანილი ტექსტის ქართული თარგმანი აქვე დავუთოთ: „მარად დაუვიწყარ, სრულიად რუსეთის თვითშპყრობელი დიდი მთაერის რომანის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც ძლია ყველა უწმინდურ ხალხებს, ბრძნული გონებით ღვთის მცნებებით მავალი, იგი გაემართებოდა უწმინდურებზე ვითარცა ლომი, გულმოსული მათზე ვითარცა ჯიქი, და ანადგურებდა მათ ვითარცა ნიანგი, და გადაივლიდა მათ მიწა-წყალს ვითაცა არწივი, და მამაცი იყო იგი ვითარცა ხარი ველური. იგი ეჯიბრებოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დაღუპა უწმინდური ისმაიტელნი, ყივჩაყებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი აფხაზეთში (საქართველოში) რკინის კარებს იქით, ხოლო სირჩანელნი დონის მახლობლად დარჩენილნი თევზით თავს ირჩენდნენ. მაშინ ვლადიმერ მონომახოსმა შესვა ოქროს მუზარადით დონის წყალი, მიიღო (შემოიერთა) მათი მიწა-წყალი სრულიად და გადარეკა წყეულნი აგარიანნი. ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ სირჩანთან დარჩენილი ერთადერთი მებუკე (სახელად) ორევა გაგზავნა (სირჩანმა) აფხაზეთში (საქართველოში) და დააბარა (ეთქვა ოტროკისათვის): «ვლადიმერი უკვე მკვდარია, დაბრუნდი და მოდი შენს ქვეყანაში. გადაეცი ეს ჩემი სიტყვები მას, უმღერე ყივჩაყური სიმღერები; და უკეთუ არ ისურვოს წამოსვლა, მიეცი მას საყნოსავად ჯადო მწვანილი ევშანი». ხოლო როცა მან (ოტროკმა) არ ისურვა დაბრუნება და არცა მოსმენა, ორევმა მიაწოდა მას ჯადო მწვანილი ევშანი და როცა დაყნოსა იგი. აცრემლებულმა (ოტროკმა) თქვა:

უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩაეწვე (დავიმარხო), ვინემ უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო. და მოვიდა იგი თავის ქვეყანაში. აი ამის შთამომავალია კონჩაი“.

როგორც ვხედავთ, რომანის დახასიათებასთან დაკავშირებით ვოლინელი მემატიანე, მოიგონებს რა ვლადიმერ მონომახს, გადმოგვცემს ყივჩაყებზე ვლადიმერის ლაშქრობის ეპიზოდს და ამასთან დაკავშირებით საქართველოსაც ახსენებს. მემატიანის გადმოცემით, ვლადიმერმა ძლია ყივჩაყთა ტონებს და ერთი მათი ბატონთაგანი სახელად „ოტროკი“ აიძულა საქართველოში გაქცეულიყო.

საკითხის გარკვევისათვის საჭირო იქნება ყივჩაყთა წინააღმდეგ ვლადიმერ მონომახის ბრძოლის ამბები სხვა წყაროების მიხედვითაც გავითვალისწინოთ.



ვლადიმერ მონომახი 1113 წლიდან იქერს კიევის დიდი მთავრის ტახტს, მაგრამ მისი ბრძოლა ყივჩაყთა წინააღმდეგ უფრო ადრე დაიწყო.

ყივჩაყთა პრობლემა XI საუკუნის შუა წლებიდან წამოიჭრა კიევის სახელმწიფოში და იგი მონგოლთა შენოსევანდე გადაუჭრელი დარჩა. ყივჩაყთა თარეშის ლიკვიდაცია რუსეთის ველების პირობებში ძალთა დიდ გაერთიანებას მოითხოვდა. ამის ნაცულად კი რუსეთის სახელმწიფო რღვევის და დაქუცმაცების გზას დაადგა. მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო, რომ რუსეთის სამთავროები ერთიმეორეს ებრძოდნენ, დაუსრულებელი შინა ომები გაჩაღდა ამა თუ იმ ტერიტორიის მემკვიდრეობისათვის. მართალია, იყო შემთხვევები, როცა სამთავროების ერთი ჯგუფი შეკავშირდებოდა, მაგრამ ეს კავშირი ხანმოკლე იყო და ისიც მეორე ასეთივე სამთავროების ჯგუფის წინააღმდეგ იყო მიმართული. ომის დამთავრებისთანავე ეს კავშირი დაიშლებოდა და ახლა ერთიმეორეს დაერღოდნენ. ყივჩაყებს ამიტომაც უაღვიღდებოდათ რუსეთის სამთავროების ძარცვა.

განსაკუთრებით დიდი ძალით შემოუტიეს ყივჩაყებმა რუსეთის სამხრეთ პროვინციებს XI საუკუნის მიწურულში. რუსეთის მთავრებს კარგად ესმოდათ შინაწინააღმდეგობათა მავნე შედეგები ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების საქმეში და გადაწყვიტეს—მოეწვიათ მთავრების ყრილობა. პირველი ასეთი ყრილობა შეიკრიბა 1097 წელს ქ. ლიუბეჩში. მთავრებს შორის რომ შერიგება რეალური ყოფილიყო, ყრილობამ მიიღო პირველი გადაწყვეტილება: „*кождо да держат отчину свою*“—ყველა უნდა დასჯერდეს მამეულს. ამ დებულებით გათვალისწინებული იყო შემდგომი პოლიტიკური ურთიერთობა მთავართა შორის<sup>1</sup>. წინააღმდეგობა-სა საფუძვლის მოსპობა მათი აზრით ქვეყნის ძალებს გააერთიანებდა და ყივჩაყთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობასაც თავი მოებმებოდა. 1103 წლის ყრილობაზე ყივჩაყთა წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყდა და დაიწყო ყივჩაყთა ტერიტორიის სიღრმეში შეჭრა. მემატინანე ამ წლის თარიღით რუსი მთავრების შესახებ აღნიშნავს: „*умыслиша дерзнути пойти в землю их*“. ამ ლაშქრობის ინიციატორი ვლადიმერ მონომახია. რუსეთის მთავრებმა ყივჩაყთა ოცამდე მთავარი მოსპეს და დიდძალი ტყვეთა და ნადავლით დაბრუნდნენ უკან. ეს ბრძოლა დნეპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მომხდარა. ვლადიმერი აღნიშნული გამარჯვებით არ

<sup>1</sup> Б. Д. Греков. Киевская Русь, 1953. გვ. 468—501.

დაქმნაყოფლდა, 1109 წელს მდ. დონეცის მიდამოებში იგი კიდევ დაესხა თავს ყივჩაყებს და დაამარცხა ისინი. რუსებმა არც ეს იკმარეს და 1111 წელს დიდი გაერთიანებული ძალებით ისევ შეუტყვეს, მაგრამ ახლა უკვე ყივჩაყთა საცხოვრებელი ადგილების შუა გულისაკენ აიღეს გეზი. საინტერესოდ აქვს მოთხრობილი ეს ლაშქრობა და მისთვის სამზადისი რუს მემკვიდრეებს.

ვლადიმერი არწმუნებდა კოალიციის წევრებს, რომ ლაშქრობა გაზაფხულზე მოეწყობო. როგორც ჩანს, ამ დროს ლაშქრობა ნოვოლოდნელი იქნებოდა ყივჩაყებისათვის და რუსებს გამარჯვების მეტი გარანტია ექნებოდათ. კიევის მთავრის „დრუჟინა“ ვლადიმერის რჩევის წინააღმდეგ წასულა, იმ მოტივით, რომ გაზაფხულისათვის არც გლეხს ცალია, არც ცხენს და ლაშქრობის გამო სოფლის მეურნეობა დაზარალდება. ვლადიმერს ყველა დაურწმუნებია თავისი გეგმის მიზანშეწონილობაში და გაზაფხულზე წასულან ყივჩაყთა საზანთრო ბანაკებზე თავდასასხმელად. ჯერ მარხილებით, შემდეგ ცხენებით შეიჭრნენ ქ. შარჟკანში 19 მარტს და ხელთ იგდეს ეს ყივჩაყთა პირველი ქალაქი. მაშასადამე, მდ. დონეცის მიდამოებში აიკლეს. მხოლოდ 24 მარტს მოახერხეს ყივჩაყებმა ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწყობა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ, მათი წინააღმდეგობა შეწყდა, რუსი მთავრები აუარებელი ტყვეთა და ნადავლით უკან გაბრუნდნენ.

1113 წლიდან ვლადიმერი კიევის ტახტზე მიიწვიეს და, მან კიევის სახელმწიფოს გაერთიანება შეძლო, რის გამოც ყივჩაყთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1116 წელს იაროპოლკი გაიგზავნა ყივჩაყთა წინააღმდეგ; იგი კვლავ შეიჭრა მათ ადგილ-სამყოფელის ცენტრში, სამი ქალაქი აიკლო და ტყვეთა და ნადავლით დაბრუნდა. 1120 წელს იაროპოლკი ისევ წამოვიდა ყივჩაყეთის ასაკლებად, დონეც გადმოიარა, მაგრამ ყივჩაყები ვერ იპოვნა და უკან დაბრუნდა<sup>1</sup>. 1125 წელს ვლადიმერ მონომახნი გარდაიცვალა და კიევის სახელმწიფო ისევ შინათამლის არენად იქცა. ყივჩაყთა თარეშის პრობლემა ისევ დგება რუსეთის სამთავროების საგარეო პოლიტიკის დღისწესრიგში და მონგოლთა შემოსევამდე იგი გადაუჭრელი რჩება.

ახლა, თუ ჩვენ XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ვოლინელი ნატიანის ცნობა საყურადღებო ამბავს შეიცავს.

<sup>1</sup> რუსი მთავრების ყივჩაყებზე ლაშქრობის შესახებ იხ. Н. Арсенов. О земле половцев, 1877 г. აგრეთვე, Соловьев, ტ. I, გვ. 340—346 და 357.

ვლადიმერ მონომახის თანამედროვე მეფე საქართველოში დავით აღმაშენებელია (1089—1125). დავითის ისტორიკოსი გვამცნობს: „ამან (დავით)... განიზრახა სივრცითა გონებისათა რანეთუ სხუებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავთა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმკნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასაქირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თუისისა. ამათ თანა და უადვილეს იყუნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა, რამეთუ მრავალთა წელთა მიერ მოეყვანა კუალად სანატრელად და განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარადანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თუისად, დედოფლად ყოვლისა საქართველოსა. ამისთუისცა წარაელინნა კაცნი ყოვლისა საქართველოსა სარწმუნონი. და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თუისსა. ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთუისცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს. და სიტყუასავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თუისი... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს ოვსეთის მეფენი... და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანე, ოვსთა და ყივჩაყთა... და ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა. და აიხუნა ციხენი დარიელისნი და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასისა მთისანი. შექმნა გზა მშვიდობისა და სიმანრი და ცოლის ძნანი თუისნი არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი... ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათთა მარჯუეთა დედა წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორნოცი ათასი... და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი მმართველნი“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი აქ დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა მთელი ტომის საქართველოში გადმოსახლების ფაქტს გადმოგვცემს. იბადება კითხვა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ვოლინელი მემკტიანე ერთსა და იმავე ფაქტს ხომ არ აგვიწერენ? უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს დავით აღმაშენებლისა და ვლადიმერ მონომახის ცხოვრების თარიღები. ისინი XI საუკუნის უკანასკნელი ათეული წლიდან 1125 წლამდე მოღვაწეობენ, ამ წელს გარდაიცვალა ორივე.

როგორც აღნიშნული იყო, 1120 წელს ვლადიმერ მონომახის მიერ გამოგზავნილი იარაპოლკი ყივჩაყებს დაეძებს მათ სამ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფ. ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ., გვ. 213—214.

ყოფელ მიდამოებში, მაგრამ ვერ პოულობს. აკად. ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით (რუსულ წყაროების მოშველიების გარეშე) საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლება უნდა მომხდარიყო 1118—1120 წლებს შორის<sup>1</sup>. განსვენებული მეცნიერის ანგარიში რომ სწორი უნდა იყოს, იქიდანაც აშკარად მტკიცდება, რომ 1116 წელს იარაღოლკი ყივჩაყების ასაკლებად როცა მოვიდა, ისინი მან თავის ადგილზე იპოვა.

მაშასადამე, თარიღები ისეთ სურათს იძლევა, რომ ვოლინელი მემატიანე ზემოთ დამოწმებულ ტექსტში სწორედ დავით აღმაშენებლის დროის საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყებზე გვიამბობს, მაგრამ აზრის ნათელსაყოფად რუსი მატჩიანისა და ქართველი ისტორიკოსის ნაშრომში მოხსენებულ ყივჩაყთა მთავრის საკუთარი სახელის შედარებაა საჭირო.

ვოლინელი მემატიანე ამბობს, რომ მონომახის მიერ „რკინის კარებს“ იქეთ განდევნილ ყივჩაყთა მთავარს „ოტროკი“ ერქვაო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ყივჩაყთა „უმთავრესს“—დავითის სიმამრს ათრაქა შარალანის-ძე ერქვაო. დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ რუსულ წყაროში მოხსენებული „ოტროკი“ ქართველი ისტორიკოსის „ათრაქა“ არის. მაგრამ ქართულ წყაროში „ათრაქას“ მამის სახელიც არის დაცული, მას „შარალანი“ რქმევია. ვოლინელი მემატიანე „შარალანს“ და საერთოდ „ოტროკის“ მამას არ იხსენიებს. მაგრამ რუსული მატჩიანის ერთ ცნობაში, სადაც 1107 წლის ამბებია მოთხრობილი და რუსეთის მიწაწყალზე ყივჩაყთა მთავრების გამოლაშქრებაზეა საუბარი, აღნიშნულია: „Прииде Боняк и Шарукан старыи и ииши князи мнози и сташа около Лубна“<sup>2</sup>. მაგრამ ვლადიმერ მონომახს და გაერთიანებულ სხვა რუს მთავრებს შეუტევათ და მტერი სასტიკად დაუმარცხებიათ: „Половцы.. побегоша хватаючи конии, а друзии пеши побегоша.. Шарукань одва утче“<sup>3</sup>.

ქართული „შარალანი“, ათრაქას მამა, რუსულ მატჩიანეში მოხსენებული „შარუკანი“ უნდა იყოს. როგორც ზემოთ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, „შარუკანი“ მოხსენებულია „Старыи“ თ და, მართლაც, ათრაქა თუ დავითის სიმამრი იყო, ამ ათრაქას მამა შარალანი მოხუცებული უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 516.

<sup>2</sup> Летопись по Ипатск. сп. 1871. გვ. 186.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 187.

არაა გამორიცხული, რომ რადგან რუსი მემატიანე „შარუკანს“ „სტარის“ უწოდებს „შარუკანის“ სახელწოდებით მეორე მთავარიც ყოფილიყო, რომლისგან განსასხვავებლად რუს ავტორს სჭირდებოდა ერთისთვის „სტარი“ ეწოდებინა, მაგრამ დავით აღმაშენებლის სიმაძრის მამა არა გვეგონია ახალგაზრდა ყოფილიყო და ამიტომაც უფრო მისაღებია, რომ „ათრაქა შარალანის-ძე“ იმ „შარუკანის“ შვილი იყოს, რომელიც ტყვეობას ძლივს გადაურჩა 1107 წლის ბრძოლაში. ამ შარუკანის სახელი ერქვა ყივჩაყების მთავარ ქალაქსაც. ყივჩაყთა მთავარი ქალაქის სახელი ხომ იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რა ერქვა თვით მთავარს. ამრიგად, ვოლინელი მემატიანის ცნობაში მოხსენებული საკუთარი სახელი მშვენივრად უდგება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენებულ ყივჩაყთა მთავრის საკუთარ სახელს.

მაგრამ მარტო ამ შესატყვისი მომენტების დადგენით არ ამოიწურება ვოლინელი მემატიანის ცნობის მნიშვნელობა ჩვენთვის. რუსი მემატიანე არა მარტო ადასტურებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას საქართველოში ყივჩაყთა გადმოსვლის შესახებ, არამედ საშუალებას გვაძლევს ავხსნათ და ყოველმხრივ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მოახერხა დავით აღმაშენებელმა თანხმობის მიღება ყივჩაყებისაგან მათი საქართველოში გადმოსახლების შესახებ.

ქართველი ისტორიკოსი, მართალია, მთელ რიგ მომენტებს ასახელებს იმის ასახსნელად, თუ როგორ შეძლო დავითმა ყივჩაყთა გადმოყვანა. პირველ რიგში იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის ქალი. შემდეგ აღნიშნავს, რომ დავითმა უზრუნველყო ოსების მთავრებთან ყივჩაყების შერიგება და ამით საქართველოში ყივჩაყთა გადმოსასვლელად გზა უშიშარი გახადა. რა თქმა უნდა, ეს ორი პირობა ხელს უწყობს დავითს მისი გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში. მაგრამ ყივჩაყთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტომის მთლიანად გადმოსახლება დავით აღმაშენებლისა და ათრაქა შარალანის-ძის მხოლოდ ნათესავური დამოკიდებულებით ვერ მოხერხდებოდა, მიუხედავად დავით აღმაშენებლის დიდი პოლიტიკური გამჭვირახობისა.

რუსული მატიაანის ცნობა უფრო ნათელს ფენს ამ საკითხს. რუსი მთავრების, კერძოდ, ვლადიმერ მონომახის მიერ ორგანიზებული სისტემატური თავდასხმები ყივჩაყებზე იძულებულს ხდის ყივჩაყთა ტომს საქართველოში ეძიოს თავშესაფარი და ქართველი მეფის ლაშქარში სამსახური იკისროს.

დავითს რომ ყივჩაყთა მთავრის ქალი ჰყავდა, ეს ფაქტი უდავოდ ხელს უწყობდა ყივჩაყთა გადმოყვანის მოწყობას; ოსებთან გარკვეული დამოკიდებულების დამყარებაც უდავოდ დიდი საქმე იყო, მაგრამ რუსების თავდასხმების გარეშე საეჭვოა, რომ ყივჩაყთა მთელი ტომის გადმოყვანა მოეხერხებინა დავითს. ყივჩაყთა რაზმების დაქირავებას შესაძლებელია ის ადვილად აგვარებდა მანამდეც, მაგრამ მთელი ტომის აყრას და წამოყვანას ზენოხსენებული პირობების გარეშე ვერ მოახერხებდა.

საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დაებადა დავითს ყივჩაყთა გადმოსახლების იდეა. ქართველი ისტორიკოსი აღნიშნავს, თითქოს დავით აღმაშენებელმა დაინახა, რომ მისი საბრძოლო გეგმებისათვის საქართველოდან გამომავალი ჯარი ოდნავადაც საკმარისი არაა და გადაწყვიტა ყივჩაყთა გადმოყვანა, რისთვისაც ყივჩაყეთში ელჩები გაგზავნაო.

ისტორიკოსი წერს: „ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიმართ წყალობათა, ძლევათა და განარჯუებათა თუისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა ეგრე იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომი დამპირველად, და კუალად თუით მის თანა მყოფად, და მოლაშქრედცა კმა ეყუნეს დაუცხრომლად მინოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ“<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნართალი უნდა იყოს იმაში, რომ დავით მეფეს მისი გეგმებისა და ამ გეგმების განსახორციელებლად არსებულ ძალას შორის შეუსაბამობა უნდა დაენახა. მაგრამ კითხვა იბადება, რატომ 1118 წლამდე არ მოუვიდა აზრად ყივჩაყთა გადმოყვანა საქართველოში, განა მანამდე ვერ გრძნობდა დავითი დახმარე ლაშქრის საკიროებას? პირიქით, 1118 წლამ ძე უფრო უჭირდა დავითს. ყივჩაყთა მთავრის ასულიც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დიდი ხანია, რაც საქართველოს ჩეფის სასახლეში იმყოფებოდა დედოფლად: „რამეთუ მრავალთა წელთა მიერ მოეყვანა... გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა... დედოფლად ყოვლისა საქართველოსაო“.

ეს გარემოება თითქოს იმას უნდა გვეუბნებოდეს, რომ საქართველოს მმართველ წრეებში საკმაოდ ინფორმირებული უნდა ყოფილიყვნენ, თუ რა ხდებოდა ჩრდილოეთში. ყივჩაყთა გამოუვა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლ. ნუსხა. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გ ა მ ო ც , 1942. გვ. 213.

ლი მდგომარეობა, შექმნილი რუსი მთავრების შემოტევებით, საქართველოში უნდა ცოდნოდან, ამბები სისტემატურად მოდიოდა, ალბათ, საქართველოში ყივჩაყთა მიმოსვლის შედეგად. ქართველი ისტორიკოსი გარკვევით გვეუბნება, რომ საქართველოში ყივჩაყთა გადმოსვლამდე დავითმა მშენიერად იცოდა ყივჩაყთა ტომის თვისებებით: „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავთა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმკნე. სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასაქირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თუისისა“<sup>1</sup>.

ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ დავითის დროს ყივჩაყებთან, 1118 წლამდეც, სისტემატური ხასიათის ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. გურანდუხტ დედოფლის საქართველოში მოსვლის შემდეგ მაინც არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ყივჩაყთა მცირე რაზმი 1118 წლამდეც დაქირავებული ჰყოლოდა დავითს. ჩვენ არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა დავითი თავის დროზე, როცა ყივჩაყთა მთავრის ასულს ცოლად თხოულობდა. შესაძლებელია, მას ამ ქორწინებით იმთავითვე გაანგარიშებული ჰქონოდა ყივჩაყთა მცირე რაზმების დაქირავების შესაძლებლობა, მაგრამ ამის შესახებ წყაროები არაფერს გვეუბნება. ჩვენს ისტორიაში საკმაოდ ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელს რაღაც არასასიამოვნო ამბები მოსვლია ოჯახში, მას პირველად თითქოს სომეხი ქალი ჰყოლია ცოლად და შემდეგ მასთან გაყრილი დავითი ყივჩაყთა მთავარს დანოყვრებია. ეს მომენტი თითქოს უნდა მოჩანდეს დავითის „გალობანი სინანულისანი“: „მებრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ ხენვეითა ვმძლავრე საწოლსა ჩენსა“<sup>2</sup>. მაგრამ დანამდვილებით იმის გარკვევა, თუ რა მოხდა დავითის ოჯახში და რით იხელმძღვანელა მან ყივჩაყთა ასულის შერთვის დროს, არ ვიცით. ერთგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ისეთი წინადადებაა, რომ დავითს მეორე მეუღლეც უნდა ყოლოდა თითქოს. იქ, სადაც ლაპარაკია ყივჩაყთა მთავრის ასულზე, ისტორიკოსი წერს: „მოეყვანა კუალად სანატრელად და განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უნთავრესისა ათრაქა შარალანისისა, სჯულიერად მეუღლედ თუისად დედოფლად ყოვლისა სა-

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვება, ანა დედოფ. ნუსხა. სვ. ყაუხ ჩი შვილის გამოც., 1942 წ., გვ. 213.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 541.

ქართველოსა ო<sup>1</sup>. აქ ყურადღებას იქცევს სიტყვები—„სჯულიერი მეუღლე“. რა საპირო იყო ამ მომენტის ხაზგასმა ისტორიკოსის მიერ? ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავითს „არასჯულიერი“ მეუღლეც ჰყავდა, ან შეიძლება ვინმესთვის სადავო იყო გურანდუხტის სჯულიერობა, თუკი ამაზე ადრე დავითს სომეხი ქალი ჰყავდა ცოლად.

მაგრამ აქ უფრო ის უნდა მოჩანდეს, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით მართლმადიდებელ ქრისტიანს წარმართზე დაქორწინება აკრძალული ჰქონდა და გურანდუხტი რაკი წარმართი იყო, ჯერ უნდა მონათლულიყო და შემდეგ სჯულიერი მეუღლე შეიძლებოდა გამხდარიყო<sup>2</sup>.

ამრიგად, ჩვენ ზემოთ ისეთ დასკვნამდე მივედით, რომ, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელი და მისი თანაგანმზრახნი 1118 წლამდე ყივჩაყთა მდგომარეობას უნდა იცნობდნენ და ყივჩაყთა გადმოსახლების იდეა ქართველ პოლიტიკოსებს შორის ამას უნდა წარმოეშვა. ასეთი წინასწარი ინფორმაციის გარეშე ყივჩაყთა გადმოსახლების მიზნით დელეგაციის გაგზავნა არაბუნებრივად და არანორმალურად უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ ყივჩაყებს დავითი საქართველოში გასეირნებას კი არ თავაზობდა, არამედ შორჩილებას, ქვეშევრდომობას და ყმობას. საქართველოს პოლიტიკოსებისათვის ყივჩაყთა შევიწროებული მდგომარეობა გამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო იმის სავარაუდოდ, რომ მთელი ტომის გადმოსახლების შესახებ წინადადება დადებითად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. საქართველოში რუსეთის ამბებიც ყივჩაყთა მეშვეობით ცნობილი უნდა ყოფილიყო ყივჩაყთა გადმოსახლებამდე.

ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყთა გადმოსახლების ინიციატივა თვითონ დავითს ეკუთვნის, პირველად დავითს გაუგზავნია „კაცნი ყოვლისა საქართველოსა სარწმუნონი“. ყივჩაყებს სიხარულით მიუღიათ დავითის წინადადება და გადმოსასვლელი გზის მშვიდობიანობა უთხოვიათ. როდესაც დავითს თანხმობის ამბავი მოსვლია, პირადად, მწიგნობართუხუცესის თანხლებით, ოსეთში გადასულა და ყივჩაყთათვის მშვიდობიანი გზა უზრუნველუყვია.

ყივჩაყთა მთელი ტომი საქართველოში გადმოსულა. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ყივჩაყთა ტომს გადმოყვა დავითის სიმამრი ყივჩაყთა ტომის ბელადი ათრაქა შარალანის-ძე, რუსული

<sup>1</sup> ქართლ. ცხვ., ანა დედოფ. ნუსხა, სვ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 213.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლ. ისტ. წ. II, ნაკვ. II, გვ. 368.



ცნობით იგივე „ოტროკი“. ამას გარდა, დავითის ცოლისძმანიც — ათრაქას ვაჟიშვილები, აგრეთვე საქართველოში წამოსულან.

ახლა გამოსარკვევია, რა ადგილებში ცხოვრობდნენ საქართველოში გადმოსახლებამდე ათრაქა შარალანის-ძის ხელქვეითი ყივჩაყები.

რუსულნი მატიანების ცნობის მიხედვით, საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყთა ტომს აღრე მდ. დონეცისა და დონის შუა ადგილებში უნდა ეცხოვრა. ამის დამამტკიცებელია ქ. შარუჯანი, რომელიც მდებარეობდა დონეცის მარცხენა ნაპირზე<sup>1</sup>. შარუჯანი ქალაქს ჰქვია ყივჩაყთა იმ მთავრის სახელის მიხედვით, რომელიც ჩვენ ათრაქას მამად მივიჩნიეთ — „შარუჯან სტარი“.

თვით ჩვენ მიერ ვოლინელი მემატიანის ზემოთ მოტანილ ტექსტიდანაც ჩანს, რომ ვლადიმერ მონომახის გმირობა, „დონის წყლის ოქროს მუზარადით შესმა“, იმას გულისხმობს, რომ მან ყივჩაყები ამ მხარეში დაამარცხა და აქედან განდევნა<sup>2</sup>. რუსულ მატიანეებში დონეცს დონი ეწოდება. იაროპოლკი 1120 წელს ყივჩაყთა ადგილსამყოფელს რომ „ეწვია“ დასარბევად, მას ისინი ადგილზე აღარ დახვდა. მატიანეში აღნიშნულია, რომ იაროპოლკი მეორე დონამდე გადმოვიდა და ყივჩაყები არსად ჩანდნენო. რა თქმა უნდა, დონეცის მიდამოებში მყოფი ყველა ყივჩაყი ათრაქა შარალანის-ძის ხელქვეითი არ ყოფილა და არც საქართველოში წამოსულა. ვოლინელი მემატიანის ცნობიდანაც აშკარად ჩანს, რომ ერთი ტომი, რომელსაც სირჩანელი ეწოდებოდა მათი ბელადის სირჩანის სახელწოდების მიხედვით, სადღაც მდ. დონის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმობარგებულა და დონთან თევზით ირჩენდა თავსო: „Срчановы же оставшю у дому рыхию жившаю“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტომს თარეში ვერ გაუბედავს და არსებობის სხვა სახსარი კი არ ჰქონია.

ქართველი ისტორიკოსის ცნობიდან არ ჩანს, როდემდე დარჩა ათრაქა შარალანის-ძე საქართველოში ან რა მოუვიდა მას. ვოლინელი მემატიანე გვაუწყებს, რომ სირჩანის წინადადებით ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების შემდეგ ათრაქა ისევ ყივჩაყთაში დაბრუნდა. ვლადიმერი 1125 წელს გარდაიცვალა. ამავე წელს გარდაიცვალა დავითიც. შესაძლებელია, მართლაც, დავითის გარდაცვალების შემდეგ ათრაქას საქართველოში აღარ მოეცადოს. ყივჩაყთა

<sup>1</sup> И. Аристов, О земле пеловецкой, გვ. 9.

<sup>2</sup> А. Пресняков, Лекции по русск. ист., 1938, გვ. 145.

საერთო მდგომარეობაც გაუმჯობესდა, ვლადიმერის შემდეგ რუსეთი კვლავ შინათაშლილობამ მოიცვა.

მაგრამ, თუ ათრაქა ყივჩაყეთში წავიდა, ყივჩაყთა ტომი, რა თქმა უნდა, საქართველოში დარჩა. ეს ცხადი ხდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან და თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ნაშრომიდან. ვოლინელი მემატრიანეც არაფერს ამბობს საქართველოში გადმოსულ ყივჩაყთა ტომის ყივჩაყეთში დაბრუნების შესახებ. ვოლინელი მემატრიანის ცნობით ისე გამოდის, რომ ათრაქა საქართველოში ძალიან კარგად გრძნობდა თავს და არცთუ ისე ადვილად გადაწყვეტდა სამშობლოში დაბრუნებას. იგი პირადად, ალბათ, მცირე ამალის თანხლებით დაბრუნდა ყივჩაყეთში სირჩანთან. ვოლინელი მემატრიანის ცნობიდან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ სირჩანი უნდა იყოს ათრაქას ნათესავი, შესაძლებელია ძმაც.

ვოლინელი მემატრიანის ცნობით, ყივჩაყთა მთავარი „კონჩაკი“ უნდა იყოს ათრაქას შვილიშვილი, რომელიც XII საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან თავდასხმებს აწყობს რუსეთის სამთავროებზე. ათრაქას შთამომავლობას სამოცდაათიან წლებში რომ ყივჩაყთა ლაშქარი ახლავს, ალბათ სირჩანის ტომი უნდა იყოს. გვაროვნული წყობილების რღვევის საფეხურზე მყოფ ყივჩაყებში ათრაქა, თავისი ამალით საქართველოდან დაბრუნებული, დონის მიდამოებში მყოფ სირჩანელთა ტომში ისეთივე სრულუფლებიანი წევრი და ბელადი უნდა ყოფილიყო, როგორც თვით სირჩანი.

საქართველოში მყოფი ყივჩაყები კი გაქრისტიანებულან და, რა თქმა უნდა, იმავე დროს ისინი გაქართველებულან. დავით აღმაშენებელი ამას ვერ მოესწრო, მაგრამ მისი ისტორიკოსი, როგორც ამ უკანასკნელის სიტყვებიდან ჩანს, ამ პროცესს, — მის ერთ ეტაპს, — მოესწრო: „და თუით ყივჩაყნიცა უმრავლესნი, ქრისტიანე ქმნილნი დღითი დღე შეეძინებოდა სიმრავლე ქრისტიანე“<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებლის და მისი მრჩეველების პოლიტიკური გამჭრიახობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს გარეთ მიმდინარე პროცესებს. მათ შესანიშნავად შეაფასეს ჯერ საქართველოს სამხრეთ დასავლეთით ჯვაროსნული ომების შედეგად წარმოშობილი მოვლენები, შემდეგ, როგორც დაგინახეთ, ჩრდილოეთით მიმდინარე ამბები და თავიანთი გეგმები ამ პროცესების სწორად შეფასების საფუძველზე ააგეს.

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვრ., ანა დედოფ. ნუსხა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გ ა მ ო ც .  
1942 წ., გვ. 214.

ყივჩაყთა გადმოსახლება „ალალ-ბედზე“ მომხდარი შემთხვევა კი არაა დავითის მოღვაწეობაში, არამედ გეგმაზომიერი, წლების მანძილზე წინასწარ მიღებული იმფორმაციით, ყივჩაყთა მდგომა-რიობის შესწავლით გამომუშავებული ღონისძიებაა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი რომ ჩვენ ცნობას გვაწე-დის დავითის მიერ საიდუმლო ინფორმაციების ორგანიზაციის მო-წყობის შესახებ, იმის მაჩვენებელია, რომ დავითი მარტო შინაურ ამბებს კი არ ადევნებდა თვალს, არამედ თავის სახელმწიფოს გარეთ მიზდინარე მოვლენებსაც უთვალთვალებდა, მას საამისო ორგანიზაცია უნდა ჰქონოდა და თავის სახელრო გეგმებს მიღე-ბული ცნობების შესწავლით ადგენდა. ამ საქმის ორგანიზებაშიაც არის დავითის დამსახურება ფეოდალურ საქართველოს სახელმწი-ფოს წინაშე.

ამრიგად, ვოლინელი მემატიანისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებებში დაცული ცნობების ანალიზით შენ-დეგ დასკვნებამდე მივდივართ:

1. რუსულ წყაროში მოთხრობილი ამბავი, ვლადიმერ მონო-მახის მიერ ყივჩაყთა ტომის და მათი ბელადის „ოტროკის“ სა-ქართველოში განდევნის შესახებ, წარმოადგენს იმავე ფაქტის აღ-ნუსხვას, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს მოთხრობი-ლი, ყივჩაყთა ტომის და მათი ბელადის ათრაქა შარალანის-ძის საქართველოში გადმოსახლების შესახებ.

2. საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებამდე საქართველოს პოლიტიკოსები თვალყურს ადევნებდნენ და სწავლობდნენ თუ რა ხდებოდა ყივჩაყეთში რუსი მთავრების შემოტევების შედეგად. ამის შედეგი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ინიციატივა საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლების შესახებ.

3. იმ დროის რუსეთის მოწინავე წრეებიც საქმის კურსში იყვნენ, თუ რა ხდებოდა საქართველოში; ამის დასაბუთებას წარმოადგენს ვოლინელი მემატიანის თხზულებაში დაცული ცნობა. ვოლინელი მემატიანე XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ავტო-რია, მაკრან იგი XII საუკუნის პირველი მესამედის რუსული ცნო-ბებით სარგებლობს.

4. XII საუკუნეში, ქართველ დედოფალზე იზიასლავ-მსტის-ლავის ძის დაქორწინებამდე (1154 წლამდე), ჩრდილოეთის გზისა და რუსეთის შესახებ საქაო წარმოდგენა ჰქონიათ საქართველოში

და ასევე რუსეთში საქართველოს შესახებაც. ხოლო ამ ორ ხალხს შორის შუამავალ ინფორმატორად. ერთი მხრივ, ყივჩაყეთი უნდა მივიჩნიოთ.

5. თამარ მეფის საქმრო, რუსი უფლისწული, ქართველებმა რომ ყივჩაყეთში აღმოაჩინეს, შემთხვევითი ფაქტი კი არ იყო, არამედ ყივჩაყეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგი. ამავე ყივჩაყების საშუალებით ქართველები იმდროინდელ რუსეთსაც ეცნობოდნენ.

---

## სწოგბჟი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის მონგოლთა ბავონობის პერიოდში

ქართული ძეგლებიდან საქართველოს XIII საუკუნის ამბები-ჯერჯერობით ჟამთააღმწერელის თხზულებამ შემოგვინახა. ჟამთააღმწერელი XIV საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები პირია და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, იგი XIII საუკუნის ამბების აღწერის დროს ამ საუკუნის ქართულ და უცხო საისტორიო თხზულებებით სარგებლობდა. მას ხელთ ჰქონია როგორც ქართული, ისე ირანული და მონგოლური წყაროებიც.

ჟამთააღმწერელის წყაროები ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. მისი თხზულებიდან ჩანს, რომ XIII საუკუნის მეორე მეოთხედის ამბების მოსათხრობად, სხვა წყაროებს გარდა, მას „ვინმე ბერი მღვიმელის“ ნაშრომიდან ამოუკრებია ცნობები, ხოლო ამავე საუკუნის მესამე მეოთხედის მოვლენების აღწერისას თავის წყაროდ იგი ვილაც „ყოველთა აღმწერელის“ თხზულებასაც ასახელებს<sup>1</sup>. ამას გარდა, ჟამთააღმწერელს სხვა წყაროებიც უნდა ჰქონოდა და, თუ ამათგან ყველას არ ასახელებს, საფიქრებელია, იმიტომ რომ მის დროს გამოყენებული წყაროების დასახელება ნაშრომში სრულიადაც სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ამბები უმთავრესად ქართული წყაროებით უნდა ჰქონდეს დამუშავებული, მაგრამ იქ, სადაც მონგოლებზე და მათ დაპყრობით ომებზეა საუბარი, იგი უცხო წყაროებით უნდა სარგებლობდეს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მონგოლების შესახებ ქართული ძეგლები არ არსებობდა.

თვითონ ჟამთააღმწერელის თხზულებიდან ჩანს, რომ მას ხელთ უნდა ჰქონოდა XIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ისეთი ნაშრომი, სადაც მონგოლთა ამბები უნდა ყოფილიყო აღწერილი. ერთგან ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს, რომ ჩინგიზ ყანს უხუცესი ცოლისაგან შვილი ჰყავდა და მას „თუბის“ ერქვა.

<sup>1</sup> ჟამთააღმწერელის და მისი წყაროების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 204—209.

მაგრამ ქართველები მას „ჯოჩის“ უწოდებდნენ: „ამა ჩინგიზ ყაენ-სა ცოლნიცა მრავალნი ესხნეს, და შვილნიცა. უხუცესის ცოლის სევიჯისაგან ესვა შვილი, რომელსა ერქვა თუბის რომელსა ქართულნი ჯოჩიდ უქმობდენ“<sup>1</sup>.

მეორე ადგილზე, იქ სადაც ჩინგიზ ყაენის მიერ საქართველოსაკენ პირველი ლაშქრობის მოწყობის შესახებ აქვს საუბარი, ის აღნიშნავს, რომ ჩინგიზ ყაენის ამ ლაშქარს ორი ხელმძღვანელი ჰქავდა და ამათ „იამა“ და „სალპიანი“ ერქვათ, მაგრამ ქართველები „სება-ჯებობით უწოდდეს“<sup>2</sup>. XIV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის, საფიქრებელია, მის ხელთ არსებულ XIII საუკუნის ქართული ძეგლებიდან უნდა კრებდეს ამ ცნობებს. როგორც ჩანს, ნონგოლთა ისტორიის გადმოცემისას ქართული ლიტერატურა ქართული წყაროები არ აკმაყოფილებს და უცხო, ვრცელი წყაროებით ავსებს თავის ნაშრომს.

ამ გარემოებას ჩვენ განსაკუთრებით იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ ქართული ლიტერატურის თხზულებაში რუსეთი მოხსენიებულია სწორედ მონგოლთა პირველი და მეორე შემოსევის ამბებთან დაკავშირებით და ჩვენ გვინტერესებს XIV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ქართული ძეგლებიდან იღებს რუსეთის შესახებ ცნობებს, თუ უცხო წყაროებიდან.

თვითონ ქართული ლიტერატურის თხზულებიდან ამისი გარკვევა მეტისმეტად ძნელია, მაგრამ ერთი რამ სადავო არაა, რუსეთის შესახებ არსებული ცნობები, რომელნიც ქართული ლიტერატურა აქვს მოცემული, თავისუფლად შეიძლება მიიღოს და თავის თხზულებაში შეეტანა XIII საუკუნის ქართველ კულტურულ მოღვაწეს.

აღმოსავლეთ ევროპასა და მცირე აზიაში მონგოლთა გაბატონების (ე. ი. 1240 წლის) შემდეგ საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის დამპყრობი მონგოლთა ნოინები, როგორც ჩანს, ახლად დაარსებულ ოქროს ურდოს ყაენს, ჩინგიზ ყაენის შვილიშვილს, ბათოს ემორჩილებოდნენ და დირექტივებს მისგან ლებულობდნენ.

როდესაც საქართველოს მეფემ რუსუდანმა და მისმა დიდებულებმა ბრძოლაში დამარცხების შემდეგ მონგოლებს ემორჩილება განუცხადეს და საქართველოს დამპყრობელ მონგოლთა ნოინის წინაშე ავაგ ათაბაგი წარიგზავნა მორჩილების

<sup>1</sup> ქართლის ცხოვ. კიპ. გამოც., წ. II, გვ. 503—504.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 504

გამოსაცხადებლად, ნოინს იგი „ტკბილად“ მიუღია, მაგრამ მას ავაგი შემდეგ ბათო ყაენთან გაუგზავნია. ქაბთაადმწერელი აქ ბათოს შესახებ შენიშნავს: „რომელი იყო მას ჟანსა უმთავრესი ყაენთაო“.

როდესაც დასავლეთ საქართველოში შეხიზნული რუსუდან დედოფალი მონგოლებთან მშვიდობიანობის დამყარების შეწყდეგ თბილისში გადმოსულა და თავისი შვილი, დავით მეფე, ნოინთა მოთხოვნით მორჩილების ნიშნად მათთან წარუვლენია, ნოინებს ბათო ყაენთან დავითის წარგზავნა აუცილებლად მიუჩნევიათ. დავით რუსუდანის ძე თავისი მხლებლებით ბათოსთან მიუყვანიათ და ორი წელი იგი ბათოს კარზე დარჩენილა, ხოლო შემდეგ ყარაყორუმს მთავარ ყაენთან გაუგზავნიათ. ასევე მოქცეულან ავაგ ათაბაგის მიმართაც<sup>1</sup>.

როდესაც რუსუდანი გარდაცვლილა და საქართველოში სამეფო ტახტზე ასაყვანი მემკვიდრე არავინ იყო (დავით რუსუდანის ძე შორეულ აღმოსავლეთში იწყოფებოდა, იმავე დროს საქართველოში არავითარი ცნობა არ ჰქონდათ დავითი ცოცხალი იყო თუ არა), გამონახეს ლაშა გიორგის „უქანონო“ შვილი, რომელსაც აგრეთვე დავითი ერქვა და ქართველმა დიდებულებმა მისი გამეფება მოინდომეს. მაგრამ აქაურმა ნოინებმა მისი დამტკიცება და საქართველოში გამეფება ბათო ყაენის სანქციის გარეშე არ დაუშვეს და ეს დავითიც ბათოსთან გაისტუმრეს. ხოლო იქიდან შემდეგ ისიც ყარაყორუმში მიავლინეს მთავარ ყაენთან.

მაშასადამე, მთავარი საკითხების გადაჭრა ადგილობრივი ნოინების კომპეტენციაში არ შედიოდა, იგი ჯერ ბათო ყაენს უნდა განეხილა და ანის შემდეგ ყარაყორუმს უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად. ოქროს ურდო, მაშასადამე, ის სამეფო კარი იყო, სადაც ქართველი ხელისუფალნი ამა თუ იმ საკითხებზე ლულებებს გამოითხოვდნენ. ყარაყორუმში მისგლაც, პირველ ხანებში მაინც, ოქროს ურდოს მეშვეობით შეეძლო ქართველ ხელისუფალს.

როდესაც მონგოლებმა ორი დავითი—რუსუდანის ძე და ლაშა გიორგის ძე, ერთ ტახტზე ერთად დასვეს და მას შემდეგ, რაც მათ შორის საქართველოს განაწილება მოხდა, აღმოსავლეთ საქართველოს მფლობელი ულუ დავითი ლაშას ძე ბათო ყაენთან გამგზავრებულა: „და წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე, ხოლო მან პატივით შეიწყნარა და ყოველი სათხოველი აღუსრულა და იყოფოდა მეფე

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვრება. კიკინაძის გამოცემა, გვ. 539—540.

ბათოსა ჟამთა მრავალთა, და თითოეული თემის-თემისა ადგილსა თითოეულსა კაცსა შევედრის<sup>1</sup>.

რუსუდანისა და მისი შვილის დავითის მიერ ხელმოწერილ: ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ აბულახტარის ძისადმი ბოძებულ, სიგელში ვკითხულობთ: „ესე დაწერილი მე ულირსმან არსენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმან დაგიწერე ჩემსა ჭყონდიდისა ქონებასა შიგან შენ აბულახტარის-ძესა მგელასა... მას ჟამსა ოდეს განზრდელმა ჩემმა...მეფეთ მეფემა რუსუდან ბათოსსა გამგზავნეს სამსახურადო“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ მხარეებში მონგოლთა დამკვიდრების-თანავე საქართველო ბათო ყაენის ტახტს ექვემდებარებოდა. ოქროს ურდოს მბრძანებელს—ბათოს პირველ რიგში რუსეთის მთავრები ემორჩილებოდნენ და ყოველწლიურად მის კარზე იყრიდნენ თავს. წარმოუდგენელია, რომ ბათო ყაენის კარზე მყოფი ქრისტიანი ხელისუფალნი და მათი თანაგანმზრახნი, ქართველი მეფეები და რუსი მთავრები საერთო უბედურებით, ერთიმეორეს ხედრით არ დაინტერესებულყვნენ და მონგოლთა ბატონობის გეოგრაფიული და პოლიტიკური სივრცე არ გამოერკვიათ. ამას მათ უკარნახებდა არა მარტო უბრალო ცნობისმოყვარეობა, არამედ მათი იმდროინდელი მდგომარეობა—სახელმწიფოს სათავეში ყოფნა. ამ ცნობების მიხედვით, მათი პოლიტიკური ორიენტაცია უნდა დამუშავებულიყო, ეს მათ ამოცანას შეადგენდა. საისტორიო თხზულებები იმ დროს პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო, მეფეთა ცხოვრებანი პოლიტიკური დანიშნულების მქონე ძეგლებს წარმოადგენდნენ. „ქართლის ცხოვრების“ გადამწერთაგან რომ ცნობები გვაქვს შემონახული და აღნიშნული ცნობების მიხედვით ამ ძეგლების გადაწერის ინიციატივა სამეფო კარის წევრებს ან თვით მეფეს ეკუთვნის,—ეს სრულიადაც შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს.

XI საუკუნის ავტორები გიორგი მთაწმიდელი და გიორგი ხუცესმონაზონი თავიანთ თხზულებებში გარკვევით გვეუბნებიან, თუ რაში გამოიხატებოდა ამა თუ იმ პირის მოღვაწეობის აღწერის დანიშნულება. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი წერს: „...ვინაჲთგან სიგრძე ჟამთაჲ ყოველსაჲე დავიწყებად მოიღებს, დალაცათუ წინაშე ღრმთისა ყოველივე ცხად არს და საჩინო და უწყის ყოველთა დასაბამი და აღსასრული, და რომელთა-იგი სათნოდ მისა აღას-

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვრ., კიკინ. ვამოც., გვ. 560.

<sup>2</sup> საქართველოს არქივი, 1927 წ., წიგნ. II. გვ. 24.



რულეს ცხობრებაჲ თჳსი, წინაშე მისსა ბრწყინვენ მარადის და არც ერთი რაჲ უკმს ჩუენმიერი ჳსენებაჲ, არამედ ესრეთ განაწესა ყოვლად ბრძენმაჲ მან განგებულმაჲ მისმან, რაჲთა წიგნთაჲ შინა აღიწერნენ საღმრთონი და იგი ყოვლად შეუნიერნი საქმენი სოფლის შესაქმისანი და საუფლონი იგი და ჳცნებანი და ბრძანებანი მისნი და ლირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად ქებულნი ცხობრებანი და მოქალაქობანი, რომელნი თჳთოველთა ჟამთა შინა ჯერ-იჩინნა გამოჩინებად სახიერებაჲმან მისმან სასარგებლად ჳაცთა ნათესავისა, რაჲთა საღმრთოთა მათ და მალალთა საქმეთა მიერ დიდების მეტყუელებად და სურვილად მისა აღვიძვროდით და საუფლოთა მათ ბრძანებათა მიერ განვენათლდებოდით ღაადსრულებად მათდა მოსწრაფე ვიქმნებოდით<sup>1</sup>. სხვა რედაქციით ამავე დებულებას იმეორებს გიორგი ხუცესმონაზონი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების აღწერილობაში<sup>2</sup>.

წმიდათა ცხოვრების აღწერა ეკლესიის მესვეურთ სქირდებოდათ და, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელმა კამათის დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის დასამტკიცებლადაც განიოყენა ასეთი ძეგლი<sup>3</sup>.

მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ამავე პრინციპიდან გამომდინარე უნდა იყოს. ასეთი თხზულებები სამეფო კარს ჰირველ რიგში წმინდა პრაქტიკული საქმიანობით აინტერესებდა. ჳამთაღმწერელი რომ ისტორიკოსის მოვალეობის შესაბებ წერს: „ჟამთა აღმწერელობა ქეშმარიტების მეტყუელება არს, და არა თუ თვალახმა ვისთვისმე-ო“ და ასეთი მობოღიშებით რუსუდან მეფის პირადი ცხოვრების ნაკლოვანებებს გადმოგვეცემს, ეს მისი გამბედაობის შედეგი არ უნდა იყოს, თვით ხელისუფალთაგან ნებადართული უნდა ჳქონოდა ისტორიკოსებს სახელმწიფოს გამგებელთა უარყოფითი მხარეების აღნიშვნა თავიანთ თხზულებებში. ჟამთაღმწერელი საქართველოს უბედურებას XIII საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით სწორედ საერთო ჳნედაცემულობით ხსნის. ყოველივე ამას წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა ჳქონდა. იმდროინდელ ისტორიკოსთა ნაშრომები ოფიციალური ხასიათის ძეგლებია. საუკრადლებოა ამ მხრივ რუსი მემატიანის შენიშვნა. „перви наши владостержцы без гнева повелевающе вся добрая и не добра прилучившаяся... написать“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსასაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946 წ., გვ. 13 — 14.

<sup>2</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ., ხელნაწერი, 1901 წ., გვ. 281.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წ. II, გვ. 491—493.

<sup>4</sup> Н. Костомаров, Лекции по русской ист. ч. I, Источники русской истории. 1861, гв. 21.

XIII საუკუნის საქართველოს ისეთი ძეგლები უნდა ჰქონოდა, სადაც მონგოლთა დაპყრობითი ომები დეტალურად უნდა ყოფილიყო აღწერილი. ასეთი აღწერები თვით ქართველ ხელისუფალთათვის იყო საჭირო. ამ თხზულებებში რუსეთის ამბებიც უნდა ყოფილიყო იქ არსებული მდგომარეობის გასათვალისწინებლად. მაგრამ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები სრულიადაც არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ჟამთააღმწერელის თხზულებაში რუსეთის შესახებ მოხსენებული ამბავი XIII საუკუნის ქართული ძეგლიდან ამოღებულია. XIII საუკუნის საბელმწიფო მოღვაწეებისათვის რომ საჭირო იყო მონგოლთა ბატონობის ამსახველი ცნობები—ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორე საკითხია—გააკეთეს თუ არა ეს ისე, როგორც საჭირო იყო. თვით ჟამთააღმწერელის თხზულების შექმნა რომ საჭირო შეიქნა XIV საუკუნეში, იმის მაჩვენებელია, რომ XIII საუკუნეში შექმნილი ვითარების გამო ყველაფერი იმთავითვე რიგზე არ ყოფილა. ვასტანგ VI-ის მოღვაწეობა და მისი კომისიის წინასიტყვაობა შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უფუძვლებლყოფილი რჩებოდა გარკვეულ პირობების გამო ისტორიის უბანი.

მაგრამ, რომ ქართველ მემკვიდრეებს მოკლე ჩანაწერების სახით რუსეთში შექმნილ ვითარებაზეც უნდა ჰქონოდათ საუბარი. ეს ჟამთააღმწერელის ცნობიდანაც კარგად ჩანს. როგორც აღვნიშნეთ, ბათო ყაენის კარი ის ადგილი უნდა ყოფილიყო პირველ ათეულ წლებში, სადაც ქართველი და რუსი პოლიტიკური მოღვაწეები ერთმანეთს ხვდებოდნენ. და არა მარტო ბათო ყაენის ოქროს ურდოში ხვდებოდნენ ქართველები და რუსები ერთმანეთს. პლანო კარპინი, რომის პაპის ელჩი, ყარაყორუმში მონგოლთა მთავარ ყაენთან ყოფნის დროს ნახული და გაგონილი ამბების აღწერაში ერთგან (სადაც გუიუქ ყაენის არჩევის ცერემონიალი აქვს მოთხრობილი) შენიშნავს: „ლობის გარეთ იყვნენ რუსი მთავარი იაროსლავ სუზდალელი, მრავალი ჩინელი და სოლანგელი მთავარი, აგრეთვე ორი ქართველი უფლისწული, ბალდახის ხალიფის ელჩი, რომელიც თვითაც სულთანი იყო და, როგორც ჩვენ გამოვიანგარიშეთ, ათზე მეტი სხვა სარაციინელი სულთანი“<sup>1</sup>. აქ მოხსენებუ-

---

<sup>1</sup> პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა. რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გ. კიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1942. ნაკვეთი II, გვ. 56.

ლი იაროსლავ სუზდალელი რუსეთის ცნობილი მთავრის ალექსანდრე ნეველის მამაა, ხოლო მასთან ღობის გარეთ მყოფი ორი ქართველი უფლისწული ქართველი მეფეები დავით ლაშა-გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე. ერთ ბედს ქვეშ მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანი რუსი მთავარი და ქართველი მეფეები შეუძლებელია ერთმანეთს არ გაცნობოდნენ და თავიანთი ქვეყნების ამბები ერთიმეორისათვის არ მოეხსენებინათ. თვითეულ ამათგანს ხომ თავისი მსლებლები ჰყავდათ. ქართველი მეფეების ამაღლის წევრები სახელდებით ვიცით ჩვენ. პლანო კარპინი იმასაც აღნიშნავს, რომ მთავარი ყაენის რეზიდენციაში სხვადასხვა ქვეყნიდან წამოყვანილი ხელოსნებიც იყვნენ. ერთგან მას ნათქვამი აქვს, რომ გუიუქ ყაენის კარზე რუსი ხელოსანი ოქრომქდელი იყო. იგი წერს: „გვგონია, რომ ჩვენ დავიხოცებოდით, თუ ღმერთს ჩვენთვის მისნელად ერთი რუსი არ მოევლინა, სახელად კოზმა, იმპერატორის ოქრომქდელი, რომელიც მას ძლიერ უყვარდა და რომელმაც ჩვენ ზოგ რამეში დახმარება გაგვიწია... ამას გარდა ჩვენ ზემოხსენებული იმპერატორის მრავალი სხვა საიდუმლოება გავიგეთ იმათი მეშვეობით, ვინც სხვა მხედართმთაყერებს მოჰყვა, იმ რუსებისა და ჰუნგრელების მეშვეობით, რომელთაც ლათინური და ფრანგული იცოდნენ, რუსი კლირიკოსების და სხვათა მეშვეობით, რომელთაც თათრებთან ომებსა და სხვა საქმეებში ოცდაათ წელზე მეტი გაეტარებინათ და მათს ენასა და მოქმედებას იცნობდნენ. მათგან ჩვენ შეგვეძლო ყოველივე გაგვეგო, თვით ისინი ყველაფერს სიამოვნებით გვიამბობდნენ, გამოუკითხავადაც კი, იმიტომ რომ ჩვენი სურვილი იცოდნენ“<sup>1</sup>. პლანო კარპინი ხომ არსებითად რომიდან მოვლენილი მწვერავი იყო, რომელსაც მონგოლთა შინა ამბების შესწავლა მიზნად ჰქონდა დასახული.

მეტად საინტერესოა პლანო კარპინის ცნობა იმის შესახებ, რომ მან ყარაყორუმში ქართველებისაგან გაიგო, თუ როგორ გეგმავდნენ მთავარი ყაენის კარზე ქართველები მონგოლთა წინააღმდეგ აჯანყებას. კარპინი წერს: „თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისაგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ... ასე მოექცნენ ისინი ქართველებს ანუ გეორგიელებს, რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტინს ახდევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა ღიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული

<sup>1</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, II ნაკვეთი, გვ. 60.

აქეთ ამბობება მოაწყონ“<sup>1</sup>. ქართველების მიერ ამბობების მოწყობის განხრახება შორეულ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ფაქტია. ყარაყორუმში მყოფ ქართველებს პირველ რიგში მონგოლთა სახელმწიფოს ძლიერება უნდა დაენახათ და ასეთ ვითარებაში რისი იმედით ფიქრობდნენ აჯანყებას, თუ სხვა დაპყრობილი ხალხების წარმომადგენელთა ასეთივე გეგმების შესახებ ცნობა არ ჰქონდათ. ეტყობა ქრისტიანე მფლობელები ერთიმეორეს საიდუმლოებას ანდობდნენ. ასეთ ვითარებაში მყოფ ქართველებს რუსეთის შესახებ ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდანაც უნდა მოეტანათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

მაგრამ ჟამთააღმწერელის თხზულებაში დაცული ყველა ცნობა რუსეთის შესახებ XIII საუკუნის ქართულ საისტორიო ძეგლებიდან არის თუ არა ამოღებული—ამის გადაჭრით თქმა ამჟამად შეუძლებელია. ისე კი ჟამთააღმწერელის ცნობებს დამუშავება ეტყობა, მას დასრულებული სახე აქვს და იგი იმ ამბების თანამედროვის მიერ დაწერილი არ უნდა იყოს.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ცნობები არსებული სახით XIV საუკუნის ქართველს ეკუთვნის და ჩვენთვის საყურადღებოა იმითაც, რომ XIV საუკუნის ქართველი იმავე ინტერესით არის გამსჭვალული ჩრდილოეთით მიმდინარე მოვლენებისადმი, როგორც XIII საუკუნის მოწინავე ქართველი უნდა ყოფილიყო.

ჟამთააღმწერელის თხზულებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მას მონგოლთა პირველი ლაშქრობის აღწერისას ერთი სიტყვა არ აქვს ნათქვამი იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც მონგოლებს მოუხდათ 1223 წელს გაერთიანებულ რუსეთის მთავრებისა და მათ საზღვრებში თავშეფარებულ ყივჩაყთა ჯარებთან და რომ გამარჯვება ისევ მონგოლებს დარჩათ. ჟამთააღმწერელის თხზულებაში მონგოლთა პირველი ლაშქრობის შესახებ ნათქვამია: „ხოლო თათარნი მოიწივნეს კვიდრე სამშვილდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნნეს საკვირველი ესე საქმენი. წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღმდეგა, ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი და ყოველგნით თათარნი მძლე ექმნნეს და

<sup>1</sup> მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942. II ნაკ-  
ვეთი, გვ. 37.

წარვიდეს ესრეთ ომითა... განვლეს ყვიჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღვასა გარემო, და მიიწივნეს ჯელმწიფესა ჩინგიზ ყაენს წინაშე, ყარაყურუმს<sup>1</sup>. ეს ცნობა ჟამთააღმწერელს ქართული ძეგლიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული და, როგორც ჩანს, ჟამთააღმწერელის სხვა წყაროშიც არაფერი ყოფილა ნათქვამი იმის შესახებ, რომ მონგოლები პირველი ლაშქრობის დროსაც რუსებს შეხვდნენ და დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლები გადაიხადეს. იმავერად, მართალია, მონგოლები რუსეთის მთავრების სამფლობელოებში არ შექრილან, ისინი დნებრამდე მივიდნენ მხოლოდ, კიევის სამხრეთით, და უკან გაბრუნდნენ<sup>2</sup>. მაგრამ რუსეთის მთავრების დიდი ძალები იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში და, ერთი შეხედვით, არ იყო მოსალოდნელი ამ მომენტის უყურადღებოდ დატოვება. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებითად სამხრეთ რუსეთში ჩატარებული ბრძოლები ყვიჩაყეთს ეხებოდა და რუსების მონაწილეობა აქ არ წარმოადგენდა უშუალოდ მონგოლებისა და რუსების ომს. ამდენად, ჟამთააღმწერელის ხელთ არსებულ სხვა წყაროებშიაც ამის შესახებ ცნობა შეიძლებოდა არ ყოფილიყო.

ლაშა გიორგის მეფობის დროს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, იქ, სადაც მას ლაპარაკი აქვს ჩინგიზ ყაენის მიერ თავის ოთხ შვილს შორის სამფლობელოების განაწილების შესახებ, ჟამთააღმწერელი პირველად იხსენიებს რუსეთს, ის აღნიშნავს, რომ ჩინგიზ ყაენმა უფროს ვაჟიშვილს „ოტუბის“ ლაშქარი მისცა და „წარავლინა დიდსა საყვიჩაყეთსა ზედა, ვიდრე ბნელეთამდე ოვსეთს, ხაზარეთს, რუსეთს“<sup>3</sup>. ამ ცნობას ჟამთააღმწერელი იძლევა მონგოლთა პირველი ლაშქრობის აღწერის წინ. რა თქმა უნდა, ლაშა გიორგის დროის ამბების ქართველ აღმწერელს არ შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ცნობა, იმ ხანად ქართველებს მონგოლთა შესახებ ცნობები არ გააჩნიათ. მაგრამ შეიძლებოდა თუ არა ეს ცნობა XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსს ჰქონოდა. ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჟამთააღმწერელი XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსის თხზულებიდან უნდა იღებდეს ამ ცნობას. მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს და ამის შემდგომი ამბები იმ სახით არ ყოფილიყო დალაგებული, როგორც დღეს გვაქვს ჟამთააღმწერელის თხზულებაში.

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვრ., კიკ. გამოც., გვ. 506.

<sup>2</sup> В. Греков и А. Якубовский. Золотая орда. 1937. გვ. 154.

<sup>3</sup> ქართლ. ცხოვრ., კიკ. გამოც., გვ. 504.

ქამთალმწერლის თხზულებაში ჩინგიზ ყაენის ზემოხსენებულ უფროს ვაგიშვილზე ნათქვამია: „ჩინგიზ ყაენს... უხუცესის ცოლის სევენჯისაგან ესეა შვილი, რომელსაც ერქვა თუბის, რომელსა ქართუშლნი ჯოჩიდ უქმობდნენ... უხუცესსა შვილს თუბის მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყიფაყეთსა ზედა, ოვსეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე“-ო<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, მონგოლთა პირველი ლაშქრობის შემდეგაც არც ქართველების და არც მეზობელი ხალხების წყაროებმა მონგოლების შესახებ არაფერი იციან. ჩინგიზ ყაენის უფროსი შვილი „თუბისი“, რომელზეც მოტანილ ტექსტში ლაპარაკობს ისტორიკოსი, გარდაიცვალა ჩინგიზ ყაენის სიცოცხლეში ისე, რომ იგი მონგოლთა დაპყრობითი ომების უშუალოდ მომსწრე და მონაწილე არ ყოფილა დასავლეთში. დაპყრობებს ხელმძღვანელობს, როგორც ვიცით, ბათუ—მისი შვილი. თითქოს ისე გამოდის, რომ ამ „თუბისის“ ხსენება ქართულ წყაროებს არ უნდა დასჭირვებოდა, მაგრამ იგივე ქამთალმწერელი გვეუბნება მოტანილ ტექსტში, რომ „თუბის ქართუშლნი ჯოჩიდ უქმობდნო“. მაშასადამე, XIII საუკუნის ქართულ ძეგლში, რომელიც ქამთალმწერელს ჰქონია ხელთ, მონგოლთა ამბები ყოფილა მოთხრობილი და ამაზე დაყრდნობით წერდა ქამთალმწერელი თავის ისტორიას. ბათო ყაენის სამფლობელოების სახელების ჩამოთვლაც ქართულ წყაროებში უნდა ენახა ქამთალმწერელს. მისთვის ამოსავალი უნდა იყოს ქართული ძეგლი. ქამთალმწერელი იმასაც მოგვითხრობს, თუ როგორ აღწერა ბათო ყაენმა მოსახლეობა თავის საბრძანებელში და როგორ დაადო ხარკი. იგი გადმოგვცემს: „ამათ ჟამთა იქნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო... ინება გასწორება და აღთვალვა ყოველისა ქვეყნისა და ჰპოვა ვინმე კაცი ნათესავით იორიდი სახელით არლუნ, სიმართლის მომქმედი და ფრიად მართლის მეტყველი, ღრმად გამგონი და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისა, რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყიფჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე... რათა აღუთვალოს და განაჩინოს მკვდარი და მეომარი ლაშქრად განმავლი ნონინთა თანა“<sup>2</sup>. შემდეგ ქამთალმწერელი ჩამოთვლის არლუნის შოლვაწეობას სხვა მხარეებში და საქართველოშიც. საინტერესოა, რომ ქართველი ისტორიკოსი ჩრდილოეთს სხვა მხრივაც იცნობს. ზემოთ მოტანილ ტექსტებში, როცა ბათო ყაენის სამფლობელოებს ჩამოთვლის, იგი ასე აღნიშნავს უკიდუ-

<sup>1</sup> ქართლ. ცხოვ., კიკინაძის გამოც., წ. II, გვ. 504.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 564.

რეს საზღვარს: „ხაზარეთი და რუსეთი ვიდრე ბნელეთამდე“ ან-  
და „დიდი ყიფჩაყეთიდან ვიდრე ბნელეთამდე“-ო. სამ-ოთხჯერ  
იმეორებს ავტორი ტერმინ „ბნელეთს“. ამ სიტყვის ქვეშ იმ დროის  
ქართველი პოლარულ მხარეებს უნდა გულისხმობდეს. ბნელეთი  
ანუ წყვიდადის ქვეყანა—ამ სახელწოდებით ცნობილი ყოფილა  
არაბ გეოგრაფების თხზულებებში XI—XII საუკუნეებში ის ადგი-  
ლი, სადაც „ვისუ-ს“, „ვირუ-ს“ და „იურა“-ს ტომები ცხოვრობ-  
დნენ<sup>1</sup>. ჟამთააღმწერელის მიერ ამ ტერმინის ყოველგვარი განმარ-  
ტების გარეშე მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ „ბნელეთი“,  
ჩვეულებრივ, არა მარტო XIV საუკუნის ქართველისათვის, არამედ  
ყველასათვის გასაგები ცნება იყო.

დამახასიათებელია, რომ ჟამთააღმწერელი რუსეთს იხსენიებს  
მანაჰ, ვიდრე, მისი ცნობებით, საქართველო ოქროს ურდოსაგან  
დამოკიდებულია და სამხრეთის მონგოლთა მფლობელებმა ოქროს  
ურდოსთან კავშირი არ გაწყვიტეს, ე. ი. XIII საუკუნის მესამე  
მეოთხედამდე. როგორც ჩანს, ამ წლების შემდეგ ჟამთააღმწერელ-  
ის ხელთ არსებულ ქართულ ძეგლებში რუსეთის ხსენება აღარ იყო,  
იმიტომ რომ პოლიტიკურად საქართველო ოქროს ურდოსაგან დამო-  
კიდებული არ ყოფილა XIII საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ  
მანც—ბერქა ყაენის გარდაცვალებიდან (1266 წ.). ჟამთააღმწერელის  
თხზულებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მას ჩინგიზ  
ყაენის უფროსი შვილის სამფლობელოებში, თვით ჩინგიზის განაწი-  
ლებით, დასახელებული აქვს „ბორღალეთი და სერბეთი“. არსად არა-  
ვითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ მონგოლები სერბეთ-  
ში ბატონობდნენ. ჟამთააღმწერელი „ბორღალეთად“ გულისხმობს  
ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბულგარეთის სახელმწიფოს. არც  
ბულგარეთი არ ემორჩილებოდა არასოდეს ბათო ყაენს — „ჯოჩის“  
მეგვიდრეს. ამ ორი ქვეყნის დასახელება „ჯოჩისათვის“ განკუთვ-  
ნილ სამფლობელოებში გვიჩვენებს, რომ ჟამთააღმწერელი, მართ-  
ლაც, XIV საუკუნეში მცხოვრები პირია. საიდან მოიტანა მან  
„ბორღალეთის და სერბეთის“ შესახები ცნობა?

უდავოა, რომ მას ხელთ ჰქონდა ისეთი წყარო, სადაც „ბორ-  
ღალეთი“ იყო მოხსენებული „ჯოჩის“ ან ბათუს სამფლობელოთა  
შორის. მაგრამ ეს „ბორღალეთი“ ბალკანეთის ბულგარეთი კი  
არაა, არამედ ვოლგის შუა წელზე მყოფი საყოველთაოდ ცნობილი  
„ბულგარი“, რომელიც ოქროს ურდოს დაარსების შემდეგ სრუ-  
ლიად მოისპო, როგორც სახელმწიფო და ქალაქი. შესაძლებელია

<sup>1</sup> В. Греков. А. Якубовский. Золотая орда. 1937. გვ. 15.

XIV საუკუნის ქართველ ჟამთააღმწერელს სხვა „ბორღალეთი“ გარდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებულისა, ველარ წარმოედგინა.

რაც შეეხება სერბეთსა და ბალკანეთის ბულგარეთს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხარეებში მონგოლები არ ბატონობდნენ და მათი სამფლობელო არც აქამდე აღწევდა. მხოლოდ, როცა ბათო ყაენი რუსეთს იპყრობდა, მისი ერთი რაზმი ბალკანეთში შეიჭრა, მაგრამ დატოვა ეს ნახევარკუნძული იმის შემდეგ, რაც ჩეხეთში მაგარი წინააღმდეგობა შეხვდა და მოწინავე ლაშქარი სასტიკად დაუმარცხდა. შესაძლებელია ჟამთააღმწერლის წყაროში ბალკანეთის ამბების შესახებ საუბარი იყო და ამ ნიადაგზე თუ მიაკუთვნა ბათო ყაენს ბალკანეთის ხსენებული ტერიტორიები.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ჟამთააღმწერელს არაფერი აქვს ნათქვამი უნგრეთსა და ჩეხეთზე. ცხადია, მის ხელთ არსებულ ძეგლებში არაფერი ყოფილა ამ სამფლობელოების შესახებ, თორემ მონგოლების მარცხი ჩეხეთში საგანგებოდ და სიამოვნებით უნდა დაეწერა ქართველ ისტორიკოსს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულ წყაროში არავითარი ცნობა არაა დაცული მონგოლთა პირველი ლაშქრობის დროს, 1223 წელს, რუსებისა და მონგოლების შეხვედრისა და რუსების დამარცხების შესახებ. რუსულ ძეგლებში კი სხვაგვარი მდგომარეობაა.

ქართველები და მათი შეხვედრა მონგოლებთან მოხსენებულია ხწორედ მონგოლთა პირველი ლაშქრობის აღწერაში, შემდეგ კი საქართველო, რუსულ წყაროებში, მთელი XIII საუკუნის მანძილზე არსად მოხსენებული არაა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ რუსული მატეიანის ზოგ ნუსხაში მონგოლების ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით საქართველო აგრეთვე არაა მოხსენებული, მაგ., იპატის ნუსხაში. ნოვგოროდის ნუსხაში კი 1224 წლის ქვეშ აღვნიშნულია, რომ თათრები გამოჩნდნენ, მთელი რიგი ქვეყნები და მათ შორის საქართველოც დაარბიესო: „Слишахом бо, яко многи страны поплениша, Ясы, Обезы, Косоги и Половчъ безбожных множество избиша“<sup>1</sup>. ამასვე იმეორებს ლავრენტის ნუსხაც<sup>2</sup>. როგორც გამორკვეულია, ნოვგოროდის მატეიანის სინოდალური ნუსხა და ლავრენტის ნუსხა ერთი და იმავე წყაროდან ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად უნდა იღებდნენ

<sup>1</sup> Новгородская летопись. Изд. Археогр. Комиссии, 1888, გვ. 215.

<sup>2</sup> Летопись по Лаврент. списку Изд. Археогр. Комиссии, 1872, გვ. 424.



ცნობებს, მათ ხელთ უნდა ჰქონდეთ სამხრეთ რუსეთის ნატი-  
ანები<sup>1</sup>.

საფიქრებელია, რომ მონგოლების მიერ ქართველების და-  
მარცხების ამბავი რუსეთის სამთავროებში პირველად ყივჩაყებმა  
მიიტანეს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს რუსულ მატრიანეებში და-  
ცული ცნობები მონგოლთა პირველი შენოსევის შესახებ.

როგორც ვიცით, მონგოლები ირანისა და საქართველოს  
სამფლობელოებზე გავლით დარუბანდის გზით შეიქრნენ სამხრეთ  
რუსეთის მიდამოებამდე. აქ ისინი პირველად დაეჯახნენ ყივჩა-  
ყებს, რომელთაც რამდენიმეჯერ მოუხერხებიათ ორგანიზებული  
წინააღმდეგობის გაწევა (ქართულ წყაროში დაცული ცნობით). მაგ-  
რამ რაკი მონგოლების ძლიერებამ გადააქარბა, ყივჩაყები დასავ-  
ლეთისაკენ იხვეწენ და სამხრეთ რუსეთის მთავრებს ატყობინებენ,  
თუ რა დაუძლეველი ძალით მოდიან მონგოლები. რუსების გუშინ-  
დელი დაუძინებელი მტრები—ყივჩაყები ახლა რუსებს თხოვდნენ  
მათთან გაერთიანებას და მონგოლების წინააღმდეგ ერთად ბრძო-  
ლას. რუსი მთავრებისადმი მიმართულ ყივჩაყთა ბელადების  
სიტყვებს რუსი მემატინე ასე გადმოგვცემს: „*еще не можете  
нам, мы ныне иссечены быхом, а вы наутрее иссечени  
будете*“<sup>2</sup>.

ყივჩაყებისადმი სიძულვილის მიუხედავად, რუს მთავრებს  
უთათბირიათ და გადაუწყვეტიათ ყივჩაყებთან ერთად მონგოლების  
წინააღმდეგ ბრძოლა. 1223 წელს მდ. კალკასთან რუს-ყივჩაყთა  
გაერთიანებული ჯარები მონგოლთა მთავარ ძალებს შეხვდნენ და  
გამარჯვება მაინც მონგოლებს დარჩათ.

საფიქრებელია, რომ, რაკი მონგოლთა გამოჩენის ანბავი  
ყივჩაყებმა მიიტანეს პირველად რუსულ სამთავროებში, საქარ-  
თველოს და კავკასიელ მთიელთა—ოსებისა და ქაშაგების—დამარც-  
ხების ამბავიც მათვე უნდა მიეტანათ რუსეთში. შესაძლებელია  
იმ დროს განთქმული და ძლიერი ქართველი ჯარების მონგოლ-  
თა მიერ დამარცხების ამბავს განზრახ აუწყებდნენ ყივჩაყები რუ-  
სეთის მთავრებს, იმისათვის, რომ მონგოლთა საშიშროების სიდი-  
დე ნათელი გაეხადათ და რუსი მთავრები მონგოლთა წინააღმდეგ  
ბრძოლაში ადვილად ჩაეთრიათ. ეს მით უფრო საჭირო იყო,  
რომ თვით მონგოლები, როდესაც მათ რუსებისა და ყივჩაყების

<sup>1</sup> А. Шахматов. Описание русск. летописн. сводов. XIV—  
XVI в. в. 1938, гл. 130, 131.

<sup>2</sup> Летопись по Платерому еп., 1871, гл. 495.

გაერთიანება გაიგეს, ორჯერ უგზავნიან ელჩებს და არწმუნებენ რუსებს, რომ თქვენს წინააღმდეგ არ მოვდივართო.

ამის შემდეგ რუსულ ძეგლებში—მთელი XIII საუკუნის ამბების აღწერილობაში—საქართველო მოხსენებული არაა, ეს რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ 1237 წლის შემდეგ საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ რუსეთში არაფერი იცოდნენ. ბათო ყაენის და მთავარი ყაენის კარზე რუს მთავრებს ქართველებთან ხშირი შეხვედრა ჰქონდათ და ერთმორწმუნე ხალხის წარმომადგენლები ამ საერთო უბედურების ჯამს წარმოუდგენელია ერთიმეორის ბედით არ დაინტერესებულყვნენ.

იმ დროს, როდესაც XIV საუკუნის ამბებში ქართული ძეგლები რუსეთს არსად არ იხსენიებს, რუსულ მატრიანეში საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული. მაგალითად, ე. წ. ერმოლინის ნუსხაში 1346 წლის ამბებს შორის აღნიშნულია: „В лето 6854.. быст мор силен под восточною странюю на Орначь, на Хазторокань, на Сарай, на Бездежь, на прочия грады в странах тех, на Бесермены, на Татары, на Ормсны, на Обезы, на Фрязы, на Чрькасы, яко не бысть кому погрсбати их“<sup>1</sup>.

ცნობა ამ ეპიდემიის შესახებ ქართულ წყაროებშიც ყოფილა. ხუცესი ავგაროზი ბანდაის ძე მის მიერ გადაწერილ ეტრატის პარაკლიტონში წერს: შევედექი მე „მწერალი ავგაროზი ბანდაის ძე აღწერად... ამის წიგნისა... დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო სიკვდილობა, ქორონიკონი, იყო ლვ“<sup>2</sup>. ავგაროს ბანდაის ძე მიგვითითებს 1348 წელზე, მაგრამ მას აღნიშნული არ აქვს, რომ ეპიდემია 1348 წელს დაიწყო. ამ წელს იგი წიგნის გადაწერას შეუდგა და „სიკვდილობა“ უკვე ყოფილა მაშინ.

თუ ჩვენ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ რუსი მემატიანე წლების მიხედვით უყრის ამბებს თავს და იმავე წელს შეაქვს თავის თხზულებაში ცნობები, უნდა დავასკვნათ, რომ 1346 წელს მაინც საქართველოში „სიკვდილობა“ უკვე მძვინვარებდა. როდის დაიწყო იგი, ამისი თქმა ძნელია, მაგრამ 1346 წელს რომ რუსეთში მიაღწია ამ ამბავმა და ამაზე უწინარეს რუსი მე-

<sup>1</sup> Полн. собр. русск. летописей, т. XXIII, Ермолинская Летопись, 1910, გვ. 108.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წ. III, 1941 წ., გვ. 178.

მატიანე არათერს ამბობს, ეს იმის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, რომ 1345 წელზე უფრო ადრე ეპიდემია არ უნდა ყოფილიყო.

ეს ეპიდემია სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია. მისი კერა ოქროს ურდოს სამფლობელოა. ყირიმის ნახევარკუნძულიდან გენულებს იგი ევროპაში გადაუტანიათ. 1347 წლიდან ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მძვინვარებდა. შემდეგ მოედო მთელ დასავლეთ ევროპას და ბალტიის ზღვით ნოვგოროდისა და პსკოვის ქვეყანაში გავრცელებულა. 1352 წლიდან ნოვგოროდის მატიანეებშია ასახული, თითქმის ყოველი წლის ამბებში მოხსენებულია, რომ დიდი „სიკვდილობა“ იყო. რუსული წყაროები ისე ნიშანდობლივ აღწერენ ამ ავადმყოფობას, რომ სპეციალისტებს არ გაუჭირდათ გამოერკვიათ, თუ რა სახის ეპიდემია იყო იგი. უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით ეს ეპიდემია შავი ქირის ეპიდემია ყოფილა. იგი რუსეთში ორი სახის ყოფილა — ჯირკვლებისა და ფილტვების<sup>1</sup>.

რუსი მემატიანე ზემოთ მოტანილ ტექსტში ისე მსჯელობს, რომ 1346 წელს რუსეთში შავი ქირის ეპიდემიის შესახებ ცნობა სამხრეთიდან უნდა ჰქონდეს მიღებული. ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის საქართველოს მოხსენება გვიჩვენებს, რომ XIV საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე რუსი ადამიანისათვის საქართველო სრულიადაც მივიწყებული და უცნობი ქვეყანა არ ყოფილა. აღსანიშნავია რომ ჯერ კიდევ ტერმინი „ობეზი“ რჩება მათთვის საქართველოს აღმნიშვნელ სიტყვად. მაშასადამე, ნიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე თათრები ბატონობენ, რუსებისათვის კავკასიონს აქეთა მხარეები უცნობი არაა; ცნება „ობეზი“ მკვდარი ლიტერატურული ტერმინი კი არ არის, არამედ ცოცხალი სიტყვაა. ძნელია იმის თქმა, თუ რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა XIV საუკუნის მოწინავე რუსს საქართველოს სახელმწიფოზე, მაგრამ თუ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ XIV საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების სახელი დასავლეთ ევროპასა და მცირე აზიაში განთქმული იყო და იგი უდიდეს ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისითაც, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთისათვის ასეთი სახელმწიფო, ზოგადად მაინც, ცნობილი უნდა ყოფილიყო თვით ოქროს ურდოს მეშვეობით თუ არა,

<sup>1</sup> Шрейб. Н. Широкогоров, Чума, 1933. გვ. 7—12, შავი ქირის ეპიდემიის შესახებ ლიტერატურაზე მივითითა პროფ. ვლ. ანთაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის გზით მაინც. რუსეთისათვის 1346 წლის ახლო ხანები იოანე კალიტას და სვიმონ ზვიადის მთავრობის პერიოდია. მოსკოვის მთავრის იოანეს ეს ზედმეტი სახელი (-კალიტა<sup>1</sup>) ხომ იმის მაჩვენებელია, რომ მისი სამფლობელო თითქმის ყველა მიმართულებით იმ დროის შესაფერ, დიდ სავაჭრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული, და ამ გზით საქართველოში მიწინააღმდეგარე პროცესების შესახებ და გიორგი ბრწყინვალეს მოღვაწეობაზე ინფორმირებული უნდა ყოფილიყვნენ რუსეთში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მატიანე, რომლიდანაც ჩვენ ზემოთ ამონაწერი მოვიტანეთ,—ერმოლინის ნუსხა—XV საუკუნის იეგლს წარმოადგენს, მაგრამ როგორც გამოჩვენებულია, მისი შემდგენელი 1472 წლამდე მოთხრობილ ამბებს იწერდა ე. წ. როსტოვის კრებულიდან, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია მოსკოვის სამთავროში დაწერილ ძეგლებთან<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ ცნობები საქართველოს შესახებ რუსეთში უფრო ბიზანტიიდან და დასავლეთ ევროპიდან უნდა მოდიოდეს, იმიტომ, რომ რუსეთის სამთავროებს ამ ქვეყნებთან ხშირი ურთიერთობა აქვთ. რუსეთის მთავრები ამ დროს ოქროს ურდოსაგან არიან დამოკიდებული და მისი ხშირი სტუმრები არიან, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ოქროს ურდოსთან ურთიერთობაში ისე არ ჩანს, როგორც სამხრეთ-დასავლეთთან. მაგრამ იმის თქმა მაინც არ შეგვიძლია, რომ ჩრდილოეთის ურდოსთან გზა საფუძვლიანად იყო დახშული. საქართველო, მართალია, ილხანების კერძი იყო, მაგრამ, როგორც რამდენიმე შემონახულ ცნობიდან ჩანს, ქართველ პოლიტიკოსებს არა ერთხელ უცდიათ ესარგებლათ მონგოლთა შორის არსებული უფლით როგორც გიორგი ბრწყინვალემდე, ისე მის შემდეგაც<sup>2</sup>. ამ მხრივ დამახასიათებელია დავით VI-ის ღონისძიება XIII საუკუნის მიწურულში. როგორც გამოჩვენებულია, დავით VI-მ ილხანების წინააღმდეგ ოქროს ურდოს ძალების გამოყენება ცადა და „წარავლინა ძმა თვისი უმწესესი ვახტანგ ელჩად დიდსა ბათოს შვილის შვილის ყაენისა და უქადა გზა გამოსლვად ყაენს ზედა და მან კეთილად შეიწყნარა და უქადა ქვეყანა საჭურჭლე მრავალიო“<sup>3</sup>. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ქართველი მეფე და მისი მრჩეველები ჩრდილოეთის ურდოსთან ურთიერთობაში არიან და მონგოლთა ორი ურდოს ურთიერთდამოკი-

<sup>1</sup> А. Шахматов. Обзорение русск. летописн. сводов XIV—XVI в в., 1938. გვ. 146—150.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 131—139.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. მ-მ დედოფ. ნუსხა, გვ. 755.

დებულებას თვალყურს ადევნებენ. ოქროს ურდოში იმავე დავითს მეორეჯერაც გაუგზავნია თავისი ძმა ბაადურ<sup>1</sup>.

გიორგი ბრწყინვალეს შესახებ კი ქართველი ისტორიკოსის ნაშრომი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა დამოკიდებულებაში იყო გიორგი ბრწყინვალე ოქროს ურდოსთან. გიორგის შესახებ ჩვენანდე მოღწეული ცნობებიდან ჩანს, რომ იგი ილხანებთან დამოკიდებულებას არ ამწვევებდა და ამით თავის გეგმებს შესანიშნავად ახორციელებდა. ოქროს ურდოსთან ქართველი ხელისუფალის დამეგობრებას ძალიან მტრული თვალთუცქერიან სამხრეთელი მონგოლები და, საფიქრებელია, რომ პირველ ხანებში, ვიდრე გიორგი ბრწყინვალე საქართველოს გაერთიანებდა, ოქროს ურდოსთან ურთიერთობას იგი უნდა მორიდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო მოლონიერდა, ოქროს ურდოსთან კავშირი შეიძლებოდა დაემყარებინა კიდევ. ამდენად გადაჭრით უარყოფა იმისა, რომ ოქროს ურდოს მეშვეობით რუსეთში საქართველოს შესახებ XIV საუკუნის პირველ ნახევარში ცნობები არ მიდიოდაო, არ იქნება მართებული.

ოქროს ურდოსთან ურთიერთობა XIV საუკუნის ოთხნოციანი წლებიდან ქართველ პოლიტიკოსებს თუ არ განუახლებიათ. გაუგრძელებიათ მაინც. საამისო ცნობები დაცულია წყაროებში. ეს წლები თემურ ლენგის დაპყრობითი ომების წლებია და, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „თემურ ლენგის ერანის ასპარეზზე გამოჩენისთანავე საქართველოს პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, თავიანთი თავის გასამაგრებლად და დასაცავად წინანდებურად ისევ ჩრდილოეთის ულუსის გამოყენება გადაუწყვეტიათ“<sup>2</sup>. მართლაც, ოქროს ურდოს მფლობელის ლაშქარი დარიალით და დარუბანდით თემურის მიერ დაპყრობილ ადგილებს შეესია და ააოხრა. ოქროს ურდოს ლაშქარში, თემურის ისტორიკოსის გამოთქმით, „ურწმუნონიც“, ე. ი. არა მაჰმადიანებიც ერივნენ. ჩვენ არ ვიცით, ვის გულისხმობს ამ ურწმუნოებში ისტორიკოსი. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში რუსი მთავრების რაზმები ივარაუდებოდეს.

ეს ამბავი 1385 წელს ხდება. ამაზე უწინარეს, როგორც ცნობილია, მოსკოვის მთავარმა დიმიტრი დონელმა ოქროს ურდოს ხელმძღვანელი მამაჲ დაამარცხა „კულიკოვოს“ ველზე, მაგრამ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მ-მ დედოფ. ნუსხა, გვ. 756.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წ. III, გვ. 184.

შემდეგ ტოხტა გაყენდა ოქროს ურდოში და რუსული სამთავროები მან სასტიკად დაარბია ისე, რომ უმეტესობა მათგანი ისევ მორჩილებაში მოიყვანა. მართალია, მოსკოვის მთავრის ლაშქარი არ უნდა ყოფილიყო კავკასიაში ოქროს ურდოს ლაშქართან ერთად, მაგრამ ტოხტა ყენს სამხრეთის წერილი მთავრების რაზმი შეიძლებადა წამოეყვანა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ შეიძლება ხსენებულ „ურწმუნობებს“ შორის კავკასიის მთიელნიც იგულისხმებოდნენ, რამდენადაც ცნობილია, მთიელთა შორის 1385 წლისათვის ქრისტიანობა ჯერ კიდევ გაბატონებული იყო.

რამდენადაც თემურ ლენგის ისტორიკოსს ლაპარაკი აქვს ტოხტა ყენის ლაშქარსა და მის შემადგენლობაზე, „ურწმუნოთა“ შორის ქართველი მეფის ჯარი საგულისხმებელი არ უნდა იყოს. თემურის ლაშქრობებს რუსეთის სამთავროები, ბუნებრივია, თვალყურს ადევნებდნენ. ოქროს ურდოსა და თემურ ლენგის დამოკიდებულება მათი ყურადღების გარეშე არ შეიძლება დადარჩენილიყო. რუსული სამთავროებისათვის ოქროს ურდოს დაცემის პერსპექტივა ისახებოდა და, რუსეთის მოწინავე წრეები თემურ ლენგის დაპყრობებით რომ მართლაც დაინტერესებული იყვნენ, ამის უტყუარი ფაქტია რუსულ მატრიანებში დაცული ცნობები თემურ ლენგის და მისი მოღვაწეობის შესახებ. რუსული ძეგლები თბილისსაც კი იხსენიებენ თემურის დაპყრობებთან დაკავშირებით.

რუსული მატრიანის ე. წ. პატრიარქის, ანუ ნიკონის, ნუსხაში ვკითხულობთ: „В лето 6911 (1403) приими же и Асирию и Вавилонское царство и Севастию, и Армению, и все орды поплены и их же имена суть сии: Хорусани, Голустани, Ширазы, Испогань, Орнач, Галянь, Сиз, Шибрен, Савос, Арзум, Тефлизи, Бактати, и Спнюю орду, иже есть блис Инден, и Саран Великий, и Чегодай, Тевризы и Горзустани, Обезы и Гурзы“<sup>1</sup>.

აქ, რა თქმა უნდა, შეჯამებული და ერთად მოცემულია თემურის დაპყრობები. რუსული მატრიანის ე. წ. ნიკონის ნუსხა XVI საუკუნეში შედგენილი ძეგლია, იგი რთული შედგენილობისაა, მაგრამ მისი ძირითადი წყარო არის ე. წ. ვოსკრესენსკის ნუსხა, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი წყაროა XV საუკუნის „მოსკოვის კრებული“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Полн. собр. русск. летописей, Арх. комисс, т. 1897, гл. 248.

<sup>2</sup> А. Шахматов, Обзор русск. летописей, 1938, гл. 370—371, гл. 257.

არ არის საფიქრებელი, რომ თემურის ყოველწლიური დაპყრობები იმავე წლებში ცნობილი იყო რუსეთში და ამის მიხედვით მაშინვე შექმნდათ მატთანეში ცნობა. იმ დროს შეუძლებელი იყო ასეთი ზუსტი და სწრაფი ინფორმაციის მიღება. მაგრამ, რამდენიმე წლის დაგვიანებით, რა თქმა უნდა, რუსეთში ცნობები მიდიოდა და, თუ საყურადღებო იყო, იწერებოდა კიდეც. რუსულ მატთანის ნუსხებში ყველგან ერთნაირად არაა მოხსენებული საქართველო. ზოგში თბილისი არ არის მოხსენებული<sup>1</sup>, ზოგში კი „Терфлизи“-ის ნაცვლად, „Всифлизи“ არის<sup>2</sup>. მაგრამ აშკარაა, რომ XIV საუკუნის დასაწყისისათვის თემურის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში რომ საქართველოც შედიოდა, ეს რუსებისათვის საკმაოდ ცნობილი ფაქტი იყო.

აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. საქართველო ზემოთ მოტანილი რუსული მატთანის ტექსტში სამი სახელწოდებით არის მოხსენებული: „გორზუსტანი“, „ობეზი“ და „გურზი“. ამათგან ერთი რუსებისათვის ტრადიციული ტერმინია — „ობეზი“. დანარჩენი ორი რუსულ ძეგლებში პირველად ამ საუკუნის (XIV საუკუნ.) ამბებში გვხვდება, მანამდე არსად რუსულ ძეგლებში „გურზი“ არ იხსენიება. გამოდის რომ, თუ „ობეზად“ იმ დროის მოწინავე რუსი საქართველოს გულისხმობდა, „გორზუსტანი“ და „გურზი“ მას სხვა ქვეყნებად უნდა მიეჩნია. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ XIV საუკუნეში „გორზუსტანი“ და „გურზი“ ახლად შეთვისებული ტერმინებია რუსეთში და ჯერ კიდევ გარკვეული არ აქვთ რა ქვეყნებია ეს. ცნობა, რომელიც რუს მემატთანეს ჰქონდა მიღებული, მისთვის ნათელს ხდიდა, რომ საქართველო დაპყრობილი იყო, ამაში იგი უნდა დარწმუნებულიყო იმითაც, რომ თბილისი დაპყრობილ ქალაქებს შორის იყო მოხსენებული, ამიტომაც იგი მისთვის კარგად ცნობილი ტერმინით აღნიშნავს, რომ თემურმა „ობეზი“ დაიპყრო. მაგრამ „გორზუსტანი“ და „გურზი“ მას სხვა ქვეყნებად აქვს წარმოდგენილი. ამ ტერმინების სადაურობა იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ რუს მემატთანეს ცნობა ოქროს ურდოს გზით უნდა ჰქონდეს მიღებული და, რაც მთავარია, ამ დროიდან საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი „გურზისტანი“ და „გურზი“ „ობეზის“ ადგილს იკავებს რუსული წერილობით ძეგლებში. საყურადღებოა, რომ ამ დროს მცირე აზიასა და საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეომარი ჰანს შილტბერგეოი საქართველოს

<sup>1</sup> А. Попов. Изборник славянск. и русск. сочин. и статей... 1866, 33. 66.

<sup>2</sup> Полн. собр. русск. летопис. Ермолинск. летопись, т. XXIII, 1910, 33. 134.

„Cursy“-თ იხსენიებს.<sup>1</sup> მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ ირანელი მწერლებისათვის ამ დროს საქართველოს აღსანიშნავად სხვა ტერმინი არ არსებობდა? რა თქმა უნდა, არა. თვით თემურის ისტორიკოსი შერეფედდინი საქართველოს „აბხაზ“-ს უწოდებს<sup>2</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, ირანულ და მცირე აზიის მაჰმადიანურ სამყაროში ჩვეულებრივი გავრცელებული საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი „გურჯისტანი-და-გურჯი“ ყოფილა, თორემ შილტბერგერს არ შეიძლებოდა სხვა გზით ეს ტერმინი შეეთვისებინა. რაც შეეხება შერეფედდინს, მას როგორც მწიგნობარს და განათლებულ ადამიანს, სიზუსტე დაუცავს და ქართველი მეფეების ტრადიციული წოდების აღმნიშვნელი ტერმინი უხმარია.

მაშასადამე, ჩვენ იმ დასკვნამდე მივიღვართ, რომ რუსეთში XIV საუკუნის საქართველოს შესახებ ცნობები ორი გზით—ბიზანტიის და ოქროს ურდოს გზით უნდა მიდიოდეს. ეს უკანასკნელი გზა, ოქროს ურდოსა და საქართველოს ურთიერთობით არის, ერთი მხრივ, წარმოშობილი, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე ოქროს ურდოსთან რუსული სამთავროების დამოკიდებულებით. ინტერესი საქართველოს მიმართ რუსეთში ორი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული: 1. მონგოლთა ბატონობა, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოთა საერთო უბედურება, ამ სახელმწიფოებს იდეურად აკავშირებდა და ურთიერთისადმი ინტერესს აღვივებდა; 2. თემურის დაპყრობების თვალყურის დევნება წმინდა რუსული პოლიტიკური თვალსაზრისით აიძულებდა რუსეთის მოწინავე წრეებს სამხრეთით მიმდინარე პროცესების შესახებ ცნობები გულდასმით შეეკრიბათ და გამოერკვიათ—ოქროს ურდოს ბატონობისაგან თავის დაღწევის დრო ახლოვდებოდა, თუ ურდოს დაცემით ახალი უბედურება ადგებოდათ კარს. ამგვარი საფრთხის გამოძახილი უნდა იყოს რუსულ მატიანეში იმ შიშის აღწერილობა, რომელმაც რუსეთი მოიკვამ ტახტა ყაენის სამფლობელოში თემურის შემოჭრის შედეგად<sup>3</sup>. არ არის საფიქრებელი, რომ XIV საუკუნეში ოქროს ურდოსთან ურთიერთობაში მყოფი საქართველო რუსეთში არსებულ მდგომარეობას არ იცნობდა.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., წ. III, გვ. 226.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 226.

<sup>3</sup> А. Попов, И з б о р н и к, 1859, გვ. 66.



დაუჯერებელია, რომ XIV საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ეპითაღმწერელი მექანიკურად იწერდა XIII საუკუნის ძეგლებიდან რუსეთის ანბანს და იმდროინდელ რუსეთში არსებული ნდგომარეობა მისთვის ყოველგვარ ინტერესს მოკლებული იყო. პირიქით, მას რომ რუსეთის სიდიდე წარმოდგენილი ჰქონდა, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბათო ყაენის სამფლობელოს სიდიდის დასასურათებლად რუსეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრების მოხაზვას იგი თავის ნაშრომში საგანგებოდ იმეორებს. დაუჯერებელია, რომ ამ განათლებულ ისტორიკოსს რუსეთის მანძინდელი პოლიტიკური მდგომარეობა არ სცოდნოდა. იქნებ გიორგი ბრწყინვალის მეფობის აღწერაში მას ასეთი ცნობები შეტანილი ჰქონდა კიდევ, მაგრამ მისი თბზულების ეს ადგილი დღეს დაკარგული გვაქვს. ისეთი შემთხვევაც კი, როცა ამა თუ იმ ძეგლში რაიმე მოვლენა არაა აღწერილი, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ამ მოვლენის შესახებ ძეგლის ავტორმა ან მისი დროის თანამემამულეებმა არაფერი იცოდნენ. ამისი არა ერთი მაგალითი გვქონდა მოტანილი ჩვენ ზემოთ, რუსული და ქართული ძეგლების განხილვისას, ხოლო უფრო კარგად ამაში XV საუკუნის ძეგლების განხილვიდან დავრწმუნდებით.

რუსულ მატრიანეში დაცული ერთი ცნობა რუსებისა და ქართველების შეხვედრისა და ურთიერთობის ერთ მხარეზე მიგვიითითებს და იგი არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს. ე. წ. პატრიარქის, ანუ ნიკონისეულ, რუსული მატრიანის ნუსხაში 1389 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბავთა შორის აღნიშნულია: „Сице же ми случися видети недостоиному и сущим с мною во святем граде Иерусалиме. Есть убо тамо церковь Воскресение Христово... тамо есть Адамля глава; а служба тамо Гурзийская, Гурзи служат... а под Голгофою низу на земли Иверская служба, Ивери служат“...<sup>1</sup>. იერუსალიმში ქართული კულტურული სადგურების არსებობა ცნობილი ფაქტია და ამაზე სიტყვის გაგრძელება არ მოგვიხდება. მხოლოდ აქ იმ გარემოებას გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ქრისტიანულ სამყაროში იერუსალიმი უდიდესი მნიშვნელობის მქონე ადგილია. მორწმუნე ქრისტიანისათვის თუ როგორი მიმზიდველი უნდა ყოფილიყო იერუსალიმის „წმინდა“ ადგილები—ეს ადვილი წარმოსადგენია.

<sup>1</sup> Полное Собрание Русских Летописей, т. XI. Патриаршая, или Никонская Летопись, СПб, 1897, гл. 104—105.

ის ფაქტი, რომ ქართველებს ყოველი ქრისტიანისათვის სანუკვარი ქალაქის მიდამოებში საკუთარი ტაძრები ჰქონდათ — ეს პატარა მნიშვნელობის მოვლენად არ შეიძლება ჩაეთვალოს ქრისტიანული რუსეთის ნოწინავე წრეებში.

აქვე იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ XIV და XV საუკუნეებში საქართველოს, მისი პოლიტიკურად დაქვეითების მიუხედავად, ანგარიშს უწევდნენ და პატივს სცემდნენ ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორც იყო ეგვიპტე და აალესტინა. ევროპელ მოგზაურთა მიერ აღნიშნულია, რომ „ქართველები მაძინაც იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს სხვებივით სულტანს გადასახადს კი არ აძლევდნენ, არამედ თავისუფლად საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მჯდომარენი გაშლილ-გაფრიალებული ეროვნული დროშითურთ სრულებით თავისუფლად შედიოდნენ ხოლმე. თვით ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებსაც ქართველებისა ეშინიანთო... ეგვიპტის მამულუკების ბრძანებით ქართველ მლოცავთა დასაცავად და უზრუნველყოფისათვის ქართველთა ჯვარის მონასტერთან ყოველთვის საგანგებო მოხელე არაბი იმყოფებოდა ხოლმე, რომელიც მოვალე იყო ქართველ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დახვედროდა, იერუსალიმამდის გაყოლოდა და ამგვარადვე გამოეცილებინა ისინი, როდესაც უკან დაბრუნდებოდნენ. ამის შესახებ ბრძანების თვით არაბული დედანიც კი არის შენახული“<sup>1</sup>.

ასეთ ვითარებაში მყოფი ქართული კულტურული კერების მნახველი განათლებული რუსი XIV საუკუნის დასასრულს იერუსალიმიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და მათიანის საშუალებით ქართველების კუთვნილი ტაძრების შესახებ რუსეთის მოწინავე წრეებს ცნობას აწვდიდა. ეს ქართველებისა და რუსების ურთიერთ გაცნობის მნიშვნელოვანი ფაქტია იმ დროისათვის.

რუსული მათიანის ზემოთ მოტანილ ტექსტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ქართველების ორი სხვადასხვა ტერმინით ისე მოხსენიება, თითქოს რუსული ტექსტის ავტორს „Грѣх“ და „Нѣ-рѣх“ სხვადასხვა ხალხად ჰყავდეს წარმოდგენილი. XV საუკუნისათვის „გურზი“ და „ივე ის“ შინაარსი რუჟულ ენაში რომ სხვადასხვა გვარად იყო გაგებული, ეს ცნობილია: „გურზია“ შემკრებლობითი ცნება იყო და, ერთი მხრით, საქართველოს ეწოდე-

<sup>1</sup> ივ ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1 ნაწილი. 1924, გვ. 206—207.

ბოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართლის სამეფოსაც აღნიშნავდა. „ივერია“ კი უპირატესად კახეთის სამეფოს ეწოდებოდა. მაგრამ XIV საუკუნეში არსებობდა თუ არა ასეთი სხვაობა ამ ტერმინებში, ძნელი სათქმელია; საფიქრებელია, რომ კახეთს ამგვარი სახელი XV საუკუნეზე ადრე არ შეიძლებოდა ჰქონოდა. XV საუკუნის ბოლოს საქართველო პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებულია და კახეთის სამეფოს, როგორც რუსეთთან სხვაზე უფრო ადრე დაკავშირებულს, საბელწოდებად შერჩა ბერძნული მიმოწერის საფუძველზე დამკვიდრებული ტერმინი „ივერია“, ხოლო ქართლისა და იმერეთის სამეფოების აღმნიშვნელ ტერმინად სხვა სიტყვები მოინახა.

ამდენად, XIV საუკუნის მოწინავე რუსის მიერ ჩაწერილ ცნობებში ტერმინების სხვაობა თვით იერუსალიმში თარჯიმანთან საუბრის ნიადაგზე აღმოცენებული გაუგებრობა უნდა იყოს. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის უშუალო ურთიერთობა არ ხერხდებოდა. „გურუზი“ აღმოსავლური ენებიდან მომდინარე ტერმინია, ხოლო „ივერი“ — ბერძნულიდან.

დასასრულ, XIV საუკუნის ქართული ძეგლების ერთ ცნობას შევხვებით და ამით დავამთავრებთ ამ საუკუნის ცნობების მიმოხილვას. ბერი ეგნატაშვილის ნაშრონში, იქ, სადაც თემურ ლენგის შესახებ არის საუბარი, აღნიშნულია: „და კეისარმანც მოართო ძღვენი და მისცა ხარაჯა ლანგ თემურს. და დაიპყრა რუსეთი, წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანში და მუნ მოკუდა და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“<sup>1</sup>. თემურ ლენგის მიერ რუსეთის დაპყრობის შესახებ ჩვენ ისტორიული ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1395 წელს თემური თავს დაესხა ოქროს ურდოს სახელმწიფოს, სადაც მაშინ ტოხტა ყაენი ბრძანებლობდა. მდინარე თერგის ნაპირებზე ტოხტა სასტიკად დამარცხდა და მან გაქცევით უშველა თავს. თემურ ლენგი კი აქედან რუსეთის სამთავროთა საზღვრებში შეიჭრა, ქ. ელეცი აიღო და იქაური მთავარი შეიპყრო. მეზობელი მხარეც გაანადგურა. მოსკოვის მთავარს, ცნობილს დიმიტრი დონელის შვილს, ვასილ I-ს საკმაო დრო ჰქონდა ძალთა მობილიზაცია ჩაეტარებინა, იგი დიდი ლაშქრით თავის სამფლობელოს სამხრეთ საზღვარზე დადგა (მდ. ოკის გასწვრივ). მაგრამ თემურ ლენგი 15 დღის განმავლობაში რიაზანის სამთავ-

<sup>1</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება., გვ. 30.

როს ძარცვავდა, ხოლო შემდეგ იგი სასწრაფოდ ტოვებს რუსეთის მიწა-წყალს<sup>1</sup>. სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ ეტყობა მოსკოვის მთავრის წინააღმდეგ ბრძოლას თავი აარიდა (არც ისე დიდი ხანი იყო გასული კულიკოვოს ველზე მომხდარი დიდი ისტორიული ბრძოლიდან). ასე რომ, ქართულ ძეგლებში მოცემული ცნობა, ალბათ, თემურ ლენგის ამ ბრძოლებს გულისხმობს მხოლოდ.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, როგორ მოხვდა ქართულ საისტორიო თხზულებაში ცნობა თემურ ლენგის მიერ რუსეთის დაპყრობის შესახებ. ჩვენ აღნიშნული გვექონდა, თუ რა ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველო ოქროს ურდოსთან XIV საუკუნეში. ცხადია, ურდოსთან ურთიერთობის შედეგად ჩვენში ცნობილი უნდა გამხდარიყო რუსეთის სამთავროებში თემურის შექრა, და ასეთი ცნობები ქართულ ძეგლებში უნდა შეტანილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არც ეს ძეგლები და არც სხვა იმდროინდელი თხზულება შემორჩენილი არ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში იგი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. აკად. ივანე ჯავახიშვილს გამოორკვეული აქვს, რომ თემურის შემოსევების პერიოდის შესახებ ცნობები არც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით შედგენილ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ და არც ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში ძველ ქართულ წყაროებზე არაა დამყარებული. ქართულ ძეგლებში მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეებში არის შეტანილი თემურის ამბები ირანულ და სომხურ საისტორიო თხზულებებიდან<sup>2</sup>. XIV—XV საუკუნის ქართული ძეგლები XVIII საუკუნეში უკვე დაკარგული იყო.

ამდენად, ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში დაცული ცნობა რუსეთის შესახებ XIV—XV საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის არ გამოგვადგება. მაგრამ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია რუსეთში თემურის შექრის ამბავი საქართველოში ცოდნოდათ იმავე საუკუნის ოთხმოციან წლებში.

---

<sup>1</sup> С. М. Соловьев. История России сдревнейших. вр. СПб. წიგნი I, გვ. 1029.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ვრის ისტორია, წიგნი მესამე. 1949 წ., გვ. 286—293.

## პირველი ხმოვანი XV საუკუნის რუსეთისა და ქახეთის უკრაინათობის ისტორიიდან

მონგოლთა ბატონობის ხანაში რუსეთსა და საქართველოში დიდი ცვლილებები მოხდა. საქართველოს ფეოდალური მონარქია დაეცა. მის ნანგრევებზე XV საუკუნის მეორე ნახევარში სამი ქართული სამეფოს კონტურები მოიხაზა, მაგრამ რღვევის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. სამეფოებს სამთავროები და საერისთაოები გამოეყო, ყველა ესენი კი ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ და საქართველოს შტერ-მეზობლებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მიტაცებას უადვილებდნენ. პირველად სამცხე-საათაბაგოს მესვეურებმა „ისარგებლეს“ საქართველოს სახელმწიფოს უბედურებით და ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სახელმწიფოს დიდი ზღუდის სამხრეთ-დასავლეთის კედელი გაბზარეს.

მონგოლთა ურდოების ხელმძღვანელებს „divide et impera“-ს პოლიტიკა შეთვისებული ჰქონდათ და, როცა სამცხე-საათაბაგოს მფლობელმა სარგის ჯაყელმა მონგოლებს ქართველი მეფის ძალმომრეობაზე შეჩივლა, მონგოლთა ყაენმა ჯაყელის სამფლობელო უშუალოდ დაიქვემდებარა „ხასინჯუს“ წესით და ამ დროიდან 50 წლის განმავლობაში სამცხე-საათაბაგო საქართველოს სამეფოს აღარ ექვემდებარებოდა. ამის შეპდეგ სამცხის მფლობელებმა ირან-თურქეთის ძალმომრეობას ვეღარ გაუძლეს და საქართველოს მეფის მორჩილებისაგან თავის დაღწევის ნაცვლად თურქთა ბატონობა მოიმიჯეს და უნებლიედ ქართული სახელმწიფოებრიობის საერთო დაცემის პროცესის უშუალო მონაწილენი შეიქნენ. საქართველოს რღვევის პროცესი შიგნიდან მომდინარეობდა, მხოლოდ ამ პროცესს დასაყრდენი საქართველოს სახელმწიფოს გარეთ გაუჩნდა, ჯერ მონგოლთა საყაენოს, ხოლო შემდეგ თურქეთისა და ირანის სახით.

საქართველოს რღვევის პროცესის შინა პირობა სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება იყო, რომელიც XIV საუკუნეში უკვე დამკვიდრებული ჩანდა.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა საზოგადოების ისეთი ძლიერი სოციალური ფენა, რომელზე დაყრდ-

ნობით მას ერთად შემოძტევი შინა და გარე ძალების დაძლევა შეძლებოდა.

ასეთ პირობებში საქართველოს თავდაცვა მეტად გაძნელდა. საქართველოს სახელმწიფოს წინანდელი რესურსები მონგოლთა სახარგებლოდ გაცემულმა ხარკმა გამოფიტა. ქართველების მხნეობა და იშვიათი თავდაცვისუნარიანობა ქვეყნის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა და საქართველო ძალაუნებურად დაქუცმაცებისა და დაკნინების გზას დაადგა. XV საუკუნეში საქართველოს მეზობლად მიმდინარე პროცესებიც ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო მოვლენებად იქცა. ოსმალ-თურქებმა სელჯუკთა სახელმწიფოს ნანგრევებზე ძალთა გაერთიანება მოახერხეს და, ისარგებლეს რა ბიზანტიის სახელმწიფოს დასუსტებით, შექმნეს რეგულარული ქვეითი ჯარები და XIV საუკუნის მეორე ნახევარში ბალკანეთზე გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო 1396 წელს ნიკოპოლთან პირველი ანტითურქული კოალიცია დაამარცხეს და საბერძნეთში შეიქრნენ.

1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა. თურქეთი მალე ბალკანეთის ნახევარკუნძულსაც მთლიანად დაეუფლა. სერბთა და ბულგართა წინააღმდეგობაც გასტეხეს თურქებმა. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიც, ყირიმის სახანოს ჩათვლით, თურქეთის ხელქვეითი შეიქნა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ჯერ ჯეჰან შაჰის სახელმწიფო შეკოწიწდა ქირმანიდან საქართველომდე არსებული ტერიტორიით, ხოლო სამოციანი წლებიდან თეარბატკნიანთა ტომის მთავრის შთამომავლის უზუნ-ჰასანის მეთაურობით ირანის უდიდესი ნაწილი გაერთიანდა და საქართველოს სამტროდ მოიმაოთა. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში ოსმალეთისა და ირანის გაძლიერების ამბების აღწერის შემდეგ XV საუკუნის ქართველთა მისამართით შენიშნავდა: „...გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლით და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი... ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო... მაშინდელი საქართველო, როგორც ეტყობა, ჯერ კარგად ვერ გრძნობდა მთელ იმ საშიშროებას, რომელსაც ეს ახლად აღორძინებული სახელმწიფო უქადდა და უდარდელად განაგრძობდა თავის შინაურს, დამაუძღურებელს ბრძოლას“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948 წ., გვ. 63.

საქართველო, მართლაც, სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა ქრისტიანული სამყაროდან, იგი მაჰმადიანურ გარემოცვაში მოემწყვდა. სახელმწიფოს მთლიანობა, ფეოდალურ საზოგადოებაში შესაძლებელი, და ძალთა შინაგანი გაერთიანება თუ იხსნიდა ქვეყანას. ამის ნაცვლად პოლიტიკურად რღვევის გზაზე დამდგარი საქართველო პირისპირ წარუდგა შუა საუკუნეების უძლიერეს ოსმალთა იმპერიას<sup>1</sup>.

გარეშე მტრის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება რომ საჭირო იყო, ამას მაშინ და შეუძლებაც საქართველოში გრძნობდნენ. საქართველოს ყველა სამეფოთა ისტორიაში ყოველთვის მოჩანს ბირთვი, რომელიც ქვეყნის ხსნას ძალთა გაერთიანებაში ხედავდა და ამისაკენ მიისწრაფოდა. ბევრე საკითხია, რამდენად ძლიერი იყო ეს ბირთვი და რამდენად მტკიცე დასაყრდენი ჰქონდა მას ქვეყანაში. ოსმალთა კონსოლიდაციის პროცესი თუ ქართველებმა დროულად ვერ შეაფასეს და მოსალოდნელი საფრთხე ქართველებისათვის ისე გასაგები არ იყო, სანაგიეროდ ოსმალეთის საწინააღმდეგო კოალიციის ნოწყობაში ისინი დასაჯლეთის პოლიტიკოსებს არ ჩამორჩებოდნენ და თვით ამ კოალიციის ინიციატორებთან შედარებით უფრო თავგამოდებული ნზრუნველები ქართველები აღმოჩნდნენ XV საუკუნის მეორე ნახევარში.

თურქეთის საწინააღმდეგოდ დასაჯლეთის სახელმწიფოებთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ 1459 წელს დასაჯლეთიდან მიღებულ მოწოდებისთანავე საქართველოს მეფე-მთავრებმა შინა ბრძოლები შეწყვიტეს და ხელშეკრულება დადვეს: „ჩვენ ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომელნიც ამ ქვეყნებში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დაედეთ და ერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალდონით თურქებს ვეომოთ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც კონსტანტინეპოლში არიან, რადგან ისინი ქრისტიანთა ყველაზე უფრო მოძულენი არიან“<sup>2</sup>. ყვარყვარე ათაბაგი 1459 წელს თავის ვრცელ წერილში სხვათა შორის წერდა: „50 წელიწადია ასეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვეავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში... კვალად დი-

<sup>1</sup> მარქსი აღნიშნავს ოსმალეთის შესახებ: „... оно было едпнственной подлнвной военной державой средневековья“. Архив Маркса и Энгельса, ტ. VI, გვ. 169.

<sup>2</sup> თარგმანი შესრულებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ. იხ. ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 67.

დათ ვნატრობთ და გევედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად შეატყობინოთ, თუ მზად ხართ ჯვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიქურნეთ საომრად. ამასაც გპირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაშივე დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყანა, რომლებიც კონსტანტინოპოლელ ოსმალს მხარეს უქირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომლებიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქნება, რადგანაც ოსმალეთი ორ ჯარს შუა მოექცევა, მალე დაიძლევა და ამ ნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოესპობთ. ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გევედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა, რომელიც გაძლევათ... ჩვენ ყველაფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს დავსდგომივართ<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, ქართველებმა მახლობელი მფლობელებიც ჩააბეს ამ საქმეში და 120 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა აღუთქვეს დასავლეთს. მაგრამ ფუჭი გამოდგა ქართველების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. დასავლეთის სახელმწიფოებს XV საუკუნეში თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობა არსებულ შინა წინააღმდეგობათა საფუძველზე ვერ მოუხერხდათ. ამ საქმის ორგანიზატორს რომის პაპს მასთან ჩასული ქართველი ელჩებისათვის მიუხედავად ვეროპის მფლობელთა კოალიციაში ჩაბმა. ისე რომ, ინტერესთა სხვადასხვაობამ დასავლეთ ევროპაში თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის საკითხი ამჯერად დღის წესრიგიდან მოხსნა და ქართველი ელჩებიც ხელცარიელი დაბრუნდნენ.

რაკი ეს დიდი წამოწყება ჩაიშალა, ქართველ მეფე-მთავრებს შორის დადებული სხელშეკრულება შერიგებისა და ძალთა გაერთიანების შესახებ გაუქმებულა. ქართველებს შორის დადებული ხელშეკრულება რომ დროებითი იყო, ეს ბურჯუნდიის მეფისადმი ქართველ გიორგი მეფის გაგზავნილ წერილის ერთი ადგილიდანაც ნათელია: „...აქ ხსენებულთა ამის შესრულება ერთმანეთს შეეფიცეთ... იმ პირობით კი, თუ თქვენ, ლათინებიც, ჩვენთან ერთად იქნებით და თქვენის მხრით ოსმალებს ომს დაუწყებთ. მაგრამ თუ არ ისურვეთ ეს ომი, მაშინ სრულებით ვალდებული აღარ ვიქნებით, შევასრულოთ ის, რასაც ერთმანეთს შევპირდით... აწ თუმცა ამ მორიგებამ ზოგიერთ საქმეში მაზარალა, მაგრამ მაინც

<sup>1</sup> მ. თამარა შვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის 1902 წ., გვ. 58—59.



კი მოხარული ვარ, რადგან ამის მიჯიერად ღვთისაგან მოველი სულიერ სასყიდელსა\*<sup>1</sup>. შინა ომები 1461 წლიდან განახლდა. ეტყობა ისეთი ძლიერი იყო ქართველ ხელისუფალთა შორის არსებული წინააღმდეგობა, რომ გიორგი მეფე ზემოთ მოტანილ წერილის სათანადო ადგილს ქართველ მფლობელთან შორიგების გამო თავს დაზარალებულად აცხადებს და, ალბათ, თითოეულ მათგანს, თურქეთის საწინააღმდეგო ომის გადახდის შემდეგ, განზრახული ჰქონდა ძველი სადავო საკითხების განახლება და იარაღით მათი გადაწყვეტა. აი ეს შინა მოვლენები მიაქანებდნენ საქართველოს სახელმწიფოს დაცემისა და დაკნინებისაკენ.

როგორც აღნიშნული იყო, XV საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის საქართველოში სამი სამეფო აღმოცენდა, ხოლო ამ სამეფოების გარემოცვა იმაზე უარესი შეიქმნა, ვიდრე ამავე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებში იყო.

საქართველოს სამი კუთხის სამივე მეფე ერთსა და იმავე დროს „ყოვლისა საქართველოს... ლიხთ-იმერეთის და ლიხთ-ამერეთის მეფედ“ აცხადებდა თავს. ქართველ მეფეთა სიგლების ამგვარ სტრიქონებში ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს იდეა სიცოცხლეს განაგრძობდა, მაგრამ ამ იდეას არსებულ პირობებში განხორციელება თუ უცდია, ეს ცდა ისევ ჩვენი ქვეყნის საუბედუროდ დამთავრებულა. ძმათა სისხლი იღვრებოდა, ქვეყანა ნადგურდებოდა, ხოლო ქვეყნის გამაერთიანებელი სოციალური დუღაბი არ იქმნებოდა. ასეთია ზოგად ხაზებში XV საუკუნის ფეოდალური საქართველო, ამიერიდან იმერეთის, ქართლის და კახეთის სამეფოებად დაყოფილი. ერთი მხრივ, აგრესიული თურქი მეზობლობდა, მეორე მხრივ, ასევე აგრესიული ირანი, შავი ზღვა ჩაკეტილი იყო, კასპიის ზღვა კი მიუწვდომელი, მეგობარი არც კავკასიონის გასწვრივ მოჩანდა. მოძმე მალალი კულტურის სომხეთს კი კარგა ხანია სახელმწიფოებრიობა აღარ ჰქონდა და ქართველებთან ერთად აგრესიის ობიექტად გადაქცეულიყო.

სულ სხვარიგად განვითარდა მოვლენები რუსეთში. მონგოლთა ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს—ოქროს ურდოს—ხელქვეით მოქცეული რუსეთის სამთავროები, ურდოს საყაენოს კარის ხელის შეწყობით, მართალია, ერთიმეორეს საწინააღმდეგო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული და ურდოც ამ საფუძველზე ახერხებდა რუსეთზე ბატონობის შენარჩუნებას საუკუნის მანძილზე, მაგრამ ამავე დროს, თვით ურდოში ფეხს იდგამდა ფეოდალური ურთიერთობა და

<sup>1</sup> მ. თ. მ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 60.

შინა ბრძოლები აქაც დამახასიათებელ მოვლენად იქცეოდა XIV საუკუნიდან მოკიდებული თვით ურდოს სრულ დაცემამდე.

მონგოლთა შემოსევამდე ცნობილი რუსული სამთავროები დაქვეითებას იწყებენ, მაგრამ XIII საუკუნის მეოთხე მეოთხედიდან ოკისა და ვოლგის შუა მდინარეთში ახალი, მოსკოვის, სამთავრო უალიბდება. გარკვეული პირობების შედეგად XIV საუკუნეში მოსკოვი უძლიერესი სამთავროა რუსეთის სამთავროებს შორის ისე, რომ ამ საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოსკოვის სამთავრო რუსეთის ხელმძღვანელობას კისრულობს და ოქროს ურდოს ბრძოლის ველზე იწვევს კიდევც.

1380 წელს ურდოს გაერთიანებული ძალები დაამარცხეს რუსეთის მთავრებმა. ამ საქმეში ხელმძღვანელი როლი მოსკოვის ეკუთვნოდა და ამ ფაქტმა მოსკოვის სამთავროს მნიშვნელობა ერთიორად გაზარდა. ოქროს ურდოს მესვეურებმა ძალიან გვიან შენიშნეს მოსკოვის გაძლიერება. ამას გარდა, თვით ურდო დაშლისა და დაქუცმაცების გზას ადგა. მოსკოვის გარშემო თავს იყრიან და მის შემადგენლობაში რჩებიან სხვადასხვა რუსული სამთავროები. XV საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ძირითადი პოლიტიკური ერთეულები უკვე გაერთიანებული იყო, ანდა ერთიანდებოდა მოსკოვის სახელმწიფოში. ფეოდალურ სამყაროში რუსული სამთავროების ასეთი გაერთიანება განაპირობა: 1. რუსეთის ცალკეული მხარეების ეკონომიურმა განვითარებამ, რაც საზოგადოებრივ შრომის დანაწევრებაში და სასაქონლო მიმოქცევაში გამოიხატა. ამის შედეგად ცალკეულ ქალაქებსა და მხარეებს შორის ეკონომიური კავშირი გაძლიერდა ისე, რომ მოსკოვის მთავარს ქვეყნის გაერთიანების დროს ბუნებრივი მოკავშირე ჰყავდა ბოიარების და ვაჭარ-ხელოსნების სახით, მანამდე დამოუკიდებელი რიაზანის, ნოვგოროდის, ნიჟნი-ნოვგოროდის თუ სხვა რუსულ სამთავროში. მოსკოვთან გაერთიანების საჭიროებას კარგად ხელავედნენ მოსკოვის სამთავროს გარეთ მყოფი პოლიტიკური ერთეულების ბოიარები და როდესაც, მაგალითად, ნიჟნი-ნოვგოროდის მთავარმა მოსკოვის სამთავროსთან გაერთიანებაზე კირვეულობა დაიწყო, მისმა ბოიარებმა უარი უთხრეს თავის მთავარს მხარდაჭერაზე და გაერთიანებაც მარტივად გადაწყდა.

2. მეორე გარემოება, რომელიც მოსკოვის ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოშობას დაედო საფუძვლად, იყო იმ დროის გაბატონებული ფეოდალების კლასობრივი დაინტერესება—შექნილიყო ძლიერი ხელისუფლება. ფეოდალური საზოგადოების განვითარებამ, გამოიწვია რა გლეხის ექსპლოატაციის ზრდა, გააძნელა

გლების დამორჩილება. გლებს არ სურდა დამძიმებული უღლის ტარება და გაიზარდა წინააღმდეგობა მიწათმფლობელსა და გლებს შორის. მემამულე-მებატონეთა კლასს ამიტომ ისეთი ძლიერი ხელისუფლება სჭირდებოდა (ამ შემთხვევაში ხელმწიფე-მთავარი), რომელიც გლებობის გაზრდილ წინააღმდეგობას ადვილად დათრგუნავდა და მას მემამულეს დაუმორჩილებდა.

3. დაბოლოს, მესამე გარემოება, რომელიც რუსეთში ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ბიძგს აძლევდა, ქვეყნის გარე საშიშროებისაგან დაცვის გადაუდებელი მოთხოვნილება იყო. რუსეთის ველებზე არ მოხერხდა მონგოლთა მოთარეშე ურდოებისაგან ცალკეული სამთავროს დამოუკიდებლად დაცვა. იქ არსებულ პირობებში დიდი სახსრები და მრავალრიცხოვანი ლაშქარი სჭირდებოდა ურდოს თარეშისაგან ქვეყნის დაცვას. გაერთიანებული და ცენტრალიზებული სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზებას სწრაფად და კარგად მოაწყობდა. ასეთ ვითარებაში XV საუკუნის მეორე ნახევარში დეოდალური, მაგრამ საქალაქო ცხოვრებით შედარებით დაწინაურებული მოსკოვის სახელმწიფო უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადად და მან ოქროს ურდოს ერთი განაყოფთაგანი—ყაზანის სახანო თავის ვასალად გაიხადა კიდევც.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ოქროს ურდო დაიშალა. ვოლგაზე ყაზანის სახანო ჩამოყალიბდა, ყირიმის მიდამოებში—ყირიმის სახანო, ვოლგის შესართავთან თვით ოქროს ურდო განაგრძობდა არსებობას, ხოლო სამხრეთ რუსეთის ველებზე ნოდელთა ორი ურდო მოხეტიალობდა და აგრეთვე ცალკე ფიქრობდა არსებობას. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ამ სახანოებს შორის დიდი წინააღმდეგობა სუუვედა. ბატონობაზე განსაკუთრებით დიდი პრეტენზიები ჰქონდა ყირიმის სახანოს. ოქროს ურდოს უკვე წინანდელი ძალა აღარ ჰქონდა, ასეთი ძალები არც ამ ურდოს განაყოფებს გააჩნდა, მაკრამ თარეშისა და დარბევების ორგანიზების შესაძლებლობა კარგახანს შერჩათ და ახლა ამ ხელობას დადგომოდნენ ბათო ყაენის მემკვიდრენი. მაგრამ XV საუკუნეში მათ ძლიერი და შეუდრეკელი მოწინააღმდეგე გაუჩნდათ მოსკოვის სახელმწიფოს სახით, რომელიც შემდეგ მათი მბრძანებელიც შეიქნა.

მოსკოვის დიდ მთავარს XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე საგრძნობი სანხედრო ძალები ჰყავდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ცალკეულ მსხვილ ფეოდალებს ჯერ კიდევ საკუთარი რაზნები ჰყავდათ. სამხედრო საინსახური საერთო სახელმწიფოებრივი წესით—რეგულარული ლაშქრით

რუსეთს ჯერ არ ჰქონდა შემოღებული. თვითეულ ფეოდალს თავის მამულიდან გამოჰყავდა საკირო შემთხვევაში იმდენი ჯარი, რამდენიც მას შეეძლო. ასეთი ფეოდალური ლაშქრის არსებობა მოსკოვის სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს სუსტი მხარეა, მაგრამ იმ დროს ხომ ასეთი მოვლენა ჩვეულებრივი იყო. იოანე III-ის დროს, XV საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, ბოიართა უფლების შეზღუდვა დაიწყო და მთავრის თვითმპყრობელური უფლება გაიზარდა. XV საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მთავრის ლაშქარში საარტილერიო ნაწილები შეიქმნა. ზარბაზნებს თვით მოსკოვში აკეთებდნენ. ჩამოყალიბდა მეთოფურთა ნაწილებიც, ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო ცხენოსანთა ნაწილები. ისე რომ, XV საუკუნის უკანასკნელი ათეულისა და XVI საუკუნის დასაწყისის რუსეთის ძალები მეზობლებს შიშს, მორიდებას და პატივისცემას უნერგავდა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. ამიტომაც, როცა თურქეთის გაძლიერებით თავზარდაცემული ევროპა თავდაცვაზე იყო გადასული და თურქეთის საწინააღმდეგო ძალებს ევროპის გარეთ დაექმბდა, რუსეთის ახლად გაძლიერებული სახელმწიფო მალე მათი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

XV საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის სახელმწიფოს ურთიერთობა აქვს იტალიასთან, ვენეციასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, დანეთთან, შვედეთთან, თურქეთთან და ირანთან. საერთაშორისო ურთიერთობაში რუსეთის სახელმწიფოს დამოუკიდებელი, საკუთარი პოზიცია ეკავა.

1496 წელს თურქეთის სულტანის კარზე გამგზავრებულ ელჩს პლეშჩეევს ასე მოძღვრავდა იოანე III: „поклон правити стоя а на колени не садиться“. იმ შემთხვევაში, თუ სულტანთან დარბაზში სხვა ქვეყნების წარმომადგენლები აღმოჩნდებოდა და მათ დაჯდომას შესთავაზებდნენ, პლეშჩეევს პირველი ადგილი არც ერთი ქვეყნისათვის არ უნდა დაეთმო. იმ შემთხვევაში, თუ კონსტანტინოპოლში ჩასვლისას და სასახლეში მიღებისას ფაშები შეეკითხებოდნენ მისი ელჩობის მიზანდასახულების შესახებ და ეს შეკითხვა თვით სულტანის განკარგულებით იქნებოდა, პლეშჩეევს ფაშებისათვის ასეთი პასუხი უნდა გაეცა: „меня государь мой послал к салтану, и яз салтану хочю государя своего речь говорить“<sup>1</sup>. ამ ცერემონიალს იმ საუკუნეებში თავისი შინაარსი ჰქონდა და ამით, პირველ რიგში, რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის საკითხის გადაწყვეტას ცდილობდა მოსკოვის დიპლომატია.

<sup>1</sup> К. В. Базилевич, Внешняя политика русского централизованного государства, Вторая половина XV века, 1952, гл. 423.

აი ამ რუსეთთან XV საუკუნის ბოლოს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველომაც.

XV საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები იმდენად დაშორებული იყო საქართველოს ახლად ჩამოყალიბებულ სამეფოებისაგან, რომ ამ საუკუნეში მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასა და ელჩების მიმოსვლაზე ფიქრი ძნელი წარმოსადგენი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ჩრდილოეთით, თანამედროვე რუსეთის სამხრეთ ველებზე და შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებზეც მონგოლთა ძლიერების ნაშთი სხვადასხვა სახანოების სახით XVI საუკუნეშიაც არსებობას განაგრძობდა (მდინარე ვოლგაზე კი ორი მონგოლთა სახანო იყო: ვოლგის შესართავთან დასუსტებული ოქროს ურდო, ხოლო მის ჩრდილოეთით—ყაზანის სახანო), მაშინ ცხადი გახდება, რომ ქართველებს ერთმორწმუნე მოსკოვთან ჩრდილოეთის გზა დახშული უნდა ჰქონოდათ.

თუ წინათ ბიზანტიის საშუალებით დასავლეთთან და რუსეთთანაც კავშირის შესაძლებლობა იყო, ახლა თურქეთის გაბატონებით ეს გზაც უნდა გადაკეტილიყო.

მაგრამ ჩვენამდე მოღწეული რუსული ცნობებიდან აშკარაა, რომ მოსკოვი და ქართული სამეფო—კახეთი ურთიერთობას ახერხებენ, ქართველი ელჩები მოსკოვს ეწვივნენ.

XV საუკუნის მოსკოვის მოწინავე წრეებისათვის იმდენად საყურადღებო ყოფილა ქართველი ელჩების მისვლა მოსკოვში, რომ ამის შესახებ ცნობა მემატიაენსაც კი შეუტანია თავის ნაშრომში. 1492 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბავთა შორის რუსი მემატიაენე გვაუწყებს: „Тоя же зимы прииде посол к великому князю из Иврския земли от князя Александра именем Мурат“<sup>1</sup> („იმავე ზამთარს დიდ მთავართან მოვიდა ელჩი ივერთა ქვეყნიდან ალექსანდრე მთავრისაგან (წარმოგზავნილი) სახელად მურატი“).

ამ ელჩობის შესახებ სხვა არავითარი ცნობა არ მოიპოვება. სრულიად გაუგებარია, რომელი ალექსანდრეს მიერ არის ელჩი გაგზავნილი და რა დავალებით მივიდა იგი მოსკოვში ან რა პასუხი წამოიღო მოსკოვის მთავრობისაგან სამშობლოში.

ქართულ ძეგლებში კი ამ ელჩობის შესახებ მსგავსი ცნობაც არაა დაცული.

რუსი მემატიაენის ამ კვინკლოსური ხასიათის ცნობიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1492 წლისათვის საქართველოში

<sup>1</sup> Полн. Собр. русск. летоп. Арх. комисс. т. XII, Никон. летоп. 1901, гл. 232.

მოსკოვის სამთავროს შესახებ იმდენად ყოფილან ინფორმირებული, რომ დიპლომატიური ურთიერთობის მიზნით ელჩის გაგზავნაც საჭიროდ მიუჩნევიათ და, რაც მთავარია, მოსკოვისაკენ გზა არც ისე დახშული ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. მაშინ მოსკოვის მთავრად იოანე III ვასილის ძე იყო (1462—1505 წ.წ.).

მატიანის ზემოთ მოტანილი ცნობის გარდა, მოიპოვება კიდევ ერთი, რუსულ ენაზე დაცული, საბუთი, რომლიდანაც აგრეთვე XV საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ქართველი ელჩების მოსკოვში გაგზავნას ვტყობილობთ. ამ საბუთის განხილვა ხელს გვიწყობს მატიანის ზემოთ მოტანილი ცნობაც გავარკვიოთ. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება პირდაპირ აღნიშნულ საბუთს შევებოთ. საბუთი, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, პირველად კარამზინმა დაბეჭდა თავის თხზულების შენიშვნებისა და დამატებების განყოფილებაში<sup>1</sup>. იგივე საბუთი ს. ბელოკუროვმაც დაბეჭდა კრიტიკული მიმოხილვით<sup>2</sup>.

საბუთი წარმოადგენს ქართველი მეფის წერილის თარგმანს ძველ რუსულ ენაზე. ქართული დედანი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

რადგან კარამზინისა და ბელოკუროვის გამოცემები ძნელი საშოვარია, ამასთან, რაკი ყველას ძველ რუსულ ტექსტებზე ხელი არ მიუწვდება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რუსული ტექსტი ქართული თარგმანით წინასწარ აქვე მოვიტანოთ:

### რუსული ტექსტი

### თარგმანი

Великому царю и господа-  
рю, великому князю, niskoe  
челобитие. Ведомо бы было,  
что из дальные земли ближ-  
нею мыслью менший холоп  
твой Александр челом бью.  
Темным еси свет, зеленого не-  
ба звезда еси, христьянская  
еси надежда, веры наши кре-  
пости. всесветлый государь,  
всем еси государем прибежи-

დიდ მეფეს და ბატონს, დიდ  
მთავარს მდაბალი თაყვანისცე-  
მა. უწყებული იყავ, რომ შორე-  
ული ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით  
ახლო მყოფი მდაბალი (მცირე)  
ემა შენი აღექსანდრე სალამს  
(თაყვანისცემას) მოგიძღვნი. ბრმა-  
თათვის სინათლევ, ლაგვარდოვან  
ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების  
იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სი-  
მტკიცევ) ბურჯო, ყოვლად

<sup>1</sup> Карамзин, История Госуд. Росс., 1943. ტ. VI, შენიშვნა 370, გვ. 70.

<sup>2</sup> С. Белокуров, Сношения России... 1889. გვ. XXI—XXII.

ще, всем еси государем закон, бедным еси подпора и бесерменом еси надея, законной земли грозный государь, всем еси князем справедливая управа, всем князем вышний князь, земли еси тишина, обетник еси Николин. Добрых государей молитвой и счастьем мы еще здесь в Иверской земле в здравии живем. Аще бы про наше здравие слышали быхом, слава богу. И еще сведомо буди, много государю челом буючи, Наримана, Дамиана к твоему порогу послали есмь; Хоземарума шкенца в товарищех с ними же послали есмь вашего здравия отвесдати. Посылка наша дай бог в доброй час. Счасток дай бог всегда был. И холопству твоему недостойный Александр. А писана лета<sup>1</sup> девяносто первого. Января<sup>2</sup>.

ბრწყინვალე ხელმწიფევე, ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ღატაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყნის მრისხანე ხელმწიფევე, ყოველ მთავართა მართლმსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებავე, (წმიდა) ნიკოლოზისათვის აღთქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებით ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მადლით. და კიდევ გეუწყოს—მრავალი თავყვანისცემით თქვენს კარზე წარმოვივლენია ნარიმანი, დამიანე და მათთან ერთად ხოზეპარუმი შაქელი, თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. ღმერთმა ბედნიერი ყოს ჩვენი ელჩობა. ღმერთმა ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილიყო. თქვენი ყმობის უღირსი ალექსანდრე. ხოლო დაიწერა ოთხმოცდა თერთმეტსა წელსა, იანვარში.

რუსულ ტექსტს ზემოთ წითელი პელებით შემდეგი მინაწერი აქვს ორ სტრიქონად: „ся грамота пришла из гурзынских земли от Иверского царя Александра“ („სიგელი ესე მოვიდა საქართველოს ქვეყნიდან ივერთა მეფე ალექსანდრესაგან“).

წერილის მინაწერიდან და თვით წერილის დასასრულიდან ცხადი ხდება, რომ იგი გაუგზავნია მოსკოვის მთავრისათვის ქართველ მეფეს ალექსანდრეს, მაგრამ გამოსარკვევია, რომელ ალექსანდრეს, მოსკოვის რომელი მთავრისადმი და როდის გაუგზავნია იგი. პირველ რიგში უნდა გაირკვეს, როდის არის წერილი დაწერილი,

<sup>1</sup> სიტყვები „А писана лета“ დაწერილია გადაფხვილ ადგილზე.  
<sup>2</sup> დედანში წერტილის ნაცულად პატარა ჯვარია გამოსახული.

იმიტომ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მარტივად გაგვირკვევს, თუ რომელი ალექსანდრეს მიერაა გაგზავნილი წერილი და ვინ არის აღრესატი.

როგორც ტექსტიდან ჩანს, წერილი თითქოს დათარიღებულია და ამ მხრივ საძიებელიც არაფერი არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ წერილს ყოვლად უცნაური თარიღი უზის: „А писана лета девятдесят первого. Генваря“. რას წარმოადგენს ეს „ოთხმოცდათერთმეტი“ წელი?

ოთხმოცდათერთმეტი წელი ყველა საუკუნეს აქვს, ამიტომ საკითხი ისმის, თუ რომელი საუკუნის ოთხმოცდათერთმეტი წელი იგულისხმება აქ. ასეთი საკითხი შეიძლება დაისვას იმ შემთხვევაში, თუ ვიფიქრებთ, რომ ტექსტში ათასეულისა და ასეულის აღმნიშვნელი სიტყვები სამოკლისათვის განზრახ შეკვეცილია. მაგალითად, ისე, როგორც დღეს ვამბობთ—ათას ცხრას ხუთის ნაცვლად, „ცხრაას ხუთში“ ანდა ხშირად გავიგონებთ „ცხრაას ჩვიდმეტში“. წერილის თარიღის შესახებ საკითხი უფრო რთულდება, თუ მოვიგონებთ იმ ფაქტს, რომ წელთაღრიცხვა ქართველებს და რუსებსაც მარტო ქრისტეს დროით კი არ ჰქონდათ, არამედ „ქვეყნის გაჩენის“ დროითაც; ამასთან ძველად ქართველები წელთაღრიცხვას ჩვეულებრივ თავის ქორონიკონებით ანგარიშობდნენ და ამის მიხედვით წერდნენ.

წერილში მოცემული თარიღი, „91“, ყველას პირველ რიგში ქართული ქორონიკონით წარმოებულ ეგონება, მაგრამ გამოანგარიშების შემდეგ დაინახავს, რომ ქართულ ქორონიკონთან საქმე არ უნდა გვექონდეს. ქართული ქორონიკონით თუ იყო დათარიღებული დედანი, მაშინ „91“ წელი უდრის 1403 წელს ( $1312+91=1403$ ). მაგრამ წერილში ქართულ ქორონიკონთან საქმე არ უნდა გვექონდეს იმიტომ, რომ 1403 წელს საქართველოში ალექსანდრე მეფედ არ ყოფილა. არც მოსკოვის მთავარს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ამ დროს ისეთი სახელი და ძლიერება, როგორც წერილშია წარმოდგენილი. ასე რომ, წერილი XV საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი არ უნდა იყოს.

მართალია, XV საუკუნის პირველ ნახევარში, 1412 წლიდან, საქართველოს სამეფოს ტახტზე ალექსანდრე დიდი არის და იგი 1442 წლამდე მეფობს, მაგრამ წერილი მისი გაგზავნილი არ უნდა იყოს იმიტომ, რომ თარიღი „91 წელი“ ამ ალექსანდრეს მეფობის ხანას არ უდგება. იმ ხანისათვის არც მოსკოვის სამთავროა ძლიერი, მოსკოვმა მთელი XV საუკუნის პირველი ნახევარი შინა ომებში გაატარა და ყაზან-ყირიმის სახანოების თარეშებს ამის გამო თავს ვერ ართმევდა.



ამას გარდა, ქართველი მეფის წერილის რუსულ თარგმანის მინაწერი აშკარად გვიჩვენებს, რომ წერილი უკვე სამეფოებულ დანაწილებულ საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს მფლობელს უნდა ეკუთვნოდეს („Ся грамота пришла из гурзынские земли от Иверского князя“). შემდეგი დროის ამბებიდან ვიცით, რომ „ივერთა მეფე“ რუსებს კახეთის მფლობელად ჰყავდათ ნაგულისხმები. ამდენად, ერთიანი საქართველოს მეფის—ალექსანდრე დიდის მიერ დაწერილი არ უნდა იყოს ეს წერილი.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, თითქმის ერთსა და იმავე წლებში, საქართველოში ორი ალექსანდრე მეფობდა, ერთი იმერეთში—ალექსანდრე ბაგრატიის ძე (1484—1510), და მეორე—ალექსანდრე გიორგის ძე—კახეთში (1476—1505). ამ ალექსანდრეების დროს მოსკოვში იოანე III ვასილის ძე მთავრობდა (1462—1505). შეიძლება თუ არა წერილის თარიღი (91 წ.) ხსენებულ ალექსანდრეთა მეფობის ხანას, ე. ი. XV საუკუნის მეორე ნახევარს შევუფარდოთ? ასეთი საკითხის გადასაწყვეტად მკვლევარნი პირველ რიგში ხელნაწერის პალეოგრაფიულ შემოწმებასაც მიმართავენ. თუმცა ამ შემთხვევაში ხელნაწერი პალეოგრაფიულად ნაგვიანევი ხანისაც რომ აღმოჩნდეს, იგი მაინც შეიძლება სხვა მონაცემების საფუძველზე XV საუკუნის მეორე ნახევრისად მივიჩნიოთ იმიტომ, რომ დღეს დაცული წერილი შეიძლება ნაგვიანებ ხანაში გადაწერილი პარიც იყოს. მაგრამ როგორია მაინც ამ მხრივ მდგომარეობა?

ს. ბელოკუროვმა, რომელმაც ალექსანდრე მეფის წერილი დაბეჭდა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ხელნაწერი XVI საუკუნის მიწურულზე უფრო ადრინდელად სცნო: „Самая рукопись написана рансе конца XVI столетия“<sup>1</sup>. ბელოკუროვი საკმაოდ გამოცდილი მკვლევარი იყო და, ცხადია, რომ საბუთს XV საუკუნის ხელი აშკარად არ ეტყობოდა, თორემ იგი XVI საუკუნეზე საერთოდ ლაპარაკს არ დაიწყებდა. ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა ბელოკუროვის ასეთმა ზოგადი ხასიათის პალეოგრაფიულმა თარიღმა და 1929 წელს, განსვენებულ პროფ. მ. პოლიევქტოვის საშუალებით, დავუკავშირდით ცნობილ რუს მკვლევარს პროფ. სპერანსკის, ვთხოვეთ მას პალეოგრაფიულად შეემოწმებინა ხსენებული საბუთი. პროფ. სპერანსკი მეტისმეტი მზრუნველობით მოეპყრა ჩვენს თხოვნას, თავის კოლეგა ა. სედელნიკოვის თანდასწრებით შეამოწმა საბუთი და ამის შესახებ წერილობით შემდეგი გვაცნობა: „Письмо

<sup>1</sup> С. Белокуров. Сношения России с Кавказом... 1889, гл. XX.

не позднее первой четверти XVI века; эта датировка письма подтверждается филигранью в бумаге рукописи и, как раз, на этих листах где грамота: большая бычачья голова с крестом между рогами, обвитым змеей—знак по Брике и Лихачеву не позднее 1516 года<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, პალეოგრაფიული თვალსაზრისით პროფ. სპერანსკიც ვერ ბედავს საბუთი XV საუკუნეში დაწერილად მიიჩნიოს. რაც შეეხება ქალაქის ქვირნიშანს, ჩვენი აზრით, დასკვნაში ცდება პატივცემული მკვლევარი. 1516 წლამდე დამზადებული ქალაქი უფრო გვიან შეიძლება გამოყენებულიყო, თუმცა არა გვგონია, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ჰქონოდათ 1516 წელზე ადრე დამზადებული ქალაქი მარაგად შენახული, მაგრამ ერთი ათეული წელი მაინც შესაძლებელია ამ მხრივ ვივარაუდოთ.

ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე მეფის დღეს დატული წერილი არ წარმოადგენს იმ პირვანდელ თარგმანს და ხელნაწერს, რომელიც შესრულებული იყო „91“ წელს ქართველი ელჩების მოსკოვში ჩასვლის დროს. იგი თავდაპირველი თარგმნიდან გადმოღებული პირია. ამას გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ თვით ეს საბუთი რუსეთის მეფეების საგარეო საქმეთა საგანგოში („პრიკაზში“) კი არაა დატული, არამედ მოსკოვის პატრიარქის ე. წ. ბიბლიოთეკაში, XVI საუკუნის კრებულში. საყურადღებოა, რომ ამ კრებულში მოთავსებულია სიგელები და უწყებულებანი სრულიად რუსეთის მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების<sup>1</sup>. თავისთავად ცხადია, რომ ამ კრებულში რუსული თარგმნის დედანი ვერ მოხვდებოდა. გაუგებარია და საცხებით ნათელი არაა, რად დასკვირდათ ეკლესიის მესვეურთ ამ საბუთის პირის გადაღება და კრებულში შეტანა. შესაძლებელია, ქართველი დედოფლის შესახებ—დინარას რუსული თქმულების ამბავთან დაკავშირებით დასკვირდათ ალექსანდრეს წერილის დაცვა. როგორც ცნობილია, რუსული თქმულებით, ქართველი დინარ დედოფალი, წმიდანად მიჩნეული, ქართველი მეფის ალექსანდრეს შვილი იყო. შესაძლებელია, XVI საუკუნეში, როცა ეს თხზულება იწერებოდა, ქართველი მეფის ალექსანდრეს წერილი ამ დინარას მამისეულად იყო მიჩნეული და ამიტომაც ალექსანდრეს წერილის გადაწერა და თავიანთ წიგნთსაცავში დაცვა საჭიროდ დაინახეს; თუმცა გადაქრით რაიმეს თქმა მაინც არ ხერხდება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Белокуров. დასახ. ნაშრ. 1889, გვ. XVIII.

<sup>2</sup> რუსული თქმულების დინარას შესახებ იხ. ჩვენი წერილი უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XI.

ამრიგად, რაკი დღეს დაცული საბუთი უდავოდ XVI საუკუნეში გადაღებული პირი უნდა იყოს, გაუგებარი თარიღის ახსნა გადაწერის დროს დაშვებულ უნებლიე შეცდომაში უნდა ვეძიოთ. ქართველი მეფის წერილის რუსული თარგმანის გამომცემლებს, — კარამზინსა და ბელოკუროვს, — ყურადღება არ მიუქცევიათ ხელნაწერის იმ ადგილისათვის, სადაც თარიღია მოთავსებული. საბუთის ბოლოს ტექსტი ასე იკითხება: „А писана лета девятдесят первого. Генваря“. პირველი სამი სიტყვა დაწერილია, ტექსტისავე ხელით. გადაფხეკილ ადგილზე. აშკარად ჩანს, რომ ამ ადგილას მდივანს რაღაც შეცდომა მოსვლია, ამოუშლია და ამ გადაფხეკილ ადგილზე დაუწერია ზემოთ მოტანილი სიტყვები. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად თარიღი საბუთში სრულად უნდა ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ გადაწერის გამორჩენია სიტყვები: „а писана лета“, ამის გამო ამოუშლია თარიღის ნაწილი და ჩაუწერია სიტყვები „а писана лета“, ხოლო თარიღის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები, „девятдесят первого. Генваря“ დაუტოვებია უცვლელად. მდივანისათვის და იმ დროის მკითხველისათვის ეს თარიღი ამ სახით გასაგები იყო და, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივიც. იმხანად და შემდეგაც, რუსულ ძეგლებში ათასეულების შემოკლება, თარიღის მოხსენებისას, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ დროს რუსეთში წელთაღრიცხვას „ქვეყნის გაჩენიდან“ ანგარიშობდნენ. თუ როგორ ამოკლებდნენ წერის დროს რუსები თარიღს, შემდეგი მაგალითებიდანაც ცხადი ხდება: იქ, სადაც ლაპარაკია 7105 წელზე (ქვეყნ. გაჩ.) სიმოკლისათვის წერენ: „В 105 году присылал... к Олександру царю Куршеуха“ ან და „В 104 году присылал к Олександру царю Абас шах посла своего Бирибея“<sup>1</sup>, იგულისხმება 7104 წელი. ან კიდევ—7096 წლის ნაცვლად „И 96 го генваря в 7 ден писал... из Астрахани воевода Лобанов...“<sup>2</sup> და სხვ. მაგრამ ასეთი შეკვეცა წმინდა რუსული მოვლენა არის, ხოლო ქართულ დედანში თარიღი იქნებოდა ქართული ქორონიკონით ან კიდევ „ქვეყნის გაჩენიდან“ ნაანგარიშევი. ამ დროისათვის „ქრისტესით“ წელთაღრიცხვა ქართულ საბუთებში ჩვეულებრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ალექსანდრე მეფის წერილის რუსული ტექსტი ქართული ტექსტიდან პირდაპირ რუსულ ენაზე თარგმნილი არ უნდა იყოს.

<sup>1</sup> Белокуров. Снош. России с Кавказом., 1869, გვ. 310.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 311.

XV საუკუნეში არ შეიძლებოდა საქართველოდან მხოლოდ ქართულ ენაზე დაწერილი წერილი გაეგზავნათ რუსეთში. მოსკოვში მაშინ ქართული ენის მცოდნე კაცის არსებობის იმედი ჩვენში არ უნდა ჰქონოდათ. არც საქართველოში შეიძლებოდა ვინმეს რუსული ენა ცოდნოდა, იმ ხანად ქრისტიანული სახელმწიფოები მიწერ-მოწერისას ბერძნულ ან ლათინურ ენას მიმართავდნენ. წერილები უდავოდ ორ ენაზე დაწერილი იგზავნებოდა საქართველოდან. ასე რომ, ალექსანდრე მეფის წერილის რუსული თარგმანი ბერძნული ტექსტიდან უნდა იყოს შესრულებული. ბერძნულ ტექსტში თარიღი ბერძნული წესით უნდა ყოფილიყო აღნიშნული, „ქრისტესით“ ან „ქვეყნის გაჩენიდან“ და ან კიდევ შესაძლებელია, ორივეთი ყოფილიყო დათარიღებული.

იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე მეფის წერილს XV საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებ ალექსანდრეთა მიერ დაწერილად ვიგულისხმებთ, მაშინ ბერძნულ ტექსტში „ქვეყნის გაჩენიდან“ ანგარიშით 6991 წელი უნდა ყოფილიყო. რუს გადამწერს უნდა შეემციკრებინა პირველი ორი ციფრი. 6991 წელი უდრის 1483 წელს (6991—5508); თუ ქრისტეს დროით იყო ბერძნული ტექსტი დათარიღებული, მაშინ ეწერებოდა 1491 წელი. XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია, თუ გამოსავალ წერტილად რუსულ ტექსტში დაცულ „91“ წელს მივიჩნევთ. მაგრამ ალექსანდრე მეფე კახეთში XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშიც მეფობდა. თუ წერილს ამ ალექსანდრესეულად მივიჩნევთ და იმავე შესაძლებლობიდან გამოვალთ, წერილი დათარიღებული უნდა ყოფილიყო 7091 წლით, რაც 1583 წელს უდრის. ქრისტეს დაბადების შემდგომი წელთაღრიცხვის მიხედვით თუ იყო დათარიღებული, მაშინ 1591 წელი იქნებოდა აღნიშნული. მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნები არ მოწმობენ, რომ აღნიშნული წერილი XVI საუკუნის მიწურულს მიეკუთვნებოდეს. ამას გარდა, მხედველობაში მისაღებია და არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ, როცა იკინძებოდა კრებული, რომელშიც ალექსანდრე მეფის წერილია ჩაკერებული, XVI საუკუნის „არქივარიუსი“ საბუთებს ქრონოლოგიური წესით ალაგებდა და აკერებდა ყდაში. ალექსანდრეს წერილს წინ უსწრებს 1489 წლის საბუთი, შემდეგ კი მოთავსებულია 1496 წლის სიგელი. ცხადია, „არქივარიუსი“ ალექსანდრე მეფის წერილს 1491 წლისად გულისხმობდა, როცა მას 1489 და 1496 წლების საბუთებს შორის ათავსებდა<sup>1</sup>. ამ გარემოებას ანგარიში

<sup>1</sup> ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ს. ბელოკუროვმა, იხ. მისი, Снопъ Россiи с Кавказом, გვ. XXI.

უნდა გაეწიოს; XVI საუკუნის მწიგნობარ არქივარიუსს არ შეიძლება ასეთი აღრევა მოსვლოდა და XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საბუთი XV საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების საბუთებში ჩაეკერებინა.

მართალია, პალეოგრაფიული ნიშნებით საბუთის დათარიღება და წლების ზედმიწევნით განსაზღვრა არ შეიძლება, მაგრამ ასი წლის სხვაობა დამწერლობაში და ისიც რუსულში, მეტისმეტად თვალსაჩინოა და აქ შეცდომაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

მაშასადამე, ჯერჯერობით მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ალექსანდრე ზეფის წერილი XV საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ როგორ წელს? 6991—1483 წ. თუ 1491 წელს? ჯერჯერობით მეტი შესაძლებლობაა 1491 წლის თარიღზე შეეჩერდეთ.

ახლა გასარკვევია, თუ რომელმა ალექსანდრემ გაუგზავნა მოსკოვის მთავარს ეს წერილი. ამ საბუთზე მომუშავე ჩვენს წინა მკვლევართ ასეთი საკითხი არ დაუსვამთ იმიტომ, რომ XV საუკუნის საქართველოს მეფეთა სრული ნუსხა აღდგენილი არ იყო. არც მათი მეფობის ქრონოლოგიური ფარგლები იყო შესწავლილი. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გაწეული შრომის შემდეგ XV საუკუნის ქართველ მეფეთა ნუსხა სათანადო ქრონოლოგიით აღდგენილ იქნა და ჩვენ საშუალება გვეძლევა ახლად წამოვაყენოთ საკითხი წერილში მოხსენებულ ალექსანდრე მეფის ვინაობაზე.

როგორც წერილის ტექსტიდან ჩანს, ალექსანდრე მეფე არის წერილის გამგზავნი, მაგრამ იქ აღნიშნული არაა ეს ალექსანდრე იმერთა მეფეა, თუ კახთა? თუ წერილი 1483 წელს არის დაწერილი, მაშინ საკითხი პარტივად წყდება. 1483 წელს ერთი ალექსანდრე გიორგის ძე კახთა მეფე იყო საქართველოში. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, იგი 1476 წლიდან მეფობდა. მაგრამ, თუ წერილი 1491 წელს არის დაწერილი, რაც ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია, საკითხი რთულდება. 1484 წლიდან 1510 წლამდე იმერეთში ალექსანდრე ბაგრატიის ძე მეფობდა და 1491 წელს მასაც შეეძლო გაეგზავნა ელჩები რუსეთში.

იმის დადგენას, თუ რომელია ამ ორ ალექსანდრეთაგან წერილის გამგზავნი, მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ, მართალია, კახეთიც და იმერეთიც ორივე საქართველოა დღევანდელი გაგებით, მაგრამ იმ დროს თითოეული მათგანი ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და საკუთარი საშუალებებით იკავებდა გზას პოლიტიკურ არენაზე, თითოეული მათგანი თავისებურ პოლიტიკურ გარემოცვაში მოქმედებდა.

როგორც აღენიშნეთ, თუ წერილი 1491 წელს დაიწერა, მაშინ სადავოა—ეკუთვნის იგი იმერთა ალექსანდრეს თუ კახთა ალექსანდრეს. ამ საკითხის გადასაჭრელად პირველ რიგში უურადღებდა უნდა მიექცეს წერილის ერთ ადგილს, სახელდობრ იმას, სადაც ლაპარაკია ელჩების ვინაობაზე. წერილში ამ ადგილას ვკითხულობთ: „И еще с ведомо буди, много государю челом бьючи, Наримана, Дамиана к твоему порогу послали есмя. Хоземарума шекенца в товарищех с ними же послали есмя“. სახელწოდება ნარიმანი და დამიანე იმერთშიც გავრცელებული იყო და კახეთშიც; აქედან ვერავითარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ. მაგრამ ვინ არის „ხოზემარუმი“?

„ხოზემარუმი“ სახელი უნდა იყოს ნარიმანთან და დამიანესთან ერთად გაგზავნილ პირისა, რომელიც ელჩობის შემადგენლობაში შედის, მაგრამ მას იმდენი უფლებები არა აქვს, რამდენიც ნარიმანსა და დამიანეს. ეს ჩანს ტერმინ „товарищ“-დან. „Товарищ“ ძველ რუსულ ტექსტში ამხანაგს კი არ ნიშნავს, არამედ ხელკვეით მყოფ თანაშემწეს, მოადგილეს, რომელსაც ევალება გზაში ელჩის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ადგილის დაკერა; მას აგრეთვე შეიძლება ელჩობაში საგანგებო დავალებაც ჰქონდეს, მაგრამ მეორეხარისხოვანი. საკმარისია აღამიანმა გადასინჯოს XVI—XVII საუკუნეების რუსეთის ელჩების ე. წ. „ნაკაზები“ (ინსტრუქციები) ან ელჩთა საანგარიშო მოხსენებები, რომ ამაში სავსებით დარწმუნდეს. ხოზემარუმის შესახებ წერილში, გარდა მისი „товарищ“-ობის ფუნქციისა, აღნიშნულია, რომ იგი არის „шекенец“ (Хоземарума шекенца в товарищех... послали), რას ნიშნავს „შეკენეც“?

ბროსე ფიქრობდა, რომ „შეკენეც“, „ჩეჩენეც“-ის დამახინჯება უნდა იყოსო. ნარიმანსა და დამიანეს კავკასიონზე გადასვლის დროს მთიული ტომის წარმომადგენელი ხოზემარუმი შეუერთდა და მოსკოვში გაჰყვა ქართველ ელჩებსო. აკად. ბროსეს მოსაზრების გაზიარება არ შეიძლება. ხოზემარუმი გზაში მიტმანნილი პირი არ შეიძლება იყოს. მაშინ ხოზემარუმის ხსენება ალექსანდრე მეფის წერილში ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა. ალექსანდრე მეფე თავის წერილს საქართველოში წერდა და საიდან ეცოდინებოდა მას, რომ მის ელჩებს გზაში ხოზემარუმი აეკიდებოდა. ხოზემარუმი, ისევე როგორც ალექსანდრეს სხვა ელჩები—დამიანე და ნარიმანი, საქართველოდან გამგზავრებულია და მას ელჩობაში გარკვეული ადგილი უჭირავს. ამ გარემოებას ს. ბელოკუროვიც შე-

ნიშნავს ბროსეს მოსაზრების განხილვის დროს<sup>1</sup>. მაგრამ ბელოკუროვს მიუღებლად არ მიაჩნია ბროსეს მიერ სიტყვა „შეკენეცის“, „ჩეჩენეცად“ შესწორება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსვენებული მკვლევრები დაუსაბუთებლად ასწორებენ სიტყვა „шекенец“-ს. იგი „შაქელის“ რუსული გამოთქმაა. შაქი, როგორც ცნობილია, ძველი კახეთის სამეფოს საზღვრით-აღმოსავლეთით მომიჯნავე ქვეყანა იყო. XV საუკუნის მიწურულისათვის შაქი უკვე საქართველოს მეფეთა სამფლობელოების ფარგლებში არ ჩანს, იგი კახეთის საზღვრის გარეთ იხსენიება. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში, ეხება რა XV საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოების საზღვრებს, აღნიშნავს, რომ ამ დროის ქართულ სამეფოთა სახელმწიფო საზღვრების შესახებ ცნობები ვახტანგისეული კომისიის მიერ არის საიდანადაც ამოკრებილი, მაგრამ არ ჩანს კომისიის წყარო და არც მათი ღირსების და სანდოობის გამორკვევა ჯერჯერობით არ ხერხდებაო<sup>2</sup>.

ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ ამეამად ტექსტში მოხსენებულ „шекенец“-ის გამო კახთა სამეფოს საზღვრებში შაქი შევიტანოთ, მაგრამ თვით ამ შაქელი მოქალაქის ელჩობაში მონაწილეობა რომ ხელს უწყობს იმის გამორკვევას, თუ რომელი ალექსანდრეს მიერაა გაგზავნილი წერილი, ეს აშკარა უნდა იყოს. შაქელი აზნაური თუ ვაქარი კახთა ელჩებს უფრო შეიძლებოდა გაჰყოლოდა, ვინემ შაქიდან საკმაოდ დაშორებულ იმერეთის საჩიფოს ელჩებს.

ამდენად. ნარიმანი და დამიანე კახეთის მეფის ელჩები უნდა იყვნენ და მოსკოვში დაცული ქართველი მეფის წერილი უფრო კახთა მეფის ალექსანდრე გიორგის ძის მიერ უნდა იყოს მოსკოვის მთავართან გაგზავნილი.

ალექსანდრე კახთა მეფემ თუ 1491 წელს ნარიმანი, დამიანე და „ხოვნმარუმი“ გაგზავნა მოსკოვში, მაშინ ვინ უნდა იყოს რუსულ მატიანეში 1492 წლის თარიღით მოხსენებული ივერთა მეფის ალექსანდრეს ელჩი „მურატი“? წერილში მოხსენებული ელჩობა და მატიანეში საგანგებოდ შეტანილი ცნობა „მურატის“ ელჩობის შესახებ, ერთსა და იმავე ამბავზე მიგვიითითებს, თუ ეს სხვადასხვა ფაქტია?

საქმე ისაა, რომ 1491 წლის გაზაფხულზე საქართველოდან გამგზავრებული ნარიმანი და დამიანე თავისი მსლებლებით, მართ-

<sup>1</sup> С. Белокуров. დასახ. ნაშრ., გვ. XXII.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართვ. ერ. ისტ., IV, გვ. 161.

ლაც, 1492 წლის ზამთარში მივიდოდნენ მოსკოვში. რუსი მემბტიანე წერს, რომ „მურატი“ ზამთარში მოვიდაო.

ამდენად, მატიანის ცნობა და წერილში მოხსენებული ფაქტი ელჩობის შესახებ ერთი და იმავე ამბავის აღმნიშვნელია. მაგრამ აქ ექვს იწვევს ელჩის სახელი „მურატი“. „მურატი“, როგორც ელჩის სახელი, ალექსანდრე მეფის წერილში მოხსენებული არ არის. მატიანეში სამაგიეროდ არც ნარიმანი, დამიანე და ხოზემარუშია მოხსენებული. თუ ერთსა და იმავე ელჩობაზეა ლაპარაკი მატიანესა და ალექსანდრეს წერილში, მაშინ რატომ არის ელჩების სახელებში ასეთი სხვაობა.

ერთი მხრით, შეიძლება გვეფიქრა, რომ მატიანეში მოხსენებული „მურატი“ და ივერთა მეფე ალექსანდრე იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატიის ძე და მისი ელჩი იყო, და ელჩების სახელების სხვაობაც აქედან შეიძლება გამომდინარეობდეს. მაგრამ ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მოსკოვთან იმერეთის სამეფოს ურთიერთობა XV—XVI საუკუნისათვის საერთოდ უნდა გამოირიცხოს. XVII საუკუნემდე მოსკოვთან იმერეთის ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ეს იმ დროს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების ჩრდილოეთთან ურთიერთობის შესახებ დეტალური ცნობებია დაცული. XVII საუკუნეშიაც, როცა იმერეთსა და მოსკოვს შორის კავშირი დამყარდა, ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეს დაახლოებაც კახეთის მეფის ინიციატივით მოხდა.

საერთოდ კახეთი ყველა ქართულ სამეფო-სამთავროზე უფრო ადრე ამყარებს კავშირს მოსკოვთან. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ კახეთი გეოგრაფიულად სხვა ქართულ სამეფოებზე უფრო ახლო იყო იმ გზებთან, რომლებითაც ჩრდილოეთთან სამხრეთი მხარეების ურთიერთობა წარმოებდა. მოსკოვის შესახებ ცნობა და აქედან მოსკოვთან დაახლოების იდეა იმერეთის სამეფოზე ადრე კახეთს უნდა აღძროდა. ასე იყო ეს XVI საუკუნეშიც, რომლის შესახებ ექვმიუტანელი საბუთები საკმაოდ დაცულია.

ამას გარდა, რუსულ ძველ საისტორიო მწერლობაში ტერმინი „ივერთა მეფე“ ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, მხოლოდ კახთა მეფეს გულისხმობს. დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე მეფის წერილის მინაწერში მოხსენებული „Гурзынская земля“ შემკრებლობითი ცნება ჩანს და რუსი მღივანი ამ ზოგად ცნებიდან საგანგებოდ გამოყოფს „Иверский царь“-ს, როგორც წერილის გამომგზავნელს („Ся грамота пришла из Гурзынские земли от Иверского царя“).



იმერეთს რუსული წყაროები „Меретинская земля“-ს ან „Нахшачинская земля“-ს ეძახიან. ამიტომ ელჩთა სახელების სხვაობა, რომელიც მათიანესა და ალექსანდრე მეფის წერილში შეინიშნება, სხვა რიგად უნდა აიხსნას, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე მეფის წერილი ნამდვილად 1491 წელსაა დაწერილი. თუ ალექსანდრეს წერილი 1483 წელს გაიგზავნა, როგორც ზემოთ იყო ამის შესახებ ლაპარაკი, მაშინ საკითხი მარტივად წყდება, იგი მხოლოდ ალექსანდრე კახთა მეფისეულია და 1492 წელს მოსკოვში მისული ელჩი „მურატი“ მეორედ გაგზავნილი ელჩობის წევრია.

მაგრამ, როგორც თავის ადგილას ნათქვამი იყო, ჯერჯერობით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, რომ ალექსანდრეს წერილი და ელჩები 1491 წელს გაიგზავნა მოსკოვში და ამიტომ საჭიროა ელჩთა სახელების სხვაობას სხვაგვარი ახსნა მოვუძებნოთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული მათიანის ყველა ხელნაწერში „მურატი“ ერთნაირად არ იხსენიება. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილი მათიანის ხელნაწერში (№ 8) „მურატის“ ნაცვლად „ტურატი“ წერია<sup>1</sup>. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. რუსული „მ“ და „ტ“ წერის დროს ადვილად შეიძლება გადამწერს ერთი მეორეში აერიოს. მაგრამ, თუ „ტურატის“ შესახებ აქ სიტყვა ჩამოვადგეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი სახელების დამახინჯება გრაფიკულ ნიადაგზეც შესაძლებელია წარმოიშვას. ამას გარდა, ვისაც რუსულ ტექსტებზე უნუშავია, მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქნება მიჩნეული რუსების მიერ ქართულ პირთა და გეოგრაფიული სახელების ხშირი დამახინჯება. ზოგჯერ ისეთ ფაქტთან გვაქვს საქმე, რომ რუსმა ჩამწერმა მშვენივრად იცის, როგორ გამოითქმება ქართულად ესა თუ ის სახელი, მაგრამ განზრახ მას თავისებურად აკეოებს, მაგალითად, თეიმურაზ I-ის მეუღლეს რუსი ელჩები თავიანთ მუხლობრივ აღწერილობაში ყველგან „Христина“ ან „Крестина“-ს ეძახიან. მაგრამ ერთგან განმარტებულია, რომ რუსულ ენაზე ეწოდება მას „Крестина“ თორემ ქართულად ხორეშანო: „И того Юрья и сестры Александра дочь по русски Крестина по грузински Хотошен...“<sup>2</sup>. ალავერდის ტაძარს რუსი ელჩები „Лаверди“-ს ეძახიან, მაგრამ ერთგან ახსნილია, რომ ქარ-

<sup>1</sup> Полн. собр. русск. летописей. Арх. комисс. IX, гл. VI, შენიშვნა № 232.

<sup>2</sup> М. Полевиков. Материалы по истории грузино-русск. взаимоотнош. 1937. гл. 416.

თველები მას ალავერდს უწოდებენ: „...пристав Рамазан... велел архимариту... ехать Георгиева монастыря Лаверды к архиепископу Зеведею; по месту его грузинцы зовут Аливердеом“<sup>1</sup>. ქალაქ გრემს რუსულ ძეგლებში „Крым“-ს ეძახიან, იმ დროს, როცა იმავე ძეგლში ყირიმსაც „Крым“ ეწოდება. ლევან კახოა მეფეს ან ლევან დადიანს „Леонтей“-ს ეძახიან.

ეფიქრობთ, რომ შემცდარი არ ვიქნებით, თუ შედარებით ნაკლებ ინფორმირებულ რუს მემატრიანეს ანდა მატრიანის გადამწერს ბრალს დავდებთ ქართველი ელჩის საკუთარი სახელის დამახინჯებაში. თუ „ხოზეშანი“ „კრისტინად“ შეიძლება გადაკეთდეს, სავსებით დასაშვებია „ხოზემარუმი“ „მურატად“ გადაეკეთებინა მემატრიანეს ან მის გადამწერს. ადვილად შესაძლებელია, „ხოზემარუმი იყოს მატრიანის „მურატი“. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა იმაზე, რომ ალექსანდრე მეფის რუსულ ენაზე დაცული წერილი თარგმნილი უნდა იყოს ბერძნული ტექსტიდან. ბერძნული დამწერლობის ნიადაგზე შეიძლება ხოზემარუმი გადაკეთებულ „ხოჯამურადს“ წარმოადგენდეს<sup>2</sup>.

მაგრამ ამ მოსაზრებას საბოლოოდ მიღებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ „ხოზემარუმი“ არ წარმოადგენს ელჩობის ხელმძღვანელს, ის აქ მეორეხარისხოვან პიროვნებადაა წარმოდგენილი და ამდენად მისი მოხსენება მატრიანეში არ იყო მოსალოდნელი. იმ დროს ძალიან დიდმნიშვნელობას აძლევდნენ თანამდებობრივ ხარისხს, პატივისცემა ან მის მიხედვით სხვადასხვა იყო სამეფო კარზე მისული ელჩებისათვის. ხოზემარუმი კი, როგორც ვნახეთ, ნხოლოდ „товарищ“-ად არის წოდებული.

თვით რუსულ წერილში პირველ რიგში ნარიმანი არის მოხსენებული, და თუ მატრიანეში სახელის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, მაშინ „მურატი“ თითქოს ნარიმანი უნდა იყოს.

რას წარმოადგენს ალექსანდრე მეფის წერილი თავისი შინა-არსით?

როგორც ვნახეთ, წერილში არაერთი პოლიტიკური და არც ეკონომიური ხასიათის საკითხი აღძრული არ არის. წერილი მთლიანად მოკითხვის ბარათს უფრო მიაგავს, ვინემ დიპლომატიური ხასიათის მიმოწერას ორ სახელმწიფოს შორის. ალექსანდრე

<sup>1</sup> იქვე. გვ. 369, აქ ალავერდელის წოდებულებახეა ლაპარაკი, მაგრამ აქედან ჩანს, რომ იმათ „ალავერდის“ სახელწოდება იციან.

<sup>2</sup> „ხოზემარუმი“-ს ხოჯა-მურატად გაახრება პროფ. ნ. ბერძენიშვილი მა შემოგვთავაზა.

ატყობინებს, რომ თვითონ ივერთა ქვეყანაში კარგად არის საქმე და მისი ელჩების მოსკოვის მთავრის კარზე გაგზავნას თითქოს მიზნად აქვს მოსკოვის მთავრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაგება — „здравия отведати“.

ამისათვის რომ კახეთიდან მოსკოვში ელჩებს არავინ არ გაგზავნიდა, წინა დროის მკვლევართათვისაც სავსებით ნათელი იყო. ჯანმრთელობის მოკითხვას ასეთ შორეულ მანძილზე და, რაც მთავარია, სახიფათო გზით, რომლის გავლას იმ დროს, უკეთეს შემთხვევაში, ერთი წელი იქეთ სჭირდებოდა და ერთიც აქეთ, ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა. ორ სამ წელიწადში მომკითხველი და მოკითხულიც შეიძლება გარდაცვლილიყო კიდევ. ასეთ პირობებში კახთა მეფის ალექსანდრეს ეს უცნაური ცნობისმოყვარეობა მოსკოვის მთავრის ჯანმრთელობის შესახებ მაინც დაუქმყოფილებელი უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ ჩვენი ეს მსჯელობა იქიდან გამომდინარეობს, რომ სიტყვები „здравия отведати“ პირდაპირი მნიშვნელობით გვესმის. 1492 წლის ერთი რუსული საბუთის მიხედვით სავარაუდებელი ხდება, რომ „здравия отведати“ სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა მაშინდელ რუსულში. ეს სიტყვები XV საუკუნისათვის უნდა ნიშნავდეს—დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარებას, სახელმწიფოებს შორის ელჩების მიმოსვლის დაწყებას.

ახლა ჩვენ დანაშაულებით ვიცით, რომ თურქეთისა და მოსკოვის სახელმწიფოებს შორის არც დიპლომატიურ ურთიერთობას და არც მიმოწერას 1492 წლამდე ადგილი არ ჰქონია, მაგრამ რუსეთი და თურქეთი სავაჭრო ურთიერთობაში ყოფილან. რუსეთის ვაქრები თურქეთში დადიოდნენ. 1492 წლისათვის საბოლოოდ გამოირკვა, რომ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ისეთ პირობებში აყენებდნენ რუსეთიდან. მოსულ ვაქრებს, რომ მათ 1492 წელს მოსკოვის მთავრობისათვის განუცხადებიათ:—თურქეთში საქონელს ვერ წავიღებთო. როგორც ჩანს, თურქეთთან ვაქრობას რუსეთის მართველი წრეები მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამასთანავე თურქეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებით სხვადასხვა პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე გეგმები მუშავდებოდა რუსეთში და იოანე III-მ ყირიზის ხანის მენგლი გირეის საშუალებით თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების შესაძლებლობის პირობები მოსინჯა. რაკი გამოირკვა, რომ თურქეთს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, იოანე III-მ სულტან ბაიაზეთ II ის ყირიმის ხანის მეშვეობით წერილი გაუგზავნა.

ამ წერილის შესავალი და დასასრული საყურადღებო მასალას გვაწვდის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის შესახებ. წერილის შესავალში ვკითხულობთ: „Султану великому царю.. ты польский (ხმელეთის) и морской государь, султан Баязет! Иоанн.. государь всея России.. величеству твоему слову наше таково: между нами наши люди не езжали нашего здравия видеть, только наши гости (ვაჭრები) из наших земель в твои земли ездят“... წერილის დასასრულს იოანე III წერს: „Еще одно слово: отец твой славный и великий был государь; сказывают, хотел он, чтоб наши люди между нами ездили здравье наши видеть, и послал было к нам своих людей, но, по божьей воле, дело не сделалось; почему же теперь между нами наши люди не ездят здоровье наше видеть...“<sup>1</sup>.

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, „здравия отведати“ ან „здравье наше видеть“ სხვა შინაარსის მქონე გამოთქმაა, იგი გადატანითი მნიშვნელობის შემცველი სიტყვაა და ორ სხვადასხვა სახელმწიფოს ხელისუფალთა შორის ელჩების მიმოსვლას, დიპლომატიური ურთიერთობის გაბმას, ან თუ ასეთი მანამდე არ არსებულა, მის დაწყებას აღნიშნავს. თუ ტექსტის ამ სახით გაგებაში ჩვენ არ ვცდებით, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ალექსანდრე კახთა მეფის წერილის შინაარსი რუსეთში ისე ყოფილა გაგებული, რომ კახეთის მეფეს რუსეთთან მეგობრული და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება მოუწადინებია ამ ელჩების მოსკოვში გაგზავნით. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ იყო ალექსანდრე კახთა მეფის წერილის დედანში წინადადება—„вашего здравия отведати“. ალბათ, ეს გამოთქმა იმ დროის საერთაშორისო ურთიერთობაში ყველასათვის საერთო უნდა ყოფილიყო. არ არის საფუძრებელი, რომ რუსი მთარგმნელი ვერ გაერკვა წერილის შინაარსში და მთარგმანში თვითნებურად გადააკეთა რაიმე.

შეიძლებადა თუ არა ამ ელჩობას იმას გარდა, რომ მოსკოვის სამთავროს მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების სურვილი უნდა ეუწყებინა იოანე მესამისათვის, რაიმე კონკრეტული საკითხების მოგვარება ჰქონოდა დავალებული? ასეთი კითხვის დაყენება ზედმეტად არ მიგვაჩნია იმიტომ, რომ ძვე-

<sup>1</sup> ტექსტი ამოღებულია С. М. Соловьев-ის თხზულებიდან. იხ. История России с древнейших времен. кн. I. гл. 1438—1439. იხ. აგრეთვე С. Ж и г а р е в. Русская политика в восточном попросе. гл. 61—62.

ლად შორეულ და სახიფათო გზებზე მიმავალ ელჩებს ყოველთვის სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო დავალებანი წერილობით არ მიჰქონდათ. ასეთ დავალებებს ელჩები იზეპირებდნენ და დანიშნულ ადგილზე მისვლისას ზეპირად ან წერილობით მოახსენებდნენ. სახელმწიფო დავალებათა შესრულების ასეთი წესი იმით იყო ნაკარნახევი, რომ არამეგობრულად განწყობილი სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე გავლის დროს მოსალოდნელი იყო ელჩების დაქერა, გაძარცვა და მოკვლა. წერილი კი მტრის ხელში შეიძლებოდა ჩავარდნილიყო და ამას კი სამეფოს საგარეო მდგომარეობის გართულება შეიძლებოდა მოყოლოდა. კახეთის მეფის ასეთ სიფრთხილესთან ხომ არ გვაქვს საქმე, რომ წერილში არავითარ კონკრეტულ დავალებაზე არ არის საუბარი? ამ კითხვაზე საპასუხოდ ჩვენ სათანადო მასალა არ მოგვეპოვება.

ალექსანდრეს წერილი მისი ელჩებისათვის იმავე დროს მანდატის როლსაც ასრულებდა. ნარმიანს, დამიანეს და ხოზემარუმს მოსკოვის მთავარმა ამ წერილის საფუძველზე ანგარიში უნდა გაუწიოს, როგორც უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებს, პატივით უნდა მიიღოს, უნდა მოუსმინოს, თავის მბრძოლველ საიდუმლოება გაანდოს, ბინა და სარჩო უნდა მისცეს და ბოლოს სათანადო ხარჯების გაღებით სამშობლოში გამოისტუმროს.

რატომ უნდა მიეზიდა შორეულ მოსკოვის სამთავროს ქართველი პოლიტიკოსები XV საუკუნის მეორე ნახევარში? იონანს დროს მოსკოვის სამთავრო ტერიტორიულად სწრაფად გაიზარდა. 1478 წლიდან ნოვგოროდი და მისი სამფლობელო მოსკოვის სამთავროს განუყრელი ნაწილი გახდა.

1485 წლიდან მოსკოვმა ტვერის ცნობილი სამთავრო შემოიერთა.

ჩრდილო-დასავლეთით ასეთი აქტიური პოლიტიკის წარმოება მოსკოვმა უდავოდ იმიტომ შეძლო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით საუკუნეების მანძილზე გაბატონებული ოქროს ურდო XV საუკუნის მეორე ნახევარში თავის არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. დაირღვა ოქროს ურდოს მთლიანობა და სიპტიკეპირველად ყირიმის სახანოს გამოყოფამ ოფიციალურად დაადასტურა ოქროს ურდოს კარგა ხნიდან დაწყებული რღვევა. განსაკუთრებით მტკივნეულია ოქროს ურდოსთვის 1475 წელს ყირიმის სახანოს გადასვლა თურქეთის ვასალურ დამოკიდებულებაში. XV საუკუნის მეორე მეოთხედიდან მონგოლთა უფლისწული ულუმაჰმადი აარსებს ყაზანის სახანოს. მართალია, ყაზანის სახანო

წარმოქმნისთანავე მოსკოვს უპირისპირდება და ულუ-მაჰმადი და მისი შემკვიდრენი სათარეშო რაზმებს გზავნიან მოსკოვის სამფლობელოში, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ყაზანის თათართა სახანო ცალკე დაარსდა, ოქროს ურდოს რღვევისა და მონგოლთა საერთო ძლიერების დაცემის აშკარა გამოჩნატველია.

თათართა სახანოებსა და უფლისწულებს შორის არსებული წინააღმდეგობის გაღრმავებისათვის ხელშეწყობა დამახასიათებელია იოანე III-ის პოლიტიკისათვის.

ოქროს ურდოს დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად XV საუკუნის საპოცდაათიან წლებში მოსკოვის მთავარი იოანე ყირიმის ხანს უმეგობრდება, სარგებლობს ყირიმსა და ოქროს ურდოს შორის არსებული წინააღმდეგობით. ამ მოვლენამ საშუალება მისცა იოანე III-ს უარი ეთქვა ოქროს ურდოსადმი ტრადიციულ მორჩილებაზე და ხარკის გაგზავნა შეეწყვიტა. მოსკოვის მთავრის ასეთი მოქმედება აშკარად ნიშნავდა ოქროს ურდოს ბრძოლის ველზე გამოწვევას. მაგრამ თათართა სამფლობელოს ხარჯზე მოსკოვის სამთავროს საზღვრების გაფართოება როდი ჰქონდა მიზნად დასახული იოანე III-ს, იგი საამისოდ თავს სუსტად გრძნობდა. მით უმეტეს, რომ ასეთი მიზანდასახულება ყირიმთან აუცილებლად კონფლიქტს გამოიწვევდა. მოსკოვი ოქროს ურდოს ხარკისაგან განთავისუფლებით დაკმაყოფილდა. ოქროს ურდოსთან ურთიერთობის გამწვავების დროს მას ყირიმსა და ოქროს ურდოს შორის არსებულ წინააღმდეგობის იმედი ჰქონდა. ეს იმედი გაუმართლდა კიდევ. ყირიმმა შებოქა ოქროს ურდო ისე, რომ იოანეს სამაგიერო ვერ მიუზღო.

ჩრდილო-დასავლეთით წარმოებულ აქტიური პოლიტიკა საშუალებას არ აძლევდა მოსკოვს სამხრეთ-აღმოსავლეთითაც ასეთივე პოლიტიკა ეწარმოებინა. დასავლეთით რუსული სამთავროების შემოერთებამ საბრძოლო ასპარეზი გააფართოვა და მოსკოვი უშუალოდ ლიტვა-პოლონეთს დაუმეზობლა. ბუნებრივია, რომ ლიტვა-პოლონეთისათვის ყურადღების ცენტრად სწრაფად მზარდი მოსკოვის სამთავრო გახდა. ლიტვა-პოლონეთი არც ისე პატარა ძალა იყო, რომ მისთვის მოსკოვს ანგარიში არ გაეწია და ამიტომ ნოვგოროდის და ტვერის შენარჩუნება და პსკოვის მიმართულებით წინ წაწევა კარგა ხანს დიდ საზრუნავ საკითხად ჰქონდა მოსკოვს.

ამდენად, ადვილად წარმოსადგენია, თუ რატომ შიშობდა მოსკოვი სამხრეთ-აღმოსავლეთით უფრო აქტიური ყოფილიყო. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ოქროს ურდოს დაშლა და დაცემა ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ იგი ანგარიშგასაწევი ძალა

არ იყო. როგორც აღვნიშნეთ, თათრებმა დაპყრობებისა და ბატონობის უნარი დაკარგეს, თორემ, როგორც დამრბვეი ძალა, ისინი საგრძნობი დარჩნენ კარგა ხანს.

ამ მხარეში მოსკოვი თავდაცვაზე იყო გადასული. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1487 წელს მოსკოვის მთავრის ძალები ყაზანში შეიჭრნენ, მაგრამ მთავარმა მისი შემოერთება ვერ გაბედა და ყაზანის ტახტზე სასურველი კანდიდატი—თათრის უფლისწული აიყვანა. რა თქმა უნდა, ამ აქტსაც მოსკოვის სამთავროს პრესტიჟისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოსკოვის სამთავროს საზღვრები სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე დონის სათავეებს, ოკას და ნიჟნი-ნოვგოროდამდე ვოლგას არ სცილდებოდა. ამ ფარგლებს ქვემოთ მყოფი სამხრეთით მდებარე ტერიტორია მონგოლთა დაქუცმაცებული ურდოების ხელთ იყო და მოსკოვის სამთავროს საგარეო პოლიტიკა სამხრეთით, შათართა საცხოვრებელ ტერიტორიის აქეთ, კავკასიონამდე უშუალოდ არ წვდებოდა.

მაგრამ შემტდარი ვიქნებით, თუ საქმის ვითარებას ისე წარმოვიდგენთ, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის სამთავროსათვის კავკასიონს აქეთა სამეარო „terra incognita“ იყო.

XV საუკუნის სამოციანი წლებისათვის ჩვენ ისეთი ცნობები მოგვეპოვება, რომლიდანაც კარგად მოჩანს რუსეთის მთავრის ურთიერთობა შემახის მფლობელთან. ასე, მაგალითად, 1466 წელს მოსკოვში ივანე III-ს შემახის მფლობელის შირვან-შაჰ-ფარუხ-ესარის ელჩი ჰასან-ბეგო ეწვია და საჩუქრები მიართვა. საპასუხო საჩუქრებით ელჩი სამშობლოში გაისტუმრეს. ამას გარდა, შემახში ვასილ პაპინის მეთაურობით ელჩობა გაგზავნეს<sup>1</sup>. ეს ფაქტი იმდენად საყურადღებო ყოფილა მაშინ, რომ მემატეიანესაც კი საგანგებოდ აღუნიშნავს თავის თხზულებაში, თუმცა ეს ცნობა მხოლოდ მატეიანის ერთ ნუსხაში (სოფიის ნუსხაში) ყოფილა შეტანილი.

რა საკითხებს აგვარებდა 1466 წლის ელჩობა შემახსა და მოსკოვს შორის, პირდაპირი ცნობით არ ჩანს, მაგრამ მერმინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ ისინი სავაქრო ურთიერთობის საქმეებს აგვარებდნენ.

პაპინის ელჩობას ტვერელი ვაქრები თან გაჰყოლია. შემახი-

---

Срезневский. „Хождение за три моря Афанасия Никитина“. Чтения в императ. общ-тве истории древн. российск. при московск. ун-те. 1857, гв. 4. об. აგრეთვე, С. Белокуро в. Снош. России с Кавказом, материалы... გვ. XII.

დან მოსულ ვაჭრებს პატივით ლეზულობდნენ რუსეთში. პაპინის ელჩობასთან დაკავშირებულია შემახის გზით შორეულ ქვეყნებში ათანასე ნიკიტინის გამგზავრებაც. ნიკიტინის მოგზაურობის აღწერა და ამ ძეგლიდან მათიანის კრებულში ტექსტის შეტანა შემთხვევითი მოვლენა როდია. აღმოსავლეთს და თვით შემახის გზას მაშინდელ რუსეთში ინტერესით სწავლობდნენ.

უდავოდ ნართალია სრეზნევსკი, როცა ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მრავალი აღმოსავლური ტერმინი შევიდა რუსულ ენაში „камка“, „тафта“, „параузи“, „токаता“, „шелки из Алеппо“, „езда“. ამ საეულწოდებათა საქონელი აღმოსავლეთიდან მოდიოდა, მართალია შესაძლებელია ზოგი უშუალოდ არა, მაგრამ საქონელი მაინც ქვეყნებს აცნობდა მომხმარებელს და ვაქარსაც.

საზნრეთის მხარეებს XV საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი რომ იცნობდა და მასთან ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამას ცხადყოფს იტალიელი ამბროსი კონტარინის დღიური.

ვენეციის რესპუბლიკის ელჩი ამბროსი კონტარინი, რომელმაც საქართველოზე გავლით ირანში უზუნ-ჰასანის კარი ინახულა, თავის დღიურში ერთგან შენიშნავს, რომ, როდესაც ის და სხვა ელჩები უზუნ-ჰასანთან გამოსამშვიდობებელ აუდენციაზე იყვნენ, 1475 წლის 26 ივნისს, ამ უკანასკნელს ელჩებისათვის უჩვენებია საჩუქრები, რომელნიც უნდა გაეტანებინა სამშობლოში თვითთელი მათგანის მბრძანებელისათვის მისართმევად. კონტარინი ჩამოთვლის იმ მფლობელებს, რომელთაც უზუნ-ჰასანი ელჩის ხელით საჩუქარს უგზავნიდა. იგი წერს: ჰასანს საჩუქრები ჰქონდა „ბურგუნდის ჰერცოგისათვის, ჩვენი ბრწყინვალე რესპუბლიკისათვის (ე. ი. ვენეციისათვის, ი. ც.) და ვინმე მარკოზ როსსოსათვის, მოსკოვის მთავრის, თეთრი რუსეთის ხელმწიფის ელჩისათვის“<sup>1</sup>.

კონტარინი შემდეგ წერს, რომ ელჩებმა საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლით ფაზისში მოსვლა გადაწყვიტეთო; ხოლო ფაზისიდან ელჩებს ზღვით ყირიმში—კაფაში გასვლა უნდოდათ, ხოლო კაფადან თავიანთ ქვეყნებში გაემგზავრებოდნენ. მაშასადამე, მოსკოვის დიდი მთავრის ელჩი „მარკოზ როსსო“ სხვებთან ერთად საქართველოს გზით ბრუნდება მოსკოვში. საქართველოზე გამოვლის ამბავს ასე აღწერს კონტარინი: „1475 წლის 12 ივლისს ქალაქ თბილისში მოვედი, იგი ქართველების მეფეს ეკუთვნის. პატარა ბორცვზე არის გაშენებული ქალაქი და დაკულია კარგი ციხე-სი-

<sup>1</sup> Библиотека иностранных писателей о России. 1. СПб. 1836 г. гл. 63, об. კონტარინის დღიური.



მაგრით, რომელიც მეორე მთაზეა გაშენებული. პირველზე უფრო მაღალია ეს მთა... თბილისის განთქმული იყო წინათ თავისი სიდიდით, მაგრამ ახლა ძალიან დარბეულია. ისე კი ქალაქის ის ნაწილები, რომლებიც დანგრევას გადააჩენია, კარგად დასახლებულია. თბილისში ჩვენ ბევრ კათოლიკეს შევხვდით. 15 ეკლესიის გზა განვაგრძეთ და თითქმის განუწყვეტლივ მთიდან მთაზე წივდიოდით... 18 ეკლესიის სამეგრელოს საზღვრების მახლობლად, ბორცვებით გარს შემორტყმულ პატარა ტყესთან, ბაგრატ მეფე დავინახეთ და დაუყოვნებლივ მასთან გავემართეთ. მან ჩვენ სადილად დაგვიწვია... ჩვენ მოგვართვეს შემწვარი ხორცი და ცუდად მოხარული ქათმები და სხვა ამის მაგვარი უმსგავსოებანი. სამაგიეროდ ღვინო საქარისი იყო, რადგანაც საქართველოში ღვინით გამასპინძლება ყველაზე უკეთესად მიაჩნიათ, სადილის შენდევ ქართველები შეუდგნენ დიდი ჭიქებით ღვინის სმას, ნახევარი წყრთა იქნებოდა ჭიქების სიმალლე. ის ვინც ბევრის დაღვევას შეძლებს, მათ შორის პატივისცემით სარგებლობს... ჩვენ უარი განვაცხადეთ მონაწილეობა მიგველო ღვინის სმაში, რაც ჩვენს მასპინძლებს ძალიან არ მოეწონათ<sup>1</sup>. მოტანილი ცნობა არა ერთხელ გამხდარა მკვლევართა დაკვირვების ობიექტად და პირველ რიგში კითხვა დაუყენებიათ მოსკოვის მთავრის ელჩის ვინაობის შესახებ. ისტორიკოს კარამზინს „მარკოზ როსსო“ ბერძენი ან იტალიელი ჰგონია. მისი აზრით, აქ გვარი Ρυθο უნდა იყოს. მაგრამ კონტარინის ტექსტების შემდგომმა გამოცემებმა უხადყო, რომ „მარკოზ როსსო“ კონტარინის ტექსტში ზუსტად არის ჩაწერილი. ისტორიკოსებს ბელოკუროვს<sup>2</sup>, სრენევესკის<sup>3</sup> და ბაზილევიჩს<sup>4</sup> „მარკოზ როსსო“ წარმოშობით რუსი ჰგონიათ, პირველი ორი მათგანი ამტკიცებს, რომ „როსსო“ ბოიართა წრეს ეკუთვნოდაო. მაგრამ არ მართლდება განსვენებულ მეცნიერთა ეს მოსაზრებანი. ცნობილი ვენეციელი მოღვაწე აზნაური იოსაფატ ბარბარო, რომელმაც აგრეთვე ყირიმით საქართველოზე გამოიარა, თავის დღიურში ერთგან წერს: „1437 წელს ტანაისში ყოფნის დროს შევიკრიბეთ შვიდი ვაჭარი, წმ. ეკატერინეს დღესასწაულის წინადღით, ვენეციელ მოქალაქის ბარტოლომეო როსსოსა სახლ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 67—68.

<sup>2</sup> С. Белокурое. Сношения России с Кавказом, 1899. гв. XII—XIII.

<sup>3</sup> Срезневский. Хождение за три моря Афанасия Шикопина, 1798. „Чтения в Императ. об-ве истории древностей российских. 1857, гв. 4—5.

<sup>4</sup> К. Базилевич. Внешняя политика русского центр. государства XV в. 1952. гв. 409, об. შენიშვნა.

ში („di Bartolomeo Rosso cittadino di Venetia“)<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, როსსო ვენეციელი მოქალაქის გვარია და არავითარ რუსზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება იყოს. იოანე III-ის კარზე უცხოელები იყვნენ, განსაკუთრებით გამრავლდა მათი რიცხვი იმის შემდეგ, რაც იტალიიდან იოანე III-მ ბიზანტიის კეისრის ახლო ნათესავეი ქალი სოფიო პალეოლოგი შეირთო ცოლად. როგორც ჩანს, მარკოზ როსსო რუსეთში კარგა ხანია მოღვაწეობს, როგორც ნიჭიერი. ენების მცოდნე და გამოცდილი ადამიანი, რუსეთის მთავარს გამოყენებული ჰყავს საელჩო საქმეებზე. როგორც ვიცით, ასევე იყენებდა ინგლისელ ვაქარს ჯეკინსონს იოანე IV, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. მარკოზ როსსოს საკითხს აქ იმიტომ შევხებით, რომ იგი, როგორც რუსეთის ელჩი, საქართველოში მოგზაურობს, მას ორჯერ გადაუსერავს საქართველო: ერთხელ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე—ფოთამდე, ხოლო ფოთიდან გურიაზე გავლით ახალციხით შემახაში მიდის და იქიდან რუსეთში. რუსეთის მთავრის ელჩი ქართველ მეფესთან არის სუფრაზე. მას, როგორც კონტარინის დღიურის ერთი ადგილიდან ჩანს, მხლებლებად (მსახურებად) რუსები ჰყოლია (იხ. კონტარინის დღიურის რუსული თარგმანის 96 გვ.). არ არის საფიქრებელი, რომ ქართველი მეფე ელჩებს მართო ღვინოს აძალებდა და იმას არ კითხულობდა, თუ ვინ იყვნენ მისი სტუმრები.

ჩვენ არ ვიცით, როგორ იმგზავრა „მარკოზ როსსო“-მ, როცა რუსეთიდან ირანში მიდიოდა, მაგრამ 1475 წლის განმავლობაში რომ მას თითქმის მთელი საქართველო მოუვლია, ეს ცხადია.

მაწასაღამე, XV საუკუნის სამოცდაათიან წლებში რუსეთის პოლიტიკოსებისათვის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ცნობილი უნდა ყოფილიყო. ასევე, საქართველოში რუსი ელჩის მოგზაურობა და მეფის საბრძანებელში მისვლა რუსეთის გარშემო ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. მართალია, ამ მოგზაურობისას მარკოზ როსო კახეთში არ ყოფილა, მაგრამ რუსეთის შესახებ ინფორმაციის მიღება ბაგრატიის სამეფო კარიდანაც კარგად შეიძლებოდა კახეთში.

მაგრამ მართალი არ ვიქნებით, თუ ჩვენ მართო ამ ერთი ელჩის ჩვენში მოსვლით შემოვფარგლავთ რუსეთის შესახებ ცნობების მიღებას საქართველოში და, კერძოდ, კახეთში. მოსკოვის შესახებ

<sup>1</sup> Библиотека Иностраных писателей о России, 1. 1836. ბარბაროს იტალიური ტექსტი, გვ. 69.

ცნობები და, პირიქით, საქართველოს შესახებ— მოსკოვში XV საუკუნისათვის შეიქმნებოდა მიედლოთ იმ საეპარქო ხასიათის ურთიერთობის შედეგად, რომელიც არსებობდა შემახა-დარუბანდ-ასტრახანის გზით. შემახა რომ რუსი ვაქრებისათვის უცნობი ქვეყანა არ იყო, ეს რუსი ელჩის შემახაში მოგზაურობის ზემოთ მოტანილი ცნობის გარდა, რუსი ვაქრის ათანასე ნიკიტინის დღიურიდანაც კარგად ჩანს. ეს უქანასკნელი, როგორც ცნობილია, 1466—1472 წლებში მოგზაურობს ირანსა და ინდოეთისაკენ. მას გეზი შემახასაკენ ჰქონდა აღებული. ვენეციელი აზნაური იოსებ ბარბარო ხაზგასმით აღნიშნავს ასტრახანისაკენ მოსკოველების ყოველწლიურად ნავებით მოგზაურობას მარილისათვის; ბარბარო ასახელებს მდინარეების იმ სისტემას, რომლითაც მოსკოვი ასტრახანს უკავშირდებოდა<sup>1</sup>. კონტარინი აგრეთვე გვიამბობს, თუ როგორ ბრუნდებოდა მოსკოველთა ქარავენი ასტრახანიდან. მექარავენთა შორის იგი ასახელებს რუს და თათარ ვაქრებს<sup>2</sup>. XV საუკუნის პირველი მეოთხედის მწერლის პავლე იობის ცნობით, ასტრახანში სახელგანუქმულ ბაზრობაზე მიდიელი, სომეხი და ირანელი ვაქრები იყრიდნენ თავს<sup>3</sup> და, ცხადია, ამიტომაც კახეთს სწორი ინფორმაცია ექნებოდა მოსკოვის სამთავროს შესახებ, განსაკუთრებით, სომეხი ვაქრების მეშვეობით. მართალია, იობი თვითმხილველი აღმწერელი არაა, მაგრამ ცნობები მას რუსი ელჩისაგან აქვს მიღებული.

ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ და თვით მატეანის 1492 წლის ექვმიუტანელ ცნობას დავეყაროთ ივერთა მეფის ალექსანდრეს ელჩის „მურატის“ მოსკოვში მისვლის შესახებ. შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ, რომ კახეთში იცოდნენ მოსკოვის შესახებ ამბები.

„მურატი“ ბედის მაძიებელი კერძო ინიციატივით მოგზაური კი არ არის, არამედ უფლებამოსილი ელჩია ერთი სახელმწიფოდან მეორეში გაგზავნილი. ეს ფაქტი თავისთავად იმას გვეუბნება, რომ რუსეთი ჩვენში ცნობილი ქვეყანაა და, რაც მთავარია, მისი გზებიც ცნობილია.

თვით ალექსანდრეს წერალიდან მშვენივრად ჩანს, რომ მოსკოვის სამთავროს გაძლიერების შესახებ კახეთში საკმაო ცნობები უოფილა. მოსკოვის მთავარი ქრისტიანობის ბურჯად და იმედად არის წოდებული.

<sup>1</sup> Библиотека иностранных писателей о России, I, 1836. გვ. 57.

<sup>2</sup> იქვე, კონტარინის დღიური, გვ. 97.

<sup>3</sup> იქვე, პ. იობის თხზულება. გვ. 35.

როგორც აღნიშნული იყო, ალექსანდრე კახთა მეფის წერილი დიდი ხანია, რაც მეცნიერთა დაკვირვების ობიექტი შეიქნა, ისტორიკოსები კითხვას აყენებდნენ, თუ რა დავალებით უნდა გაეგზავნა ქართველ მეფეს რუსეთში ელჩობა. ისტორიკოს კარამზინის აზრით, ივერიის მეფე ალექსანდრე 1492 წელს მოსკოვის მთავრისაგან მუარველობას ითხოვდა<sup>1</sup>. ახსნა-განმარტება, თუ საიდან ჩანს ეს, კარამზინის მოცემული არ აქვს. საფიქრებელია, რომ კარამზინი XVI საუკუნის ამბების ანალოგიით მსჯელობს. ასეთივეა ამ საკითხზე დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრება. მისი აზრითაც, ალექსანდრემ მტრების წინააღმდეგ დახმარება და მფარველობა სთხოვა მოსკოვს<sup>2</sup>.

ს. ბელოკუროვი სამართლიანად უარყოფს ამ მოსაზრებას. მუარველობისა და დახმარების თხოვნა მოსკოვის მთავრისათვის კახეთის მეფეს იმ დროისათვის არ შეეძლო. ამისათვის მაშინ კახეთიდან მოსკოვში არაფერს მოიფიქრებდა ელჩების გაგზავნას. წინდაწინ გარკვეული იყო ყველასათვის, რომ მოსკოვი ასეთ შორეულ მხარეს ვერ მოსწვდებოდა და დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ის გარემოება, რომ მოსკოვის ძლიერების ხმას საქართველომდე უნდა მოეღწია, კიდევ არ გვაძლევს საბუთს, რომ შესაძებლად ვცნოთ ქართველ მეფეს XV საუკუნის მოსკოვისათვის მფარველობა და დახმარება ეთხოვნა.

წარმოდგენელია, რომ კახეთის მეფეს და მის მრჩეველებს გათვალისწინებული არ ჰქონდათ მოსკოვისაგან მფარველობისა და დახმარების თხოვნის უსაფუძვლოება. კახეთში მშვენივრად იცოდნენ ის მანძილი და მოსახლეობა, რომელიც საქართველოსა და მოსკოვის სამთავროს შორის იყო.

უცხო სახელმწიფოს მფარველობაში შესვლას არც ისე მართივად წყვეტდნენ ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოდგენიათ. მფარველობის თხოვნა, ან ამდაგვარი ნაბიჯის გადადგმა, მაშინ იყო შესაძლებელი, როცა მფარველობის გარანტია მეტად თვალსაჩინოდ ესახებოდათ, რადგან ნაკლებ გარანტირებულ მფარველობას, ან უბრალოდ მფარველობის თხოვნასაც, შეიძლება მეზობელი ირანი უფრო გაელიზიანებინა, რაც უარეს მდგომარეობას შეუქმნიდა კახეთს.

შესაძლებელია ეს მსჯელობა ჩვენი კერძო მოსაზრებად მიიჩნიოს ვინმემ და კითხვა დააყენოს: მფარველობის საკითხის ასეთი ყოველმხრივი განხილვა და გაზომვა სწორია, მაგრამ აგრე მსჯე-

<sup>1</sup> Карамзин. История Госуд. Россиск., 1842 წ., VI, გვ. 143.

<sup>2</sup> Пастыр. Журнал... № 14, 15, 1898წ., გვ. 8—10.

ლობდნენ თუ არა კახეთის პოლიტიკოსები, განა მათ არ შეეძლოთ შეცდომის დაშვება?

რა თქმა უნდა, შეცდომისაგან პოლიტიკოსი დაზღვეული არაა, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. არ შეიძლება ელემენტარული ამბების არცოდნა დაეწამოთ სახელმწიფოს სათავეში მყოფ პირებს; ელჩების გაგზავნა არც ისე იათი ჯდება, რომ მათ საქმე უანგარიშოდ და ნაჩქარევად გადაეწყვიტათ.

საქმარისია მოვიგონოთ XVI საუკუნის კახთა მეფეების პოლიტიკა მოსკოვის მიმართ, რომ ამაში საესებით დავრწმუნდეთ. კახთა პოლიტიკოსები XVI საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი შიშობდნენ ხელი მოეწერათ რუსეთის მთარველობაში შესვლაზე. ამ მხრივ მოსკოვის წეფის არაერთგზის მომართვაზე კახეთის მეფე წინასწარ დამხმარე ჯარის გამოგზავნას ითხოვდა და რეალური დახმარების აღმოჩენის შემდეგ პირდებოდა „ფიცის წიგნზე“ ხელის მოწერას. ასე იქცეოდნენ XVI საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მოსკოვის სამეფოს საზღვრები თითქმის კავკასიონს მოებჯინა, როცა მდინარე ვოლგა კასპიის ზღვამდე მოსკოვის ხელში იყო, როცა ჩერქეზეთში მოსკოვმა სიმაგრე ააგო და შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა.

როგორც ინგლისის სავაქრო კომპანიის წარმომადგენელი ჯეკინსონი გვაუწყებს, ქართველი მეფის მიერ გამოგზავნილი ვაქარი შემახაში 1563—4 წწ. შეხვდა ჯეკინსონს და რჩევა თხოვა, ექნებოდა თუ არა აზრი მოსკოვში ელჩის გაგზავნას, დაეხმარება თუ არა მოსკოვის მეფე საქართველოს. ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ გვექნება ლაპარაკი და აქ სიტყვას არ გავავრძელებთ.

ალექსანდრე მეფის წერილის მეორედ გამომცემელი ს. ბელოკუროვი ფიქრობდა, —ალექსანდრემ ელჩები მოსკოვში თითქოს იმისათვის გაგზავნა, რომ კახეთის ტახტზე თავის გამეფება ეცნობებინა, ამ საბაბით იმავე დროს მოსკოვთან კავშირი დაემყარებინა და შემდეგ მოსკოვი ირანთან შუამდგომლად გამოეყენებინა ირანის კახეთზე შემოსევების თავიდან ასაცდენად<sup>1</sup>.

ბელოკუროვის მოსაზრებათა პირველი ნაწილი აშკარა გაუგებრობაზეა აღმოცენებული. ალექსანდრე კახთა მეფე ტახტზე ადის 1476 წელს და არა 1491 წელს. აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის გამოსვლამდე ალექსანდრეს გამეფების თარიღად შეცდომით 1491 წელი იყო მიჩნეული.

<sup>1</sup> Белокуров, დასახ. ნაშრ., გვ. XXVII—XXVIII.

ამდენად, ბელოკუროვის მოსაზრების ის ნაწილი, რომელიც ანთარილზეა დამყარებული, უნდა მოიხსნას. რაც შეეხება მოსკოვ-ირანის მეგობრობასა და ამ ნიადაგზე ალექსანდრეს მიერ ირანთან შუამდგომლობის თხოვნას, ვფიქრობთ, ეს დასაბუთებული არ არის. XV საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის მოსკოვ-ირანის ურთიერთობის შესახებ ერთი ცნობა გვაქვს მხოლოდ. ამას გარდა, არ ვიცით რა მიზნით იყო გაგზავნილი მოსკოვის მთავრის ელჩი და რა ურთიერთობა დამყარდა ამის შემდეგ ამ ორ სახელმწიფოს შორის. არაფრიდან არ ჩანს, რომ მოსკოვ-ირანის დამოკიდებულება იზიდავდა კახეთის პოლიტიკოსებს.

ყურადღების ღირსია, რომ ირანის შაჰის უზუნ-ჰასანის და უკანასკნელად იაყუბ-ყაენის ორგზის შემოსევა საქართველოში (1485 წ. და 1488) უბედურებად ქართლის სამეფოს დაატყდა თავს. ამ ომების სიმძიმე კახეთს არ უგრძენია, კახეთი როგორც განზე იდგა<sup>1</sup>.

შესაძლებელია, ირანის მესვეურთა პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სამეფოს განაყოფებს მეტი სიტრთილით მოპყრობოდა, რათა ხელი შეეწყო საქართველოს დაშლის მიმდინარე პროცესისათვის. ქართლი, როგორც გამაერთიანებელი ცენტრი, მიზანში ამოღებულ იქნა ირანის მიერ. შესაძლებელია ჩვენ კახეთზე თავდასხმების შესახებ ცნობები გვაკლდეს და სანამ ეს ცნობები არ აღმოჩენილა, ირანის მიერ კახეთის შევიწროებაზე ლაპარაკი მართებული არ იქნება.

შესაძლებელია, კახეთის ახლად აღმოცენებულ სამეფოს ქართლის მეფის ძალმომრეობისაგან (რომელსაც მთლიან საქართველოს მეფობაზე ჰქონდა პრეტენზიები) თავის დასალწევად საერთო ენაც ჰქონდა გამონახული ირანის მფლობელებთან.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კახეთის სამეფო სრულიად დამშვიდებული და კმაყოფილი შესცქეროდა უზუნ-ჰასანის ირანის მეზობლობას. ასეთ გულუბრყვილოებად იმდროინდელი პოლიტიკოსების წარმოდგენა სინამდვილის გაყალბება იქნებოდა. ირანის საფრთხეს კახეთიც განიცდიდა, მაგრამ მოსკოვის სახელმწიფო მოჩინდა თუ არა იმ დროს ამ სამყაროში ძლევა მოსილად და ირანთან დამეგობრებულად? ჩვენ ვფიქრობთ არა.

ალექსანდრე კახთა მეფის ამ ელჩობის მიზანს შეეხო აგრეთვე:

<sup>1</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგ. IV, 153—158.

მ. ბროსე. მისი აზრით, ალექსანდრე მეფემ მოსკოვში ელჩები იმიტომ გაგზავნა, რომ მოსკოვის მთავრისათვის 1487 წელს ყაზანის სახანოზე გამარჯვება მიელოცა<sup>1</sup>. ბელოკუროვი არ ეთანხმება ბროსეს და შენიშნავს—ყაზანის სახანოზე გამარჯვება მნიშვნელოვანი არ იყო. ამასთან, ბელოკუროვის აზრით, 1487 წელს მოპოვებული არასრული გამარჯვების მილოცვა 1491—1492 წლებში ასე ნაგვიანედად უხერხულიც კი იყო<sup>2</sup>.

ბელოკუროვის ზემოთ მოტანილი შენიშვნები, რომლებიც განოთქმულია ბროსეს მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ჩვენი აზრით, უმართებულოა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყაზანის სახანოზე გამარჯვება სრულებით უმნიშვნელო ფაქტი არ იყო. ყაზანის სახანოს მორჩილებაში მოყვანას ისე, რომ ყაზანის სამეფო ტახტზე მოსკოვის მთავარი ნიშნავდა ხანს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მოსკოვის სამთავროსათვის. საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით—უფრო მეტი, ვინემ ტვერისა და ნოვგოროდის შემოერთებას. ეს პირველი შემთხვევაა მოსკოვის სამთავროს ისტორიაში, როცა თათართა სახანო მოსკოვს დაუქვემდებარდა, ამას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თათართა საყაენოს მოსკოვის მთავრის მფარველობის ქვეშ მოქცევა თათართა სრული დაქვეითების შედეგი იყო.

ამ ფაქტსა და მის მსგავს მოქმედებას თურქეთის ძლიერებით თავზარდაცემული ქრისტიანული სახელმწიფოები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასეთი ამბები სწრაფად და სიხარულით ვრცელდებოდა ქრისტიანულ სახელმწიფოებში. ჯმათ შორის საქართველოშიც. საფიქრებელია, რომ ალექსანდრეს წერილის ერთ ადგილას ბუნდოვანად კიდევ უნდა მოჩანდეს, რომ კახეთში მოსკოვის ყაზანის სახანოზე გამარჯვება და ყაზანის სახანოს მოსკოვის მფარველობაში შესვლა იციან. ალექსანდრეს წერილის იმ ნაწილში, სადაც მოსკოვის მთავრის ქება-დიდებაა, სხვათა შორის აღნიშნულია: „Бедным еси подпора и бесерменом еси надея“ („ლტაკთა დასაყრდენო, მუსლიმანთათვისაც კი იმედო“). ყაზანის ხანი, რომელიც იოანეს კანდიდატი იყო და მანვე გაამეფა, მართლაც იოანეს მოიმედე იყო.

ბროსეს მოსაზრების საწინააღმდეგოდ ბელოკუროვის მეორე შენიშვნა—თითქოს ასეთ შორეულ მხარეს ელჩის გაგზავნა დაგვიან-

<sup>1</sup> Белокуров... დასახ. ნაშრ., გვ. XXIV.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XXIV.

ნებული მოლოცვით უხერხული უნდა ყოფილიყო—აგრეთვე უმართებულა. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ XV საუკუნის მიწურულს, 1495 წელს, ქართლის მეფემ კონსტანტინემ ესპანეთის დედოფალს იზაბელას არაბებზე 1492 წელს მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და ელჩები საჩუქრებით რუსეთის გზით ესპანეთში გაისტუმრა<sup>1</sup>.

ეს ფაქტი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს კონსტანტინეს წერილის შესახებ აღნიშნული, იმას მოწმობს, რომ ირანთურქეთით შევიწროებული ქართველები მაჰმადიანებზე ქრისტიანული სამეფოს გამარჯვებას საერთო ქრისტიანულ საქმედ თვლიდნენ, სიხარულით ხედებოდნენ მას და, რაკი საკუთარი ძალის იმედი არ ჰქონდათ, სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების მაჰმადიანებზე გამარჯვებით მაჰმადიანურ სახელმწიფოთა საერთო ძალის დაცემის იმედი აღეძრებოდათ<sup>2</sup>. რაც შეეხება დაგვიანებით მილოცვის უხერხულობას, რომელზეც ბელოკუროვი მიუთითებს ბროსეს, ეს ჩვენი თანამედროვე შეხედულებებიდან გამომდინარეა, როცა მიმოსვლის საშუალებები და კავშირგაბმულობა XV საუკუნესთან შედარებით ზღაპრულად განვითარებულია. მაშინ კი ასე დაგვიანებით მილოცვა საბოდიშო და უხერხული არ უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინე მეფის წერილი ამის დამამტკიცებელი დოკუმენტია. აქ შეიძლება კითხვა წამოიჭრას, ალექსანდრე თუ გამარჯვებას ულოცავდა, რატომ იგი არაფერს არ წერდა ამის შესახებ წერილში? ალექსანდრე მეფის ელჩებს ვოლგით მოუხდებოდათ მოსკოვში მისვლა, ხოლო ვოლგაზე უნდა გაეცლოთ ასტრახანით და ყაზანით, ე. ი. თათართა ტერიტორიაზე, ასეთ პირობებში თათრებზე გამარჯვების მილოცვა წერილით სახიფათო იყო.

მართალია, ჩვენ ბროსეს მოსაზრებები დავიცავით, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ სავსებით ვეგზრობით მის აზრს. ელჩებს გამარჯვების მილოცვასა და მოსკოვის მთავრის ჯანმრთელობის მოკითხვის გარდა სხვა სახელმწიფოებრივი ხასიათის დავალებანიც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ასე მოიქცა, მაგალითად, კონსტანტინე ქართლის მეფე, როცა ესპანეთის დედოფალს დიდ გამარჯვებასაც ულოცავდა და იმავე დროს თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის მოწყობის პროექტსაც აცნობდა.

XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როგორც ცნობილია, ბიზანტია დაეცა და მთელ მის მემკვიდრეობას თურქთა სახელმწიფო დაეპატრონა. ქრისტიანულმა სამყარომ მწვეავედ განიცადა ეს

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წ. IV, გვ. 164—139.

<sup>2</sup> იქვე.



არცხი. ამ აქტის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ერთნაირად გაიგეს მოსკოვსა და საქართველოში. რუსეთში დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ შოვლენისადმი და, თქმა არ უნდა, აქაც იგი საწყენად დარჩათ. ამის უტყუარი ფაქტია რუსეთში შექმნილი და შემდეგ ძალიან გავრცელებული თხრობა „О цареградѣ, о создании его и взятии турками в 1453 году. მართალია, ბიზანტიის დაცემა რუსეთის მოწინავე წრეებს საწყენად დარჩათ, მაგრამ იმავე დროს მომხდარი ფაქტით სასოწარკვეთილებაში არავენ. ჩავარდნილა. XV საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვის სახელმწიფო შინაგან გაერთიანებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღწევს და სრულიად მარტივად წარმოიშვა აზრი იმის შესახებ, რომ ამიერიდან ბიზანტიის როლს აღმოსავლეთ ქრისტიანების მიმართ რუსეთი და მისი ხელმწიფე შეასრულებდა. განსაკუთრებით ძლიერდება ეს აზრი რუსეთის სახელმწიფოს შესახებ იმის შემდეგ, როცა იოანე III-მ ბიზანტიის იმპერატორების მემკვიდრეთა ერთი წარმომადგენელი სოფიო პალეოლოგი ცოლად შეირთო. ამ ქორწინებას, როგორც ცნობილია, რომის პაპი უწყობდა ხელს და მას თავისი ანგარიშები ჰქონდა, მაგრამ იოანე III და მისი მრჩეველები რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ. ბიზანტიის სახელმწიფოს მემკვიდრეობას აფორმებდა ეს ქორწინება და ამის შემდეგი აქტი იყო ბიზანტიის სახელმწიფო ღერბის—ორთავიანი არწივის მიღება რუსეთის სახელმწიფო ღერბად. იოანე III-ის დროის რუსეთი ქრისტიანულ სამყაროში თურქთა და საერთოდ მაჰმადიანთა ძალმომრეობისაგან ქრისტიანების მხსნელ ქვეყნად ისახებოდა. ეს აზრი რუსეთის მაშინდელ ლიტერატურაში აისახა კიდევ.

რომში კარდინალ ბესარიონის მონაწილეობით შემუშავდა გეგმა მოსკოვის სამთავროს თურქეთის საწინააღმდეგო ლიგაში ჩათრევისა<sup>1</sup>. რუსი პოლიტიკოსები სავსებით სამართლიანად რუსეთის სახელმწიფოს რეალური ინტერესებიდან გამომდინარე და ქრისტიანობას საკმაო თანაგრძნობას უცხადებდნენ, მაგრამ იმავე დროს საკმაო თავდაპერილობით თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ. მართალია, XV საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსეთის ვაჭრებს შეეიწროება დაუწყეს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ამ საკითხის გარშემო მიმოწერაც გაიმართა, მაგრამ რუსეთი XV ს. ოთხმოცდაათიანი წლებიდან თურქეთ-

ს. ანუ

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ К. Базилевич, Внешняя политика русского централизованного государства. Вторая половина XV века, 1952 г., гл. 414. იხ. აგრეთვე Жигарева. Русская политика в восточном вопросе, гл. 27—39.

თან დიპლომატიური ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ მიისწრაფოდა.

მაგრამ ამ ფაქტებს სრულიადაც ხელი არ შეუშლია იმ აზრისათვის, რომ რუსეთის სახელმწიფო არის თურქთა მიერ დაჩაგრულ ქრისტიანეთა მხსნელი. ალექსანდრე კახთა მეფის წერილშიც კარგად ჩანს ის ფაქტი, რომ საქართველოშიც გავრცელებული ყოფილა აზრი რუსეთის ამ დიდი მისიის შესახებ; იქ ქართველი მეფე ხომ გარკვევით უწოდებს იოანე III-ს „ქრისტიანების იმედს, ჩვენი სარწმუნოების ბურჯს“ და სხვ.

XV საუკუნის ქართველი მოღვაწეები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს თურქეთის გაძლიერებას და, როგორც ცნობილია, XV საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთის ძლიერების დასაცემად ქრისტიანული სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკაში ებმებიან, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან კავშირს ამყარებენ და თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შესადგენად ემზადებიან.

XV საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ეს მისწრაფება კვლავ თავს იჩენს და ამ მიზნით კონსტანტინე ქართლის მეფემ ესპანეთში საგანგებო ელჩი მიაგვლინა და იქაურ დედოფალს იზაბელას წერილი და სათანადო საჩუქრები გაუგზავნა. დამახასიათებელია, რომ კონსტანტინეს ეს წერილი, ძველ რუსულ ენაზე გადათარგმნილი, პოლონეთში ინახება ამჟამად. ქართველი ელჩი რუსეთის გზით წასულა ევროპაში<sup>1</sup>. რატომ ითარგმნა რუსულ ენაზე ესპანეთის დედოფლის მისამართით გაგზავნილი წერილი? ეკვი არაა, რომ მოსკოვის მთავარს ქართველმა ელჩმა გააცნო ანტითურქული გეგმა, ცხადია, თვით კონსტანტინე ქართლის მეფის წინასწარი ნებართვის საფუძველზე.

არის შესაძლებლობა ვიფიქროთ, რომ კახეთის მეფეს საერთაშორისო ვითარების გასაცნობად, კერძოდ თურქეთის პრობლემის გასარკვევად და თვით რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხების გასაცნობად და საერთო ორიენტაციისათვის ელჩები გაეგზავნა რუსეთში. ჩვენს ხელთ არსებული მასალა სხვა უფრო გარკვეულ დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

რა გზით უნდა ემგზავრათ ქართველ ელჩებს მოსკოვში?

ჩვენს წინა მკვლევარნი ამ საკითხს საგანგებოდ არ შეხებიან, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი კავკასიონის გა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 64—77; 165—168.

დასავალეობით ვარაუდობდნენ ალექსანდრეს ელჩების მოგზაურობას რუსეთისაკენ. ბროსე, როგორც დავინახეთ, „შეკენცს“ „ჩეჩენეცად“ ასწორებდა და, მაშასადამე, ქართველი ელჩების ჩეჩენეთზე გავლას ვარაუდობდა. რა თქმა უნდა, მკვლევარნი, ალბათ, XVI საუკუნის ანალოგიით ასკვნიან XV საუკუნის ქართველი ელჩების კავკასიონზე გადასვლას, რადგანაც ამის შესახებ პირდაპირი ცნობა არ არსებობს.

მართლაც, ერთი მხრით, სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაეთვალოს ქართველ ელჩებს კახეთიდან არსებული გადასავალეობით უმოკლესი გზის არჩევა, თუკი ნათ ამ მიმართულებით მოგზაურობას რაიმე პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლება არ ელოდებოდა.

მაგრამ გამორიცხული არაა, რომ სხვა გზითაც ემგზავრათ ქართველ ელჩებს. პირიქით ზოგიერთი გარემოების გამო კავკასიონზე ელჩების გადასვლა საექვოდ გვჩნება, მაგრამ შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ამით არ მოიხსნება.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს „შაქელი“ ხოხენარუმის ელჩობის შენადგენლობაში შეყვანა. რა თქმა უნდა, შაქელი ხოჯა—სომეხი ვაჭარი<sup>1</sup> კახეთის მეფის კარს შეიძლებოდა ახლო ჰყოლოდა, მაგრამ რატომ დასქირდა კახეთის მეფეს მისი რუსეთში გაგზავნა? უნებლიედ იბადება კითხვა, ხოხენარუმი ხომ არ იყო ჩრდილოეთისაკენ ნამგზავრი. შაქი ხომ კახეთსა და შემახას შორის მდებარე ქვეყანა იყო? შემახა კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, XV საუკუნეში და შენდეგაც ის ადგილია, საიდანაც დარუბანდით და ასტრახანზე გავლით მოსკოვში მიდიოდნენ. შაქელი მოქალაქე რომ ქართველი ელჩების შენადგენლობაშია, ეს გარემოება იმასაც ხომ არ გვანიშნებს, რომ ქართველი ელჩები შაქით შემახაზე გავლით და დარუბანდ-ასტრახანით წავიდნენ მოსკოვში? ეს გზა ცნობილი და გამართული გზა იყო. მართალია, კავკასიონზე გადასვლა გზას ამოკლებდა, მაგრამ იგი ძალიან ძნელი სავალი იყო. თუ XVI საუკუნეში ამ გზით იყო დამყარებული კავშირი რუსეთთან, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ ამ გადასავალეობით ჩრდილოეთთან კავშირის დამყარება კარგი იყო. კასპიის ზღვის პირით მიმავალი გზა XVI საუკუნეში ქართველებისა და რუსებისათვის პოლიტიკური სიტუაციის გამო დახშული იყო. შამხალის ბატონი და თურქეთი XVI საუკუნეში კასპიის ზღვისპირზე რუსებს და არც ქართველებს არ უშვებდნენ, საამისო ცნობები ჩვენ მრავლად გვაქვს შემონახული.

<sup>1</sup> ხოხენარუმის სომხობის შესახებ მოსახრებას გამოთქვამდა დოც. ვ. ვოსკანიანი 1954 წელს ჩვენთან პირად საუბარში.

ალექსანდრე მეფის ელჩები რუსეთში ხელცარიელი ხომ არ წავიდოდნენ, საჩუქრები უნდა წაეღოთ როგორც გზაზე შემხვედრი მფლობელებისათვის, ისე მოსკოვის მთაფრისათვის, და ამ ბარგის გადატანა კავკასიონზე ძალიან ძნელი საქმე იყო. ჩვენ ვიცით, თუ რა გაკირვებით ხდებოდა XVI საუკუნეში რუსეთის ელჩების გადმოყვანა კახეთში, ეს იმ დროს, როცა რუსეთს ასტრახანიც ეკუთვნოდა და ჩერქეზეთში დასაყრდენი ჰქონდა.

შემდეგ, მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ქართველი ელჩები თავის მცირე ამალით მარტო ვერ იმოგზაურებდნენ. ასეთი რამ შემდეგ საუკუნეებში ხდებოდა, მაგრამ რუსეთს გზაზე მოწყობილი ჰქონდა პუნქტები, ელჩებს გზაზე ეგბებოდნენ, მათ მცველი ამაღა აცილებდა მოსკოვამდე და უზრუნველყოფდნენ სურსათით, ცხენებით და ნავეებით. XV საუკუნეში იტალიელ მოგზაურთა აღწერილობიდან ჩანს, რომ ელჩების მოგზაურობა ქარავენთან იყო დაკავშირებული. გარკვეული დროისათვის თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები და ერთად მიემგზავრებოდნენ. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ასეთი ქარავენი შემახაში იყრიდა თავს. ისინი შენდევ ასტრახანში შეუერთდებოდნენ იქაურ მოგზაურებს და ასე მიდიოდნენ მოსკოვში (იხ. ამის შესახებ იტალიელ მოგზაურთა დღიურები). ყველა ზემოთ მოცემული ცნობების გათვალისწინების შემდეგ იძულებული ვხვდებით ქართველი ელჩების—ნარიმანის, დამიანეს და ხოზემარუმი შაქელის—მიერ გავლილი გზის საკითხი ჯერჯერობით ღიად დავტოვოთ. ქართველ ელჩებს შესაძლებლობა ჰქონდათ XV საუკუნეში როგორც ნუხა-შენახა-დარუბანდი ასტრახანით, ისე კავკასიონის გადასასვლელებით ისევ ასტრახანზე გავლით ემოგზაურათ მოსკოვამდე. მაგრამ ჩვენ უფრო პირველი მარშრუტისაკენ ვიხრებით, შესაძლებელია იმიტომ, რომ ეს გზა უფრო უკეთ ვიცით უცხო მოგზაურთა აღწერილობებით.

არავითარი ცნობები არა გვაქვს იმის შესახებ, თუ როდის გამოისტუმრა იოანე III-მ ქართველი ელჩები. არც ის ვიცით—მოაღწიეს თუ არ ელჩებმა სამშობლოში. ქართული ძეგლები ხომ საერთოდ არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან ამ ელჩობის შესახებ. რით უნდა აიხსნას ქართული წყაროების ამგვარი დუმილი?

ჩვენ რომ XV საუკუნის ძეგლები უკლებლად დაცული გვქონდეს, მაშინ საკითხი სხვა რიგად შეიძლება დაგვეყენებინა, მაგრამ ჯერჯერობით XV საუკუნის ძეგლები ჩვენ ხელთ არ გვაქვს. XV საუკუნის შესახებ თუ ზაიმე ვიცით,—ისევ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებიდან და ვახტანგისეული კომისიის ნაშრომიდან. მაგრამ

როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, ეტყობა რომ არც ვახუშტის და არც ვახტანგის კომისიას ბევრი არაფერი გააჩნდა საერთოდ ამ ხანის შესახებ. არა თუ XV საუკუნის, არამედ XVI საუკუნის კახეთის ისტორიის წყაროებიც არ შემოგვენახა. XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ცნობები, რომლებიც რუსულმა არქივებმა შემოგვინახეს, ქართულ ძეგლებში სრულიადაც არ მოიპოვება. კახელი და რუსი ელჩები 18 წლის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ მიმოდირდნენ რუსეთსა და კახეთს შორის და ქართულ წყაროებში კი ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

კითხვა იბადება, ნუთუ ამ ხანისა და ამ ფაქტების შესახებ არაფერი იწერებოდა ჩვენში? ცხადია, იწერებოდა; ჩვენ ისეთი ცნობა მოგვეპოვება, რომელიც უფრო ამგვარი ძეგლების დაღუპვას გვაფიქრებინებს, ვინემ მათი იმ თავითვე არარსებობას. რადგანაც ამ საკითხზე XVI საუკუნის ამბებთან დაკავშირებით მოგვიხდება საუბარი, აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ამრიგად, XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთის პოლიტიკური მოღვაწეები მოსკოვის სახელმწიფოს იცნობდნენ და, თუ მოსკოვში ელჩების გაგზავნამდე რუსეთის შესახებ სავსებით ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ელჩების დაბრუნების შემდეგ რუსეთზე წარმოდგენა კონკრეტული ფაქტებით შეივსებოდა. ანავე დროს კახეთის ინიციატივით მოსკოვის სამთავრო საქართველოს გაეცნო.

მაგრამ XV საუკუნეში კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში არ შეიძლებოდა დასმულიყო მოსკოვთან ურთიერთობის საკითხი იმ სახით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XVI საუკუნის სამოციანი წლებიდან. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსკოვის სამთავროს საგარეო პოლიტიკაშიაც კახეთის სამეფოს საკითხი იმ გვარად არ შეიძლებოდა დასმულიყო, როგორც ეს XVI საუკუნის მესამე მეოთხედში დაისვა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

---

## ხმოვები XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან

XVI საუკუნის მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან რუსულ ენაზე შემონახულია საყურადღებო და მდიდარი შინაარსის მასალები. ყველა მათგანი დაცულია რუსულ არქივებსა და მატეანეებში. ასეთებია: რუსეთ-საქართველოს შორის რუსი ელჩების მიმოსვლის ვრცელი ანგარიშები, ე. წ. „ნუხლობრივი აღწერილობები“, რუს ელჩთათვის განკუთვნილი „საელჩო საქმეთა საგანგოს“ მიერ შედგენილი ინსტრუქციები, ანუ ე. წ. „ნაკაზები“, მეფეთა წერილების თარგმანები, პირები და ქართველ ელჩთა მოსკოვში მიღების აღწერილობები. მაგრამ ჩამოთვლილი მასალები მთლიანად XVI საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დაწყებულ ამბებს აგვიწერენ.

არსებობდა თუ არა XVI საუკუნის ოთხმოციანი წლების წინა ხანის დოკუმენტები „საელჩოს საქმეთა საგანგოს“ არქივში? საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი დოკუმენტები არსებობდა, მაგრამ მოუვლელობის გამო იგი დაღუპულა. საფიქრებელია, რომ სახელმწიფო არქივს, იოანე მრისხანეს მეფობის უკანასკნელ წელს, რაღაც მოუვიდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არქივის ის ფონდი, სადაც კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს შესახებ მასალები ინახებოდა. ერთი მხრით, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ არქივები XVII საუკუნის დასაწყისში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად უნდა დაზიანებულიყო და დაზიანდა ალბათ. ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ „საგარეო საქმეთა საგანგო“ 1614 წელს არქივში დაცული მასალების ხელახალ აღწერილობას ახდენს. ახალ დინასტიას არქივი დაზიანებული ჩაბარდა საერთოდ. იოანე IV-ის ხანის დოკუმენტები მაინც ძალიან მცირე აღმოჩენილა 1614 წელს; რაც გადარჩენილა, ისიც დაზიანებული ყოფილა და ამიტომაც ამთვან ზოგიერთის შესახებ არქივარიუსს დაუწერია: „ветх и распалца“. ეს შეეხება ჩერქეზების სამთავროს 1578 წლის საბუთებს. 1578 წლის შემხალეთთან ურთიერთობის საქმის შესახებაც აღნიშნულია:

«ветх». შემახის მფლობელებთან ურთიერთობის ოთხი სიგელის შესახებაც აღნიშნულია: „в разных годах, ветхи донре“<sup>1</sup>.

საყურადღებოა, რომ არც 1614 წლის აღწერაში მოხსენებული მასალებია დღეს არქივში. არ ვიცით, სად არის ალექსანდრე მეფის და თინათინ დედოფლის წერილების დედნები, რომელნიც 1614 წელს დაცული ყოფილა. შესაძლებელია ისინი სხვა საბუთებთან ერთად სადმე სხვა ფონდში იყოს გაბნეული და შემთხვევით აღმოჩნდეს კიდევ, მაგრამ იოანე IV-ის დროის და მის უწინარესი ხანის საბუთები თუ არსებობდა, მათი აღმოჩენის იმედი აღარ უნდა გვეკონდეს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ზოგიერთი ქართული ცნობის ანალიზით და რუსული მატიანის ცნობის მოშველებით, ჩვენ საშუალება გვეძლევა რუსეთ-კახეთის ურთიერთობის ისტორიის საინტერესო სურათი აღვადგინოთ. სხვა ქართული სამეფოების რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ XVI საუკუნის ოთხმოციან წლებამდე ჯერჯერობით არავითარი ცნობა არა გვაქვს და, საფიქრებელია, რომ მანამდე არავითარი ურთიერთობა არ ყოფილა. თუ რატომ ვფიქრობთ ასე, ამას ახსნა სჭირდება და ამ საკითხზე ზოგიერთი მოსაზრება მოცემული იქნება ქვემოთ.

XVI საუკუნის ოთხმოციან წლებამდე მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ ცნობას ქართული წყაროები გვაწვდის. ეს ცნობები სწორედ იმ წლებს შეეხება, რომელთა შესახებ მოსკოვში დაცულ საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი. მართალია, რუსულ მატიანესა და ერთ ნაგვიანებ საბუთში ქართულ ძეგლებში დაცული ცნობების მსგავსი მასალა შეიძლება იპოვოს ადამიანმა, მაგრამ რუსული ცნობები მეტისმეტად ბუნდოვანია და ქართული ძეგლების გარეშე მათი მართებულად გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა.

XVI საუკუნეში მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ ერთი ცნობა მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ ეგრეთწოდებულ მეორე გაგრძელებაში<sup>2</sup>.

მოსკოვთან ურთიერთობის შესახებ აქ დაცული ცნობა შეეხება კახეთის მეფის ლევან „ავგიორგის“ ძის დროს. ამ თხზულებაში ჯერ მოთხრობილია ქართლის მეფის დავითის და კახთა მეფის „ავგიორგის“ ურთიერთ ბრძოლა კახეთის დაუფლებისათვის, შემდეგ ბაგრატ მუხრან-ბატონის მიერ „ავგიორგის“ მოულოდნელად შეპყრობა

<sup>1</sup> С. Белокуров, Снош. России с Кавказом, гв. СХХVI.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლ. ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 852, ქართლ. ცხოვრ. კიკინაძის გამოც., გვ. 697.

და მისი სიკვდილი. კახეთს თითქოს დავით მეფე დაეუფლა, მაგრამ შემდეგ ძეგლი გვაუწყებს, რომ „ავგიორგის“ დარჩა ცოლი და მკირწლოვანი შვილი ლევანი.

ამ ამბების აღწერის შემდეგ, ზემოთ დასახელებულ ძეგლში ვკითხულობთ: „ხოლო მეფე დავით განაგებდა კეთილად ქართლსა და კახეთსა, და იყო ყრმა ლევან დედითურთ სახლსა შინა ჩოლოყაშვილის გარსევანისა, რომელ იყო მეყვისი დედა იგი ლევანისა ჩოლოყაშვილის გარსევანისა, რომელი იყო სახლთუხუცესი კახთ ბატონისა: მაშინ აუწყეს მეფესა დავითს ყრმისა მისთვის ლევანისა, რომელ აღორძინებულ არს კახეთსა შინა, და წარავლინა ძმა თვისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა, და ამილახორი, რათამცა მოიძიონ ყრმა იგი თუ სადა არს: მაშინ იწყეს ძიება მკვიდრთა მათ კახეთისა სახლსა შინა დიდთა და მკირეთასა, და განავლინეს ბრძანება, და შემოიფიცეს ყოველნივე, რათამცა გამოაცხადონ ყრმისა მისთვის, თუ სადა არს, და ესრეთ მოვლეს რომელიმე კახეთის კერძონი. მაშინ წარიყვანეს ლევან მოსკოვისა კნიაზთანა და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მალრანისასა და განამაგრეს ციხე იგი და მერმე მივიდეს ბაგრატ, და ერისთავი ქსნისა და ამილახორი სახლსა ჩოლოყაშვილის გარსევანისასა, და მას ღამესა კეთილად უმასპინძლა, და დღესა მეორესა დაუმტკიცა ფიცით გარსევან, ვითარმედ არა არს სახლსა ჩემსა და რომელიცა იხილეთ თვალითა თქვენითა არავინ არს სახლსა შინა ჩემსა: ხოლო იყო რაოდენიმე ხანი, კვალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით, და შთამოვიდა კახეთს და შევიდა ციხესა მას შინა ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნი მივიდეს მისთანა და შეჭყიცეს, და მიერთნეს ლევანს, წარმოიყვანეს და გაიბატონეს და დაიპყრა კახეთი ლევან“<sup>1</sup>.

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ასეთივე ცნობა, საკმაოდ განსხვავებული სახით მოცემული აქვთ ვახუშტ ბაგრატიონსა და ვახტანგისეულ კომისიის „ქართლის ცხოვრებასაც“. ამ თხზულებებში დაცული ამავე ამბავის ვარიანტების ურთიერთ შედარება აუცილებელი ხდება საკითხის დასაყენებლად და იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად სანდო უნდა იყოს ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელების ზემოთ მოყვანილი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფ. ვარიანტი, გვ. 909—910, ქართლ. ცხოვრ. კიკინაძის გამოც., გვ. 712—713.



ცნობა მცირეწლოვან ლევანის მოსკოვში გადახიზვნისა, იქედან რუსის ჯარით კახეთში მისი დაბრუნებისა და ტაბტის დაპყრობის შესახებ.

„ავგიორგის“ სიკვდილის შემდეგ ვახუშტ ბაგრატიონს საქმის ვითარება შემდეგი სახით აქვს მოთხრობილი: „ხოლო ძე ავგიორგისა, მცირე ყრმა წლისა შეიღისა დამალა დედით მისით ჩოლოყაშვილმან გარსევან, ვინაიღვან ნათესავე იყო დედა მისი გარსევანისა: სცნა მეფემან დავით კოფნა ავ-გიორგის ძისა ლევანისა კახეთსავე, ამისთვის წარავლინა ძმა თვისი ბაგრატ მის ქვეშე დაწესებულთა სპითა და ამილახორითა, რათა მოიძიონ ლევან და მოართვან მას: შთამოსრულმან კახეთს ბაგრატ დასდვა შიში დიდი კახთა და ყოველთა მკვდრთა მათ შინა. არამედ მათ ყოველთა ჰფუცეს უცნობელობა მისი აღთქმითა დიდითა: არამედ გარსევან ჩოლოყაშვილმა ჰყო ხეანჯი და ცბიერება დიდი, რამეთუ ლევან ჰყო მეწოდელ უშევრითა სამოსლითა და იმსახურებდა ჟამსა სერი-სასა სტუმრებულის ბაგრატის წინაშე და, შეუთქვეს რა გარსევანს ლეონისათვის, მან ჰფუცა ძლიერითა ფუცვიითა: „რომელი არა გეხილვით თქვენ თვინიერ მისსა, არცა მცირე და არცა დიდი არავინ მყევს და არც უწყოდე“. ესე ირწმუნა ბაგრატ და წარმოვიდა ქართლს: მაშინ გარსევან წარავლინა ლეონ ოჩანის ციხესა შინა და დამალა მუნ<sup>1</sup>.

ამავე ამბავს ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიის „ქართლის ცხოვრება“ შემდეგნაირად მოგვითხრობს: „და დარჩა ძე გიორგისა, რომელსა ეწოდა ლეუან, მცირედ. და წარმოიყუანა ყრმა იგი დედითურთ და დამალა პატივითა სახლსა ჩოლოყაშვილისა გარსევანისასა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი, რამეთუ ეყოდა დედასა მისსა. და რა სცნა მეფემან დავით, წარავლინა ძმა თუისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათა დასჩხრიკონ კახეთს მსახლობელნი დიდით ვიდრე მცირემდი, რათა იპოვონ ყრმა იგი. მაშინ წარვიდენ საძებნელად, დასდევს შიში და ზარი ყოველთავე კაცთა ზედა და დააფიცეს, რათა არა უწყოდენ ყრმა იგი, თუ სადა არს, და ყოველთავე შეჰფიცეს, რომე არა ვიცით რაო. შემდგომად მოვიდნენ სახლსა ჩოლოყაშვილის სახლთუხუცესისა გარსევანისასა. და მოეპოვა გარსევანს საქმე ესე, რამეთუ მოიყუანა ყრმა იგი ლეუან მონისა თუისისა ძისა მსგავსად და მას დღესა მეღვინეთ

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ხ. კიკინაძის გამოც., გვ. 27.

იმსახურებდა ყრმასა მას, ვითარცა მონასა, და დღესა მეორესა შეფიცა ფიცითა საშინელითა ბაგრატს, ვითარმედ: „რაოდენიცა თქუნენ ჩემსა სახლში არ იხილენით და რაც თქუნემა თვალმა არ ნახა, იმის მეტი არა მყუანდეს, არც დიდი კაციშვილი და არც ცოტასი“. შეიჯერა ფიცით ამით.

და ესენი რა წარმოვიდნენ, ბაგრატ და ერისთავი და ამილახორი, მაშინ ჩოლაყაშვილმა გარსეუან ველარა თავს იღვა სახლსა თუისსა დაფარვა ლეუანისა და წარმოიყუანა და შეიყუანა ციხესა მას ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა, შემოეხვივნენ ზემოურნი და გარემონი კახნი და მიერთვნენ ლევანს, წარმოემართა და ჩამოვიდა კახეთად<sup>1</sup>.

ამ ვრცელი ამონაწერების ერთმანეთთან შედარება ნათელს ხდის, რომ მცირეწლოვანი ლევანის მოსკოვის მთავართან გამგზავრება და შემდეგ რუსეთის ჯარით დაბრუნება კახეთში, არც ვახუშტ ბაგრატიონს და არც ვახტანგისეულ კომისიის „ქართლის ცხოვრებას“ მოხსენებული არ აქვთ.

ეს გარემოება გვაძლევს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელების ცნობას ლევანის მოსკოვში წასვლის შესახებ ექვით მოვეკიდოთ.

ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორის ვინაობა ცნობილი არ არის. თვით ძეგლი კი შესწავლილია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ. ძეგლის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად განსვენებული მეცნიერი ასკვნის, რომ მისი ავტორი XVIII საუკუნის ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში წერდა მას<sup>2</sup>.

ძეგლის ავტორს ხელთ იგივე წყაროები უნდა ჰქონოდა, რომლებითაც ვახტანგის კომისია და თვით ვახუშტ ბატონიშვილი სარგებლობდნენ. მაგრამ ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორი დედნებიდან ამოკრებილ ცნობებს სიტყვა-სიტყვით იღებს და ძირითადად დედნის ენას იცავს, რაც ვახუშტ ბაგრატიონის და ვახტანგისეული კომისიისათვის დამახასიათებელი არ არის<sup>3</sup>. აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებელს კახეთის ამბების აღწერისას უნდა ესარგებლა ალავერდში შედგენილი მატეანით, ეს წყარო კი უნდა ჰქონოდა აგრეთვე ვახუშტ ბატონიშვილს და ვახტანგისეულ კომისიასაც.

<sup>1</sup> ახალი ქართლის ცხოვრება. ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1940 წ., გვ. 53—54, მ. ჯანაშვი. გამოც., გვ. 48—49.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწ., 1916 წ., გვ. 320.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 313.

სხვაობა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოტანილ ტექსტში დავინახეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილისათვისაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მიუთითებს, რომ ლევანის მოსკოვში წასვლის ამბავი ქართლის ცხოვრების გაგრძელებაშია აღწერილი<sup>1</sup>, მაგრამ ეს ადგილები მას საგანგებოდ არ განუხილავს და არ შეუმოწმებია, რადგანაც მას იგი იმხანად არ სჭირდებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს აგრეთვე, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელება, ისეთი კომპილატური ხასიათის ძეგლია, რომ სანამ მისი წყაროები აღმოჩენილი არაა, იგი უმეტეს შემთხვევაში დედნის მაგივრობას ასრულებს. მართლაც, შემოწმების შედეგად ცხადი ხდება, რომ „გაგრძელების“ ავტორი კეთილსინდისიერად იღებს წყაროებიდან ცნობებს<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, აკად. ივ. ჯავახიშვილი სრულიადაც იმას არ ფიქრობს, რომ ყველაფერში ხელაღებით უნდა ვენდოთ „გაგრძელების“ ავტორს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, იქ, სადაც მისი შემოწმება ხერხდება, ჩანს, რომ იგი კეთილსინდისიერად იღებს ცნობებს წყაროებიდან, შეცდომებისაგან კი, რა თქმა უნდა, ვახუშტ ბაგრატიონიც არ ყოფილა დაზღვეული. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტექსტის ანალიზი ნათელყოფს, რომ ერთი შეცდომა „ქართლის ცხოვრების“ „გაგრძელების“ ავტორს სწორედ იქ უნდა მოსვლოდა, სადაც მას ლევანის მოსკოვში გადახიზვნაზე და იქიდან ჯარით დაბრუნებაზე აქვს ლაპარაკი.

როგორც მოტანილი ტექსტებიდან დავინახეთ, ლევანი, ვახუშტ ბაგრატიონისა და ვახტანგისეული კომისიის თხზულების ცნობით, დამალული იყო გარსევან ჩოლოყაშვილის სახლში და, როცა მის შესაპყრობად დავით მეფის მიერ გამოგზავნილი კაცები ჩოლოყაშვილის სახლში მივიდნენ, ლევანი „მწიდეს“ სახით დაუპატივებელ სტუმრებს ემსახურებოდა. უმასპინძლა რა ჩოლოყაშვილმა სტუმრებს, მოხერხებულად დაუფიცა: ვინც თქვენი თვალით ნახეთ, იმას გარდა, ჩემსას არც დიდი და არც პატარა არავინ არისო.

ფიცი აქ ლეთის წინაშეც გამართლებულია და მიზანიც მიღწეულია, ლევანი თუმცა იქ იპყოფებოდა, მაგრამ მისი მაძიებელნი უარით დაკმაყოფილებულნი გასტუმრებულ იქნენ.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ცნობით კი, როგორც დავინახეთ, ლევანი ამ დროს, ე. ი. როცა მისი მაძიებელნი ჩოლოყაშვილისას მივიდნენ, უკვე მოსკოვშია წასული. მაგრამ ამ ძეგლშიც ჩოლოყაშვილი სტუმრებს, გამასპინძლების შემდეგ, იმავე

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლ., 1916 წ., გვ. 316.

<sup>2</sup> იქვე, იბ. გვ. 314—315—318.

ფიციტ ეუბნება, რომ „რომელიცა იხილეთ თვალითა თქვენითა, სხვა არაინ არს სახლსა შინა ჩემსაო“.

ფიცის ეს მოხერხებული ფორმა გამოყენებული აქვს ჩოლოკაშვილს სინამდვილეში მის სახლში მყოფ ლევანის დასაფარავად. ლევანი მსახურის როლშია იქვე სტუმრებთან, ფიცის ამ სახით ჩამოყალიბება და ქართლის ცხოვრების გაგრძელების სათანადო ადგილას მოთავსება გვაფიქრებინებს, რომ იმ ძეგლში, საიდანაც „გაგრძელების“ ავტორი ცნობას იღებდა, მართლაც ისე უნდა ყოფილიყო ამბავი მოთხრობილი, როგორც ეს ვახუშტ ბაგრატიონს და ვახტანგისეულ კომისიას აქვს აღწერილი. მოსკოვში ლევანის გადახიზნა პირვანდელ წყაროში არ უნდა ყოფილიყო და ეს ცნობა ჩამატებულია თვითონ „გაგრძელების“ ავტორის მიერ. მაშასადაე, „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელება თუმცა აღნიშნავს, რომ ლევანი მოსკოვში გადაიხიზნა, მაგრამ იქვე იძლევა საბაბს ექვი შევიტანოთ ამ ცნობის სისწორეში.

მცირეწლოვან ლევანის იმხანად მოსკოვის მთავართან წასვლა და იქიდან „სპით“ დაბრუნება სხვა გარენოებითაც არ არის დასაჯერებელი. არ არის დასაჯერებელი იმიტომ, რომ „ავგიორგის“ სიკვდილი, ლევანის ძიება და შემდეგ კახეთში ლევანის გამეფება, როგორც ცნობილია, XVI საუკუნის პირველ მეოთხედში (1513—1525 წლებს შორის) ხდება.

თუ ამ ხანის მოსკოვის სამთავროს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელებაში მოთხრობილი ამბავი, მოსკოვის მთავრის მიერ ლევანისათვის ჯარით დახმარების აღმოჩენის შესახებ, მეტისმეტად საექვო ცნობაა.

XVI საუკუნის პირველ მეოთხედში მოსკოვის სამთავროს ტახტზე ვასილ III ივანეს ძე იჯდა. მაშინდელი მოსკოვის სამთავროს პოლიტიკური საზღვრები ძალიან დაშორებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული სამეფოებიდან.

თუ მოვიგონებთ, რომ საქართველოს ჩრდილოეთით, საქართველოსა და მოსკოვის სამთავროს შორის, მონღოლთა ძლიერების ნაშთი, ურთიერთშორის მოქიშპე ურდოები, სახელდობრ: ყირიმის, ასტრახანის, ყაზანის სახანოები და ე. წ. ნოღაელთა მოხეტიალე ტომები კვლავ არსებობას განაგრძობდნენ, ადვილად წარმოვიდგინებთ, რომ ჯერჯერობით მოსკოვისათვის სამხრეთით გართულებული მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. მოსკოვის სამთავროს აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დროისათვის თათრების მიერ მოსკოვის სამფლობელოების და-

რბევის არაერთი ფაქტია ცნობილი. იოანე III დროს მორჩილებაში მოყვანილი ყაზანის სახანო ვასილის დროს მოსკოვის დიდი მოწინააღმდეგეა. მოსკოვის ორიენტაციის ყაზანელი ხანი იძულებულია თავი მოსკოვს შეათაროს. ვასილ მესამემაც მას სამოწყალოდ მამული მისცა მოსკოვის სამთავროს პროვინციაში. დასავლეთით პსკოვი ახალი შემოერთებული იყო (1510 წ.). რიაზანის სამთავროს დამოუკიდებლობის გაუქმებას კვლავ ბრძოლა სჭირდებოდა. ლიტვის სახელმწიფო ბრძოლას განაგრძობდა, სმოლენსკისათვის ომი გრძელდებოდა. მართალია, სმოლენსკი 1514 წლისათვის მოსკოვმა ხელთ იგდო, მაგრამ მის დასაბრუნებლად ლიტვა იარაღს არ ჰყრიდა, არც თვით მოსკოვის სამთავროში იყო სიმშვიდე. ვასილ III-ს ძალიან გამწვავებული მდგომარეობა ჰქონდა ბოიარებთან.

ასეთ პირობებში, მოსკოვის სამთავროს კავკასიონს აქეთ მყოფ კახეთისაკენ რაიმე აქტიური პოლიტიკის წარმოება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო. აქტიურ პოლიტიკაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯარის გამოგზავნა კახეთში ლევანის გასამეფებლად ქველმოქმედების მიზნით ხომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. პოლიტიკაში ქველმოქმედება არასოდეს არ ყოფილა გამოსავალი წერტილი, ქველმოქმედების შესახებ იწერება მხოლოდ ოფიციალურ ძეგლებში, იგი დიპლომატიური ხერხია, თორემ არც ერთი კქუამყოფელი პოლიტიკოსი უანგარიშოდ არავითარ ნაბიჯს არ გადადგამდა.

თათართა სახანოებზე მოსკოვის ლაშქრის უვნებლად გადმოყვანის შესაძლებლობის პირობებშიც კი (ე. ი. თუ დაეუშვებთ, რომ თათართა სახანოებმა ნება დართეს თავიანთ ტერიტორიაზე კახეთისაკენ მომავალი რუსეთის ჯარი გამოატარონ) დაუჯერებელია, რომ მცირეწლოვანი ლევანისათვის ტახტის დასაპყრობად ჯარით დახმარება აღმოჩინათ მოსკოვიდან. რაში სჭირდება ვასილ III-ს ლევანის გამეფება კახეთში ან თვით კახეთი. ვასილი საკმაოდ ნიჭიერი მთავარი იყო და ლევანს ან მის თანაგანმზრახებს კახეთი მთლად რომ დაეთმოთ მოსკოვისათვის, უკანასკნელი ამაზე უარით უპასუხებდა.

მოსკოვში ამ დროს საერთაშორისო პოლიტიკის საქმის კურსში იყვნენ. მათ პირველ რიგში ამიერკავკასიის მიმართ თურქეთ-ირანის დამოკიდებულება უნდა სცოდნოდათ, ხოლო მარტო ამ მდგომარეობის ცოდნა საკმარისი იყო მოსკოველი პოლიტიკოსებისათვის, რომ შორეული სამხრეთისაკენ ექსპანსიის ყოველგვარ განზრახვაზე ხელი აეღოთ, ამას გარდა, თუ თვით მოსკოვის მდგომარეობა

რობასაც გაეითვალისწინებთ, კახეთში ამ ხანებში რუსეთის ჯარის მოსვლის შესაძლებლობას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

როგორც აღნიშნული ისტორიული პირობების განხილვიდან ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელების ცნობა ეწინააღმდეგება მოსკოვის სახელმწიფოს ისტორიულ სინამდვილეს.

მაგრამ მართა ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი ვერ ამოწურავს საკითხის შესწავლას. თუ მოსკოვში ლევანის წასვლას და იქიდან დამხმარე ჯარით მის დაბრუნებას სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, საიდან შეიქმნა ეს ცნობა ან საიდან უნდა მომდინარეობდეს „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელების ცნობა მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ XVI საუკუნის პირველ მეოთხედში.

ლევანის დროს მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ ერთი ცნობა დაცული აქვს ვახუშტ ბაგრატიონს, მაგრამ იგი შეეხება XVI საუკუნის სამოციან წლებს, ე. ი. როცა მოსკოვში იოანე IV მრისხანე მეფობს, ხოლო კახეთის მეფედ იგივე ლევანია, მაგრამ იგი მცირეწლოვანი კი აღარაა, არამედ ხანში შესულია.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულების იმ ნაწილში, სადაც კახეთის ისტორიაა მოთხრობილი, ლევან კახთა მეფის მოღვაწეობის ამბების აღწერის დროს გვაუწყებს: „კვალად ოდეს დაიპყრა რუსთ მეფემან იოანე ყაზანი და აშტარხანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგს და თარღუს მცველნი თვისნი. ამან ლევან წარუვლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა. ამან მოუვლინა და დაადგინა ციხეთა კახეთისათა რუსნი. არამედ განძლიერდა რა შაჰსთამაზ, წარგზავნა სპანი რუსნი რუსეთადვე და აუწყა განძლიერება შაჰსთამაზისა რათა არა მოსწყდენ სპანი თქვენი ქვეყანასა ჩემსა“<sup>1</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობას თარიღი არ აქვს, მაგრამ მისი დათარიღება დაახლოებით მაინც შესაძლებელი ხდება. ვახუშტის ზემოთმოტანილ ცნობაში აღნიშნულია, რომ „ციხეთა კახეთისათა რუსთა“ მცველებად დადგენა მოხდა მას შემდეგ, როდესაც იოანე IV მ ყაზანი და „აშტარხანი“ დაიპყრო, ე. ი. 1552—1556 წლებში. მაშასადამე, ვახუშტის ცნობით, ლევან კახთა მეფეს მოსკოვმა დახმარება აღმოუჩინა 1556 წლის შემდეგ.

მაგრამ ვახუშტისავე ზემოთ მოტანილი ტექსტის ერთი ადგილით უფრო ზუსტად შეიძლება დათარიღდეს რუსეთის რაზმების ციხის მცველებად მოსვლა კახეთში. ვახუშტის ცნობაში აღ-

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრ., ტიპ. გამოც., გვ. 163.

ნიშნულია: „ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტარხანი და თერგი და დასხნა ყაზახანი თერგს და თარლუს მკველნი თვისნი-“ო.

ყაზანისა და ასტარხანის დაპყრობის შემდეგ იოანე IV ცოლად ირთავს ჩერქეზთა ბატონის ასულს და მოსკოვის ლაშქარი ჩერქეზეთზე დაყრდნობით თერგზე მაგრდება, და აქ ციხე თარლუს (რუსული „Тарх“) აგებს. ეს მომხდარა 1563 წელს. მაშასადამე, ვახუშტის ცნობით, რუსი მეციხოვნეების კახეთში გადმოსვლა 1563 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, არა უგვიანეს 1575 წლისა, რადგანაც ამ წლის შემდეგ ლევანი კახეთში მეფედ აღარ იყო, იგი გარდაიცვალა; ხოლო ვახუშტის ცნობით, მეციხოვნეების მოსვლა და უკან რუსეთში მათი გაბრუნებაც ლევანის სიცოცხლეში მოხდა.

ვახუშტის ცნობის დაახლოებით დათარიღების შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია იმის შემოწმება და გარკვევა, თუ რამდენად შეიძლება იგი მართალი იყოს.

რუსულ წყაროებში ივანე IV დროს მოსკოვის სახელმწიფოს მიერ კახეთისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ ჩვენ ვერავითარი ცნობა ვერ ვიპოვეთ. უკვე გამოცემულ სხვა ქართულ ძეგლებშიც ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. იმისთვის, ვინც ვახუშტი ბაგრატიონის მუშაობის წესებს იცნობს, უდავოა, რომ მას ხელთ მოსკოვ-კახეთის ხსენებულ ურთიერთობის შესახებ კახეთის ისტორიულ ძეგლებში დაცული გარკვეული ცნობა უნდა ჰქონოდა. ვახუშტის მიერ შეთხზულად იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს.

მიუხედავად ვახუშტისადმი ასეთი ნდობის გამოცხადებისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სხვა არაპირდაპირი ცნობების გადასინჯვა და შესაძლებლობის ფარგლებში ვახუშტის ცნობის შემოწმება.

ქართული, რუსული და ინგლისური წყაროების არაპირდაპირი ცნობების განხილვამ ჩვენთვის ნათელი გახადა ვახუშტის ცნობის ქეშმარიტება.

XVI საუკუნის რუს ნემატიანეს, იოანე IV-ის მეფობის დროის ამბების აღწერის დროს, 1565 წლის ნოემბრის თარიღით აღნიშნული აქვს: „И того же дни у царя и великого князя были и ели кизитской митрополит Иасаф да старцы святыя горы Афони склеснарх Феофан с товарищи. И того дни государь митрополита Иасафа отпустил во Царьгород к патриарху, а старцов еклеснарха Феофана с товарищи отпустил во святую гору; да с митрополитом же Иоасафом отпущен к патриарху Иасафу слуга патриарш Михайло...а отпустил царь кизитского

მიტროპოლიტა . . . . . და სвятые горы старцов и . . . . . слугу Михаила, по их челобитью, з грузинского князя Леона посломъ съ Яковомъ с товарищи на Астрахань да на черкасскую землю до Турского Салтана земли и ко Царюграду<sup>1</sup>.

ამ ვრცელ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს ლევან ქართველი მეფის ელჩი იაკობი და მისი ხელკვეითნი. იგი 1565 წლის ნოემბერში ბრუნდება სამშობლოში. აქ წელი სექტემბრიდანაა ნაანგარიშევი, იანერის წელიწადით 1564 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ ელჩობის შესახებ რუსულ ძეგლებში სხვა არავითარი ცნობა არაა დაცული. რუსული ძეგლებიდან არ ჩანს როდის გაემგზავრა იაკობ ელჩი მოსკოვში. ქართულ წყაროებშიც ჯერჯერობით არავითარი ცნობა აღმოჩენილი არ არის ამ ელჩობის შესახებ.

მაგრამ, ინგლისელი სავაჭრო კომპანიის წევრის ანტონ ჯექინსონის დღიურში ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული, რომლიდანაც შესაძლებელი ხდება ლევანის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩების მიზანდასახულებაზე ვარაუდი გაეწიოთ.

ჯექინსონი წერს, რომ, როცა იგი ირანიდან მოსკოვში ბრუნდებოდა, 1563 წლის 10 აპრილს შემახაში მოსულა. 10-16 აპრილს შორის ჯექინსონთან გამოცხადებულა ერთი სომეხი, რომელიც ქართველი მეფის მიერ ყოფილა საგანგებოდ გამოგზავნილი. თუ ვინ არის ეს ქართველი მეფე, ჯექინსონს აღნიშნული არ აქვს. ქართველი მეფის შიკრიკს ჯექინსონისათვის აღუწერია თავისი მეფის მძიმე მდგომარეობა, რომ იგი ორ მრისხანე ტირანულ და უძლიერეს სახელმწიფოებს შორის—თურქეთსა და ირანს შორის—იმყოფება და განუწყვეტლივ ომობს. ქართველი მეფე თხოვდა შიკრიკის პირით ჯექინსონს, როგორც ქრისტიანს, იმედსა და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ გზის სწავლებას, რჩევას, თუ როგორ გაუგზავნოს რუსეთის მეფეს ელჩი, ანდა, როგორ ფიქრობს ჯექინსონი,—დაეხმარება თუ არა მას რუსეთის მეფე. სომეხი—ქართველი მეფის შიკრიკი დიდხანს თხოვდა ჯექინსონს, რომ, როცა იგი რუსეთში დაბრუნდებოდა, რუსეთის მეფისათვის აღეწერა ქართველი მეფის უმწეო მდგომარეობა. შიკრიკს აგრეთვე განუცხადებია, რომ ქართველ მეფეს ჯექინსონისათვის წერილის მიწერაც სურდა, მაგრამ მისი შიკრიკის ჯექინსონამდე უვნებლად მიღწევის იმედი არ ჰქონდა და საიდუმლო საქმის უნებლიედ გა-

<sup>1</sup> Полн. Собр. Русск. Летоп. Арх. Комисс., ტომი XIII, მეორე ნახევარი, 1906 წ. გვ. 391.



მომკლავნების თავიდან ასაცილებლად შიკრიკი სიტყვიერი დავა-  
ლებით გამოგზავნა.

ჯეკინსონი წერს, რომ მანაც შიკრიკს სიტყვიერი დავალება  
მისცა, რათა მეფისათვის გადაეცა მისი რჩევა მოსკოვის მეფესთან  
აუცილებლად ელჩის გაგზავნის შესახებ. მას დაუიმედებია ქართვე-  
ლი მეფე, რომ რუსეთი აუცილებლად დახმარებას აღმოუჩენდა. ჯე-  
კინსონს მიუთითებია რუსეთისაკენ გზაც—ჩერქეზეთზე გადავლით ას-  
ტრახანისაკენ. ჯეკინსონს შემდეგ ერთი თავისი მხლებელის საქარ-  
თველოში გაგზავნაც გადაუწყვეტია, რომელსაც თავისი კომერციუ-  
ლი საქმეების მოგვარებას ავალებდა. ამას გარდა, ქართველი მეფისა-  
თვის დახმარებაც უნდა გაეწია მოსკოვთან კავშირის დასამყარებ-  
ლად. ჯეკინსონის მიერ გაგზავნილ კაცს საქართველომდე ვერ მი-  
ულწყევია და უკან დაბრუნებულა. 16 აპრილს ჯეკინსონი შემახი-  
დან რუსეთში გაემგზავრა.

რადგან ჯეკინსონის ამ ცნობას მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძი-  
რითადი საკითხისათვის, ზედმეტი არ იქნება მისი დღიურის  
ამ ნაწილის ქართული თარგმანი აქვე მოვიტანოთ: „შემახაში ყოფ-  
ნის დროს მე მინახულა ქართველი მეფის მიერ გამოგზავნილმა  
ერთმა სომეხმა, რომელმაც ამ მეფის საშინელი მდგომარეობა აღ-  
წერა—ორი ძლიერი ხელმწიფის და მკაცრი ტირანების—დიდი  
თურქის და სუფის რკალში მომწყვდეული, განუწყვეტლივ ომს  
აწარმოებსო. იგი მევედრებოდა მე ქრისტეს სიყვარულისა-  
თვის, რადგანაც მე ქრისტიანი ვარ, როგორმე გავამხნეო და დავა-  
იმედო და ამ სომხის საშუალებით შევეუთვალო მას რჩევა, როგორ  
გაამგზავროს მან რუსეთის მეფესთან ელჩი, და გამოვთქვა ჩენი  
მოსაზრება იმის შესახებ—დაეხმარება თუ არა მას მეფე. სომეხი  
კიდევ მრავალგზის მთხოვდა განმემართა მეფისათვის (რუსეთის  
მეფისათვის) ის უკიდურესობა, რომელშიაც ქართველი მეფე იმყო-  
ვებოდა. თანაც დასძინა, რომ მეფე (ქართველი მეფე) თვითონ  
მოგწერდათ თავის ზრახვებს, მაგრამ იგი იკვობდა მისი გამოგზავ-  
ნილი კაცის მშვიდობით თქვენთან მოღწევას. მეც მას ზეპირი პა-  
სუხი გავეცი და არა მარტო ვარწმუნებდი მას გაეგზავნა ელჩი რუ-  
სეთში და არ დაექვებულიყო იმაში, რომ მეფე მას პატივით მი-  
იღებდა და დახმარებასაც აღმოუჩენდა, არამედ გზაც მივიასწავლე,  
რომლითაც მას ელჩის გაგზავნა შეეძლო ჩერქეზების ქვეყნის გავ-  
ლით; თემურყვას (ჩერქეზების მთავრის) კეთილგანწყობილებით ესარ-  
გებლა, რომლის ქალიშვილიც დიდი ხანი არ არის რაც (რუსების)  
მეფემ შეირთო. სომეხის გასტუმრების ორი დღის შემდეგ მე გავგ-  
ზავნე... მსახური ედუარდ კლარკი ქალაქ არარაშში, სადაც ყველაზე

მეტი აბრეშუმის შონა შეიძლებოდა და მას დავაველე გზა განეგრძო ზემოხსენებულ საქართველოში და იქ მეფეს დახმარებოდა. ავუხსენი რა ჩემი დავალება და გაეანდე რა მას ჩემი მიზანი—დაითანხმოს ეს მეფე თავისუფლად გაატაროს ჩვენი ვაქრები თავის სამფლობელოში, მე ვუბრძანე მას საქმეების დასრულებისთანავე სწრაფად დაბრუნებულყო. და როცა მივიდა ხსენებულ ქალაქ არაშში, იქ მან რამდენიმე სომეხი ვაქარი ნახა, რომელთაც საქართველოში ერთად გამგზავრება აღუთქვეს. მაგრამ, როცა ისინი საქართველოს საზღვრებამდე მივიდნენ, ერთმა უფროსმა გაიგო რომ იგი (კლარკი) ქრისტიანია და ჰკითხა მას სად მიდიოდა იგი. მაშინ დაინახა რა მან (კლარკმა), რომ გზის გაგრძელება მას არ შეეძლება და რომ დიდი დაეკვება არ გამოეწვია უპასუხა, რომ იგი აქ აბრეშუმის საყიდლად მოვიდა და უჩვენა ჰირკანიის მეფის სიგელები, რომელიც თან ჰქონდა... მოსკოვში ჩასვლის შემდეგ მალე გამოეცხადი მე მეფის უდიდებულესობის წინაშე და მივართვი მას ტანსაცმელი სუფის მიერ ნაჩუქარი. მისი უმალღესობა მესაუბრებოდა იმ ხელმწიფის საქმეებზე, რომელიც მან ჩემს მზრუნველობას მიანდო. მეფემ დიდის კმაყოფილებით მიიღო ცნობა ჩემი მოქმედების შესახებ და მითხრა: მე ვხედავ თქვენს ერთგულ სამსახურს, მადლობას გიხდის და გაჯილდოვებ ამისათვის. მან სურვილი გამოთქვა, რათა მე კიდევ გავმგზავრებულიყავი საქმეებზე და ესარგებლა ჩემი სამსახურით<sup>1</sup>.

მოტანილ ტექსტში ნათლად არ ჩანს მოელაპარაკა თუ არა ჯეკინსონი მოსკოვში ჩასვლის შემდეგ იოანე IV-ს ქართველი მეფის დავალებაზე. ჯეკინსონის დღიურის რუსულ ენაზე მთარგმნელს, აკად. გოტიეს, ჯეკინსონის წინადადება—„მისი უმალღესობა მესაუბრებოდა იმ ხელმწიფის საქმეებზე, რომლებიც მან ჩემს მზრუნველობას მოანდო“—ისე აქვს გააზრებული, რომ თითქოს აქ ქართველი მეფე იგულისხმებოდეს და საამისოდ სქოლიოში განმარტებაა „т. е. грузинского царя“. არავითარი საფუძველი არაა იმისათვის, რომ აქ ქართველ მეფეზე საუბარი ვიგულისხმოთ. სპარსეთში მიმავალ ჯეკინსონს იოანე IV ავალებდა შემახის მფლობელ აბდულა ხანთან რუსეთის სავაქრო საქმეების მოგვარებას. როდესაც ჯეკინსონი სპარსეთში მიემგზავრებოდა, მას თან გამოჰყვა შემახის მფლობელის ელჩი, რომელიც თავის დროზე მოსკოვში იყო გა-

<sup>1</sup> Английские путешественники в Московском государстве в XVI веке. Перевод с английского Ю. В. Готье. 1937 г., гл. 211—212.

გზავნილი<sup>1</sup>. ივანე შრისხანე ჯეკინსონს მადლობას უხდოდა სწორედ იმ დავალების შესრულებისათვის, რომელიც შემახის მფლობელთან ჰქონდა რუსეთის მეფეს. მართლაც, ჯეკინსონმა შემახის მფლობელთან რუსეთის სავაჭრო საქმეები ძალიან კარგად მოაგვარა. რუსეთის მეფის ზრახვები თვით შემახის მფლობელის სურვილებს დაემთხვა ამ შემთხვევაში. რუსი მემატიანე ამის შესახებ წერდა: „А писал ко царю и великому князю Абдулла царь в своих грамотах: чем ему царь и великий князь себе велит служить, и он тем царю и великому князю служити рад; да писал о торговых людех, чтобы царь и великий князь торговым людем велел до рогу отворити и торг бы им велел давати и повольной“<sup>2</sup>. აბდულა ხანის ელჩი ჯეკინსონზე ცოტა მოგვიანებით მივიდა შემახიდან მოსკოვში 1563 წელს (მემატიანის ანგარიშით, 1564 წ. აქ სექტემბრის წელი სხვაობას იძლევა).

ჩვენ. რა თქმა უნდა, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჯეკინსონმა ქართველი მეფის დავალებაც შეასრულა, მაგრამ დღიურში ამას იგი არ აღნიშნავს. ვინ უნდა იყოს ის ქართველი მეფე, რომელიც ჯეკინსონს რჩევა-დარიგებას და რუსეთის მეფესთან შუამდგომლობას თხოვდა?

ჯეკინსონის დღიურის მთარგმნელს აკად. გოტიეს ეს ქართველი მეფე სქოლიოში დასახელებული ჰყავს: „Царь грузии Соломон“. განსვენებული მეცნიერი ცდება; შესაძლებელია მას სვიმონ მეფე უნდოდა დაეწერა და შეცდომით სოლომონი დაასახელა, მაგრამ ქართველი მეფის ასე კატეგორიულად დასახელების საშუალებას არ იძლევა ჯეკინსონის დღიური. ერთგან ჯეკინსონს ისეთი სახით აქვს საქართველო მოხსენებული, რომ თითქოს იგი ამ ტერმინს ქვეშ ქართლის სამეფოს უნდა ჰკულისხმობდეს. იქ, სადაც მას ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარუბანდის კედლის აგების შესახებ აქვს საუბარი, იგი აღნიშნავს: „შემდეგ ალექსანდრემ ააგო კედელი საოცარი სიმაღლისა და სისქის ამ ქალაქიდან (დარუბანდიდან) დაწყებული საქართველომდე და ამ უკანასკნელის მთავარ ქალაქამდე—ტფილისამდეო“<sup>3</sup>. საქართველოს იგი ეძახის „гросио.“ მაგრამ აქ შეიძლება საქართველო შემკრებლობით ცნებით იყოს ნაგულისხმევი და ჯეკინსონს შეიძლება კარგად არც ესმოდა,

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ჯეკინსონის დღიურის რუსული თარგმანი, ხეობსენებული გამოც., გვ. 204.

<sup>2</sup> Полное Собр. Русск. летописей, Изд. Арх. Комиссии. 1910, т. XII, 33-371.

<sup>3</sup> ჯეკინსონის დღიურის რუსული თარგმანი, გვ. 240—241.

რომ საქართველოში რანდენიმე მეფე იყო და მასთან მისული შიკრიკი თბილისის მფლობელი მეფის გამოგზავნილი არ იყო.

ერთი გარემოება თითქოს იმას უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ჯეკინსონის „ქართველი მეფე“ კახეთის მეფე ლევანი უნდა იყოს. ჯეკინსონს აღნიშნული აქვს, რომ, როცა მან ამ ქართველ მეფესთან თავისი კაცის გაგზავნა განიზრახა, მას ამ მეფესთან სავაქრო საქმეების მოგვარებაც დააეალა. ჯეკინსონს და ყველა ინგლისელს, პირველ რიგში, აბრეშუმში აინტერესებდათ და იმ ხანად, როგორც ცნობილია, კახეთი ამ საქონლით მდიდარი იყო. ქართლში აბრეშუმის კულტურა უცნობი არ იყო, მაგრამ აბრეშუმის ექსპორტით ქართლი ცნობილი არ ყოფილა. ჯეკინსონი პირდაპირ საქართველოს აბრეშუმზე არ წერს, მაგრამ მეორე ინგლისელი ვაქარი არტურ ედუარდსი 1566 წლის 26 აპრილით დათარიღებულ წერილში აღნიშნავს, რომ აბრეშუმის შოვნა საქართველოში შეიძლება<sup>1</sup>. მაგრამ აქაც გარკვევით არაა ნაჩვენები თუ საქართველოს რომელი სამეფო აქვს მხედველობაში ავტორს.

1569 წელს დაწერილ წერილში იმავე სავაქრო კომპანიის წევრი ლორენს ჩემპენი აღნიშნავს, რომ მას ქალ. თავრიზში შეხვდა საქართველოს მფლობელის ვაქარი, რომელსაც მოუნდომებია ამ ინგლისელისაგან თავის ბატონის საჭიროებისათვის 100 ნაჭერი ქსოვილის შეძენა; ამ ქართველ მფლობელს ლეონტი ერქვაო. ვაქარს აღუთქვამს, რომ ამ ქსოვილის საფასოდ ის მას გადაუხდინდა ნაწილს ფულით და დანარჩენს აბრეშუმით. შემდეგ წერილის ავტორი გვაუწყებს, რომ ლევან მეფეს საქონელი არ მოეწონა და უკან დააბრუნაო<sup>2</sup>.

ირანის მდგომარეობის გამო შედგენილ შენიშვნებში (1569 — 1574 წ.) ჯეფერ დეკეტი წერს: „შემახა საუკეთესო ქალაქია მთელს მიდიაში; აქ ქვეყნის უმთავრესი საქონელია ნედლი აბრეშუმის, რომელიც დიდი რაოდენობით არის ქალაქში, უკანასკნელ სამი დღის სავალი გზით დაშორებულია შემახადან და რომელსაც ეწოდება არრაში. არრაშიდან სამი დღის სავალზე არის ქვეყანა სახელად „გროზინ“, რომლის მცხოვრებლები ქრისტიანებია. ფიქრობენ, რომ ეს იგივე ხალხია, რომელთაც სხვანაირად გეორგიელებს უწოდებენ. იქ მრავალი აბრეშუმის იყიდება. ამ ქვეყნის მთავარ ქალაქს ზეგამი ეწოდება, საიდანაც ყოველწლიურად სპარსეთში კარგი

<sup>1</sup> Английские путешественники в Московском государстве в XVI в. გვ. 223.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 240.

ხარისხის კაკალი გააქეთ, ის ისეთივე გემრიელი და წას ისეთივე თხელი ნაქუქი აქვს, როგორც ჩვენს ტყის კაკალს და გამოაქეთ იგი ყოველწლიურად 4000 დატვირთული აქლემით<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, აქ ნიშანდობლივ კახეთზეა ლაპარაკი. ინგლისელებს ეს ქვეყანა ირანის ხელქვეითად მიაჩნიათ და ინგლისის დედოფლის წერილში შაჰთამაზი მოხსენებულია საქართველოს მეფედ. ზემოხსენებულ ინგლისელებს, მათ შორის ჯეკინსონსაც აბრეშუმის მქონე საქართველო და მისი „ქართველი მეფის“ სამფლობელო შემახიის მახლობლად წარმოუდგენიათ. კახეთი მართლაც შაჰით შემახასთან იყო დაკავშირებული და მასთან ახლო მდებარეობდა.

ამას თუ იმასაც დაუმატებთ, რომ 1563 წელს ქართველი მეფე ჯეკინსონს რჩევა-დარიგებას სთხოვდა რუსეთის მეფესთან ურთიერთობის დასაწყობებლად, ხოლო 1564 წლის (1565 წელი, ნოემბრის თვით მოხსენებული მატიანეში, უდრის 1564 წელს, რადგანაც აქ წელი სექტემბრიდან იწყება) ნოემბერში ლევან კახთა მეფის ელჩები ბრუნდებიან მოსკოვიდან სამშობლოში, უნდა დავასკვნათ, რომ ჯეკინსონს ქალაქ შემახაში ლევან კახთა მეფისაგან გაგზავნილი სომეხი ვაჭრი უნდა შეხვედროდა.

ლევანის მიერ მოსკოვში 1563 წელს ელჩის გაგზავნას ვახუშტის ცნობების ზემომოტანილი დათარიღებაც მხარს უჭერს (1563 წელი).

იოანე IV-ს დროს რომ უნდა მომხდარიყო ლევან კახთა მეფის ელჩების მოსკოვში მისეღა და გარკვეული ურთიერთობის დამყარება, ამას XVII საუკუნის ერთი რუსული ძეგლიც ცხადყოფს. მიხეილ თედორესძე რომანოვის მიერ თეიმურაზ პირველისადმი 1641 წელს ბოძებულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „Пожаловали есмь и вѣрские земли начальника Теймураза по ево Теймуразсву цареву челобитью . . . потому что изначала грузинские земли цари . . . в послушанье были за много лет у прародителей наших. А принял дед наш блаженныи памяти в. кн. Иван Васильевич под царскую высокую руку грузинского Леонтия царя царева Александра отца во оборону для православныи христианские веры. А после Леонтия царя сын ево Александр царь з детьми Феодору Ивановичю . . . крест целовали, и грамоты докончалныи грузинских царей в нашей царской казне есть многи<sup>2</sup>“.

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს კახეთისა და, სა-

<sup>1</sup> Англиские путешественники в Московском государстве, гл. 255—256.

<sup>2</sup> თავადი მიშეცისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში. მ. პოლივექტოვის გამოც., გვ. 19—20.

ერთოდ, საქართველოს სამეფოთა რუსეთთან პოლიტიკურ დამოკიდებულებაში ჩაბმის შესახებ ცნობები ლევან კახთა მეფის დროიდან ჰქონია და, რაც მთავარია, იგი იოანე IV მრისხანის ხანას უკავშირდება. 1533 წლიდან იოანე IV ითვლებოდა მოსკოვის სამთავროს ტახტზე, მაგრამ მცირეწლოვანობის გამო იგი 1547 წლამდე ფაქტიურად სახელმწიფო საქმეებს არ განაგებდა.

ჩვენ ზემოთ ისეთ ცნობებს მოვეყარეთ თავი, რომლის მიხედვითაც ლევანის მიერ მოსკოვთან კავშირის დამყარება თითქოს 1563 წელზე ადრე არ უნდა ვიგულისხმოთ. ზოგიერთი ცნობების მიხედვით ეს მოსაზრება კიდევ უფრო მისაღები ხდება.

ჯერ კიდევ 1557 წელს მოსკოვში მყოფი ყაბარდოელთა ელჩი „კანკლიჩი“ მოახსენებდა მოსკოვის დიდ მთავარს იოანე IV-ს, რომ ყაბარდოელებთან და ჩერქეზებთან ერთად რუსეთის მფარველობაში შემოსვლა სურთ ივერიის მეფეს და მთელ მის „ქვეყანას“: „Иверской князь и вся земля иверская государю с ним же бяют челом“<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ 1557 წლისთვის „ივერიის მეფეს“ მოსკოვთან უშუალო ურთიერთობა დამყარებული არ აქვს, არც 1558 წელს არის უშუალო ურთიერთობა მოსკოვთან დამყარებული. 1558 წელს პოლონეთის სამეფო კარზე წარვლენილ მოსკოველ ელჩს, ოლფერიევს, დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მოსკოვის მეფე საერთოდ გულშემატკივარი ადამიანია და, როცა ქრისტიან ხალხს რაიმე უბედურება ეწვევა, ისე წუხს, როგორც თავის ხალხზე; ამის გამო, ძაგალითისათვის ოლფერიევს უნდა ეთქვა: „Даа года тому учинилась вестъ государю нашему, что иверскую землю Кизилбаш воевал; и государь наш . . . скорбел и до слез“<sup>2</sup>... რაიმე უშუალო დამოკიდებულება რომ დამყარებული ყოფილიყო ამ დროისათვის მოსკოვსა და „ივერიის ქვეყანას“ შორის, საფიქრებელია, აქ ეს დამოკიდებულება აღნიშნული იქნებოდა.

იოანე მეოთხის დროს მოსკოვ-კახეთს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარება საერთო ისტორიული პირობების გათვალისწინებითაც დამაჯერებელი ხდება. მოსკოვ-კახეთის ურთიერთობისათვის და ისიც ისეთი ურთიერთობისათვის, როგორცაა ჯარით დახმარება, საქმარისი არ არის მარტო კახეთის შევიწროებული მდგომარეობის ფაქტის არსებობა. მოსკოვის ინტერესები ძირითადია კახეთთან მოსკოვის მხრივ რაიმე პოლიტიკური აქტის გაფორმების დროს. ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ იოანე IV ქრისტიანული

<sup>1</sup> Белокуров. Сношения России с Кавказом, гл. IV.

<sup>2</sup> იქვე.

კაცთმოყვარეობის პრინციპით იმოქმედებდა და მისი პოლიტიკის გამოსავალი წერტილი სარწმუნოება იყო. რა თქმა უნდა, ქრისტიანობას მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ გამოსავალი წერტილი მოსკოვის სახელმწიფოს ინტერესები უნდა ყოფილიყო, როგორც საერთოდ ყველა სალი პოლიტიკოსისათვის საკუთარი ქვეყნის ინტერესი.

ამდენად, საჭიროა გაირკვეს, თუ რა ინტერესები ამოძრავებდა მოსკოვს კავკასიისაკენ. როცა იოანე IV სახელმწიფოს მართვა-გამგეობას შეუდგა, მოსკოვი სახელმწიფო გზების მხრივ მეტისმეტად მძიმე პირობებში იყო. ვოლგა მონგოლთა სახანოების ხელში იყო, ჩრდილოეთით—ყაზანის, ხოლო სამხრეთით—ასტრახანის სახანო მდებარეობდა, კასპიის ზღვის გზა დახშული იყო. შავი და აზოვის ზღვებზე ყირიმის სახანო კეტავდა გზას, ბალტიის ზღვა ე. წ. ლივონიის კავშირის ხელთ იყო და გასავალი თავისუფალი არ იყო. დარჩენილი იყო ერთადერთი-თეთრი ზღვა, მაგრამ მაშინდელ პირობებში ამ ზღვით დასავლეთთან კავშირის დამყარება ძალიან შეზღუდული იყო.

ასეთ პირობებში დარჩენა მოსკოვის სახელმწიფოსათვის შეუძლებელი იყო. ინგლისური სავაჭრო კომპანიის გამოჩენამ მოსკოვში გზების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახადა, თუმცა ეს პრობლემა ისედაც დღის წესრიგში ედგათ მოსკოველ პოლიტიკოსებს. იოანე IV პირველ რიგში ვოლგის პრობლემის გადაჭრას შეუდგა და 1552-1556 წლებისათვის ყაზანისა და ასტრახანის სახანოების არსებობას ბოლო მოუღო, მოსკოვი კასპიის ზღვას მიაღწა.

ახლა გადასაჭრელი იყო ბალტიის ზღვის პრობლემა, რისთვისაც 1558 წლიდან იწყება ცნობილი ლივონიის ომი.

მაგრამ აქ საქმე გართულდა; ამ ომში ლიტვა-პოლონეთი და შვედეთი რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედდნენ. სწორედ ამ დროს გამოიჩინა, რომ ყირიმის სახანო, თურქეთის მოთხოვნით, ასე ადვილად ვერ ურიგდებოდა მოსკოვის დამკვიდრებას ვოლგასა და კასპიის ზღვაზე და მან ბრძოლისათვის მზადება დაიწყო. იგი დაუკავშირდა შამხალს. მოსკოვმა სცადა შამხალეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ეს უშედეგო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დაღესტნელები კარგად ერკვეოდნენ საერთო ვითარებაში და რუსეთის პოლიტიკა მათთვის გაუგებარი არ დარჩენილა. მათ მშვენივრად დაინახეს, რომ რუსეთთან მეგობრობამ ბოლოს ასტრახანისა და ყაზანის სახანოები იმსხვერპლა.

1560 წელს რუსეთის რაზმები, ყაბარდოელებთან ერთად, შამხალის წინააღმდეგაც ლაშქრობენ<sup>1</sup>. ყირიმისა და შამხალის წინააღმდეგ ფართო შეტევითი გეგმების დასახეა და მისი რეალიზაცია რუსეთისათვის საშიში იყო. იგი მაშინ უშუალოდ თურქეთს უნდა დაჯახებოდა. ამიტომაც ასტრახანის დაპყრობის შემდეგ მოსკოვის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში კვლავ სამხრეთისაკენ წინ წამოწევა არ იდგა. მოსკოვი აქეთ უკვე მოპოვებული გამარჯვების განმტკიცებას ცდილობდა მხოლოდ და თავდაცვაზე იყო გადასული. ამ დროისათვის (1561 წელს) იოანე IV ჩერქეზთა ბატონის ასულს ირთავს ცოლად. შესაძლებელია, რომ ეს ქორწინება სამხრეთით წარმოებულმა პოლიტიკამ დააჩქარა კიდევ.

ყირიმ-დაღესტნის რკალის გარღვევა მოსკოვმა ჩერქეზების მიმხრობით სცადა, აქ დასაყრდენი შექმნა.

მოსკოვმა სამხრეთით ადგილობრივი წვრილი პოლიტიკური ერთეულების ყირიმ-თურქეთის წინააღმდეგ ამოძრავება მოინდომა. ამით სამხრეთით მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებასა და ჩრდილო-დასავლეთით ხელგახსნილად მოქმედებას ფიქრობდა და ამ პირობებში მყოფი თვითმპყრობელობა თვითონ ეძებდა სამხრეთით მეგობრებს; თუკი ვინმე მეგობრობას თავისი ინიციატივით სთავაზობდა, იგი თავის ახლად დაპყრობილი ადგილების შენარჩუნებისათვის ზრუნეას რუსეთის მეგობრობის მონატრულ პოლიტიკურ ერთეულებთან მფარველობად ასალებდა და მათ ერთგულების „წიგნზე“ ხელის მოწერას თხოვდა.

რუსეთის ზემოთ აღწერილი ვითარების გათვალისწინება ჩვენთვის თვით ქართველი პოლიტიკოსების მიერ გადადგმულ ნაბიჯებსაც გაგვირკვევს. მოსკოვთან დამოკიდებულების დამყარების გეგმებს ილუზიების მიხედვით არც ქართველები ადგენდნენ.

სარულიადაც შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომელსაც ინგლისელი ვაჭარი ჯეკინსონი აგვიწერს. როგორც დავინახეთ, ქართველი მეფე წინასწარ ცნობებს კრებს—ექნება თუ არა აზრი მოსკოვს მიმართოს დახმარებისათვის. ჩანს, რომ რუსეთის ინტერესებს წინასწარ ითვალისწინებდნენ. ჯეკინსონს თხოვენ, რომ მოსკოვის მთავარს შთაავაზონს ქართველი მეფისათვის დახმარების აღმოჩენის მიზანშეწონილება. მარტო სარწმუნოებრივი ერთობა რომ საქმეს არ გადაწყვეტს, აქ ეს კარგად იციან და ამიტომ ჯეკინსონს, როგორც კომერსანტს, სხვა მხრივ ეოლაპარაკებასაც თხოვენ, თორემ

<sup>1</sup> Белокуров. დასახ. ნაშრ. გვ. L.



უცხოელი ჯეკინსონის ამ საქმეში ჩარევა ქართველებს აზრადაც არ მოუვიდოდათ.

მაშასადამე, საქართველოში მოსკოვთან გარკვეული ურთიერთობის დასამყარებლად ელჩის გაგზავნა მარტივად არ გადაუწყვეტიათ. მოსკოვიდან დახმარების მიღებაზე ფიქრი აქ მანამ არ შეიძლება გადაეწყუთ, სანამ რეალურად არ წარმოუდგებოდათ ეს საქმე.

ამის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, უარყოფით „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელებაში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ადგილი ჰქონდა მოსკოვ-კახეთის ისეთ დაახლოებას, რომ მცირეწლოვან ლევანს ტახტის დასაპყრობად ვასილ III მ ლაშქარი ნოაშველა. ეს ცნობა სანდო არ არის, ესეთ ფაქტს მაშინ არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა.

ვახუშტ ბაგრატიონს ალბათ კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ მოსკოვის მიერ ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობის შემდეგ იყო შესაძლებელი მოსკოვ-კახეთის ისეთი დაახლოება, რომ რუსეთის რაზმი კახეთში მოსულიყო დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომაც, რომ ვახუშტი არ კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ რუსი მეციხოვნენი კახეთში გამოიგზავნა. იგი ამ საინტერესო ცნობას ასე იწყებს: „ოდეს დაიპყრო მეფემან იოანე ყაზანი და აშტრახანი და თერგი... ამან ლევან წარუვლჩინა და თხოვა სპა მისი და სხვა...“

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა რუსეთის რაზმის კახეთის ციხეებში ჩაყენების შესახებ რომ მართალი უნდა იყოს და ამის შესახებ კახეთის ძეგლებში სათანადო ამბავი დაცული ყოფილა, ეს XVIII საუკუნის ერთი ქართული საბუთიდანაც ცხადი ხდება.

მოსკოვის ცენტრალური არქივის ფეოდალური ხანის აქტსაცავში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მასალებზე მუშაობის დროს 1936 წელს ჩვენ ერთი საყურადღებო საბუთი ვიპოვეთ. საბუთი XVIII საუკუნისაა და იგი უშუალოდ დაკავშირებულია ათანასე თბილელ მიტროპოლიტისა და სვიმონ მაყაშვილის იმ ელჩობასთან, რომელიც თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს დავალებით მოეწყო რუსეთში. ამ ელჩობის შესახებ არქივში დაცულია საქმე. რომელიც იწყება 1752 წელს და დასრულებულა 1757 წელს. ხსენებული საქმიდან ყველა საბუთი გადმოწერილია და უკვე გამოცემულია<sup>1</sup>.

ამ საბუთებს შორის მოიპოვება კახთა მეფის ერეკლე II-ის ელჩის სვიმონ მაყაშვილის მოხსენება, რომელიც მას 1753 წ. რუსეთის

<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, VI, 1952 წ., თბილისი. საქართველოს საარქივო სამართველო, გვ. 85—176.

მაშინდელი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელ ბესტუევე-რიუმინისათვის მიუერთებია. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მან და ათანასე თბილელმა ქართველი მეფეების წერილები უკვე ჩააბარეს უმაღლეს კარს. ამ წერილებს გარდაო, წერს სვ. მაყაშვილი, „ზეპირათ ნაბრძანები მაქვს ჩვენის მეფეებისაგან, ზეპირათ რომ თქვენის გრაფის დიდებულებას... მოვახსენო თქვენის დიდებულებას მოეხსენება შაბაზის ყენის დროს, როდესაც ის ძლიერი იყო, მაშინ კახეთის მეფეს ლევანის ვედრებით რუსეთის კელმწიფისაგან ალექსი თევდორესადისაგან მოსაკმარებელი ჯარი მისცა და შვიდი წელიწადი კახეთში იყო“<sup>1</sup>.

სვიმონ მაყაშვილს, როგორც ჩანს, დიპლომატიისათვის საჭირო განათლება არ ჰქონია. იგივე არ შეიძლება ითქვას ათანასე ტფილელზე. სვიმონის რამდენიმე მოხსენება არის აღნიშნულ საქმეში დაცული და მას, როგორც ჩანს, აზრის წერილობით გამოთქმა უჭირდა, ხელიც მეტისმეტად გაუმართავი ჰქონია. სვიმონის ამ ელჩობაში მონაწილეობის შესახებ წერილი ჩვენ კიდევ დავებქდეთ და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ<sup>2</sup>. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ერეკლე II-სა და თეიმურაზის ერთგული ადამიანი ყოფილა, თუმცა მისი გამოუცდელობით საქმე ისე წაუყვანია, რომ ქართველმა მეფეებმა რუსეთის სამეფო კარზე მას უნდობლობა გამოუცხადეს და საქმე, მათდაუნებურად, მთლიანად ათანასე თბილელს დააკისრეს, იმ ათანასეს, რომელიც თეიმურაზისა და ერეკლეს სასარგებლოდ საქმის გაკეთებას რუსეთში გაუბოდა.

სვიმონ მაყაშვილის მოღვაწეობიდან აღნიშნულ მომენტებზე მკითხველის ყურადღებას იმიტომ ვაჩერებთ, რომ ზემოთ მოტანილი ამონაწერი მისი წერილიდან ჩვენთვის სავსებით გასაგები გახდეს.

როგორც მკითხველი შენიშნავდა, სვიმონის ცნობა სავსებით არეულია: ლევან კახთა მეფე შაჰ აბაზის დროს არ ცხოვრობდა. იგი აბას I-ის დროს დიდი ხნის მკვდარი იყო. რუსეთში ალექსი თევდორეს ძე მეფედ არასოდეს არ ყოფილა. მართალია, რუსეთში ალექსი მიხეილის ძე მეფობდა 1645—1676 წლამდე, მაგრამ მაშინ აბას I ცოცხალი არ ყოფილა. მიუხედავად ასეთი შეუსაბამობისა, სვიმონ მაყაშვილის ზემოთ მოტანილი სტრიქონებიდან საინტერესო ცნობების ამოკრება შეიძლება.

<sup>1</sup> საისტორიო მოამბე, VI, 1952 წ., გვ. 148.

<sup>2</sup> იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, IV, 1942.

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სვიმონ მაყაშვილს ქართველი მეფეები ავალებენ რუსეთის მეფის ელისაბედ I-ის მთავრობისაგან მაშველი ჯარისა და დახმარების გამოთხოვას. ამისათვის ქართველ მეფეებს, სხვათა შორის, XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან ჯარით დახმარების ანალოგიური მაგალითის მოყვანა დაუვალეზიათ მოსკოვში გაგზავნილი ელჩისათვის.

ამ დროს ვახუშტი ბაგრატიონს თავისი თხზულება დამთავრებული ჰქონდა, და შეიძლება ვიფიქროთ, რომ, რაკი ქართველი ელჩები, სვიმონი და ათანასე, მოსკოვში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ და ვახტანგის დროის ქართველ ემიგრანტებს შორის ტრიალებდნენ, ლევან კახთა მეფის დროის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ ცნობა მათი ვახუშტის თხზულებიდან ამოეკითხოთ.

მაგრამ სვიმონ მაყაშვილი თავის მოხსენებითს ბარათში აღნიშნავს, რომ ლევანის დროის ამბავის მოთხრობა ქართველმა მეფეებმა—თეიმურაზმა და ერეკლემ დამავალესო.

ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვიმონ მაყაშვილი მოსკოვში ქართველ ემიგრანტთა წრეებიდან სრულიად გარიყული აღმოჩნდა. ქართლის სამეფოს წინანდელი მფლობელები კახთა ბაგრატიონებს, თეიმურაზ და ერეკლეს, მტრული თვალით უცქეროდნენ და ამიტომაც მათი ერთგული სვიმონ მაყაშვილი მოსკოველმა ქართველებმა ცივად მიიღეს<sup>1</sup>. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის გადაკითხვის ინტერესიც რომ ჰქონოდა სვიმონ მაყაშვილს, იგი მისთვის შეიძლებოდა არც ეჩვენებინათ.

ამიტომ საფიქრებელია, რომ XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში გარკვეული წყარო ჰქონდათ, რომელშიც ლევან კახთა მეფისა და მოსკოვის მეფის ურთიერთობის შესახებ ცნობა ყოფილა დაცული.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის შემოწმების შენდევ ჩვენ საშუალება გვაქვს დავასკვნათ: XVIII საუკუნეში „ქართლის ცხოვრების“ მეორე „გაგრძელების“ ავტორი და ვახუშტი ბატონიშვილი ერთი და იმავე ძეგლიდან იღებენ ცნობას კახეთისა და მოსკოვის XVI საუკუნის ურთიერთობის შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელების ტექსტიდან და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან ცხადი ხდება, რომ მათ საერთო წყაროში ლევანისა და იოანე IV ურთიერთობის შესახებ ცნობა დათარიღებული არ ყოფილა. ამი-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი—„ახალი ცნობები ქართლის ისტორიისათვის“, მასალები საქართველ. და კავკ. ისტ., ნაკვ. VI, 1942.

ტომ ქართლის ცხოვრების მეორე „გაგრძელების“ ავტორი ანაქრონიზში ვარდება, ცნობას ამახინჯებს და XVI საუკუნის სამოციან წლებში მომხდარი ამბავი მას იმავე საუკუნის პირველ მეოთხედში გადააქვს, რადგანაც, მისი აზრით, რუსეთის რაზმები ლევანს ყველაზე უფრო გამეფებისას ესაჭიროებოდა. მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „გაგრძელების“ ავტორი ამ შემთხვევაშიც იცავს თავისი წყაროს ძველ (XVI საუკუნის) ენასა და ტერმინებს. მაგალითად, სიტყვები: „მეყვისი“, „აუწყეს მეფეს დავითს ყრმისა მისთვის ლევანისა, რომელ აღორძინებულ არს,“ „მოვლეს რომელიმე კახეთის კერძონი“ და სხვა, დედნის ენის უცვლელად დატოვებაზე უნდა მიგვიტოვებდეს<sup>1</sup>. მოსკოვის დიდი მთავრის XVI საუკუნის რუსული ტერმინით „კნიაზად“ მოხსენება აგრეთვე ამის დამადასტურებელია.

მაშასადამე, რუსული და ქართული ცნობების თავმოყრით ჩვენ შეგვიძლია ლევან კახთა მეფის დროს მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ფაქტი დადგენილად წივიჩნიოთ. მაგრამ ახლა თვით ეს მოვლენა არის ასახსნელი, თუ რაოდენ მტკიცე იყო ეს ურთიერთობა და რა საფუძველზე იყო იგი დამყარებული?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიონს აქეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ რუსეთში სათანადო ცნობები უნდა ჰქონოდათ, სხვაობად ერთი მეომარიც კი არ შეიძლებოდა კახეთში გაეგზავნათ. მაგრამ საინტერესოა, როდის დაიწყო მოსკოვმა ცნობების შეკრება კავკასიის შესახებ? რა თქმა უნდა, ამიერკავკასიისა და, საერთოდ, კავკასიის შესახებ ინფორმაციის შეგროვების გაცხოველებას იმის შემდეგ უნდა ჰქონოდა ადგილი რუსეთში, როცა მოსკოვის საზღვრები კავკასიონს მოუახლოვდა, ე. ი. ასტრახანის აღების დროიდან (1556 წ.).

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარის რუსეთში საქართველოს სამეფოების შესახებ ყველაფერი მივიწყებული ჰქონდათ. 1527 და 1526 წლებში რუსეთში ნამყოფი ბარონი გერბერშტეინი თავის თხზულებაში, რომელიც მას მოსკოვის სახელმწიფო აღწერილობისათვის დაუთმია, დასავლეთ საქართველოს შესახებ იძლევა ცნობებს. როგორც ჩანს, ეს ცნობები გერბერშტეინს რუსეთში თვითონ რუსებისაგან მიუღია. აქ პირველ რიგში მოხსენებულია აფხაზები (Aphgasi), შემდეგ ჩერქე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორის ამ დამახასიათებელი თვისების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის ძველი ქართ. საისტ. მწერლ., 1916 წ., გვ. 316—317.

ზები ანუ ჯიქები. ამ უკანასკნელების შესახებ ავტორი შენიშნავს, რომ რუსების გადმოცემით ისინი ქრისტიანები არიან. ამასთან გერბერშტეინისათვის ისიც უთქვამთ, რომ მღვდელთმსახურება ჩერქეზებს სლავურ ენაზე აქვთ და ამავე ენაზე ლაპარაკობენო. როგორც ჩანს, ამ ცნობის მიმწოდებელი ან განზრახ აწვდის ასეთ ყალბ ცნობას, ანდა იქნებ ასეთი ცნობა არსებობდა იმდროინდელ რუსეთში. ამჟამად ძნელია იმის გამორკვევა, თუ რაზე იყო დამყარებული ეს ცნობა.

შემდეგ ავტორი იხსენიებს სამეგრელოს (Mingrelia) და მდინარე „ერაკლელას“. ამ მდინარეს იქეთ იგი ასახელებს ქუთაისს (Cotatis) და შენიშნავს, რომ ზოგიერთები მას კოლხიდად თვლიანო. შემდეგ იხსენიებს მდინარე ფაზისს და მის შესართავთან კუნძულს<sup>1</sup>.

აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ მას ცნობები არ აქვს და იგი მხოლოდ იმით დაკმაყოფილებულა, რომ დონიდან შემახამდე სავალი გზის სიგრძე აღუწერია. ჩანს, რომ თვით გერბერშტეინს არ აინტერესებდა გამოეკითხა და თავის თხზულებაში შეეტანა ირანისა და აღმ. კავკასიის ამბები.

ორმოცდაათიანი წლებიდან სურათი უფრო ნათელია. რუსული მატეანის ცნობით, მოსკოვის სამთავროს კარზე 1558 წლისათვის ჩერქეზთა მთავრები არა მარტო სტუმრად, არამედ იოანე IV-ის ლაშქრის შემადგენლობაშიც შედიან<sup>2</sup>. იმავე ჩერქეზთა წარმომადგენლების მეშვეობით მოსკოვის მეფე იოანე IV ცნობას ლებულობს, რომ რუსეთისაგან მფარველობას ქართველებიც ითხოვენო.

საყურადღებოა, რომ 1558 წლის დასაწყისში პოლონეთის მეფესთან გაგზავნილ რუს ელჩს ოლფერიევს ევალება პოლონეთის სამეფო კარზე, სხვათა შორის, განაცხადოს, რომ იოანე IV-მ ორი წლის წინათ გაიგო, რომ სპარსეთმა ივერიის ქვეყანა დაიპყრო და ამის გამო დიდად შეწუხებული იყოო<sup>3</sup>. მაშასადამე, აქ ჩვენ საქართველოში 1555—6 წლებში მომხდარ ამბებზე მიგვითითებენ. კონკრეტულად არ ვიცით, რომელი ამბავი მივიდა მოსკოვში, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აქ ირანის შესახებაა ლაპარაკი და რომ რუსი დიპლომატები დაახლოებით 1555-6 წლებზე მიუთითებენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ მხედველობაში აქვთ შაჰ-თამაზის მეოთხე ლაშქრობა, რომელიც

<sup>1</sup> Барон П'ербершгейн. Записки о Москве, 1836, гл. 153.

<sup>2</sup> Белоуоров. Сношения России с Кавказом, гл. XLIII.

<sup>3</sup> იქვე, გვ. LIV.

1554 წელს დაიწყო და კარგა ხანს გრძელდებოდა. ამ ბრძოლებში 1557 წელს ლუარსაბ მეფეც დაიღუპა. თბილისი სპარსელებს ჰქონდათ დაკავებული. საფიქრებელია, რომ ასეთი ცნობები ამ წლებში ჩერქეზების გზით აღწევს რუსეთში. რაც მთავარია, იმ დროს რუსეთი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თურქეთ-ირანის დაპყრობებს, იგი ამ ცნობებით უშუალოდ დაინტერესებული მხარეა.

ვოლგის გზის ხელში ჩაგდება რუსეთისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. საკირო იყო ირანთან დასაკავშირებელი გზების ხელში ჩაგდება თუ არა, უშიშროების დაცვა მაინც. ირანთან სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას მოსკოვისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის ორმოცდაათიანი წლიდან არხანგელსკით და თეთრი ზღვით მოსკოვი ინგლისს დაუკავშირდა უშუალოდ. მოსკოვის სახელმწიფო ევროპისა და აზიის სატრანზიტო გზის ცენტრში ექცეოდა. ეს გარემოება რუსეთს აიძულებდა ბალტიის ზღვისაკენ უშუალოდ გასავალი ეძია<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში რუსეთის სამხრეთით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი თურქეთ-ირანის საკითხი იყო. რუსეთში ამ დროს კავკასიის მთიელთა სამფლობელოებში არსებულ ურთიერთწინააღმდეგობათა შესახებ ცნობები უკვე მიღებული ჰქონდათ და თავიანთი დასაყრდენი პოლიტიკური ერთეულებიც შერჩეული ჰყავდათ.

XVI საუკუნის ჩრდილო კავკასიაში ადგილობრივი ძალების ამოქეცდება თურქეთის დასაყრდენი ყირიმ-დაღესტნის წინააღმდეგ რუსეთისათვის დამახასიათებელი პოლიტიკა იყო.

მაგრამ საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს რუსეთი მხოლოდ სხვისი ხელით ნარის გლეჯას ფიქრობდა, მართებული არ იქნებოდა. პრინციპულად, რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკის მომხრე იყო რუსეთი და ყველა იმდროის სალი პოლიტიკოსიც ამ გზას დაადგებოდა, თუკი იგი მოსახერხებელი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო მთელი თავისი იმედები აქაურ სუსტი სამთავროების ძალებზე დაემყარებინა. მარტო ადგილობრივი ძალები საქმეს ვერ გადასწყვეტდნენ და ამიტომაც რუსეთიდან ძალების მოშველიებაც აუცილებელი იყო.

ამ პირობებში უნდა წარმოვიდგინოთ მოსკოვ-კახეთის ის ურთიერთობა, რომელზეც ჩვენ ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის ცნობას.

<sup>1</sup> М. Полневков. Экономические и политические разведки московск. госуд. в. XVII в. 1932. гл. 7.

რუსეთი ასეთ საქმეებს ყოველთვის სათანადო ხელშეკრულებით აფორმებდა, გარკვეულ იურიდიულ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას ჩამოაყალიბებდა ადგილობრივ ხელისუფლებთან და შემდეგ, საერთო პოლიტიკური ამინდის შერჩევით, საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. ამის უტყუარი ცნობები მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის დროს, XVI საუკუნის მიწურულსათვის, მრავლად გვაქვს დაცული.

რაც შეეხება ლევან მეფის დროს მოსკოვთან კახეთის დამოკიდებულების ხასიათს, უნდა ვთქვათ, რომ იგი ჩვენთვის სავსებით ნათელი არ არის. დანამდვილებით არ ვიცით გააფორმა თუ არა მოსკოვმა ლევანთან ის ცნობილი ფიცის წიგნი, რომელზედაც შენდევ, 1587 წლიდან მოკიდებული, ხელს აწერდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე და მისი შთამომავალი.

საერთო მტრის წინააღმდეგ ორი სახელმწიფოს შეთანხმება და მოქმედება, თითქოს, სრულებით სავალდებულოდ არ უნდა ხდიდეს ერთი მათგანის ვასალურ დამოკიდებულებაში მოქცევას. რუსეთს არაერთხელ ჰქონია მოლაპარაკება ირანთან და ევროპის სახელმწიფოებთან თურქეთის წინააღმდეგ ერთად მოქმედების შესახებ მაგრამ მათთვის რუსეთს ვასალურ დამოკიდებულება არ მოუთხოვია. მათთან რუსეთის ხელისუფლება მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც თანასწორთან, და საერთო ინტერესების გამო ერთად მოქმედებას ითხოვდა.

მცირე პოლიტიკურ ერთეულებთან რუსეთის დიპლომატიას სხვა ხასიათის ურთიერთობა აქვს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ორივეს საერთო მტერი ჰყავთ და ამ მოლაპარაკების ძირითადი მიზანი საერთო მტრის წინააღმდეგ გალაშქრების მოწყობაა. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, მოსკოვისა და კახეთის ურთიერთობის დროს რატომ იყო სავალდებულო კახეთისათვის ფიცის წიგნზე ხელის მოწერა. ნუთუ მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს, ამ უკანასკნელის „ფიცის წიგნის“ გარეშე, არ შეეძლოთ შამხალის ბატონის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების წარმოება?

ერთი მხრივ, შესაძლებელია დავუშვათ, რომ აქ რუსეთს პირველ ყოვლისა ერთად მოქმედების გარანტიის საკითხი ამოძრავებდა. ასეთი შესაძლებლობის დაშვება მართებული უნდა იყოს, რაკი ხელქვეითი პოლიტიკური ერთეული მარტო ერთ შემთხვევაში კი არა, არამედ ყოველთვის სიუზერენის ინტერესების შესაბამისად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო.

მაგრამ, ამას გარდა, შეეძლო არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის ვასალურ დამოკიდებუ-

ლებაში მოქცევის შემდეგ მოსკოვის მეფის შორეული მიზანი ამ ქვეყნის შემოერთებაც იყო.

რუსეთის მთავრებისათვის ეს საკმაოდ ნაცადი პოლიტიკა იყო, მაგრამ ასეთი პოლიტიკის წარმოება წინასწარ იმ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და საერთაშორისო დამოკიდებულების შესწავლას მოითხოვდა, რომელიც მისთვის საჭირო ჩანდა. რაკი თვითმპყრობელობისათვის ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის უმწეო მდგომარეობა ნათელი იყო, ხოლო ეს ქვეყანა თუ რუსეთის სახელმწიფოებრივი გეგმების რეალიზაციისათვის გამოსადეგი ჩანდა, იწყებოდა მასთან მოლაპარაკება „ფიცის წიგნზე“ ხელის მოსაწერად.

რას წარმოადგენს რუსული მფარველობითი წყალობის სიგელი, როგორც იურიდიული ძეგლი? წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ XVI—XVII საუკუნეების რუსეთში მფარველობითი წყალობის სიგლის ბოძების გარკვეული წესი არსებობდა. ეს წესი, რა თქმა უნდა, ამ საუკუნეში შემუშავებული არ არის, იგი წინა საუკუნეებში მუშავდებოდა. XVI საუკუნეში ეს წესი საბოლოოდ ჩამოყალიბებულია და XVII საუკუნეში იგი უცვლელად იყო გამოყენებული. იგი გულისხმობს: სანამ მფარველობითი წყალობის სიგელი მიეცემოდეს რუსეთის მფარველობის მოსურნე პოლიტიკურ ერთეულს, საჭიროა ამ პოლიტიკურმა ერთეულმა რუსეთში წინასწარ შედგენილი ერთგულების „ფიცის წიგნზე“ ხელი მოაწეროს და ფიცის სათანადო რიტუალი შეასრულოს იმ სარწმუნოების მიხედვით, რომელსაც მფარველობის მოსურნე აღიარებს, ასეთ საბუთს რუსები „Крестоцеловальная запись“ უწოდებდნენ. მაჰმადიანი პოლიტიკური ხელისუფალის ფიცის წიგნს „шертная грамота“ ეწოდებოდა. თვით აქტს რუსები ასე ეძახდნენ: „правду дал, крест целовал“. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ხელმოწერილი „ფიცის წიგნი“ მზად იყო, რუსეთის ელჩების თანდასწრებით დაფიცების წესი ჩატარდებოდა და ყოველივე ეს მოსკოვში მიუვიდოდა რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს, დაიწერებოდა მფარველობითი წყალობის სიგელი „Жалованная грамота“<sup>1</sup>. მაშასადამე, რუსეთის იმ დროის ხელისუფლება ე. წ. მფარველობითი დამოკიდებულების პოლიტიკურ ურთიერთობას ორი იურიდიული საბუთის გაფორმებით ახდენდა. ამ ტიპის საბუთების წარმოშობის ისტორია

<sup>1</sup> ამ წესების შესახებ იხ. მ. პოლიევკოვის წერილი Состав документов дипломат. снош. России с Грузией (XVI—XVII). Делопроизводственный генезис. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XI, გვ. 83—103.



გაგვიადვილებს იმის გაგებას, თუ რა დამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა რუსეთის მაშინდელი ხელისუფლება ზისი მფარველობის მოსურნე პოლიტიკურ ხელისუფალთან.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი დოკუმენტური ისტორიული ძეგლი გარკვეული ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიქმნება. დოკუმენტის ან საბუთის აღნაგობა და ფორმა ამ ურთიერთობის პრაქტიკულ საფუძველზე აღმოცენებული. მართალია, ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში მსგავსი ან ერთი და იმავე სოციალური მოვლენის არსებობის საფუძველზე დოკუმენტის მზა ფორმის ერთიმეორისაგან სესხებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ დოკუმენტის სახეობის წარმოშობის დადგენის დროს, პირველყოელისა, სოციალურ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება, იგი უნდა იქნეს მიჩნეული ამოსავალ წერტილად, მის შემდეგ კი საბუთის ფორმის სადაჯეროება შეიძლება დაეადგინოთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამორიცხული არაა ერთმა და იმავე სოციალურმა პირობებმა სხვადასხვა ხალხის ისტორიაში, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, მსგავსი დოკუმენტები წარმოშვას. ზემოთ მოტანილ პირობათა გათვალისწინების შემდეგ ბუნებრივია საკითხი დაისვას, თუ რა საფუძველზე და როდის უნდა წარმოშობილიყო რუსული „Крестоцеловальная запись“ და „Жалованная грамота“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტურ ძეგლად გვევლინება.

ერთ-ერთი ამათგანის წარმოშობის შესახებ პროფ. მ. პოლიევქტოვის გაკვრით ასეთი მოსაზრება აქვს გამოთქმული: „Грузинские крестоцеловальные записи ведут свое начало, очевидно, от договорных грамот московских князей удельного периода. Посредствующее звено между теми и другими шертные записи различных мусульманских владетелей“<sup>1</sup>. განსვენებული მკვლევარი მიზნად არ ისახავდა თავის პატარა, მაგრამ უაღრესად საყურადღებო წერილში საბუთების წარმოშობის ისტორია მოეცა და ამდენად საჭიროდ არ მიუჩნევია თავისი მოსაზრება სათანადოდ დაესაბუთებინა. ამიტომ ჩემთვის სავსებით ნათელი არაა თუ რა საბუთები გააჩნდა მას, როცა იგი ასეთ მოსაზრებას აყენებდა.

<sup>1</sup> თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XI, გვ. 94. ამ საკითხის შესახებ სხვა ავტორთა მოსაზრებას მე არსად არ შევხვედრებივარ. როგორც პროფ. პოლიევქტოვის დასახელებული წერილიდან ჩანს, ეს საკითხი და რუსული დიპლომატიის საქმის წარმოებისა და საერთოდ დიპლომატიკის საკითხების შესწავლის საქმე ჯერ კიდევ სასურველად მოგვარებული ვერ არის, იხ. იქვე, გვ. 93.

საფიქრებელია მხოლოდ, რომ განსვენებულ მკვლევარს ალბათ მხედველობაში ჰქონდა რუს მთავართა შორის დადებულ ხელშეკრულებათა გაწვევნილი აღნაგობა.

რუსული საბუთების გაცნობამ ამ სტრიქონების ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ XVI და XVII საუკუნეებში ქართველ მეფეთა მიერ ხელმოწერილი რუსული „ფიცის წიგნი“ არ შეიძლება წარმოშობილი იყოს ე. წ. „საუფლისწულოების პერიოდის რუს მთავართა ურთიერთ შორის დადებული ხელშეკრულებებიდან, მათ შორის დიდი განსხვავებაა. რუსული სამთავართაშორისო ხელშეკრულებანი წარმოშობილია მთავართა შორის არსებული თანასწორუფლებიანობის პირობებში, „ფიცის წიგნი“ კი სხვა ურთიერთობისა და უფლების პირობებში. რაც მთავარია, „ფიცის წიგნები“ რუსეთში საქართველოსთან ურთიერთობის დასამყარებლად საგანგებოდ კი არ შემუშავებულა, არამედ იგი არა უგვიანეს XV საუკუნის მეორე ნახევარისა, რუსეთის შინა სოციალური ცხოვრების განვითარების საფუძველზე, ჯერ თვით რუსეთის შინა პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად შემუშავდა და შემდეგ, უკვე მზა ფორმა სათანადო სოციალური შინაარსის მქონე, გამოყენებულ იქნა ქართულ სამეფოებთან ურთიერთობის დროს.

ასეთივე წარმოშობის არის ე. წ. „Шертная записка“-ი. იგი „შუალედი რგოლი“ არ უნდა იყოს სამთავართაშორისო ხელშეკრულებებსა და ფიცის წიგნებს შორის. „Крестоцеловальная записка“ და „шертная записка“ ერთი წარმოშობის უნდა იყოს; მათ ორივეს ერთი საწყისი აქვთ, მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთი ქრისტიანული პოლიტიკურ ერთეულისადმი გამიზნული, მეორე კი მაჰმადიანურისადმი. მაგრამ ამ მოსაზრებებს დასაბუთება ესაჭიროება.

განვიხილოთ რას წარმოადგენდა რუსული სამთავართაშორისო ხელშეკრულება. რუს მთავართა მიერ ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებანი რუსულ საისტორიო ლიტერატურაში ცნობილია „договорные грамоты“-ს სახელწოდებით. ჩვენამდე მოღწეული ასეთი საბუთების რიცხვი ოთხმოცს აღემატება. ამათგან ყველაზე უფრო ძველია 1341 წლის ხელშეკრულება. თავისთავად ცხადია 1341 წელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რუსულ სამთავართაშორისო ხელშეკრულების, როგორც საბუთის წარმოშობის თარიღად. ცნობილია, რომ ასეთი საბუთები XII საუკუნეშიც არსებობდა და რუს მთავართა შორის ურთიერთობას აწესრიგებდა. ამისი დამადასტურებელი ცნობები დაცულია მატჩანეში. მაშინ ასეთ საბუთს

«крестная грамота»-ს ეძახდნენ<sup>1</sup>. რა არის ძირითადი დამახასიათებელი მომენტი ამ სახის დოკუმენტებში? პირველ ყოვლისა აქ მკვეთრად მოჩანს ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება იდება ორ, თანასწორი უფლების მქონე, პოლიტიკურ ერთეულს შორის. იგი ორმხრივი საბუთია და, რაც მთავარია, ორივე მხარე ერთიმეორეს თანასწორი უფლებით ცნობს. საბუთში ჩამოთვლილია როგორც ერთის, ისე მეორისათვის სავალდებულო პირობები. ორივე მხარე ფიცს დებს ერთიმეორის წინაშე. ამ საბუთებში რუსი მთავრები ორივე მხარის თანასწორუფლებიანობას ხელშეკრულების შესავალშივე აღნიშნავენ ერთიმეორის მიმართ ტერმინ „брат“-ის აუცილებელი ხმარებით. ეს ტერმინი აღრე, რა თქმა უნდა, რიურიკელების გვარისშვილობის აღმნიშვნელი იყო, მაგრამ შემდეგ იგი პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის მაჩვენებელია არა მარტო რუს მთავრებს შორის, არამედ რუსი მთავრების უცხო სახელმწიფოებთან მიმოწერისა და ხელშეკრულებების გაფორმების დროსაც. „Брат“ არ შეიძლებოდა ყველა ფეოდალი ხელისუფალისათვის ეწოდებინათ რუს მთავრებს (მოსკოვის პერიოდში). ეს ტერმინი მხოლოდ დამოუკიდებელ და შეუზღუდველ ხელისუფალთან ურთიერთობის დროს გამოიყენებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ვასილ III-ის დროის შემდეგი ფაქტი: 1533 წელს მოსკოვში მოსულა ერთ-ერთი ინდოელი მფლობელის „ბაბურის“ ქვეყნიდან ვაჭარი, რომელსაც დავალებული ჰქონია მოსკოვის დიდ მთავარს აცნობოს „ბაბურის“ სურვილი: „быть с ним в дружбе и братстве и ссылаться людьми“. ვასილ III-ს ამ წინადადებაზე განუცხადებია: „того хочет, чтобы люди промеж их ездили; а о братстве к нему неприказал“, რადგან მოსკოვში გარკვევით არაფერი ცოდნიათ. თუ რას წარმოადგენდა უფლებრივად ინდოელი მფლობელი „ბაბური“. ამ აზრს ტექსტი შემდეგი სახით გვაუწყებს: „государь ли, или урядник, и великому бы государю в том низости не было, будет он тоя земли урядник и вел. государь того ради о братстве ему не писал“<sup>2</sup>. ტერმინი „ურიადნიკ“ შეზღუდული უფლებით მმართველს ნიშნავს და ხელმწიფე-ხელისუფალის ცნებისაგან განსასხვავებლად იხმარებოდა<sup>3</sup>. მოსკოვის

<sup>1</sup> სამთავართაშორისო ხელშეკრულებების შესახებ იხ. М. Дьяконов. Очерки обществ. и государственн. строя древней Руси, гл. 28—31, 200—203. იხ. აგრეთვე В. Чичерин. Опыт по истории русского права. гл. 232—376.

<sup>2</sup> ტექსტი ამოღებული გვაქვს დიაკონოვის ნაშრომიდან „Очерки обществ. и государственного строя древней Руси 1912 г., гл. 395.

<sup>3</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. დიაკონოვის დასახ. შრომა, გვ. 395.

მთავრები XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საეთაშორისო ურთიერთობის დროს დიდ ყურადღებას აქცევენ ანა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო-უფლებრივ მდგომარეობას, დამოკიდებულება, თუ არა იგი სხვა ძლიერი სახელმწიფოსაგან, ყურადღება ექცევა აგრეთვე სახელმწიფოს სათავეში მდგომი ხელისუფალის უფლებრივ მდგომარეობას, — შეზღუდულია მისი უფლებები რაიმე წარმომადგენლობითი დაწესებულებით თუ არა. მაგალითად, შვედეთის, პოლონეთისა და ინგლისის შეფუცებს მოსკოველი მთავარი თავს არ უტოლებდა<sup>1</sup> და მათთან მიმოწერაში ტერმინს „брат“-ს არ ხმარობდა. 1508 წელს ყაზანიდან განდევნილი ხანი ყირიმელი ხანის შუამდგომლობით რუსეთს აფარებდა თავს. ვასილ მესამემ მას ქალაქი იფურიევი უბოძა. ეს ყაზანელი ყოფილი ხანი „აბდულ ლეტიფი“ ერთგულების და სამსახურის ფიცის წიგნს აძლევს ვასილ მესამეს. ამ საბუთის რუსული ტექსტი დაცულია, სადაც ყაზანელი ხანი მოსკოვის მთავარს „ძმობით“ მიმართავს. თვით რუსებს შეუდგენია ეს წიგნი ამ რედაქციით, განსაკუთრებით საინტერესოა ამ დოკუმენტზე გაკეთებული მინაწერი: „И после того, как шертъ дали цю и послы (იგულისხმება ყაზანელი ხანი, რუსულ საბუთებში ყაზანელ ხანს „царь“-ს ეძახიან, იგი ხელმწიფე ხელისუფლად იყო რუსეთში აღიარებული ამ დროს), и князь великий приговорил зболяры что ему и Абдыл Летифу царю правда дать на тои ж грамоте, на которой шерт дал великому князю царь Абдыл Летиф, как ему быть в Юрьеве, и дал князь великий црю Абдыл Летифу правду; а говорил князь великий речью даючи правду царю Абдыл Летифу, что ему цря Абдыл Летифа держати себе дражашим другом и братом, а в грамоту князь великий то е строки писати не велел, переднего для дела своего; а црь Абдыл Летиф и послы Крымские Магмедша с товарищи тутож были, коли князь великий правду дал“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ ტერმინი „брат-ით“ სამეფოდან გაპოდევილ ხელისუფალი იხსენიება და ამგვარად მისი მოხსენიება რუსეთის მთავარს მოუთმენია, მაგრამ ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ყაზანელი ხანები რუსეთის დიდი მთავრის მიერ და-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. დიაკონოვის დასახელებული შრომა, გვ. 396—398.

<sup>2</sup> Собрание Госуд. грамот и договоров. Часть II служащая дополнением к первой. Москва, 1819 г., გვ. 34.

მოუკიდებელ და სრულუფლებიან ხელისუფლად იყვნენ ცნობილი დღიდან ამ სახანოს დაარსებისა. აქ მოსკოვის მთავრობის გარკვეულ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე: ხსენებული სახანოების ამ სახით ცნობა იმთავითვე ოქროს ურდოს საწინააღმდეგოდ იყო მიმართული; ხოლო ოქროს ურდოს დასუსტებისა და დაშლის შემდეგ ისედაც ხომ დამოუკიდებელი ხელისუფალნი იყვნენ ყირიმისა და ყაზანის მფლობელები. მართალია, ყაზანიდან გამოდევნილი ხანი, რომელიც სამოწყალოდ მოსკოველი მთავრისაგან იღებს საარსებო მანუშს, ამ დროს დამოუკიდებელ ხელისუფლად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ზემოთხსენებულ დოკუმენტში ყაზანელი ხანების უფლების ტრადიციული წესის გამოსახვასთან უნდა გვეკონდეს საქმე. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ შეუძლებელი არ იყო ხსენებული ხანის ისევე ყაზანის სამეფო ტახტზე აღდგენა და მოსკოვის მთავრის გავლენის ქვეშ მისი ოქცევა. ამიტომაცაა, რომ ზემოთ მოტანილ ტექსტში ვასილ მესამე, თავის მხრით, ძმობისა და მეგობრობის შესახებ წერილობით დამტკიცებაზე უარს აცხადებდა, სიტყვიერად კი ეს ტერმინები ხანისათვის უწყალობებია და ამ სიტყვიერი განცხადების სიმტკიცის დასასაბუთებლად მოწმეებზე მიუთითებია. ტერმინი „сѣрат“ თანასწორუფლებიანობის მაჩვენებელია არა მართო რუს მთავართა მიერ ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებებში, არამედ უცხო სახელმწიფოებთან მიმოწერისა და ხელშეკრულების გაფორმების დროსაც. ზემოთ მოტანილ მასალებს გარდა ეს პრინციპი შეიძლება დადასტურებულ იქნეს ყირიმის ხანსა და იოანე III-ის შორის დადებული შემდეგი საბუთებით: 1474 წელს ორმხრივი ფიცის წიგნით, ამავე ხელისუფალთა შორის 1475 წლის მიმოწერის რუსული თარგმანით, იოანე III-ის 1480 წლის წერილით ყირიმის ხანისადმი, 1488 წელს უნგრეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილით და სხვა<sup>1</sup>.

რუსი მთავრები ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებებით აწესრიგებდნენ საზღვრების საკითხს, მამულის საკითხს, მათ ხელქვეით მყოფი ბოიარების საკითხს და სხვ. ეს ხელშეკრულებები რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, როგორც საერთაშორისო ხასიათის იურიდიული დოკუმენტები, დადებული ორ უფლებრივად დამოუკიდებელ და თანასწორ პოლიტიკურ ერთეულს შორის<sup>2</sup>. ამ ტიპის საბუთების წარმოშობა იმთავითვე რუსი სამ-

<sup>1</sup> ხსენებული და მსგავსი საბუთები იხ. Собрание русск. грамот и документов, т. V, გვ 1—4, 7—8 და სხვ.

<sup>2</sup> დიაკონოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 29—31.

თავროების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებობას გულისხმობს. ასეთი საბუთებიდან წარმოშობილი უნდა იყოს ყირიმის სახანოსთან, უნგრეთის მეფესთან და ყაზანის სახანოსთან დადებული ხელშეკრულებები. ის საფუძველი, რამაც ასეთი ხელშეკრულებები წარმოშვა. ვერ განვიწყვედა „ფიცის წიგნის“ წარმოშობას იმიტომ, რომ „ფიცის წიგნი“ სულ სხვა დამოკიდებულებას ამყარებდა ორ ხელისუფლებას შორის და, რაც მთავარია, „ფიცის წიგნზე“ რომელიმე პოლიტიკური ხელისუფალის მიერ წინასწარ ხელმოწერა გამორიცხავს ორ პოლიტიკურ ხელისუფალს შორის თანასწორუფლებიანობას. როდესაც რუსეთში „ფიცის წიგნის“ ტიპი წარმოიშვა, რუს-მთავართა შორის ის დამოკიდებულება უკვე აღარ არსებობდა, რაც წინათ.

განვიხილოთ „ფიცის წიგნის“ ძირითადი დამახასიათებელი თვისებები და მისი ისტორიული საფუძვლები. ქართველი მეფეების მიერ ხელმოწერილი „ფიცის წიგნის“ ძირითადი მუხლები მოცემული აქვს პროფ. მიხ. პოლიევქტოვს თავის წერილში „Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений с Грузией Московского периода (XVI—XVII)“. ამ წერილში, რომელიც ჩვენ ზემოთ არა ერთხელ მოვიხსენიეთ, პროფ. პოლიევქტოვს „ფიცის წიგნი“ შვიდ ძირითად ნაწილად აქვს დაყოფილი. ეს ნაწილები მკვლევრის სამართლიანი დაკვირვებით ამ ტიპის დოკუმენტებისათვის აუცილებელი და დამახასიათებელია. რადგანაც „ფიცის წიგნის“ მთავარი ნაწილების ანალიზი მოგვიხდება ქვემოთ, ზედმეტი არ იქნება პროფ. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოყოფილი ამ დოკუმენტის ნაწილები აქ აღვნიშნოთ: 1. „Целую крест великому государю . на том, что посылал еси вел, гос-рю... бити челом послов своих... чтобы в. г. меня пожаловал держал под свою царскою высокою рукою... и в обороне...И в. г. пожаловал меня...под свою царскую высокую руку и во оборону принял“. 2. „Лиха мне...не хотети и не мыслити“. 3. „И мне...быти...под в. г... высокою рукою... неотступну“. 4. „Ни х кому не приставати и людей своих ни кому на помощь для войны...и ни на которые места не посылати“. 5. „А хто будет в. г... друг, тот и мне друг; а хто недруг, тот и мне недруг“. 6. А которые мои люди...учнут... на тереке и в Астрахани и в иных городех, какое лихо мыслить...воровать или какую измену делати, и мне тех своих людей...казнити и от воровства унимати“. 7. „Быть мне в повеленье в. г-ря...не отставати никоторыми обычаи, никоторою хитрос-

ტყუ...პრამითი და დობრა ხოტეტი პო სეი ჯაპისი დო სვოსო ჯი-  
ვოტა<sup>1</sup>.

ამ ტიპის საბუთის პირველი დამახასიათებელი ნიშანია ცალ-  
მხრივობა. ის ვინც ამ პირობების შემცველ საბუთზე ხელს აწერს,  
ასეთსავე ფიციტ შეპაგრებულ სამაგიერო ხელწერილს არ ლებუ-  
ლობს. მოსკოვის მთავარს ასეთი საბუთი განუთენილი აქვს იმ  
პოლიტიკური ერთეულისათვის, რომელიც წინასწარი მოლაპარაკე-  
ბის შედეგად დათანხმდა მოსკოვის მთავრის „მფარველობა“ მიი-  
ლოს. ამ საბუთზე ხელისმომწერი უფლებრივად იმაზე დაბლა  
დგას, ვისაც იგი ამ „ფიცის წიგნს“ აძლევს. „ფიცის წიგნი“ თავისი  
აღნაგობითა და შინაარსით გენიტკიცებს იმას, რომ ეს საბუთი  
ორ თანასწორუფლების მქონე სახელმწიფოს შორის დადებული  
საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი არ არის, პირიქით, იგი  
იმის დამადასტურებელია, რომ „ფიცის წიგნზე“ ხელმომწერი მხარე  
ექვემდებარება მეორე მხარეს და უფლებას კარგავს თავისუფალი  
იყოს საგარეო საქმეში დამოუკიდებელი მოქმედებით. ხელმომწერი  
მხარე მთელი თავისი არსებით უნდა მოქმედებდეს „მფარველის-  
ინტერესებისა და მოთხოვნის მიხედვით და ყოველივე ეს საბუთზე  
ხელმომწერის კეთილი სურვილის მიხედვით კი არ ხდება, არამედ  
უკვე ვალდებულების ძალით ხორციელდება.

რა საფუძველზე წარმოიშვა რუსეთში „ფიცის წიგნი“? ნუთუ  
საგანგებოდ საქართველოს სანეფოების და მის მსგავს მეზო-  
ბელი ერთეულებისათვის გამოიმუშავეს რუსეთის დიპლომატებმა  
ამ ტიპის საბუთი და ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომე-  
ლიც ამ საბუთის ძალით მყარდება ორ ხელისუფალს შორის? რა  
თქმა უნდა, არა. რუსეთის შინა პოლიტიკური და სოციალური  
ცხოვრების საფუძველზე აღმოცენდა თავდაპირველად „ფიცის წიგ-  
ნი“, ჯერ თვით რუსეთის შინა ცხოვრების მოსაწესრიგებლად და  
შემდეგ კი იგი გამოყენებული იყო რუსეთის სახელმწიფოს გარეთ,  
სამომხროდ გარკვეულ ხელის შემწყობ პირობებში. საკმარისია ადა-  
მიანმა რუსული საბუთები და რუსეთის შინა სოციალური და პო-  
ლიტიკური ისტორია გაიცნოს, რომ ამაში სავსებით დარწმუნდეს.

ცნობილია, რომ რუსეთში, სანამ მოსკოვის სამთავრო გაძ-  
ლიერდებოდა და ძველი კიევის სახელმწიფოს მიწა-წყალს შემოიწ-  
ტიკებდა, რუსეთის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ერთიმეორი-  
საგან დამოუკიდებელი სამთავროები არსებობდა. XI V ს. კი, გარკ-

<sup>1</sup> თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XI, გვ. 94—95.

ვეული ხელისშეწყობი პირობების საფუძველზე, გაძლიერებას იწყებს მოსკოვის სამთავრო.

„რიურიკის“ შთამომავალი რუსი მთავრები ერთხანს, მოსკოვის მთავრის სიძლიერის მიუხედავად, საკუთარ თავს თანასწორუფლებიანად გრძნობდნენ. პოლიტიკურად და თავიანთ საგარეო ურთიერთობაში ისინი არავეს მიერ შეზღუდული არ ყოფილან. საანისო საბუთები მრავლად მოიპოვება. მაგრამ XV საუკუნეში განსაკუთრებია იოანე III დროს (1462—1505) მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. მთავართა შორის არსებული თანასწორუფლებიანობაზე აღმოცენებული წინანდელი დამოკიდებულება დარღვეულია. წინათ დამოუკიდებელი მთავრები უფლებააყრილია, მამეული, მართალია, ჯერკიდევ მათ ხელთაა, მაგრამ მოსკოვის მთავრის იოანე III-ის ნებართვისა და დასტურის გარეშე ისინი ვერსად წავლენ; ძველად არსებული უფლება „право отъезжать“ მთელრიგ მთავრებს დაუკარგავთ, ისინი მოსკოვის მთავრის „სამსახურში“ არიან. თავდაპირველად წვრილ მთავრებს საკუთარი მამულის გადაცემის უფლება დაუკარგავთ, მაგრამ თავისუფლად წასვლის უფლება აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვასთან წავლენ, საკუთარ მანულებზე უფლებას კარგავენ. იოანე III დროს წასვლის უფლებაშიც ედავებიან და ამისათვის სჯიან კიდევ<sup>1</sup>. როგორ აისახა ეს ცვლილებანი ისტორიულ საბუთებში?

პირველად XV საუკუნეში გვხვდება ჩვენ „ფიცის წიგნები“, რომლებზეც ხელს აწერენ ყოფილი დამოუკიდებელი და თავისუფალი რუსი მთავრები და ფიცის რიტუალის შესრულებით გარკვეული პირობების შესრულებას კისრულობენ ძლიერ მოსკოვის მთავრის იოანე III წინაშე. ამ საბუთებში რუსი მთავრები ერთიმეორეს აღარ ეძახიან брат-ს, არამედ მხოლოდ „князь“-ს უწოდებენ. მისი პოლიტიკური უფლების რაობა XV საუკუნის ამ ახალი ტიპის საბუთების შესავალშივე მოცემულია: „Се яз князь что есмь бил челом своему господину и осподарю великому князю“... წინათ თავისუფალი და თანასწორუფლების მქონე რუსი მთავრის პოლიტიკური უფლების რაობის საუკეთესო ილუსტრაციაა მათ მიერ XV საუკუნეში ხელმოწერილ ფიცის საბუთში აღნიშნული სიტყვები: „был челом.“ ქრონოლოგიურად პირველი ასეთი საბუთი ხელმოწერილია 1474 წელს მთავარ დანიელ დიმიტრის ძე ხოლმსკის მიერ. დანიელ ხოლმსკის მიერ ხელმოწერილი ფიცის

<sup>1</sup> იხილეთ ამის შესახებ Павлов—Сильванский. Служилые люди, 1903 г., გვ. 42.



წიგნი. ცალმხრივი საბუთია. მთავარი დანიელ ხოლმსკი იოანე III კარზე ცნობილია, როგორც ნიქიერი სარდალი. იგი ტვერის დიდი მთავრის შთამომავალი იყო. უკმაყოფილების გამო მოუწადინებია სხვა მთავართან წასვლა ჩვეულებრივი წესით („право отъезжать“), მაგრამ იოანე III-ს ეს განზრახვა გაუგია და დანიელ ხოლმსკი დაუტუსაღებია. ამ საქმეში შუამდგომლად მიტროპოლიტი გერონტი და სხვა ეპისკოპოსები გამოსულან. იოანე III-ს გაუთავისუფლებია დანიელი, უკანასკნელის „ფიცის წიგნი“ მიუცია ერთგულებისა, სამსახურისა და მოსკოვის მთავრის კარიდან მოუშორებლობის შესახებ: „А мне князю Данилу своему осподарю великому князю Ивану Васильевичу и его детем служити до своего живота, а не отъехати ли от своего осподаря от в. кн. Ивана Васильевича, ни от его детей к иному них кому“.<sup>1</sup>

ასეთი ცალმხრივი „ფიცის წიგნი“ XVI საუკუნისათვის საკმაოდ არის გადარჩენილი, 1506 წ., 1522, 1524, 1525, 1529, 1531, 1532... წწ. შემდეგი მთავრები: ოსტროჟსკის, შუსისკის, ბელსკის, ვოროტინსკის, მსტისლავსკის, პლეშჩევის, სტარიცკის, პრონსკის, გლინსკის, ბოიარინ იაკოვლევის და სხვ.<sup>2</sup>

მოსკოვის დიდი მთავრის „საქსახურში“ გადასული რუსი მთავრები თავიანთი სამფლობელოებით არიან მოსკოვის სამთავროში შესული. წასვლის უფლება დაკარგული აქვთ „ფიცის წიგნის“ ძალით, მაგრამ თავიანთ მამულში მფლობელობის უფლებებით ერთხანს სარგებლობენ. მოსკოვის ხელისუფლება კმაყოფილდება უმაღლესი პოლიტიკური უფლებით და „საქსახურით“, რაც მაშინ რაზმის გამოყენას და დიდ მთავართან ერთად ომში მონაწილეობის მიღებას ნიშნავდა, მაგრამ საკუთარი მამულის მართვა-გამგებლობის უფლება ჯერ კიდევ ხელუხლებელია. მათ უფლება აქვთ წყალობის სიგელები გასცენ თავის სამფლობელოს მასშტაბით, ჰყავთ თავიანთი „დიაკები“ და მოსამართლეები და ამ მხრივ ანგარიშს არ აბარებენ მოსკოვის დიდ მთავარს. მაგრამ ეს მდგომარეობა XVI საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ იცვლება, ეს უკვე იოანე IV-ის ხანაა.<sup>3</sup>

ამ ნიადაგზეა აღმოცენებული XV საუკუნიდან ცალმხრივი „ფიცის წიგნის“ წარმოშობა. რუსულ სამთავროებში ყოფილი დამოუ-

<sup>1</sup> იხ. ხოლმსკის ფიცის წიგნი და მისი თავდასავალის შესახებ Собрание государственных грамот и договоров, ч. 1, 1813 г., გვ. 249—250.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. Н. П. Павлов—Сильванский. Государственные служилые люди, 1909 г., გვ. 39—50, და В. О. Ключевский. Боярская дума древней Руси, 1919 г., გვ. 228—237.

კიდებელი ხელისუფალი გარკვეული ისტორიული პირობების გამო კარგავს დამოუკიდებლობას და მთლიანად დამოკიდებული ხდება მოსკოვის დიდი მთავრისაგან. ეს დამოკიდებულება, პირველ ხანებში ნებაყოფლობითი, თავისუფლად არჩევანის პრინციპზე დაყრდნობილი, მოსკოვის სამთავროს გაძლიერების გამო ძალდატანებითი ხდება. ფიცის ხელწერილის მიცემა, რამდენადაც იგი ცალმხრივია, თავისთავად საბუთის წარმოშობის იძულებითობაზე მიგვიითივებს და ეს იძულება მოსკოვის მთავრისაგან მომდინარეობს. „ფიცის წიგნი“ თავისი შინაარსით საქმის ვითარებას ისე წარმოადგენს, რომ ფიცის მიცემი თავისი მოქმედებით დამნაშავეა მოსკოველი ხელისუფალის წინაშე და შუამდგომელი პირების აჯამ-მოხსენებით შეწყალებულია, დანაშაული წას აპატივეს, და მომავლისათვის პირობას იძლევა ერთგულად იმსახუროს, არავეისთან არ წავიდეს, არცერთი მეზობელი სახელმწიფოს მხარეზე არ გადაიხაროს აზრითაც კი. რა დანაშაულობა მიუძღვის რუს მთავარს მოსკოვის მთავრის წინაშე? ყველა ამ ტიპის საბუთებში მთავრის დანაშაული იმაში გამოიხატება, რომ მას განუზრახავს წავიდეს, მიემხროს სხვა მთავარს. ის, რაც წინათ მისი უფლება იყო და ამ უფლებით მივიდა იგი მოსკოვის მთავრის წინაშე თავის სურველით, ახლა ეს უფლება მის დანაშაულობად არის ქცეული. ასეთი ფიცის და სიმტკიცის წიგნების ჩანორთმევა XVI საუკუნის ოთხმოციან წლებამდე (1581 წელი) არის ცნობილი<sup>1</sup>. რუსეთის ტერიტორიაზე XV საუკუნის მიწურულიდან მოსკოვის მთავრისაგან წასული ვერცერთი მთავარი სხვა მთავართან თავს ისე ველარ შეაფარებდა, რომ მოსკოვის მთავარს არ დაესაჯა. ერთადერთი მახლობელი სახელმწიფო, სადაც მოსკოვის ხელი ადვილად ვერ მიწვდებოდა, ეს ლიტვა იყო. მაგრამ ლიტვაში წასული მთავარი მოლაღატედ ცხადდებოდა. ლიტვაში თავშეფარებული რუსი მთავრებისათვის პირველ ხანებში გაუგებარი იყო მოლაღატის ბრალდება. ანდრია კურბსკი იოანე IV-ს ფიცის წიგნების შემოღების გამო წერდა: „Затворил царство русское, сиречь свободное естество человеческое, словно в адовой твердыне А еже пишеши, имяяюще нас изменники для того иже есмя принуждены были от тебя по неволе крест целовати, яко тамо есть у вас обычай, аще бы кто не присягнул, горчайшею смертию да умрет“<sup>2</sup>...

<sup>1</sup> Сохранение государственных грамот и договоров, I. 1813, гл. 588.

<sup>2</sup> ტექსტი და ხეობოტანილი მოსახრებაც ამოღებულია დიაკონოვის შრომიდან Очерки общественного и государственного строя древней Руси, 1912 г., гл. 254—255.

რუსი მთავრების ჩვენამდე მოღწეულ „ფიცის წიგნიდან“ ჩანს, რომ მთავარი ფიცს იძლევა იმის შემდეგ, როცა იგი მოსკოვის დიდი მთავრის ხელქვეით კარგა ხანია იმყოფება. ერთი პროცესი—მოსვლა საკუთარი სურვილით, დამთავრებულია. წასვლის მოწადინება—ეს დანაშაულობად არის მიჩნეული და მოსკოვის მთავრის რისხვა მას „ფიცის წიგნის“ მიცემით შეუძლია თავიდან აიცილოს. კითხვა იბადება, მოსკოვის მთავართან სამსახურად პირველად მოსვლის მომენტში მოსკოვის მთავარი ართმევდა თუ არა „ფიცის წიგნს?“ ჩვენამდე მოღწეული „ფიცის წიგნიდან“ არ ჩანს, რომ ასეთი პრაქტიკა ყოფილიყოს შემუშავებული მოსკოვის სამთავროში. მხოლოდ ერთი „ფიცის წიგნი“, თედორე მიხეილისძე მსტისლავსკის მიერ ხელმოწერილი, თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ლიტვასა და პოლონეთში მიმდინარეობდა მართლმადიდებელ ქრისტიანეთა შევიწროება. თედორე მსტისლავსკი ამის გამო მოსკოვის მთავრის სამსახურში გადმოსვლას ამჯობინებს. იგი 1529 წელს ერთგული სამსახურის შესახებ „ფიცის წიგნს“ აძლევს ვასილ მესამეს: „Се яз князь Федор Михайлович Мстиславской, что есми был челом государю своему,... чтобы меня государь пожаловал, велел себе служитьи: и государь мой... меня князя Федора пожаловал, велел мне себе служитьи... А мне князю Федору служитьи государю своему... везде во всем вправду безо всякие хитрости и до своего живота, а лиха мне... никакова не хотети“<sup>1</sup>.

ამ საბუთში ერთი სიტყვითაც არაა აღნიშნული მსტისლავსკის დანაშაული მოსკოვის მთავრისაგან წასვლის განზრახვის შესახებ, რაც ყველა სხვა მთავრის „ფიცის წიგნშია“ მოცემული. ამ საბუთიდან გამოდის, თითქოს მსტისლავსკიმ მოსკოვის მთავართან მოსვლის სურვილი განაცხადა და მოსკოვის მთავარმაც ამასთან დაკავშირებით წინასწარ „ფიცის წიგნი“ ჩამოართვა. თვით საბუთი ამის დამადასტურებელია. მაგრამ ამ „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერის შემდეგ ორი წელიწადი გავიდა და თედორე მსტისლავსკის 1531 წელს მეორე „ფიცის წიგნზე“ მოუწერია ხელი. ამ მეორე „ფიცის წიგნის“ მიცემა იმით ყოფილა გამოწვეული, რომ თედორე მსტისლავსკის მოუხდომებია ისევ თავის წინანდელ პატრონთან წასვლა, ამის გამო მოსკოვის მთავარი გარისხებია და მსტისლავსკის მეორე „ფი-

<sup>1</sup> Собрание государств. грамот и договоров, I, 1813 гл. 133.

ცის წიგნი“ მიუცია. ამ მეორე ხელწერილში მსტისლავსკის პირველი ფიცის წიგნის ჩამორთმევის მიზეზიც აღნიშნულია: „Сс яз князь Феодор Михайлович Мстиславской присылал есми из Литвы ко государю своему...бити челом, чтобы государь пожаловал вселел мне ехати к собе служить, и великий государь меня холопа своего пожаловал, прислал ко мне воевод своих, а вселел мне к собе ехати. И как яз приехал... и государь... велел мне собе служить, и жалованьем своим пожаловал. И опосле того сказали государю моему, что яз мышлю ехати к Жигимонту Корлю; и государь меня... пожаловал, опалы своей на меня не положил, и меня пожаловал: а яз... целовал есми государю своему животворящей крест...и дал есми на себя грамоту...“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ მსტისლავსკი აღიარებს, თუ როგორ დაარღვია და დაივიწყა პირველი ფიცი და მოინდომა მეორედ ნამდვილად წასვლა. ამრიგად, ჯერჯერობით არ ჩანს „ფიცის წიგნი“, რომლიდანაც შესაძლებელი იყოს ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ მოსკოვის მთავრის სამსახურში მომსვლელი მთავარი მოსელისთანავე ფიცის ხელწერილს აძლევდეს ახალ პატრონს. საფიქრებელია, რომ მოსკოვის მთავარი მომსვლელს წინასწარ ფიცის წიგნს არ ართმევდა, მოსვლას არ ზღუდავდა წინასწარ, შესაძლებელია ამით მომსვლელს არ აფრთხობდა, ხოლო რაკი ერთხელ მიიტყუებდა, შემდეგ წასვლას უკრძალავდა. მოსკოვის მთავრის სამსახური მოსვლის შემდეგ ისევ მომსვლელის ნება-სურვილზე როდი იყო დამოკიდებული.

როდესაც ჩვენ რუსი მთავრების „ფიცის წიგნებზე“ გვაქვს საუბარი, ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ყველა „ფიცის წიგნი“, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, ეკუთვნის იმ მთავრებს, რომელთაც სამფლობელოები ლიტვა-პოლონეთის საზღვართან ჰქონდა<sup>2</sup>. ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ საზღვრებზე მყოფი მთავრები იყო საგანგებოდ დასამორჩილებელი, თორემ სამთავროს შიგნით მყოფი მთავრები, ხელწერილის გარეშეც გაძლიერებულ მოსკოვის მთავარს ვერსად გაექცეოდნენ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Собрание государств. грамот и договоров, I, 1813. გვ. 439.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. Павлов — Сильванский. Государевы служилые люди, 1909. გვ. 271. შენიშვნა 7. ავტორს აქ მოჰყავს ს. ვ. როდესტვენსკის დაკვირვება.

<sup>3</sup> М. Дьяконов. Очерки обществ. и госуд. строя древней Руси. 1912. გვ. 255—256.

რუსი მთავრების „ფიცის წიგნში“ ფიცის მიმცემი მთავრის ახალი მდგომარეობა სათანადო ტერმინითაა გამოსახული. უძველეს ფიცის წიგნში, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია და რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მთავარ ხოლმსკის ჯერ კიდევ „служба“ ეწოდება: „и осподарь мой княз велики меня своего службу пожаловал нелюбье свое мне отдал“<sup>1</sup>. მაგრამ ვასილ III დროიდან ტერმინი „служба“ შეცვლილია ტერმინ „холоп“-ით. ტერმინის ასეთი შეცვლა მდივნის უბრალო თვითნებობის შედეგი როდია. ძველი რუსი მოხელეები კარგად ერკვეოდნენ ტერმინებში, ყოველი ასეთი ტერმინი გარკვეული შინაარსის მქონე იყო, თავის ადგილას იხმარებოდა და მათი აღრევა იმ დროს დაუშვებელი იყო. ტერმინების ზემოაღნიშნულ ცვლილებებში რუსი მთავრების უფლებრივ მდგომარეობაში მომხდარი გარდატეხა მოჩანს<sup>2</sup>. წინათ თავისუფალი მთავარი, რომელიც სამსახურს თავისუფლად ირჩევდა ამა თუ იმ მთავართან, ყმა ხდებდა, იგი პირადად დამოკიდებულია მოსკოვის მთავრისაგან: „И великий государь меня холопа своего пожаловал“ ვკითხულობთ მსტისლავსკის 1531 წლის ფიცის წიგნში. XVI საუკუნის „ფიცის წიგნში“ ვასილ III-ის შემდეგ „ხოლოპი“ ჩვეულებრივი ტერმინია.

„ხოლოპად“ ქცეულ მთავართან მოსკოვის ხელისუფალის დამოკიდებულება უკვე განიხილება არა როგორც ორი თანასწორ-უფლებიანი პირის, არა როგორც სახელმწიფო ხელისუფალთა შორის დამოკიდებულება (იმ შემთხვევაშიც კი როცა „ხოლოპად“ ქცეული მთავარი გარკვეული სამფლობელოს პატრონია და შინაგან საქმეებში დამოუკიდებელია), არამედ როგორც უზენაეს ხელისუფალისა და ქვეშევრდომის დამოკიდებულება. ამ ურთიერთობის დროს წარმოშობილ საბუთში ერთს შეუძლია მხოლოდ აჯავედრება — „челобитие“, მეორე მხარეს კი — მოწყალების გაცემა „пожалование“ ანდა „жалование“.

თუ როგორი იქნება მოწყალება — ეს მთლიანად ხელისუფალზეა დამოკიდებული. წყალობა შეიძლება დაემთხვეს მოაჯის სურვილებს, აჯა შეიძლება შეწყნარებული არ იქნეს ანდა წყალობა მოაჯის სურვილებს არ დაემთხვეს, უზენაესი ხელისუფალი ამაში შეუზღუდველი არის. „ფიცის წიგნი“ ერთ მხარეს ხდის ვალდებულს, მწყალობელი კი ფიცის მიმცემის წინაშე კონკრეტულად ვალდებული არ არის. ყოველი შეწყალება მწყალობელის მხრივ წყალობის სი-

<sup>1</sup> Собрание госуд. грамот и договоров, I, 1813, გვ. 219.

<sup>2</sup> К. Чичерин. Опыт по истории русского права, 1852., გვ. 354.

გელით ფორმდება შეწყალებულის სახელზე, მას „жалованная грамота“ ეწოდება.

რა არის ძირითადი რუსი მთავრების მიერ ხელმოწერილ „ფიცის წიგნში“, რას მოითხოვს მოსკოვის მთავარი ამ საბუთით? „ფიცის წიგნში“ ვითხულობთ: „А мне князю Федору от своего государя... и от его сына... и от его детей, из их земли... ни к иным государем ни х кому никак не отъехати...“<sup>1</sup> (ტექსტი ამოღებულია მსტისლავსკის ფიცის წიგნიდან). რუსი მთავრის უძველეს ფიცის წიგნში. რომელიც ხოლმსკის მიერ არის ხელმოწერილი, იგივე დებულება შემდეგი სახით არის მოცემული: „А мне Данилу, своему осподарю великому князю Ивану Васильевичу и его детем служити до своего живота, а не отехати ми от своего осподаря... ни от его детей к иному ни х кому...“<sup>2</sup>, რუსი მთავრების მიერ ხელმოწერილ „ფიცის წიგნში“ ეს დებულება ძირითადია. ქართველ ხელისუფალთა და საეროთოდ არარუს ხელისუფალთა მიერ ხელმოწერილ რუსული „ფიცის წიგნში“ იმავე ძირითად დებულების სხვა ფორმა გვაქვს. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ 1587 წელს ხელმოწერილ „ფიცის წიგნში“ ვკითხულობთ: „И мне Александру князю, и моим детем и всей моей Иверской земле быти под государя царя и вел. кн. Федора Ивановича... и от его детей неотступну быти... к иным ни х которым государевым недругом не приставати“<sup>3</sup>. თეიმურაზ პირველისათვის განკუთვნილ „ფიცის წიგნში“ იგივე ძირითადი მუხლი შემდეგი სახით არის შეტანილი: „И мне Теймуразу царю и моим детем и всей моей Иверской земле быти под великого—государя М. Ф. и его государских детей... быти неотступну... и ни х кому не приставати“<sup>4</sup>.

ამ სახით არის მოცემული ეს ძირითადი დებულება იმერთა მეფის ალექსანდრეს „ფიცის წიგნშიც“<sup>5</sup>. როგორც ხედავთ, აქ ტერმინის „не отехати“-ს ნაცვლად შეტანილია „неотступну быти“ და „не приставати“. ასეთი ფორმულაა ჩერქეზთა ბატონების „ფიცის წიგნშიც“ (ანუ „шертная грамота“-ში): „...и нам Канбу-

<sup>1</sup> Собрание госуд. грамот и договоров, ч. I, 1813, გვ. 440.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 249.

<sup>3</sup> Белокуров, Сношения России с Кавказом. . გვ. 32.

<sup>4</sup> Полневктов. Материалы по истории грузино-русск. взаимоотношений 1615—1640. გვ. 173—174.

<sup>5</sup> იხ. Полневктов. Посольство Толочанова и Невлева в Имеретию. გვ. 194.

ლათუ князю и братье нашей Думануку князю... быти нам всем неоступным и до своего живота... и к иным... ни х кому не приставати<sup>1</sup>. არ იხმარება ტერმინი „не отехати“ მოლდავეთის მთავრის მიერ 1656 წელს ხელმოწერილ ფიცის წიგნშიც: „И Стефану воеводе и духовного чину людем... быти под царского в—ва высокою рукою навеки не отступу и служити ему великому государю...! а к турскому и крымскому и к иным государем впредь не приставать“<sup>2</sup>. ტერმინები „не отехати“ და „неотступну быти, не приставать“ ერთიმეორის სინონიმები არ უნდა იყოს. ტერმინი „неотступну быти не приставати“ აქ ნიშნავს არ ჩამოცილებას, სხვასთან არ შეერთებას, არ აყოლას. ტერმინი „отъезжать“ ძველი რუსული უფლებება ბოიარის და სხვა სოციალურ კატეგორიის, პატრონის თავისუფლად არჩევის უფლებება, იგი ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ესა თუ ის პირი მართლაც ან წავიდოდა ან მოვიდოდა ამა თუ იმ მფლობელის კარზე და მის სამფლობელოში დაბინავდებოდა სათანადო მამულის ბოძებით. ხოლო როდესაც მოსკოვის მეფე ფიცის წიგნზე ხელს აწერიებდა არარუს მფლობელებს, მაშინ ეს მფლობელები მოსკოვის ხელისუფლებას სამეფო კართან ანდა მოსკოვის მიდამოებში და საერთოდ სახელმწიფოს შიგნით კი არ ესაპირებოდა, პირიქით, ისინი რუსეთის ინტერესებს იმ ადგილებში სჭირდებოდა, სადაც ამ მფლობელთა სამეფო თუ სამთავრო იყო. მათი სამსახური იმავე რაიონებში იყო რუსეთისათვის საჭირო, სადაც ისინი ხელისუფლობდნენ. იმ მხარეებში ისინი „ფიცის წიგნის“ ძალით არავის არ უნდა მიმხრობოდნენ, არავის არ უნდა აპყოლოდნენ მოსკოვის მეფის დაუკითხავად და კარნახის გარეშე. გამოთქმის — неотступну быти не приставати-ს განმარტება გარკვევით მოცემულია „ფიცის წიგნში“: „Ни х кому не приставати и людеи своих ни кому на помощь для войны на великого князя... земли и ни на которые места не посылати“<sup>3</sup>. ამდენად, ტერმინი „не отехати“ ქართველ მფლობელთათვის განკუთვნილ „ფიცის წიგნში“ მიზანს არ ემსახურებოდა. ამით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინების განხილვა დაგვესრულებინა, მაგრამ ერთი გარემოება გვაიძულებს საკითხის სისრულისათვის კვლავ განვაგრძოთ ამ ტერმინებზე მსჯელობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში თეიმურაზ პირველთან გამოგზავნილი რუსი ელჩების ვოლკონსკისა და

<sup>1</sup> ბელოკუროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>2</sup> Полное собр. законов Российской империи. Собрание первое (1649—1825), ტ. I. გვ. 383—390.

<sup>3</sup> იხ. ხემოთ დასახელებული ფიცის წიგნები.

ხვატოვისათვის საგანგებოდ შედგენილ ინსტრუქციაში ერთგან აღნიშნულია, რომ ელჩებმა თეიმურაზ მეფის შესაძლებელ შეკითხვაზე, თუ რატომ რუსეთის მეფემ მას შუამდგომლობა არ გაუწია ირანის შაჰის წინაშე თეიმურაზის დატყვევებულ დედის და შვილების გათავისუფლების საქმეში, ელჩებმა თეიმურაზს ასეთ კითხვაზე უნდა უპასუხონ, რომ რუსეთის მეფემ ირანის შაჰთან ამის გამო ელჩები გაგზავნა, იშუამდგომლა; მაგრამ შაჰმა რუსეთის მეფის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. შაჰთან რუსი ელჩების ამ საკითხის გამო საუბარს ინსტრუქცია ასე გადმოგვცემს: „И персидской шах — го в — ва послем говорил, что он, грузинской Теймураз цар дал ему в закладе мать свою да два сына Олександра да Леонида на том, что было ему к недругу ево к турскому не отъехать. И Теймураз-децарь ему солгал, покиняя мать свою и детей, отъехал к турскому царю; а земля — де его за ним шахом. И только Теймураз царь отъедет от турского к нему, и он мать ево и детей ему отдаст“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ პირველის მიმართ, მისი პოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად, ტერმინი „отъехать“ გამოყენებულია რუსულ წყაროში. ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, ამას ახსნა ესაქიროება. სხვა რიგად თეიმურაზის რუსული ორიენტაციაც რუსებს იმავე „отъехать“-ის უფლებით უნდა ესმოდეთ და, მაშინ, ის ფაქტიც სხვანაირად უნდა აიხსნას, რომ თეიმურაზის მიერ ხელმოწერულ ფიცის წიგნში ეს ტერმინი არ არის მოხსენებული, ამის გამო კი ჩვენს მიერ ზემოთ მოცემული განმარტებაც საეჭვო ხდება. საქმე ის არის, რომ თეიმურაზის იმდროინდელი მდგომარეობა, რომელზეც საუბარია ინსტრუქციაში, გარეგნულად ძალიან მიაგავს რუსი მთავრის ან ბოიარის იმ მდგომარეობას, რომელსაც რუსები ტერმინ „отъезжать“-ში გულისხმობდნენ XVI და XVII საუკუნეებში. თეიმურაზის სამფლობელო შაჰს აქვს: „а земля-де его за ним шахом“. თეიმურაზი მართლაც თურქეთის სულთნის კარზეა: „покиняя мать свою и детей, отъехал к турскому царю“. შაჰი აცხადებს, რომ, თუ ჩემთან მოვა, ყველაფერი მის სასარგებლოდ გადაწყდებაო, „И только...отъедет от турского к нему“...სწორედ ასეთია გარეგნულად „отъезжать“-ის უფლების მქონე რუსი ბოიარის ან მთავრის მდგომარეობა XVI და XVII საუკუნეების რუსეთში. ინსტრუქციის შემდგენელი რუ-

<sup>1</sup> М. Полневков. Материалы по истории грузинно-русских взаимоотношений. 1937 г., гл. 195.



სეთის საგარეო საქმეთა საგანგოს თანამშრომლებსათვის თეიმურაზის მდგომარეობის გამოსახატავად, ბუნებრივია, სხვა ტერმინი ვერ მოენახა. ეთქვა, მაგალითად, „пристал к турецкому“ — ზინარსით სრული უაზრობა იქნებოდა იმ დროის რუსი პოლიტიკოსისათვის, რადგან თეიმურაზის სამფლობელო მიწა-წყალი შაჰს ჰქონდა დასაკუთრებული. თეიმურაზი თურქებს რით მიემხრობოდა, როცა ხელცარიელი იყო. ამდენად მოტანილი ამონაწერი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას ფიცის წიგნის ხსენებული ტერმინების შესახებ.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსი მთავრების მიერ ხელმოწერილ „ფიცის წიგნში“, მთავრები თავს მოსკოვის დიდი მთავრის „ხოლოპად“ იხსენიებენ. ეს ფორმულა ქართველი მეფეების მიერ ხელმოწერილი „ფიცის წიგნისათვის“ დამახასიათებელი არაა. არც ერთ „ფიცის წიგნში“ ქართველი ხელისუფალი არც „царя“ და არც „ხოლოპად“ მოხსენებული არაა. ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა დაასკვნას, რომ რუსეთში ქართველ ხელისუფალთა მიერ ფიცის წიგნზე ხელმოწერის შემდეგ, ამ პოლიტიკური ერთეულების უფლებრივ დამოკიდებულებას მოსკოვთან სხვა რიგად უცქეროდნენ. ნაწილობრივ ეს მართლაც ასე უნდა იყოს, მაგრამ ეს საკითხი მაინც განმარტებას მოითხოვს. ამ საკითხის გასარკვევად მართო ქართველ მეფეთა მიერ ხელმოწერილი ფიცის წიგნების ტექსტები საკმარისი არ არის. რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობები და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სხვა საბუთების გულდასმით გადასინჯვა უფრო ნათელ სურათს გვაძლევს.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩების ვოლკონსკისა და ხვატოვის მუხლობრივი აღწერილობიდან და რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს მიერ ხსენებული ელჩებისათვის შედგენილი ინსტრუქციიდან („ნაკაზიდან“) ნათლად ჩანს, რომ ფიცის წიგნზე ხელმოწერილი ქართველი ხელისუფალი, რუსეთის იმ დროის პოლიტიკოსის გაგებით, იურიდიულად რუსეთის მეფის „холоп“-ია.

თეიმურაზ პირველთან გამოგზავნილი ხსენებული ელჩებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზ მეფე და მისი თანაგამზრახნი „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერას არ მოისურვებენ და ელჩებს წინასწარ მოთხოვენ ოფიციალურ საგარანტიო საბუთს, რომელშიც კონკრეტულად იმის აღნუსხვას მოითხოვენ, თუ როგორ დაიფარავს თეიმურაზის სამფლობელოს მოსკოვი, ელჩებს ევალებათ უპასუხონ თეიმურაზს,

რომ მოსკოვის მეფე თეიმურაზს დაიცავს ისევე, როგორც წინათ ალექსანდრე კახთა მეფე დაიცვა მტრებისაგან: „а как дед ево Александр царь был под царского в-ва высокою рукою в холопстве и они в те поры жили в покое и тишине“<sup>1</sup>.

თავიანთ მუხლობრივ აღწერილობაში ერთგან რუსი ელჩები ასე გადმოგვცემენ თეიმურაზ პირველთან საუბარს: „А как нынц лезгинцы уведает то, что ты Теймураз царь в его государеве повеление укрепился и крест ц-ому в-ву поцелуешь..., что быти под его царскою высокою рукою в холопстве на веки неотступну... и лезгинцы тебе... обиды... чинить не учнут“<sup>2</sup>.

როდესაც თეიმურაზ მეფე გაქირვეულდა, რუსულ „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერა არ ისურვა და სამაგიერო „ფიცის წიგნი“ მოითხოვა რუსეთის მეფისაგან, ელჩები ამის გამო ასეთ განმარტებას აძლევდნ მას: „Великий государь Михайло Феодорович... пожаловал тебя Теймураза царя... под свою царскую высокою руку принял в холопстве навеки неподвижно... и которые бывают под его царскою... рукою цари и своих земель начальные люди, те все с своими детьми и зближими людьми ц-му в-ву и его царским детем крест целуют, а бусурманы по своей вере шертуют, что им быть в холопстве. А ц-го в-ва послы тем царем и своих земель владельцем, которые по ц-го в-ва высокою рукою в холопстве, креста не целует, а жалует... по своему... рассмотрению и по их к себе службе и постоянству“<sup>3</sup>. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საქმის ვითარება აქითაც ნათელია. რუსულ „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერი მხარე, იურიდიულად, რუსი პოლიტიკოსების გაგებით, რუსეთის მეფის „холоп“-ია. მაგრამ აქ ზედმეტი არ იქნება თვით ტერმინ „холоп“-ის შინაარსზე შევჩერდეთ. XVI—XVII საუკუნეებში ყოფილი რუსი მთავრების, ბოიარებისა და ქართველი მეფეების მიმართ ხმარებული ტერმინი „холоп“, რა თქმა უნდა, იმ შინაარსის მატარებელი არაა, როგორც ეს გლეხების მიმართ იხმარებოდა. ამ შემთხვევაში „холоп“ ნიშნავს ქვეშევრდომს. იგი შესატყვისია ტერმინის „подданный“-ს<sup>4</sup>, რომელიც ქართველი

<sup>1</sup> М. Полиевктов. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, 1937 г., გვ. 194.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 311.

<sup>3</sup> პროფ. პოლიევკტოვის დასახ. გამოცემა, გვ. 326.

<sup>4</sup> „ხოლოპის“ ამ მნიშვნელობის შესახებ იხ. С. Чичерин. Опыты по истории русского права, გვ. 354—355.

მეფეების მიმართ არაერთხელაა გამოყენებული ისევე, როგორც ტერმინი „xолоп“. 1587 წელს კახეთის მეფე ალექსანდრესთან გამოგზავნილი ელჩები ბირკინი და პივოვი, დავალების თანახმად, ალექსანდრე მეფეს სთავაზობენ „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერას. ელჩები არწმუნებენ კახთა მეფეს, რომ მოსკოვის მეფე რაკი მფარველობას იკისრებს, აუცილებლად დანაპირებს ცხოვრებაში გაატარებსო და მიუთითებენ მაგალითებზე: „которые... государя нашего царского величества имени подданы учиниятца,— и те все государи... живут под государя нашего... рукою... в бестрашном пребыванье“<sup>1</sup>.

მიხეილ თედორესძე რომანოვის წყალობის სიგელში, რომელიც თეიმურაზ პირველს ებოძა, აღნიშნულია: „Теймуразу царю и сыну ево царевичу Давиду... быти под нашею... высокою рукою в подданстве на веки неотступным“<sup>2</sup>. XVII საუკუნის რუსი დიპლომატის გრ. კოტოშინის ცნობილი თხზულებიდან ჩანს, რომ იურიდიულად ქვეშევრდომი ყოველთვის ფაქტიური ქვეშევრდომი არაა. ფაქტიურ ქვეშევრდომს და იურიდიულად ქვეშევრდომს იმ დროის რუსეთში ასხვავებდნენ და მათი უფლება და პატივი სხვადასხვა იყო. ხსენებულ კოტოშინის თხზულებაში ერთგან აღნიშნულია, რომ ციმბირის მეფის შთამომავლობა მოსკოვის სამეფო კარზე სათანადო პატივში არის: „Честию они бояр выше; а в думе ни в какой не бывають и не сядят, потому что государства их и они сами учинилися в подданстве, после итинского времени, недавно“. ქართველი მეფისა და მისი შთამომავლობის მდგომარეობა სხვა რიგად ყოფილა: „А как грузинской царевич с матерью своею был на Москве... ему честь была такова. что природному сыну царскому... за него может быть что царь выдаст дочь или сестру свою царевну, понеже он не пленены есть... а землю его царь не владеет; толко по его послушенству грузинским пишется в титуле к христианским потентатом, а к бусурманским не пишется“<sup>3</sup>.

ქართველი მეფის რუსეთის ქვეშევრდომობის შესახებ უფრო გარკვევით კოტოშინი ქვემოთ აღნიშნავს. ერთგან ავტორი იძ-

<sup>1</sup> Пелокуров, даსახ. ნაშრომი, გვ. 37, 41.

<sup>2</sup> М. Полневков. Посольство князя Мышенского и дьяка Клычарева в Кахетию, 1640—1643. გვ. 22.

<sup>3</sup> Котошихин, О России в царствование Алексея Михайловича. 1906. стр. 27.

ლევა ახსნას, თუ რატომ არ უწოდებს თავის თავს მოსკოვის მეფე ქართველთა მეფეს, როცა მას მიმოწერა აქვს თურქეთთან და ირანთან. აქ იგი აღნიშნავს, რომ ქართული სამეფოები უფრო ირანის ხელქვეითები და მორჩილები არიანო, ქართველ მეფეებს კი ჩვეულებად აქვთო, აღნიშნავს კოტოშინი: „а ис тех государств обычай писатися к царю (იგულისხმება მოსკოვის მეფე) себя низити, а его (მოსკოვის მეფე) пысити, и называтися холодами его, яко и в-ыных государствах обычай писати господина к господину, отдаючи себя слугою поволным, и они по тем их униженным писмам разумеют, будто и правда тому есть, что они вечные подданые, а то несть правда, потому что тех государств владетели живут таким обычаем, как межь границ королевского величества (იგულისხმება შვედეთი) и короля Полского и царя Московского живет Курлянской князь“<sup>1</sup>. კოტოშინი ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ფორმალური ქვეშევრდომი სხვა არის და ფაქტიური ქვეშევრდომი სხვა. ქართველი მეფეების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ფორმალურ ქვეშევრდომობას შეეფერება.

გარკვევით არ ვიცით, თუ როგორ მოგვარდა ლევან კახთა მეფესთან საქმე. ლევანის მიერ ხელმოწერილი „ფიცის წიგნი“ არ შემონახულა. ეს იმის თქმის უფლებას არ გვაძლევს, რომ, რაკი ფიცის წიგნი დაცული არ არის, ასეთი რამ არ არსებობდა. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვეკონდა, რომ არქივი გარკვეულ დროს დაზიანებულა. ლევანის მიერ ხელმოწერილი ფიცის წიგნი რომ უნდა არსებულებოდა, ამაზე თითქოს უნდა მიგვითითებდეს მიხეილ რომანოვის მიერ ბოძებული ზემოთ ციტირებული 1641 წლის წყალობის სიგელი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ სიგელში ფიცის წიგნზე გარკვევით ლაპარაკი არ არის. იქ მხოლოდ აღნიშნულია, რომ კახეთის მეფეებიდან პირველად ლევანი იყო რუსეთის მფარველობაში მიღებული იოანე IV-ის დროს. რუსეთი, როგორც აღნიშნეთ, მფარველობას ორი იურიდიული დოკუმენტით აფორმებდა. — „ფიცის წიგნით“ და წყალობის სიგელით. მიხეილ რომანოვის დოკუმენტში თუ ასეთი ვაფორმება იგულისხმება, მაშინ ანის შესახებ რატომ ერთზეუ მაინც არაფერი წამოცდათ ალექსანდრე კახთა მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკების დროს რუს ელჩებს, ან მათდამი განუყოფნილ ინსტრუქციებს? არც ისე დიდი დრო იყო ვასული ლევანის გარდაცვალებიდან, რომ კახეთსა და რუსეთსაც მივი-

<sup>1</sup> Колошихин. О России в царствование Алексея Михайловича. 1906, 39.

წყებოდნათ ასეთი ფაქტი. ანტიკომ საფიქრებელია, რომ მიხეილ რომანოვის წყალობის სიგელში უფრო ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ კახეთის მეფეს იოანეს დროს დახმარება აღმოეჩინა და შემდეგ, რაკი კახეთის მეფე ალექსანდრედან მოკიდებული, „ფიცის წიგნზე“ ხელმომწერი ქვეყანა იყო, რუსეთი კახეთის მფარველად ლევანის დროიდან მოიხსენიეს.

ამ აზრს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ „ფიცის წიგნზე“ ხელმოწერის პროცედურა არ შეიძლებოდა ისე მარტივად მოთავებულიყო. ამისათვის არ კმაროდა ლევანის ელჩებზე მოსკოვში გამოცხადება. „ფიცის წიგნის“ ხელმოსაწერად მოსკოვში ლევანის ელჩების მისვლის შემდეგ საკირო იყო, რომ მათ რუსეთის წარმომადგენლები გამოჰყოლოდა კახეთში და თან „ფიცის წიგნის“ გამზადებული ტექსტი წამოეღოთ, პირადად ლევანი ენახათ, ლევანს სათანადო რიტუალი შეესრულებინა და ხელი მოეწერა. ანის შემდეგ ლევანს მოსკოვიდან წყალობის სიგელი უნდა მოსვლოდა.

თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი წესი მხოლოდ მოსკოვის მეფეების თევჯორესა და ბორის გოდუნოვის დროიდან არსებობდა და იოანე IV-ის დროს იგი ჯერ კიდევ ასე ჩამოყალიბებული არ იყო, შემცდარი ვიქნებით.

რუსული „ფიცის წიგნის“ წარმოშობისა და მისი შინაარსის შესახებ ჩვენ ზემოთ საგანგებო საუბარი გვექონდა და ამის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ასეთი დოკუმენტები და მისი გაფორმების წესები რუსეთში XVI საუკუნეში კი არ შემუშავებულა, არამედ უფრო ადრე, XV საუკუნის მეორე ნახევარში, იოანე III-ის დროს. ასეთ საბუთებს მოსკოველი მთავრები აფორმებენ იმ რუს მთავრებთან, რომელთა მცირე სამფლობელოები შემდეგში მოსკოვის სახელმწიფოს განუყრელი ნაწილები შეიქმნენ.

ფიცის წიგნის წარმოშობა და რაობა სპეციალური საკითხია და საკმაოდ ვრცელი საკითხიც. ასე რომ, ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მაგრამ მაინც ნათელი რომ იყოს იოანე IV-ის დროისათვის ზემოთ აღწერილი „ფიცის წიგნის“ გაფორმების წესის არსებობა, ჩვენ შეგვიძლია 1554 წლის მაგალითი მოვიტანოთ და ამით დავეკაყოფილდეთ.

1554 წელს ჩერკეზთა მთავრები მოსკოვში იყვნენ და იოანე IV-ს ერთგულებასა და სამსახურზე ფიცი მისცეს, იმავე წელს ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ მათ თან გაჰყვა საგანგებო ელჩი ანდრია შჩეპოტევი. მას დავალებული ჰქონია: „правда их видети“. შჩეპოტევი მოსკოვში დაბრუნებულა და თავისი მისია შეუსრულებია: „Церкасы дали правду всею землею быти им не-

отступным от царя.. и служить им во веки как им государь повелит<sup>1</sup>. ეს ცნობა რუსულ მატიანეშია დაკული. იოანე IV-ის დროის ჩერქეზთა საქმეები, როგორც აღნიშნული იყო, არქივს ამ ემად დაკული არ აქვს, იგი დაღუპულა.

რუსულ მატიანეშივე გვაქვს ცნობა ლევან კახთა მეფის ელჩების მოსკოვში მოსვლისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ეს ცნობა ზემოთ მოტანილი გვექონდა და. იქ ადვილად შეინიშნება, რომ ლევანის ელჩებს საგარეო საქმეთა საგანგოდან საგანგებო დავალებით ლევან მეფესთან არავინ მოჰყვება. ლევანის ელჩები მარტო არ მოდიან. მემატიანეს აღნიშნული აქვს, რომ ამ ელჩებს გამოჰყვენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მსახური მიქაელი, კვიზიკელი ნიტროპოლიტი იოსაფე, ათონელი ეკლესიარხი თეოფანე და მისი მხლებლები.

ასეთი ცნობების მომწოდებელი მემატიანისაგან ჩვეულებრივ ნოვლენად ვერ მივიჩნევთ გულმაღვიწყობას. კახეთში რომ რუსი ელჩი გამოეგზავნათ, იგი მას უნდა მოეხსენებინა.

შესაძლებელია, რომ იოანე IV კახეთთან რუსეთისათვის ჩვეულებრივ ურთიერთობის დასამყარებლად ემზადებოდა, მას განზრახული ჰქონდა 1564 წლის შემდეგ ფიცის წიგნიც გაეგზავნა და კახეთის მეფე „ხელდებული“ გაეხადა. მაგრამ 1565 წლიდან დაწყებულმა ამბებმა შიგნით რუსეთში (ოპრიჩინინა) და ლივონიისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მარცხმა სიტუაცია შესცვალა, იგი შემდეგი დროისათვის გადაადებინა. შემდეგ კი თურქეთისა და ირანის ამოძრავებამ მდგომარეობა ისე შეცვალა, რომ კახეთში „ფიცის წიგნის“ გაფორმებისათვის ზრუნვას აზრი არ ჰქონდა და, როგორც ქვემოთ დავინახავი, თვითონ ლევან მეფე ამაზე არ დათანხმდებოდა.

ასეთ პირობებში, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ვახუშტის ცნობა რუსეთის რაზმის კახეთში ყოფნის შესახებ. საფიქრებელია, რომ იოანე IV-ს ხელსაყრელი პერსპექტივა დაუსახა ჯეკინსონმა კახეთისათვის მცირე დახმარების აღმოჩენით, მომავალში ამ ქვეყნის რუსეთის ხელქვევით მოქცევის შესაძლებლობის შესახებ. იმავე დროს, რაკი კახეთსა და რუსეთს საერთო მიზნებიც ჰქონდათ დაღესტნის მიმართ, რუსეთის რაზმი კახეთშიც რუსულ საქმეს ემსახურებოდა და უკეთესი და ხელსაყრელი პირობების მოლოდინში. „ფიცის წიგნის“ გაუფორმებლად, „მფარველობას“ უწევდა.

<sup>1</sup> Полн. собр. русск. летописей, т. VII, гл. 246. აგრეთვე იხ. Бел о - ж у р о в. Сноп. России с Кавказом. гл. XLIII.

მაგრამ განვიხილოთ როგორ მიმდინარეობდა და რით დასრულდა იოანე IV-ის დახმარება კახეთის მიმართ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ცნობიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ კახეთში მოსული რუსული რაზმი მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო. ეს რაზმი მეციხოვნე რაზმია. ვახუშტი წერს: „ამან ლევან წარუელინა და ითხოვა სპამისი მცველად ციხეთა კახეთისა, ამან (იოანე IV ი. ე.) მოუელინა და დაადგინა ციხეთა კახეთისათა რუსნი“. მოტანილ წინადადებაში ვახუშტის გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ლევან მეფის თხოვნა იოანე IV-ისადმი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მას მცირე მეციხოვნე რაზმით დაეხმაროს რუსეთი. საფიქრებელაა, რომ მოსკოვიდან გამოგზავნილი ამ მეციხოვნეთა გამოყენება კახეთს სხვა საქმეში თავისუფლად არ შეეძლო, ე. ი. ამ რაზმს კახეთში გარკვეული ამოცანა ჰქონდა მოსკოვიდან მოცემული და ეს ამოცანა დაღესტნის საწინააღმდეგო მოქმედებაში მდგომარეობდა. ამ რაზმის დიდ საქმეზე გამოყენება, მისი რიცხოვრები სიმცირის გამო, ალბათ არც შეიძლებოდა და, როგორც დავინახავთ, ლევანს არც გამოუყენებია იგი.

ერთგან ისეთი ცნობა გვაქვს დაცული, თითქოს რუსეთის ეს რაზმი ხუთასი ჯარისაგან შედგებოდა. ეს ცნობა პირდაპირი და უეჭველი არაა, 1589 — 1590 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრესთან მოსკოვიდან მოვიდნენ რუსეთის ელჩები: თავადი სვიმონ ზვენიგოროდსკი და დიაკი ანტონოვი. ელჩები თავიანთ საანგარიშო მოხსენებებში სხვათა შორის აგვიწერენ იმ მოლაპარაკებას, რომელიც მათ ალექსანდრე მეფის წარმომადგენლებთან ჰქონიათ, თუ რა პირობებში შეიძლებოდა რუსეთის დამხმარე რაზმი კახეთში გადმოსულიყო. რუსეთის ელჩები რაზმის გადმოსაყვანად კახელებისაგან ცხენებს მოითხოვდნენ. ალექსანდრეს რწმუნებულნი ამ პირობის მოსმენისთანავე ალექსანდრე მეფესთან წასულან და მალე დაბრუნებულთ — ელჩებისათვის განუცხადებიათ: „прежде сего здесь государевых казаков было пятьсот человек, а лошадей у них не было и те люди пеши шли же“<sup>1</sup>. მაშასადამე, კახელი მეფის წარმომადგენლები ისეთ ცნობას იძლევიან, რომ 1589 წლამდე კახეთში 500 კაზაკი ყოფილა. ეს ქვეითი ჯარის ნაწილია, როგორც ვნახეთ. მათ კახეთში გადმოსასვლელადაც კი ცხენები არ ყოლიათ.

ლევანის დროის რუსული რაზმი იგულისხმება აქ, თუ ამ ცნობაში სხვა დროს გადმოსულ რაზმზეა ლაპარაკი? ზვენიგოროდსკის სა-

<sup>1</sup> Белокуров. დასახ. ნაშრ. გვ. 210.

ანგარიშმა მოხსენებაში ერთი ცნობაა კიდევ დაცული კახეთში რუსული რაზმის მოსვლის შესახებ და, რაც მთავარია, ამ ფაქტს ადგილი ჰქონია 1589 წლის უწინარეს. ზვენიგოროდსკი რუსეთის ნეტეს ატყობინებს, რომ, როდესაც ისინი კახეთში იმყოფებოდნენ. კახეთში მათთან მოვიდნენ კაზაკები. ელჩი აღნიშნავს, რომ, სანამ იგი კახეთში მივიდოდა, ეს კაზაკები თერგის მიდამოებიდან თავისი ნებით სვიმონ ქართლის მეფესთან გადმოსულან და ცხრა თვის განმავლობაში იქ დარჩენილან, სვიმონი მათ თურმე არ უშვებდა. შემდეგ, როცა კაზაკებს გაუგიათ, რომ ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთის ხელქვეითი მეფეა და მალე ალექსანდრესთან რუსეთის ელჩები ეკლავ მოვლენ, გამოქცევიან სვიმონს და კახეთში მისულან. ალექსანდრეს ეს კაზაკები კავკასიონის ციხეებსა და გადასავალებზე დაუყენებია მცველებად, ზაფხულის განმავლობაში ისინი იქ ყოფილან, დაზამთრებისას, რაკი გზები კავკასიონში თოვლის გამო ისედაც დაიკეტა და საშიშროება აღარ იყო. ჩამოუყვანიათ კახეთში და აზნაურებისათვის დაურიგებიათ სარჩენად. როდესაც ზვენიგოროდსკი კახეთში მისულა, კაზაკები მასთან გამოცხადებულან, ალექსანდრესთან სამსახურზე უარი განუცხადებიათ და რუსეთში დაბრუნება მოუწადინებიათ<sup>1</sup>.

ზემოთ მოხსენებული 500 კაზაკია ეს, თერგიდან სვიმონ მეფესთან გადმოსული და შემდეგ კახეთში ალექსანდრესთან დროებით სამსახურში მყოფი, თუ არა? ჩვენს ხელთ არსებული ცნობებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეს ხუთასი კაზაკი სხვაა. ქართლიდან კახეთში გადმოსული კაზაკების შესახებ ზვენიგოროდსკი წერს, რომ რაკი კახეთში ჩვენი მისვლის შემდეგ კაზაკებმა ალექსანდრესთან სამსახურზე უარი განაცხადეს, მათ ჩვენ ელჩები ვინახავდითო. წარმოუდგენელია, რომ ელჩებს 500 კაცის შენახვა შეძლებოდათ მთელი ზამთრის განმავლობაში. მოხსენებიდან ჩანს, რომ მათი რიცხვი მეტად მცირეა. ამას გარდა, 500 კაზაკის შესახებ ელჩებთან საუბრის დროს ალექსანდრე მეფის წარმომადგენლები ისე მსჯელობენ, რომ ეს რაზმი ელჩების მოსვლამდე იყო კახეთში: „преже сего здесь государевых казаков было“. ხოლო სვიმონის ქვეყნიდან გადმოსული კაზაკები იმ მოლაპარაკების დროს იქვე ზვენიგოროდსკისთან იყვნენ. მაშასადამე, ეს ხუთასი კაზაკი სხვა რაზმია. როდის უნდა იყვნენ ისინი კახეთში გადმოსული? ზემოთ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ისინი იმ კაზაკთა რაზმის უწინარეს უნდა იყვნენ კახეთში მოსული, რომელ-

<sup>1</sup> Б е л о к у р о в. დასახ. ნაშრ., გვ. 125—126.



ნიც სვიმონ მეფის სამფლობელოდან გადმოსულან. ეს უკანასკნელნი კი 1589 წელს კახეთში არაან. ისინი ამის უწინარეს მოსულან კახეთში ზვენიგოროდსკის განცხადებით, ელჩების მისვლამდე ერთი ზაუხულის განმავლობაში ალექსანდრე მეფეს კაზაკები ციხეებში ჰყავდა მეციხოვნეებად. მაშასადამე, ისინი კახეთში 1588 წელს უნდა მოსულიყვნენ. ამ წლამდე კი ქართლში სვიმონ მეფესთან ყოფილან 9 თვის განმავლობაში. ცხადია, რომ ეს კაზაკთა რაზმი 1588 წ. ან 1587 წ. წლის დასაწყისში უნდა გადმოსულიყო თურგოდან ქართლში.

თუ 500 კაცისაგან შემდგარი კაზაკთა რაზმი სვიმონ მეფის სამფლობელოდან გადმოსულ რაზმზე უწინარეს იყო საქართველოსა და კახეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს 500 კაზაკი კახეთში 1588 წელზე ადრე მისულია.

მაგრამ, რომ ისინი მაინც და მაინც ლევან მეფის დროს მოვიდნენ, ამისი გადაკრით ნტკიცება არ იქნება მართებული. თვით ის ფაქტი, რომ სვიმონ მეფის სამფლობელოში კაზაკთა ერთი რაზმი თავისი ნებით გადმოვიდა, აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ კატეგორიული ხასიათის მსჯელობისაგან თავი უნდა შევიკაოთ, ყოფილა შესაძლებლობა რუსეთის მეფის სანქციის გარეშე თავისუფალ ყაზახთა რაზმი კავკასიონს აქეთ გადმოსულიყო „ხაშოვარზე“, კაზაკებისათვის ეს დანახასიათებელი იყო. მაგრამ ერთი გარემოება თითქოს იმას გვაფიქრებინებს, რომ კაზაკთა ეს ხუთასეული თავისი ნებით გადმოსული არ უნდა იყოს. ალექსანდრეს წარმომადგენლები რუს ელჩებს ეუბნებიან, რომ კაზაკები მეფის განკარგულებით გადმოსულან: „*прѣз сего здѣся государевых казаков было 500 человек*“. რუსეთის ელჩებიც არ აღნიშნავენ, რომ ისინი თავისი ნებით გადმოსულან, ისინი მხოლოდ იმ განსხვავებაზე მიუთითებენ ალექსანდრე მეფის წარმომადგენლებს, რაც რუსეთში კაზაკსა და ე. წ. „მეთოფურებს“ შორის არსებობდა. კაზაკის უცხენოდ გამოგზავნა შესაძლებელიაო აღნიშნავს ზვენიგოროდსკი: „*Казак волной, живет на поле, а государево жалозанье им идет временем, как их ко государю служба будет, а не по вся годы; государевы стрельцы х казаком не применятца*“<sup>1</sup>.

ამ გარემოების ვათვალისწინების შედეგად არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს 500 კაზაკი ლევანის დროს მო-

<sup>1</sup> Белокуров, დასახ. ნაშრ. გვ. 210.

სული ის მეციხოვნე რუსული რაზმი იყოს, რომელზეც ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ცნობას<sup>1</sup>.

მაგრამ, ნუთუ ლევანს მეციხოვნე რაზმი ისე სჭირდებოდა, რომ მხოლოდ ამისათვის ევედრებოდა ჯეკინსონს რუსეთისაკენ გზის სწავლებასა და თავის ელჩებსაც მოსკოვში ამ რაზმის გამოთხოვას ავალებდა?

არ არის საფიქრებელი, რომ ლევანმა ასეთი მარტივი გეგმა დაისახა. მას უფრო ფართო გეგმები უნდა ჰქონოდა, ქართველი მეფის შიკრიკს ჯეკინსონთან სხვა ხასიათის საუბარი აქვს. ჯეკინსონის გადმოცემით, შიკრიკი მას მიუთითებდა იმ მდგომარეობაზე, რომელიც ირანის და თურქეთის ძლიერებამ შეუქმნა ქართველ მეფეს. მას უფრო ამ ორი დიდი სახელმწიფოს პრობლემა აწუხებდა. დალესტინის საკითხი, საერთოდ, ლევანის დროს ისე მწვავედ არ იდგა, როგორც ალექსანდრე მეფის დროს. ლევანი შამხალთან დამოყვრებული იყო. დალესტინის ცალკეულ ტომებთან, მართალია. მას ბრძოლები უხდებოდა, მაგრამ ეს არ იყო მისი ძირითადი უბედურება. მას თურქეთისა და ირანის საშიშროება ამოკმედებდა. მართალია, ირანის შემოსევების დროს ლევანის სამფლობელო გადაარჩა და მთელი უბედურება ქართლს დაატყდა თავს (ლევანი, როგორც ჩანს, ირანს დამორჩილდა); მაგრამ მალე თურქეთის საფრთხე წამოადგა თავს და, ასეთ პირობებში, იგი რადიკალურ საშუალებას ეძებდა. ასეთად მას რუსეთის სახელმწიფოს მფარველობა წარმოუდგა და ფრთხილად საამისო ცნობების შეკრება ცადა. არა გვგონია, რომ რუსი მეციხოვნეების მოსვლას ლევანი დაერწმუნებინა რუსეთის ყოვლისშემძლეობაში. მართალია, ეს რაზმი ლევანს კახეთში დაუტოვებია და საქმეც ჩაუბარებია, მაგრამ იმავე დროს მშვენივრად გარკვეულა კახეთის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში. რამდენად ძლიერად მიაჩნდა მას რუსეთი კავკასიონის მრდამოებში, ეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდანაც აშკარად ჩანს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

რამდენ ხანს დარჩა კახეთში რუსეთის მეციხოვნე რაზმი? ვახუშტი ბაგრატიონს ამის შესახებ პირდაპირ არაფერი აქვს ნათქვამი. მას მხოლოდ აღნიშნული აქვს, რომ თამაზ-შაჰის გაძლიერების შემდეგ, თვით ლევანმა გაუგზავნა რუსეთის მეფეს რუსი მეციხოვნეები. ზემოთ ჩვენ თეიმურაზ II და

<sup>1</sup> ზემოხსენებულ საკითხზე, კერძოდ იმაზე, რომ ლევან კახთა მეფის დროს „ფიცის წიგნი“ არ გაფორმებულა და რომ ივანე IV-ის დროს რუსეთიდან კახეთში გამოგზავნილი მეციხოვნე რაზმი 500 კახაკისაგან შედგებოდა, ამგვარივე მოსაზრება ჩვენგან დამოუკიდებლად გამოთქმული აქვს პროფ. ნ. ბერძენიშვილს თავის ნაშრომში— „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI—XVII საუკუნეგთა მიჯნაზე“ (იხ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1914 წ.).

ერეკლე II ელჩის სვიმონ ნაყაშვილის მოხსენებით ბარათზე შე-  
ვჩერდით და ამ დოკუმენტიდან მოვიტანეთ სათანადო ადგილიც, საი-  
დანაც ბუნდოვნად მოჩანდა ლევანის დროს რუსეთის რაზმის კახეთში  
გადმოსვლა. იქ, სხვათა შორის, ისიც იყო აღნიშნული, რომ რუსეთის  
რაზმი კახეთში შეიდ წელს იმყოფებოდა: „მოსახარებელი ჯარ-  
მისცა და შეიდი წელიწადი კახეთში იყო“. „შეიდი“ ქართველი  
ადამიანის გამოთქმაში შესაძლებელია ყოველთვის ნამდვილ  
შეიდს არ უდრიდეს, მაგრამ ზოგიერთი გარემოებანი გვაფიქრებ-  
ნებს, რომ დაახლოებით შეიდ წელზე მეტ ხანს რუსი მეციხოვნე-  
ნი კახეთში არ უნდა დარჩენილიყვნენ.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს დარჩა რუსეთის რაზმი  
კახეთში, დაკავშირებულია მეორე საკითხთან, სახელდობრ იმასთან,  
თუ როგორ დასრულდა ლევან კახთა მეფის და იოანე მრისხანეს  
ურთიერთობა XVI საუკუნის შესაბამე მეოთხეჯერ და რაოდენ ხანგრ-  
ძლივი იყო ეს ურთიერთობა?

მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ხანგრძლივობა ძირითადად  
მოსკოვ-თურქეთის დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული. ჩვენ  
აღნიშნული გვქონდა, რომ ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობის შემ-  
დეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა მწვავე ხასიათს ღებულობ-  
და. თურქეთი ასტრახანზე სალაშქროდ ემზადებოდა და თავის ვა-  
სალს, ყირიმის ხანსაც, აგულიანებდა.

1567 წლიდან განსაკუთრებით საგრძნობი ხდებოდა თურ-  
ქეთის აქტიურობა ამ მხრივ, მაგრამ ის გარემოება, რომ თურქე-  
თი ასტრახანს, ალების შემთხვევაში, თავის ახალ კანდიდატს სთა-  
ვაზობდა და ყირიმის ხანს ხელცარიელს ტოვებდა, რუსეთს სამშვი-  
დობო პირობებს უქმნიდა, რადგანაც ყირიმის სახანო, თურქეთით  
უკმაყოფილო, ახლა ხელს უშლიდა თურქეთს ასტრახანისაკენ გა-  
ლაშქრებაში. ხოლო, როდესაც თურქეთმა მაინც თავისი გაიტანა  
და ლაშქრობა მოაწყო, ყირიმის ხანმა ისეთი გზით წაიყვანა თურ-  
ქეთის ლაშქარი, რომ უწყლობისა და თავშესაფარის უქონლობის  
გამო, იძულებული გახდა თურქები უშედეგოდ უკან დაბრუნებუ-  
ლიყვნენ.

ყირიმის ხანი ორივე მხრით დაშინებული იყო, მას მოსკოვი-  
საც ეშინოდა და თურქეთისაც. მაგრამ რაკი ერთი საქმე მოაგვარა--  
ასტრახან-ყაზანის დაპყრობის საქმე თურქეთს ჩაუშალა, ახლა  
თურქეთს მოსკოვის სხვა სამფლობელოების დასარბევად და სა-  
ძარცვავად ეპატიჟებოდა და დიდ ნადავლს ჰპირდებოდა. ამით  
იგი რუსეთის შევიწროებასა და დასუსტებას ფიქრობდა. თურქეთიც  
ამის სამზადისში იყო.

როგორც ცნობილია. ყირიმის ხანების პოლიტიკა მიზანს აღწევდა XVIII საუკუნემდე, სანამ თურქეთის დასუსტებისა და რუსეთის გაძლიერების გამო ძალთა წონასწორობა არ დაირღვა.

ამ ხანად, როცა ყირიმ-თურქეთი მოსკოვის სამფლობელოებისაკენ სათარეშოდ ეშხადებოდნენ, რუსეთს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა. მაშინ რუსეთი ლივონიისათვის გაჩაღებულ დიდ ომში იყო ჩაბმული, შინაგანი მდგომარეობაც დამძიმებული ჰქონდა ე. წ. „ოპრიჩნინის“ გამო, ბოიარებთან ბრძოლა არც ისე მარტივი საქმე იყო. გლეხთა საკითხიც საშიშ ხასიათს ღებულობდა. ასეთ პირობებში ყირიმ-თურქეთის სათარეშოდ მზადება რომ შეიტყვეს, რუსეთის ხელისუფალი შიშმა მოიცვა. მოსკოვი თურქეთში ელჩებს გზავნიდა. საინტერესოა ამ ელჩებისადმი განკუთვნილი ინსტრუქციები („ნაკაზები“), რომელნიც 1570—1571 წლებს ეკუთვნიან.

ელჩ კუზმინსკის ვეალებოდა, იოანე IV სახელით სულთანისათვის განეცხადებინა: „Желая быть с тобою вперед в братстве и любви мы показали братский любви знамя: город с берега реки из кабардинской земли велели свести и людей своих оттуда свести в Астрахань“<sup>1</sup>. მართლაც, როგორც სხვა ცნობებიდანაც ვტყობილობთ. 1567 წელს აგებული მეორე სიმაგრე თერგზე მიტოვებულ იქნა და მისი გარნიზონი სხვა ნაწილებთან ერთად ასტრახანის ხაზზე დადგა.

მოსკოვის ხელისუფალი სულთანის გულის მოსაგებად 1570 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადის. ამავე დროს დაპირებას იძლევა. გზა გაუხსნას ასტრახანისაკენ მიმავალ თურქ ვაჭრებს და უზრუნველყოს მოსკოვის სამფლობელოში მაჰმადიანთა ხელუხლებლობა.

ეს მოვლენები არ შეიძლებოდა კახთა მესვეურებსა და ლევან მეფეს გამოპაროდა. ამის შემდეგ, თუ ლევანს რაიმე პერსპექტივა ჰქონდა რუსეთის ძლიერების გამოყენების, ის მას უნდა გაქარწყლებოდა და თავის ნაცადი პოლიტიკისათვის მიემართა, ირანს უნდა დამორჩილებოდა და ქვეყანა აოხრებისაგან მაინც ეხსნა. დაღესტნელების წინააღმდეგ რუსული რაზმის გამოყენებას ირანელი ბატონი აპატივებდა იმდენად, რამდენადაც დაღესტანი თურქული ორიენტაციის იყო. კახეთის რუსეთზე ორიენტაცია ირანისათვის სასიამოვნო მოვლენა არ იქნებოდა, მაგრამ ლევანს უნდა დაეძტვიცებინა შაჰისათვის, რომ კახეთი მისი ერთგული იყო. ამ

<sup>1</sup> Соловьев. История России... т. VI, წიგნი II, გვ. 233.

აზრს უნდა ადასტურებდეს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაში ერთი წინადადება: „გაძლიერდა რა შაჰთამაზ, წარგზავნა სპანი რუსნი რუსეთადღე და აუწყა გაძლიერება შაჰთამაზისა, რათა არა მოსწყდენ სპანი თქვენნი ქვეყანასა ჩემსაო“<sup>1</sup>.

ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ვახუშტ ბაგრატიონს ისე გულუბრყვილოდ ჰქონდა წარმოდგენილი დამხმარე ჯარის დანიშნულება კახეთში, თითქოს ისინი ომში არ უნდა მომკვდარიყვნენ. დამხმარე რაზმი, ცხადია, ომის შემთხვევას ითვალისწინებს, მაგრამ აქ ერთხელ კიდევ ჩანს რუს მეციხოვნეთა რიცხოვრები სიმცირე და, რაც მთავარია, მათი დანიშნულება. ეს რაზმი გათვალისწინებული იყო დაღესტანის და არა ირანის საწინააღმდეგოდ. ამას გარდა, ვახუშტის ზემოთ მოტანილი წინადადება ლევანის ორიენტაციის საკითხსაც შუქს ჰფენს. რუსული რაზმის რუსეთში გაგზავნა ირანის შიშით ამავე ირანისადმი მორჩილების და მასთან საერთო ენის გამონახვის დამადასტურებელი ფაქტია.

ლევანის ამ პოლიტიკის შესახებ, როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ მთლიანად ვემყარებით ვახუშტის ცნობას. მაგრამ არ ვიცით, რა ცნობას ემყარება თვით ვახუშტი ბაგრატიონი, როცა რუსეთის მეციხოვნეთა უკან გაბრუნების ინიციატივას ლევანს მიაწერს. იმ შემთხვევაში, თუ ვახუშტის წყაროში მხოლოდ მსჯელობა იყო რუსთა რაზმის რუსეთში დაბრუნებაზე, ჩვენ მაშინ მხოლოდ ვახუშტის პირად მოსაზრებასთან გვექნება საქმე.

არ არის საფიქრებელი, რომ თვით მოსკოვს გაეწვიოს თავისი რაზმი კახეთიდან თურქეთ-ყირიმის მუქარის გავლენით ისევე, როგორც ამას ჩრდილო კავკასიაში ჰქონდა ადგილი.

ჯერჯერობით ჩვენ საფუძველი არ გვაქვს ვახუშტის ცნობაში იქვე შევიტანოთ, კაზაკთა რაზმების გამო მოსკოვი არასოდეს პასუხისმგებლობას არ კისრულობდა, იგი თურქეთთან და ყირიმთან, შემდეგში ირანთანაც თავს იმით იმართლებდა, რომ კაზაკები ჩემი მორჩილი არ არიან და ჩემი კარნახით არ მოქმედებენო. კახეთიდან ამ რუსული რაზმის გაწვევას შეიძლებოდა რუსეთის პრესტიჟი კახეთში დაეცა კიდევ. კაზაკთა დამხმარე რაზმი ირანის გაძლიერების შედეგად აპიეკავკასიაში შექმნილ პირობებში მართლაც თვით ლევანს უნდა გაეგზავნა რუსეთში.

როდის უნდა მომხდარიყო ეს? ლევანი 1574 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, ამაზე უწინარეს, 1570—1571 წლებში

სავსებით გამოირკვა, რომ რუსეთი ჩრდილო კავკასიიდან უკან იხევს და ოვეანს ამ დროისათვის რუსეთიდან რაიმე დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. და თუ სვიმონ მაყაშვილის „შვიდიწელი რაიმე ცნობაზეა დამყარებული, 1565 წელს გადმოსული კახათა რაზმი 1571—1572 წლების შემდეგ კახეთში საგულეებელი არ არის.

XV—XVI საუკუნეების ცნობების განხილვის შემდეგ ვხედავთ, რომ მოსკოვის სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობა ფაქტიურად მოსკოვ-კახეთის ურთიერთობით შემოიფარგლა. მოსკოვთან სხვა ქართულ სამეფოების ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე კახეთის გარდა მოსკოვთან სხვა ქართულ სამეფოებს ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდათ. ამ დებულების წამოყენების დროს ჩვენ სრულიადაც იმას არ ვფიქრობდით, რომ ქართლს და იმერეთს გაჭირვება არ ადგა და რუსეთის ძლიერებით სარგებლობა მათ არ ესაჭიროებოდათ.

პირიქით, არსებული ცნობების მიხედვით ყველაზე უფრო შევიწროებული მდგომარეობა ქართლს ჰქონდა. ირანისა და თურქეთის თავდასხმები პირველ რიგში ქართლს ატყდებოდა თავს.

არც ისაა სადავო, რომ ქართლსა და იმერეთშიც კარგად იცოდნენ რუსეთის მართლმადიდებლური ქრისტიანობის ფაქტინაგრამ, ამის მიუხედავად, რუსეთთან იმერეთისა და ქართლის სამეფოების დაახლოების ცდა აღნიშნული პერიოდის წყაროებში აღწერილი არა გვაქვს. საფიქრებელია, ეს იმიტომაც მოხდა ასე, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობა რეალური ხასიათის ანგარიშიანობასთანაა დაკავშირებული. ამა თუ იმ სამეფოს მართო შევიწროებული მდგომარეობის ფაქტი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის ასახსნელად არ გამოდგება. ორ სამეფოს შორის ურთიერთობა საერთო ინტერესების არსებობას გულისხმობს, ამის მიხედვით ურთიერთობა მტკიცე შეიძლება იყოს და პირიქით.

მაგრამ არც მართო ინტერესთა ერთობლიობა განსაზღვრავს ურთიერთობას და ორიენტაციის საკითხს. ინტერესები შესაძლებელია ორ სახელმწიფოს შორის საერთო იყოს, მაგრამ ობიექტური პირობები ამ პოლიტიკური ერთეულების დაახლოებასა და კავშირს არარაციონალურად შეიძლება ჰქმნიდეს.

ურთიერთობის დამყარების ცდასაც კი წინ უნდა უსწრებდეს ისეთი მოვლენები, რომელნიც ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის

შესვეურებს თავისი გეგმის რეალიზაციის პერსპექტივას დაუსა-  
აავს.

რუსეთის ურთიერთობა შირვანთან და ირანთან, როგორც  
დავინახეთ, შემთხვევითი და ეპიზოდური ხასიათის არ ყოფილა.  
კასპიის ზღვის სანაპიროებისათვის მოსკოვის სახელმწიფოს ბრძო-  
ლა იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთი სასხეთაშორისო  
საკითხად არ თვლიდა ირანთან დაახლოებას.

ირანისაკენ მომავალ რუსეთს თურქეთის გავლენის ქვეშ მყო-  
ვი ყირიმი და დაღესტანი ელოებებოდა წინ. ამ დაბრკოლების გა-  
დალაზვას მოითხოვდა კასპიის ზღვაზე რუსეთის განოსვლის აუცი-  
ლებლობა. ეს გარემოება კი რუსეთს ჯერ თვით თურქეთთან და  
შემდეგ ირანთან დააჯახებდა. ამის შენიშვნა პოლიტიკოსისათვის  
ძნელი არ იყო.

რუსეთის ძლიერებისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ,  
პართალია, კახეთში სრული ცნობები არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ,  
რომ იგი დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, ეს კახელ პოლიტი-  
კოსებისათვის სადავო არ იყო. ირანისა და თურქეთის მეტოქე ძა-  
ლად ამ მხარეებში მხოლოდ რუსეთი შეიძლება წარმოედგინათ.

რუსეთის მიერ აღებული სამხრეთისაკენ წინსვლის გეზი იმერეთ-  
სა და ქართლს ძალიან შორს უვლიდა, კახეთს კი სწორედ გვერდზე  
ჩაუდიოდა. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, კახეთი უნდა დაეინტე-  
რესებინა. ამავდროს, სამხრეთისაკენ მომავალი რუსეთისათვის,  
თავის მხრივ, კახეთი სხვა ქართულ სამეფოებზე უფრო მიმზიდვე-  
ლი ჩანდა. ამ პირობებს, ერთად აღებულს, მოსკოვ-კახეთის ურთი-  
ერთობა უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ აქ ძირითადი პირობაა, თუ  
როგორ აფასებდნენ კახეთის მეფე და მისი თანგანმზრახნი რუსეთს  
როგორც თურქეთ-ირანის მეტოქე ძალას.

არ შეიძლება დავუშვათ, რომ ქართლის პოლიტიკოსებს რუ-  
სეთთან კახეთის ურთიერთობა გამოეპარათ, ისინი უდავოდ საქ-  
მის კურსში იყვნენ, მაგრამ უფრო ლოდინის ტაქტიკას ადგნენ.  
შესაძლებელია, რუსეთის ძლიერებას, როგორც თურქეთ-ირანის  
დამთრგუნავ ძალას, სკეპტიკურად უცქეროდნენ იმ პერიოდში.  
ასეთ ძალაზე დაყრდნობას არსებული მდგომარეობის გაუარესება  
რომ მოჰყვებოდა, მათთვის ეს აშკარა უნდა ყოფილიყო.

არსებული ცნობების მიხედვით, როგორც დავინახეთ, ლევან  
კახთა მეფეც ფრთხილად იქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ რუ-  
სეთი მის მახლობლად საფუძვლიანად საქმიანობდა.

მაშასადამე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომავალი ძლიე-  
რი რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკას XV—XVI საუკუნეებში

ქართველი პოლიტიკოსები თვალყურს უნდა ადევნებდნენ. კახეთს სხვა ქართულ სამეფოებზე უფრო ადრე დაესახა გეგმა ამ სახელმწიფოს ძლიერებით თურქეთ-ირანის მტკივნეული პრობლემის გადაჭრისა.

ამავე დროს, სამხრეთისაკენ მომავალი რუსეთი მის სამხრეთით მდებარე პოლიტიკური ერთეულების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ჰკრებდა და მათ შესაბამისად ამ სამეფო-სამთავროებთან კავშირს ამყარებდა.

საქართველოს შესახებ, რომ ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლებისათვის მიინც, ცნობები ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს,—ამის შესახებ ზემოთ სათანადო მასალებიც მოვიტანეთ კიდევ.

XV—XVI სს. რუსეთში საქართველოს წარსულიდან აღებული ამბავიც კი რუსულ ლიტერატურულ ნაწარმოებს დაედო საფუძველად. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსული თქმულება ივერთა მეფის ასულის დინარას შესახებ. ეს თხზულება მიზნად ისახავდა XV—XVI საუკუნეების რუსეთის ხელმძღვანელთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა გაემართლებინა. ამ იდეისათვის თამარ მეფის ხანის საქართველოს თავგადასავალი აიღეს დასამუშაველად. ეს გარემოება შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება. რუსეთის მოწინავე წრებისათვის საქართველოს საკითხი უცხო არ იყო.

ყოველივე ამით ნიადაგი შეუმზადდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1587—1604 წლებში და რომელნიც სათანადო ისტორიულ პირობებში თავისებურად განვითარდნენ მომდევნო საუკუნეებში.

ზემოთ მოცემულ კვლევებში შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: 1. ქართველ ისტორიკოსებს რუსების, ვარანგებისა და ქართველების ურთიერთმეზვედრის შესახებ XI საუკუნეზე ადრინდელი ცნობა არ დაუცავთ. ამ საუკუნის ცნობები ეკუთვნის სუმბატ დავითისძეს და „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობ ავტორს.

2. ქართველ ისტორიკოსთა ცნობით, XI საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველები და რუსები უშუალოდ პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის წამოჭრილი კონფლიქტის დროს. ქართული რაზმების დამარცხება ბიზანტიელებმა რუსთა მამული რაზმით უზრუნველყვეს (1022—1023 წწ.).

3. XI საუკუნის მეორე მეოთხედისათვის ქართველები უშუა-



ლოდ შეხედნენ „ვარანგებს“, როგორც ქართველი მეფის, ბაგრატ IV, დაძმმარე და მოკავშირე რაზმს.

4. XI საუკუნის პირველი ნახევრისათვის ქართულ ძეგლებში აღწერილი რუს-ვარანგ-ქართველთა პირისპირ შეხვედრის ფაქტიდან ცხადი ხდება, რომ ამ ხალხთა რაზმების შეხვედრა ბიზანტიის მეშვეობით ხორციელდება.

5. სომეხი ისტორიკოსების—სტეფანე ტარონელისა და არისტაკეს ლასტივერტელის—ცნობებით, ქართველები და რუსები პირისპირ შეხვედრიან ერთმანეთს ბიზანტიის ბანაკში 1001—1002 წლებშიც.

6. სომხური და ბიზანტიური ძეგლების ცნობებით, ქართველებისა და რუსების შეხვედრას ადგილი უნდა ჰქონოდა X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშიც (987-990 წლებში) ბასილ კეისარსა და ბარდა-ფოკას შორის გამართული ბრძოლის დროს. ბასილ კეისარს რუსეთის ცნობილი მთავრის ვლადიმერ სვიატოსლავისძისაგან გამოგზავნილი დამხმარე კორპუსი ჰყავდა, ხოლო ბარდა-ფოკას საუკეთესო რაზმი ქართველებისაგან შედგებოდა.

7. არაბული და სომხური ძეგლებიდან (იბნ-მისკაევიჰი, ნოსე დასხურანელი) ნათელი ხდება, რომ „რუსი“, როგორც გარკვეული ეთნიკური ცნება, ქართველებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო რუსული დამრბევი რაზმების მიერ X საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მეზობლად მყოფი ბარდავის ორგზის აღების შედეგად.

8. X საუკუნეში სრული შესაძლებლობა იყო შავიზელის გზით რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობისა, მაგრამ ამის დამადასტურებელი წერილობითი ცნობები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

9. რუსეთსა და რუსებს ქართველები ლიტერატურული გზითაც ეცნობიან. ეს გზაც ბიზანტიიდან მოემართება. XI—XII საუკუნეებში ქართველებისათვის „სკეითი“ „რუსის“ შესატყვისი ცნება იყო, ხოლო ამ ცნების ასეთი შინაარსით დაკვიდრება ძველ ქართულში ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის ზეგავლენით უნდა აიხსნას.

10. X—XI სს. ქართული ძეგლებისათვის უცნობი არ არის იმავე ბიზანტიის გზით შემოსული ცნება „სკლავი“-ც, მაგრამ არ ჩანს. ნარტო ბალკანეთზე მცხოვრებ ხალხად მიაჩნდათ ქართველებს სლავები, თუ დნებრელ რუსებსაც სლავების მონათესავედ თვლიდნენ.

11. ათონის მონასტრის ცნობილ აღაპების ნუსხაში მოხსენებული ათონის მონასტრის მღვდელაწე „იოანე რუსყოფილი“

წარმოშობით რუსი არ არის. „იოანე რუსყოფილი“ ნიშნავს იმას, რომ იოანეს ერის კაცობაში „რუსი“ ერქვა სახელად, ხოლო ბერად აღკვეციის შემდეგ მას იოანე ეწოდა. ამდენად, ამ ცნობაზე დამყარებული ქართველ მკვლევართა (ჯანაშვილი, ნაჭრად: ე. კირიონი) მოსაზრება, რომ ძველი რუსები ქართველთა ათონის მონასტერში მიდიოდნენ გასანათლებლად და ეპოველდებოდნენ, უსაფუძვლო მოჩანს, თუმცა ათონის მთაზე ჩაოჯვლები და რუსების მოწინავე ადამიანების შეხვედრის სრული შესაძლებლობა იყო XI საუკუნიდან მაინც. მაგრამ X—XI—XII საუკუნეებისათვის ამის დამადასტურებელი წერილობითი ცნობები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

12. რუსულ ძეგლებს X—XI საუკუნეებში ქართველებთან ოქსების ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა არ დაუცავთ, მაგრამ ქართულ-სომხური და ბიზანტიური წყაროებიდან ნათელი ხდება, რომ რუსებისათვის X—XI საუკუნეებში, ბიზანტიური გზით, ქართველები ცნობილი იყვნენ.

13. XII საუკუნის რუსული ძეგლები ქართველებს „ობებებს“ უწოდებენ. ბიზანტიური გავლენით ტერმინი „ივერიის“ დამკვიდრებაც იყო მოსალოდნელი ძველ რუსულში, მაგრამ XIV საუკუნემდე ოქსულში ტერმინი „ივერია“ იშვიათია. ასევე, ამავე საუკუნემდე ძველ რუსულში არ გვხვდება შემდეგში რუსულ ენაში დამკვიდრებული „გურზია“ — „გრუზია“.

14. XII საუკუნის ქართულ ძეგლებში „რუსი“ და „რუსეთი“ ოჯერ არის მოხსენებული. ერთი, თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებში თამარის პირველი ქმრის ამბავის თხრობასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე, გრ. ჩახრუხაძის თხზულებაში საბერძნეთისაკენ პოეტის მოგზაურობის აღწერის დროს.

15. თამარ მეფისათვის საქმროს შერჩევის საკითხი საქართველოს შინა-პოლიტიკურ მწვავე ბრძოლის დროს წამოიჭრა და ამდენად საქართველოში რუსი უფლისწულის მოწვევის საკითხი განხილული უნდა იქნეს ამ პოლიტიკური ბრძოლის ისტორიასთან დაკავშირებით.

16. თამარ მეფის გათხოვების საკითხი იმის შემდეგ დაისვა და გადაწყდა, როცა შინა-პოლიტიკური ბრძოლის ერთი ეტაპი დასრულდა და საქართველოს მეფე შეზღუდული მონარქი შეიქნა.

17. თამარ მეფის ქმრის უფლებებიც წინასწარ გათვალისწინებულ ჩარჩოებშია ნაყარაუდები დიდგვაროვანთა გაბატონებული წრეების მიერ. მეფის „მეფე ქმარი“ „სპათა და ლაშქართა“ სათავეში დგას, იგი საქართველოს მეფის „მართებათა“ და „განსაგებელთაგან“ ჯარის პატრონობას და მთავარ წინამძღოლობას ასრუ-

ლებს. კიდევ რა შედიოდა „მეფე ქმრის“ კომპენტეციაში, — ჯერ კიდევ გარკვეული არ არის.

18. „მეფე ქმარს“ საქართველოში საკუთარი გვარის—ახალი დინასტიის დამკვიდრების უფლება წართმეული ჰქონდა (ლაშა გიორგი თამარის ძედ იყო ცნობილი, ხოლო დავით ნარინი რუსულ-ანის ძედ).

19 თამარის საქმროს შერჩევის საკითხი მარტო სარწმუნოების საკითხი კი არ იყო, არამედ მწვავე შინა-პოლიტიკურ საკითხს უკავშირდებოდა და სათანადო კანდიდატი არც ისე მარტივად შესარჩევი იყო.

20. გიორგი უფლისწული ქართველი დიდებულების გარკვეული ნაწილისათვის, სხვებთან შედარებით, ყველაზე უფრო მიზიდველი და მისაღები შეიქნა: საყოველთაოდ ცნობილი დინასტიური შთამომავლობით (რიურიკი), მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებით. იმ დროს მისი უმამულობით, უყმობით და ყიფიანეთში ექსორიად მყოფობით. თვით გიორგი რუსი უფლისწულისათვის კი, საკუთარ მამულში (ვლადიმირის სამთავროში) დაბრუნების იმედის აღკვეთის შემდეგ, საქართველოს დიდებულთა გარკვეულ წრესთან შეთანხმება და შეზღუდულ მდგომარეობაში საქართველოს სახელმწიფოს „მეფის ქმრად“ ყოფნა უფრო მიზიდველი უნდა ყოფილიყო, ვინემ წარმართ ყიფიანთა შორის ექსორიად ყოფნა.

21. გიორგი რუსი უფლისწულის სასახლეში შეყვანის შემდეგ საქართველოს დიდებულთა ერთი ნაწილი გიორგი III-ისა და თამარის ერთგულ კუონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ანტონის გადაყენებასა და მის ნაცვლად სახელმწიფოს ამ უმაღლეს თანამდებობაზე თამარისა და მის მომხრე დიდებულთა დასის მოწინააღმდეგე მიქაელ პატრიარქის დასმას ახერხებენ. მექურქლეთუხუცესობაც თამარის მოწინააღმდეგე დიდებულს აბულასანს მიეზოძა. ამ შინა-პოლიტიკურ ბრძოლაში თამარის მეუღლე გიორგი თამარ მეფის მოწინააღმდეგეთა მხარეზეა. გიორგი რუსი უფლისწული და თამარ მეფე სახელმწიფოს დიდებულთა ერთიმეორის მოწინააღმდეგე სხვადასხვა დასს ეყრდნობიან.

22. გიორგი რუსი უფლისწულსა და თამარს შორის წამოჭრილი კონფლიქტი, რასაც გიორგის საქართველოდან გაძევება მოჰყვა, გაცილებით უფრო ღრმა საფუძველის მქონეა, ვინემ თამარ მეფის პირველი და მეორე ისტორიკოსები ცდილობენ მოგვაჩვენონ. გიორგი რუსი უფლისწულის ზნედაცემულობის შესახებ ცნობა გაზვიადებული ჩანს, ამისი დამადასტურებელი უნდა იყოს მის სასარგებლოდ მოწყობილი გრანდიოზული აჯანყების ფაქტი.

23. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით თამარ მეფის პირველი ქორწინების ფაქტს ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სიძეთ შემოსულ რუს უფლისწულს თვით არ ჰქონია რუსეთთან არავეითარი კავშირი. თითო-ორი ემიგრანტი ხალხთა ურთიერთობის საფუძველს არასოდეს არ ჰქმნიდა. რუსული მატრიანები გაცილებით მეტსა და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან XII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ვინემ ამავე საუკუნის ქართული წყაროები.

24. რუსულ ძეგლთაგან კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრება გვაწვდის ყველაზე ადრინდელ ცნობას ქართველებისა და რუსების კულტურული ურთიერთობის შესახებ. XI საუკუნის მიწურულს ქართველი ფერწერის ოსტატები, ბერძენ ოსტატებთან ერთად, კიევის ლავრის მთავარი ტაძრის მოსახატავად ყოფილან მიწვეული.

25. რუსული მატრიანის ცნობა კიევის დიდი მთავრის იზიასლავ მსტისლავისძის ქართველ მეფის ასულზე დაქორწინების შესახებ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ არა მარტო ამ ორი ქვეყნის დინასტიების დანათესაების ფაქტი, არამედ იმ დროს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული სამიმოსვლო გზა კიევი—დნეპრი—შავიზღვა და ამ ზღვის საქართველოს კუთვნილი სანაპიროები—როინით ბაშამდე—ქუთაისი, ლიხის გადასავალი—თბილისი.

26. ქართველი მეფის ასულის კიევის მთავარზე დაქორწინების ფაქტი იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ XII საუკუნეში საკმაო ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ საქართველოს სახელმწიფოს შესახებ რუსეთში და რუსეთის შესახებ საქართველოში. ეს ცნობები კი ქორწინების შემდეგ ერთი-ორად უნდა გაზრდილიყო.

ქორწინების შედეგად კიევსა და საქართველოს შორის ძვირფასი საქონლის, მზითვე-საჩუქრების სახით, გაცვლა-გამოცვლას უნდა ჰქონოდა ადგილი.

27. ვლადიმერ მონომახის მიერ ყივჩაყთა ტომის და მათი ბელადის „ოტროკი“-ს „ობზეთში“ განდევნის შესახებ რუსულ მატრიანეში მოთხრობილი ამბავი წარმოადგენს იმავე ფაქტის აღწუსხვას, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს მოთხრობილი ყივჩაყთა ტომის და მათი ბელადის ათრაქა შარალანისძის საქართველოში გადმოსახლების შესახებ.

28. საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებამდე ქართველი პოლიტიკოსები თვალყურს ადევნებდნენ და სწავლობდნენ, თუ რა ხდებოდა ყივჩაყთაში რუსი მთავრების, კერძოდ, ვლადიმერ მონომახის შემოტევების შედეგად.

ამ შესწავლის შედეგი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ბელადისათვის საქართველოში გადმოსახლების შეთავაზება და მისი სისრულეში მოყვანა.

29. XII საუკუნის რუსეთის მოწინავე წრეებიც საქმის კურსში იყვნენ, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ამის დასაბუთებას წარმოადგენს ვოლინელი მემატიანის თხზულებაში დაცული ცნობა საქართველოში ყივჩაყების გადასახლების შესახებ.

ვოლინელი მემატიანე XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ავტორია, მაგრამ იგი XII საუკუნის პირველი მესამედის რუსული ცნობით სარგებლობს.

30. თამარ მეფის საქმრო გიორგი უფლისწული რომ ყივჩაყეთში აღმოაჩინეს ქართველებმა, ეს შემთხვევითი ფაქტი კი არ არის, არამედ ყივჩაყეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგია. ყივჩაყეთი XII საუკუნეში მეორე „შუამავალია“ ბიზანტიის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის.

31. მონგოლთა ბატონობის ხანაში უმთავრესად ოქროს ურდოს ყაენის კარი წარმოადგენს იმ ადგილს, სადაც ქართველი და რუსი მოწინავე წრეები ერთმანეთს ხედებოდნენ და ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს ერთი-მეორეს აცნობდნენ.

32. რუსული ნარატიული ძეგლები ცნობებს გვაწვდიან XIV—XV საუკუნებისათვის საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ქართულ გადარჩენილ ძეგლებში კი რუსეთის შესახებ აღნიშნული საუკუნეებისათვის არავითარი ცნობები არ არის ჯერ აღმოჩენილი.

33. ქართველი მეფის, ალექსანდრეს, რუსეთში დაცული წერილის რუსული თარგმანი წარმოადგენს XV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის კახთა მეფის ალექსანდრე გიორგისძის წერილს. ალექსანდრე მეფის წერილის რუსული თარგმანი XVI საუკუნეში (მის პირველ მეოთხედში) გადაწერილი პირია და არა პირვანდელი XV საუკუნის თარგმანის დედანი.

34. XV საუკუნის სამოცდაათიანი წლებისათვის მოსკოვის სამთავროს და ქართულ სამეფოებს ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ როგორც ირანში გამგზავრებული რუსეთის ელჩის საქართველოში მოგზაურობის, ისე მოსკოვის სამთავროს შემახასთან ურთიერთობის შედეგად.

37. ქართველი მეფის მიერ მოსკოვში წერილისა და ელჩების გაგზავნა მიზნად ისახავდა რუსეთის ახლად გაძლიერებულ სახელმწიფოსთან დიპლომატიურ ურთიერთობის დაწყებას, ამის დამადასტურებელია წერილში დაცული გამოთქმა „Вашего здравия отведати“.

36. რუსულ მატრიანეში 1492 წლის თარიღით მოხსენებული ქართველი მეფის ელჩის მოსკოვში მისვლის ფაქტი და ალექსანდრე მეფის წერილში მოხსენებული ელჩობა ერთი და იგივე ფაქტის აღმნიშვნელი ცნობები უნდა იყოს. ელჩების სახელების სხვაობა კოაფიკულ ნიადაგზე აღმოცენებული შეცდომითაც შეიძლება აიხსნას.

ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელების ცნობა XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შესახებ მართებულად არ ასახავს სინამდვილეს, ფაქტები დამახინჯებულად წარმოდგენილია. ამ მხრივ მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას უნდა დაეყონდნოს

36. ქართულ-რუსული და ინგლისური წყაროების ცნობების დაკვირვების შედეგად დადგენილად უნდა ჩაითვალოს იოანე IV-ის (იოანე ხანის) დროს, 1565—1571 წლებს შორის, რუსეთისა და კახეთის მეგობრული ურთიერთობის ფაქტი. კახეთის ციხეებს 7 წლის განმავლობაში რუსეთიდან გამოგზავნილი კაზაკების რაზმი იცავდა. ამ საბეფოთა ასეთი დაახლოება ორივე ქვეყნის ინტერესების დათხევით იყო განპირობებული. თურქეთისა და ირანის შემოტევების შედეგად ურთიერთობა რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის 1586 წლამდე შეწყდა.

39. 1586 წლიდან საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა განახლდა, მაგრამ იგი მომდევნო წლებში წარიმართა სხვა პირობებსა და ვითარებაში.

---

## პირთა სახელგების საძიებელი

ა

- აბას I (სპარსეთის შაჰი) 241, 288  
აბდულ ლეტიფი (ყაზანელი ხანი) 298  
აბდულა ხანი (შემახის მფლობელი) 280, 281  
აბრამოვიჩი დ. ი. 60  
აბულასანი (ქართლისა და თბილისის ამირა) 70, 76, 77, 91, 96, 97, 98—103, 107, 126, 130, 136, 137, 141, 143 — 157, 159, 161 — 163, 169, 329  
აბულაძე ილია (პროფ.) 15, 20, 39 — 41  
აბულაბტარის-ძე მგელა 206  
აბუსერი (არტანუჯელი ერისთავი) 23 — 26, 32, 35, 39, 40  
აბუხარაბას შვილიშვილი 13  
აგათია (ბიზანტ. ისტ.) 18  
ადარნასე კურაპალატი 12  
ავაგ ათაბაგი 103, 104, 204, 205  
ავგაროზ ბანდაის-ძე (ხუცესი) 216  
ავთანდილ (ფეფხის ტყაოსნ. გმირი) 171  
ათაბაგი განძისა 132, 139, 140  
ათანასე თბილელი (ქართლ-კახეთის ელჩი) 287, 288, 289  
ათრაქას ვაჟიშვილები (ყივჩაყი) 199  
ათრაქა შარალანის-ძე (ყივჩაყთა მთავარი) 174, 193 — 200, 330  
აკოლუფი მიხეილ 36, 37  
აკოპიანი ვ. (პროფ.) 157  
ალექსანდრე ბაგრატიის-ძე (იმერთა მეფე) 239, 243, 244, 246  
ალექსანდრე I გიორგის-ძე (კახთა მეფე) 5, 235—251, 257, 258, 260, 261, 264, 266, 331, 332  
ალექსანდრე I დიდი 238, 239  
ალექსანდრე თეიმურაზ I-ზე 310  
ალექსანდრე II ლევან კახთა მეფის-ძე 241, 242, 247, 269, 293, 308, 312, 313, 315, 317, 318  
ალექსანდრე მაკედონელი 201  
ალექსანდრე ნეველი 209  
ალექსი ბერძენთა მეფის ძმისწული 64, 80  
ალექსი მიხეილის-ძე (რუსეთის მეფე) 283, 313, 314  
ამარტოლი გიორგი 59  
ამირ-ქურდი ვაჰრამის-ძე არწრუნა 142, 143, 145, 149, 151, 153, 154, 156, 157, 162, 164  
ანბალი (ოსი, ანდრია ბოგოლიუბსკის მკვლელი) 95, 143, 163, 170  
ანდრია ბოგოლიუბსკი (როსტოვ-სუბდალის მთავარი) 70, 89 — 91, 93 — 96, 100, 143, 163, 164, 170, 183, 184  
ანდრია მოციქული 126, 145, 147  
ანდრია სალოსი 53, 54  
ანთაძე ვლ. (პროფ.) 217  
ანტონ გლონისთავის-ძე (ქყონდ.ად. მწ. უხუცესი) 115, 118 — 122, 124 — 127, 129, 130, 133, 137, 148, 329  
ანტონ გლონისთავის ძის ორი ძმა 115, 124  
ანტონოვი დიაკი (რუსეთის ელჩი) 317  
ანტონ ქუთათელი 134, 135  
ანტონი კიევის მონასტრის მამა 50, 61 — 64, 66  
არისტაკეს ლასტივერტელი 8, 9, 14, 327  
არისტოვ ნ. 106, 192, 199  
არსენი ტვერელი ეპისკოპოსი 60  
არსენი ფარსმანყოფილი 47  
არსენი ჯყონდ. მწიგნ. უხუცესი 206  
არღუნ იორიდი 212  
ასათ გრიგოლის-ძე 117  
ასოლიკი (იხ. სტეფანე ტარონელი)  
აჰარიანი აკად. 166  
ახალციხელი ივანე 154

ბაბუი (ინდოელი მფლობელი) 297  
 ბაგოატ III 11 — 13, 17  
 ბაგოატ IV 22—28, 30, 33—39, 41—  
 44, 327  
 ბაგოატ V 47, 48, 256  
 ბაგოატ მუხრან-ბატონი 269 — 272  
 ბაგოატონი ვახუშტი (იხ. ვახუშტი)  
 ბადურბი (დავით VI ძმა) 219  
 ბახილევინი კ. ვ. პროფ. 234, 255, 263  
 ბათო ყაენი 103, 104, 204 — 206, 206,  
 212, 213, 218, 223, 233,  
 ბაიახეთ II (თურქეთის სულტანი) 249,  
 250  
 ბაოაქა (ყივჩაყი) 109  
 ბარბარო იოსაფატ (იტალიელი მოგზ.)  
 255 — 257  
 ბარდა-ფოკა 8, 15, 327  
 ბარსელი ახაატის ეპისკოპოსი 144, 161,  
 162  
 ბასილ ეხოსმოდღვარი 55, 69 — 71, 74,  
 78, 79, 81, 83, 92, 110, 113, 114,  
 121, 123, 124, 125, 129, 133, 145,  
 161, 162  
 ბასილი ქართლის მთავარეპისკოპოსო-  
 ვილი 77, 137, 144, 147—150, 161 —  
 163  
 ბასილი ვახეყოფილი 47  
 ბასილ II (ბიზანტიის კეისარი) 7 — 12,  
 15, 327

გაბრიელ ონოპენტრეს-ძე 11, 13  
 გამრეკელი თორელი 121, 125, 126, 166  
 განჯელი კვირიაკე 144  
 გარსევანიშვილი ალექსანდრე (პედაგოგი)  
 ნ. ს  
 გეგეშიძე მ. დოც. 17  
 გერბერშტეინი (ბარონი ავსტრიის ელჩი)  
 240, 291  
 გეომანტი შიტოპოლიტი 303  
 გიორგი აბაზყოფილი 46  
 გიორგი ანდრია ბოგოლიუბსკის-ძე 5,  
 54, 55, 69, 73 — 82, 84, 88 — 103,  
 106 — 111, 113 — 122, 124 — 134,

ბაქრაძე დიმიტრი 5, 10, 24, 38, 151,  
 258, 328  
 ბალეუვაში (იხ. ლიპარიტ)  
 ბელოკუროვი ს. 5, 236, 239, 240 — 242,  
 244, 253, 255, 258 — 262, 269, 284,  
 286, 287, 291, 308, 309, 313, 316 —  
 318  
 ბელსკი 303  
 ბერი ეგნატაშვილი 47, 48, 225, 226  
 ბერი მღვიმელი 203  
 ბერძენიშვილი ნ. აკად. 3, 6, 34, 37 —  
 43, 248  
 ბერძენიშვილი მაქსიმე დოც. 35  
 ბერუა ყაენი 213  
 ბესარიონ კარდინალი 263  
 ბესტუჟევე-რიუმინი ა. პ. (მინისტრი) 288  
 ბირიბეი (სპარსეთის ელჩი) 241  
 ბირკინი (რუსეთის ელჩი კახეთში) 313  
 ბონიკ (ყივჩაყთა მთავარი) 194  
 ბორის ჟიდისლავის-ძე (სარდალი სუხდა-  
 ლის სამთავ.) 93, 94  
 ბოცო სამეცხის სპასალარი 33, 116, 134,  
 135  
 ბრიკე 240  
 ბროსე მ. 5, 10, 25, 88, 107, 108, 184,  
 245, 261, 262, 265  
 ბურგუნდიის ჰერცოგი 254  
 ბუტკოვი 5, 183, 184

136, 138, 139, 141 — 144, 147, 154,  
 155, 162 — 165, 167, 163, 202, 328,  
 329, 331  
 გიორგი ბრწყინვალე 218, 219, 223  
 გიორგი იზიასლავის ბიძა 176  
 გიორგი I 7 — 10, 36  
 გიორგი III 71, 72, 102, 113, 119, 120,  
 147, 158, 157, 164, 165, 167, 172,  
 176, 177, 183, 329  
 გიორგი VI 180, 187, 230, 231, 247  
 გიორგი-ავგიორგი (ქართლის მეფე) 269 —  
 271, 274  
 გიორგი ბატონიშვილი (ბაგრატ V-ძე) 47



გიორგი ლაშა (იხ. ლაშა გიორგი)  
 გიორგი მთაწმინდელი 50, 52, 54 — 56,  
 206, 207  
 გიორგი ხუცეს-მონაზონი 50, 56, 206  
 გიორგი კუონდიდელი მწიგნ. უხუცესი  
 193  
 ვლემ (ყივჩაყი) 109  
 ვლინსკი (მფლობ. მთავარი) 303  
 ვოდუნოვი ბორისი (ბოიარი—მეფე) 315  
 ვოლუბინსკი ე. პროფ. 50  
 ვოტიე აკად. 280, 281

დ

დადიანი ვ. (იხ. ვარდან დადიანი)  
 დავით აბულასანის-ძე 136, 146, 147,  
 169  
 დავით აღმაშენებელი 43, 71, 113, 159,  
 173 — 176, 182, 183, 185 — 188,  
 193 — 201, 330, 331  
 დავით გარეჯელი 156  
 დავით დემეტრე I-ძე 172, 176  
 დავით თეიმურაზ I-ძე 313  
 დავით კურაპალატი 11 — 13  
 დავით ლაშა გიორგის-ძე 86, 87, 205,  
 208, 209  
 დავით VI 218, 219  
 დავით ნარინი რუსუდანის-ძე 85 — 88,  
 140, 205, 206, 203, 209, 329  
 დავით სომეხთა მეფე 23  
 დავით სოსლანი 81 — 85, 124, 127, 130,  
 142 — 144, 155, 162, 164, 163, 169,  
 173  
 დავით ქართლის მეფე 269 — 271, 273,  
 290

გრეკოვი ბ. დ. აკად. 52, 103, 191, 211,  
 213  
 გრენი 6  
 გრიგოლ არტანუჯელი ერისთავი 31  
 გრიგოლია კონსტანტინე დოც. 47. 48  
 გრიგორ მოძღვარი სანაინელი 165  
 გრიგოლ ხანძთელი 113  
 გუზან ტაოელი 33, 82, 83, 116, 133,  
 134, 136  
 გუზანდუხტ დედოფალი 193, 196 — 198  
 გურგენ მეფე 11 — 13  
 გუიუქ ყაენი 205, 209

დავით ქობარიელი 157  
 დამიანე (ქახეთის ელჩი რუსეთში) 237,  
 244, 245, 246, 251, 266  
 დანიელი (ყივჩაყი) 109  
 დასხურანელი მოსე 19, 327  
 დემეტრე უფლისწული (ბაგრატ IV ძმა)  
 23, 25—30, 35, 36, 43  
 დემეტრე I 172 — 176, 180, 185 — 187  
 დემნა ბატონიშვილი 71, 147, 157  
 დიაკონოვ მ. 297 — 299, 304, 306  
 დიმიტრი დონელი 219, 225  
 დიმიტრი წმ. 57, 58  
 დინარ დედოფალი (რუსული თქმულების  
 გმირი) 240, 326  
 დეკტი ჯეფერი (ინგლისელი ვაჭარი)  
 232  
 დოღგორუკეზი (მხარგრძელები) 162  
 დოღგორუკი სარგისი 156  
 დონდუა ვარლამ პროფ. 123  
 დუმანუჯუა (ჩერქეზთა ბატონი) 309

ე

ევნატაშვილი ბერი (იხ. ბერა ევნატა-  
 შვილი)  
 ედუარდის არტური (ინგლისელი ვაჭა-  
 რი) 232  
 ელენე დედოფალი (ლევან მეფის დედა)  
 270  
 ელია (აბულასან ამირას ძმა) 147  
 ელისაბედ I 259  
 ემინი 11, 20

ეპიოპი- (ყივჩაყთა მთავარი) 103, 176  
 ეპიფანე 53  
 ერეკლე II 257 — 269, 321  
 ერემიანი ს. პროფ. 141, 143 — 145, 149,  
 150, 151, 153, 155 — 168, 170  
 ერისთავი ქსნისა 270, 271  
 ეფროსინე (იზიასლავ კიევის დედა) 133  
 ეჭვითმე მთაწმინდელი 51, 53, 56, 57,  
 67, 207

ვარამ მხარგრძელი 84  
 ვარდან დადიანი 117, 127, 133, 134, 136, 138, 162  
 ვასილ I (მოსკოვის მთავარი) 225  
 ვასილ II (იხ. ბასილ II ბიზანტიის კეისარი)  
 ვასილ III (მოსკოვის მთ.) 274, 275, 287, 297 — 299, 305, 307  
 ვასილევსკი ვ. აკად. 8, 9, 15, 16, 24 — 28, 30 — 33, 36, 43, 44, 54  
 ვახტანგ დავით აღმაშენებლის-დე 176  
 ვახტანგ უფლისწული (დავით VI ძმა) 218  
 ვახტანგ VI 10, 208, 245, 266, 267, 270 — 274, 289  
 ვახუშტ ბაგრატიონი 8, 10, 23, 24, 34, 38, 41, 76, 151, 152, 172, 266, 287, 270 — 273, 277, 283, 287, 289, 292,

316, 317, 323, 332  
 ვლადიმერ ანდრიას-დე (რუსი მთავარი) 177, 181, 182  
 ვლადიმერ იაროსლავის-დე (რუსი მთავარი) 27  
 ვლადიმერ მონომახი 103, 176, 179, 183, 189 — 195, 199 — 201, 330  
 ვლადიმერ სვიატოსლავის-დე (კიევის დიდი მთავარი) 8, 15, 53, 327  
 ვოლინელი მემტიანე 189, 192 — 195, 199 — 201, 331  
 ვოლკონსკი (რუსეთის ელჩი) 309, 311  
 ვორონოვი პროფ. 65, 66  
 ვოროტინსკი (მთავარი) 303  
 ვოსკანიანი ვასკენ დოც. 265  
 ვსევოლოდი დიდი ბუღე (როსტოვ-სუზდალის მთ.) 95, 96, 143, 163  
 ვსევოლოდ ტრუბჩევსკი (მთავარი) 107

## ზ

ზანჯან ზორაბაბელი 70, 78, 109  
 ზაქარია მხარგრძელი 83, 84, 121, 142, 144, 143, 157 — 159, 163, 164, 166, 168, 169  
 ზაარიდები 158

ზებედე არქიეპისკოპოსი 248  
 ზენიგოროდსკი ს. 317, 318  
 ზონარა (ბიზანტ. ისტორიკოსი) 8  
 ზურაბიშვილი ალიმბი პროფ. 111

## თ

თამაზ შაჰი 276, 283, 291, 323  
 თამარ მეფე 5, 6, 33, 54, 56, 69 — 71, 73 — 76, 78 — 84, 87 — 89, 92, 96, 98, 99, 102, 103, 106 — 119, 122 — 124, 126 — 135, 137 — 141, 143, 144, 147, 152, 154, 156, 157, 159 — 169, 172, 173, 180, 184 — 186, 202, 326, 328 — 331  
 თამარ დავით აღმაშენებლის ასული 173—175, 186  
 თამარ რუსუდან მეფის ასული 186, 187  
 თამარაშვილი მ. 230  
 თაყაიშვილი ექვთიმე აკად. 30, 34, 77, 101, 126, 144, 146, 147

თეოდორე ივანეს-დე (რუსეთის მეფე) 243, 308, 315.  
 თეოდორე კათალიკოსი 129, 135, 145  
 თეიმურაზ I 247, 283, 306 — 313  
 თეიმურაზ II 287, 289  
 თელაყე 53, 56  
 თემურ-ლენგი 47, 219 — 222, 225, 228  
 თემურყვა (ჩერქეზთა ბატონი) 279  
 თეოდოსე კიევის მონასტრის მამა 61 — 64, 66  
 თეოფანე ათონელი ეკლესიარზი 277, 316  
 თინათინ დედოფალი (ალექსანდრე II კახთა მეფის მეუღლე) 269  
 თმოგველები 157 — 159  
 თუბის (ჩინგიზის-დე) 203, 204, 211, 212

იაკობ (ლევან მეფის ელჩი რუსეთში) 278  
 იაკობ (წმიდ.) 92  
 იაკოვლევი (ბოიარი) 203  
 იაკუბოვსკი ა. პროფ. 20, 21, 211, 213  
 იამა (მონგოლთა სარდალი) 204  
 იალოპოლკი (რუსეთის მთავარი) 192 —  
 194, 199  
 იაროპოლკი (ყივჩაყი) 109  
 იაროსლავ სუზდალელი 208  
 იაფეტო (ბიბლიიდან) 56. 5ა, 59  
 იაყუბ-ყაენი 260  
 იბნ-ალასირა 20  
 იბნ-მისყაევიჩი 20, 21, 327  
 იგორი კიევის დიდი მთავარი 16  
 იგორი ნოვგოროდსევერსკის მთავარი  
 107  
 იეველევი ალექსი (რუსეთის ელჩი) 303  
 იენე აზალციხელი 154  
 იენე ლიპარიტის-ძე 32, 33  
 იენე მხარგრძელი 83, 84, 139, 142,  
 144, 157—159, 163, 164, 166, 168  
 იენე ორბელი (სპასკეტი) 157  
 იენე ცინისჯუარელი, რომელსა ყუარ-  
 ყუარეცა ეწოდების 33  
 იხაბელა უსანეთის დედოფალი 262.  
 264  
 იხიასლავ მსტისლავის-ძე (კიევის მთა-  
 ვარი) 5, 171 — 173, 175 — 185, 187,  
 188, 201, 330

ინგოროვუა პავლე 153, 155, 156  
 იოანე კალიტა 218  
 იოანე III (მოსკოვის მთავარი) 231, 234,  
 239, 246, 250, 252, 253, 256, 261 —  
 264, 266, 275, 279, 301, 303, 304  
 იოანე IV (ოუგეთის მეფე) 256, 267,  
 269, 276, 277, 280, 281, 283 — 286,  
 289, 291, 303, 304, 314 — 317, 321,  
 322, 332  
 იოანე ვარდანის-ძე (სუანთა ურათავი)  
 147  
 იოანე თეალომიკელი 53  
 იოანე მთაწმიდელი 51, 207  
 იოანე რუსყოფილი 45, 47, 49, 127, 134  
 იოანე ონოპენტრუს-ძე 11, 13  
 იოანე უიშვიშვილი 155  
 იოასაფე კვიციელი მიტროპოლიტი 277,  
 316  
 იობი აბულასან ამირას მამა 136, 146,  
 147, 149, 153  
 იობი პავლე (მოგზაური) 257  
 იოვანეს წინამძღვარი (სანაინელი) 135,  
 167  
 იოსელიანი გ. (წყალტუბოელი) 6  
 „იური ბოგოლიუბსკი“ (იხ. გიორგი ააღ-  
 რიას-ძე)  
 იური (ყივჩაყი) 109  
 იური დოლგოროუკი (როსტოვ-სუზდალის  
 მთავარი) 89, 103

კალანკატუელი მოსე 19, 20  
 კაკაბაძე სარგის პროფ. 81, 87  
 კანბულატი (ჩერკეზთა ბატონი) 306  
 კანკლიჩი (ყაბარდოელი ელჩი რუსეთში)  
 284  
 კარამზინი 184, 236, 241, 255, 258  
 კარბელაშვილი კ. 54  
 კარიკაშვილი დავით 5  
 კასიანე კიევის მონასტრის ბერი 60  
 კატა დავით აღმაშენებლის ასული 173—  
 175  
 კახაბერ ვარდანის-ძე 126, 147  
 კახაბერთა შვილები 116, 122, 124,, 125

კდრენე (ბიხანტ. ისტორიკოსი) 4, 9,  
 27, 29, 36  
 კვირიაცე განჯელი 144  
 კველიძე კ. აკად. 33, 53 — 57, 67, 69,  
 70, 72, 76, 80 — 82, 105, 114, 116,  
 117, 131, 138, 146, 172, 173, 175-  
 177, 185  
 კირიონ ეპისკოპოსი 5, 45, 46, 48, 50,  
 52, 328  
 კლარკი ედუარდი (ინგლისელი ვაქრის  
 მსახური) 279, 280  
 კლიუჩევსკი ვ. ო. 303  
 კლიუჩარევი დიაკი (ელჩი) 283

კონსტანტინე (რუსი ყარაყო-  
ღუმში) 209  
კონტარინი ამბროსი (ვენეციელი ელჩი)  
254 — 257  
კონსაკი (ყვიჩაძეთა მთავარი) 189, 190,  
240  
კონსტანტინე I (ქართლის მეფე) 262,  
254

კოპალიანი ვასილ დოც. 37, 43  
კოსტომაროვი ნ. 178, 207  
კოტოშინინი გრ. 313, 314  
„კრესტინა“ (თეიმურაზ I მეუღლე) 247,  
248  
კუზმინსკი (რუსეთის ელჩი) 322  
კურბსკი ანდრია (ბოიარი, თავადი) 304  
კურშეუხი (ელჩი) 241

## ლ

ლავოენტი (რუსი მემეტანე) 58, 214  
ლანა გიორგი 86. 86. 102, 112, 140,  
143. 163. 164, 173. 209, 211, 329  
ლევან დადიანი 248  
ლევან მეფე (კახეთის) 269 — 272, 273 —  
278, 282 — 284, 287 — 290. 292, 293,  
314 — 317, 321 — 325  
ლეონ — ლორნიკე 26

ლენინდე (ლევან თეიმურაზ I-ზე) 310  
„ლენინტი“ (ლევან დადიანი) 248  
ლიპარიტ ბაღუივაში 22 — 24, 26 — 33,  
35 — 40, 42 — 44  
ლიპარიტი (ივანე ორბელის ძმა) 157  
ლიხანოვი 240  
ლობანოვი (ვოეოდა) 241  
ლომოუხი თამარ 34

## მ

მაჩაი (ოქროს ჟოდოს სარდალი) 219  
Margolioath D. S. პროფ. 20  
მარი იური პროფ. 105  
მალი ნიკოლოზ აკად. 24, 26, 28 — 33,  
36 — 38, 40, 42 — 44. 47. 104, 105  
მარიამ მართაყოფილი 47  
მარკოს როსო (მოსკოვის მთავრის ელჩი  
საოსეთში) 254 — 256  
მაოქსი კ. 224  
მაქსიმე აღმსარებელი 53, 56  
მაქსიმე ქუთათელი (იმერეთის ელჩი რუ-  
სეთში) 34  
მეაწვეილი სვიმონ (ქართლ-კახეთის ელ-  
ჩი რუსეთში) 287 — 289. 321  
მეწყერელი 32. 33. 321  
მაკედონა (ყირიმელი ელჩი) 296  
„მელაქო“ (დავით ნარინი) 86, 87  
მელაქსეთ-ბეგი ლეონ პროფ. 6, 19, 22,  
165  
მეზელი გირეი (ყირიმის ხანი) 249  
მესხია შოთა პროფ. 17  
მელქისედეკ კათალიკოსი 54  
მიომირან (საქართველოს ყვანდნაფიცი  
მფლობელი) 83  
მიქაელ კათალიკოსი მწიგნ. უხუცესი 72,  
74, 76, 119, 121, 123 — 126, 129,  
130, 147. 149, 329

მისტრუცი შარლი (იტალიელი ისტო-  
რიკოსი) 187, 188  
მიხეილ (კონსტანტ. პატრიარქის მსახუ-  
რი) 277, 278, 316  
მიხეილ თევდორეს-ძე (რუსეთის მეფე  
რომანოვი) 283, 308, 312 — 314  
მლოტოვი ვ. მ. 141, 149  
მოკოვი (სლავურ ტომების ქალ-ღმერთი)  
52  
მოსე დასხურანელი (იხ. დასხურანელი)  
„მოსკოვის კნიაზი“ 270  
მოლის-ედინი თოდრილ შაჰის-ძე (რუსუ-  
დან მეფის მეუღლე) 85, 86  
მსტისლავ იხიასლავის-ძე 171, 172. 177—  
179, 181, 182, 187, 188  
მსტისლავსკი თევდ. მიხ-ძე (მთავარი —  
ბოიარი) 303, 305 — 308  
მურატი (კახეთის ელჩი მოსკოვში) 235,  
245 — 248  
მუსხელიშვილი ლევან (ისტორიკოსი)  
153  
მურთაზადინ სალდუხის-ძე 142, 156  
მხარგრძელი (გვარ-სახელი) 158  
მხარგრძელები 84, 116, 117, 136  
მხარგრძელი ზაქარია (იხ. ზაქარია მხარ-  
გრძელი)

მხარგრძელი ივანე (იხ. ივანე მხარგრძელი)

მხარგრძელი სარგის (იხ. სარგის მხარგრძელი)

6

ნარიმანი (კახეთის ელჩი რუსეთში) 237, 244 — 246, 248, 251, 266  
ნასრედინ 156  
ნიკიტინი ათანასე (რუსი მოგზაური) 253 — 255, 257  
ნიკოლოზ გულაბრისძე 72, 120, 149

ნიკონი კიევის მონასტრის ილუმენი 61, 62  
ნიკონი რუსეთის პატრიარქი 178, 179, 220  
ნოე (ბიბლ.) 58

მ

ოლეგი (კიევის დიდი მთავარი) 16, 18, 53  
ოლფეროვი (რუსეთის ელჩი პოლონეთში) 284, 291  
ორბელი ივანე 71, 157  
ორბელნი 154

ორევი (ყივჩაყი მებუჯე) 189, 190  
ოსტროუსკი (მთავარი) 303  
„ოტროკი“ (ათრაქა შარადანისძე ყივჩაყთა მთავარი) 189, 190, 194, 199, 201, 330

პ

პაველ-სიღვანსკი პროფ. 302, 303, 306  
პალეოლოგი სოფიო 256, 263  
პაპინი ვასილი (რუსეთის ელჩი შემახაში) 233, 254  
პატკანოვი პროფ. 20  
პატრიარქი (პატრიქი) 13  
პიეოვი (რუსეთის ელჩი კახეთში) 313  
პლანო კარპინი (იტალიელი ეპისკოპოსი, პაპის ელჩი მონგოლეთში) 86, 87, 208, 209  
პლეშჩევი (რუსეთის ელჩი) 234

პლეშჩევი (რუსეთის მთავარი) 303  
პოლივექტოვი მ. ა. პროფ. 239, 247, 283, 292, 294, 295, 300, 308, 310, 312, 313  
პოლიკარპე (კიევის მონასტრის ბერი) 61  
პოპოვი ა. 221, 222  
პრესნიაკოვი ა. 199  
პრისელკოვი მ. დ. 60, 64  
პრონსკი (საუფლისწულოს მთავარი) 330  
პსელსი (ბიზანტიელი ავტორი) 8, 28—30

ჟ

ჟამთა აღმწეოელი 85, 103, 104, 186, 203, 207, 208, 210 — 214  
ჟიგარიევი ს. 250, 263  
ჟიგრონტი II (სიგიზმუნდ II პოლონეთის

მეფე) 306  
ჟიროსლავ (ნოვგოროდის პოსადნიკი) 90  
ჟორდანია თედო 172, 174

რ

რამაზან (კახეთის მეფის ხელქვეითი) 248  
რიურვიკელთა დინასტია 85, 94, 188, 297  
რიურვიკი ნოვგოროდის მთავარი 90  
რომანი გალიჩ-ვოლინის მთავარი 189, 190  
რომანი (ყივჩაყი) 109

როსო ბარტოლომეო 255, 256  
როსტია ცეტიძე 30  
რუსაძე 47  
რუსი ვენატაანტაგანი 47  
რუსი ვენატაშვილი 47  
რუსი უფლისწული (იხ. გიორგი ანდრია ბოგოლიუბსკისძე)

ოუსიშვილი 47  
რუსი ჩხეტის-ძე 47  
რუსი ბატონაშვილი 48  
რუსუდან დედოფალი (თამარ მეფის მამა) 71, 74, 116, 121, 138, 142.

172, 173, 176, 186  
რუსუდან (თამარ მეფის და) 172  
რუსუდან მეფე 85 — 88, 140, 163, 186, 204 — 207, 209, 329  
რუხაძე ტრიფონ დოც. 57

ბ

საკდუბტი (სარგის მხარგრძელის მეუღლე) 157  
საბა მონონახყოფილი 46  
საბა-სულხან ორბელიანი 29, 39, 122  
სავალათი (ესეველოდი დიდი ბუღე რუსეთის მთავარი) 70, 97, 107, 108  
სალავათი (ყივჩაყთა მთავრის ძმა) 102, 107, 108  
სალპიანი (მონგოლი სარდალი) 204  
სარგის დოღგორუცი (იხ. სარგის მხარგრძელი)  
სარგის თმოგველი 86  
სარგის მხარგრძელი ამირსპასალარი 34  
119, 120, 125, 148, 156, 157, 164 — 167  
სარგის ჯაყელი 227  
სასუნელი დავით 19  
სალირ მასატლის-ძე 139  
სება (მონგოლი სარდალი — იამა) 204  
სედელნიკოვი ა. 239  
სეიანჯი ყივჩაყთა მეფე 107  
სეიანჯი (ჩინგიზ-ყაენის მეუღლე) 204, 212  
სეიატოპოლცი (იხიასლავ მთავრის ძმა) 184  
სეიატოსლავ იგორის-ძე კიევის დიდი მთავარი 16, 18

სეიატოსლავ ჩეონიგოველი მთავარი 107  
სეიმონ I ქართლის მეფე 281, 318  
სეიმონ ვლადიმირული ეპისკოპოსი 61  
64  
სეინჯი (ყივჩაყთა მთავარი) 100  
სილივესტრ (რუსული მატიაანის რედაქტორი) 58  
სირჩანი ყივჩაყთა მთავარი 183, 190, 199, 200  
სოლანგელი მთავარი 208  
სოლოვიოვი ს. მ. პროფ. 52, 93, 107, 108, 176, 181, 184, 192, 226, 250, 322  
სოლომონ I 34  
სოლომონ მეფე 281  
სოფიო პალეოლოგი 256, 263  
სპერანსკი პროფ. 239  
სრენნესკი ი. ნ. 90, 253 — 255  
სტეფანე მოლდავეთის მთავარი 309  
სტეფანე ტარონელი (ასოლაკი) 13, 9, 11, 14, 15, 327  
სტრაბონი 35  
სულა კალმახელი ერისთავი 31  
სულაი 33  
სუმბატ დავითის-ძე 7, 9 — 14, 326  
სუნჯი ყივჩაყთა მეფე 70

ტ

ტარიელ (ვეფხის ტყაოსნის გმირი) 171  
ტიხომიროვი მ. ნ. 65  
ტოლოჩანოვი ნიკიფორე (რუსეთის ვლჩი იმერეთში) 308

ტოხტა ოქროს ურდოს ყაენი 220, 222, 225  
ტურატი (იხ. მურატი კანეთის ელჩი რუსეთში)

უ

უბუნ ჰასანი 228, 254, 260  
ულუ მაჰმადი (ყაზანელი ხანი) 251, 252

უსპენსკი პროფირე 50

უარსადან გორგიჯანიძე 226

ქართველიშვილი 10  
ქიქოძე გერონტი 208  
ქობარიელი დავით 157

ყაუხიშვილი სვიმონ პროფ. 6, 7, 17,  
18, 35, 108, 173, 196 — 198, 200  
ყვარუყვარე ათაბაგი 229  
ყიასლინ ნუქარდინის-ძე (სულტანი) 186  
ყუბასარი ამირ-სპასალარი 119, 120  
ყუბულ ყაენი 46

ბანიძე აკაკი აკად. 39, 41  
შარვანშა 210  
შარლ მისტრუცი 187, 188  
შარუჯან სტარი (ყივჩაყთა მთავარი) 194,  
195, 199  
მამბატოვი ა. აკად. 60, 64, 67, 176,  
215, 220  
შაჰაბას I (იბ. აბას I)

ჩალათა ნოინი 103  
ჩაზრუხაძე გრიგოლ 104 — 106, 171, 328  
ნეშაენი ლორენსი (ინგლისელი ვაჭარი)  
282

ცაგაოელი აღ. პროფ. 35  
ცეტიძე როსტია 30  
ცინცაძე ი. პროფ. 35, 41

წერეთელი გიორგი აკად. 159

ჭიქინაძე ხაქარია 10, 86, 269 — 271

ფ

ფარუბ-ესარი შირვანშაჰი 253

ქ

ქრისტეფორე ლალაყოფილი 46  
ქურდი ამირაპეტი თბილისისა (იბ.  
ამირ-ქურდი არწრუნი)

ყ

ყუთლუ-არსლანი 73, 75, 118 — 120,  
126, 128, 147, 160, 161  
ყუთლუ-არსლანი (კორიდეთის სახაობის  
მინაწერში მოხსენებული) 160  
ყუთლუ-არსლანი (რკონის სიგელში მოხ-  
სენებული) 160

შ

შერეფედდინი (სპ. ისტორიკოსი) 222  
შილტბერგერი ჰანს (გერმანელი ავტორი)  
221  
შირვან შაჰ-ფარუბ-ესარ 253  
შიროკოკოროვი 217  
შუისკი (საუფლისწულოს მთავარი) 253  
შეპოტევი (რუსეთის ელჩი ჩერქეზეთში)  
315

ჩ

ჩინგიზ-ყაენი 203, 204, 211 — 213  
ჩიჩერინი ბ. 297, 307, 312  
ჩოლოყაშვილი გარსევან 270, 271 — 274  
ჩორდვანელი 11, 13

ც

ცუატა (დავით აღმაშენებლის-ძე) 173 —  
175  
ცხველადე ნ. ნ

წ

ჭ

ბაკან სკვითი 55  
 ბალან სკვითი 55  
 ბახანაშვილი აღ. პროფ. 150—151, 153  
 ბაკაპურიძე გიორგი აკად. 6  
 ბეატოვი (რუსეთის ელჩი კახეთში) 310, 311  
 ბოხეშარული შაქელი 237, 244, 246, 248, 251, 265, 266

ბოლმსკი დანიელ დიმიტრის-ძე 302, 303, 307, 308  
 ბორეშან დედოფალი (თეიმურაზ I მე-  
 ულლე) 247, 248  
 ბოჯა მურადი 246  
 „ბრისტინა“ ბორეშან დედოფალი 247  
 ბუარაზშვა 87

ჯ

ჯანაშვილი მოსე 5, 10, 11, 38, 44, 45, 48, 272, 328  
 ჯანაშია სვიმონ აკად. 6, 16  
 ჯავახიშვილი ივანე აკად. 7, 9, 23, 46, 55, 57, 70 — 72, 75 — 77, 79, 81, 84, 87, 88, 102, 104, 111, 112, 118, 120, 121, 124 — 126, 128, 135, 152, 154, 159 — 162, 166, 168, 175, 180, 187, 194, 197, 198, 203, 207, 216, 218, 219, 222, 224, 226, 228, 229, 243,

245, 259, 260, 262, 264, 267, 272, 273, 290  
 ჯაყელი სარგის 227  
 ჯებო (მონგოლი სარდალი) 204  
 ჯეკინსონი ანტ. 256, 259, 278 — 283, 286, 316  
 ჯეჰან შაჰი 228  
 ჯოჩი (ჩინგიზ ყანის უფროსი ვაჟი, იგივე თუბის) 204, 212, 213

ჰ

ჰასან ბეგი 253

ჰერაკლე ბერძენთა მეფე 54



## ბეოგრაფიული და ჯოგთა სახელაზის სპიხეპალი

### ა

- ადრიანოპოლი 26  
 ავარები 67  
 ავერი (ივერი) 67  
 აზოვის ზღვა 68, 285  
 ათონის მონასტერი 44 — 46, 49 — 51.  
 207, 327, 328  
 ალაბი (იხ. ალუპო)  
 ალავერდი 247, 272  
 ალბანეთი 22  
 ალუპო 224, 254  
 ამერეთი 134  
 ამიერ-კავკასია 19, 22  
 ანაკოფია 36  
 ანატოლია 230  
 აოანი 139, 140  
 არგუეთი 133  
 არზუმი 220  
 არრაზი 279, 280, 282  
 არყის ციხე 29, 31  
 არზანგელსკი 292  
 ასირია 220  
 ასტრახანი 104, 241, 257, 262, 265, 266, 276, 277, 290, 321, 322  
 ასტრახანის სახანო 274, 279, 285 — 287  
 ატლა (ვოლკა) 104 — 106  
 აფხაზეთი (საქართველო) 17, 41, 65, 134, 135, 172  
 აღდგომის მონასტერი იერუსალიმში 225  
 ანტრახანი (იხ. ასტრახანი)  
 ახალციხე 256  
 ახპატი 142, 145, 149  
 აწყურის ციხე 32

### ბ

- ბაბილონის სამეფო 220  
 ბაგოზი 34  
 ბალკანეთი 51, 56 — 58, 213, 214, 223, 327  
 ბალტიის ზღვა 217, 265, 292  
 ბარდავი 19 — 21, 327  
 ბასიანი 116, 169  
 ბაში (სოფელი) 23 — 25, 30, 31, 34, 35, 40, 42, 330  
 ბახშინისკაია ზემლია (იმერეთი, ბაში-აჩუკთა ქვეყანა) 247  
 ბეზდუქი 216  
 ბეოტია 58  
 ბელაჟონი 117  
 ბერენდეგელები (კიეჟაყთა ტომი) 177, 181, 182  
 ბიზანტია 5 — 10, 16, 22, 25, 28 — 30, 33, 37, 49, 51, 59, 67, 88, 177, 180, 185, 187, 218, 222, 228, 230, 282, 283, 326 — 328, 331  
 ბნელეთი (წყვილიადის ქვეყანა) 211 — 213  
 ბოგოლიუბოვო (სოფელი რუსეთში) 163  
 ბორღალეთი 213, 214  
 ბორღალნი 51, 57  
 ბოსფორი 58  
 ბულგარეთი 213, 223  
 ბულგარი (ვოლგაზე) 214  
 ბურგუნდია 230

### გ

- გაგი 147  
 გალიან (გილანი) 220  
 გალიჩი 189  
 განძა 117, 139

გაობიანი 132  
ვეფთი 133, 134  
ველათი 57, 58, 66  
გელაქუნა 117  
გვოლია (საქართველო) 86  
გოლუხტანი 220  
გოზოსტანი (საქართველო) 220 — 222

გრემი 248  
გრუზია 328  
გურგანის ზღვა 102  
გურზი 220 — 225  
გურზია 224, 323  
გურზინსკაია ზემლია 246  
გურია 133, 256

## დ

დაავთი 214  
ტაოილი 219  
დაოილას ციხეზა 193  
დაოესანდი 102, 257, 265, 266, 261  
დაოესანდელნი 210  
დაოესანდის გზა 210, 215  
დაოესანდის ზღვა 211  
დაოესანდის კარი 210, 219  
დასკლეფთი საქართველო 17, 18, 126, 129, 133 — 136

დალესტანი 292, 296, 316, 317, 323, 325  
დეინის ქვეყანა 84, 116, 117  
დნებრი მდ. 56, 58, 68, 181 — 183, 211, 327, 330  
დნებრის კორომები 172, 177, 178, 181, 188  
დონეცი მდ. 192, 199  
დონი 189, 192, 199, 200, 253, 291  
დუნაი 56

## ე

ეგვიპტე 224  
ეგროპა 217, 218, 230  
ეზინკი 131  
ელფი (რუსეთის ქალაქი) 225

ერევანი 22  
ესპანეთი 262, 264  
ეწერი 172

## ვ

ვაონგელი 57  
ვაონგი 22, 23, 26, 33 — 35, 41 — 44, 328  
ვაპანის ქვაბნი 158  
ვენეტია 234, 254, 256  
ვორუს ტომი 213  
ვისუს ტომი 213

ვიგოროდი 93, 94  
ელადიმირის სამთავრო 329  
ელადიმირი, ქალაქი 95  
ვოლგა მდ. 21, 68, 104, 105, 213, 232, 233, 235, 259, 262, 285, 292  
ვოლინი 68, 189  
ვისფლიზი (თბილისი) 221

## ზ

ზემო ქართლი 31

## თ

თაგეთი 133  
თაღლუ 276, 277  
თბილისი 70, 76, 77, 102, 134, 144 — 147, 150, 152, 153, 163, 187, 220, 221, 254, 281, 282, 292, 330  
თეგრიზი 229, 232  
თეთრი ზღვა 235, 292  
თეთრი რუსეთი 254

თეთრბატკნიანთა ტომი 228  
თერგი 225, 276, 277, 318, 322  
თესლონიკელის მონასტერი (ათონზე) 50  
თილუის მონასტერი 173  
თურქეთი 105, 224, 227—231, 249, 251, 261 — 265, 275, 278, 285, 286, 292, 314, 316, 321 — 326, 332

ი

მეუფალი 47, 50, 120, 223, 224  
 იფოთა ქვეყანა, იფორია 28, 36, 37, 50,  
 59, 223, 225, 235, 237, 249, 284, 305  
 იმერეთი 30, 31, 34, 117, 135, 225, 231,  
 243, 245 — 247, 324, 325  
 იმერ-ტაო 12  
 იმდოეთი 104 — 106, 257  
 იმლისი 259, 292, 298

იორი 270, 272  
 იორანი 227, 228, 231, 234, 257, 259,  
 260, 262, 275, 278, 280, 282 — 284,  
 291, 293, 314, 316, 322 — 326, 332  
 ისპაჰანი 220  
 იტალია 26, 187, 188, 234  
 იურას ტომი 213

კ

კახეთი 183, 185, 209, 210, 220, 324  
 კავკასიონი 18, 33, 103, 231, 244, 253  
 კიანის (ციხე-ქალაქი) 157  
 კალკა მდ. 215  
 კამბეგოვანი 139, 169  
 კასადოკია 53  
 კარი (ქალაქი) 84, 116, 154  
 კარნი კავკასიისა შთისანი 193  
 კარნი ოვსეთისა 193  
 კაროილოი 84, 116  
 კარნუ-ქალაქი 116, 130 — 132, 142, 155  
 კასპიის ზღვა 19, 21, 259, 285, 325  
 კაფა (თეოდოსია) 254  
 კახეთის სამეფო 134, 225, 227, 231,  
 235, 239, 243, 245, 246, 249 — 251,  
 256 — 261, 264 — 272, 274 — 276,  
 283, 284, 287, 289, 290, 293, 313,

315 — 318, 321 — 326, 332  
 კახნიური 34  
 კიევი 8, 61, 64 — 67, 93, 211, 172, 178,  
 179, 181 — 188, 192, 330  
 კიევის მღვიმეთა მონასტერი 49, 50, 60,  
 61, 330  
 კიევის რუსეთი 65, 301  
 კლარჯეთი 116, 132 — 136  
 კლდეკარი 22, 30  
 კოლხიდა 291  
 კოლხის 58, 59  
 კონსტანტინოპოლი 27, 53—55, 61—63,  
 65, 66, 115, 130, 132, 139, 155, 190,  
 223 — 230, 234, 263, 277  
 კორიდეთი 160  
 „კრიმ“ (გრემი) 248  
 კულიკოვის ველი 219, 226

ლ

ლავეუდი (ალავერდი) 217, 248  
 ლათინები 231  
 ლეჩხუმი 147  
 ლიგონია 285, 316, 322  
 ლივსდია (სოფელი ბალკანეთზე) 51  
 ლიპარიტეთი 44  
 ლიტვა 252, 275, 285, 304 — 306  
 ლიობეხი (ქალაქი რუსეთში) 191

ლიხთ-ამერეთი 231  
 ლიხთ-იმერეთი 231  
 ლიხის გადასავალი 330  
 ლიხის მთა 29, 38 — 40, 42, 136  
 ლორი 84, 148, 157  
 ლუბნა 194  
 ლუჯი მონასტერი 77, 101, 137, 144,  
 145, 148, 149, 162, 163, 169

მ

მაცედონია 115, 124  
 მასისი 117  
 მალრანის ციხე 270  
 მაქვანაბერდი 142, 145, 149, 150  
 მერტინსკაია ზემლია (იმერეთი) 247

მიდია 282  
 მონგოლეთი 86, 87  
 მოსკოვი 58, 89, 246, 249, 250, 252—254,  
 256—261, 263, 266, 268—271, 273 —  
 276, 278, 280, 283, 285 — 287, 289,

291 — 294. 299, 301, 302, 311, 313,  
315, 317, 321  
მოსკოვის სამთავრო 218, 232, 233—237,  
331, 332

მტკვარი 21  
მღვრომ-რიახანის სამთავრო 68  
მცირე აზია 106, 132, 204, 217. 221  
მწითურთა ნათესავი (რუსნი) 53

## 6

ნიკოპოლი 228  
ნიუნი ნოვგოროდი 232, 253  
ნოვგოროდი 68, 89 — 92, 94, 95, 100,

141, 214, 217, 232, 251, 252, 261  
ნოლადეთა ურდო 233, 274  
ნუხა 266

## ო

ობეხი (საქართველო) 59, 67, 171, 177,  
179, 180, 188, 190, 216, 217, 220,  
221, 328, 330  
ოვსეთის კარნი 193  
ოკა მდ. 225, 232, 253  
ოლენიე (ქალაქი დნეპრის შავი ზღვის  
შესართავთან) 177, 181, 182  
ორმენი 216

ორნაჩ 216, 220  
ოსეთი 142, 133, 193, 211, 212  
ოსმალეთი (იხ. თურქეთი)  
ოკროს ურდო 204, 206, 213, 218—222,  
225, 226, 231 — 233, 235, 251,  
331  
ოჩონის ციხე 270 — 272

## პ

პალესტინა 224  
პანტელეიმონის მონასტერი ათონზე 50  
პართია ქვეყანა 81, 117  
პარიზი 147  
პაფლაღონია 58  
პერეიასლავი 172

პეტერბურგი 34  
პოლონეთი 43, 183, 184, 234 252, 264,  
275, 284, 285, 291, 298, 305, 306.  
პოლოცკის სამთავრო 68  
პონტოს ზღვა 102

## რ

რახსის პირი 84, 117  
რაქა 113  
რიახანი 225, 232, 275  
რიონი მდ. 34, 35, 330  
რკინის კარები 194  
რკინის ჯუარი 31  
რკონი 160  
რომი 209, 263  
როსტოვი 218  
როსტოვ-სუზდალის სამთავრო 68, 90,  
95, 170  
რუისთავი 101, 146, 148, 153  
რუის-ურბნისი 195

რუსეთი 18, 22, 37, 43, 46, 50, 52, 54,  
68, 69, 97, 100, 102, 104 — 106, 108,  
141, 163, 164, 170, 176, 179, 181 —  
185, 187 — 191, 198, 200 — 202, 204,  
206, 208, 210 — 219, 221 — 223,  
225 — 227, 231, 234, 235, 242, 249,  
250, 254, 256, 257, 262, 263, 265 —  
267, 278 — 281, 283, 285, 287, 289,  
290, 292 — 296, 301 — 309, 311, 313,  
315, 316, 318, 321 — 328, 330, 332  
რუს-ვარანგნი 24  
რუსთა სამეფო 75  
რუსნი ნათესავი მწითურთა 53

საბერძნეთი 23, 29, 30, 35, 37, 43, 54,  
56, 115, 116, 125, 136, 163, 164, 173,  
230

საგროი 133

საგოს 220

სამეგრელო 291

სამოქალაქო 133

სამცხე 134, 135

სამცხე-საათაბაგო 227

სამშვილდე 210

სანაინი 164

სანიგნი 133

სარაი 216, 220

სასირეთის ქალა 23 — 26, 29, 31, 32,  
43

საქართველო 10, 11, 22, 28, 34, 36, 66,  
69, 81, 86, 97 — 101, 104, 106, 107,  
110, 111, 113, 118, 130, 132 — 134,  
140, 149, 162 — 164, 170 — 172, 177,  
179 — 190, 192 — 200, 204, 209, 210,  
212, 216 — 219, 221, 222, 224, 225,  
227 — 229, 235, 242, 243, 245, 254,  
256 — 261, 263, 267, 280 — 283, 291,

296, 300, 301, 311, 324, 326. კპრ —  
331

სებასტია 220

სერბეთი 213, 214, 226

სვანეთი 147

სუინჯი (ქალაქი) 107, 108

სიხ 220

სინას მთა 57, 58

სირჩანელნი (ციცხაყაჯტომი) 139, 144,  
200

სკვითნი (რუსნი) 27, 53 — 55 111, 327

სკვითეთი 102

„სკლავი“ (სლავი) 50, 51, 56 — 55, 327

სმოლენსკის სამთავრო 68, 275

სომხეთი 22, 142, 149, 162, 163, 167,  
167, 170, 220, 231

სომხეთი მცირე და დიდი 58

სომხითი 134, 135

სოზომი (სოზუმი) 34

სპერი 102

სპარსნი 52, 54

სუანეთი 133

სუხდალი 90, 93

სუნჯი ქალაქი 70, 97

## ტ

ტაო 13, 14

ტაო-კლარჯეთი 12

ტაგროსკვითნი (რუსნი) 24, 54

ტანაისი 255

ტვერის სამთავრო 251, 252, 261, 303

ტმუტარკანის სამთავრო 16, 65, 103,  
183

ტრაპეზონის სამეფო 180

## უ

უნგრეთი 183, 214, 234, 299, 300

## ფ

ფახისი მდ. 291

ფახისი, ქალაქი 35, 254

ფოთი 34, 35, 256

ფრიაზი 216

ფუკა 32

## ქ

ქართლის სამეფო 35, 70, 76, 77, 102,  
134, 146 — 148, 153, 225, 231, 260,  
270, 271, 281, 282, 318, 324, 325

ქაშაგები (ჩერქეზები) 18, 133

ქაჯეთი (იხ. ჟეფო. ტყალსანი) 171

ქირმანი 228

ქსილურგის მონასტერი (ათონზე) 51

ქუთაისი 30, 34, 35, 57, 167, 334

შ

აბაოლი 286, 322  
 აბაზის სახანო 233, 235, 238, 251 —  
 253, 261, 274 — 277, 285, 287, 298 —  
 300, 321  
 აბუყულუბი 86, 205, 208 — 211  
 აცხავეთი 92, 95 — 97, 100 — 103, 108,  
 211, 221, 137, 140, 182, 183, 185.

192, 193, 199 — 202, 210 — 213, 330,  
 331  
 ყირიმის ნახევარკუნძული 18, 217  
 ყირიმის სახანო 228, 233, 238, 251, 252,  
 254, 274, 285, 286, 292, 298 — 300,  
 321 — 323, 325.  
 ყუბანი მდ. 16

შ

ზღვა 16, 18, 35 — 38, 43, 59, 66,  
 78, 181, 182, 228, 231, 235, 285, 327,  
 330.  
 ზაქტუთი 16, 132 — 136  
 ზამქოთი 169  
 ზაქალეთი 265, 268, 285, 286, 293  
 ზაოვანი 117  
 ზაოუჯანი (ჰალაქი უცხაყეთში) 192, 195,  
 198  
 ჯაქი 245, 265, 285  
 ჯიზია 253, 254, 256, 257, 259, 265,

266, 278 — 283, 291  
 შვედეთი 234, 285, 298  
 შვიდი მთეულეთი 101, 146, 148, 169  
 შიბრენ 220  
 შიდა ქართლი 25  
 შიომღვიმის მონასტერი 81, 174  
 შირაზი 220  
 შირვანი 325  
 შორაპანი 35  
 შორეული აღმოსავლეთი 210

ჩ

ჩეგინდაი 229  
 ჩერკასი 216  
 ჩეონიგოგ-სევეროსკის სამთავრო 68  
 ჩიჩნეთი 235

ჩერქეზეთი 259, 266, 268, 279  
 ჩეხეთი 183, 184, 214  
 ჩინეთი 104 — 106  
 ჩრდილო კავკასია 18

ც

ცაოგოადი (კონსტანტინოპ.) 62  
 ციხენი დარბელისნი 193

ციხის ჯვარი 32  
 ცხენისწყალი 34

წ

წაოუ 68

ხ

ხანაუეთი 18, 102, 211 — 213  
 ხანტოროკან 216  
 ხაღუღია 37

ხმელთაშუა ზღვა 33, 43, 217  
 ხორნაბუჯი 139  
 ხორუსანი 220

ჯ

ჯგოას მონასტერი (ივრუსალიმში) 47, 224

ჰ

ჰელეთი 134  
 ჰოჯახიზ 234

ჰორომაირის ეკლესია (სომხეთში) 166

## ს ა რ ჩ ე ვ ი

53

შესავალი .	3 —
უძველესი ცნობები რუსების, ვარანგებისა და სლავების შესახებ ქართულსა და რუსულ ძეგლებში	
ურთიერთობა ძველ რუსულ სამთავროებსა და საქარ- თველოს შორის	57 20
ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტო- რიისათვის მონგოლთა ბატონობის პერიოდში.	203 — 227
პირველი ცნობები XV საუკუნის რუსეთისა და კახე- თის ურთიერთობის ისტორიიდან	227 26
ცნობები XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთო- ბის ისტორიიდან	268
პირთა სახელების საძიებელი	333 — 342
გეოგრაფიული და ტომთა სახელების საძიებელი	343 — 346

